
50
ჯორჯ ორუელი
1984

4Love.Ge

ჯორჯ ორუელი

1984

ერთი

I

აპრილის კაშკაშა, ცივი დღე იდგა. საათი პირველს უჩვენებდა. სუსხიანი ქარისგან თავდაცვის მიზნით მკერდში ნიკაპჩარგული უინსტონ სმიტი სწრაფად შევიდა „გამარჯვების სახლის“ შუშის კარში, თუმცა მაინც დააკლდა სისწრაფე და მობზრიალე ქარ-მტვერიც თან შეიყოლა.

დერეფანი მოხარშული კომბოსტოსა და ჭილოფად გამოყენებული ძველი ძონძების სუნს აევსო. ბოლოში, კედელზე ეკიდა ფერადი პლაკატი, რომლის გაბარიტები ქუჩას უფრო ითხოვდა, ვიდრე შენობის შეზღუდულ სივრცეს. პლაკატზე სხვა არაფერი იყო, მხოლოდ ორმოცდახუთ წლამდე მამაკაცის ერთ მეტრზე უფრო განიერი სახე შავი, მძიმე ულვაშითა და ლამაზნაოჭიანი ნაკვთებით. უინსტონი კიბეს აუყვა. ლიფტის იმედი არ უნდა ჰქონოდა: საუკეთესო დროშიც კი იშვიათად რთავდნენ. ამჟამად დენს დღისით თიშავდნენ - სიძულვილის კვირეულისთვის გაწეული ეკონომიის ნიშნად. ოთახი მეშვიდე სართულზე იყო. ოცდაცხრამეტი წლის უინსტონი, რომელსაც მარჯვენა კოჭის თავზე გაგანიერებული წყლული ჰქონდა, ნელა ადიოდა და შიგადაშიგ სულის მოსათქმელადაც ჩერდებოდა. ყოველ სართულზე, ლიფტის მოპირდაპირე კედლიდან იგივე ვეებერთელა სახე იმზირებოდა, - ერთ-ერთი იმ სურათთაგანი, რომელზე გამოსახული ადამიანის მზერა ყველგან მოგყვება, სადაც უნდა წახვიდე. დიდი ძმა გითვალთვალებს - იუწყებოდა წარწერა სურათის ქვეშ.

ოთახში მელოდიური ხმა თუჯის წარმოების ამსახველი რიცხობრივი მაჩვენებლების სიას კითხულობდა. ეს ხმა ოთახის მარჯვენა კედელში ჩადგმული ლითონის მოგრძო, დაბინდული სარკისმაგვარი თეფშიდან მოდიოდა. უინსტონმა ჩამრთველი გადაატრიალა და ხმამ რამდენადმე დაიწია, თუმცა ტექსტი მაინც ისმინებოდა. ეს მოწყობილობა, რომელსაც ტელეეკრანი ერქვა, შეიძლებოდა გაბუნდოვანებულიყო, მაგრამ გამორთვით მთლიანად არ ირთვებოდა. უინსტონი ფანჯარასთან მივიდა. მომცრო და მყიფე სხეული კიდევ უფრო ეკვეთებოდა ლურჯ სპეცტანსაცმელში -პარტიის უნიფორმაში. ლამაზი თმა ჰქონდა, სახე ბუნებრივად უღაჟღაჟებდა, კანი ხორკლიანი საპნით, ბლაგვი სამართებლითა და ახლახან გასული ზამთრის სუსხით გაუხეშებოდა.

ფანჯარა დახურული იყო, მაგრამ გარე სამყარო მაინც ცივად ასხივებდა. ქუჩაში ქარის პატარა ნაკადები მტვერსა და ქაღალდის ნაგლეჯებს ატრიალებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მზე კაშკაშებდა და ცაც ლურჯზე ლურჯი იყო, თითქოს მაინც არაფერს ჰქონდა ფერი, ყველგან გაკრული პლაკატების გარდა. შავულვაშიანი სახე ყველა კუთხიდან იმზირებოდა, ერთი პლაკატი მოპირდაპირე სახლის ფასადზე გაეკრათ: დიდი ძმა გითვალთვალებს. შავი თვალები უინსტონს გუგებში ჩაჰყურებდნენ. დაბლა, ზედ ქუჩის თავზე, ერთ კუთხეში აგლეჯილ სხვა პლაკატს ქარი აფრიალებდა და ხანგამოშვებით აჩენდა ერთადერთ სიტყვას: ინგსოცი[1]. შორს, სახურავებს შორის, ვერტმფრენი დაეშვა, წამიერად შ.ეყოვნდა ჰაერში ხორცის ბუზივით და კვლავ წინ გაქანდა ირიბი ფრენით. ეს პოლიციის პატრული იყო, რომელიც სახლების ფანჯრებში იყურებოდა. თუმცა პატრული

არაფერს ნიშნავდა -მთავარი აზრის პოლიცია გახლდათ.

უინსტონის ზურგს უკან ტელეეკრანი კვლავ განაგრძობდა ჟღრიალს თუჯის წარმოებისა და მეცხრე სამწლედის გეგმის გადაჭარბებით შესრულების შესახებ. ეკრანზე ერთდროულად მიმდინარეობდა გადაცემა და მიღება. ფიქსირდებოდა უინსტონის მიერ გამოცემული ყოველი ბგერა, ძალზე ხმადაბალი ჩურჩულის გარდა. მეტიც, ვიდრე უინსტონი ეკრანის მხედველობის არეში რჩებოდა, მას კიდეც ხედავდნენ და კიდეც უსმენდნენ. რა თქმა უნდა, ვერაფრით დაადგენდი, გიყურებდნენ თუ არა მოცემულ მომენტში. სრულებით გაურკვეველი იყო, რა სისტემით ან რა სიხშირით ერთვებოდა აზრის პოლიცია ყოველ ინდივიდუალურ კაბელში. ისიც კი დასაშვებია, რომ ყველას ყოველ წამს უყურებდნენ. ასე იყო თუ ისე, მაშინ ჩაგერთვებოდნენ, როცა მოისურვებდნენ. უნდა გეცხოვრა იმ ფიქრით (და ცხოვრობდი კიდეც ინსტინქტად ქცეული ჩვევით), რომ უსმენდნენ შენს ყოველ ბგერას და დაკვირვებით უთვალთვალებდნენ შენს ყოველ მოქმედებას, თუ მთლად სიბნელეში არ მოძრაობდი.

უინსტონი ეკრანისაგან კვლავ ზურგშექცევით იდგა, თუმცა კარგად იცოდა, რომ თვით ზურგიც მეტყველებდა. ერთი კილომეტრით დაშორებული მისი სამსახურის - ჭეშმარიტების სამინისტროს - ფართო ფასადი თეთრად გადმოჰყურებდა პირქუშ სანახებს. ეს ლონდონია, - გაიფიქრა უინსტონმა რაღაც ბუნდოვანი ზიზღით, - ოკეანიის რიგით მესამე დასახლებული პროვინციის, პირველი ასაფრენ-დასაშვები მოედნის მთავარი ქალაქი. შეეცადა, გამოეხმო ბავშვობის მოგონებიდან, იყო თუ არა ლონდონი ყოველთვის ასეთი. ნუთუ ყოველთვის იდგა მეცხრამეტე საუკუნეში ნაშენები ეს ფუტურო სახლები ხის ბიჯგებშეყენებული კედლებით, მუყაოკრული ფანჯრებით, დაბრეცილთუნუქიანი სახურავებითა და მონგრეულღობეებიანი გიჟური ბაღებით? ნუთუ ყოველთვის არსებობდა ეს დაბომბილი ადგილები, სადაც ბათქაშის მტვერი ტრიალებდა ჰაერში და გორებად დაყრილ ქვა-ღორღზე სარეველა ამოზრდილიყო? ან ის ადგილები, სადაც ბომბებს უფრო ფართო ზოლი გაეჭრათ და სადაც საქათმეებივით ჩამწკრივებულიყო ხის ზინზლიანი ქოხმახების მთელი მასივი? მაგრამ არა, უინსტონი ამას ვერ იხსენებდა. ბავშვობისგან აღარაფერი დარჩენილიყო, საერთო ფონს მოკლებული და მეტწილად ბუნდოვანი, რაღაც მანათობელი სურათების გარდა.

ჭეშმარიტების სამინისტრო - ჭეშსამინი ახალმეტყველების[2] ენაზე - გამაოგნებლად განსხვავდებოდა ყველა ობიექტისგან, რაც იმ არემარეში ჩანდა. ეს იყო მბზინავი თეთრი ბეტონით ნაგები უზარმაზარი პირამიდული სტრუქტურა, ტერასებად ატყორცნილი სამასი მეტრის სიმაღლეზე. შორიდანვე იკითხებოდა შენობის თეთრ ზედაპირზე ლამაზი ასოებით გამოყვანილი პარტიის სამი ლოზუნგი:

ომი მშვიდობაა

მონობა თავისუფლებაა

უმეცრება ძალაა

ჭეშმარიტების სამინისტრო, როგორც ამბობენ, შეიცავდა სამი ათასამდე ოთახს მიწის ზემოთ და შესაბამის განშტოებებს მიწის ქვეშ. ლონდონის სხვადასხვა

რაიონში არსებობდა ასეთივე შესახედაობისა და ზომის კიდევ სამი შენობა. იმდენად ჩრდილავდნენ ეს შენობები ქალაქის მთელ დანარჩენ არქიტექტურას, რომ „გამარჯვების სახლის“ სახურავიდან ერთდროულად შეგეძლოთ დაგენახათ ოთხივე. ისინი წარმოადგენდნენ მმართველობის მთელი აპარატის მომცველ ოთხ სამინისტროს: ჭეშმარიტების სამინისტროს, რომელსაც ეხებოდა ახალი ამბები, საზოგადოებრივი გართობა, განათლება და ხელოვნება; მშვიდობის სამინისტროს, რომელიც დაკავებული იყო ომის საკითხებით; სიყვარულის სამინისტროს, რომელიც იცავდა კანონსა და წესრიგს; და ეკონომიკის საკითხებზე პასუხისმგებელ დოვლათის სამინისტროს. მათი სახელები ახალმეტყველებაში ასე ჟღერდა: ჭეშსამინი, მშვიდსამინი, სიყვასამინი, დოვსამინი.[3]სიყვარულის სამინისტრო, მართლაცდა, დამაფრთხობელი შესახედაობისა იყო: არც ერთი ფანჯარა არ ჰქონდა. ამ შენობაში უინსტონი არასოდეს ყოფილა, ნახევარ კილომეტრზეც კი არ მიახლოებია. შეუძლებელი იყო იქ მოხვედრა, თუ არა ოფიციალური საქმისთვის და მაშინაც მხოლოდ ეკლიანი მავთულხლართების, ფოლადის კარიბჭეებისა და ფარულად დადგმული ტყვიამფრქვევების გავლით. მისი გარეთა ბარიერებისკენ მიმავალი ქუჩებიც კი გორილასსახიან, შავფორმიან, დრეკადი ხელკეტებით აღჭურვილ მცველებს გადაეკეტათ.

უინსტონი სწრაფად შემოტრიალდა სახეზე წყნარი ოპტიმიზმის განწყობით - ფრიად სასურველით ტელეეკრანთან პირისპირ დგომისას. შემდეგ ოთახი გადაჭრა და მოცუცქნულ სამზარეულოში შევიდა. სამინისტროდან ასეთ დროს წამოსვლის გამო უარი უნდა ეთქვა თავის ლანჩზე ბუფეტში, თუმცა იცოდა, რომ სამზარეულოში სხვა არაფერი ელოდა, შავი პურის ნატეხის გარდა, რომელიც ხვალის საუზმისთვის იყო გათვლილი. კარადიდან უფეროსითხიანი ბოთლი ჩამოიღო. სრულიად თეთრ იარლიყს „გამარჯვების არაყი“ ეწერა. ბოთლის შიგთავსს გულის ამრევი ზეთის სუნი უდიოდა, ჩინური ბრინჯის სპირტის მაგვარი. დაახლოებით იმდენი დაისხა, ჩაის ჭიქას რომ აავსებდა, პირთან მიიტანა, შოკისთვის მოემზადა და წამლის ულუფასავით გადაკრა.

იმწამსვე სახე აუჭარხლდა და თვალებიდან წყალი წამოსკდა, თითქოს აზოტის მჟავა დაელიოს. მეტიც, ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს კეფაში რეზინის კეტი დაჰკრესო. თუმცა ერთი წუთის შემდეგ მუცლის გვრემა ჩაუცხრა და ქვეყანაც უფრო ფერადოვანი ეჩვენა. დაჭმუჭნილი კოლოფიდან, რომელსაც „გამარჯვების სიგარეტი“ ეწერა, ერთი ღერი ამოიღო და გაუფრთხილებლად დაიჭირა ვერტიკალურად: მთელი თუთუნი იატაკზე ჩამოიყარა. მეორე ღერს უფრო გონივრულად მოეპყრო. შემდეგ ოთახში დაბრუნდა და ეკრანის მარცხნივ მდგარ პატარა მაგიდას მიუჯდა. მაგიდის უჯრიდან ამოიღო საკალმე, მელნის ბოთლი და სქელი, თაბახის მეოთხედი ფორმატის ცარიელი წიგნი, წითელი ყუითა და დაწინწკლული ყდით. რატომღაც ტელეეკრანი უჩვეულო პოზიციაში იყო: იმის ნაცვლად, რომ, ჩვეულებისამებრ, უკანა კედელში ჩაემონტაჟებინათ, საიდანაც ის მთელ ოთახს გააკონტროლებდა, ამჯერად ფანჯრის პირდაპირ, გრძელ კედელში იდგა. ეკრანს ერთი მხრიდან ეკვროდა კედელში შეჭრილი ნიში, რომელშიც ამჟამად უინსტონი იჯდა და რომელიც, ალბათ, ამ სახლის აშენებისას წიგნების კარადის ჩასადგმელად გაკეთდა. ნიშში მჯდომარე და სკამის საზურგეზე გადაწოლილი უინსტონი ეკრანის მხედველობის არიდან გადიოდა. მას, რასაკვირველია, მოუსმენდნენ, მაგრამ ვიდრე ამ პოზიციაში დარჩებოდა, ვერ

დაინახავდნენ. სწორედ ოთახის უჩვეულო განლაგებამ ჩააგონა უინსტონს ის, რაც ახლა უნდა ექნა.

თუმცა ეს განზრახვა იმ წიგნმაც უკარნახა, წუთის წინ რომ ამოიღო უჯრიდან. გამორჩეულად ლამაზი წიგნი იყო. შეყვითლებული პრიალა ფურცლებით თუ შეაფასებდით, სულ ცოტა, ორმოცი წლის წინანდელს ჰგავდა. თუმცა უინსტონი ხვდებოდა: წიგნი გაცილებით ადრე იყო დაბეჭდილი. ძველმანების მაღაზიის ვიტრინაში წააწყდა ქალაქის ერთ-ერთ მიკარგულ რაიონში (ამჟამად აღარ ახსოვდა -რომელში) და დანახვისთანავე მისი შეძენის დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო. საერთოდ, პარტიის წევრებს ჩვეულებრივ მაღაზიებში, ანუ, როგორც ამბობდნენ, „თავისუფალ ბაზარზე“ არ უნდა ევლოთ. მაგრამ წესი მაინცდამაინც მკაცრად არ სრულდებოდა, რადგან სხვაგან ვერსად იპოვიდით ისეთ ნივთებს, როგორიც იყო, მაგალითად, ფეხსაცმლის თასმები ან სამართებლები. უინსტონმა სწრაფად გახედ-გამოხედა ქუჩას, მაღაზიაში შეიძურწა და ეს წიგნი ორ-ნახევარ დოლარად იყიდა. მაშინ არც გაუაზრებია, რატომ ქნა ეს: ტყუილუბრალოდ თუ რაიმე განსაკუთრებული მიზნისთვის. დამნაშავესავით წაიღო შინ თავისი დიპლომატით. მიუხედავად იმისა, რომ წიგნის ფურცლებზე სრულებით არაფერი ეწერა, ეს მაინც მაკომპრომეტირებელი შენაძენი გახლდათ.

უინსტონი დღიურის წერას აპირებდა. ეს აკრძალული არ იყო (არაფერი არ იყო აკრძალული, რაკი კანონები აღარ არსებობდა), მაგრამ თუ უპოვიდნენ, სიკვდილით დასჯა ან ოცდახუთწლიანი შრომაგასწორებითი ბანაკი არ ასცდებოდა. კალმისტარს კალამი მოარგო, რომელსაც შემდეგ ენით და ტუჩებით მტვერი მოაშორა. წერის ეს არქაული საშუალება, რომელსაც ამჟამად ხელმოსაწერადაც იშვიათად იყენებდნენ, უინსტონმა უჩუმრად და დიდი გაჭირვებით იშოვა. უბრალოდ, იმისთვის დასჭირდა, რომ რაღაცნაირად გრძნობდა: ლამაზ, პრიალა ფურცლებს ძველებური კალმით წერა უფრო შეეფერებოდა, ვიდრე თანამედროვე ავტოკალმით ფხაჭნა. უინსტონი შეუჩვეველი იყო ხელით წერას. მოკლე შენიშვნების გარდა, ყველაფერს კარნახობდა ხმისმწერს, რომელიც ამ შემთხვევაში არ გამოდგებოდა. კალამი მელანში ჩააწო და ერთი წამით შეყოვნდა. გულ-მუცელში ჟრჟოლამ დაუარა: პირველი სიტყვის დაწერა ცარიელ ფურცელზე გადამწყვეტი მომენტი იყო. შემდეგ მოღრეცილი ასოებით დაწერა: 4 აპრილი, 1984.

დაწერა და სკამის საზურგეზე გადაწვა, რადგან სრული უძლურების გრძნობამ შეიპყრო. უპირველეს ყოვლისა, დანამდვილებით ვერ იტყოდა, რომ ახლა 1984 წელი იყო. დაახლოებით ასე უნდა ყოფილიყო, რადგან უინსტონმა დარწმუნებით იცოდა თავისი ასაკი - 39 - და სჯეროდა, რომ 1944 თუ 1945 წელს დაიბადა. მაგრამ დღესდღეობით ყოვლად შეუძლებელი იყო რომელიმე თარიღის დადგენა ერთი ან ორი წლის სიზუსტით. უცებ მოულოდნელმა გაკვირვებამ შეიპყრო: ვისთვის წერდა ამ დღიურს? -მომავლისთვის, იმისთვის, ვინც ჯერ არ დაბადებულა. მისი გონება ერთ წამს კვლავ ფურცელზე დაწერილი საეჭვო თარიღის ირგვლივ დატრიალდა... და იქვე შეეჯახა ახალმეტყველების სიტყვას - ორაზრი. პირველად გაიაზრა, რამხელა რამეს შესჭიდებოდა: როგორ შეეძლო ადამიანს კავშირის დამყარება მომავალთან? ასეთი რამ შეუძლებელი იყო. მომავალი ან აწმყოს მსგავსი იქნებოდა, რა შემთხვევაშიც მას არ მოუსმენდნენ, ან აწმყოსგან განსხვავებული, რის გამოც მისი მიმართვა აზრს დაკარგავდა.

ერთხანს ფურცელს უაზროდ დაჰყურებდა. ეკრანიდან მჭახე სამხედრო მუსიკა იფრქვეოდა. უცნაურია: საწერად მომზადებულ უინსტონს არათუ მთლად წართმეოდა საკუთარი აზრის გამოხატვის უნარი, არამედ აღარც კი ახსოვდა, რის თქმას აპირებდა. ამ მომენტისთვის რამდენიმე კვირა ემზადებოდა და არასოდეს მოსვლია აზრად, რომ, გამბედაობის გარდა, კიდევ რამე დასჭირდებოდა. თვით წერის პროცესი ადვილი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ის მართებდა, ფურცელზე გადაეტანა დაუსრულებელ-მოუსვენარი მონოლოგი, თავიდან რომ არ შორდებოდა მთელი ეს წლები. ახლა კი მონოლოგი აღარსად იყო. მეტიც, ზუსტად ახლა შემოუტია წყლულის აუტანელმა ქავილმა. მაინც არ მოიფხანა: ყოველ მოფხანაზე ანთებითი პროცესი ეწყებოდა. წამები წამებს მისდევდა. ერთადერთი, რაც ამწუთას უინსტონმა იცოდა, იყო წინ დადებული ფურცლის სიცარიელე, კოჭზემოთა წყლულის ქავილი, მოგრიალე მუსიკის ხმა და ჯინით გამოწვეული მცირე ზარხოში.

უცებ სრული პანიკით ატანილმა ისე დაიწყო წერა, რომ ბევრი არაფერი ესმოდა იქიდან, რაც ხელიდან გამოსდიოდა. წვრილი და ბავშვური ასოები ფურცელზე ოღროჩოღრო ხაზებად დაიკლაკნენ. ჯერ ასომთავრულები ავიწყდებოდა, მერე სასვენი ნიშნებიც მიაყოლა: 4 აპრილი, 1984. წუხელ, კინოში. ყველა ფილმი ომზე იყო. ერთ ძალიან კარგ ფილმში ლტოლვილებით სავსე გემი დაბომბეს სადღაც ხმელთაშუა ზღვაში. მაყურებელი ძალიან გაერთო იმ დიდ სქელ კაცზე, რომელსაც ესროდნენ ვერტმფრენიდან და ცდილობდა ცურვით გაქცევას. ჯერ დელფინივით ტრიალებდა წყალში, მერე გამოჩნდა ვერტმფრენის ამბრაზურიდან, მერე ნახვრეტებით გაივსო, გარშემო ზღვა სულ გავარდისფრდა და ისე სწრაფად ჩაიძირა, თითქოს ნახვრეტებში მაშინვე წყალი შეუვიდა. როცა იძირებოდა, ყველა ხარხარებდა. მერე გამოჩნდა ბავშვებით სავსე სამაშველო ნავი, ზევით ვერტმფრენი. ნავის ცხვირთან იჯდა შუახნის ქალი, ალბათ, ებრაელი, ხელში სამიოდე წლის ბიჭით. პატარა ბიჭი შეშინებული ყვიროდა და თავს ქალის მკერდში მალავდა, თითქოს უნდოდა, შიგ ჩამძვრალიყო, ქალი კი მკლავებს ხვევდა და აწყნარებდა, თუმცა თვითონაც შიშისგან გალურჯებული იყო. ბიჭს სულ ზედ ეფარებოდა, როგორც შეეძლო, თითქოს ტყვიებს ააცილებდა. მერე ვერტმფრენმა ოცკილოიანი ბომბი ჩამოაგდო და ნავი სულ ნაფოტებად აქცია. მერე საოცარი კადრი იყო: ზევით, ზევით, ზევით, პირდაპირ ჰაერში ავარდნილი ბავშვის მკლავი ალბათ ვერტმფრენმა გადაიღო წინ დამაგრებული კამერით. დიდი აპლოდისმენტები გაისმა პარტიის სკამებიდან მაგრამ ქვევით, პროლეტარულ ნაწილში მჯდარმა ერთმა ქალმა უეცრად ყვირილი და აურზაური ატეხა, რომ არ უნდა აჩვენონ ასეთი რამეები ბავშვების თანდასწრებით, არა აქვთ ამის უფლება. ბოლოს პოლიციამ წაათრია. არა მგონია რამე მოუვიდა. არავის აინტერესებს, რას ამბობენ პროლები[4]. მაგათ სულ ეგეთი რეაქციები აქვთ. ისინი არასოდეს... უინსტონმა წერა შეწყვიტა. ნაწილობრივ, იმის გამო, რომ სპაზმი დაეწყო. ვერ გაეგო, რისთვის გადმოაფრქვია მთელი ეს ნაგავი. მაგრამ საგულისხმოა, რომ, როდესაც ამას აკეთებდა, ხსოვნაში სრულებით განსხვავებულმა მოგონებამ წამოყო თავი. ახლაღა მიხვდა: სწორედ მეხსიერებაში ამოტივტივებულმა ამ ეპიზოდმა უბიძგა, რომ, შინ დაბრუნებულს, დღიურის წერა დაეწყო.

ეს იმ დილით მოხდა, სამინისტროში, თუკი ესოდენ ბუნდოვან რამეზე შეიძლება ითქვას, რომ მოხდა.

უკვე თერთმეტი საათი და ასი წუთი ხდებოდა. ნაწერთა დეპარტამენტში, სადაც უინსტონი მუშაობდა, ოთახებიდან სკამები გამოჰქონდათ და დარბაზში დიდი ეკრანის წინ აწყობდნენ. სიძულვილის ორწუთეულის დრო იყო. ის იყო, უინსტონი შუა რიგის ერთ-ერთ სკამზე ჯდებოდა, როცა დარბაზში მოულოდნელად შემოვიდა ორი ადამიანი. უინსტონი ორივეს შორიდან იცნობდა, თუმცა არც ერთს და არც მეორეს არასოდეს დალაპარაკებოდა. ერთ მათგანს - ქალიშვილს - ხშირად შეხვედრია დერეფანში. სახელი არ იცოდა, იცოდა მხოლოდ, რომ გოგონა ფიქციის განყოფილებაში მუშაობდა. მაზუთიანი ხელით ხშირად ეჭირა ქანჩის გასაღები. როგორც ჩანს, იგი ტექნიკურად უზრუნველყოფდა ნოველების მწერ ერთ-ერთ მანქანას. ოცდაშვიდიოდე წლის გამბედავი შესახედაობის ქალიშვილი იყო, სქელი შავი თმით, ჭორფლიანი სახითა და ათლეტური მიმოხრით. ვიწრო ალისფერი ლენტი - ახალგაზრდული ანტისექსუალური ლიგის ემბლემა - რამდენიმე წრედ შემოეხვია წელზე სპეცტანსაცმლის ზემოდან. ლენტი საკმაოდ მჭიდროდ შემოჰკვროდა და მოხდენილ თეძოებს თვალში საცემს ხდიდა. უინსტონმა ეს ქალი პირველი დანახვისთანავე შეიძულა. იცოდა, რატომაც. იმიტომ, რომ ქალიშვილს ყველგან თან დაჰქონდა ჰოკეის მოედნების, ცივი აბაზანების, საზოგადოებრივი ექსკურსიებისა და საერთო სუფთა გონების ატმოსფერო. უინსტონს ყველა ქალი სძაგდა, სხვებზე მეტად კი - ახალგაზრდები და მოხდენილები. სწორედ ქალები, ახალგაზრდა ქალები იყვნენ პარტიის ყველაზე ფანატიკოსი მიმდევრები, ლოზუნგების მზუთხველნი, მოხალისე ჯაშუშები და დოგმატიკის დამრღვევთა დამსმენნი. მაგრამ ამ ქალიშვილისგან სხვებზე უფრო სახიფათო ნიავი ქროდა. ერთხელ, დერეფანში შეხვედრისას, ისე შემოხედა გვერდიდან, რომ უინსტონი ბნელმა ძრწოლამ მოიცვა. ისიც კი გაიფიქრა -აზრის პოლიციის აგენტი ხომ არ არისო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს სულ არ ჰგავდა სინამდვილეს. ასე იყო თუ ისე, ქალიშვილის ახლომახლო ყოფნისას უინსტონი მუდამ განიცდიდა განსაკუთრებულ დისკომფორტს, რომელშიც შიშთან ერთად მტრობაც ერია.

მეორე ადამიანს - მამაკაცს - სახელად ო’ბრაიენი ერქვა. შინაგანი პარტიის წევრს ისეთი შორეული და მნიშვნელოვანი თანამდებობა ეჭირა, რომ უინსტონს მასზე მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა თუ ჰქონდა. შინაგანი პარტიის წევრის შავი სპეცტანსაცმლის დანახვაზე ყველა იქ მყოფი მომენტალურად ჩაჩუმდა. ეს ბრგე კაცი სქელი კისრითა და ტლანქად მოცინარი სასტიკი სახით, შემზარავი გარეგნობის მიუხედავად, თავისებურ ხიბლსაც ასხივებდა. წამდაუწუმ ისწორებდა ცხვირზე სათვალეს, რაც ამ კაცს საოცარ მომხიბვლელობასა და განუსაზღვრელად ცივილიზებულ იერს ანიჭებდა. ვინმეს კიდევ რომ შესძლებოდა მსგავსი კატეგორიებით შედარება, ამ ჟესტის შემხედვარეს გაახსენდებოდა მეცხრამეტე საუკუნის აზნაური, მავანს თამბაქოს კოლოფს რომ სთავაზობს. მთელი ამ ხნის მანძილზე უინსტონს ო’ბრაიენი თორმეტიოდეჯერ თუ ენახა. ეს ადამიანი უცნაურად იზიდავდა. თუმცა არა მხოლოდ იმიტომ, რომ აინტრიგებდა კონტრასტი ამ კაცის ნატიფ ჟესტებსა და ძალოსნურ იერს შორის. უინსტონისთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა მისივე ფარული რწმენა (იქნებ რწმენა კი არა, უბრალოდ, იმედი), რომ ო’ბრაიენის პოლიტიკური მართლმორწმუნეობა არც ისე უხარვეზო იყო. მისი სახის რომელიღაც ნაკვთი თუ მოძრაობა უცილობლად შთაგაგონებდათ ამას. თუმცა ის, რაც მას სახეზე ეწერა, შესაძლოა, მართლმორწმუნეობის ნაკლებობა კი არა, უბრალოდ, გონიერება იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი იერი გაფიქრებინებდათ, რომ ამ კაცთან

შეიძლებოდა საუბარი, თუკი რამენაირად ეკრანს დაუსხლტებოდით და ერთი ერთზე დარჩებოდით. თავისი ვარაუდის შემოწმება უინსტონს ერთხელაც არ უცდია, ამის არავითარი საშუალება არ არსებობდა.

ამ მომენტში ო'ბრაიენმა მაჯის საათს დახედა: უკვე თერთმეტი და ასი ხდებოდა. ცხადი იყო, რომ ორწუთეულის დაწყებამდე მან ნაწერთა დეპარტამენტში დარჩენა გადაწყვიტა, უინსტონის რიგში დაჯდა ერთი სკამის გამოტოვებით. მათ შორის იჯდა პატარა, ჟღალთმიანი ქალი, რომელიც უინსტონის მეზობელ ოთახში მუშაობდა. შავთმიანი ქალიშვილი ზუსტად მათ უკან მოთავსდა.

როგორც ყოველთვის, ეკრანზე ხალხის მტრის - ემანუელ გოლდსტეინის სახე გამოჩნდა. აქა-იქ მაყურებლებში სტვენა გაისმა. ჟღალთმიან ქალს შიშ-სიძულვილის კივილი აღმოხდა. გოლდსტეინი გახლდათ განდგომილი მოღალატე, რომელიც დიდი ხნის წინ (არავის ახსოვს - როდის) პარტიის ერთ-ერთი მოწინავე, თითქმის თვით დიდი ძმის რანგის ფიგურა იყო. შემდეგ კონტრრევოლუციურ მოძრაობაში ჩაება და სიკვდილი მიესაჯა. გოლდსტეინი ყოვლად იდუმალ ვითარებაში გაიქცა და მიიმალა.

სიძულვილის ორწუთეულის პროგრამას დღიდან დღემდე ცვლიდნენ, მაგრამ გოლდსტეინი - მთავარი მოღალატე, პარტიის სიწმინდის პირველი შემბღალავი - მუდამ ცენტრალურ ფიგურად რჩებოდა. პარტიის წინაშე ჩადენილი ყველა შემდგომი დანაშაული, ყველა ღალატი, საბოტაჟის ყოველი აქტი თუ ერესი გოლდსტეინის სწავლებიდან იღებდა სათავეს. ის მუდამ სადღაც იყო და მორიგ შეთქმულებას აწყობდა: შესაძლოა, ზღვის გადაღმა თავისი ხაზინადარების მფარველობის ქვეშ ან ეგებ - როგორც მოარული ხმები ამბობდნენ - თვით ოკეანიის რომელიღაც სამალავშიც კი.

უინსტონს გული შეეკუმშა. არ შეეძლო გოლდსტეინის სახის დანახვა ურთიერთსაპირისპირო გრძნობების მტკივნეული შეხლის გარეშე. ეს იყო გამხდარი ებრაული სახე, ხშირი თეთრი თმითა და თხის მოკლე წვერით, - ჭკვიანური, მაგრამ გამოკვეთილად საზიზღარი სახე, გრძელ და თხელ ცხვირში ჩაბუდებული ერთგვარი ბებრული სიბრიყვითა და ამ ცხვირის წვერზე დაკოსებული სათვალით. სახითაც და მეტყველებითაც ცხვარს ჰგავდა. გოლდსტეინი ამჯერადაც თავის შხამიან კრიტიკას აფრქვევდა პარტიის სწავლებათა მიმართ. ბავშვიც კი მიხვდებოდა ამ თვითნებური და უსაშველოდ გაზვიადებული კრიტიკის უსაფუძვლობას, მაგრამ ის მაინც საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერდა და, ამდენად, გასაკვირი არ იქნებოდა, განგაშის გრძნობა გამოეწვია რომელიმე უფრო ნაკლებად გაწონასწორებულ და ადვილად ასაყოლიებელ ხალხში. გოლდსტეინი ბრალს სდებდა დიდ ძმას, ამხელდა პარტიულ დიქტატორობაში, ითხოვდა სასწრაფო ზავს ევრაზიასთან, მხარს უჭერდა სიტყვის, პრესის, საჯარო შეკრების, აზრის თავისუფლებას, რევოლუციას უღალატესო - გაჰყვიროდა ხმამაღლა... და ამ ყველაფერს გამოთქვამდა მრავალმარცვლიანი მეტყველებით - პარტიის ორატორებისთვის დამახასიათებელი სტილის ერთგვარი პაროდირებით. იყენებდა თვით ახალმეტყველების სიტყვებსაც კი, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე პარტიის რომელიმე წევრს უხმარია ოდესმე. და ვიდრე გოლდსტეინი ლაპარაკობდა, არავის რომ არ შეჰპარვოდა ეჭვი იმ სინამდვილეზე, რომელსაც მისი ბრტყელ-

ბრტყელი და მაცდუნებელი მეტყველება გულისხმობდა, -მის თავს უკან განუწყვეტლად მოჩანდა ევრაზიული ჯარის უსასრულო ნაკადი, სადაც ერთმანეთს მწკრივებად მოჰყვებოდნენ უგრძნობელი აზიური სახეები. ისინი წუთით გამოჩნდებოდნენ ეკრანზე და იქვე ქრებოდნენ, რათა ადგილი დაეთმოთ ტყუპისცალებივით მსგავსი სხვა მწკრივებისთვის. ჯარისკაცთა ჩექმების ყრუ და რიტმული ბრახუნი ფონად გასდევდა გოლდსტეინის კიკინა ხმას.

სიძულვილის პირველი ოცდაათი წამის მანძილზე ნახევარი დარბაზი თავშეუკავებელ სიშმაგეს აფრქვევდა. აუტანელი სანახავი იყო ეკრანიდან გამომზირალი თვითკმაყოფილი ცხვრის სახე და ევრაზიული არმიის დამზაფვრელი ძალმოსილება. გოლდსტეინის დანახვა, თვით მასზე გაფიქრებაც კი უკვე მექანიკურად იწვევდა შიშსა და რისხვას. ეს კაცი უფრო მძაფრი სიძულვილის საგანი იყო, ვიდრე ევრაზია ან აღმოსავლეთაზია, რადგან, როდესაც ოკეანია ერთ-ერთ მათგანთან ომობდა, მაშინ, როგორც წესი, ზავი ჰქონდა მეორესთან. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ, თუმცა გოლდსტეინი ყველას სძულდა და ეზიზღებოდა, თუმცა ბაქნებზე, ეკრანებზე, გაზეთებსა თუ წიგნებში მის თეორიებს ყოველდღიურად - დღეში ათასჯერ - ამასხარავებდნენ, უარყოფდნენ, ანადგურებდნენ და, მთლიანობაში, რაღაც უბადრუკ ნაგვად ნათლავდნენ, - ამ ყველაფრის მიუხედავად, მისი გავლენა თითქოს არასოდეს კლებულობდა. ყოველთვის გამოიძებნებოდნენ მიამიტები, რომლებსაც იგი შეაცდენდა. დღე არ გავიდოდა, აზრის პოლიციას არ ემხილებინა გოლდსტეინისთვის მომუშავე ჯაშუშები და დივერსანტები. იგი მართავდა უჩინარ არმიას, შეთქმულთა უზარმაზარ მიწისქვეშა ქსელს, რომლის დანიშნულება ოკეანიის სახელმწიფოს დამხობა იყო და რომელსაც საძმოდ მოიხსენიებდნენ. ჩურჩულით ვრცელდებოდა ისტორიები რაღაც საშინელ წიგნზე - გოლდსტეინის ყველა მწვალებლობის შესაკრებელზე, რომლის ავტორი და შემოქმედი თვითონვე იყო და რომელიც საიდუმლოდ გადადიოდა ხელიდან ხელში. ხალხი მას, უბრალოდ, წიგნად იხსენიებდა (თუკი საერთოდ იტყოდა რამეს).

მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ბუნდოვან ხმებად დადიოდა, პარტიის არც ერთი ჩვეულებრივი წევრი, რამდენადაც შეეძლო, არც საძმოს ახსენებდა და არც წიგნს.

მეორე წუთში სიძულვილი უკვე სიგიჟეში გადაიზარდა. მაყურებლები ადგილებზე ხტუნავდნენ და მთელი ხმით ღრიალებდნენ, რათა როგორმე ჩაეხშოთ ეკრანიდან მოკიკინე ეს ჭკუიდან გადამყვანი ხმა. მთლად გავარდისფრებულ ჟღალთმიან ქალს პირი ნაპირზე გადმოსროლილი თევზივით ეღებოდა-ეხურებოდა. ო'ბრაიენსაც კი ანთებოდა ის ტლანქი პირისახე. წელგამართულად მჯდომს მკერდი ისე აუდ-ჩაუდიოდა, თითქოს ტალღის დარტყმას უძლებსო. უინსტონის უკან მჯდარმა შავთმიანმა გოგონამ, აქამდე სულ „ღორო! ღორო!"-ს რომ გაჰკიოდა, უცებ საიდანღაც ახალმეტყველების მძიმე ლექსიკონი დააძრო და პირდაპირ ეკრანს ესროლა. წიგნი გოლდსტეინს შიგ ცხვირში მოხვდა და უკან გადმოვარდა. ის შეუდრეკლად განაგრძობდა კიკინს. რაღაც მომენტში უინსტონმა დააფიქსირა, რომ ისიც სხვებთან ერთად ყვიროდა და სხვებივით გამეტებით ურტყამდა ფეხებს სკამის საფეხურს. სიძულვილის ორწუთეულის მთელი საშინელება ის კი არ იყო, რომ მაყურებელს ამ პროცესში მონაწილეობას ავალდებულებდა, არამედ ის, რომ შეუძლებელს ხდიდა მასში ჩაურთველობას. ოცდაათი წამის შემდეგ აღარავის სჭირდებოდა თავის მოკატუნება. შიშისა და

შურისგების საზიზღარი ექსტაზი, კაცის კვლის, წამების, მტრის სახეში უროს ცემის მძაფრი სურვილი ელექტროდენივით იღვრებოდა დარბაზში შეგროვილი ადამიანებისგან და თითოეულ მათგანს სახეშეშლილ, აღრიალებულ გიჟად აქცევდა. და მაინც, ეს გაშმაგება წარმოადგენდა აბსტრაქტულ, მიზანმიუმართავ ემოციას, რომელიც სარჩილავი ლამპის ალივით შეიძლებოდა მიგემართათ ერთი საგნიდან მეორისკენ. ამგვარად, ერთ რომელიღაც წამს, უინსტონის სიძულვილმა მიმართულება იცვალა, გოლდსტეინს თავი ანება და ამჯერად დიდი ძმის, პარტიისა და აზრის პოლიციისკენ გადაინაცვლა. მსგავს მომენტებში მისი გული ემხრობოდა მარტოხელა, ყველასგან გამასხარავებულ ერეტიკოსს - ჭეშმარიტებისა და გონიერების ერთადერთ მცველს სიცრუის სამყაროში. მაგრამ მომდევნო წამს უინსტონი კვლავ ირგვლივმყოფთ უერთდებოდა და ყველაფერი, რასაც გოლდსტეინზე ამბობდნენ, სიმართლედ ესახებოდა. ასეთ დროს დიდი ძმის მიმართ ფარული ზიზღი მისივე თაყვანისცემად ექცეოდა. დიდი ძმაც ზემოდან გადმოსცქეროდა, როგორც დაუმარცხებელი, უშიშარი მფარველი, კლდესავით აღმართული აზიურ ურდოთა პირისპირ. გოლდსტეინი კი, მისი სიმარტოვის, უსუსურობისა და ირგვლივ გამეფებული ეჭვის მიუხედავად, კვლავ იმ ავბედით გრძნეულს ემსგავსებოდა, რომელსაც მარტო ხმითაც კი ძალუძდა ცივილიზაციის მოსპობა.

იყო მომენტები, როცა შესაძლებელი ხდებოდა სიძულვილის წარმართვა კონკრეტული ობიექტისკენ. მკვეთრი შინაგანი მოძრაობით, კოშმარში მყოფ ადამიანს თავს რომ გააქნევინებს ხოლმე ბალიშზე, უინსტონმა თავისი სიძულვილი უცებ ეკრანზე გამოსახული სახიდან უკან მჯდომ ქალიშვილზე გადაიტანა. გონებაში ცოცხალი, უჩვეულოდ ლამაზი სურათები აუთამაშდა: ო, როგორ მიასიკვდილებდა ამ გოგოს რეზინის ხელკეტით! ბოძზე მიაბამდა და ისრებით დაუხვრეტდა სხეულს წმინდა სებასტიანივით! ჯერ გააუპატიურებდა, ორგაზმის მომენტში კი ყელს გამოსჭრიდა... მეტიც, ამჯერად უკეთ გააცნობიერა, რატომ სძულდა ეს არსება. იმიტომ, რომ ახალგაზრდა იყო, ლამაზი და, ამავე დროს, უსქესო; იმიტომ, რომ უნდოდა მასთან დაწოლა, მაგრამ ვერასოდეს მოახერხებდა ამას, რადგან ქალიშვილის მოკვალთულ წელს, თითქოს მამაკაცის ხელის შემოხვევას რომ ელოდა, განუყრელად შემოსალტოდა უბიწობის აგრესიული ემბლემა - საძაგელი ალისფერი ლენტი.

სიძულვილმა ზენიტს მიაღწია. გოლდსტეინის ხმა ნამდვილი ცხვრის კიკინში გადავიდა, მისი სახეც ერთი წამით ცხვრის სახედ იქცა, მერე კი ევრაზიელი ჯარისკაცის სახედ გადადნა. ეს დიდი და საშინელი სახე თანდათან წინ წამოვიდა ავტომატის კაკან-კაკანით და ისე მოახლოვდა, გეგონებოდათ, ეკრანიდან უნდა გადმოხტესო. პირველ რიგში მსხდომი მაყურებლები სკამების საზურგეებზე გადაწვნენ... მაგრამ შემდეგ მომენტში მტრის სახე დიდი ძმის სახედ იქცა, - შავთმიან, შავულვაშიან, ძალითა და იდუმალი სიმშვიდით აღსავსე სახედ, რომელმაც თითქმის მთელი ეკრანი დაფარა. არავის გაუგონია, რა თქვა, რამდენიმე წასახალისებელი სიტყვა, ბრძოლის გნიასში რომ წარმოთქვა, რაიმეთი კი არ გამოირჩეოდა, არამედ ნდობას აღადგენდა თვით თავისი წარმოთქმის ფაქტით. შემდეგ დიდი ძმის სახე კვლავ გაქრა და ეკრანზე დიდი ასოებით დაიწერა პარტიის სამი ლოზუნგი:

ომი მშვიდობაა

მონობა თავისუფლებაა

უმეცრება ძალაა

თუმცა დიდი ძმის სახე რამდენიმე წამს კიდევ დარჩა ეკრანზე: თითქოს მეტისმეტად ცოცხლად აღიბეჭდა თითოეული მაყურებლის გუგებში და ამიტომ მყისიერად ვერ გაქრებოდა. პატარა ჟღალთმიანი ქალი წინა სკამის საზურგეს მიაწყდა. ათრთოლებული ჩურჩულებდა რაღაც „ჩემო მხსნელო!“ -ს მსგავსს და ხელებს ეკრანისკენ იწვდიდა. შემდეგ კი სახე ხელებში ჩარგო. აშკარა იყო, ლოცულობდა.

ამ მომენტში ყველამ ერთად წამოიწყო სიმღერა - ღრმა, ნელი, რიტმული: „ბი-ბი! ბი-ბი! ბი-ბი!“[5] ძალიან ნელა იმეორებდნენ და პირველ „ბი“-სა და მეორეს შორის დიდ პაუზას აკეთებდნენ. ეს მეორე „ბი“ - მძიმე, მოჩურჩულე, განსაცვიფრებლად ველური ხმა - შიშველი ფეხების ბაკუნსა და დაფდაფების ცემას ჰგავდა. სიმღერა დაახლოებით ოცდაათ წამს გაგრძელდა.

მსგავსი რეფრენი ხშირად გაისმოდა სიძულვილის ორწუთეულის ემოციურად ყველაზე დატვირთულ მომენტებში. ნაწილობრივ, ეს იყო დიდი ძმის სიბრძნისა და სიდიადის ერთგვარი ქებათა ქება, უფრო მეტად კი - თვითჰიპნოზის აქტი, ცნობიერების შეგნებული გათიშვა რიტმული ხმაურის მეშვეობით.

უინსტონს თითქოს მთელი შიგნეული დაუზრა. ვერა და ვერ შეძლო საერთო ბოდვაში ჩართვა. ეს არაადამიანური „ბი-ბი!“ ხომ მთლად თავზარს სცემდა ყოველთვის. რა თქმა უნდა, ისიც სხვებთან ერთად მღეროდა, რადგან სხვაგვარად, უბრალოდ, არ შეიძლებოდა. გრძნობების დამალვა, საკუთარი სახის კონტროლი, ყველაფერ იმის კეთება, რასაც სხვები აკეთებდნენ, - ინსტინქტური რეაქცია იყო. მაგრამ ერთი-ორი ისეთი წამიც გამოერია, როდესაც მისი გულისნადები შეიძლებოდა თვალების გამომეტყველებას გაეცა.

სწორედ ამ მომენტში მოხდა რაღაც მნიშვნელოვანი, თუ მართლა მოხდა.

ერთ რომელიღაც წამს უინსტონმა ო’ბრაიენს შეხედა: უკვე ფეხზე წამომდგარს სათვალე მოეხსნა და ახლა კი ისევ იკეთებდა ჩვეული ჟესტით. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა... და ეს საკმარისი აღმოჩნდა. ამჯერად უინსტონმა იცოდა, დიახ, იცოდა, რომ ო’ბრაიენი ზუსტად მასავით ფიქრობდა, მზერამ შეუმცდარად აუწყა მზერას. თითქოს ორი გონება ერთდროულად გაიხსნა და აზრები პირდაპირ გადადინდა ერთიდან მეორეში თვალების ღიობით, „მე შენთან ვარ, - ეუბნებოდა ო’ბრაიენი, - ზედმიწევნით ვიცი, რას ფიქრობ. ყველაფერი ვიცი შენს ზიზღსა და სიძულვილზე. მაგრამ ნუ იდარდებ: მე შენს მხარეზე ვარ!“ მეორე წამს ღიობი დაიხურა და ო’ბრაიენის სახეც ყველა სხვა სახესავით შეუვალი გახდა.

სულ ეს იყო. უინსტონი უკვე ეჭვობდა, ხომ არ მომეჩვენაო. ასეთ შემთხვევებს არასოდეს მოჰყოლია რაიმე გაგრძელება. მათ მხოლოდ იმ რწმენის თუ იმედის გადარჩენა შეეძლოთ, რომ პარტიას სხვებიც ემტერებოდნენ. იქნებ ბოლოს და ბოლოს, იატაკქვეშა შეთქმულებებთან დაკავშირებული ჭორები სინამდვილეს შეეფერებოდა და საძმო ნამდვილად არსებობდა! ამდენი დაპატიმრების, აღიარებისა და დასჯის შემდეგ ვერ ირწმუნებდი, რომ ეს მხოლოდ მითი იყო და

სხვა არაფერი. ზოგჯერ უინსტონს სჯეროდა ეს, ზოგჯერ - არა. არანაირი გარკვეულობა არ არსებობდა, მხოლოდ წამიერი გაელვებები, რომლებზეც ვერაფერს იტყოდი დარწმუნებით; სადღაც მოსმენილი საუბრის ნაწყვეტები, ნახევრად წაშლილი წარწერები საპირფარეშოს კედელზე ან, ვთქვათ, ორი უცნობის შეხვედრა, თითქოს ხელის უმცირესი მოძრაობით სიგნალს რომ აძლევდნენ ერთმანეთს... თუმცა ეს ვარაუდები, ალბათ, მხოლოდ უინსტონის წარმოსახვაში არსებობდა.

ისე დაბრუნდა თავის ოთახში, ო'ბრაიენისთვის მეორედ აღარ შეუხედავს. აზრადაც არ მოსვლია წამიერი კონტაქტის შემდგომი გაღრმავება. რომც სცოდნოდა, როგორ მოეხერხებინა ეს, მაინც დიდად სარისკო იქნებოდა. ერთ თუ ორ წამში ორჭოფული მზერა გაცვალეს და ამით დასრულდა ყველაფერი. მაგრამ ესეც ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ამ საყოველთაო მარტოობაში, ყველანი სათითაოდ რომ გამოკეტილიყვნენ.

უინსტონი ფიქრიდან გამოფხიზლდა, სკამზე გასწორდა და ამოაბოყინა. ჯინმა თუ შეახსენა თავი.

თვალები ისევ ფურცელს მიაპყრო. მიაპყრო და აღმოაჩინა, რომ, ფიქრებში წასულს, ავტომატურად განეგრძო წერა. მაგრამ ეს აღარ იყო იგივე მინგრეულ-მონგრეული ხელნაწერი. მის კალამს ვნებიანად ესრიალა და პრიალა ქაღალდზე მოჩანდა გამართული მთავრულით გამოყვანილი სიტყვები: ძირს დიდი ძმაძირს დიდი ძმაძირს დიდი ძმაძირს დიდი ძმაძირს დიდი ძმადა ასე, ფურცლის შუაგულამდე.

არანაირი პანიკა არ უგრძნია. ან რატომ უნდა ეგრძნო, როცა ასეთი სიტყვების დაწერა იმაზე უფრო სახიფათო არ იყო, ვიდრე დღიურის გადაშლის თავდაპირველი აქტი. თუმცა ერთ მომენტში მოუნდა, დაეფლითა შევსებული ფურცლები და საერთოდ თავი დაენებებინა ამ საქმისთვის.

მაგრამ არ დაფლითა, რადგან ეს სრულებით უსარგებლო რამ იქნებოდა. არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, დაწერა თუ არა ძირს დიდი ძმა. ამიერიდან არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, განაგრძობდა თუ არა დღიურის წერას. აზრის პოლიციისთვის ეს სულერთი იყო, მას ჩადენილი ჰქონდა - და მაშინაც ჩადენილი ექნებოდა, საერთოდ რომ არ აეღო ხელში კალამი - უმძიმესი დანაშაული, თავის თავში რომ მოიცავდა ყველა სხვა ბოროტმოქმედებას. ამ დანაშაულს აზრკრიმინალი ერქვა.

აზრკრიმინალს სამუდამოდ ვერ დამალავდი. შეიძლებოდა ცოტა ხნით შენიღბულიყავი, იქნებ რამდენიმე წელსაც კი, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც მოგძებნიდნენ. ეს ყოველთვის ღამით ხდებოდა: აყვანა-დაპატიმრება მხოლოდ ღამღამობით სჩვეოდათ. მძინარეს უცებ წამოგაგდებდნენ, უხეშად შეგანჯღრევდნენ, თვალებში შუქს მოგანათებდნენ, რის შემდეგაც ბუნდოვნად გაარჩევდი საწოლის ირგვლივ შემოჯარულ პირქუშ სახეებს. უმრავლეს შემთხვევაში, არავითარი სასამართლო პროცესი არ ეწყობოდა, არც დაპატიმრების თაობაზე ცხადდებოდა რამე. ადამიანები ღამით ქრებოდნენ, ეს იყო და ეს. შენს სახელს რეესტრიდან იღებდნენ და ყველა ჩანაწერს შენი საქმიანობის შესახებ ერთიანად შლიდნენ. შენი ერთჯერადი არსებობა სამუდამო

დავიწყებას ეძლეოდა. შენ გაუქმებული, ანულირებული, ანუ, როგორც ამბობდნენ, აორთქლებული იყავი.

ერთი წამით უინსტონი ისტერიკამ შეიპყრო, ფურცელს დააცხრა და ჩქარ-ჩქარა, ოკრობოკროდ დაწერა: დამხვრეტენ ფეხებზე მკიდია კისერში მესვრიან ფეხებზე მკიდია ძირს დიდი ძმა ყოველთვის კისერში გესვრიან ფეხებზე მკიდია ძირს დიდი ძმათავისი თავით ცოტათი დარცხვენილი უინსტონი სკამის საზურგეზე გადაწვა და კალამი მაგიდაზე დადო. ვიღაც აკაკუნებდა.

უკვე!უინსტონი თაგვივით გაისუსა ამაო იმედით, რომ ვინც უნდა ყოფილიყო, ერთხელ დააკაკუნებდა და წავიდოდა. მაგრამ არა, კაკუნი განმეორდა. ახლა ყველაზე დიდი უგუნურება დაყოვნება იქნებოდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა, თუმცა დიდი ხნის ჩვევის გამო, ალბათ, სახეზე არაფერი ეწერა. ადგა და მძიმედ გააბიჯა კარისკენ.

II

როგორც კი ხელი კარის სახელურს დაადო, უინსტონს მაგიდაზე დატოვებული დღიური გაახსენდა. გადაშლილი გვერდი სავსე იყო ფრაზით ძირს დიდი ძმა. მთავრული ასოები თითქმის ამსიშორიდანვე იკითხებოდა. წარმოუდგენლად ბრიყვულად გამოუვიდა ყველაფერი, თუმცა თვით ასეთ პანიკაშიც კი არ სურდა დღიურის დახურვა და ჯერ კიდევ მელანშეუმშრალი ნაწერის გადღაბნა.

ერთი ჩაისუნთქა და კარი გააღო.

უინსტონს შვების თბილმა ტალღამ დაუარა: კართან იდგა ფერწასული, სრულებით დაბეჩავებული ქალი თავზე ერთი ბღუჯა ჩალისფერი თმითა და დაღარული სახით.

- ო, ამხანაგო! - დაიწყო მოსულმა დაღვრემილი და წკმუტუნა ხმით, - გავიგონე, რომ მოხვედი. ხომ არ შეგეძლო ჩვენთან შემოსულიყავი და სამზარეულოში წყლის ნიჟარა გენახა? პირთამდე გაივსო წყლით...

ეს გახლდათ მისის პარსონსი, იმავე სართულზე მცხოვრები მეზობლის ცოლი (სიტყვა „მისის“ პარტიის მიერ მთლად დაშვებული არ იყო, - ყველასთვის „ამხანაგი“ უნდა დაგეძახა. მაგრამ ზოგჯერ, ინსტინქტურად, ქალს მაინც ასე მიმართავდნენ). ოცდაათიოდე წლის იქნებოდა, თუმცა გაცილებით ხნიერად გამოიყურებოდა. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს სახის ნაოჭები მტვრით გავსებიაო. უინსტონი გაჰყვა. თავი ჰქონდა გაბეზრებული ამ თითქმის ყოველდღიური არაპროფესიული რემონტებით. „გამარჯვების სახლები“ 30-იან წლებში აეშენებინათ და უკვე ნაწილებად იშლებოდა. კედლებსა და ჭერს გამუდმებით სცვიოდა ბათქაში, მილები დიდ ყინვაში სკდებოდა, თოვლის ყოველ მოსვლაზე სახურავიდან წყალი ჩამოდიოდა, ხოლო გათბობის სისტემას ნახევარი ორთქლი გარეთ ეპარებოდა (თუკი საერთოდ დაკეტილი არ იყო ეკონომიის მიზნით). შეკეთება და რემონტი - გარდა იმისა, რასაც საკუთარი ძალებით აუვიდოდა -სანქცირებული უნდა ყოფილიყო რომელიღაც მიუწვდომელი კომიტეტების მიერ, რომელთაც, სურვილისამებრ, შეეძლოთ ორი წლით შეეყოვნებინათ თვით ფანჯრის რაფის გამოცვლაც კი.

- რა თქმა უნდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ტომი შინ არ არის... - ჩაილაპარაკა მისის პარსონსმა.

პარსონსებს უინსტონისაზე დიდი და განსხვავებულად წვირიანი ბინა ჰქონდათ. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, თითქოს სულ ახლახან მიენგრ-მოენგრია რაღაც დიდ და მოუხეშავ ცხოველს. სხვადასხვა თამაშის აქსესუარები - ჰოკეის ჯოხები, კრივის ხელთათმანები, ფეხბურთის გამსკდარი ბურთი, ოფლით დანესტილი ორი ამობრუნებული შორტი - ყველაფერი იატაკზე ეყარა. მაგიდაზე ზვინად დაეხვავებინათ გაურეცხავი ჭურჭელი და ფურცელჩაკეცილი წიგნები სპორტული ვარჯიშებისათვის. კედლებზე ეკიდა ახალგაზრდული ლიგისა და დამსმენთა გაერთიანების ალისფერი დროშები და დიდი ძმის სრულფორმატიანი პლაკატი. აქაც, ისევე როგორც მთელ შენობაში, მოხარშული კომბოსტოს ნაცნობი სუნი იდგა. თუმცა ამჯერად მას ერთვოდა ოფლის უფრო მწკლარტე

სუნი, რომელიც (ეს აშკარად იგრძნობოდა პირველივე ჩასუნთქვით, თუმცა ვერ იტყოდი - რანაირად) ეკუთვნოდა ამწუთას აქ არმყოფ ადამიანს. მეორე ოთახში ვიღაც ცდილობდა, სავარცხლითა და ტუალეტის ქაღალდით გაემეორებინა სამხედრო ჰანგი, კვლავ რომ გაისმოდა ეკრანიდან.

- ბავშვები არიან, - თქვა მისის პარსონსმა და ნახევრად მიმხვედრი მზერა მეორე ოთახის კარს სტყორცნა, - დღეს გარეთ არ გამიყვანია და, რა თქმა უნდა...

ამ ქალს ჩვეულებად ჰქონდა წინადადებების შუაზე გაწყვეტა. სამზარეულოს წყლის ნიჟარა თითქმის პირთამდე გავსებულიყო ზინზლიანი მომწვანო წყლით, რომელსაც კომბოსტოს გულისწამსვლელი სუნი ასდიოდა. უინსტონი ჩაცუცქდა და სიფონი შეამოწმა. არც ხელის გასვრა ეპიტნავებოდა და არც ჩაცუცქება. ამ დროს ყოველთვის ხველება ეწყებოდა. მისის პარსონსი უძლურად შეჰყურებდა.

- რა თქმა უნდა, ტომი რომ შინ იყოს, ერთ წუთში გაასწორებდა, - თქვა მან, - უყვარს ასეთი რამეების კეთება. მარჯვე ხელი აქვს, ტომს...

ტომ პარსონსი, უინსტონის თანამშრომელი ჭეშმარიტების სამინისტროში, - ერთი ჩაპუტკუნებული, აქტიური, წარმოუდგენლად ბრიყვი კაცი, მუდამ აღსავსე არაერთი ყოვლად სულელური ინიციატივით, - ერთი იმ მონათაგანი იყო, არასოდეს არც ერთ კითხვას რომ არ სვამენ. სწორედ მისი მსგავსები - კიდევ უფრო მეტად, ვიდრე თვით აზრის პოლიცია - უზრუნველყოფდნენ პარტიის სტაბილურობას. თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ოცდათხუთმეტი წლის პარსონსი სწორედ ასაკის გამო გაირიცხა ახალგაზრდული ლიგიდან. ამ ლიგაში გაწევრებამდე დამსმენთა გაერთიანებაში იმუშავა კანონით დადგენილ ასაკზე ერთი წლით უფრო მეტხანს. სამინისტროში ერთ-ერთი დაქვემდებარებული პოსტი ეჭირა და აზროვნება არ სჭირდებოდა. თუმცა, მეორე მხრივ, წამყვანი ფიგურა იყო როგორც სპორტკომიტეტში, ისე ყველა იმ კომიტეტშიც, რომელთაც საზოგადოებრივი ექსკურსიები, სპონტანური დემონსტრაციები, მაშველი ლაშქრობები და, საერთოდ, ყველანაირი მოხალისე ღონისძიება ებარა. თავისი ყალიონის ბოლქვებში გახვეული პარსონსი სიამაყით გეტყოდათ, რომ უკვე ოთხი წელია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივ ცენტრში. ყველგან ტოვებდა ოფლის უძლეველ სუნს - მისი ენერგიული ცხოვრების თავისთავად დასტურს. ეს სუნი საგრძნობლად უფრო გვიან ტოვებდა ადგილს, ვიდრე თვით პარსონსი.

- ქანჩის გასაღები თუ გაქვს? - ჰკითხა უინსტონმა და თითით სიფონის ქანჩს მიუკაკუნა.

- ქანჩის გასაღები? - გუნება წაუხდა მისის პარსონსს, - ნამდვილად არ ვიცი. ალბათ, ბავშვებმა...

გაისმა ფეხსაცმელების ბაკუნი. საძინებელ ოთახში ისევ აზუზუნდა სავარცხელი. მისის პარსონსმა ქანჩის გასაღები გამოიტანა. უინსტონმა დაგუბებული წყალი გამოუშვა და ზიზღით ამოიღო სიფონში გაჭედილი თმის ბღუჯა. შემდეგ ხელი ცივ წყალს შეუშვირა, შეძლებისდაგვარად დაიბანა და მეორე ოთახში გავიდა.

- ხელები მაღლა! - დაუყვირეს ველური ხმით.

მაგიდის უკნიდან ჯიუტი შესახედაობის ლამაზი ბიჭი ამოხტა და უინსტონს სათამაშო პისტოლეტი დაუმიზნა. ორიოდე წლით უმცროსმა დაიკომაც იგივე გააკეთა, ოღონდ - ხის ნაჭრით. ორივეს ლურჯი შორტი და მწვანე მაისური ეცვა და წითელი ყელსახვევი ეკეთა: დამსმენთა საყოველთაო უნიფორმა. გულდამძიმებულმა უინსტონმა ხელები ასწია. ბიჭს იმდენად ავი იერი ჰქონდა, რომ ეს თამაშს აღარ ჰგავდა.

- მოღალატე! - დაუყვირა ბიჭმა, - აზრკრიმინალო! ევრაზიელო ჯაშუშო! მოგკლავ, აგაორთქლებ, მარილის საბადოებზე წაგათრევ!„მოღალატეს“ და „აზრკრიმინალის“ ძახილით და-ძმა უინსტონის გარშემო მოჰყვა ხტუნვას. პატარა გოგონა ყველაფერში უფროს ძმას ჰბაძავდა. მათი მოქმედება კაცს შეაკრთობდა, როგორც ვეფხვის ბოკვრების თამაში, მალე სისხლისმსმელ მტაცებლებად რომ გადაიქცეოდნენ. ბიჭის თვალებში ჩანდა ერთგვარი მოანგარიშე მძვინვარება, უინსტონისთვის ხელის ან ფეხის დარტყმის სრულებით აშკარა სურვილი და თან თავისებური შეგნებაც იმისა, რომ სულ მალე საკმაოდ დიდი იქნებოდა და ამას ნამდვილად მოიმოქმედებდა. კიდევ კარგი, სათამაშო პისტოლეტი უჭირავს და არა ნამდვილიო, გაიფიქრა უინსტონმა.

მისის პარსონსმა ნერვიული მზერა ჯერ უინსტონიდან ბავშვებზე გადაიტანა, შემდეგ - ბავშვებიდან უინსტონზე. ოთახში უკეთესი სინათლე იყო, ვიდრე შემოსასვლელში და უინსტონმა დაინახა, რომ სახის ღარები ქალს ნამდვილად მტვრით გავსებოდა.

- ხმაურობენ, - თქვა მისის პარსონსმა, - გული სწყდებათ, რომ ჩამოხრჩობას ვერ ნახავენ. აი, რაშია საქმე. მე ძალზე დაკავებული ვარ, ტომი კი სამსახურიდან გვიან დაბრუნდება. - რატომ არ მივდივართ ჩამოხრჩობის საყურებლად?! - დაიყვირა ბიჭმა.

- ჩამოხრჩობის ნახვა მინდა! ჩამოხრჩობის ნახვა მინდა! - კვლავ ხტუნვა-ხტუნვით წაიმღერა გოგონამ.

უინსტონს გაახსენდა: საღამოს პარკში საომარ დანაშაულებებში ბრალდებული რამდენიმე ევრაზიელი პატიმარი უნდა ჩამოეხრჩოთ. ეს პოპულარული სანახაობა თვეში ერთხელ იმართებოდა. ბავშვები ყოველთვის დასწრებას ითხოვდნენ.

უინსტონი მისის პარსონსს დაემშვიდობა, კარი გააღო და ბინიდან გამოვიდა. ექვსი ნაბიჯიც არ გაევლო, რომ რაღაც მწარედ მოხვდა კისერში, თითქოს გავარვარებული მავთული დაჰკრესო. მეყსეულად შემოტრიალებულმა თვალი შეასწრო, როგორ მიათრევდა მისის პარსონსი შვილს და როგორ იტენიდა ეს უკანასკნელი ჯიბეში შურდულს.

- გოლდსტეინო! - იღრიალა ბიჭმა კარის მიხურვისას. მაგრამ უინსტონი ყველაზე მეტად დედის სახეზე აღბეჭდილმა უძლურმა შიშმა გააოგნა.

ბინაში დაბრუნებულმა სწრაფად ჩაუარა ეკრანს და კისრის ზელა-სრესით კვლავ მაგიდას მიუჯდა. ეკრანიდან მუსიკა აღარ ისმოდა. მის ნაცვლად, ჟღრიალა სამხედრო ხმა ერთგვარი ბრუტალური ხალისით აღწერდა ისლანდიის მახლობლად სულ ცოტა ხნის წინ ღუზაჩაშვებული ახალი მცურავი ციხესიმაგრის

საომარ აღჭურვილობას.

ამ ბავშვების გადამკიდე უბედური ქალი, ალბათ, მუდმივ ტერორშიაო, - ფიქრობდა უინსტონი. კიდევ ერთი-ორი წელიც და ბავშვები დღედაღამ არამართლმორწმუნეობის სიმპტომებს დაუწყებენ თვალთვალს. თითქმის ყველა ბავშვი აუტანელი გახდა. დამსმენთა გაერთიანების მსგავსი ორგანიზაციების მეშვეობით, ისინი პატარა, უმართავ ველურებად ყალიბდებოდნენ. თუმცა ეს მათ სულაც არ ამხედრებდა პარტიის დისციპლინის წინააღმდეგ. პირიქით, ისინი აღმერთებდნენ პარტიას და ყოველივე მასთან დაკავშირებულს. სიმღერები, პროცესიები, დროშები, ექსკურსიები, სასწავლო შაშხანებით ვარჯიში - ყველაფერი დიდებულ თამაშად მიაჩნდათ. მთელი მათი გააფთრება და სიშმაგე მიმართული იყო გარეთ, სახელმწიფოს მტრებისკენ. უცხოელები, მოღალატეები, დივერსანტები, აზრკრიმინალები, - აი, მათი სიძულვილის სამიზნე. თითქმის ჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ ოცდაათ წელს გადაცილებულ მშობლებს საკუთარი შვილების შინებოდათ. და - არცთუ უმიზეზოდ, რადგან იშვიათად გამოერეოდა ისეთი კვირა, რომ „ტაიმსის“ ფურცლებზე არ დაბეჭდილიყო წერილი რომელიმე პატარა დამსმენის შესახებ (ასეთებს, როგორც წესი, „ბავშვ-გმირებს“ უწოდებდნენ), მიყურადებით რომ მოიხელთა რაიმე მაკომპრომეტირებელი ფრაზა და მშობლები აზრის პოლიციაში დააბეზღა.

შურდულის ტყვიით გამოწვეული ტკივილი მიყუჩდა და უინსტონმა ისევ კალამი აიღო. თან უკვირდა: მეტი რა უნდა დავწეროო. უცებ კვლავ ო’ბრაიენზე დაიწყო ფიქრი.

წლების წინ (რამდენი წლის? - შეიძლება შვიდის) ესიზმრა: სრული წყვდიადით მოცულ ოთახში დააბიჯებდა. უცებ ერთ მხარეს მჯდომმა უცნობმა უთხრა: „ჩვენ შევხვდებით იქ, სადაც სიბნელე არ არის“. სიტყვები წარმოითქვა ძალზე მშვიდად, თითქმის დაუდევრად. უინსტონი არ შეჩერებულა, ისე განაგრძო სვლა. საგულისხმოა, რომ სიზმარში გაგონილ სიტყვებს დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მხოლოდ მოგვიანებით და თანდათანობით შეიძინა სიზმარმა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ახლა ვერ იხსენებდა: სულ პირველად ო’ბრაიენს სიზმრამდე შეხვდა თუ სიზმრის შემდეგ. ვერც ის გაიხსენა, როდის გააიგივა მისი ხმა სიზმარში გაგონილ ხმასთან. მაგრამ ასე იყო თუ ისე, იდენტიფიკაცია მოხდა: სწორედ ო’ბრაიენი დაელაპარაკა სიბნელეში.

თუმცა უინსტონი დარწმუნებით მაინც ვერ იტყოდა, - თუნდაც ამდილანდელი მზერითი კონტაქტის შემდეგ, - თუ ვინ იყო ო’ბრაიენი: მტერი თუ მოყვარე. ეს თითქოს ბევრს არაფერს ნიშნავდა. მათ შორის დამყარებული ურთიერთგაგება ემოციებსა და შეთქმულებებზე უფრო მნიშვნელოვანი ჩანდა. „ჩვენ შევხვდებით იქ, სადაც სიბნელე არ არის“, - უთხრა ო’ბრაიენმა. უინსტონს არ ესმოდა, რას ნიშნავდა ეს გამონათქვამი. მთავარია, რამენაირად ასრულებულიყო.

ეკრანი წამით ჩაჩუმდა, მომდევნო წამში კი ოთახის შეხუთული ჰაერი საყვირის ნათელმა და ლამაზმა ჰანგმა გაჰკვეთა. შემდეგ იმავე სამხედრო ხმამ ჟღრიალით განაგრძო: „ყურადღება! ყურადღება! სიახლე მალაბარის ფრონტიდან: ჩვენმა ძალებმა სამხრეთ ინდოეთში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. უფლებამოსილი ვარ, გაუწყოთ, რომ ამ ამბავმა, შესაძლოა, ომის დასასრულიც მოაახლოოს. აი, ჩვენი სიახლე...“ცუდი ამბავია, გაიფიქრა უინსტონმა. მართლაც

აზიური არმიის განადგურების სისხლიან აღწერასა და მოკლულ-დატყვევებულთა რაოდენობის აღმნიშვნელ განსაცვიფრებელ რიცხვებს მეორე წუთში მოჰყვა სხვა შეტყობინებაც: მომდევნო კვირიდან შოკოლადის ულუფა ოცდაათიდან ოც გრამამდე მცირდებოდა.

უინსტონს ისევ წამოაბოყინა. არაყი გამოუნელდა და სიცარიელის განცდა დაუტოვა. ეკრანიდან იფეთქა ჰიმნმა „ოკეანია, ეს შენთვისაა!“ - იქნებ მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ან, ეგებ, დაკარგული შოკოლადის დასავიწყებლადაც. ჰიმნი ფეხზე დამდგარს უნდა გესმინა. მაგრამ მაგიდასთან მჯდარი უინსტონი არ ჩანდა.

ჰიმნი შედარებით უფრო მსუბუქმა მუსიკამ შეცვალა. ეკრანისკენ ზურგშექცეული უინსტონი ფანჯარას მიუახლოვდა. კვლავ ცივი და ნათელი დღე იდგა. სადღაც შორს ყრუ გრუხუნით აფეთქდა სარაკეტო ჭურვი. ბოლო დროს ლონდონს კვირაში ოცი-ოცდაათი ჭურვი ეცემოდა.

ქუჩაში ქარი კუთხეაგლეჯილ პლაკატს აფრიალებდა - სიტყვა „ინგსოცი“ სწრაფად ჩნდებოდა და ქრებოდა.

ინგსოცი. ინგსოცის წმინდა პრინციპები. ახალმეტყველება, ორაზრი, წარსულის შეცვლა-გადაკეთება. უინსტონს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს ზღვის ფსკერის ტყეებში, ურჩხულთა ქვეყანაში დაბორიალებდა - თვითონაც ურჩხული. მარტო იყო. წარსული აღარ არსებობდა, მომავალს ვერ წარმოიდგენდი. რა დააჯერებდა, რომ ერთი ცოცხალი არსება მაინც იდგა მის მხარეზე? და ვის შეეძლო ეთქვა, რომ პარტიის მეუფება სამუდამოდ არ გაგრძელდებოდა? პასუხივით გაუმჟღავნდა მზერაში ჭეშმარიტების სამინისტროს თეთრ ფასადზე დაწერილი სამი ლოზუნგი:

ომი მშვიდობაა

მონობა თავისუფლებაა

უმეცრება ძალაა

ჯიბიდან ოცდახუთცენტიანი მონეტა ამოიღო. ერთ მხარეზე პაწაწინა ასოებით იგივე ლოზუნგები ამოეტვიფრათ, მეორეზე - დიდი ძმის თავი. ხურდა ფულიდანაც კი თვალები გიყურებდნენ. ყველგან ერთსა და იმავეს ხედავდი: ფულზე, მარკებზე, წიგნების ყდებზე, დროშებზე, პლაკატებზე, სიგარეტის კოლოფებზე. ყველა მხრიდან თვალები გიმზერდნენ და ხმა ჩაგძახოდა. გეძინა თუ გეღვიძა, მუშაობდი თუ ჭამდი, შინ თუ გარეთ, - ვერსად გაიქცეოდი. არაფერი გეკუთვნოდა, გარდა შენივე თავის ქალაში გამოძებნილი ახალი კუბური სანტიმეტრებისა.

მზე ჰორიზონტისკენ დაეშვა. ჭეშმარიტების სამინისტროს ჩაბნელებული ფანჯრები ციხესიმაგრის პირქუშ სათოფურებს დაემსგავსა. ამ უშველებელი პირამიდის შემყურე უინსტონს გული შეეკუმშა. მეტისმეტად მკვიდრი ნაგებობა იყო და ქარიშხალი ძვრას ვერ უზამდა. ათასი ჭურვიც ვერ დაანგრევდა. უინსტონი ერთხელ კიდევ ჩაფიქრდა: ვის მიმართავდა დღიურში? - მომავალს? წარსულს? თუ იმ ეპოქას, რომელიც, ვინ იცის, მხოლოდ წარმოსახვაში არსებობდა? წინ,

მაგიდაზე, იდო არა სიკვდილი, არამედ გაცამტვერება. დღიური ფერფლად იქცეოდა, თვითონ -ორთქლად. მის ნაწერს მხოლოდ აზრის პოლიცია წაიკითხავდა, შემდეგ კი გააქრობდა: ფიზიკურადაც თუ ხსოვნიდანაც. აბა, როგორ უნდა მიგემართა მომავლისთვის, თუ შენი ყოველგვარი კვალი, შენ მიერ დაწერილი ანონიმური სიტყვაც კი მთლიანად წაიშლებოდა?ტელეეკრანმა თოთხმეტჯერ ჩამოჰკრა. უინსტონი ათ წუთში უნდა გასულიყო. თოთხმეტსა და ოცდაათზე ისევ სამსახური ელოდა.

უცნაურია, მაგრამ საათის რეკვამ გული გამოუკეთა. თავს გრძნობდა მარტოხელა აჩრდილად, რომლის წარმოთქმულ სიმართლეს ვერავინ გაიგონებდა. მაგრამ რადგანაც უკვე წარმოთქვა, ესე იგი, სადღაც სიბნელეში გაბმული ძაფი ჯერაც არ გაწყვეტილიყო. ადამიანური მემკვიდრეობა გრძელდებოდა არა იმით, რომ შენს ხმას სხვებს გააგონებდი, არამედ თუნდაც ნორმალურ ადამიანად დარჩენით.

ისევ მაგიდას მიუჯდა, კალამი მელანში ჩააწო და დაწერა: მომავალს ან წარსულს - იმ დროს, როცა აზრი თავისუფალი იქნება, როცა ადამიანები სხვადასხვანაირები იქნებიან და არ იქნებიან ეულნი, იმ დროს, როცა ჭეშმარიტება იარსებებს და ის, რაც გაკეთდება, ვეღარ მოისპობა: - ერთსახოვნების ეპოქიდან, სიმარტოვის ეპოქიდან, დიდი ძმის ეპოქიდან, ორაზრის ეპოქიდან: სალამი!უკვე მკვდარი ვარო, ფიქრობდა. მოეჩვენა, რომ მხოლოდ ახლაღა გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯი, როცა პირველად შეძლო საკუთარი აზრის ჩამოყალიბება. ყოველი აქტი ხომ ჩანასახშივე ატარებს თავის შედეგებს. უინსტონმა განაგრძო: აზრკრიმინალს არ მოჰყვება სიკვდილი: აზრკრიმინალი თვითონ არის სიკვდილი.

ახლა, როდესაც თავი მკვდარ კაცად ცნო, მნიშვნელოვანი გახდა, რომ რაც შეიძლება დიდხანს ეცოცხლა. ორი თითი მელნით მოთხვროდა. სწორედ ასეთი დეტალები გასცემენ ხოლმე ადამიანს. სამინისტროს რომელიმე ფანატიკოსი მუშაკი (ალბათ, ქალი, - ვინმე იმ პატარა ჟღალთმიანის ან ფიქციის დეპარტამენტში მომუშავე იმ შავგვრემანი ქალიშვილის მსგავსი) გაიკვირვებდა, რისთვის დასჭირდა უინსტონს წერა შესვენებაზე, რატომ გამოიყენა ძველებური კალამი და რა დაწერა სახელდობრ, შემდეგ კი ამ ამბავს შესაბამის უწყებაში ჩააწვეთებდა.

უინსტონი სააბაზანოში შევიდა და ლაქები გულმოდგინედ ჩამოიცილა მუქყავისფერი ხორკლიანი საპნით, რომელიც კანს ზუმფარას ქაღალდივით ხეხავდა და სწორედაც რომ მისწრება იყო ასეთ ვითარებაში.

დღიური უჯრაში ჩადო. დამალვა არც უფიქრია, აზრი არ ჰქონდა, მაგრამ იმას მაინც დაადგენდა - უკვე მიაგნეს თუ არა. არც ფურცლებშუა ჩადებული თმის ღერი გამოდგებოდა: შეამჩნევდნენ.

თითის წვერით უინსტონმა მოთეთრო მტვერი აიღო და ყდის კუთხეს წასცხო. თუ წიგნს გადაშლიდნენ, მტვერი გადმოიყრებოდა.

III

უინსტონს დედა ესიზმრებოდა.

ათი თუ თერთმეტი წლის უნდა ყოფილიყო, როცა დედამისი - წარმოსადეგი გარეგნობის ჩუმი ქალი ნელი მოძრაობებითა და უმშვენიერესი თმით - გაქრა. მამა უფრო ბუნდოვნად ახსოვდა: გამხდარი, შავგვრემანი, მუდამ მუქი ფერის მოხდენილ სამოსში გამოწყობილი სათვალიანი კაცი (უინსტონს განსაკუთრებით ახსოვდა მამის ფეხსაცმელების სიფრიფანა ძირები). დედაც და მამაც, როგორც ჩანს, ორმოცდაათიანი წლების ერთ-ერთმა პირველმა დიდმა წმენდამ იმსხვერპლა.

დაესიზმრა, რომ დედა სადღაც ქვემოთ, მისგან მოშორებით იჯდა და ხელში მისი პატარა დაიკო ეჭირა. უინსტონს და თითქმის არ ახსოვდა, მხოლოდ მეხსიერების უშორეს კუნჭულში ჩარჩენოდა პაწია, სუსტი, მუდამ მდუმარე ბავშვი დიდი, დაკვირვებული თვალებით. ამწუთას, სიზმარში, დედაც და მის ხელში მყოფი დაც ქვემოდან უყურებდნენ. სადღაც მიწისქვეშეთში - ჭის ფსკერზე თუ ძალზე ღრმა საფლავში - ისხდნენ და კიდევ უფრო ქვემოთ ეშვებოდნენ. ფსკერისკენ წასული გემის სალონში იყვნენ და თანდათან უფრო შესქელებული წყლიდან უინსტონს ამოჰყურებდნენ. სალონში ჯერ კიდევ დარჩენილიყო ჰაერი და ისინიც ჯერ კიდევ ხედავდნენ ერთმანეთს, მაგრამ გემი შეუჩერებლად ეშვებოდა მომწვანო წყლებში და სულ მალე მასში მსხდომნი სამუდამოდ გაუჩინარდებოდნენ. უინსტონი დღის ნათელ სივრცეში იჯდა, დედა და დაიკო კი სიკვდილში ეშვებოდნენ. ისინი იმიტომ იყვნენ ქვემოთ, რომ უინსტონი ზემოთ იყო. სამივემ იცოდა ეს. უინსტონი ამას მათ სახეებზე კითხულობდა, მაგრამ არც სახეებზე და არც გულებში არავითარი საყვედური არ ჩანდა. ჩანდა მხოლოდ ცოდნა იმისა, რომ ორივე უნდა მომკვდარიყო, რათა უინსტონს ეცოცხლა, და რომ ეს თვით საგანთა გარდაუვალ წესრიგში შედიოდა.

არ ახსოვდა, რა მოხდა, მაგრამ სიზმარში იცოდა, რომ დედისა და დის სიცოცხლე რაღაცნაირად მსხვერპლად ეწირებოდა მისას. ეს იყო ერთი იმ სიზმართაგანი, რომლებიც, ინარჩუნებენ რა სიზმრის ატრიბუტებს, ამავე დროს წარმოადგენდნენ ადამიანის ინტელექტუალური ცხოვრების უშუალო გაგრძელებას და ამცნობენ მას ახალ ფაქტებსა თუ იდეებს, ღირებულთ გამოღვიძების შემდეგაც. უცებ უინსტონი მიხვდა, რომ დედამისის სიკვდილი ოცდაათი წლის წინ ისეთი ტრაგიკული და მწუხარე იყო, როგორიც დღეს ვეღარ იქნებოდა. მიხვდა, რომ ტრაგედია მიეკუთვნებოდა ძველ დროს - იმას, რომელშიც არსებობდა საიდუმლოება, სიყვარული, მეგობრობა და რომელშიც ოჯახის წევრების ურთიერთთანადგომა თავისთავადი და უმიზეზო იყო. დედის გახსენებამ უინსტონს გული დაუფლითა: დედამ მისი სიყვარული თან ჩაიყოლა მაშინ, როცა მეტისმეტი სინორჩისგან ჯერ კიდევ ეგოისტი მოზარდი სიყვარულითვე ვერ უპასუხებდა. გული დაუფლითა იმიტომაც, რომ რაღაცნაირად (უინსტონს არ ახსოვდა - როგორ) დედა ერთგულების პირადულ და შეუცვლელ იდეას ემსხვერპლა. ასეთი რამეები, ცხადია, დღეს ვერ მოხდებოდა. დღეს იყო მხოლოდ შიში, სიძულვილი და ტკივილი, მაგრამ არა ამაღლებული გრძნობები და ჭმუნვები. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ბიჭმა შეამჩნია დედისა და დის დიდ თვალებში, ამწუთას მწვანე წყლის სიღრმიდან რომ ამოჰყურებდნენ და უფრო და უფრო

ღრმად ეშვებოდნენ.

უცებ აღმოაჩინა, რომ პატარა კორდზე იდგა. ზაფხულის საღამოს მზის სხივები მიწას ირიბად ავარაყებდნენ. ისე ხშირად გამეორებულა ეს პეიზაჟი სიზმარში, რომ აღარც კი იცოდა დარწმუნებით - ნამდვილად ნახა თუ არა სადმე. გამოღვიძებულმა იმ ლანდშაფტს ოქროს ქვეყანა უწოდა. ეს იყო ბოცვრების ნაძოვი ძველი მინდორი, ზედ გამავალი ბილიკითა და აქა-იქ თხუნელას ხვრელებით. მინდვრის ბოლოს, მოროღვეული მესრის გადაღმა, ოდნავ ტოკავდნენ თელადუმას ტოტები. ქალის თმასავით ჩამოხუნძლული ფოთლები კულულებივით ირხეოდნენ ჰაერში. სადღაც, სულ ახლოს, თუმცა თვალისთვის უხილავად, ნელა მიედინებოდა ნაკადი. იქვე, ტირიფებქვეშ ჩამდგარ გუბეებში თევზები სხმარტალებდნენ.

მინდორზე შავთმიანი გოგონა გამოჩნდა. უინსტონისკენ წამოსულმა, სამოსი ერთი მოძრაობით შემოიფლითა და ზიზღით გააფრიალა. თეთრი და კრიალა სხეული ჰქონდა, თუმცა უინსტონში არავითარი ვნება არ აღუძრავს. იგი ამ ჟესტმა აღაფრთოვანა, რომლითაც ქალიშვილმა სამოსი მოისროლა. თავისი გრაციითა და დაუდევრობით ეს ჟესტი თითქოს მთელ კულტურას, აზრის მთელ სისტემას ანადგურებდა. თითქოს გოგონას მკლავის ამ ერთადერთი მოძრაობით არარაობად იქცეოდა დიდი ძმაც, პარტიაცა და აზრის პოლიციაც. ეს ჟესტიც ძველ სამყაროს ეკუთვნოდა. გამოღვიძებულ უინსტონს ბაგეზე ეკერა სიტყვა „შექსპირი“.

ეკრანიდან ყურისწამღები სტვენა გაისმა და მთელ ოცდაათ წამს გაგრძელდა. ნოლშვიდი საათი და თხუთმეტი წუთი იყო, დაწესებულებების მუშაკთა ადგომის დრო. უინსტონმა შიშველი სხეული საწოლიდან გადმოათრია (გარე პარტიის წევრი ტანსაცმლის საყიდლად წელიწადში მხოლოდ სამი ათას კუპონს იღებდა, პიჟამა კი ექვსასი ღირდა) და სკამზე გადაკიდებულ დასვრილ სათბურასა და წყვილ ტრუსს დასწვდა. სამ წუთში ფიზკონვულსია იწყებოდა. წამოდგომისთანავე დაეწყო გაძლიერებული ხველა, რაც თითქმის ყოველ დილას ემართებოდა. იმდენად ეცლებოდა ორივე ფილტვი, რომ მხოლოდ ზურგზე დაწოლისა და ღრმა ჩასუნთქვის შემდეგ ითქვამდა სულს. ძარღვები ხველის დაძაბულობისგან დაჰბერვოდა, წყლული კი ისევ მოფხანას სთხოვდა.

- ჯგუფი ოცდაათიდან ორმოცამდე! - აწკავწკავდა ქალის ხმა, - ჯგუფი ოცდაათიდან ორმოცამდე! დაიკავეთ თქვენ-თქვენი ადგილები. ოცდაათიდან ორმოცამდე!უინსტონი გაფაციცებით გაიჯგიმა ეკრანის წინ, რომელზეც უკვე ჩანდა მჭლედ დაკუნთული, ტუნიკიანი მოახალგაზრდავო ქალი სავარჯიშო ფეხსაცმლით. - მკლავები მოხარეთ და გაშალეთ! - მკვახედ დაიყვირა მან, - ჩემთან ერთად: ერთი, ორი, სამი, ოთხი! ერთი, ორი, სამი, ოთხი! ტემპში, ამხანაგებო! უფრო ცოცხლად! ერთი, ორი, სამი, ოთხი! ერთი, ორი, სამი, ოთხი!..

ხველით გამოწვეულმა ტკივილმა ბოლომდე მაინც ვერ განდევნა სიზმრის შთაბეჭდილება, ვარჯიშის რიტმულმა მოძრაობებმა კი სიზმრის სურათები რამდენადმე უფრო მეტადაც აღუდგინა. ხელებს მექანიკურად ისროდა წინ და უკან, სახეზე ფიზკონვულსიებისთვის შესაფერისი კუშტი სიხარულის გამომეტყველება ეკერა, გონებაში კი ჯიქურ მიიკვლევდა გზას თავისი ბავშვობის ადრეული და ბუნდოვანი ხანისკენ. ეს უჩვეულოდ ძნელი აღმოჩნდა.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარზე ადრე უკვე აღარაფერი ჩანდა. რაკი უბრალო ჩანაწერიც არ არსებობდა, რომელსაც ჩახედავდი და რამეს გაიხსენებდი, ამიტომ თვით პირადი ცხოვრებაც კი ბუნდოვან ლაქას დამსგავსებოდა. გახსოვდა რაღაც დიდი მოვლენები, რომლებიც, ალბათ, არასოდეს მომხდარა. გახსოვდა რომელიღაც შემთხვევების დეტალები, თუმცა ვერაფრით აღიდგენდი მათს მთლიან ატმოსფეროს. ასეთ კუნძულებს შორის კი გაბნეულიყო გრძელი, ცარიელი პერიოდები, რომელთაც ვერაფერთან აკავშირებდი. წარსულში ყველაფერი სხვანაირად გამოიყურებოდა. სხვანაირი იყო ქვეყნების სახელები და მოხაზულობა რუკაზეც. პირველ ასაფრენ მოედანს მაშინ ინგლისს ან ბრიტანეთს ეძახდნენ. თუმცა ლონდონს რომ ყოველთვის ლონდონი ერქვა, ამაში უინსტონს ეჭვი არ შეჰპარვია.

ვერ იხსენებდა ისეთ დროს, როდესაც მისი ქვეყანა არ ომობდა. თუმცა ნამდვილად უნდა ყოფილიყო საკმაოდ ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდი, რადგან უინსტონის ერთ-ერთი უადრესი მოგონება უკავშირდებოდა საჰაერო თავდასხმას, ყველასთვის მოულოდნელს იმ მომენტში. შესაძლოა, სწორედ მაშინ ჩამოვარდა ატომური ბომბი ქოლჩესტერში. უინსტონს თვით თავდასხმა არ ახსოვდა, მაგრამ ახსოვდა მამის ხელი, რომელსაც აჩქარებით მიჰყავდა იგი სადღაც ქვემოთ, უსაშველოდ ქვემოთ. მიწისქვეშეთში ჩამავალი სპირალური კიბე ფეხქვეშ ჭრიალებდა. ბოლოს ფეხები ისე გაუსავათდა, რომ სლუკუნი დაიწყო და ორივენი შეჩერდნენ. ჩვილატატებული დედა მისთვის ჩვეული სიზმარეული სინელით მამა-შვილს საკმაოდ დიდი დაშორებით მოჰყვებოდა. ან, იქნებ, ეს მხოლოდ შალის საბნების ფუთა იყო? უინსტონს არ ახსოვდა - ჰყავდა თუ არა მაშინ და. საბოლოოდ, სამივენი გავიდნენ აჩოჩქოლებული ხალხით სავსე დარბაზში, რომელშიც ბიჭმა მეტროს სადგური ამოიცნო.

ქვით მოკირწყლულ იატაკზე ყველგან ადამიანები ისხდნენ. სხვები მჭიდროდ ჩალაგებულიყვნენ ერთიმეორეზე დადგმულ რკინის საწოლებზე. მამა, დედა და უინსტონი იატაკზე მოთავსდნენ. იქვე, რკინის საწოლზე, გვერდიგვერდ ისხდნენ მოხუცი კაცი და ქალი. კაცს მუქი ფერის მოკრძალებული სამოსი ეცვა და უკან გადაწეული შავი მაუდის ქუდიდან თოვლივით თეთრი თმა უჩანდა. სახე ვარდისფერი ჰქონდა, ლურჯი თვალები კი ცრემლით ავსებოდა. ჯინის სუნით ყარდა, თითქოს ოფლის ნაცვლად სხეულიდან ჯინი გამოსდიოდა. თვალებიდანაც სუფთა ჯინი სდისო, იფიქრებდით. მაგრამ, სიმთვრალის მიუხედავად, ეტყობოდა, ისიც ნამდვილი ტანჯვით იტანჯებოდა. თავისი ბავშვური ტვინით უინსტონმა იგრძნო, რომ ამ ბერიკაცის ცხოვრებაში რაღაც საშინელება მომხდარიყო, რაღაც უპატიებელი, რაც ვერასოდეს მიეცემოდა დავიწყებას. ბიჭმა თითქოს ისიც იცოდა, რა იყო ეს „რაღაც“. ალბათ, მოუკლეს ვინმე ისეთი, ვინც მოხუცს უყვარდა, შეიძლება - პატარა შვილიშვილი. რამდენიმეწუთიანი პაუზებით მოხუცი ერთსა და იმავეს იმეორებდა: - არ უნდა მივნდობოდით მაგათ. ხომ ვამბობდი, არა?! აბა, რა გამოვიდა, რომ ვენდეთ. სულ ამას ვიძახდი. არ უნდა მივნდობოდით მაგ პედერასტებს.

მაგრამ რომელ „პედერასტებს“ არ უნდა მინდობოდნენ, ამას უინსტონი ვერ იხსენებდა.

თითქმის იმ დროიდან მოყოლებული, ომი აღარასოდეს შეწყვეტილა, თუმცა ეს

მუდამ ერთი და იგივე ომი არ იყო. რამდენიმე თვის მანძილზე ბრძოლები შიგ ლონდონის ქუჩებში მიმდინარეობდა. ზოგი მათგანი უინსტონს ცოცხლად ახსოვდა. მაგრამ სრულებით შეუძლებელი იყო თვალის გადევნება მთელი იმ პერიოდისთვის, ანუ იმის თქმა, თუ ვინ ვის წინააღმდეგ იბრძოდა ყოველ მოცემულ მომენტში. არ არსებობდა არც ერთი ჩანაწერი ან ზეპირად ნათქვამი სიტყვა, რომელიც იტყოდა რაიმეს, განსხვავებულს ამჟამად არსებული ერთადერთი და საყოველთაოდ მიღებული ქრონიკისაგან. მაგალითად, დღეს, 1984 წელს (თუ მართლა 1984 იყო), ოკეანია ეომებოდა ევრაზიას და ალიანსში გახლდათ აღმოსავლეთაზიასთან (არც საზოგადოებრივ პრესაში და არც კერძო საუბრებში არასოდეს დაუშვიათ აზრი, რომ ოდესმე ისეთი ომიც ყოფილა, როცა სამი სახელმწიფოდან არც ერთს არ ჰქონია მეორესთან ალიანსი და სრულებით დამოუკიდებლად უწარმოებია სამხედრო ოპერაციები). ამასთანავე, უინსტონმა კარგად იცოდა, რომ ოკეანია სულ რაღაც ოთხი წლის წინ აღმოსავლეთაზიას ეომებოდა და ზავში იყო ევრაზიასთან. მაგრამ ეს მცირედი საეჭვო ცოდნა მისი მეხსიერების გაუკონტროლებლობით თუ აიხსნებოდა. ოფიციალურად, დღეს ოკეანია ევრაზიას ებრძოდა, ესე იგი, ყოველთვის მას ებრძოდა. მოცემული მომენტის მტერი აბსოლუტურ ბოროტებად ცხადდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამოირიცხებოდა ნებისმიერი შეთანხმება მასთან წარსულსა თუ მომავალში.

ვინ იცის, იქნებ ეს ყველაფერი სიმართლეც არისო, შიშნეულად ფიქრობდა უინსტონი და თან მხრებს ძალდატანებით სწევდა უკან (ზურგის კუნთებისთვის მარგებელი ეს ვარჯიში მდგომარეობდა წელის ტრიალში დოინჯშემოყრილი ხელებით). თუკი პარტია ხელს გაიშვერდა წარსულისკენ და იტყოდა, რომ ესა თუ ის მოვლენა არასოდეს მომხდარა, მაშინ ყველასთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ეს არასოდეს მომხდარა.

პარტია ამბობდა, რომ ოკეანია არასოდეს ყოფილა ალიანსში ევრაზიასთან, მან კი, უინსტონ სმიტმა, იცოდა: სულ რაღაც ოთხიოდე წლის წინ ეს ალიანსი ნამდვილად არსებობდა. მაგრამ თვით ეს ცოდნა სად არსებობდა? - მხოლოდ მის ცნობიერებაში, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში მალე უნდა განადგურებულიყო. და თუ ყველა იღებდა ტყუილს, რომელსაც პარტია ამტკიცებდა, თუ ყველა ჩანაწერი ამას ადასტურებდა, მაშინ ტყუილიც ისე შედიოდა ისტორიაში, როგორც სიმართლე. „ვინც წარსულს აკონტროლებს, - ღაღადებდა პარტიის ლოზუნგი, - ის აკონტროლებს მომავალს. ვინც აკონტროლებს აწმყოს, აკონტროლებს წარსულსაც“. და მაინც, წარსული, რომელსაც გამუდმებით ცვლიდნენ, არასოდეს შეცვლილა. სადღეისო ჭეშმარიტება სამუდამო და საუკუნო ჭეშმარიტება იყო. ეს საკმაოდ მარტივად ხდებოდა: გმართებდა მხოლოდ მუდმივი გამარჯვება შენსავე მეხსიერებაზე. ამას უწოდებდნენ „სინამდვილის კონტროლს“, ახალმეტყველებაში - „ორაზრს“. - თავისუფლად! - დაიყეფა დილის ვარჯიშის ინსტრუქტორმა ოდნავ უფრო გულთბილად.

უინსტონმა ხელები დაუშვა და ნელა ჩაისუნთქა. გონებით ორაზრის ლაბირინთებში დაძრწოდა: აქ საჭირო იყო ერთდროულად გცოდნოდა და არ გცოდნოდა; გაცნობიერებული გქონოდა მთელი სიმართლე და თან გამართული სიცრუე გელაპარაკა; თანაბარი რწმენით გეტარებინა ორი

ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება; ლოგიკა გამოგეყენებინა ლოგიკის წინააღმდეგ, უკუგეგდო ზნეობა და თან მოგეწოდებინა მისკენ; გქონოდა რწმენა იმისა, რომ დემოკრატია შეუძლებელია, მაგრამ, ამასთანავე, იმისაც, რომ პარტია დემოკრატიის მცველია; დაგევიწყებინა, რისი დავიწყებაც მოგეთხოვებოდა, შემდეგ - საჭიროებისამებრ - კვლავ გამოგეხმო ხსოვნაში, ბოლოს ისევ ამოგეშალა მეხსიერებიდან, უწინარეს ყოვლისა კი -მიგემართა აზრობრივი პროცესი თვით ამ პროცესის საწინააღმდეგოდ. აი, როგორ უნდა დახვეწილიყავი საბოლოოდ! - შეგნებულად უნდა გამოგეწვია შეუგნებლობა, შემდეგ კი დავიწყებისთვის მიგეცა წუთის წინ ჩატარებული თვითჰიპნოზის აქტი. თვით სიტყვა ორაზრის დავიწყებაც კი ორაზრის გამოყენებას ითხოვდა.

დილის ვარჯიშის წამყვანმა მოვარჯიშეებს კვლავ ყურადღებისკენ მოუხმო: - ახლა ვნახოთ, რომელ ჩვენგანს შეუძლია მისწვდეს საკუთარი ფეხის თითებს! - წარმოთქვა მან ენთუზიაზმით, - ფეხები გამართულად, ამხანაგებო! ერთი-ორი! ერთი-ორი!უინსტონს სძულდა ეს ვარჯიში, რომლის დროსაც ქუსლებიდან დუნდულებამდე მწვავე ტკივილი უვლიდა და რომელიც ხშირად ხველების ახალი კასკადით მთავრდებოდა. მისი დღევანდელი მედიტაციიდან რაღაც ნახევრად სასიამოვნო დასკვნა კეთდებოდა. წარსული კი არ შეცვალეს, არამედ მოსპესო, - ფიქრობდა თავისთვის. აბა, როგორ უნდა დაგედასტურებინა თუნდაც უაშკარავესი ფაქტი, რომელიც არსად არ იყო დაფიქსირებული, გარდა შენივე მეხსიერებისა? უინსტონმა სცადა, გაეხსენებინა, როდის გაიგონა პირველად დიდი ძმის სახელი. ალბათ, სამოციან წლებში. თუმცა ვერც ამას იტყოდა დარწმუნებით. რა თქმა უნდა, პარტიის ისტორიაში დიდი ძმა ფიგურირებდა, როგორც რევოლუციის ოდინდელი გუშაგი და უპირველესი ლიდერი. მისი საგმირო საქმეები შორეულ ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში იკარგებოდა, როცა უცნაურცილინდრიანი კაპიტალისტები ჯერ კიდევ დაგრიალებდნენ ქუჩებში მბზინავი მანქანებით თუ შემინული ეტლებით. არავინ იცოდა, რა იყო ამ ლეგენდიდან სიმართლე და რა - გამონაგონი. უინსტონმა ისიც კი არ იცოდა, როდის შეიქმნა პარტია. მგონი, 1960 წლამდე არასოდეს სმენია სიტყვა „ინგსოცი“, თუმცა, შესაძლოა, მანამდეც იხმარებოდა ძველმეტყველების შესატყვისი ფორმით: „ინგლისური სოციალიზმი“. ყველაფერი ნისლში ჩაძირულიყო. ზოგჯერ შეგეძლო თითიც კი დაგედო - აი, ეს კი ნამდვილად სიცრუეაო. სიმართლეს არ შეეფერებოდა, მაგალითად, პარტიის ისტორიის წიგნებში დაწერილი ამბავი, თითქოს სწორედ პარტიამ გამოიგონა თვითმფრინავი. უინსტონს თვითმფრინავები ღრმა ბავშვობიდან ახსოვდა, მაგრამ ვერაფერს დაამტკიცებდა, რადგან არავითარი თვალსაჩინოება არ არსებობდა. ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ სჭერია ხელში ისტორიული ფაქტის ფალსიფიცირების შეუმცდარი დოკუმენტი და ამ შემთხვევაზე...

- სმიტ! - ანჩხლად დასჭყივლეს ეკრანიდან, - 6079-ევ! უ. სმიტ! დიახ, შენ! უფრო მეტად დაიხარე! უკეთ შეგიძლია, მაგრამ რატომღაც არ ცდილობ. კიდევ ცოტაც! აი, ასე. ეგ უკეთესია, ამხანაგო. ყველანი თავისუფლად, ამხანაგებო! ყველამ მე მიყურეთ. უინსტონს მთელ ტანზე ცხელმა ოფლმა დაასხა, მაგრამ სახეზე ძარღვიც არ შესტოკებია. არავითარი შიში! არავითარი აღშფოთება! თვალებში გამკრთალი ერთი სხივიც კი გასცემდა. იდგა და უყურებდა, როგორ შემართა დილის ვარჯიშის წამყვანმა მკლავები და გრაციოზულად თუ არა - ზუსტად და ეფექტურად მაინც დაიხარა და ერთად მიტყუპებული ხელის თითები ფეხის

თითებთან დაასო.

- აი, აქ, ამხანაგებო! თქვენც ასე უნდა გააკეთოთ. კიდევ ერთხელ შემომხედეთ. მე ოცდაცხრამეტი წლის ვარ და ოთხი შვილი მყავს. აბა, შემომხედეთ, - წამყვანი კიდევ ერთხელ დაიხარა, - ხედავთ, რომ მუხლები არ მეღუნება? თქვენც შეძლებთ, თუ მოინდომებთ, - დაამატა მან წელში გამართვისას, - ორმოცდახუთი წლის ასაკზე ქვემოთ ამ ვარჯიშის კეთება ყველას მშვენივრად შეუძლია. ყველა ჩვენგანს ვერ მიენიჭება ფრონტის მოწინავე ხაზზე დგომის პატივი, მაგრამ, სხვა თუ არაფერი, ფორმაში მაინც ხომ უნდა ვიყოთ. გაიხსენეთ ჩვენი ბიჭები მალაბარის ფრონტზე ან ჩვენი მეზღვაურები მცურავ ციხესიმაგრეებზე! წარმოიდგინეთ, როგორ ცხოვრობენ ისინი. აბა, ერთხელ კიდევ სცადეთ. უკეთესია, ამხანაგო, გაცილებით უკეთესი, -წამახალისებლად დაუმატა უინსტონის შემხედვარემ, რომელიც ძლიერი მოძრაობით დაიხარა წინ და ბოლო წლების მანძილზე პირველად მისწვდა ხელის თითებით იატაკს.

IV

ღრმა და ანგარიშმიუცემელი ამოოხვრით (ამ ოხვრას სამუშაო დღის დასაწყისში ტელეეკრანის სიახლოვეც ვერ აკავებდა) უინსტონმა ხმისმწერი ახლოს მოიწია, სატუჩეზე დადებულ მტვერს შეუბერა და სათვალე გაიკეთა. შემდეგ გაშალა და ერთიმეორეზე დააწყო ქაღალდის ოთხი გრაგნილი, რომლებიც უკვე გამოსრიალებულიყო მისი მაგიდის მარჯვენა მხარეს მდებარე პნევმატური მილიდან.

ოთახის კედლებში სხვადასხვა სიდიდის სამი ნახვრეტი დაეტანებინათ. ხმისმწერის მარჯვენა მხარეს იყო პატარა პნევმატური მილი ნაწერი ფურცლებისთვის. მარცხნივ მდებარე უფრო დიდი ნახვრეტიდან პრესა მოდიოდა. გვერდითა კედელში კი, უინსტონისთვის იოლად მისაწვდომ მანძილზე, ჩანდა მავთულის ცხაურგაკრული, ოვალური ფორმის დიდი ხვრელი გადასაყრელი ქაღალდებისთვის. ეს სანაგვე ხვრელები ათასობით და ათეულათასობით ჰქონდა თითოეულ შენობას. ყოველ ოთახში თითო გაეყვანათ, დერეფანში კი - რამდენიმე. ამ ხვრელებს რატომღაც „ხსოვნის ნახვრეტებს“ უწოდებდნენ. როცა ადამიანს რომელიმე დოკუმენტი აღარ სჭირდებოდა, - თუნდაც ძირს დაგდებული ქაღალდის ნაგლეჯი, - უკვე ავტომატურად იღებდა და ხსოვნის ხვრელში აგდებდა. იქ მოხვედრილ ქაღალდს მეყსეულად გააქანებდა ცხელი ჰაერის ნაკადი და ყოველი შენობის უჩინარ სამალავში მდგარ ვეებერთელა ღუმელში ჩაუძახებდა.

უინსტონმა ოთხივე გრაგნილი გასინჯა. თითოეული შეიცავდა ერთ ან ორსტრიქონიან შეტყობინებას, დაწერილს შემოკლებული ჟარგონით (არა ნამდვილი ახალმეტყველებით, მაგრამ ბევრი მისეული სიტყვის გამოყენებით), რომელსაც მიმართავდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. უწყებები ასე იკითხებოდა:

დრო 17.3.84 დიდიძმის სიტყვა ცუდნაუწყები აფრიკა გაასწორე

დრო 19.12.83 პროგნოზი 3 იპ მეოთხე სვეტი 83 ბეჭდვითცდომები შეამოწმე მიმდინარე გამოცემა

დრო 14.2.84 დოვსამინი არასწორი ფასი შოკოლადი გაასწორე

დრო 3.12.83 დიდიძმის დღისბრძანება ორპლუს არაკარგია მიმს არაპირებს გადაწერე მთლიანად ჩაკვრამდე ზემოთ

ბოლო შეტყობინება უინსტონმა ყრუ კმაყოფილების გრძნობით გადადო გვერდზე. ჯობდა, ჯერ სხვებისთვის მიეხედა, შემდეგ კი ამ საკმაოდ ჩახლართულ და საპასუხისმგებლო სამუშაოს მიჰბრუნებოდა. პირველი სამი უწყება უინსტონის ყოველდღიურ რუტინას შეადგენდა, თუმცა მეორის გამო, ალბათ, მოსაბეზრებელი ხეტიალი მოუწევდა ციფრების ტყეში.

ეკრანზე „დასარეკი ციფრები“ აკრიფა და „ტაიმსის“ შესაბამისი ნომრები მოითხოვა. გაზეთები რამდენიმე წუთში გამოსრიალდა პნევმატური მილიდან.

მიღებული შეტყობინებები მიუთითებდნენ საგაზეთო წერილებს ან ახალ ამბებს, რომლებშიც ამა თუ იმ მიზეზით უნდა შეცვლილიყო ზოგიერთი პუნქტი. ამ შეცვლას ოფიციალურად „გასწორება“ ერქვა. მაგალითად, 17 მარტის „ტაიმსი“ იუწყებოდა, რომ წინადღის გამოსვლაში დიდმა ძმამ იწინასწარმეტყველა სიმშვიდე სამხრეთ ინდოეთის ფრონტზე, ჩრდილოეთ აფრიკაში კი - ევრაზიის ხანმოკლე იერიში. მოხდა ისე, რომ ევრაზიის მთავარსარდლობამ სამხედრო ოპერაციები განახორციელა სამხრეთ ინდოეთში და არა ჩრდილოეთ აფრიკაში. ამიტომაც საჭირო იყო ამ მონაკვეთის შეცვლა დიდი ძმის სიტყვაში, რათა მისი წინასწარმეტყველება დამთხვეოდა იმას, რაც სინამდვილეში მოხდა.

აგრეთვე, ცხრამეტი დეკემბრის „ტაიმსში“ გამოქვეყნდა სხვადასხვა ტიპის მოხმარების საგანთა წარმოების ოფიციალური პროგნოზი 1983 წლის მეოთხე კვარტალისთვის, რომელიც, ამავე დროს, წარმოადგენდა მეცხრე სამწლედის მეექვსე კვარტალსაც. „ტაიმსის“ დღევანდელი ნომერი აქვეყნებდა პროდუქციის რეალურ მაჩვენებლებს, რომლებიც ცხადყოფდნენ მაშინდელი პროგნოზის დიდ ცდომილებებს ყველა პუნქტში. უინსტონს ევალებოდა თავდაპირველი რიცხვების შეცვლა, მათი შეთანხმება დღევანდელ მაჩვენებლებთან. რაც შეეხება მესამე შეტყობინებას, იგი გულისხმობდა ერთ უმარტივეს შეცდომას, რომლის გასწორება ორიოდ წუთში მოხერხდებოდა. სულ ცოტა ხნის წინ, თებერვალში, დოვლათის სამინისტრომ გამოსცა დაპირება (ოფიციალურად: „კატეგორიული აღთქმა“), რომ 1984 წელს არ შეამცირებს შოკოლადის ულუფას. უინსტონმა იცოდა, რომ, სინამდვილეში, შოკოლადის ულუფა კვირის ბოლოს ოცდაათიდან ოც გრამამდე მცირდებოდა. ამჯერად მხოლოდ ის უნდა გაეკეთებინა, რომ თავდაპირველი დაპირება შეეცვალა გაფრთხილებით: შესაძლოა, აპრილში აუცილებელი შეიქნეს შოკოლადის ულუფის შემცირებაო.

როგორც კი უწყებებში მითითებული დავალებები შეასრულა, ხმისმწერზე ამობეჭდილი შესწორებები „ტაიმსის“ ნომრის შესაბამის ადგილებს დააკრა და გაზეთი კვლავ პნევმატურ მილში ჩაუშვა. შემდეგ მიღებული უწყებებიცა და თავისი შენიშვნებიც სრულებით მექანიკური მოძრაობით დაჭმუჭნა და ყველაფერი ერთად ხსოვნის ნახვრეტში ჩაუძახა. უინსტონმა მხოლოდ ზოგადად იცოდა, რა ხდებოდა უხილავ ლაბირინთში, რომელსაც პნევმატური მილი უერთდებოდა. როგორც კი ყველა სათანადო შესწორება გაკეთდებოდა და „ტაიმსის“ მოცემულ ნომერს დაეკვრებოდა, ეს უკანასკნელი ხელმეორედ იბეჭდებოდა და უკვე განადგურებული პირველი ვარიანტის ადგილს იკავებდა. მუდმივი გადაკეთების ეს პროცესი მოიცავდა არა მხოლოდ გაზეთებს, არამედ წიგნებს, ჟურნალებს, ბროშურებს, პლაკატებს, პროკლამაციებს, ფილმებს, ხმოვან ჩანაწერებს, მულტფილმებს, ფოტოსურათებს - ყველა სახის ლიტერატურასა და დოკუმენტაციას, რომელსაც შეიძლებოდა რამენაირი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონოდა. დღიდან დღემდე, თითქმის წუთიდან წუთამდე ხდებოდა წარსულის მორგება დღევანდელობაზე. ამგვარად, პარტიის ყოველი წინასწარმეტყველების სისწორე დოკუმენტურად დასტურდებოდა. ვერ იარსებებდა ისეთი სიახლე ან მოსაზრება, რამენაირად რომ დაუპირისპირდებოდა მოცემული მომენტის მუდამ ლეგალურად დაფიქსირებულ საჭიროებებს. მთელი ისტორია წარმოადგენდა პალიმფსესტს[6], ზედმიწევნით წაშლილსა და ხელახლა დაწერილს იმდენჯერ, რამდენჯერაც ვითარება ითხოვდა. საყოველთაო კორექტირების მორიგი რაუნდის შემდეგ ყოვლად შეუძლებელი იყო რაიმე ფალსიფიცირების

დამტკიცება. ნაწერთა დეპარტამენტის უდიდეს სექტორში - უინსტონისაზე გაცილებით დიდში -მუშაობდნენ ადამიანები, რომელთაც ევალებოდათ წიგნების, გაზეთებისა და ყველა სხვა დოკუმენტის ბოლოსწინა გამოცემის შეგროვება გასანადგურებლად. „ტაიმსის“ მთელი ნომრები, იქნებ ათ-თორმეტჯერაც კი გადაბეჭდილები პოლიტიკური გეზის ცვლილებისა თუ დიდი ძმის მცდარ წინასწარმეტყველებათა გამო, ისევ ძველი თარიღით იბეჭდებოდა და არ არსებობდა სხვა გამოცემა, რომელიც წინააღმდეგობაში მოვიდოდა უკანასკნელთან. წიგნებს კვლავ აგროვებდნენ, ხელახლა წერდნენ და ისე გამოსცემდნენ, თითქოს არც ერთი სიტყვა არ შეუცვლიათო. თვით იმ მითითებებშიც, რომლებსაც უინსტონი იღებდა და რომლებიც გაცნობისთანავე უნდა გაექრო, არასოდეს აცხადებდნენ და არც გულისხმობდნენ, რომ უნდა მომხდარიყო ფალსიფიცირება. მუდამ ლაპარაკობდნენ შეცდომებზე, ბეჭდვით ცდომილებებზე ან არასწორ ციტირებაზე, რომლებიც, უბრალოდ, კულტურულად უნდა შესწორებულიყო.

არსებითად, ეს ფალსიფიცირებაც კი არ არის, არამედ ერთი უაზრობის შეცვლა მეორითო, - ფიქრობდა უინსტონი დოვლათის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი რიცხვების შესწორებისას. ამ მასალის უმეტეს ნაწილს არაფერი ჰქონდა საერთო რეალურ სამყაროსთან, - თუნდაც იმდენი, რამდენიც აშკარა ტყუილს აქვს. სტატისტიკა ისევე გამოგონილი იყო თავდაპირველ ვარიანტში, როგორიც შესწორებულში. ეს რიცხვები ხშირად შენივე ტვინიდან უნდა გამოგეწურა. მაგალითად, დოვლათის სამინისტროს პროგნოზით, კვარტალში უნდა გამოეშვათ ას ორმოცდახუთი მილიონი წყვილი ფეხსაცმელი. რეალურად შეიკერა სამოცდაორი მილიონი. მაგრამ უინსტონმა ზემოაღნიშნული პროგნოზის შესწორებისას ჩაწერა ორმოცდაჩვიდმეტი მილიონი, თანაც, ტრადიციულად ამტკიცებდა, რომ გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. საბოლოოდ კი, სამოცდაორი მილიონი ისევე შორს იყო ჭეშმარიტებისაგან, როგორც ორმოცდაჩვიდმეტი ან ასორმოცდახუთი მილიონი. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ საერთოდ არ გამოშვებულა არავითარი ფეხსაცმელი, უფრო კი ის, რომ არავინ იცოდა და არც აინტერესებდა, რამდენი ფეხსაცმელი შეიკერა. იცოდი მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი ასტრონომიული რიცხვი, მაშინ, როცა ოკეანიის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ფეხშიშველი დაიარებოდა.

იგივე ხდებოდა ყველა სხვა - დიდ თუ პატარა - ჩაწერილ ფაქტთან დაკავშირებით. ყველაფერი ქრებოდა მოჩვენებით სამყაროში, სადაც უკვე კალენდარული წლის დადგენაც კი ჭირდა.

უინსტონმა დერეფნის მეორე მხარეს გაიხედა. მოპირდაპირე ოთახში გულმოდგინედ მუშაობდა პატარა, სასიამოვნო შესახედაობის მუქნიკაპა კაცი, სახელად ტილოტსონი. ქაღალდის გრაგნილი მუხლებზე დაედო, პირი კი ძალზე ახლოს მიეტანა ხმისმწერის სატუჩესთან, თითქოს ეკრანს ისეთ საიდუმლოს უმხელდა, რომელიც სხვას არ უნდა გაეგო. უცებ თავი ასწია და მისმა სათვალემ მტრულად გაიელვა.

უინსტონი თითქმის არ იცნობდა ტილოტსონს და წარმოდგენა არ ჰქონდა მის საქმიანობაზე. ნაწერთა დეპარტამენტში მომუშავე ადამიანები თავიანთ სამუშაოზე მაინცდამაინც დიდი ხალისით არ ლაპარაკობდნენ. გრძელი,

უფანჯრო დერეფნის აქეთ-იქით ჩალაგებულ ოთახებში დაუსრულებლად შრიალებდნენ ფურცლები და ბუბუნებდნენ ხმები. საკმაოდ ბევრ თანამშრომელს უინსტონი სახელითაც კი არ იცნობდა, თუმცა ყოველდღიურად ხედავდა აჩქარებით მოსიარულეთ დერეფნებში თუ აჩოჩქოლებულთ სიძულვილის ორწუთეულის დროს. მეზობელ ოთახში პატარა, ჟღალთმიანი ქალი იჯდა და მთელ დღეებს პრესის თვალიერებასა და იმ ადამიანთა სახელების წაშლას ანდომებდა, რომლებიც ააორთქლეს, ესე იგი, არც არასოდეს უარსებიათ. იყო ამაში ერთგვარი შესაბამისობა: მისი ქმარიც ხომ ორიოდე წლის წინ აორთქლდა. რამდენიმე ოთახის იქით კი იჯდა ერთი რბილი, უკონფლიქტო, მედუზასებრი არსება მეტისმეტად ბალნიანი ყურებით, გვარად ეიმპლფორთი. რითმებითა და სტრიქონებით ჟონგლირების საოცარ ნიჭს ეს კაცი იდეოლოგიურად უკვე საშიშად ქცეული, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით მაინც ანთოლოგიებში დატოვებული ლექსების დამახინჯებას ახმარდა. ამ პროცედურას „საბოლოო ტექსტების შექმნა“ ეწოდებოდა.

აი, ეს დაახლოებით ორმოცდაათკაციანი სექტორი წარმოადგენდა მხოლოდ ერთ ქვეგანყოფილებას, ერთ პატარა უჯრედს ნაწერთა დეპარტამენტის უზარმაზარ კომპლექსში. ზევით, ქვევით, გვერდით, ყველგან დაფუთფუთებდნენ დეპარტამენტის თანამშრომლები თავიანთი წარმოუდგენლად მრავალფეროვანი საქმეებით. აქ იყო დიდი საბეჭდი საამქროები თავისი ქვერედაქტორებით, ტიპოგრაფიული ექსპერტებითა და ფოტომასალის გასაყალბებელი ფაქიზინსტრუმენტებიანი სტუდიებით. აქვე იყო ტელეპროგრამების განყოფილება თავისი ინჟინრებით, პროდიუსერებითა და ხმის მიბაძვის უნარით დაჯილდოებულ მსახიობთა გუნდით. ყველგან მოჩანდნენ კლერკთა მრავალრიცხოვანი არმიის წარმომადგენლები, რომელთა ერთადერთი დანიშნულება გახლდათ გადასასინჯი წიგნებისა და ჟურნალების ნუსხის შედგენა. შესწორებულ მასალას უზარმაზარ საცავებში ინახავდნენ, გაუქმებულს კი ფარულ ღუმლებში წვავდნენ. ამ ყველაფერს კოორდინირებას უწევდნენ სრულიად ანონიმური წარმმართველი ტვინები, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავდნენ, წარსულის რომელი ნაწილი უნდა შენარჩუნებულიყო, რომელი გაყალბებულიყო და რომელი აღგვილიყო პირისაგან მიწისა. და ამ ყველაფრის შემდეგ ნაწერთა დეპარტამენტი ჭეშმარიტების სამინისტროს მხოლოდ ერთი შტო გახლდათ. ამ სამინისტროს უპირველესი ამოცანა იყო არა წარსულის აღდგენა, არამედ ოკეანიის მკვიდრთა მომარაგება გაზეთებით, წიგნებით, ფილმებით, სატელევიზიო პროგრამებით, პიესებითა და რომანებით - ინფორმაციის მიწოდების, ინსტრუქტირებისა თუ გართობის ყველა წარმოსადგენი ფორმით ქანდაკებიდან ლოზუნგამდე, ლირიკული ლექსიდან ტრაქტატამდე, ენის გასატეხი საბავშვო წიგნიდან ახალმეტყველების ლექსიკონამდე. და თვით ჭეშმარიტების სამინისტროსაც მხოლოდ პარტიის მრავალგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება კი არ ევალებოდა, არამედ ზრუნვა უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი პროლეტარიატის კეთილდღეობისთვის. არსებობდა ცალკეულ განყოფილებათა მთელი ჯაჭვი, რომელიც დაკავებული იყო პროლეტარული ლიტერატურით, მუსიკით, თეატრითა და საყოველთაო გართობით. პროლეტართათვის გამოიცემოდა ერთჯერადი გაზეთები, სადაც არაფერი ეწერა, სპორტის, კრიმინალური ფაქტებისა და ასტროლოგიის გარდა. მათთვისვე იბეჭდებოდა სენსაციური ხუთცენტიანი ნოველები, იქმნებოდა სექსით გაჟღენთილი ფილმები და „ვერსიფიკატორად“ წოდებული აპარატით პირწმინდად მექანიკურად დაწერილი სენტიმენტალური

სიმღერები. არსებობდა მთელი ქვესექცია, ახალმეტყველების ენაზე - პორნოსექტორი, რომელიც დაკავებული იყო უმდარესი ხარისხის პორნოგრაფიული მასალის გავრცელებით. ეს ჟურნალები დანიშნულების ადგილამდე გაუმჭვირვალე კონვერტებით იგზავნებოდა. პარტიის არც ერთ წევრს -უშუალოდ ამ მასალაზე მომუშავეთა გარდა - არ ჰქონდა მათი ნახვის უფლება.

ვიდრე უინსტონი მუშაობდა, პნევმატურმა მილმა კიდევ სამი შეტყობინება ამოუგდო, - მთლად მარტივი მასალა, რომელსაც სწრაფად გაართვა თავი სიძულვილის ორწუთეულის დაწყებამდე. როცა ორწუთეული დამთავრდა, უინსტონი თავის ოთახში დაბრუნდა, კარადიდან ახალმეტყველების ლექსიკონი გამოიღო, ხმისმწერი გვერდზე მისწია, სათვალე გაწმინდა და დილის ძირითად სამუშაოს შეუდგა.

მისი ცხოვრების უდიდეს სიხარულს ეს სამუშაო შეადგენდა. ამ საქმის უდიდესი ნაწილი - მოსაწყენი რუტინა - შიგადაშიგ მაინც შეიცავდა ისეთ რთულ და ჩახლართულ მომენტებს, სადაც ისევე ჩაიკარგებოდი, როგორც მათემატიკურ პრობლემაში. საქმე ეხება ფალსიფიცირების დელიკატურ ნიუანსებს, სადაც ერთადერთ მეგზურად შენივე ცოდნა თუ გამოგადგებოდა, - როგორც ინგსოცის პრინციპების ცოდნა, ასევე იმისაც, თუ რის თქმას მოელოდა შენგან პარტია. უინსტონი ამაში კარგად ერკვეოდა. ისეც მომხდარა, მისთვის „ტაიმსის“ მოწინავე, მთლიანად ახალმეტყველებით დაწერილი წერილების შესწორება დაუვალებიათ. ამჯერად გვერდზე გადადებული უწყება გადაშალა: დრო 3.12.83 დიდიძმის დღისბრძანება ორპლუსარაკარგია მიმს არაპირებს გადაწერე მთლიანად ჩაკრობამდე ზემოთძველმეტყველებით (ანუ სტანდარტული ინგლისურით) ეს ტექსტი ასე წაიკითხებოდა: დიდი ძმის დღევანდელი ბრძანებულება, გამოქვეყნებული 1983 წლის 3 დეკემბრის „ტაიმსში“, უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია და მიმართავს არარსებულ პიროვნებებს. მთლიანად გადაწერეთ და, ვიდრე ჩააკრავდეთ, თქვენი ვერსია ზემდგომ ორგანოებს წარუდგინეთ. უინსტონმა დაკვირვებით წაიკითხა უწყებაში მითითებული ბრძანებულება. ძირითადად, ის წარმოადგენდა მცსმ-ის - მცურავი ციხესიმაგრეების სიგარეტით მომმარაგებელი ორგანიზაციის - ხოტბას. გარდა სიგარეტისა, ეს ორგანიზაცია მცურავი სიმაგრეების მეზღვაურებს სხვა საჭირო საგნებითაც ამარაგებდა. საგანგებო აღნიშვნის ღირსი შეიქნა და გამორჩეული დამსახურებისთვის მეორე ხარისხის მედლითაც დაჯილდოვდა ვინმე ამხ. უიზერსი.

სამი თვის შემდეგ მცსმ სრულიად გაურკვეველი მიზეზით გაუჩინარდა. შეიძლებოდა დაგესკვნა, რომ ამჟამად ხელისუფლება უიზერსსა და მის კომპანიონებს მწყრალად უყურებდა, თუმცა ამის თაობაზე პრესას და ტელევიზიას არაფერი უთქვამს. ეს მოსალოდნელი იყო, რადგან პოლიტიკურ მოქიშპეთ, როგორც წესი, არ ასამართლებდნენ და არც საზოგადოების სამსჯავროზე გამოჰყავდათ. ათასობით ადამიანის მომცველი მასობრივი წმენდები, მოღალატეთა და აზრკრიმინალთა საჯარო გასამართლება, სადაც მსჯავრდადებულნი სულმდაბლად აღიარებდნენ თავიანთ დანაშაულს და კიდეც ისჯებოდნენ, - ეს ყველაფერი მხოლოდ ორ წელიწადში ერთხელ ხდებოდა და საგანგებო ტრანსლირების საგანს შეადგენდა. საერთოდ კი, ისინი, ვისაც პარტია შემოსწყრებოდა, უბრალოდ, ქრებოდნენ და აღარასოდეს მოიხსენიებოდნენ.

ოდნავი წარმოდგენაც არავის ჰქონდა, რა ბედი ეწიათ ასეთებს. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, ცოცხლებიც კი იყვნენ. ამნაირად გაქრა ოცდაათამდე ადამიანი უინსტონის პირადი ნაცნობებიდან (მშობლების ჩაუთვლელად).

ქაღალდის სამაგრი რბილად ჩამოისვა ცხვირზე. დერეფნის მეორე მხარეს ამხანაგი ტილოტსონი თავის ხმისმწერზე იდუმალი სახით დახრილიყო. ერთ მომენტში თავი ასწია და სათვალემ კვლავ მტრულად გაიბრწყინა. უინსტონს უკვირდა, ნუთუ ამხანაგი ტილოტსონიც იმავე სამუშაოს აკეთებს, რასაც მეო. ეს სავსებით შესაძლებელი იყო. ასეთ სახათაბალო საქმეს არასოდეს ანდობდნენ ერთ ადამიანს. მეორე მხრივ, მთელი კომიტეტისთვის რომ დაევალებინათ, ეს ფალსიფიცირების აქტის საჯაროდ აღიარებას ნიშნავდა. ალბათ, თორმეტამდე ადამიანი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ამუშავებდა ვერსიას, თუ რა თქვა სინამდვილეში დიდმა ძმამ. შემდეგ შინაგანი პარტიის რომელიმე ტვინიკოსი ამ ვერსიებიდან საუკეთესოს შეარჩევდა, საბოლოო რედაქტირებას გაუკეთებდა და მოძრაობაში მოიყვანდა ტექსტისთვის შენიშვნების დართვის რთულ პროცესს, რათა სიცრუეს თავისი ადგილი ეპოვა საბოლოო-სამუდამო ჩანაწერებში და ჭეშმარიტებად ქცეულიყო.

უინსტონმა არ იცოდა, რატომ შემოსწყრნენ უიზერსს. შესაძლოა, კორუფციის ან არაკომპეტენტურობის მიზეზით. იქნებ, დიდი ძმა თავიდან იშორებდა მეტისმეტად პოპულარულ ხელქვეითს. იქნებ, უიზერსს ან ვინმეს მის სიახლოვეს ერეტიკული ტენდენციები შეამჩნიეს. უფრო სავარაუდო ისაა, რომ ეს ყველაფერი თავისთავად მოხდა, რაკი წმენდა-აორთქლება სახელმწიფოს მართვის აუცილებელ ნაწილს შეადგენდა. ამ სიტუაციის ერთადერთი ნამდვილი გასაღები იძებნებოდა სიტყვებში მიმს არაპირებს („მიმართავს არარსებულ პიროვნებებს“), რაც მიანიშნებდა, რომ უიზერსი ცოცხლებში აღარ ეწერა. აქედან ჯერ კიდევ ვერ დაასკვნიდი - ეს ის შემთხვევაა, როცა ხალხს აპატიმრებენო. ზოგჯერ ასეთებს ათავისუფლებდნენ კიდეც და ასე ტოვებდნენ ერთ-ორ წელიწადს განაჩენის სისრულეში მოყვანამდე. იშვიათად ისიც ხდებოდა, რომ დიდი ხნის წინ მკვდრად მიჩნეული პიროვნება მოულოდნელად გამოჩნდებოდა საჯარო სასამართლოზე, სადაც საკუთარი დამოწმებით აჭერინებდა ასობით სხვა პირს. შემდეგ ეს ადამიანი ისევ ქრებოდა, ამჯერად უკვე სამუდამოდ. თუმცა უიზერსი უკვე არაპირი გახლდათ, ანუ ის აღარ არსებობდა, ესე იგი, არც არასდროს უარსებია. უინსტონმა გადაწყვიტა, რომ საკმარისი არ იქნებოდა დიდი ძმის მიერ წარმოთქმული სიტყვის უბრალო შებრუნება. სჯობდა, ისეთი რამ ჩაედო მის ბაგეში, რასაც საერთოდ არავითარი კავშირი არ ჰქონდა თავდაპირველ საგანთან. შეეძლო, ისე შეებრუნებინა დიდი ძმის სიტყვა, თითქოს ეს უკანასკნელი, ჩვეულებისამებრ, მსჯავრს სდებდა მოღალატეებსა და აზრკრიმინალებს. თუმცა ეს მეტისმეტი განზოგადება იქნებოდა. თუ, ვთქვათ, შეთხზავდა ფრონტზე მიღწეულ მორიგ გამარჯვებას ან ზეგეგმითი პროდუქციის ტრიუმფს მეცხრე სამწლედში, ეს მოცემულ ეპიზოდს ზედმეტად გაართულებდა. ამჯერად ვითარება წმინდა წყლის გამონაგონს ითხოვდა.

უცებ უინსტონის შეხურებულ გონებაში იხუვლა სახემ მავანი მებრძოლის, ამხანაგი ოგილვისა, ამას წინათ რომ დაიღუპა გმირულ ვითარებაში. იყო შემთხვევები, როდესაც დიდი ძმის დღის ბრძანებულება ეხებოდა პარტიის მოკრძალებული, მრავალთაგან ერთ-ერთი წევრის ხსოვნას, ვისი ცხოვრებაცა და

სიკვდილიც მას ყველასთვის სანიმუშო მაგალითად მოჰყავდა. დღეს იგი ამხანაგ ოგილვის იხსენებდა. რასაკვირველია, მსგავს ვინმეს არასოდეს უარსებია, მაგრამ სულ მალე გაჩნდებოდა რამდენიმე ნაბეჭდი სტრიქონისა და ერთი-ორი ფალსიფიცირებული ფოტოსურათის წყალობით.

უინსტონი ერთ წამს შეყოვნდა, შემდეგ ხმისმწერი ახლოს მოსწია და დაიწყო კარნახი დიდი ძმისთვის დამახასიათებელ სტილში, რომელიც ერთდროულად სამხედროც იყო, პედანტურიც და, ამავე დროს, ადვილად მისაბაძიც რიტორიკულად დასმული კითხვებისა და იქვე გაცემული პასუხების გამო („რას გვასწავლის ეს ფაქტი, ამხანაგებო? რასა და იმას, რაც, საბოლოოდ, წარმოადგენს ინგსოცის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, ანუ...“ და ა. შ.).

სამი წლის ასაკში ამხანაგმა ოგილვიმ უარყო ყველა სათამაშო, საბრძოლო დოლის, ავტომატისა და ვერტმფრენის გარდა. ექვსი წლისა (საგანგებო გამონაკლისის სახით) დამსმენთა გაერთიანებაში ჩაირიცხა. ცხრა წლის ასაკში უკვე ჯგუფის მეთაურად დანიშნეს. თერთმეტი წლის ოგილვიმ აზრის პოლიციაში დაასმინა საკუთარი ბიძა, რომლის საუბარშიც ყმაწვილმა კრიმინალური ტენდენციები შენიშნა. ჩვიდმეტი წლის ჭაბუკი სათავეში ჩაუდგა თავისი რაიონის ახალგაზრდულ ანტისექსუალურ ლიგას. ცხრამეტი წლისამ გამოიგონა ხელყუმბარა, რომელმაც ერთი აფეთქებით დახოცა ოცდათერთმეტი ევრაზიელი ტყვე და რომელიც მაშინვე აითვისა თავდაცვის სამინისტრომ. ოცდასამი წლის ოგილვი ბრძოლის ველზე დაიღუპა: ვერტმფრენს, რომელშიც იგი იმყოფებოდა და რომლითაც მნიშვნელოვანი დეპეშები მიჰქონდა, ინდოეთის ოკეანის თავზე მტრის რეაქტიული თვითმფრინავები დაედევნენ. ოგილვიმ სხეული თავისივე ავტომატით დაიმძიმა და დეპეშებიანად გადაეშვა წყალში. ასეთ აღსასრულს, დიდი ძმის თქმით, შურის გარეშე ვერ შეხედავდი. შემდეგ დიდმა ძმამ მოაყოლა რამდენიმე შენიშვნა ამხ. ოგილვის ცხოვრების სიწმინდესა და გამორჩეულობაზე. ეს სანიმუშო მებრძოლი არ სვამდა და არ ეწეოდა. დღეში მხოლოდ ერთ საათს ისვენებდა სამხედრო სასწავლებელში. დადებული ჰქონდა უქორწინობის აღთქმა, რაკი ოჯახი შეუთავსებლად მიაჩნდა საბრძოლო ვახტზე ოცდაოთხსაათიან დგომასთან. სხვა არაფერზე საუბრობდა, გარდა ინგსოცის პრინციპებისა, მიზნად კი ერთადერთი რამ ჰქონდა: დაემარცხებინა ევრაზიელი მტერი და გაენადგურებინა მის სამსახურში მყოფი ყველა ჯურის ჯაშუში, დივერსანტი, აზრკრიმინალი და მოღალატე.

უინსტონი შეჭოჭმანდა - მივანიჭო თუ არა ამხ. ოგილვის ღირსების ორდენიო. მაგრამ ბოლოს ეს დეტალი უარყო: არასაჭირო გადახვევებს გამოიწვევდა.

კიდევ ერთხელ გახედა მოპირდაპირე ოთახში მჯდომ მეტოქეს. გუმანით გრძნობდა, რომ ტილოტსონიც იმავე ამოცანას შესჭიდებოდა. წინასწარ ვერავინ იტყოდა, ვის ვერსიას მიეცემოდა უპირატესობა, მაგრამ უინსტონს თავის გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა. ერთი საათის წინ არარსებული ამხანაგი ოგილვი ამჯერად უკვე ფაქტს წარმოადგენდა. რა საინტერესოა: შეგეძლო შეგექმნა გარდაცვლილები, მაგრამ არა ცოცხლები! ამხანაგი ოგილვი, რომელსაც არასოდეს უარსებია აწმყოში, უკვე არსებობდა წარსულში, და როგორც კი დავიწყებას მიეცემოდა თვით გამოგონების აქტი, ოგილვიც ისეთივე სინამდვილით შეიმოსებოდა, როგორითაც შარლემანი ან იულიუს კეისარი.

V

ღრმა მიწისქვეშეთში მოწყობილ დაბალჭერიან ბუფეტში ნელი ჯიკავით მიიწევდა წინ ლანჩის რიგში ჩამდგარი ხალხი. მთლად გადაჭედილ ოთახში ერთი გნიასი იდგა. დახლის იქიდან იფრქვეოდა მოშუშული ხორცის ორთქლი ლითონის მომჟავო სუნით, მაინც რომ ვერ ახშობდა „გამარჯვების ჯინის“ ოხშივარს. ოთახის შორეულ კუთხეში ჩანდა პატარა ბარი - კედელში დატანებული ნახვრეტი, სადაც იყიდებოდა ჯინი: ერთი დიდი ყლუპი ათ ცენტად.

- აი, სწორედ ამ კაცს ვეძებდი. - გაისმა უინსტონის ზურგს უკან.

შემობრუნდა და დაინახა თავისი მეგობარი, კვლევით დეპარტამენტში მომუშავე საიმი. სიტყვა „მეგობარს“ უთუოდ აკლდა სიზუსტე. დღეს მეგობრები არ არსებობდნენ, არსებობდნენ მხოლოდ ამხანაგები. მაგრამ ზოგ ამხანაგთან ყოფნა უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე სხვებთან. საიმი ფილოლოგი გახლდათ, ახალმეტყველების სპეციალისტი, რომელიც ამჟამად ახალმეტყველების ლექსიკონის მეთერთმეტე გამოცემას ამუშავებდა. უინსტონზე ტანდაბალ ამ ჩია კაცს მუქი ფერის თმა და დიდი, გამობურცული თვალები ჰქონდა, ერთდროულად მწუხარეცა და დამცინავიც. როცა საიმი გესაუბრებოდათ, მისი თვალები თითქოს ახლოდან გიჩხრეკდნენ სახეს.

- მინდოდა მეკითხა, სამართებელი ხომ არ გიშოვია-მეთქი. - უთხრა უინსტონს.

- ვერა, ერთიც კი, - უპასუხა ამ უკანასკნელმა. - სად არ ვიყავი. სამართებელი აღარ არსებობს.

ყველა სამართებელს დაეძებდა. უინსტონს ორი ცალი ჰქონდა გადანახული. ბოლო თვეებში სამართებლები სანთლით საძებარი გახდა. პარტიის მაღაზიებში მუდმივად არსებობდა ფართო მოხმარების რომელიმე საგნის დეფიციტი: ღილის, ძაფის, ფეხსაცმლის თასმების... ამჯერად სამართებელი გაქრა. „თავისუფალ ბაზარზე“ თუ იშოვიდი, ისიც - მეტ-ნაკლებად კონსპირაციულად.

- ექვსი კვირაა, ერთ სამართებელს ვხმარობ, - დააბოლოვა ტყუილი უინსტონმა. ბუფეტთან დამდგარმა რიგმა ერთი ხელისკვრით კიდევ წაინაცვლა. როცა შეჩერდნენ, უინსტონი კვლავ საიმს მოუბრუნდა. დახლის კიდეზე აკოკოლავებული გროვიდან ორივემ რკინის გაზინთული ლანგარი გამოიღო.

- გუშინ ჩამოხრჩობილი პატიმრები თუ ნახე? - ჰკითხა საიმმა.

- ვმუშაობდი, - მიუგო უინსტონმა, - ალბათ, კინოში ვნახავ.

- რა შედარებაა! - შეიცხადა საიმმა.

მისი დამცინავი თვალები უინსტონის სახეზე დაცოცავდნენ და თითქოს ეუბნებოდნენ: „გიცნობ! შიგნიდან გხედავ და მშვენივრად ვიცი, რატომაც არ წახვედი იმათ სანახავად“. ინტელექტუალური თვალსაზრისით, საიმი ნაფიცი მართლმორწმუნე გახლდათ. შეეძლო ჟრუანტელის მომგვრელი სიხარულით ელაპარაკა მტრის სოფლების დაბომბვაზე ვერტმფრენებით, აზრკრიმინალების

გამოტეხასა და გასამართლებაზე, შემდეგ კი მათ წამებაზე სიყვარულის სამინისტროს სარდაფებში. მასთან საუბრის მსურველს საიმი ამ საგნებიდან უნდა მოეწყვიტა (თუ ეს მოხერხდებოდა) და სიტყვა ჩამოეგდო ახალმეტყველების ტექნიკურ დეტალებზე, რაშიც ეს კაცი ავტორიტეტულიც იყო და საინტერესოც. უინსტონმა სახე ოდნავ მიაბრუნა - თანამოსაუბრის შავი თვალების ბურღს მოარიდა.

- კარგი ჩამოხრჩობა იყო, - ცოცხლად იხსენებდა საიმი, - მგონი, ფეხები არ უნდა შეუკრან ხოლმე: მთელ სანახაობას აფუჭებს. მომწონს, ფეხებს რომ იქნევენ. ყველაზე მეტად კი ის მხიბლავს, ბოლოს მთლად გალურჯებულ ენას რომ გადმოაგდებენ. ეს დეტალი რაღაცას მეუბნება.

- შემდეგი! - დაიყვირა თეთრწინსაფრიანმა და ჩამჩამომარჯვებულმა პროლეტარმა.

უინსტონმა და საიმმა ლანგრები გადააწოდეს. თითოეულ მათგანზე სწრაფად გაჩნდა სტანდარტული ლანჩი: რკინის ჯამი ნაცრისფერ-მოვარდისფრო ხორცსუპით, პურის ნაჭერი, ყველის პატარა კუბი, კათხა გამარჯვების ურძეო ყავით და ერთი აბი სახარინი.

- ეკრანის ქვეშ მაგიდა თავისუფალია, - თქვა საიმმა, - თან ჯინიც გავიყოლოთ.

ჯინი უსახელურო ჩინურ კათხაში ჩამოუსხეს, რის შემდეგაც ერთიმეორის მიყოლებით გაიარეს გადაჭედილი ოთახი და საჭმელი ლითონგადაკრულ მაგიდაზე გადმოაწყვეს. მაგიდის ერთ კუთხეში ვიღაცას ხორცსუპის გუბე - ნარწყევის მსგავსი სველი მასა - დაეყენებინა. უინსტონმა ჯინის კათხა აიღო, ძალა მოიკრიბა და ზეთის გემოდაკრული სითხე ერთ ყლუპად გადაკრა. როგორც კი თვალებზე მოწოლილი ცრემლები უკუაქცია, იგრძნო, რომ შიოდა. სუპით გავსებულ კოვზს შიგადაშიგ ხორცის პაწია მოვარდისფრო ნაწილაკებიც მოჰყვებოდა. ჯამების დაცარიელებამდე არც ერთს ხმა არ ამოუღია. უინსტონის მარცხნივ და ოდნავ უკან მდგარი მაგიდიდან ისმოდა ვიღაცის სწრაფი და განუწყვეტელი ლაპარაკი - იხვის ყიყინის მსგავსი უხეში, მთელი ამ ღრიანცელის გამჭოლავი ხმა.

- ლექსიკონის საქმე როგორ მიდის? - თითქმის დაუყვირა უინსტონმა, რათა ყურისწამღები გნიასი გადაეფარა.

- ნელა, - მიუგო საიმმა, - ზედსართავებზე ვარ. დიდებული რამეა! ახალმეტყველების ხსენებამ საიმი წამოანთო. ჯამი გვერდზე მისწია, ერთი ნატიფი ხელით პური აიღო, მეორით - ყველი და მაგიდაზე გადმოწვა, რათა ყვირილის გარეშე ელაპარაკა: - მეთერთმეტე გამოცემა საკვანძოა: ენა თავის საბოლოო ფორმამდე მიგვყავს. ასეთი იქნება მაშინ, როცა ყველა მხოლოდ ამ ენაზე ილაპარაკებს. როცა დავამთავრებთ, შენნაირმა ხალხმა ყველაფერი თავიდან უნდა ისწავლოს. ალბათ, გგონია, რომ ჩვენი მთავარი საქმე ახალი სიტყვების გამოგონებაა. სულაც არა! ჩვენ ვანგრევთ სიტყვებს, ყოველდღიურად ასობით სიტყვას. მეთერთმეტე გამოცემის უკლებლივ ყველა სიტყვა დაუძველებლად მიაღწევს 2050 წლამდე.

საიმმა პური ხარბად ჩაკბიჩა, ორი დიდი ლუკმა გადაყლაპა, შემდეგ კი პედანტის ვნებით განაგრძო. გამხდარი შავგვრემანი სახე გამოსცოცხლებოდა, თვალებს დამცინავი გამომეტყველება დაჰკარგოდა და თითქმის მეოცნებე იერი მიეღო: - სიტყვების დაშლა საუცხოო საქმეა! რა თქმა უნდა, ზმნებსა და ზედსართავებში უამრავი რამ იკარგება. სამაგიეროდ, თავიდან იშორებ ასობით არსებით სახელს, - არა მხოლოდ სინონიმებს, არამედ ანტონიმებსაც. ბოლოს და ბოლოს, რა გამართლება აქვს იმ სიტყვის არსებობას, რომელიც მხოლოდ უპირისპირდება სხვა სიტყვებს? სიტყვა თავის თავშივე შეიცავს მის საწინააღმდეგოს. მაგალითისთვის ავიღოთ სიტყვა „კარგი“. თუ ასეთი სიტყვა გაქვს, რაღა საჭიროა სიტყვა „ცუდი“? „არკარგი“ იგივე იქნება, იგივეც და უკეთესიც, რადგან ზუსტად მისი საპირისპიროა, რასაც ვერ ვიტყოდით „ცუდზე“. ან კიდევ, ვთქვათ, გინდა „კარგის“ გაძლიერებული ვარიანტი, რა აზრი აქვს ისეთ ბუნდოვან სიტყვებს, როგორებიცაა „შესანიშნავი“, „დიდებული“ და სხვა მისთანანი? ამას „კარგპლუსიც“ მოიცავს, ან - თუ უფრო ძლიერი სიტყვა გსურს - „კარგორპლუსი“. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ ფორმებს უკვე ვიყენებთ. მაგრამ ახალმეტყველების საბოლოო ვერსიაში სხვა აღარაფერი იქნება. სიკარგისა და სიცუდის მთელ ცნებას სულ ექვსი სიტყვა გასწვდება, არსებითად კი -ერთადერთი სიტყვა. გრძნობ ამ ყველაფრის სიმშვენიერეს, უინსტონ? რასაკვირველია, ეს იდეაც დიდი ძმისაგან მოდის, - დააგვირგვინა საიმმა.

უინსტონს სახეზე რაღაც უმარილო ენთუზიაზმმა გადაჰკრა. თანამოსაუბრემ მაშინვე შეამჩნია ეს.

- შენ ჭეშმარიტად ვერ აფასებ ახალმეტყველებას, უინსტონ, - თქვა მან თითქმის სევდიანად, - წერის დროსაც კი ისევ ძველმეტყველებით აზროვნებ. ვკითხულობ ხოლმე შენს ნაწერებს „ტაიმსში“. საკმაოდ კარგად იკითხება, მაგრამ ეს მაინც თარგმანია. გულში ისევ ძველმეტყველებაზე კიდიხარ მთელი მისი ბუნდოვანებითა და უსარგებლო მნიშვნელობებით. ვერ გრძნობ სიტყვების დაშლის სილამაზეს. იცი თუ არა, რომ ახალმეტყველება მსოფლიოს ერთადერთი ენაა, რომლის ლექსიკაც წლიდან წლამდე მცირდება?რასაკვირველია, უინსტონმა იცოდა. თანამოაზრის გამგებიანი ღიმილით გაიღიმა, თუმცა ხმის ამოღება მაინც ვერ გაბედა. საიმმა კიდევ ერთხელ ჩაკბიჩა მუქყავისფერი პური, ცოტა გაღეჭა და განაგრძო: - ნუთუ ვერ ხედავ, რომ ახალმეტყველების მთელი მიზანი აზრის დავიწროებაშია? საბოლოოდ იქამდე მივალთ, რომ სრულებით გამოვრიცხავთ აზრკრიმინალს, რადგან სიტყვა აღარ დარჩება მის გამოსახატავად. ყოველი საჭირო ცნების გამოთქმას ზუსტად ერთი სიტყვა ეყოფა, სიტყვა, რომლის პირდაპირ მნიშვნელობას მკაცრად განვსაზღვრავთ, მეორეულ მნიშვნელობებს კი გავაუქმებთ და დავივიწყებთ. მეთერთმეტე გამოცემაში უკვე შორს არ ვართ ამისგან. მაგრამ ეს პროცესი შენი და ჩემი სიკვდილის შემდეგაც დიდხანს გაგრძელდება. წლიდან წლამდე შემცირდება სიტყვების რაოდენობა და, შესაბამისად, ცნობიერების დიაპაზონიც. აზრკრიმინალს არც ახლა ეპატიება არაფერი. ეს ხომ, უბრალოდ, თვითდისციპლინისა და სინამდვილის კონტროლის საკითხია. მაგრამ შემდგომში ამის საჭიროებაც აღარ იქნება. რევოლუცია მაშინ დასრულდება, როცა ენა სრულყოფილებას მიაღწევს. ახალმეტყველება ინგსოცია, ინგსოცი კი -ახალმეტყველება, - დაამატა საიმმა ერთგვარი მისტიკური კმაყოფილებით, -გიფიქრია ოდესმე, უინსტონ, რომ 2050 წლისთვის - თუ უფრო ადრე არა - აღარავინ იქნება ისეთი, ვინც ჩვენს დღევანდელ საუბარს გაიგებდა?-

გარდა... - დაიწყო უინსტონმა იჭვნეულად და შეჩერდა.

ენის წვერზე მომდგარი „გარდა პროლეტარებისა“ აღარ წარმოთქვა, რადგან ბოლომდე დარწმუნებული არ იყო მსგავსი შენიშვნის მიზანშეწონილობაში. თუმცა საიმი იმწამსვე მიუხვდა: - პროლეტარები ადამიანები არ არიან, - თქვა უდარდელად, - 2050 წლისთვის - ალბათ, უფრო ადრეც - ძველმეტყველებისგან კვალიც აღარ დარჩება, ისევე, როგორც წარსულის მთელი ლიტერატურისგან. ჩოსერი, შექსპირი, მილტონი, ბაირონი - ყველა იარსებებს მხოლოდ ახალმეტყველების ვარიანტებში, ანუ იარსებებენ არა უბრალოდ სხვა, არამედ ზუსტად დღევანდელის საპირისპირო სახით. შეიცვლება პარტიული ლიტერატურაც, ისევე, როგორც მისი ლოზუნგები. აბა, როგორ უნდა იარსებოს ლოზუნგმა „მონობა თავისუფლებაა“, როცა თავისუფლების ცნება აღარ იარსებებს? აზრის მთელი კლიმატი განსხვავებული იქნება. არსებითად, არავითარი აზრი აღარ იარსებებს, ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით. მართლმორწმუნეობა ნიშნავს არაზროვნებას, აზროვნების არსაჭიროებას. მართლმორწმუნეობა - არაცნობიერებაა.

„საიმს მალე ააორთქლებენ“, გაუელვა უინსტონს. მეტისმეტად ჭკვიანია, მეტისმეტად ნათლად ხედავს, მეტისმეტად კარგად ლაპარაკობს. პარტიას არ უყვარს ასეთი ხალხი. ერთ დღესაც საიმი გაქრება. სახეზე აწერია, რომ ასე იქნება.

უინსტონმა პური და ყველი შეჭამა და ყავის დასაყოლებლად ოდნავ გვერდით შებრუნდა. მარცხნივ მჯდომი კაცი ისევ ყურისწამღებად ყიყინებდა. იმავე მაგიდასთან უინსტონისკენ ზურგშექცევით მჯდარი ახალგაზრდა ქალი - ალბათ, იმ კაცის მდივანი - ყურადღებით უსმენდა თავის შეფს და, როგორც ჩანდა, მგზნებარედ იზიარებდა ყველაფერს. ხანგამოშვებით უინსტონს ესმოდა ახალგაზრდული, სულელურ-ქალური ხმით წარმოთქმული ფრაზა: „შენ ისე მართალი ხარ, ისე ვიზიარებ ამ ყველაფერს“. მაგრამ კაცი მაინც არ ჩერდებოდა, - მაშინაც კი, როცა ქალი ჩაერთვებოდა. უინსტონი ამ კაცს გარეგნობით ცნობდა. მას რაღაც მნიშვნელოვანი პოსტი ეჭირა ფიქციის დეპარტამენტში. ასე, ოცდაათი წლის იქნებოდა, ძალუმი ყელითა და დიდი, მოძრავი პირით. თავი ოდნავ უკან გადაეწია, სათვალის შუშებზე სინათლე ეცემოდა და ისეთი კუთხით იჯდა უინსტონის მიმართ, რომ ეს უკანასკნელი თვალების ნაცვლად ორ ცარიელ დისკოს ხედავდა. ჟრუანტელის მომგვრელი იყო მისი პირიდან მომდინარე შეუჩერებელი ნაკადი, რომელშიც თითქმის ვერც ერთ სიტყვას ვერ გაარჩევდი. უინსტონმა ერთადერთხელ მოიხელთა თითქოს ლინოტიპის ერთ ნაჭრად გადმოსროლილი ფრაზა: „გოლდსტეინიზმის სრული და საბოლოო აღმოფხვრა“. მთლიანობაში კი მხოლოდ ხმაური ისმოდა, მხოლოდ „ყი-ყი-ყი“. მიუხედავად ამისა, მისი სათქმელის შინაარსი სრულებით ცხადი იყო. სულერთი იყო, გოლდსტეინს გმობდა, აზრკრიმინალებისა და დივერსანტების წინააღმდეგ უფრო მკაცრი ზომების გატარებას ითხოვდა, რისხვას აფრქვევდა ევრაზიული ჯარის მიერ ჩადენილ სისასტიკეთა მიმართ თუ ხოტბას ასხამდა დიდ ძმასა და მალაბარის ფრონტის გმირებს, - დარწმუნებით შეგეძლო გეთქვა, რომ მისი მართლმორწმუნე სიტყვები მხოლოდ ინგსოციდან მომდინარეობდა. უინსტონი უყურებდა უთვალო სახეს, აჩქარებით გახსნილ-დაკეტილ ყბას, უყურებდა უცნაური გრძნობით, თითქოს რაღაც მანეკენს ხედავდა და არა - ადამიანს. თვით ლაპარაკის სათავეც ტვინში კი არა, ხორხში იყო. მთელი ეს ნიაღვარი

სიტყვებისგან კი შედგებოდა, მაგრამ არ წარმოადგენდა მეტყველებას ამ სიტყვის ნამდვილი აზრით. ეს იყო არაცნობიერებიდან დაძრული ხმაური.

ცოტა ხნით დადუმებული საიმი კოვზის ტარით ხაზებს ავლებდა თეფშის ფსკერზე დარჩენილ სუპში. მეზობელი მაგიდიდან ისევ ისმოდა ცეცხლშენთებული იხვის ხმა, რომელსაც ოთახის მთელი გნიასიც ვერ ახშობდა.

- არის ერთი სიტყვა ახალმეტყველებაში, - ისევ წამოიწყო საიმმა, - არ ვიცი, თუ გაგიგონია: იხვმეტყველება, იხვივით ყიყინს ნიშნავს. ერთი იმ სიტყვათაგანია, რომელსაც ორი საპირისპირო მნიშვნელობა აქვს: ოპონენტის მისამართით ნათქვამი -ლანძღვაა, თანამოაზრესთან მიმართებაში - ქება.

საიმს ნამდვილად ააორთქლებენო, კიდევ ერთხელ გაუელვა უინსტონს, გაუელვა ერთგვარი სევდითაც კი, მიუხედავად იმისა, რომ საიმი მას აბუჩად იგდებდა, ცოტა ეზიზღებოდა კიდეც და, თუ საამისო მიზეზს უპოვიდა, თავისუფლად შეეძლო, აზრკრიმინალობა დაეწამებინა. არადა, ყველაფერი თვითონაც ვერ ჰქონდა რიგზე: აკლდა სიფრთხილე, შორიახლო ყოფნის უნარი, გადამრჩენელი სიბრიყვე... არა, მართლმორწმუნეობა ნამდვილად არ აკლდა. საიმს სწამდა ინგსოცის პრინციპები, მოწიწებით თრთოდა დიდი ძმის წინაშე, უხაროდა თავისი არმიის გამარჯვება, სძულდა ერეტიკოსები, - არა მხოლოდ გულით, არამედ იმ დაუდეგარი მოწადინებითა და სრული ინფორმირებულობით, რომელიც მიუწვდომელი იყო პარტიის ჩვეულებრივი წევრისთვის. და მაინც, საეჭვო რეპუტაციის მსუბუქი ღრუბელი საიმს ყველგან თან სდევდა. ისეთი რამეები უთქვამს, რაზეც გაჩუმება ჯობდა. მეტისმეტად ნაკითხი იყო. ხშირად სტუმრობდა „წაბლის ხის კაფეს“ -მხატვრებისა და მუსიკოსების ბუდეს. ამ ადგილის საწინააღმდეგოდ არ არსებობდა დაწერილი ან თუნდაც დაუწერელი კანონი, მაგრამ მას მაინც ავის მომასწავებლად მიიჩნევდნენ. აქ დადიოდნენ პარტიის ძველი, აწ უკვე გადაყენებული ლიდერები, ვიდრე საბოლოო წმენდაში მოჰყვებოდნენ. ამბობდნენ, წლების და ათწლეულების წინ აქ გოლდსტეინიც ყოფილაო. ასე რომ, საიმის ბედიც არ იყო ძნელი გამოსაცნობი.

და ამ ყველაფრის მიუხედავად, ფაქტი ფაქტად რჩებოდა: თუ საიმი ერთხელ მაინც იყნოსავდა უინსტონის ფარულ შეხედულებებს, წამსვე დაასმენდა აზრის პოლიციაში. ასე იზამდა ყველა, საიმი - სხვებზე უფრო ოპერატიულად. გულმოდგინება საკმარისი არ იყო: მართლმორწმუნეობა ნიშნავდა არაცნობიერებას.

- პარსონსი მოდის, - თქვა თავაწეულმა საიმმა ისეთი ტონით, თითქოს უსიტყვოდ დაამატაო: „...ეს სისხლიანი ბრიყვი“.

ტომ პარსონსი - უინსტონის მეზობელი, „გამარჯვების სახლის“ ერთ-ერთი მდგმური, საშუალო სიმაღლის ჩაკურატებული კაცი ქერა თმითა და გომბეშოს სახით - მართლაც მათკენ მოიკვლევდა გზას. ოცდათხუთმეტი წლისას ყელსა და მუცელზე უკვე ნაკეცებად ეკიდა ქონი, თუმცა მოძრაობები მაინც სწრაფი და ბიჭური ჰქონდა. გარეგნობით იმდენად ჰგავდა გაბერილ-გადიდებულ პატარა ბიჭს, რომ, მიუხედავად განუყრელი სპეცტანსაცმლისა, თითქმის შეუძლებელი იყო მისი წარმოდგენა დამსმენთა გაერთიანების წევრთა ლურჯი შორტების, ნაცრისფერი მაისურისა და წითელი ყელსახვევის გარეშე. მასზე ფიქრისას მუდამ

წარმოგიდგებოდათ ფოსოიანი მუხლისთავები და ფუნთუშა იდაყვები აკაპიწებული სახელოებით. პარსონსი მართლაც ყოველთვის შორტს იცვამდა, როცა კი საპატიო მიზეზი მიეცემოდა საზოგადოებრივი ექსკურსიისა თუ ნებისმიერი სხვა ფიზიკური აქტივობის სახით. საიმს და უინსტონს მხიარული „ჰელოუ, ჰელოუ“-თი მიესალმა, მათ მაგიდას მიუჯდა და ოფლის სუნიც ზედ მიაფრქვია. ვარდისფერი სახე მთლად ოფლის წვეთებით დაფარვოდა. მართლაც განსაცვიფრებელი ძალის ოფლდენა იცოდა. საზოგადოებრივ ცენტრში მისული, ყოველთვის მიხვდებოდი ჩოგნის გაოფლილი ტარით, რომელმა თანამშრომელმა ითამაშა ცოტა ხნის წინ ჩოგბურთი.

ამასობაში, საიმს ქაღალდის ნაგლეჯზე სიტყვები ჩამოეწერა და ხელში ავტოკალამმომარჯვებული ჩაჰკირკიტებდა.

- ერთი ამას უყურე, ლანჩის დროსაც მუშაობს! - იდაყვი წაჰკრა პარსონსმა უინსტონს და საიმზე ანიშნა, - რას უკირკიტებ, ძველო? ალბათ, რაღაც ჩემი ტვინისთვის მიუწვდომელს. სმიტ, შე ძველო, ძლივს არ გიპოვე! ხელმოწერა დაგავიწყდა.

- რა ხელმოწერა? - ჰკითხა უინსტონმა და მექანიკურად ფულზე გაიფიქრა. ხელფასის მეოთხედი ნებაყოფლობით ხელმოწერებში უნდა გადაგეხადა. იმდენი დასახელება იყო, თავგზა აგებნეოდა.

უინსტონმა ჯიბე მოიჩხრიკა და ორი დაჭმუჭნილ-დალაქავებული ბანკნოტი პარსონსს გადასცა. ამანაც პატარა ბლოკნოტში ჩაწერა უწიგნური კაცის ცალ-ცალკე გამოყვანილი ასოებით.

- სხვათა შორის, ძველო, - კვლავ წამოიწყო მან, - ჩემს პატარა მათხოვარს შენთვის შურდული უსროლია. მაგრად გავჯორე. თუ კიდევ იზამ, შურდულს წაგართმევ-მეთქი.

- მგონი, ცოტა ნაწყენი იყო, ჩამოხრჩობაზე რომ არ მიჰყავდათ, - უთხრა უინსტონმა.

- ისე, ყოჩაღი ბიჭია, არა? მავნეები არიან, ეგ მამაძაღლები, მაგრამ ჭკუა მომართული აქვთ. მარტო ჯაშუშებზე და ომზე ლაპარაკობენ. იცი, გასულ შაბათს რა გააკეთა ჩემმა გოგომ ბერკჰამპსტედში ექსკურსიაზე ყოფნისას? ორი თანარაზმელი გოგო აიყოლია, ექსკურსიიდან გაიპარნენ და მთელი ნაშუადღევი უცნობ კაცს დასდევდნენ. ორი საათი სდიეს შუა ტყეში, მერე კი პატრულს ჩააბარეს ამერშამში.

- რატომ? - ჰკითხა შეცბუნებულმა უინსტონმა.

- ჩემს გოგოს უფიქრია, - ტრიუმფულად განაგრძო პარსონსმა, - ნაღდად მტრის ჯაშუში არისო. ვინ იცის, ეგებ პარაშუტითაც ჩამოხტაო. თუ იცი, რატომ იფიქრა ასე? საქმეც ის არის, რომ იმ ტიპს უცნაური ფეხსაცმელები ეცვა. ასეთი სხვა დროს არასოდეს მინახავსო. ჰოდა, იქნებ უცხოელი იყოო, გაიგე? როგორია შვიდი წლის ასაკისთვის, ჰა? - იმ კაცს რა უქნეს? - ჰკითხა უინსტონმა.

- ეგ არ ვიცი. თუმცა სულ არ გამიკვირდება, თუ... - პარსონსმა თოფის დამიზნების მოძრაობა გააკეთა და ენა გააწკლაპუნა.

- კარგია, - ქაღალდიდან თავაუღებლად თქვა ამ დროს საიმმა.

- რა თქმა უნდა, არც ეგაა გამორიცხული. - შენიშნა უინსტონმა მოვალეობის შეგნების გრძნობით.

- ბოლოს და ბოლოს, ომია, - თქვა პარსონსმა.

თითქოს დაუყოვნებლივ დაუდასტურაო, მათ თავს ზემოთ ეკრანიდან საყვირმა დაიქუხა. თუმცა ამჯერად მორიგ სამხედრო გამარჯვებას კი არ იუწყებოდნენ, არამედ დოვსამინის შეტყობინებას: „ამხანაგებო! - გაისმა მგზნებარე ახალგაზრდული ხმა, - ყურადღება, ამხანაგებო! დიდებულ სიახლეს გაუწყებთ: ჩვენ მოვიგეთ ბრძოლა პროდუქციის გაზრდისთვის! მოხმარების ყველა საგნის წარმოების უკანასკნელი აღრიცხვა გვიჩვენებს, რომ ცხოვრების დონემ გასულ წელთან შედარებით სულ ცოტა ოცი პროცენტით აიწია. ამ დილით მთელ ოკეანიაში დიდი სახალხო დემონსტრაციები მოეწყო. ქარხნებიდან და ადმინისტრაციული შენობებიდან სტიქიურად გამოსული მუშათა კლასის წარმომადგენლები დროშებით ხელში ქუჩებს მიუყვებოდნენ და მადლობას აღუვლენდნენ დიდ ძმას ახალი, ბედნიერი ცხოვრებისთვის, რომელიც მისი ბრძნული მმართველობით გვებოძა. აი, ზოგიერთი საბოლოო მაჩვენებელი: საკვების წარმოება...“ხმამ რამდენჯერმე გაიმეორა „ახალი, ბედნიერი ცხოვრება“ - დოვლათის სამინისტროს რჩეული ფრაზა. საყვირს მიყურადებული პარსონსი პირღია იჯდა, სახეზე ერთდროულად სადღესასწაულო განწყობაც აღბეჭდვოდა და რაღაცნაირი მოწყენილობაც. ის ხომ ვერ ჩასწვდებოდა, რას ნიშნავდა ეკრანიდან მომჩქეფარე რიცხვები. ხვდებოდა მხოლოდ ერთს: ეს რიცხვები სრული კმაყოფილების მიზეზს იძლეოდნენ. ჯიბიდან დიდი, გაზინთული, დამწვარი თამბაქოთი ნახევრად სავსე ყალიონი ამოიღო. თამბაქოს ულუფა კვირაში ას გრამს შეადგენდა და ჩიბუხი იშვიათად თუ ივსებოდა პირამდე. უინსტონი „გამარჯვების სიგარეტს“ ეწეოდა და ფრთხილად ეჭირა ჰორიზონტალურად. შემდეგი ულუფა მეორე დილას ერგებოდა და იქამდე ოთხი ღერიღა ჰქონდა. ამწუთას აღარაფერს უსმენდა, ტელეეკრანის გარდა. დემონსტრანტები მადლობას სწირავდნენ დიდ ძმას შოკოლადის ულუფის ოც გრამამდე გაზრდისთვის. უინსტონს გუშინდელი შეტყობინება გაახსენდა - შოკოლადის ულუფა კვირაში ოც გრამამდე დაიკლებსო. ნუთუ ხალხი თვალის დაუხამხამებლად ჩაყლაპავდა სულ რაღაც ოცდაოთხ საათში შეტრიალებულ ამბავს? როგორც ეტყობოდა, ჩაყლაპავდა. პარსონსმა ხომ ცხოველის სიბრიყვით ჩაყლაპა. მეზობლად მჯდომმა სათვალიანმაც ჩაყლაპა, - ფანატიკურად, მგზნებარედ, შმაგი სურვილით, რომ მოეხელთებინა, ემხილებინა, აეორთქლებინა ნებისმიერი, ვინც იტყოდა, გასულ კვირას შოკოლადის ულუფა ოცდაათი გრამი იყოო. საიმმაც გადაყლაპა, ოღონდ უფრო რთულად, ორაზრის დახმარებით. მაშ, უინსტონი მარტო დარჩა? სხვას აღარავის ახსოვდა წარსული?ეკრანიდან კვლავ ზღაპრული სტატისტიკა მორაკრაკებდა. შარშანდელთან შედარებით წელს მეტი საკვები, მეტი ტანსაცმელი, მეტი სახლი, მეტი ავეჯი, მეტი ქვაბი, მეტი საწვავი, მეტი გემი, მეტი ვერტმფრენი, მეტი წიგნი, მეტი ბავშვი იყო, -ყველაფერი უფრო მეტი, ავადმყოფობის, ბოროტმოქმედებისა და შეშლილობის გარდა. წლიდან

წლამდე და წუთიდან წუთამდე ყველა და ყველაფერი სულ შხუილ-შხუილით მიიწევდა ზევით. უინსტონმაც, როგორც მანამდე საიმმა, კოვზი აიღო და მაგიდაზე დაღვრილ უფერო წვენში ფიგურების გამოყვანა დაიწყო. აღშფოთებული ფიქრობდა ცხოვრების ფიზიკურ მხარეზე: ნუთუ ის ყოველთვის ასეთი იყო? ნუთუ ყოველთვის ასეთი გემო ჰქონდა საჭმელს? უინსტონმა ბუფეტი მოათვალიერა, -დაბალჭერიანი, ხალხით გავსებული ოთახი, უთვალავი სხეულის ხახუნისგან ჩაჟამებული კედლები, ახლო-ახლოს მიჯრილი და გაცრეცილი რკინის სკამ-მაგიდები, გაღუნული კოვზები, დაჟეჟილი ლანგრები, ხორკლიანი თეთრი კათხები, გაქონილი ზედაპირები ყველა ნაპრალში ჩარჩენილი ჭუჭყით... და ეს ყველაფერი - უხარისხო ჯინის, ასეთივე ყავის, რკინისგემოიანი ხორცსუპისა და ზინზლიანი ტანსაცმლის მომჟავო ოხშივარში გახვეული. მუცელშიც და თვით კანშიც გამუდმებით გქონდა პროტესტის მსგავსი შეგრძნება, რომ ისეთ რამეში გატყუებდნენ, რისი მოთხოვნის უფლებაც ნამდვილად გქონდა. უინსტონს მართლა არ ახსოვდა არსებითად განსხვავებული ვითარება. მის მეხსიერებაში არსებულ არც ერთ პერიოდში არ ყოფილა საკმარისი საკვები, არასოდეს ჰქონია უნახვრეტო წინდა ან საცვალი, ავეჯიც ყოველთვის დიდი ხნის ნახმარი და მორყეული ედგა, ოთახები არასაკმარისად თბებოდა, წყალგაყვანილობა წამდაუწუმ იჭედებოდა, სახლები ნაწილებად იშლებოდა, პურს სულ რუხი ფერისას აცხობდნენ, ჩაი იშვიათობა იყო, ყავა - უგემური, სიგარეტი - არასაკმარისი. ერთი სიტყვით, არაფერი იშოვებოდა იაფად და უხვად, გარდა სინთეტიკური ჯინისა. და თუმცა, რასაკვირველია, ადამიანის სხეულის დაბერებასთან ერთად ყველაფერი ისედაც უარესდებოდა, განა ის მაინც არ მიანიშნებდა საგანთა არაბუნებრივ წყობაზე, რომ გულს აავადებდა დისკომფორტი, ჭუჭყი და უპოვრობა, დაუსრულებელი ზამთრები, ფეხებზე მიკრული წინდები, ქრონიკულად გაჩერებული ლიფტები, გაუმთბარი წყალი, ხორკლიანი საპონი, თითებში შემოფშვნილი სიგარეტი, ავის მომასწავებლად უგემური საკვები? რატომ უნდა ეგრძნო დღეს ადამიანს ამ ყველაფრის აუტანლობა, თუკი არ არსებობდა ერთგვარი შთამომავლობითი ხსოვნა, რომ ოდესღაც ყველაფერი სხვაგვარად იყო?უინსტონმა მზერა ისევ მიმოატარა: აქ თითქმის ყველა უშნოდ გამოიყურებოდა და არანაკლებ უშნო იქნებოდა ლურჯი სპეცტანსაცმლის გარეშეც. ბუფეტის შორ კუთხეში მდგარ მაგიდას მარტოკა მისჯდომოდა უცნაური, ხოჭოს მსგავსი კაცი, რომელიც ეჭვიან მზერას აქეთ-იქით ისროდა. „როცა საკუთარ თავს არ უყურებ, -გაიფიქრა უინსტონმა, - რა ადვილია იმის დაჯერება, რომ მართლა არსებობს და საყოველთაოდ ჭარბობს პარტიის მიერ იდეალად მიჩნეული ადამიანის ტიპი -დაკუნთული ჭაბუკები და სავსემკერდიანი ქალიშვილები, ქერათმიანნი, სიცოცხლით სავსენი, მზედაკრულნი და უზრუნველნი“. სინამდვილეში, რამდენადაც ჩანდა, ასაფრენ-დასაშვები მოედნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიზიკურად მომცრო, შავგვრემანი და ულამაზო იყო. სამინისტროებში უცნაურად მრავლდებოდნენ ეს ხოჭოსებრი ადამიანები: პატარები, ჯმუხები, ნაადრევად მომწიფებულ-გამკვრივებულები, მოკლე ფეხებით, მკვეთრი მოძრაობებითა და მსუქან, შეუღწეველ სახეებში ღილებივით ჩამჯდარი თვალებით.

დოვლათის სამინისტროს შეტყობინებას მეორე საყვირის ხმა მოჰყვა, შემდეგ კი თითქოს თუნუქის საკრავებით შესრულებული მუსიკა. ციფრების თავსხმით ბუნდოვნად აღფრთოვანებულმა პარსონსმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო: - დოვლათის სამინისტრომ წელს ნამდვილად ბევრი იმუშავა. - თქვა მცოდნე

იერით. - ჰო, მართლა. სმიტ, ძველო, სამართებელი ხომ არ გექნება ჩემთვის?- არა. ექვსი კვირაა ერთ სამართებელს ვხმარობ.

- ჰო, კარგი. ვიფიქრე, ვთხოვ-მეთქი.

- უკაცრავად ვარ.

მეზობელ მაგიდასთან ისევ გაისმა მოყიყინე ხმა. მხოლოდ დოვლათის სამინისტროს შეტყობინების დროს დუმდა, ახლა კი ისევ უწინდებურად აყიყინდა. რატომღაც უინსტონს გონებაში მისის პარსონსი ამოუტივტივდა მისი ერთი ბღუჯა თმითა და სახის ნაოჭებში ჩამჯდარი მტვრით. ორი წლის შემდეგ შვილები ამ ქალს აზრის პოლიციაში დაასმენენ. მისის პარსონსი აორთქლდება. საიმი აორთქლდება. უინსტონი აორთქლდება. ო'ბრაიენი აორთქლდება. აი, ტომ პარსონსი კი არასოდეს აორთქლდება. არც ეს მოყიყინე, უთვალო არსება. სამინისტროების დერეფნებში აჩქარებით მოსიარულე ხოჭოსებრი ადამიანებიც არასოდეს აორთქლდებიან. ის შავგვრემანი გოგოც ფიქციის დეპარტამენტიდან - არც იმას მოუვა რამე. უინსტონს ეჩვენებოდა, რომ ინსტინქტურად იცოდა, ვინ გაქრებოდა და ვინ არა, თუმცა არც ისე ადვილი იყო იმის თქმა, სახელდობრ რა ნიშნით გადარჩებოდი.

ამ მომენტში ვიღაცამ უბიძგა და უინსტონი ფიქრებიდან გამოარკვია. მეზობელ მაგიდასთან მჯდარი ქალიშვილი ნაწილობრივ შემობრუნებულიყო და უინსტონს უყურებდა. სწორედ ის შავთმიანი გახლდათ ფიქციის დეპარტამენტიდან! უცნაური დაჟინებით მიშტერებოდა ირიბი მზერით. როგორც კი მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, ქალიშვილმა პირი იბრუნა.

უინსტონს ხერხემლის გაყოლებაზე ოფლმა დაასხა, მთელ სხეულში შიშის საშინელი ჩხვლეტა იგრძნო. მართალია, იმწამსვე გაუარა, მაგრამ გულ-მუცელი კი დაუმძიმდა. რატომ უყურებდა ეს ქალი? რატომ უთვალთვალებდა საერთოდ? სამწუხაროდ, უინსტონს არ ახსოვდა: ქალიშვილი მოგვიანებით მოვიდა თუ უკვე იქ იჯდა, როცა ის და საიმი შემოვიდნენ. აი, გუშინ კი ზუსტად უინსტონის უკან მოთავსდა ყოველგვარი ხელჩასაჭიდი მიზეზის გარეშე. სავსებით შესაძლებელია, რომ განზრახული ჰქონდა, მოესმინა, საკმარისად ხმამაღლა ყვირის თუ არა ეს კაციო.

„ალბათ, აზრის პოლიციის მუშაკი არ არის", აღუდგა უინსტონს უწინდელი ფიქრი. თუ ასეა, მაშინ ქალიშვილი მოყვარული ჯაშუში ყოფილა, ყველაზე დიდი საშინელება, რისი წარმოდგენაც კი შეიძლებოდა. უინსტონმა არ იცოდა, რამდენ ხანს უყურებდნენ ამჯერად, - ალბათ, ხუთ წუთს მაინც, ამ ხნის მანძილზე კი სახის გამომეტყველება უზადო ვერ ექნებოდა. მომაკვდინებლად სახიფათო იყო სახეზე ნამდვილი აზრების გამოფენა ხალხმრავალ ადგილებშიც და ტელეეკრანის არეშიც. უმცირესი დეტალიც კი გაგყიდდა: ნერვიული მოძრაობა, აღელვებული მზერა, საკუთარ თავთან ბუტბუტი - ყველაფერი, რასაც ნორმიდან გადახვევის ნიშანი ედო და რაც ამჟღავნებდა, რომ რაღაცას მალავდი. ნებისმიერ შემთხვევაში, შეუფერებელი გამომეტყველება (მაგალითად, უნდობელი იერი გამარჯვების გამოცხადების დროს) უკვე თავისთავად დანაშაულებრივი ქმედება იყო და სასჯელს ითხოვდა. შესაფერისი სიტყვაც კი არსებობდა ახალმეტყველებაში: სახეკრიმინალი. ქალიშვილმა კვლავ ზურგი შეაქცია. ვინ

იცის, იქნებ არც უთვალთვალებდა, იქნებ მართლა დაემთხვა, რომ ორი დღე ზედიზედ სადღაც ახლომახლო აღმოჩნდა. უინსტონმა ჩამქრალი სიგარეტის ნარჩენი მაგიდის კიდეზე დადო: თუ შენახვას მოახერხებდა, დანარჩენს სამუშაო დღის ბოლოს მოწევდა. ფრიად სარწმუნო ჩანდა, რომ მეზობელ მაგიდასთან მჯდომი იხვისხმიანი კაცი აზრის პოლიციის თანამშრომელი იყო და, ალბათ, უინსტონიც სამიოდე დღეში სიყვარულის სამინისტროს სარდაფებში ამოყოფდა თავს. მაგრამ სიგარეტის ნამწვის გადაგდება მაინც არ შეიძლებოდა. საიმმაც თავისი ქაღალდი დაკეცა და ჯიბეში ჩაიჩურთა. პარსონსი ისევ ალაპარაკდა: - ის თუ გიამბე, ძველო, - ჩაიხითხითა პირიდან ჩიბუხის გამოუღებლად, - როგორ წაუკიდეს ჩემმა სალახანებმა ცეცხლი ბაზრის მოხუც გამყიდველს კაბაზე, როცა ამ ქალმა სოსისი დიდი ძმის პლაკატში გაახვია? ზურგიდან მიეპარნენ და ანთებული ასანთი კაბის ბოლოზე მიადეს. დარწმუნებული ვარ, კარგად შეიტრუსებოდა. მდოგვივით შეგახურებენ ხოლმე ეს მამაძაღლები. ჯაშუშთა გაერთიანებაში დღეს საუკეთესო წვრთნას გადიან. იცი, რა დაურიგეს სულ ბოლოს? ყურის მილძაბრები გასაღების ნახვრეტებიდან სხვისი ლაპარაკის მისაყურადებლად. ჩემმა გოგომ გუშინ საღამოს მოიტანა და ჩვენს ოთახზე გამოცადა. ორჯერ უკეთ მესმის, ვიდრე ცარიელი ყურითო, დაასკვნა ბოლოს. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ სათამაშოა, მაგრამ სწორ გეზს აძლევს, რას იტყვი?ამ მომენტში ეკრანმა ყურისწამღებად დაუსტვინა. შესვენება დამთავრდა. სამივენი წამოხტნენ, რათა სხვებთან ერთად ლიფტში მოსახვედრად ებრძოლათ. უინსტონის სიგარეტიდან თამბაქო ძირს დაცვივდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

VI

უინსტონი დღიურში წერდა: ეს იყო სამი წლის წინ, ერთ ბნელ საღამოს, ვიწრო შუკაში, რკინიგზის ერთ-ერთი დიდი სადგურის ახლოს. ის იდგა კედელში გამოჭრილ კართან ქუჩის ლამპიონის ქვეშ, რომელიც ძლივს ბჟუტავდა. ახალგაზრდა სახე ძალიან სქლად შეეღება. სწორედ ამ სახის სითეთრემ და ტუჩების კაშკაშა წითელმა მიმიზიდა. პარტიის ქალები არასოდეს იღებებიან. ქუჩაში სხვა არავინ იყო, არც ტელეეკრანი. ორი დოლარიო, თქვა. მე...

აქ წერა ვეღარ გააგრძელა. თვალები დახუჭა და ქუთუთოებზე თითები მიიჭირა, რათა მრავალგზის გამეორებული ხილვა თავიდან მოეშორებინა. საშინლად მოუნდა მთელი ხმით ეყვირა უცენზურო სიტყვები ან თავი კედლისთვის ეხალა, მაგიდას გადავლებოდა და, ფანჯარასთან მიჭრილს, სამელნე ქუჩაში ესროლა. ერთი სიტყვით, რამე ძლიერი, ხმაურიანი ან მტკივნეული მოძრაობის გაკეთება მოუნდა, რამე ისეთის, მტანჯველ მოგონებას ერთიანად რომ წაუშლიდა მეხსიერებიდან.

ადამიანის უპირველესი მტერი მისივე ნერვული სისტემააო, ფიქრობდა. შინაგანი დაძაბულობა ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა ქცეულიყო გარეშე თვალისთვის დასანახ სიმპტომად. ის კაცი გაახსენდა, რამდენიმე კვირის წინ რომ ჩაუარა ქუჩაში: პარტიის წევრი, ოცდათხუთმეტი-ორმოცი წლის, სრულებით ჩვეულებრივი გარეგნობის, საშუალოზე მაღალი და გამხდარი, ხელში დიპლომატის ჩანთით. ერთმანეთს რამდენიმე მეტრიღა აშორებდათ, როცა უცნობის სახის მარცხენა ნახევარი სპაზმმა დაკრუნჩხა. მეორედ ზუსტად მაშინ დაემართა, როცა ერთმანეთს ჩაუარეს: - ნახევარი სახის ერთი გატოკება, ერთი დატალღვა, ფოტოაპარატის დიაფრაგმის გაჩხაკუნებასავით სწრაფი, მაგრამ აშკარად უკვე ჩვევად ქცეული. უინსტონს ისიც გაახსენდა, როგორ იფიქრა იმწამს: „ასეთი რა უქნეს ამ საბრალოს?“. შემაშინებელი ის იყო, რომ ამ მოძრაობას, როგორც ჩანს, გაუცნობიერებლად აკეთებდა. ყველაზე სახიფათო რამეს კი - ძილში ლაპარაკს - ვერანაირად ვერ გააკონტროლებდი.

ჩაისუნთქა და განაგრძო: კარგი, შევყევი, ეზო გავიარეთ და ნახევრად მიწაში ჩამჯდარ სამზარეულოში შევედით. კედელთან საწოლი იდგა, მაგიდაზე - ძალიან ჩაწეული ლამპა. მან...

კბილები წინ წამოსწია, თითქოს გადაფურთხება უნდაო. იმ ქალის პარალელურად თავისი ცოლი ქეთრინიც გაახსენდა. უინსტონი ცოლიანი იყო, - ახლა თუ არა, უწინ მაინც. ალბათ, ახლაც, რაკი იცოდა, რომ ცოლი ცოცხალი ჰყავდა. თითქოს კიდევ ერთხელ შეისუნთქა იმ სამზარეულოს თბილი და დახუთული ჰაერი - ბაღლინჯოების, გაურეცხავი სამოსისა და იაფფასიანი სუნამოს ნარევი სუნი. სიმდარის მიუხედავად, სუნამო მაინც მაცდუნებელ სუნს ავრცელებდა. პარტიის ქალები სუნამოებს საერთოდ არ ხმარობდნენ, ყოველ შემთხვევაში, ამას ვერც კი წარმოიდგენდი. სუნამოს მხოლოდ პროლები იყენებდნენ. უინსტონის გონებაში სუნამოს სუნი განუყოფლად უკავშირდებოდა მრუშობას.

იმ ქალთან მისვლა უინსტონის პირველი შეცოდება იყო ბოლო ორი წლის მანძილზე. მეძავებთან ურთიერთობა, რა თქმა უნდა, იკრძალებოდა, მაგრამ ეს

ერთ-ერთი იმ კანონთაგანი გახლდათ, რომელსაც ხანდახან ძალას მოიკრებდი და დაარღვევდი. საშარო საქმე იყო, მაგრამ არა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. მეძავთან თუ შეგასწრებდნენ, მხოლოდ ხუთი წლით გატუსაღებდნენ შრომა-გასწორებით ბანაკში (თუ, რა თქმა უნდა, სხვა არაფერი გქონდა ჩადენილი). ეს კი საკმაოდ იოლად შეგეძლო აგეცდინა თავიდან. ქალაქის ღარიბ რაიონებში ჭიანჭველებივით ირეოდნენ სხეულით მოვაჭრე ქალები. ზოგიერთს ერთი ბოთლი ჯინითაც კი იყიდდი, ჯინით, რომელსაც, რომ გეკითხა, პროლები არ სვამდნენ. ჩუმ-ჩუმად პარტია აქეზებდა კიდეც პროსტიტუციას, როგორც იმ ინსტინქტების სადინარს, რომელთაც ვერაფრით შეაკავებდი. უბრალო გარყვნილება ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგან მას - მალულსა და უსიხარულოს - მხოლოდ მდაბიო და ჩაძირული კლასის ქალები ეტანებოდნენ. უპატიებელ დანაშაულად ითვლებოდა უწესრიგო ურთიერთობები თვით პარტიის წევრთა შორის. ისე კი, თუმცა დიდ წმენდაში მოყოლილი დამნაშავენი სხვა ბოროტმოქმედებებთან ერთად ამ დანაშაულსაც მუდმივად აღიარებდნენ, მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ასეთი რამ ნამდვილად ხდებოდა.

პარტიას არასოდეს დაუსახავს მიზნად ახლო ურთიერთობების აღკვეთა კაცებსა და ქალებს შორის. ეს ურთიერთობები მას, შესაძლოა, ვერ გაეკონტროლებინა. პარტიის ნამდვილ, თუმცა არასოდეს დეკლარირებულ მიზანს სექსუალური აქტიდან სიამოვნების ამოცლა შეადგენდა. მტრულად ეკიდებოდნენ არა იმდენად სიყვარულს, რამდენადაც ეროტიკას, - როგორც ქორწინებაში, ისე მის გარეთ. ყველა ქორწინება პარტიის წევრთა შორის საგანგებო კომისიას უნდა დაემტკიცებინა. და თუმცა ეს პრინციპი ხმამაღლა არავის გამოუთქვამს, ქორწინების ნებართვა არ ეძლეოდა იმ წყვილს, რომელსაც ფიზიკურ ურთიერთლტოლვას ამჩნევდნენ. ბავშვების გაჩენა და აღზრდა პარტიის სამსახურისთვის: აი, ქორწინების ერთადერთი აღიარებული მიზანი. თვით სექსუალურ აქტს ისეთივე ზიზღნარევი გრძნობით უყურებდნენ, როგორც ოყნის გაკეთებას. ამას, როგორც ვთქვით, ხმამაღლა არავინ აცხადებდა, მაგრამ პარტიის ყოველი წევრი ბავშვობიდანვე ამ ჩაგონებით იზრდებოდა. ახალგაზრდული ანტისექსუალური ლიგა და სხვა ამგვარი ორგანიზაციები ორივე სქესის წარმომადგენელთა სრულ უქორწინობასაც კი ქადაგებდნენ. ასეთ შემთხვევაში, ბავშვები ხელოვნური განაყოფიერებით (ახალმეტყველებით - ხელგანი) გაჩნდებოდნენ და საზოგადოებრივ ინსტიტუტებში აღიზრდებოდნენ. უინსტონმა იცოდა, რომ სერიოზულად ამაზე არავინ ფიქრობდა, მაგრამ, საერთოდ, ასეთი რამ სავსებით შეესატყვისებოდა პარტიის იდეოლოგიას. პარტია ცდილობდა, ჩაეკლა სექსუალური ინსტინქტი, თუ ვერ ჩაკლავდა - დაემახინჯებინა და შეებღალა მაინც. უინსტონმა არ იცოდა, რატომ აკეთებდნენ ამას, მაგრამ ეს ბუნებრივი ჩანდა. ქალების შემთხვევაში პარტიის ძალისხმევამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

უინსტონის ფიქრი კვლავ ქეთრინს დაუბრუნდა. მათი დაშორების შემდეგ ცხრა, ათი თუ თერთმეტი წელი გავიდა. უცნაურია: რა იშვიათად ფიქრობდა ცოლყოფილზე! იყო პერიოდები, როცა ეს ქორწინება საერთოდ არ ახსოვდა. თხუთმეტიოდე თვე თუ გაატარეს ერთად. პარტია არ იძლეოდა განქორწინების ნებართვას, თუმცა უშვილობის შემთხვევაში წყვილს დაშორებისკენ უბიძგებდა.

ქეთრინი იყო მაღალი, ლამაზთმიანი, ალვასავით წელგამართული ქალიშვილი

მოხდენილი მოძრაობებით. ვიდრე შინაგან სიცარიელეს აღმოუჩენდი, მის თამამ, არწივისებურ ნაკვთებს კეთილშობილურსაც კი უწოდებდი. უინსტონმა ცოლქმრული ცხოვრების დასაწყისშივე დაასკვნა (იქნებ იმიტომ, რომ ქეთრინს სხვებზე უკეთ იცნობდა): ეს ქალი ყველაზე ბრიყვი, რეგვენი და ცარიელი არსებაა ყველა იმათგან, ვინც კი ოდესმე შემხვედრიაო. ლოზუნგების გარდა, სხვა არაფერი ჰქონდა თავში, აბსოლუტურად არაფერი. არ არსებობდა პარტიის მიერ ნასროლი ისეთი სისულელე, რომელსაც ქეთრინი ვერ აითვისებდა. უინსტონმა გონებაში ცოლს „ადამიანის ხმოვანი ჩანაწერი“ შეარქვა. მაინც აიტანდა თანაცხოვრებას, პრობლემად ქცეული სექსი რომ არა.

საკმარისი იყო თითი დაედო, ქეთრინი კრთებოდა და ქვავდებოდა. გინდა ის ჩაგეხუტებინა, გინდა ხის თოჯინა. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მაშინაც კი, როცა ქეთრინი ქმარს ეხვეოდა, თითქოს იმავდროულად მთელი ძალით უკუაგდებდა კიდეც. ასეთ ეფექტს ახდენდა მისი გამაგრებული კუნთები. თვალდახუჭული იწვა და არ ინძრეოდა. არც წინააღმდეგობას უწევდა და არც ხელს უწყობდა, მხოლოდ ემორჩილებოდა. თავიდან ეს უკიდურესად შემაცბუნებელი იყო, შემდეგ კი თავზარდამცემიც გახდა. უინსტონი მაინც იცხოვრებდა ცოლის გვერდით, თუ შეთანხმდებოდნენ, რომ სარეცელს აღარ გაიყოფდნენ. კურიოზული ის იყო, რომ სწორედ ქეთრინმა უარყო ეს იდეა: თუ შევძლებთ, ბავშვი უნდა გავაჩინოთო. ასე რომ, კვირაში ერთხელ, თუ რამე განსაკუთრებული არ დააბრკოლებდათ, ისევ ერთად წვებოდნენ. დილით ქეთრინი შეახსენებდა კიდეც უინსტონს: არ დავიწყებოდა საღამოსთვის დაგეგმილი თანაყოფა. ორ გამოთქმას ხმარობდა: „ბავშვის გაკეთება“ და „ჩვენი მოვალეობა პარტიის მიმართ“ (მართლა ასე ამბობდა). სულ მალე უინსტონს უკვე ძრწოლას ჰგვრიდა დანიშნული დღის მოახლოება. საბედნიეროდ, ბავშვი არ გაჩნდა, ქეთრინი საწოლის ურთიერთობის შეწყვეტაზე დათანხმდა და მალე ისინი დაშორდნენ. უინსტონს ჩუმი ოხვრა აღმოხდა. კალამი აიღო და განაგრძო: ქალი საწოლზე დაწვა და ერთბაშად, ყოველგვარი შესავლის გარეშე, ყველაზე ტლანქად და საშინლად, რასაც კი წარმოიდგენდი, კაბა აიწია. მე...

წარმოსახვით ხედავდა, როგორ იდგა თითქმის ჩაბნელებულ, ბაღლინჯოებისა და იაფფასიანი სუნამოს სუნით გაჟღენთილ ოთახში და, მარცხისა და წყენის გრძნობით გულგასენილს, როგორ ახსენდებოდა ქეთრინის თეთრი სხეული, სამუდამოდ გაქვავებული პარტიის ჰიპნოზური ძალით. რატომ ხდებოდა ყოველთვის ასე? რატომ არ იჩენდა საკუთარ ქალს ამ ბინძურ არსებათა სანაცვლოდ? თუმცა ნამდვილი სასიყვარულო კავშირი თითქმის წარმოუდგენელი რამ იყო. პარტიის ყველა ქალი ერთმანეთს ჰგავდა. სქესობრივი უბიწობა ისევე გამჯდარი ჰქონდათ სისხლში, როგორც პარტიისადმი ერთგულება. მიზანმიმართულმა ადრეულმა წვრთნამ, თამაშებმა და ცივმა წყალმა, ნაგავმა, რითაც უტენიდნენ თავებს სკოლაში, დამსმენთა გაერთიანებასა თუ ახალგაზრდულ ლიგაში, ლექციებმა, პარადებმა, სიმღერებმა, ლოზუნგებმა და საბრძოლო მუსიკამ მათ მთლიანად დაუშრიტა ბუნებრივი გრძნობა. უინსტონს გონება უკარნახებდა, აქა-იქ გამონაკლისებიც იქნებაო, მაგრამ გულს არ სჯეროდა. ყველა ქალი მიუდგომელი იყო, რადგან სწორედ ეს შეესატყვისებოდა პარტიის ზრახვებს. სიყვარულზე მეტად უინსტონს სათნოების ყრუ კედლის დანგრევა სურდა, თუნდ ერთხელ მთელ თავის ცხოვრებაში. წარმატებით განხორციელებული სექსუალური აქტი ამბოხს უდრიდა, სურვილი -

აზრკრიმინალს. საკუთარი ცოლის გამოღვიძებაც კი, თუ ამას შეძლებდა, უკვე ცდუნება იყო.

მაგრამ მოგონების ჩაწერა ჯერ არ დაემთავრებინა და კვლავ დღიურს მიუბრუნდა: ლამპას ავუწიე. როცა სინათლეში შევხედე...

სიბნელის შემდეგ პარაფინის ლამპამ თითქოს მთელი ოთახი გააბდღვრიალა. ახლაღა დაინახა ქალი რიგიანად. ხორციელი ვნებითა და ზაფრით აღვსილი კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. მტკივნეულად გრძნობდა აქ მოსვლის მთელ რისკს. სავსებით შესაძლებელი იყო, გასვლისას პატრულს დაეჭირა. იქნებ კართან უკვე ელოდნენ კიდეც. იმის გაუკეთებლადაც რომ წასულიყო, რისთვისაც აქ მოვიდა..!უნდა დაეწერა, უნდა ეღიარებინა. მომატებულ სინათლეში მან დაინახა, რომ ქალი მოხუცი იყო. სახე ისე სქლად შეეღება, საღებავის ფენა მუყაოს ნიღაბივით გაიბზარებოდა. თმაში ჭაღარა ზოლები უჩანდა. ყველაზე საშინელი სანახავი ოდნავ ჩამოშვებული ქვედა ტუჩი იყო, რომლის შიგნიდან შავი სიცარიელე იმზირებოდა. ქალს არც ერთი კბილი არ ჰქონდა.

უინსტონმა ფაცხაფუცხით დაფხაჭნა: როცა სინათლეში შევხედე, ეს იყო მოხუცი ქალი, სულ ცოტა - ორმოცდაათი წლის. მაინც მივედი და იგივე გავაკეთე.

თითები ისევ დახუჭულ თვალებზე მიიჭირა. როგორც იქნა, დაწერა, მაგრამ ვერავითარი განსხვავება ვერ იგრძნო. თერაპიამ არ იმოქმედა. უწმაწური სიტყვების მთელი ხმით ამოყვირების წადილი ახლაც ისევე ღრღნიდა, როგორც აქამდე.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

VII

„თუ სადმე არსებობს იმედი, - დაწერა უინსტონმა, - მხოლოდ პროლებში“. თუ სადმე არსებობდა იმედი, მხოლოდ პროლებში უნდა ყოფილიყო, რადგან მხოლოდ ამ მოფუთფუთე, უყურადღებოდ მიგდებულ მასებში - ოკეანიის მცხოვრებთა ოთხმოცდახუთ პროცენტში - შეიძლებოდა ჩასახულიყო პარტიის დამამხობელი ძალა. პარტია შიგნიდან არ დაირღვეოდა. მისი მტრები (თუ ასეთები საერთოდ არსებობდნენ) არათუ ვერ გაერთიანდებოდნენ, - ვერც კი ამოიცნობდნენ ერთმანეთს. თვით ლეგენდარულ საძმოსაც რომ ეარსება, მაინც წარმოუდგენელი იყო მის წევრთა თავმოყრა ორ-სამკაციანზე უფრო დიდ ჯგუფებად. ამბოხი ნიშნავდა განსხვავებულ მზერას, შეცვლილ ინტონაციას, დიდი-დიდი - ჩურჩულით წარმოთქმულ სიტყვას. მაგრამ თუ ერთხელაც პროლები საკუთარ ძალმოსილებას გააცნობიერებდნენ, მაშინ ფარული შეთქმულების არავითარი საჭიროება აღარ იქნებოდა. მხოლოდ ფეხზე უნდა წამომდგარიყვნენ და ტანი ძალუმად შეეფერთხათ, როგორც ცხენი იშორებს ხოლმე ბუზებს. თუ ამას გადაწყვეტდნენ, პარტიას მეორე დილასვე ნაფოტებად აქცევდნენ. ადრე თუ გვიან მაინც იზამდნენ ამას.

მაგრამ ახლა...

უინსტონს ახსოვდა, როგორ მიუყვებოდა ერთხელ ხალხმრავალ ქუჩას, როცა პარალელურ ქუჩაზე გამაყრუებლად იფეთქა ასობით ქალის ხმამ. ეს იყო რისხვისა და სასოწარკვეთის შემაძრწუნებელი ყვირილი, სულის სიღრმიდან ამომსკდარი „ოოოოჰ!“, ზარის გუგუნივით რომ მოედო მთელ არემარეს. უინსტონს გული აუფრთხიალდა. „დაიწყო!“ - ფიქრობდა იგი. ამბოხი! პროლები ჯაჭვებს ამსხვრევენ! როცა იმ წერტილამდე მივიდა, დაინახა ქუჩის დახლებთან თავმოყრილი ორასი თუ სამასი ქალი ისეთივე შეშლილი სახეებით, როგორიც ფსკერისკენ წასული გემის განწირულ მგზავრებს ექნებოდათ. მაგრამ მომდევნო წუთში საერთო სასოწარკვეთა ცალკეულ კინკლაობებად დახურდავდა. თურმე ერთ-ერთ დახლზე თუნუქის ქვაბებს ყიდდნენ, უბადრუკსა და ზინზლიანს, თუმცა ყოველთვის ძნელად საშოვნელს. იმ დღეს მოულოდნელად დახლზე სწორედ ქვაბები გამოეტანათ. უფრო იღბლიანებს უკვე შეეძინათ და ახლა ცდილობდნენ, გამოეღწიათ გუნდ-გუნდად მიხვეული დანარჩენი ქალებიდან, რომლებიც ყვირილით აბრალებდნენ გამყიდველს მიკერძოებით ვაჭრობას და ქვაბების ნაწილის სადღაც გადამალვას. ისმოდა შეკივლებები. ორ ფაშფაშა ქალს ერთი ქვაბი აქეთ-იქიდან ჩაებღუჯა და თითოეული მათგანი მთელი ძალით ცდილობდა ჭურჭლის გამოგლეჯას მეორის ხელებიდან. ამ ქაჩვა-გლეჯაში ქვაბს ერთი სახელური მოსძვრა...

ამ ყველაფერს უინსტონი ზიზღით უყურებდა. და მაინც, რა საშინელი ძალის ყვირილი აღმოხდა რამდენიმე ასეულ ყელს იმწამს! რატომ არასოდეს არ ისმოდა ასეთი ყვირილი რაღაც ნამდვილად მნიშვნელოვანის მიმართ?ვიდრე არ შეიგნებენ, არასოდეს აჯანყდებიან, და ვიდრე არ აჯანყდებიან, ვერაფერს შეიგნებენ.

ეს აზრი შეიძლებოდა ყოფილიყო პარტიის ერთ-ერთი საკანონმდებლო წიგნის მოკლე ტრანსკრიფცია. რასაკვირველია, პარტია ამტკიცებდა, რომ

პროლეტარიატს ბორკილები ახსნა. რევოლუციამდე ხომ პროლებს კაპიტალისტები სრესდნენ, აშიმშილებდნენ და შოლტით ერეკებოდნენ. ქალებს ქვანახშირის მაღაროებში ამუშავებდნენ (სხვათა შორის, ისინი ახლაც მუშაობდნენ იქ), ექვსი წლის ბავშვებს ქარხნებში ყიდდნენ... მაგრამ იმავდროულად, ორაზრის პრინციპების ერთგული მიდევნით, პარტია ასწავლიდა, რომ პროლები ბუნებრივად დაბლამდგომი არსებები იყვნენ, როგორც ცხოველები, და ისინი მორჩილებაში უნდა ჰყოლოდათ სულ რამდენიმე მარტივი კანონის მოხერხებული გამოყენებით. სინამდვილეში, მათ შესახებ ცოტა რამ იყო ცნობილი. ბევრის ცოდნა არავის სჭირდებოდა. პროლები მუშაობდნენ და მრავლდებოდნენ - სხვა დანარჩენს მნიშვნელობა არ ჰქონდა. თავის ნებაზე მიშვებულნი, როგორც არგენტინის მინდვრებზე გაშვებული საქონელი, პროლები მათთვის ბუნებრივ, წინაპართა ნაანდერძევ ცხოვრებას უბრუნდებოდნენ. იბადებოდნენ, ქუჩებსა და არხებში იზრდებოდნენ, თორმეტი წლიდან მუშაობას იწყებდნენ, სწრაფად გაივლიდნენ სილამაზისა და სექსუალური ურთიერთლტოლვის მოკლე პერიოდს, ოცი წლის ასაკში ქორწინდებოდნენ, ოცდაათისაში საშუალო ასაკს აღწევდნენ და, უმეტესწილად, სამოც წელს მიტანებულები იხოცებოდნენ. მძიმე ფიზიკური შრომა, ზრუნვა ბავშვებსა და ოჯახზე, წვრილმანი კინკლაობა მეზობლებთან, ფილმები, ფეხბურთი, ლუდი და, უწინარეს ყოვლისა, აზარტული თამაშები მთლიანად ავსებდა მათ თვალსაწიერს. მათი კონტროლი დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მათ შორის მუდმივად მყოფი აზრის პოლიციის რამდენიმე აგენტი ცრუ ხმებს ავრცელებდა, მონიშნავდა და აქრობდა ზოგიერთ არასაიმედო ინდივიდს. ამავე დროს, არავინ ცდილობდა მათ ზიარებას პარტიის იდეოლოგიასთან. სასურველი არ იყო, რომ პროლებს ძლიერი პოლიტიკური გრძნობები გასჩენოდათ. მოეთხოვებოდათ მხოლოდ პრიმიტიული პატრიოტიზმი, რომელზე აპელირებითაც მათ ყოველ საჭირო მომენტში მიაღებინებდი გაზრდილ სამუშაო დღეს ან შემცირებულ ულუფას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა უკმაყოფილებას ამჟღავნებდნენ, ყველაფერი ისევ ძველებურად რჩებოდა, რადგან, ზოგადი იდეების არმქონენი, ისინი მხოლოდ წვრილმან კონკრეტულ საწუხარს უტრიალებდნენ და დიდი მასშტაბის სატკივარი მუდამ შეუმჩნეველი რჩებოდათ. პროლების უმრავლესობას სახლში ტელეეკრანი არ ჰქონდა. თვით სამოქალაქო პოლიციაც კი იშვიათად ერეოდა მათ ცხოვრებაში. ლონდონში, კრიმინალების ამ ბუდეში, ერთად ათქვეფილიყო ყველა ჯურის ქურდი, ბანდიტი, მეძავი, ნარკოტიკებით მოვაჭრე თუ რეკეტიორი. მაგრამ ეს ყველაფერი პროლებს არ სცილდებოდა და, ამდენად, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ყველა მორალურ საკითხში წინაპართა წესს მიჰყვებოდნენ. ამაში არავინ აბრკოლებდა. მათზე არც პარტიის სქესობრივი პურიტანიზმი ვრცელდებოდა. აღრეული ურთიერთობები დაუსჯელი რჩებოდა. გაყრა დაშვებული იყო. ამ მხრივ, რელიგიურ აღტყინებასაც არავინ აუკრძალავდა, თუ პროლებს ამის საჭიროება ან სურვილი გაუჩნდებოდათ. მათზე არავინ ეჭვიანობდა. პარტიის ლოზუნგი ამბობდა: „პროლები და ცხოველები თავისუფალნი არიან“.

უინსტონი დაიხარა და წყლული ფრთხილად მოიფხანა. მუდმივად აწყდებოდა ერთსა და იმავე კედელს: ვერაფრით წარმოედგინა, ნამდვილად როგორი იყო ცხოვრება რევოლუციამდე. კარადიდან გამოიღო მისის პარსონსისაგან ნათხოვარი საბავშვო ისტორიის წიგნი და დღიურში გადმოწერა დაიწყო: ძველ დროში, დიდი რევოლუციის წინ, ლონდონი არ იყო ისეთი ლამაზი, როგორიც

დღესაა. ეს იყო ბნელი, ჭუჭყიანი, უბადრუკი ადგილი, სადაც ძლივს შოულობდნენ საჭმელს და სადაც ასობით და ათასობით ღატაკი ადამიანი ფეხშიშველი და უსახლკარო დაიარებოდა. შენხელა ბავშვები იძულებულები იყვნენ დღეში თორმეტი საათი ემუშავათ შეუბრალებელი ოსტატების ხელში, რომლებიც შოლტებით სცემდნენ და არაფერს აჭმევდნენ, ხმიადისა და წყლის გარდა. ამ ღარიბულ ქოხმახებს შორის აღმართულიყო რამდენიმე მშვენიერი სახლი, სადაც ცხოვრობდნენ მდიდარი ადამიანები, რომელთაგან თითოეულს ოცდაათამდე მსახური ჰყავდა. ამ მდიდარ ადამიანებს კაპიტალისტები ერქვათ. ისინი მსუქნები და ბოროტსახიანები იყვნენ. შეხედე სურათს მომდევნო გვერდზე: მასზე გამოსახულ კაცს აცვია გრძელი პიჯაკი, რომელსაც ერქვა ფრაკი, და ახურავს საკვამურის მსგავსი, უცნაურად მბზინავი ქუდი, რომელსაც ერქვა ცილინდრი. ასეთი იყო კაპიტალისტის სამოსი, რომლის ჩაცმის უფლება სხვას არავის ჰქონდა. ყველაფერი კაპიტალისტებს ეკუთვნოდა და ყველა სხვა ადამიანი მათ ემონებოდა. მიწა, ფული, ქარხნები - ყველაფერი მათი იყო. თუ ვინმე არ დაემორჩილებოდა, შეეძლოთ, ციხეში ჩაემწყვდიათ ან სამუშაოდან გაეგდოთ და სიკვდილამდე ეშიმშილებინათ. ჩვეულებრივ ადამიანს მათთან ქედის მოხრით, ქუდის მოხდითა და „ბატონოთი“ უნდა ელაპარაკა. კაპიტალისტების უფროსს ერქვა მეფე და...

უინსტონმა იცოდა, რა ეწერა ამ წიგნში. ახსენებდნენ ბატისტისსახელოიან ეპისკოპოსებს, ყარყუმისსამოსიან მოსამართლეებს, სამარცხვინო ბოძს, ხუნდებს, ერთფეროვან სამუშაოს, მათრახებს, ლორდ მერის ბანკეტსა და პაპის ფერხთა ამბორყოფის რიტუალს. იყო ისეთი რამეც, სახელად jus primae noctis[7], რასაც, ალბათ საბავშვო წიგნში არ დაწერდნენ. ამ წესის მიხედვით, ყოველ კაპიტალისტს ჰქონდა მის ქარხანაში მომუშავე ნებისმიერ ქალთან დაწოლის უფლება.

როგორ განსაზღვრავდი, რამდენი ტყუილი იყო ამ ყველაფერში? იქნებ სიმართლეს წარმოადგენდა ის, რომ საშუალო ადამიანი დღეს უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე რევოლუციამდე? სხვა არაფერი გქონდა შესაფასებლად - მხოლოდ უხმო პროტესტი შენსავე ძვლებსა და ხერხემალში, ინსტინქტური გრძნობა, რომ დღეს აუტანელ პირობებში ცხოვრობდი და რომ სხვა დროს ეს პირობები სხვანაირი უნდა ყოფილიყო. უცებ უინსტონს გაუელვა: დღევანდელი ცხოვრების ჭეშმარიტად სახასიათო შტრიხი მისი შეუბრალებლობა და დაუცველობა კი არ არის, არამედ სიშიშვლე, სიმწირე, განურჩევლობაო. თუ ირგვლივ მიმოიხედავდი, ცხოვრება სრულებით არ ჰგავდა არა მხოლოდ ეკრანიდან მჩქეფარ ტყუილებს, არამედ არც იმ იდეალებს, რომელთაც პარტია მიელტვოდა. ცხოვრება - პარტიის წევრისთვისაც კი - მეტწილად წარმოადგენდა რასმე ნეიტრალურსა და არაპოლიტიკურს, უსიხარულო და გულის გამაწვრილებელი საქმეების კეთებას, ბრძოლას ადგილის მოსაპოვებლად მეტროში, გაცვეთილი წინდის დაკერებას, სახარინის აბების მათხოვრობას, სიგარეტის ნამწვის დაზოგვას... პარტიის მიერ დასახული იდეალი გულისხმობდა რაღაც უსაშველოდ დიდს, საშინელს, მბზინავს: ფოლადის, ბეტონის, ვეებერთელა მანქანებისა და თავზარდამცემი საბრძოლო იარაღების საუფლოს, სადაც ცხოვრობდნენ მეომრები და ფანატიკოსები, ერთ მუშტად შეკრულნი და ჯიქურ წინ მიმავალნი ერთნაირი ფიქრითა და ერთი და იმავე ლოზუნგების ძახილით, - მუდმივ მუშაობაში, ბრძოლაში, დაპყრობაში, ვიღაცის ან რაღაცის დევნაში მყოფი სამასი მილიონი

ერთსახოვანი არსება. სინამდვილე კი იხრწნებოდა. გაზინთულ ქალაქებში ნახევრად მშიერი ადამიანები მთელ დღეს აქეთ-იქით დალასლასებდნენ გაქლეტილი ფეხსაცმლებით, ბოლოს კი მიეყრებოდნენ მეცხრამეტე საუკუნეში ნაშენებ, ათასგზის მიკეთ-მოკეთებულ, მუდმივად კომბოსტოსა და უსუფთაო საპირფარეშოების სუნით გაჟღენთილ სახლებში. უინსტონს ერთ ათქვეფილ ხილვად წარმოუდგა ლონდონი -ვეებერთელა, მინგრეულ-მონგრეული, მილიონი სანაგვე ყუთის ქალაქი - და მისის პარსონსი, დაღარულსახიანი და თმაგაპუტული ქალი გაჭედილი სიფონით ხელში. ისევ დაიხარა და წყლული მოიფხანა. ტელეეკრანები დღედაღამ ყურს გიხვრეტდნენ სტატისტიკით, რომელიც ადასტურებდა, რომ დღეს ადამიანებს მეტი საკვები, მეტი ტანსაცმელი, უკეთესი სახლები ჰქონდათ, უფრო კარგადაც ისვენებდნენ, უფრო დიდხანს ცოცხლობდნენ, მუშაობით კი უფრო ნაკლებს მუშაობდნენ და, საერთოდ, უფრო ტანსრულნი, უფრო ჯანმრთელნი, უფრო ძალუმნი, უფრო ბედნიერნი, უფრო ჭკვიანნი, უფრო განათლებულნი იყვნენ, ვიდრე ორმოცდაათი წლის წინ. აქედან ვერაფერს დაადასტურებდი და ვერც უარყოფდი. მაგალითად, პარტია ამტკიცებდა, რომ ამჟამად წერა-კითხვა იცოდა ზრდასრული პროლების ორმოცმა პროცენტმა, რევოლუციამდე კი - მხოლოდ თხუთმეტმა. ასევე ამტკიცებდა, რომ ბავშვების სიკვდილიანობა დღესდღეობით მხოლოდ ას სამოცი იყო ათასზე, მაშინ, როცა რევოლუციის დროს ყოველ ათას დაბადებულზე სამასი იხოცებოდა... ეს ყველაფერი ჰგავდა ერთ განტოლებას ორი უცნობით. სრულებით დასაშვები იყო, რომ ისტორიის წიგნებში დაწერილი უკლებლივ ყველა სიტყვა - ულაპარაკოდ მისაღები ამბებიც კი -წმინდა წყლის გამონაგონს წარმოადგენდა. ვინ იცის, ფიქრობდა უინსტონი, იქნებ არასოდეს არსებულა არც „პირველი ღამის უფლება“, არც „კაპიტალისტად“ მონათლული არსება და არც „ცილინდრად“ წოდებული ქუდიო.

ყველაფერს ნისლი ბურავდა. წარსული წაეშალათ, წაშლა დაევიწყებინათ, სიცრუე ჭეშმარიტებად ქცეულიყო. ცხოვრებაში ერთადერთხელ სჭერია ხელში აშკარა ფალსიფიცირების კონკრეტული ფაქტი. ოცდაათი წამის მანძილზე ეჭირა საკუთარი თითებით. ეს იყო 1973 წელს, რადგან დაახლოებით იმავე პერიოდში დაშორდა ქეთრინსაც. თუმცა სავარაუდოა, რომ საქმე ეხებოდა შვიდი-რვა წლით უფრო ადრეულ პერიოდს.

ეს ამბავი რეალურად შუა 60-იან წლებში, ანუ დიდი წმენდების ხანაში მოხდა, როცა რევოლუციის თავდაპირველი ლიდერები ერთხელ და სამუდამოდ აღიგავნენ პირისაგან მიწისა. 1970 წლისთვის არც ერთი მათგანი აღარ არსებობდა, დიდი ძმის გარდა. ამ დროისთვის, რევოლუციის ყველა სხვა მესვეური მოღალატედ და კონტრრევოლუციონერად გამოცხადდა. გაქცეული გოლდსტეინი სადღაც იმალებოდა, დღემდე არავინ იცოდა - სად. სხვა ცნობილ პირთაგან რამდენიმე, უბრალოდ, თვალსა და ხელშუა გაქრა. დანარჩენები კი დახვრიტეს მას შემდეგ, რაც მოაწყვეს მოჩვენებითი საჯარო გასამართლება, რომლის დროსაც დამნაშავეებმა მთლიანად აღიარეს ჩადენილი დანაშაულები. სულ ბოლოს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო სამი ადამიანი: ჯოუნზი, აარონსონი და რეზერფორდი. სამივე 1965 წელს დააპატიმრეს. როგორც ხშირად ხდებოდა, სამივე გაქრა ერთი ან ორი წლით ისე, რომ არავინ იცოდა, ცოცხლები იყვნენ თუ მკვდრები. შემდეგ უეცრად გამოჩნდნენ, რათა საკუთარი თავი ემხილებინათ. აღიარეს თანამშრომლობა მტრის დაზვერვასთან (მაშინაც მტერი ევრაზია იყო),

სახალხო ქონების დატაცება, პარტიის ნდობით აღჭურვილი სხვადასხვა პირის მკვლელობა, დიდი ძმის წინააღმდეგ რევოლუციამდე კარგა ხნით ადრე წამოწყებული ინტრიგები, დაბოლოს, დივერსიული აქტები, რომლებმაც ასობით ათასი ადამიანი იმსხვერპლა. ამ აღსარების შემდეგ სამივე დამნაშავეს პატიება ებოძა. ისინი კვლავ მიიღეს პარტიაში და მისცეს ვითომც მნიშვნელოვანი თანამდებობები, არსებითად კი - თბილი ადგილები. სამივემ გამოაქვეყნა „ტაიმსში“ გრძელი, უბადრუკი წერილები, სადაც თავისი განდგომილების მიზეზს აანალიზებდნენ და ერთგულების პირობას დებდნენ. მათი გათავისუფლებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ უინსტონმა სამივე „წაბლის ხის კაფეში“ ნახა. ახსოვს ის შიშნეული აღტაცება, რომელსაც განიცდიდა შეფარვით მათი ცქერისას. სამივე მასზე გაცილებით ხნიერი იყო. თითქოს ძველი სამყაროს ნაშთებს ხედავდა, პარტიის გმირული წარსულის უკანასკნელ ნარჩენებს. თვალებში ჯერ კიდევ უბჟუტავდათ იატაკქვეშა ბრძოლისა და სამოქალაქო ომის რევოლუციური ხიბლი. უინსტონს ისეთი გრძნობა გაუჩნდა (თუმცა სწორედ იმ პერიოდში იწყო დაბინდვა ფაქტებმა და თარიღებმა), რომ ამ სამეულის სახელები დიდი ძმის სახელზე ადრე გაეგონა. მაგრამ ისინი დღეს უკვე კანონგარეშე გამოცხადებული მტრები და ხელშეუხებლები იყვნენ და ერთ-ორ წელიწადში უეჭველად განადგურდებოდნენ. ვეღარსად წავიდოდა ვერც ერთი სულიერი, ვინც აზრის პოლიციას ჩაუვარდებოდა ხელში. საფლავიდან მოსული ეს სამი გვამი ისევ საფლავში გაგზავნას ელოდა.

მათ ახლოს მდგარი ყველა მაგიდა თავისუფალი იყო. ჭკვიანი კაცი საერთოდ არ გამოჩნდებოდა მათ სიახლოვეს. ჩუმად ისხდნენ და წინ ჭიქები ედგათ. ჭიქებში ესხა ჯინი, მხოლოდ ამ კაფესთვის ნიშნეული მიხაკ-დარიჩინის არომატით. უინსტონზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება რეზერფორდის იერმა მოახდინა. ერთ დროს ეს კაცი ცნობილი კარიკატურისტი იყო. მისმა სასტიკმა ნახატებმა დიდად შეუწყო ხელი სახალხო აზრის აფეთქებას რევოლუციამდეც და რევოლუციის პერიოდშიც. შიგადაშიგ „ტაიმსი“ დღესაც აქვეყნებდა მისი ადრეული პერიოდის ნახატთა იმიტაციებს, აშკარად უსიცოცხლოსა და არადამაჯერებელს. ამჯერად ეს სურათები ძველ თემებს იმეორებდა: ბნელი ბარაკები, მოშიმშილე ბავშვები, ქუჩის ბრძოლები, ცილინდრიანი კაპიტალისტები, რომლებიც ბარიკადებზეც კი არ იშორებდნენ ცილინდრებს. ეს ყველაფერი ჰგავდა და იყო კიდეც წარსულისაკენ მიბრუნების დაუსრულებელი და განწირული მცდელობა. რეზერფორდს, ამ ურჩხულისებურ კაცს რუხი ფერის ცხიმიანი ფაფარითა და გამობურცული ტუჩებით, მთელი სახე ნაკერებითა და ნაიარევებით დაჰფარვოდა. ოდესღაც, ალბათ, საოცრად ღონიერი მისი ზორბა სხეული აწ იღუნებოდა, იფერდებოდა, იზნიქებოდა და ყოველმხრივ გადავარდნაზე იყო, თითქოს შენ თვალწინ იშლებოდა, როგორც დამეწყრილი მთა.

თხუთმეტი საათი იყო - უკაცრიელი ჟამი. უინსტონს აღარ ახსოვდა, რამ მოიყვანა კაფეში ასეთ დროს. ცარიელ დარბაზში ტელეეკრანებიდან თუნუქხმოვანი მუსიკა მოწვეთავდა. სამნი თავიანთ კუთხეში ისხდნენ უხმოდ, თითქმის გაუნძრევლად. ოფიციანტმა დაუძახებლად შემოიტანა ჭიქებში ჩამოსხმული ჯინი. იქვე, მეორე მაგიდაზე, იდო ჭადრაკის დაფა სათამაშოდ გამზადებული ფიგურებით. უცებ ეკრანებს რაღაც უცნაურობა დაემართა. ნახევარი წუთის მანძილზე მელოდიაც შეიცვალა და მუსიკის ტონიც. წინა მელოდიის ნაცვლად - არა, ძალიან ძნელი იყო ამის აღწერა! - გაისმა რაღაც სრულებით განსხვავებული, გაბზარულ-დამცინავ-

ჟღრიალა ბგერა. უინსტონმა გუნებაში მას ყვითელი ბგერა უწოდა. ბგერას მოჰყვა სიმღერა: ტოტებგაშლილი წაბლის ქვეშმე შენ გაგყიდე, შენ კი მე: ისინი იქ წვანან, აქ კი ჩვენ, ტოტებგაშლილი წაბლის ქვეშ.

სამეული არ განძრეულა. უცებ უინსტონმა რეზერფორდის მორღვეულ სახეს შეხედა: ამ კაცს თვალები ცრემლებით ავსებოდა. რაღაც ისეთი შინაგანი შეკრთომით, რისი მიზეზიც ჯერ კიდევ არ იცოდა, უინსტონმა პირველად შეამჩნია, რომ აარონსონს და რეზერფორდს ცხვირები გატეხილი ჰქონდათ. ცოტა ხნის შემდეგ სამივე კვლავ დააპატიმრეს. აღმოჩნდა, რომ გათავისუფლებისთანავე ახალ შეთქმულებებში ჩაბმულან. მეორე გასამართლებაზე კიდევ ერთხელ აღიარეს ძველი დანაშაულები და დაუმატეს ახლები. სამივე დახვრიტეს, მათი ამბავი კი პარტიის მატიანეში ჩაიწერა, როგორც გაფრთხილება მომავალი თაობებისთვის.

ხუთიოდე წლის შემდეგ უინსტონი იჯდა და პნევმატური მილიდან ამოგდებულ დაგრაგნილ ფურცლებს ათვალიერებდა. მათ შორის სხვა ფურცლებთან ერთად მოსულ და შეუმჩნევლად დარჩენილ ქაღალდის ნაგლეჯს წააწყდა. დაგრაგნილი ქაღალდი გაასწორა და მაშინვე მიხვდა მის მნიშვნელობას. ეს იყო ათი წლის წინანდელი „ტაიმსის“ ფურცლის ზედა ნახევარი, რომელზეც გაზეთის გამოშვების თარიღი ჩანდა. ამ გვერდზე პარტიის მიერ ნიუ-იორკში გამართულ რომელიღაც ზეიმზე თავშეყრილი დელეგატების ფოტოსურათი დაებეჭდათ. ჯგუფის საპატიო შუაგულში ჩანდნენ ჯოუნზი, აარონსონი და რეზერფორდი. შეცდომა გამორიცხული იყო თუნდაც იმიტომ, რომ ქვემოთ მათი სახელებიც ეწერა.

საქმე ის არის, რომ სასამართლო პროცესზე სამივემ აღიარა: ამ დროს - სწორედ ზემოაღნიშნული „ტაიმსის“ დაბეჭდვის დღეს - ევრაზიაში ვიყავითო. კანადის საიდუმლო აეროდრომიდან გაფრენილიყვნენ ციმბირის რომელიღაც წერტილში, სადაც ევრაზიის გენერალური შტაბის წარმომადგენლებს შეხვედროდნენ და მოღალატურად გადაეცათ მნიშვნელოვანი სამხედრო საიდუმლოებები. უინსტონს თარიღი კარგად ჩაებეჭდა მეხსიერებაში, რადგან ის სწორედ ივანობის დღეს დაემთხვა. არსებობდა ერთადერთი შესაძლებელი დასკვნა: აღიარებები ცრუ იყო.

რასაკვირველია, ეს აღმოჩენა არ გახლდათ. უინსტონს უწინაც არასოდეს უფიქრია, რომ წმენდაში მოყოლილ ადამიანებს მართლა ჰქონდათ ჩადენილი მათთვის დაბრალებული ბოროტმოქმედებები. მაგრამ ამჯერად უინსტონს ხელში კონკრეტული საბუთი ეჭირა, გაუქმებული წარსულის ფრაგმენტი, მიწიდან ამოღებული იმ ძვლის მსგავსი, მოულოდნელად რომელიღაც სხვა შრეში რომ აღმოჩნდება ხოლმე და მთლიანად ანგრევს საყოველთაოდ მიღებულ გეოლოგიურ თეორიას. ეს საკმარისი იქნებოდა პარტიის გასაცამტვერებლად, თუკი რამენაირად შესაძლებელი გახდებოდა პირდაპირი სამხილის გამოქვეყნება და მისი მნიშვნელობის ქვეყნისთვის გაგებინება.

უინსტონმა მუშაობა განაგრძო. როგორც კი გაზეთში დაბეჭდილი ფოტოსურათი დაინახა და მის მნიშვნელობას მიხვდა, სასწრაფოდ სხვა ფურცელი გადააფარა. საბედნიეროდ, პირველად ნახვისას „ტაიმსის“ ის ნაგლეჯი ეკრანის მიმართ თავდაყირა იდო.

ბლოკნოტი მუხლებზე დაიდო და სკამი უკან გასწია ეკრანიდან მაქსიმალურად დაშორების მიზნით. ძნელი არ იყო უგრძნობელი სახის შენარჩუნება, გარკვეული ძალისხმევით სუნთქვასაც გააკონტროლებდა, მაგრამ გულისცემას ვერაფრით ჩაიხშობდა. არადა, ერთობ მგრძნობიარე ტელეეკრანს ეს არ გამოეპარებოდა. ათიოდე წუთს ასეთ პოზიციაში დარჩა, გაწამებული იმ ფიქრით - ორპირმა ქარმა მაგიდას არ წამოუბეროსო. შემდეგ „ტაიმსის“ ფურცელი გადმოუბრუნებლად ჩაუშვა ხსოვნის ნახვრეტში სხვა არასაჭირო ქაღალდებთან ერთად. წუთიც და, ფურცლისგან ფერფლიღა დარჩებოდა. ეს მოხდა ათი-თერთმეტი წლის წინ. დღეს, ალბათ, ფოტოსურათს შეინახავდა. აღსანიშნავია, რომ იმ ფურცლის საკუთარ ხელში ჭერის ფაქტს ახლაც თითებით გრძნობდა, ზედ გამოსახული ფოტოსურათი და მასზე აღბეჭდილი მოვლენა კი მხოლოდ ხსოვნაში ციმციმებდა. უკვირდა: ნუთუ პარტიის კონტროლი წარსულზე უწინ უფრო სუსტი იყო, ვიდრე დღეს, რაკი ამჟამად არარსებული მამხილებელი საბუთი მაშინ მაინც არსებობდაო?თუმცა ის ფოტო ფერფლიდანაც რომ აღმდგარიყო, დღეს საბუთის როლს მაინც ვეღარ შეასრულებდა. იმ დროს, როცა უინსტონი ფოტოსურათს წააწყდა, ოკეანია უკვე აღარ ეომებოდა ევრაზიას და, ამდენად, უფრო სავარაუდოა, რომ სამმა დასჯილმა დამნაშავემ თავისი ქვეყნის საიდუმლოები ევრაზიის აგენტებს გაანდო. პირველ გადაკეთებას მოჰყვა მეორე, მეორეს - მესამე: უინსტონს უკვე აღარ ახსოვდა, რამდენჯერ შეცვალეს თავდაპირველი ამბავი. როგორც ჩანს, აღსარებები იქამდე ცვალეს და იმდენჯერ გადაწერეს, რომ პირველადი ფაქტებისა და თარიღებისგან აღარაფერი დარჩა. წარსული არა მხოლოდ შეიცვალა, არამედ განუწყვეტლივ იცვლებოდა. უინსტონისთვის ყველაზე უფრო გულსატკენი ის იყო, რომ არ ესმოდა, რისთვის მიმართავდნენ ამხელა ყალთაბანდობას. ფალსიფიცირების უშუალო მოგება-სარგებელი გასაგები იყო, მიუწვდომელი რჩებოდა მხოლოდ მისი საბოლოო მიზანი. უინსტონმა ისევ აიღო კალამი და დაწერა: მე მესმის - როგორ, არ მესმის -რატომ.

ახლაც იმას ფიქრობდა, რაც ხშირად უფიქრია უწინ: გიჟი ხომ არ ვარო. იქნებ გიჟი, უბრალოდ, ერთკაციან უმცირესობას ნიშნავდა? ოდესღაც შეშლილობაზე მეტყველებდა რწმენა, რომ დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს, ამჟამად - რომ წარსული არ იცვლება. ასეთი რწმენა, შესაძლოა, მარტო მას ჰქონდა, მარტო კი ნიშნავდა შეშლილს. თუმცა უინსტონს შეშლილად ყოფნის იდეა სულ არ აწუხებდა. საშინელება ის იყო, ვაითუ ცდებოდა.

საბავშვო ისტორია აიღო და ყდაზე გამოსახულ პორტრეტს მიაჩერდა. თვალებში დიდი ძმის მომნუსხავი თვალები ჩააცქერდნენ, - თითქოს ზემოდან რაღაც უშველებელი აწვებოდა, რაღაც ისეთი, რაც თავის ქალაში აღწევდა, ტვინს უბურღავდა, ყოველგვარ რწმენას უქარწყლებდა და თვით საკუთარი გრძნობების სიცხადეშიც კი აეჭვებდა. ბოლოს პარტია გამოაცხადებდა, რომ ორს მიმატებული ორი არის ხუთი და უნდა დაგეჯერებინა. ეს ადრე თუ გვიან უთუოდ მოხდებოდა: ამას პარტიის პოზიციის ლოგიკა ითხოვდა. მათი ფილოსოფია უჩუმრად უარყოფდა არათუ მხოლოდ შინაგანი გამოცდილების ღირებულებას, არამედ თვით გარეგანი სინამდვილის არსებობასაც. საღი აზრი ერესთა ერესს წარმოადგენდა. ყველაზე თავზარდამცემი ის კი არ იყო, რომ განსხვავებული აზრისთვის გკლავდნენ, არამედ ის, რომ შეიძლება მართალს ამბობდნენ. აბა, საიდან ვიცით, სინამდვილეში, რომ ორს მიმატებული ორი არის ოთხი? ან რომ მიზიდულობის ძალა მართლა მოქმედებს? ან რომ წარსული უცვლელია? თუ

წარსულიცა და გარეგანი სამყაროც მხოლოდ გონებაში არსებობს, გონება კი კონტროლს ექვემდებარება, მაშინ?მაგრამ არა! - უინსტონმა თითქოს შიგნიდან მოიკრიბა სიმხნევე და გაბედულება. გონებაში რაიმე აშკარა ასოციაციის გარეშე წამოუტივტივდა ო'ბრაიენის სახე. ამჯერად უფრო მეტი უეჭველობით იცოდა, რომ ეს კაცი მის მხარეზე იდგა. დღიურსაც მისთვის წერდა, მას სწერდა. ეს იყო რაღაც უსასრულო წერილი, არავინ რომ არ წაიკითხავდა, მაგრამ მაინც ჰყავდა გამორჩეული ადრესატი და წერილსაც სწორედ ეს სძენდა ფერადოვნებას.

პარტია გეუბნებოდა, რომ უკუგეგდო საკუთარი თვალით ნანახი და საკუთარი ყურით გაგონილი. ეს იყო მისი საბოლოო და უარსებითესი ბრძანება. უინსტონს გული გადაუქანდა იმის წარმოდგენაზე, რამხელა ძალა ამხედრდებოდა მის წინააღმდეგ, რაოდენ იოლად დაამარცხებდა კამათში პარტიის ნებისმიერი ინტელექტუალი ან რა დახვეწილ არგუმენტებს წაუყენებდნენ, რომელთაც არათუ ვერ უპასუხებდა - ვერც კი გაიგებდა. და მაინც, მას ჰქონდა უფლება! ისინი ცდებოდნენ, თვითონ კი მართალი იყო. ცხადს, სულელურსა და ჭეშმარიტს დაცვა სჭირდებოდა. ტრუიზმები ჭეშმარიტია, - აი, რას უნდა მოვეჭიდოთ! მყარ საგანთა საუფლო არსებობს, მისი კანონები არ იცვლება. ქვა მაგარია, წყალი - სველი, საყრდენგამოცლილი საგანი მიწაზე ვარდება. ისეთი განცდით, თითქოს ო'ბრაიენს მიმართავს და თანაც მნიშვნელოვან აქსიომას აფიქსირებსო, უინსტონმა დაწერა: თავისუფლება თავისუფლებაა, ისევე, როგორც ორს მიმატებული ორი უდრის ოთხს. თუ ამას დავუშვებთ, დანარჩენი თვითონ მოვა.

VIII

სადღაც ქუჩის ბოლოდან ჰაერს მოხალული ყავის სურნელი შეერია, - ნამდვილი ყავისა და არა „გამარჯვების ყავის“. უინსტონი უნებლიეთ შეჩერდა. ორიოდე წამით კვლავ თავის გამქრალ ბავშვობაში მოხვდა. მერე კი კარი რახუნით მიიკეტა და სუნიც ისევე აღკვეთა, როგორც ბგერას შეწყვეტდა.

რამდენიმე კილომეტრი იარა ქვაფენილზე. კოჭზემოთა წყლული პულსივით უფეთქავდა. ბოლო სამი კვირის განმავლობაში უკვე მეორედ აცდენდა საზოგადოებრივ ცენტრში გამართულ საღამოს. მისი მხრიდან ეს უგუნურება იყო: დამსწრეთა რიცხვი იქ გულდასმით კონტროლდებოდა. არსებითად, პარტიის წევრს თავისუფალი დრო მხოლოდ საწოლში ჰქონდა. იგულისხმებოდა, რომ თუ არ მუშაობდი, არ ჭამდი და არ გეძინა, მაშინ მონაწილეობდი რომელიმე საზოგადოებრივ გართობაში. რამე ისეთის კეთება, რასაც მარტოობის სუნი უდიოდა, სადმე უბრალო გასეირნებაც კი ცოტათი სახიფათო გახლდათ. ახალმეტყველებაში არსებობდა ამის გამომხატველი სიტყვა: თავისცხოვრება, რომელიც ინდივიდუალიზმსა და ექსცენტრულობას აღნიშნავდა.

მაგრამ ამ საღამოს სამინისტროდან გამოსული უინსტონი მოძალებული აპრილის სილბომ აცდუნა. ლაჟვარდი ასე თბილლურჯი წელს არასოდეს ყოფილა. აბა, რა უნდოდა იმ გრძელ, ხმაურიან საღამოზე, იმ მოსაბეზრებელ, გამასავათებელ თამაშებსა და ლექციებზე, ჯინით დაორთქლილ, გაუთავებლად მოლაქლაქე იმ ამხანაგებში! აუტანელი ჩანდა ეს ყველაფერი. ავტობუსის გაჩერებიდან იმპულსურად სადღაც გადაუხვია და ლონდონის ლაბირინთში ჩაყვინთა, ჯერ სამხრეთის მიმართულებით, შემდეგ აღმოსავლეთისკენ, შემდეგ ისევ ჩრდილოეთისკენ. უცნობ ქუჩებში ჩაკარგულ უინსტონს სრულებით არ აინტერესებდა, საით მიდიოდა.

„თუ სადმე არსებობს იმედი - მხოლოდ პროლებში“, ჩაწერა დღიურში. ეს სიტყვები კვლავ და კვლავ ახსენდებოდა, როგორც მისტიკური ჭეშმარიტებისა და აშკარა აბსურდის გამოხატულება. რომელიღაც ყავისფერ ჯურღმულში იმყოფებოდა, უწინ სენტ პანკრასის სადგურად წოდებული ადგილის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ქვაღორღიანი ქუჩის ორივე მხარეზე პატარა ორსართულიანი სახლები ჩალაგებულიყო. პირდაპირ ტროტუარზე გამოსული შესასვლელები რატომღაც ვირთხის სოროებს მიაგავდა. ქვებს შორის აქა-იქ ამღვრეული წყლის გუბეები იდგა. სახლების შესასვლელებში და სახლებშუა ორღობეებში უამრავი ხალხი ირეოდა: დაქალიშვილებული გოგონები ახალშეღებილი ტუჩებით, მათ უკან ადევნებული ჭაბუკები, ბაჯბაჯით მოსიარულე ზორზოხა ქალები, რომლებიც გაჩვენებდნენ, როგორები იქნებოდნენ ის ქალიშვილები ათიოდე წლის შემდეგ. იქვე დაჩლახუნობდნენ დაბრეცილ ფეხებზე შემდგარი, წელმოკაკული და მქშინავი მოხუცებიც. ჩამოძონძილი, ფეხშიშველა ბავშვები გუბეებში დატყაპუნობდნენ და მხოლოდ დედების ბრაზიან ყვირილზე თუ იფანტებოდნენ. ფანჯრების დაახლოებით მეოთხედი ჩამსხვრეული და მუყაოგაკრული იყო. უინსტონისთვის ყურადღება თითქმის არავის მიუქცევია. მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა შეათვალიერა ფრთხილი ცნობისწადილით. ერთ-ერთი კარიდან ორი ვეებერთელა, წინსაფარზე წითელმკლავებგადაჯვარედინებული ქალი გამოდიოდა. მიახლოებულ უინსტონს შემოესმა: - ჰო-მეთქი, უთხარი, ძალიან

კარგია-მეთქი, მაგრამ შენ რომ ჩემს ადგილზე ყოფილიყავი, შენც ჩემსავით იზამდი-მეთქი. გაკრიტიკება ადვილია-მეთქი, მე უთხარი, მაგრამ შენ ის პრობლემები არ გქონია, მე რომ მქონდა-მეთქი.

- აჰ, - თქვა მეორემ, - ზუსტად ეგრეა.

მკივანა ხმები უცბად ჩაჩუმდა. ქალებმა უინსტონს მტრული მზერა გააყოლეს. უფრო სწორად, მტრული კი არა - ფრთხილი, წამით გაყურსული მზერა, რომელიღაც უცნობ ცხოველს რომ გააყოლებენ ხოლმე. პარტიის ლურჯი უნიფორმა ამ ქუჩაზე უცხო სანახავი იყო. თუ საგანგებო საქმე არ გქონდა, ჯობდა, ასეთ ადგილებში საერთოდ არ გამოჩენილიყავი. ქუჩის პატრული გაგაჩერებდა და დაგიწყებდა: „შენი დოკუმენტები, ამხანაგო! აქ რას აკეთებ? ამ გზით დადიხარ შინ?“ და ა. შ. კანონი არ კრძალავდა უჩვეულო გზით შინ დაბრუნებას, მაგრამ ეს უკვე საკმარისი იყო აზრის პოლიციის ყურადსაღებად.

უეცრად მთელი ქუჩა მღელვარებამ მოიცვა. ყველა მხრიდან გამაფრთხილებელი ძახილი გაისმა. ხალხი კურდღლებივით მიაწყდა შესასვლელებს. ერთმა ახალგაზრდა ქალმა კარიდან ისკუპა, გუბეში მოთამაშე ბავშვს ხელი დასტაცა, წინსაფარში გაახვია და ისევ კარში შეხტა, - სულ ერთი მოძრაობით! იმავე წამს ორღობიდან გამოჩნდა უცნაურ შავ კოსტიუმში გამოწყობილი კაცი, უინსტონს მივარდა და აღელვებულმა ცისკენ მიუთითა: - ორთქლა! - შესძახა მან, - ფრთხილად, უფროსო! თავზე დაგეცემა! ჩქარა დაწექი!სარაკეტო ბომბს პროლები რატომღაც „ორთქლას“ ეძახდნენ. უინსტონი იმწამსვე პირქვე დაემხო. პროლები თითქმის ყოველთვის დროულად გაფრთხილებდნენ, თითქოს საგანგებო ინსტინქტს ფლობდნენ, რამდენიმე წამით ადრე რომ ანიშნებდა სარაკეტო ბომბის მოახლოებას. თუმცა ეს უკანასკნელი, ალბათ, ზებგერითი სისწრაფით მოძრაობდა. უინსტონმა ხელები თავზე წაიფარა. გაისმა გრუხუნი, თითქოს მთელი ქვაფენილი შეირყაო. რაღაც მსუბუქად დაეყარა თავზე. ფეხზე წამომდგარმა შეამჩნია, რომ უახლოესი ფანჯრის ნამსხვრევები დაყროდა. უინსტონმა სვლა განაგრძო. ორასიოდე მეტრის იქით ბომბს რამდენიმე სახლი დაენგრია. კვამლი შავ სვეტად ადიოდა ცისკენ, უფრო ქვემოთ კი ბათქაშის მტვრის ღრუბელი იდგა. ღრუბლის ბინდბუნდში უკვე ნანგრევებს შემოხვეული ხალხი ილანდებოდა. უინსტონის წინ ბათქაშის პატარა გროვა ეყარა და შუაზე კაშკაშა წითელი ზოლი გასდევდა. ახლოს მისულმა მაჯაში წაწყვეტილი ხელის მტევანი დაინახა. თუ არ ჩავთვლით სისხლიან ბოლოს, დანარჩენი ხელი თაბაშირის ყალიბივით გათეთრებულიყო.

უინსტონმა მოგლეჯილ მტევანს ფეხი წაჰკრა და საკანალიზაციო არხში ჩააგდო. შემდეგ, ხალხს რომ არიდებოდა, მარჯვნივ გაუხვია. სამ-ოთხ წუთში ბომბდაცემული ადგილი უკან ჩამოიტოვა და აფუთფუთებული ქუჩების უბადრუკი ცხოვრებაც ისე გაგრძელდა, თითქოს არაფერი მომხდარაო.

უკვე ოცი საათი ხდებოდა და პროლების სასმლის მაღაზიები (მათებურად - „პაბები“) ხალხით გავსებულიყო. მათი გაზინთული, ორმხრივ მოტრიალე კარიდან შარდის, ნახერხისა და მჟავე ლუდის სუნი იფრქვეოდა. იქვე, წინ წამოწეული მეორე სახლის კუთხეში სამი მამაკაცი იდგა. ერთ მათგანს გაშლილი გაზეთი ეჭირა, ორი დანარჩენი მის მხრებს ზემოდან კითხულობდა. უინსტონი საკმაოდ ახლოს იყო, კარგად ხედავდა მათ სახეებს და იმასაც, რომ სამივე მთელი

არსებით ჩართულიყო რაღაც საგულისხმო ინფორმაციის კითხვაში. სულ რამდენიმე ნაბიჯი აშორებდა, როცა უეცრად სამი კაცი ერთმანეთს წაეკიდა. ერთ მომენტში კინაღამ მუშტებზეც გადავიდნენ.

- არ გინდა, თავში შეუშვა, რას ვამბობ? გეუბნები, ბოლო თოთხმეტ თვეში შვიდიანზე დამთავრებულ არც ერთ რიცხვს არ მოუგია-მეთქი!- მე კიდე გეუბნები, რო მოუგია!- არ მოუგია! სახლში რო მივედი, მთელი ორი წლის სია ამოვიღე ფურცელზე ჩამოწერილი. საათივით ზუსტად მომდის ხოლმე. ჰოდა, გეუბნები, შვიდიანზე დამთავრებულ არც ერთ რიცხვს...

- მოუგია-მეთქი! რიცხვსაც კი გეტყვი: ოთხზე ან შვიდზე თავდებოდა. თებერვალში იყო, თებერვლის მეორე კვირაში.

- ბებიაშენისამ, თებერვალში! თეთრზე შავით მიწერია ყველაფერი და გეუბნები...

- მორჩით ახლა! - შესძახა მესამემ.

ლატარიაზე დაობდნენ. უინსტონმა ოცდაათი ნაბიჯი გაიარა და უკან მოიხედა. სახეანთებული კაცები ისევ გატაცებით კამათობდნენ. ლატარია, რომელიც ყოველკვირეულად დიდ პრიზებს იძლეოდა, პროლებისთვის ერთადერთი სერიოზული საჯარო ღონისძიება იყო. ალბათ, მილიონობით პროლისთვის ლატარია წარმოადგენდა ცოცხლად დარჩენის პრინციპულ - თუ არა ერთადერთ - მიზეზს. ეს იყო მათი სიამოვნება, მათი სიგიჟე, მათი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება და გონებრივი სტიმულატორი. როცა საქმე ლატარიას ეხებოდა, მაშინ წერა-კითხვის ძლივს მცოდნე ადამიანებიც კი რთულ ანგარიშს ახერხებდნენ და მეხსიერების სფეროში საარაკო გმირობებს სჩადიოდნენ. არსებობდა ადამიანთა მთელი კლანი, რომელიც მხოლოდ ცხრილების, პროგნოზებისა და სიკეთის მომტანი ავგაროზების გაყიდვით ცხოვრობდა.

დოვლათის სამინისტროს კომპეტენციაში არსებულ ლატარიასთან უინსტონს არაფერი აკავშირებდა, თუმცა იცოდა (ისევე, როგორც პარტიის ყველა წევრმა), რომ დაწესებული პრიზები მეტწილად გამოგონილი იყო. სინამდვილეში, მხოლოდ პატარა თანხებს გასცემდნენ. დიდი თანხების მომგებნი არარსებული პირები იყვნენ. ამის მოწყობა სიძნელეს არ წარმოადგენდა ოკეანიის მხარეებს შორის რეალური კომუნიკაციის არარსებობის გამო.

მაგრამ თუ არსებობდა იმედი - მხოლოდ პროლებში. აი, რას უნდა ჩასჭიდებოდი. როცა ამას სიტყვებით გამოთქვამდი, გონივრულად ჟღერდა, მერე კი, როცა ტროტუარზე შენ გვერდით ჩავლილ ადამიანებს უმზერდი, რწმენად იქცეოდა.

ქუჩა, რომელზეც უინსტონმა შეუხვია, ქვემოთ დაეშვა. ისეთი გრძნობა გაუჩნდა, რომ აქ ადრეც ყოფილა და სადღაც შორიახლოს ცენტრისკენ გასასვლელიც იყო. წინიდან ყვირილი მოესმა. ქუჩამ მკვეთრად მოუხვია და ქვის საფეხურებს მიადგა. კიბე ღრმად ეშვებოდა მეორე, ვიწრო ქუჩისკენ, სადაც ჩანდა რამდენიმე დახლი ზედ დაწყობილი მიმჭკნარი ბოსტნეულით. ამჯერად უინსტონმა ადგილი იცნო. ეს ქუჩა დიდ პროსპექტზე გადიოდა. შემდეგ მოსახვევში, ხუთიოდე წუთის სავალზე, იყო ძველმანების მაღაზია, სადაც მან თავისი ცარიელფურცლებიანი წიგნი იყიდა, იქვე მდებარე საკანცელარიო მაღაზიაში კი - საკალმე და ერთი შუშა

მელანი.

ერთი წამით ქვის კიბის თავზე შეჩერდა. ქუჩის მეორე მხარეს იდგა გაცრეცილი ლუდხანა თითქოს დაჭირხლული, სინამდვილეში კი მტვრიანი ფანჯრებით. მეორე წამს მიხრწნილობისგან წელში მოხრილი და მაინც ცქვიტად მოძრავი კაცი ლუდხანაში შევიდა. ამ კაცს გაფშეკილი თეთრი ულვაშები ჰქონდა და უინსტონს გაუელვა, რომ ოთხმოცზე არანაკლები წლის ეს ადამიანი რევოლუციის დროს საშუალო ასაკის იქნებოდა. იგი და აქა-იქ კანტიკუნტად შემორჩენილი მისი მსგავსები გამქრალი კაპიტალიზმის უკანასკნელ ნაშთებს წარმოადგენდნენ. თვით პარტიაშიც ბევრი აღარავინ იყო ისეთი, ვისი იდეებიც რევოლუციამდე ჩამოყალიბდა. ძველი თაობა ძირითადად 50-60-იანი წლების დიდმა წმენდებმა იმსხვერპლა, იმ მცირეოდენს კი, ვინც დარჩა, უკვე დიდი ხანია მთლიანად დაეყარა იარაღი. თუ კიდევ არსებობდა ვინმე, ვინც საუკუნის პირველი ნახევრის ამბებს დაუმახინჯებლად გადმოგცემდა - მხოლოდ და მხოლოდ პროლი.

მოულოდნელად უინსტონს გონებაში ისევ საბავშვო ისტორიის წიგნიდან დღიურში გადმოწერილი პასაჟი ამოუტივტივდა. გიჟურმა იმპულსმა აიტანა - ლუდხანაში შესულიყო, მოხუცი გაეცნო და შეკითხვები დაესვა: „მიამბე შენს ცხოვრებაზე, როცა ბიჭი იყავი. როგორი იყო მაშინდელი ყოფა - დღევანდელზე უკეთესი თუ უარესი?“ ვიდრე თვითონვე შეეშინდებოდა ამ აზრის, უინსტონი კიბის საფეხურებს აჩქარებით ჩაჰყვა და ვიწრო ქუჩა გადაჭრა. სიგიჟე იყო, რა თქმა უნდა. ჩვეულებრივ, არ არსებობდა არავითარი დადგენილი წესი, რომელიც პროლებთან საუბარს ან მათ ლუდხანებში შესვლას კრძალავდა. მაგრამ ასეთი ქცევა მაინც მეტისმეტად უჩვეულო ჩანდა და შეუმჩნევლად არ ჩაივლიდა. თუ ამ დროს პატრული წაასწრებდა, ცუდად გავხდიო, ეტყოდა. თუმცა საეჭვოა, დაეჯერებინათ. კარის ხელისკვრით შეღება და მჟავე ლუდის საძაგელი სუნის ცხვირ-პირში შემოფრქვევა ერთი იყო. უინსტონის დანახვაზე იქ მყოფთა გნიასი სანახევროდ ჩაცხრა. ზურგით გრძნობდა, როგორ მისჩერებოდნენ მის ლურჯ უნიფორმას. ოთახის მოპირდაპირე ბოლოში გამართული ისრებით თამაშიც სამი ათეული წამით შეწყდა. ულვაშებგაფშეკილი მოხუცი ბართან იდგა და ბარმენს - ახალგაზრდა ახმახს მოკაუჭებული ცხვირითა და ვეებერთელა მკლავებით - რაღაცას ედავებოდა. ირგვლივ რამდენიმე კაცი შემოხვეოდათ თავ-თავისი კათხით ხელში.

- მგონი, გასაგებად გეუბნები, არა? - ეუბნებოდა მოხუცი და მხრებს მოჩხუბრულად ათამაშებდა, - მაშ, ერთპინტიანი[8] კათხა არა გაქვს ამხელა გამოსატყვრომში?- რა ჯანდაბაა ეგ შენი „პინტი“? - ეკითხებოდა წინ გადმოწეული და თითისწვერებით დახლს დაყრდნობილი ბარმენი.

- ერთი ამას დამიხედეთ! ბარმენი ჰქვია და პინტი არ გაუგონია! პინტი კვარტას ნახევარია, გალონში კი ოთხი კვარტაა. ანბანიც ხო არ გასწავლო?- არასოდეს მსმენია, - მოკლედ მოუჭრა ბარმენმა, - ლიტრი და ნახევარი ლიტრი, ჩვენ ესეც გვყოფნის. აგერ, კათხები და აირჩიე.

- მე პინტი მინდა. - ჯიუტობდა მოხუცი, - ხო შეგეძლო, პინტი მოგეცა. სად იყო ეგ ჯანდაბის ლიტრიანები, როცა ახალგაზრდა ვიყავი.

- როცა შენ ახალგაზრდა იყავი, მაშინ ჩვენ ხეებზე ვცხოვრობდით, - მიუგო

ბარმენმა და სხვებს გადახედა.

სიცილმა იფეთქა და თითქოს უინსტონის შემოსვლით გამოწვეული უხერხულობაც გაიფანტა. მოხუცს თეთრწვერამოყრილი პირისახე წითლად წამოენთო, ბუზღუნით შემობრუნდა და უინსტონს შეეჩეხა. ამან რბილად მოჰკიდა ხელი და ჰკითხა: - ნებას მომცემ, სასმელზე დაგპატიჟო?- კაი კაცი ხარ. - უპასუხა მოხუცმა მხრების სწორებით. არც კი შეუნიშნავს უინსტონის ლურჯი სამოსი, - პინტი! - აგრესიულად მიმართა კვლავ ბარმენს, - პინტი ვალოპი!ბარმენმა სქელი მინის კათხები დახლქვეშ მდგარ ვედროში გამოავლო და შიგ ნახევარ-ნახევარი ლიტრი მუქყავისფერი ლუდი - პროლების სამიკიტნოებში არსებული ერთადერთი სასმელი - ჩააპირქვავა. ჯინი არ უნდა დაელიათ, თუმცა ამასაც იოლად შოულობდნენ.

ისრებით თამაში განახლდა, დახლთან მდგარი კაცები კი ლატარიის ბილეთებზე ალაპარაკდნენ. ერთ წუთში უინსტონი ყველას გადაავიწყდა. ფანჯრის ქვეშ იდგა მაგიდა, სადაც მოხუცთან განმარტოება და საუბარი შეიძლებოდა. ეს ძალზე სახიფათო იყო, თუმცა ოთახში ტელეეკრანი არ ჩანდა. ამაში უინსტონი შემოსვლისთანავე დარწმუნდა.

- შეგეძლო ერთი პინტი აგეღო. - ჩაიბუზღუნა მოხუცმა, როცა თავის კათხასთან მოიკალათა, - ნახევარი ლიტრი ცოტაა, ერთი ლიტრი - ბევრი, შარდის ბუშტზე მირხევს. თანაც ძვირია. - ბევრი რამე შეიცვლებოდა შენი ახალგაზრდობის შემდეგ. - სცადა დაწყება უინსტონმა.

მოხუცმა მქრქალლურჯი თვალები ისრების სასროლი დაფიდან დახლზე გადაიტანა, დახლიდან - მამაკაცების ტუალეტის კარზე, თითქოს ცვლილებებს სამიკიტნოში ელისო.

- ლუდი უკეთესი იყო, - თქვა ბოლოს, - უფრო იაფიც! ჩემს ახალგაზრდობაში ერთი პინტი მსუბუქი ლუდი (ჩვენ მას ვალოპს ვეძახდით) ოთხი პენსი ღირდა. ომამდე, რა თქმა უნდა.

- რომელ ომს გულისხმობ? - ჰკითხა უინსტონმა.

- ყველა ომს. - თქვა მოხუცმა ბუნდოვნად, ლუდიან კათხას დასწვდა და კვლავ მხრებში გასწორდა, - მაგრად იყავი!გამხდარ ყელზე განსაცვიფრებელი სისწრაფით აუთამაშდა წაწვეტებული ადამის ვაშლი და ლუდიც სწრაფად გაუჩინარდა. უინსტონი დახლთან მივიდა და კიდევ ორი კათხა მოიტანა. ჩანდა, მოხუცს დავიწყებოდა თავისი აზრი ერთი ლიტრი ლუდის მეტისმეტობის შესახებ.

- შენ ჩემზე გაცილებით ხნიერი ხარ, - დაიწყო ისევ უინსტონმა, - ჩემს დაბადებამდე უკვე ჩამოყალიბებული კაცი იქნებოდი. ამიტომ შეძლებ გაიხსენო, როგორი იყო ცხოვრება რევოლუციამდე. ჩემი ხნის ხალხმა იმ პერიოდზე არაფერი იცის. მხოლოდ წიგნებიდან თუ ამოგვიკითხავს. თუმცა იქ, შესაძლოა, სიმართლე არ წერია. შენი აზრი მაინტერესებს. ისტორიის წიგნებში ამბობენ, რევოლუციამდელი ცხოვრება სრულებით განსხვავდებოდა დღევანდელისგან, საშინელი დევნა, უსამართლობა, სიღატაკე იყოო, იმ ყველაფერზე უარესი, რაც კაცმა შეიძლება წარმოიდგინოს. აქ, ლონდონში, ადამიანთა დიდ ნაწილს

არასოდეს ჰქონია საკმარისი საკვები. მოსახლეობის ნახევარი ფეხშიშველა დადიოდა, დღეში თორმეტ საათს მუშაობდნენ, სკოლას ცხრა წლის ასაკში ტოვებდნენ, ერთ ოთახში ათ სულს ეძინა. მათ გვერდით კი ცხოვრობდა სულ რამდენიმე ათასი მდიდარი და ძლიერი კაცი, სახელად კაპიტალისტები. ყველაფერი მათი იყო, რისი ფლობაც კი შეიძლებოდა. მდიდრულად მოწყობილ დიდ სახლებში ცხოვრობდნენ ოცდაათი მსახურის გარემოცვაში. ავტომანქანებით ან ოთხცხენიანი ეტლებით დადიოდნენ, შამპანურს სვამდნენ და ცილინდრები ეხურათ...

- ცილინდრები! - სახე გაუნათდა მოხუცს, - უცნაურია, ზუსტად გუშინ ვფიქრობდი. არც კი ვიცი, რატომ. უბრალოდ ვფიქრობდი. დიდი ხანია ცილინდრი აღარ მინახავს. აღარავინ ხმარობს. უკანასკნელად რძლის დაკრძალვაზე მეხურა, ეს კი ორმოცდაათი წლის წინ მაინც იქნებოდა. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევისთვის ვიქირავე, ხო გესმის.

- ცილინდრების ამბავი არც ისე მნიშვნელოვანია, - თქვა უინსტონმა მოთმინებით, -საქმე ის არის, რომ ის კაპიტალისტები და მათი კეთილდღეობისთვის მცხოვრები ზოგიერთი იურისტი, მღვდელი და სხვები დედამიწის ბატონ-პატრონები იყვნენ. ყველაფერი მათი სარგებლობისთვის არსებობდა. თქვენ - ჩვეულებრივი ადამიანები, მუშები - მათი მონები იყავით. როგორც მოეპრიანებოდათ, ისე მოგეპყრობოდნენ. საქონელივით გაგრეკავდნენ კანადაში. თუ მოუნდებოდათ, თქვენს ქალიშვილებთანაც დაწვებოდნენ. შეეძლოთ, გაეროზგეთ კიდეც ეგრეთ წოდებული მათრახით. მათთან შეხვედრისას ქუდი უნდა მოგეხადა. ყოველ კაპიტალისტს დაჰყვებოდა ლაქიების გუნდი, რომელიც...

- ლაქიები! - მოხუცს კვლავ გაუნათდა სახე, - რამდენი ხანია ეს სიტყვა აღარ გამიგონია. ყოველთვის უკან მაბრუნებს. მახსენდება: მრავალი წლის წინ ჰაიდპარკში დავდიოდი ხოლმე კვირაობით, ნაშუადღევს. ბიჭები სიტყვით გამოდიოდნენ. ხსნის არმია, კათოლიკეები, ინდოელები - ყველა ჯურის ხალხი. ერთი ჯეელი იყო, სახელი არ მახსოვს, მაგრამ ძალიან მაგრად ლაპარაკობდა. არაფერს არ თმობდა! „ლაქიებო“, ამბობდა, „ბურჟუაზიის ლაქიებო! მმართველი კლასის მსახურნო! პარაზიტების, აფთრების მონა-მორჩილნო!“ - პირდაპირ „აფთრებს“ ეძახდა. რა თქმა უნდა, ლეიბორისტების პარტიას მიმართავდა, ხო გესმის.

უინსტონს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, რომ სხვადასხვა საგანზე საუბრობდნენ.

- მინდა გავიგო ერთი რამ, - თქვა მან, - გრძნობ თუ არა, რომ დღეს უფრო თავისუფალი ხარ, ვიდრე მაშინ? დღეს უფრო ადამიანურად გეპყრობიან თუ არა? ძველად მდიდარი ხალხი, კენწეროზე მსხდომი ადამიანები...

- ლორდების სახლი. - გახსენებით წარმოთქვა მოხუცმა.

- ლორდების სახლი, თუ გნებავს. მე გეკითხები: შეეძლოთ თუ არა ამ ადამიანებს, მიეჩნიე მათზე უფრო დაბლა მდგომ არსებად მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მდიდრები იყვნენ, შენ კი ღარიბი? როცა გვერდით ჩაუვლიდი, მართლა „ბატონოთი“ უნდა მიგემართა და ქუდი მოგეხადა?მოხუცმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ღრმად ჩაფიქრდა. ვიდრე პასუხს გასცემდა, თავის ლუდს ერთი

მეოთხედი მოაკლო: - ჰო, - თქვა ბოლოს, - ქუდისთვის ხელი უნდა მიგედო. ეს თითქოს პატივისცემას გამოხატავდა. მე ამას არ ვიზიარებდი, მაგრამ საკმაოდ ხშირად მიქნია. უნდა მექნა, შენი თქმის არ იყოს.

- და ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო (მხოლოდ იმას გეუბნები, რაც ისტორიის წიგნებში წამიკითხავს), რომ მათაც და მათ მსახურებსაც შეეძლოთ შენთვის ხელი ეკრათ და არხში ჩაეგდეთ?- ერთმა ეგრე მკრა. - თქვა მოხუცმა, - ისე მახსოვს, თითქოს გუშინ მოხდაო. ნავების რბოლის ღამე იყო (რბოლის ღამეს საშინლად ხულიგნობდნენ ხოლმე). შაფსაბერის ავენიუზე ვიღაც ჯეელს გადავეყარე, ნაღდ ჯენტლმენტს, პერანგით, ცილინდრით, შავი პალტოთი. ზიგზაგით მოუყვებოდა ტროტუარს. მეც ისე დავეჯახე, თითქოს ავარია მოხდაო, „ვერ ხედავ, სად მოდიხარ? - მეუბნება, - თავს მოგაძრობ, თუ უხეშად მომექცევი“. მთვრალი ხარ-მეთქი, ვეუბნები, ერთ წუთში დაგაჭერინებ-მეთქი, ვეუბნები. იმან კი, თუ დამიჯერებ, ისე მკრა ხელი, კინაღამ ავტობუსის ქვეშ შემაგდო. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და მინდოდა, ერთი მეგლიჯა, მაგრამ...

უინსტონი უმწეობის გრძნობამ შეიპყრო. მოხუცის ხსოვნა სხვა არაფერი იყო, გარდა ერთმანეთთან დაუკავშირებელი დეტალების გროვისა. მთელი დღე შეიძლებოდა კითხვები დაგესვა და პასუხი ვერ მიგეღო. პარტიის ნაამბობი, შესაძლოა, სიმართლე იყო, ვინ იცის - იქნებ სრული სიმართლეც. ერთხელ კიდევ სცადა: - შეიძლება ცუდად გამოვთქვი, - თქვა მან, - აი, რისი თქმა მინდა: შენ ძალიან დიდხანს გიცხოვრია, აქედან ნახევარი - რევოლუციამდელ ხანაში. 1925 წლისთვის უკვე დიდი იქნებოდი. ჰოდა, შეგიძლია თუ არა იმის თქმა, რომ მაშინ ცხოვრება უკეთესი იყო, ვიდრე დღესაა?მოხუცმა ჩაფიქრებით გახედა ისრების დაფას და ლუდის კათხა ჩვეულებრივზე უფრო ნელა გამოცალა. შემდეგ ტოლერანტული, ფილოსოფიური ტონით ალაპარაკდა, თითქოს ლუდმა განწყობა შეურბილაო: - ვიცი, რის თქმას ელოდები ჩემგან, - თქვა მან, - რომ ისევ ახალგაზრდად ყოფნას ვინდომებდი. თუ ჰკითხავ, უმეტესობა ისევ ახალგაზრდობას ნატრობს. როცა ახალგაზრდა ხარ, ჯანმრთელიც ხარ და ძლიერიც. როცა ჩემი ხნის მოიყრები, სულ ცუდად იქნები. ფეხებიც მტკივა, შარდის ბუშტმა ხო მთლად გამაგიჟა: ღამეში ექვსჯერ-შვიდჯერ მაყენებს. მეორე მხრივ, სიბერეს დიდი უპირატესობები აქვს. ბევრი რამე აღარ გადარდებს, მათ შორის - ქალებიც, და ეს ბევრს ნიშნავს. თუ დაიჯერებ, ოცდაათი წელია ქალი აღარ მყოლია, რაც მთავარია - არ მომსურვებია...

უინსტონი უკან გადაწვა და ფანჯრის რაფას მიეყრდნო. საუბრის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. ის იყო, კიდევ აპირებდა ლუდის ყიდვას, რომ უცებ მოხუცი წამოდგა და მყრალი ტუალეტისკენ გაფრატუნდა. მეორე კათხა ლუდი უკვე თავისას შვრებოდა. უინსტონმა ერთ-ორ წუთს კიდევ უყურა მოხუცის ცარიელ კათხას და ვერც კი შეამჩნია, როგორ აღმოჩნდა ქუჩაში. უკვე ოცი წელია თავის თავს უსვამდა დიდ და მარტივ კითხვას: რომელი ცხოვრება ჯობდა - დღევანდელი თუ რევოლუციამდელი? მაგრამ ეს კითხვა ახლაც უპასუხო რჩებოდა, რადგან გარდასული ხანის რამდენიმე თვითმხილველიც კი, ჯერაც რომ შემორჩენილიყვნენ აქა-იქ, ამ ორ პერიოდს ერთმანეთთან ვერ შეადარებდა. ახსოვდათ ათასობით უსარგებლო ამბავი: ჩხუბი თანამშრომელთან, ველოსიპედის დაკარგული საბერის ძებნა, დიდი ხნის გარდაცვლილი დის სახის გამომეტყველება, სამოცდაათი წლის წინ ერთ ქარიან დილას დატრიალებული

მტვერი... მაგრამ ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი მათი თვალსაწიერის მიღმა რჩებოდა. ჭიანჭველებივით იყვნენ: მხოლოდ პატარა საგნებს ხედავდნენ. და როცა მეხსიერება ღალატობდათ, მატიანე კი გაყალბებული იყო, მაშინ ადამიანებს სხვა აღარაფერი რჩებოდათ, გარდა იმისა, რომ მიეღოთ პარტიის მტკიცება ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ, რადგან არც აქამდე უარსებია და ვერც შემდგომში იარსებებდა რაიმე საზომი შესადარებლად.

ამ მომენტში აზრის მატარებელი შეჩერდა. უინსტონმა თავი ასწია. რომელიღაც ვიწრო ქუჩაზე იმყოფებოდა. ზოგიერთი საცხოვრებელი სახლიდან პატარა, ბნელი მაღაზია იმზირებოდა. მის თავს ზემოთ ეკიდა ლითონის სამი, თითქოს ოდესღაც მოოქრული, აწ გაუფერულებული ბურთი. მგონი, ამ ადგილს იცნობდა... რა თქმა უნდა, ეს ხომ სწორედ ის ძველმანების მაღაზიაა, სადაც დღიური იყიდა!უინსტონს შიშის ტალღამ დაუარა. საკმაოდ სარისკო იყო იმ წიგნის ყიდვა და მაშინ დაიფიცა - მეორედ აქ აღარ მოვალო. მიუხედავად ამისა, როგორც კი აზრები თავისუფლად მიუშვა, ფეხებმა ისევ აქ მოიყვანეს. დღიურის წერა მაშინაც ზუსტად წეღანდელი ფიქრებით აღძრული თვითმკვლელური იმპულსების საწინააღმდეგოდ მოიშველია. უკვე ოცდაერთი საათი ხდებოდა, მაგრამ მაღაზია ჯერ არ დაეკეტათ. იმ მოსაზრებით, რომ შიგნით უფრო ვერ შეამჩნევდნენ, ვიდრე გარეთ, უინსტონი მაღაზიაში შევიდა. თუ შეეკითხებოდნენ, იტყოდა, სამართებელს ვეძებდიო. შიგნით წამის წინ აენთოთ ზეთის ლამპა, რომელიც მძიმე, მაგრამ თავისებურად მეგობრულ სუნს აფრქვევდა. მაღაზიის პატრონს - სამოცამდე წლის გამხდარ, წელში მოხრილ ბერიკაცს გრძელი, კეთილმოსურნე ცხვირით - რბილი მზერა სქელი სათვალით გაორებოდა. თითქმის მთლიანად გაჭაღარავებული თმის ქვემოთ შავად გაფანჩული წარბები უჩანდა. რბილი, ფუსფუსა მოძრაობები, სათვალე და შავი ხავერდის ძველი ჟაკეტი ამ კაცს ინტელექტუალის - მწერლის თუ მუსიკოსის - იერს აძლევდა. რაღაც რბილი, მინავლული ხმა ჰქონდა და სიტყვებს, ჩვეულებრივ, პროლეებზე ნაკლებად ამახინჯებდა.

- ქუჩაშივე გიცანით, - შესვლისთანავე უთხრა უინსტონს, - თქვენ ის ჯენტლმენი ხართ, ახალგაზრდა ლედის ალბომი რომ შეიძინა. მართლაც ლამაზი ფურცლები ჰქონდა. კრემისფერ ვერჟეს ეძახიან. ასეთი ქაღალდი, მგონი, ორმოცდაათი წელია აღარ გამოსულა, - ამბობდა და უინსტონს სათვალის ზემოდან უყურებდა. - რითი შემიძლია გემსახუროთ? იქნებ მხოლოდ დასათვალიერებლად შემოხვედით?- აქეთ შემთხვევით მოვხვდი, - ჩაილაპარაკა უინსტონმა, - ისე შემოვიხედე, არაფრის ყიდვას არ ვაპირებ.

- ძალიან კარგი. მით უმეტეს, რომ, ვფიქრობ, ვერაფრით დაგაკმაყოფილებთ, - თქვა მაღაზიის პატრონმა ხელის მომბოდიშებელი მოძრაობით, - ხომ ხედავთ, თითქმის არაფერი მაქვს. ჩვენში დარჩეს და, ანტიკვარით ვაჭრობა უკვე შეწყდა. აღარავინ კითხულობს და აღარც მაქვს. ავეჯი, ფაიფური, მინის ჭურჭელი - ყველაფერი დროთა განმავლობაში დაიმსხვრა. ლითონის საგნების დიდი ნაწილიც უკვე გადაადნეს. რამდენი წელია თითბრის სასანთლე აღარ მინახავს!სინამდვილეში, მაღაზიის პაწია ინტერიერი შემაწუხებლად გადატვირთული იყო, თუმცა არაფერი ჩანდა უმცირესი ღირებულებისაც კი. იატაკის სივრცე კედლებზე ახორხლილ მტვრიან სასურათე ჩარჩოებს შეევიწროებინა. ფანჯარაში დადებულ სინებზე ქანჩები და ჭანჭიკები, გაცვეთილი საჭრისები, პირმომტვრეული ჯიბის დანები, შუშადაბინდული და სამუდამოდ

დადუმებული მაჯის საათები და სხვა ხარახურა ელაგა. მხოლოდ კუთხეში მდგარ მაგიდაზე ეყარა თითქოს რაღაცად ღირებული საგნები: პრიალა სათუთუნეები, აქატის ბროშები და მისთანანი. ახლოს მისულმა უინსტონმა თვალი მოჰკრა გლუვზედაპირიან მრგვალ საგანს, რბილად აციმციმებულს ლამპის სინათლეზე.

ეს იყო შუშის მძიმე, ცალ მხარეს ბრტყელი, მეორე მხარეს მომრგვალებული ნაჭერი, ანუ თითქმის ნახევარსფერო. მის ფერსაც და სუბსტანციასაც წვიმის წყლის სირბილე დაჰკრავდა. ზედაპირის ამობურცულობის მიზეზით გადიდებულ მის წიაღში ვარდისა თუ ზღვის ანემონის მსგავსი რაღაც უცნაურად დაგრაგნილი ვარდისფერი ფიგურა ილანდებოდა.

- ეს რა არის? - იკითხა განცვიფრებულმა უინსტონმა.

- მარჯანი, - უპასუხა მოხუცმა. - ინდოეთის ოკეანიდან უნდა იყოს. უწინ მინაში ჩასმა იცოდნენ. ეს ეგზემპლარი, სულ ცოტა, ასი წლის მაინც იქნება, შეხედულებით -მეტისაც.

- ლამაზია. - ლამაზია, - დაფასების ტონით გაიმეორა მოხუცმა, - დღეს ამას ბევრ რამეზე ვერ იტყვი, - ჩაახველა მან, - თუ იყიდით, ოთხი დოლარი დაგიჯდებათ. მახსოვს ის დრო, როცა ასეთი საგანი რვა ფუნტი მაინც ეღირებოდა, რვა ფუნტი კი საკმაოდ დიდი ფული ყოფილა. მაგრამ ვიღას აინტერესებს დღეს სიძველეები, თუნდაც ის თითო-ოროლა, დღემდე რომ შემორჩენილა?უინსტონმა ფული იმწუთასვე მისცა და შენაძენი ჯიბეში ჩაისრიალა. იმდენად ამ საგნის სილამაზე კი არ ხიბლავდა, რამდენადაც მისი შესახედაობა - სრულებით განსხვავებული დროების პირმშო. თითქოს წვიმის წყლისგან შექმნილი ეს რბილი მინა მის მიერ ნანახ არც ერთ სხვა მინას არ ჰგავდა. ნივთი ორმაგად იზიდავდა მისი აშკარა გამოუყენებლობის გამო, თუმცა ხვდებოდა, რომ დანიშნულებით ეს საგანი ოდესღაც პრესპაპიე უნდა ყოფილიყო. ჯიბე ძალიან დაუმძიმა, თუმცა მაინცდამაინც არ გამოუბურცა. პარტიის წევრისთვის უცნაური საგანი იყო, მაკომპრომეტირებელიც კი. ყველაფერი ძველი და ლამაზი ეჭვს იწვევდა.

ოთხი დოლარის მიღებამ მოხუცი კაცი შესამჩნევად გაახალისა. უინსტონი მიხვდა, რომ ეს კაცი სამ ან ორ დოლარზეც კი დათანხმდებოდა.

- ზევით სხვა ოთახიც მაქვს. თუ გნებავთ, იქაც შეიხედეთ, - თქვა მოხუცმა, - სულ რამდენიმე ნივთია. ლამპაც თან ვიქონიოთ, თუ ავალთ.

მოხუცმა მეორე ლამპა აანთო და, წელმოკაკული, ნელა აუყვა ვიწრო ასასვლელში დამრეცად ამავალ ძველ კიბეს. ზედა ოთახის ფანჯრები გადაჰყურებდა არა ქუჩას, არამედ ქვიან ეზოს და უამრავ საკვამურს. ავეჯის განლაგებაზე ეტყობოდა, რომ საცხოვრებლად იყენებდნენ. იატაკზე ვიწრო ხალიჩა ეფინა, კედლებზე ორიოდე სურათიც ეკიდა, ბუხართან კი ღრმა, დაძენძილი სავარძელი მიედგათ. ბუხრის თაროზე წიკწიკებდა ძველებური საათი თორმეტდანაყოფიანი ციფერბლატით. ფანჯრის ქვეშ თითქმის ნახევარი ოთახის სიფართოვის ვეებერთელა ლეიბიანი საწოლი იდგა.

- ჩემი ცოლის გარდაცვალებამდე აქ ვცხოვრობდით, - თქვა მოხუცმა ნახევრად მობოდიშებით, - ავეჯს ვყიდი, ნელ-ნელა. ამჯერად წითელი ხისგან დამზადებული

ამ ლამაზი საწოლის ჯერია, უფრო სწორად - ლამაზი იქნება, თუ ბაღლინჯოებს მოაშორებ. მაგრამ თქვენს თვალში, მგონი, ძალიან ჯაბახანა ჩანს, არა?ლამპა მაღლა ეჭირა, რათა მთლიანად გაენათებინა ოთახი, რომელიც ამ თბილ და ბუნდოვან სინათლეში კაცს უცნაურად იზიდავდა. უინსტონს გაუელვა: თუ გავრისკავ, ძნელი არ იქნება კვირაში რამდენიმე დოლარად ამ ოთახის დაქირავებაო. ჯობდა, ახლავე უკუეგდო ეს აზრი. მაგრამ ოთახმა რაღაც ნოსტალგია აღუძრა, თითქოს წინაპრები გაახსენა, თითქოს ზუსტად იცოდა, როგორი განცდით იჯდებოდა აქ ცეცხლის პირას მდგარ სავარძელში, ბუხრის ცხაურზე ფეხებშეწყობილი, სრულებით მარტო, სრულებით უსაფრთხოდ, ყოველგვარი უცხო თვალისა და გარედან შემოჭრილი ხმის გარეშე, სრულ სიჩუმეში, რომელსაც მხოლოდ ბუხარზევე წამოდუღებული ჩაიდნის სტვენა და კედლის საათის მყუდრო წიკწიკი დაარღვევდა.

- არავითარი ეკრანი! - ჩურჩულით წამოსცდა უინსტონს. - ოჰ, - თქვა მოხუცმა, - არასოდეს მქონია ეგეთი საგნები. მეტისმეტად ძვირია. არც კი დამჭირვებია, რაღაცნაირად. აგერ, კუთხეში გასაშლელი მაგიდა დგას. ოღონდ თუ შეიძენთ, ანჯამები უნდა გამოუცვალოთ.

ერთ-ერთ კუთხეში პატარა წიგნის კარადა იდგა და უინსტონს უკვე თავისკენ უხმობდა. თუმცა იქ მხოლოდ ნაგავი ეწყო, რადგან ყველა არასაჭირო წიგნი პროლების საცხოვრებელ უბნებშიც ისევე გამოეჩხრიკათ და მოესპოთ, როგორც სხვაგან. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ოკეანიაში სადმე კიდევ არსებობდა 1960 წლამდე დაბეჭდილი წიგნის თუნდ ერთი ეგზემპლარი. მოხუცს ლამპა ისევ ხელში ეჭირა და ამჯერად ბუხრის პირდაპირ, საწოლის თავზე ჩამოკიდებულ პალისანდრის ხისჩარჩოიან სურათთან იდგა.

- თუ ძველი გრავიურები გაინტერესებთ... - წამოიწყო დელიკატურად.

უინსტონი ახლოს მივიდა და სურათს დააცქერდა. გრავიურაზე გამოსახული იყო ოვალური ფორმის შენობა მართკუთხა ფანჯრებითა და მოპირდაპირე მხარეს აღმართული კოშკით. შენობას მოაჯირი შემოვლებოდა, უკან კი ძეგლი მოჩანდა. უინსტონმა ერთხანს უყურა: ბუნდოვნად ეცნო სურათზე გამოსახული ადგილი, მაგრამ ძეგლს ვერ იხსენებდა.

- ჩარჩო კედელშია ჩახრახნილი, - თქვა მოხუცმა, - მაგრამ თუ ისურვებდით, შემეძლო ამომეღო.

- ვიცი ეს შენობა, - ხმა ამოიღო უინსტონმა, - დღეს უკვე ნანგრევებად არის ქცეული. შუა ქუჩაში დგას, იუსტიციის სასახლის უკან.

- მართალია, სასამართლოს უკან. მრავალი წლის წინ დაბომბეს. ოდესღაც იქ წმ. კლიმენტის ეკლესია იყო. - დაუდასტურა მოხუცმა და, თითქოს სასაცილო რამ გამოთქვაო, მობოდიშებით გაიღიმა. შემდეგ დაამატა: „ლიმონები და ფორთოხალები“, - წმინდა კლიმენტის რეკენ ზარები!- ეგ რაღაა? - იკითხა უინსტონმა.

- ოჰ, ჩემი ბავშვობის დროინდელი ლექსია. გაგრძელება აღარ მახსოვს, მახსოვს მხოლოდ დასასრული: სანთელი მოდის, რომ საწოლთან დაგენთოს, მცელავი

მოდის, რომ თავი წაგკვეთოს. ცეკვა იყო ასეთი: ხელები ზევით ეჭირათ, შენ კი ქვეშ გადიოდი. როცა ამ ადგილამდე მივიდოდნენ - მცელავი მოდის, რომ თავი წაგკვეთოს - ხელებს ქვევით ჩამოსწევდნენ და გიჭერდნენ. ეკლესიების სახელებს ჩამოვთვლიდით ხოლმე, ლონდონის ყველა მთავარი ეკლესიის სახელს.

„ნეტავ რომელ საუკუნეს ეკუთვნის ეს ეკლესია?“ - ფიქრობდა უინსტონი. ძალზე ძნელი დასადგენი იყო ლონდონის ამა თუ იმ შენობის ასაკი. ყველა დიდი, შთამბეჭდავი და შედარებით ახალნაგები შენობა ავტომატურად მიეწერებოდა რევოლუციის შემდგომ პერიოდს. აშკარად ძველ შენობებს შუა საუკუნეებად წოდებულ ბუნდოვან ხანას აკუთვნებდნენ. რაც შეეხება კაპიტალიზმის ეპოქას, ამ პერიოდში არაფერი ღირებული არ აეშენებინათ. არქიტექტურიდანაც ისევე ვერ ისწავლიდი ისტორიას, როგორც წიგნებიდან. ძეგლები, წარწერები, მემორიალური დაფები, ქუჩების სახელები - ყველაფერი, რაც სინათლეს მოჰფენდა წარსულს - სისტემატურად იცვლებოდა. - არ ვიცოდი, რომ ეს შენობა უწინ ეკლესია ყოფილა, - თქვა უინსტონმა.

- ეკლესია ბევრია, ოღონდ ახლა სხვა მიზნებისთვის იყენებენ, - მიუგო მოხუცმა, - მაშ, როგორ იყო ის ლექსი? ჰო, გამახსენდა!„ლიმონები და ფორთოხალები“, - წმინდა კლიმენტის რეკენ ზარები, „შენ ჩემი გმართებს სამი ფარტინგი“, - რეკენ ზარები წმინდამარტინის...

მეტი აღარ მახსოვს. ფარტინგი სპილენძის პატარა ფული იყო, ცენტს წააგავდა.

- წმ. მარტინის ეკლესია სად იყო?- წმ. მარტინის? ის დღესაც გამარჯვების სკვერში დგას, სურათების გალერეის პირდაპირ, სამკუთხა ფორმის სვეტებიანი პორტიკითა და ფართო ქვაკიბით.

უინსტონმა კარგად იცოდა ეს ადგილი - მუზეუმი, რომელშიც სხვადასხვა საპროპაგანდო გამოფენას აწყობდნენ: სარაკეტო ბომბებისა და მცურავი ციხესიმაგრეების მოდელებს, მტრის მიერ ჩადენილ სისასტიკეთა ამსახველ ცვილის სურათებს და სხვა ამდაგვარს.

- იმ ეკლესიას უწოდებდნენ წმ. მარტინს მინდვრებში, - დაამატა მოხუცმა, - მაგრამ ვერ ვიხსენებ, სადმე ახლომახლო მინდვრები რომ ყოფილიყოს.

უინსტონს სურათი არ უყიდია. ეს შენაძენი კიდევ უფრო შეუფერებელი იქნებოდა, ვიდრე მინის პრესპაპიე, და ვერც წაიღებდა, თუ ჩარჩოდან არ ამოაღებინებდა. თუმცა მოხუცთან ლაპარაკში ერთხანს მაინც შეყოვნდა. მისი სახელი უიკსი კი არ ყოფილა, როგორც მაღაზიის აბრის შემხედვარეს შეიძლებოდა ეფიქრა, არამედ ჩარინგტონი.

სამოცდასამი წლის ქვრივი ბერიკაცი უკვე ოცდაათი წელია აქ ცხოვრობდა. დიდი ხანია აპირებდა აბრაზე სხვა სახელის დაწერას, ვერა და ვერ მოაბა თავი. მთელი საუბრის განმავლობაში უინსტონს ყურში ის ორი სტრიქონი უწკრიალებდა: „ლიმონები და ფორთოხალები“, - წმინდა კლიმენტის რეკენ ზარები, „შენ ჩემი გმართებს სამი ფარტინგი“, - რეკენ ზარები წმინდამარტინის...

უცნაურია, მაგრამ ამ რითმებზე ფიქრისას თითქოს მართლა ესმოდა ზარების ხმა,

ან გამქრალ-დაკარგული ლონდონის ზარებისა. თითქოს ეს ლონდონი - შენიღბული და დავიწყებული - ჯერ კიდევ სადღაც არსებობდა. თითქოს ისმოდა ამ ზარების გადაძახილი სამრეკლოდან სამრეკლოზე. თუმცა, რამდენადაც უინსტონს ახსოვდა, ზარების რეკვა არასოდეს გაუგონია.

შემდეგ უინსტონი მისტერ ჩარინგტონს მოშორდა და კიბეზე მარტო დაეშვა. არ სურდა, მოხუცს დაენახა, როგორ ზვერავდა ქუჩას მაღაზიიდან გასვლის წინ. გონებაში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ შესაფერისი ინტერვალის, ვთქვათ, ერთი თვის, შემდეგ მაღაზიას კვლავ მოაკითხავდა. იქნებ ეს უფრო სახიფათო არ იყო, ვიდრე საზოგადოებრივ ცენტრში გამართული საღამოდან ათესვა. დღიურის ყიდვის შემდეგ აქ კიდევ ერთხელ მოსვლა იმაში დაურწმუნებლად, შეიძლებოდა თუ არა ამ მოხუცის ნდობა, - აი, ნაღდი სიგიჟე! მაგრამ...

ჰო, აუცილებლად მოვალო, ფიქრობდა უინსტონი. მოვიდოდა და ამ ლამაზი ხარახურიდან კიდევ იყიდდა რამეს. წმ. კლიმენტის გრავიურასაც შეიძენდა, ჩარჩოდან ამოიღებდა, სპეცტანსაცმლის ქვეშ დამალავდა და ისე წაიღებდა შინ. მისტერ ჩარინგტონს იმ ლექსის დარჩენილ ნაწილსაც რამენაირად ამოაღერღინებდა, მეორე სართულზე ოთახის ხუთწამიანმა ეგზალტაციამ ისე განძარცვა ყოველგვარი ზრუნვისგან, რომ ქუჩაში წინასწარი დაზვერვის გარეშე გააბიჯა. იქვე გამოგონილი მელოდიით ღიღინებდა კიდეც: „ლიმონები და ფორთოხალები“, - წმინდა კლიმენტის რეკენ ზარები, „შენ ჩემი გმართებს სამი ფარტინგი“, - რეკენ ზარები წმინდამარტინის...

უეცრად გული ყინულის ნატეხად ექცა, შიგნეული - წყლად: სულ რაღაც ათიოდე მეტრზე გამოჩნდა უინსტონისკენ მომავალი ლურჯუნიფორმიანი ფიგურა. ეს იყო შავთმიანი ქალიშვილი ფიქციის დეპარტამენტიდან. უკვე ბინდდებოდა, მაგრამ მისი ამოცნობა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა. ქალიშვილმა კაცს პირდაპირ სახეში შეხედა და ისე ჩაუარა, თითქოს არც დაუნახავს.

რამდენიმე წამით უინსტონი ისე დადამბლავდა, რომ ნაბიჯიც ვეღარ გადადგა. შემდეგ მძიმედ დაიძრა და ისე გაუხვია მარჯვნივ, ვერც კი შეამჩნია, რომ არასწორი მიმართულებით წავიდა. ახლა უკვე აშკარა იყო: ქალიშვილი მას უთვალთვალებდა, სწორედ უინსტონს უნდა გამოჰყოლოდა, რადგან დაუჯერებელია, რომ სრულიად შემთხვევით ესეირნა იმავე საღამოს პარტიის წევრთა საცხოვრებლიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ იმავე პერიფერიაში. ამდენი დამთხვევა ერთდროულად ვერ მოხდებოდა. ეს ქალი აზრის პოლიციის ნამდვილი აგენტი თუ არა, საკუთარი ინიციატივით აღძრული მოყვარული ჯაშუში მაინც იქნებოდა. სრულებით საკმარისი იყო, რომ უინსტონს უთვალთვალებდა. ალბათ, სამიკიტნოს ეპიზოდიც არ გამოჰპარვია.

უინსტონს სიარული უჭირდა. მინის მძიმე ნაჭერი ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ბარძაყს ეხლებოდა. კინაღამ ამოიღო და გადააგდო. ყველაზე აუტანელი კი მუცელში ატეხილი გვრემა იყო. ერთ მომენტში ისიც ეგონა, მოვკვდები, თუ სასწრაფოდ საპირფარეშოს არ ვიპოვიო. მაგრამ ასეთ უბანში საპირფარეშოს ვერსად ნახავდა. შემდეგ სპაზმი ჩაწყნარდა და ყრუ ტკივილიღა დაუტოვა.

ეს ქუჩა ჩიხი აღმოჩნდა. უინსტონი შეჩერდა ბუნდოვანი ფიქრით - ახლა რა ვქნაო, შემდეგ კი გავლილ გზას უკან გამოჰყვა. უცებ გაუელვა, ქალიშვილმა სულ

რაღაც სამი წუთის წინ ჩამიარა და სირბილით დავეწევიო. მანამდე შეეძლო მიდევნა, სანამ მოფარებულ ადგილას იყვნენ. წამოეწეოდა და ქვით გაუხეთქავდა თავს. ამისთვის ჯიბეში ჩადებული პრესპაპიეც სავსებით საკმარისი იქნებოდა. მაგრამ ეს აზრი მეორე წუთშივე უარყო, რადგან ფიზიკურ ძალისხმევაზე გაფიქრებაც კი აუტანელი ეჩვენა. არც სირბილი შეეძლო და არც დარტყმის მიყენება. გარდა ამისა, ქალიშვილი ახალგაზრდა იყო, ღონიერი, თავს დაიცავდა. ისიც იფიქრა, საზოგადოებრივ ცენტრში წავალ და, სანამ დაიკეტება, იქ ვიქნებიო. ეს იმისთვის, რომ ნაწილობრივი ალიბი მაინც ჰქონოდა. მაგრამ ესეც შეუძლებელი იყო. მომაკვდინებელმა დაქანცულობამ შეიპყრო. ისღა უნდოდა, რაც შეიძლება სწრაფად მიეღწია სახლამდე და წყნარად დამჯდარიყო სკამზე.

შინ მხოლოდ ოცდაორი საათის შემდეგ შევიდა. სინათლეს, ძირითადად, ოცდაოთხის ნახევარზე თიშავდნენ. სამზარეულოში გავიდა, ჩაის ჭიქით ჯინი გადაყლურწა, ნიშში შედგმულ მაგიდას მიუჯდა და უჯრიდან დღიური ამოიღო. თუმცა მაშინვე არ გადაუშლია. ეკრანიდან ჟღრიალით იფრქვეოდა პატრიოტული სიმღერა ლითონისხმიანი ქალის შესრულებით. უინსტონი იჯდა, დღიურის დაწინწკლულ ყდას დასცქეროდა და უშედეგოდ ცდილობდა, თავი დაეღწია ამ მოჟღრიალე ხმისგან.

წასაყვანად ყოველთვის ღამით მოდიოდნენ. ურიგო არ იქნებოდა, მანამდე მოგეკლა თავი, ვიდრე წაგიყვანდნენ. ეჭვი არაა, ზოგი ასეც იქცეოდა. მრავალი გაქრობა, სინამდვილეში, თვითმკვლელობა იყო. მაგრამ განსაკუთრებით გამბედავი უნდა ყოფილიყავი, რომ თავი მოგეკლა იმ ქვეყანაში, სადაც ვერც ცეცხლსასროლ იარაღს იშოვიდი და ვერც საწამლავს. გაოგნებული ფიქრობდა ტკივილისა და შიშის უსარგებლობაზე, ფიქრობდა ღალატზე ადამიანური სხეულისა, სწორედ განსაკუთრებული ძალისხმევის საჭიროების დროს რომ დამბლავდებოდა. საკმარისი ტემპით რომ ემოქმედა, აქამდე შავგვრემან ქალიშვილსაც დაადუმებდა. მაგრამ მოქმედების ძალა სწორედაც რომ უკიდურესი საფრთხის განცდამ დააკარგვინა. ამ წამში გაუელვა: კრიზისულ მომენტებში ადამიანი გარეგან მტერს კი არ ებრძვის, არამედ თვით მის სხეულში მყოფსო. ახლაც კი, გადაყლურწული ჯინის მიუხედავად, მუცლის ყრუ ტკივილმა თანამიმდევრული ფიქრის უნარი წაართვა. იგივე ხდება ყველა ვითომცდა ჰეროიკულ და ტრაგიკულ ვითარებაშიო, გაიფიქრა უცებ. ბრძოლის ველზე, საწამებელ ოთახში, ფსკერისკენ წასულ გემზე ყოველთვის დავიწყებას ეძლევა ის მიზნები, რომელთათვისაც იბრძვი, რადგან ასეთ დროს სხეული უკიდეგანოდ გებერება. მაშინაც კი, როცა არც შიშით ხარ გათანგული და არც ტკივილი გაყვირებს, სიცოცხლე ყოველწამიერი ბრძოლაა შიმშილთან, სიცივესთან, უძილობასთან, აყმუვლებულ მუცელთან ან ატკივებულ კბილთან.

უინსტონმა დღიური გადაშალა. ერთობ მნიშვნელოვნად ეჩვენა, რომ რაღაც ჩაეწერა. ტელეეკრანში მომღერალმა ქალმა ახალი სიმღერა წამოიწყო. ეს ხმა უინსტონს შუშის ბასრი ნამსხვრევებივით ესობოდა ტვინში. სცადა, ეფიქრა ო’ბრაიენზე, ვისთვისაც ან ვის მიმართაც დღიური იწერებოდა, მაგრამ, ამის სანაცვლოდ, იმაზე დაიწყო ფიქრი, რა დაემართებოდა მას შემდეგ, რაც აზრის პოლიცია წაიყვანდა. საქმე ის არ იყო, ერთბაშად მოგკლავდნენ თუ არა. ამას ყველა შემთხვევაში ელოდი. მაგრამ სიკვდილის წინ (ამაზე არავინ ლაპარაკობდა, თუმცა ყველამ იცოდა) უნდა გაგევლო გამოტყდომა-აღიარების მთელი

პროცედურა: იატაკზე ფორთხვა და შეწყალების მუდარა, გადამტვრეული ძვლების, ჩალეწილი კბილებისა და სისხლით შეწებებული თმის ერთმანეთში არეული ხმები... რატომ უნდა გამოგევლო ეს ყველაფერი, თუ ბოლოს მაინც სიკვდილი გელოდა? რატომ იყო შეუძლებელი სიკვდილამდე დარჩენილი ამ რამდენიმე დღისა თუ კვირის თავიდან აცილება? საბოლოოდ, ვერავინ ვერასოდეს დამალულა და აღსარების თქმას ვერ გაჰქცევია. აზრკრიმინალის ჩადენის შემდეგ, ცხადია, შენი სიკვდილის დღე უკვე დანიშნული იყო. ვის სჭირდებოდა მთელი ეს საშინელება, თავს რომ გატყდებოდა იმ დღემდე და მაინც არაფერს ცვლიდა? უინსტონი შეეცადა, უფრო ნათლად წარმოედგინა ო'ბრაიენის სახე. „ჩვენ შევხვდებით იქ, სადაც სიბნელე არ არის", უთხრა ო'ბრაიენმა. ამჯერად უინსტონმა იცოდა - ან ეგონა, რომ იცოდა - რას ნიშნავდა ეს სიტყვები. ადგილი, სადაც არ არის სიბნელე, იყო წარმოსახული მომავალი, რომელსაც ვერასოდეს ნახავდა, მაგრამ მისტიკურად ეზიარებოდა წინდაწინ. მაგრამ ეკრანიდან მოჟღრიალე ხმით ტვინწაღებული უინსტონი აზრის სვლას ვეღარ მიჰყვებოდა. პირში სიგარეტი ჩაიდო და მაშინვე ენაზე გადმოეყარა ნახევარი თუთუნი - ძნელად გადმოსაფურთხებელი მწარე მტვერი. მის გონებაში ო,ბრაიენს დიდი ძმის სახე შეენაცვლა. როგორც რამდენიმე დღის წინ, ახლაც ჯიბიდან ფულის მონეტა ამოიღო და დახედა. მონეტაზე გამოსახულმა სახემაც ამოხედა - მშვიდად, მძიმედ, მფარველურად... მაგრამ ეს რა ღიმილი ჩამალვოდა იმ ხშირ ულვაშში? მძიმე სამგლოვიარო რეკვასავით ჩაესმა სიტყვები:

ომი მშვიდობაა

მონობა თავისუფლებაა

უმეცრება ძალაა

ორი

I

დილით უინსტონი თავისი სამუშაო ოთახიდან გამოვიდა და ტუალეტს მიაშურა.

გრძელი, კარგად განათებული დერეფნის მეორე ბოლოდან მისკენ ეული ფიგურა მოემართებოდა. ეს იყო შავგვრემანი ქალიშვილი. ოთხი დღე გავიდა მასთან შეხვედრის შემდეგ მისტერ ჩარინგტონის მაღაზიის მიდამოებში. როცა მოახლოვდა, უინსტონმა დალანდა, რომ ქალიშვილს მარჯვენა ხელი შეხვეული ჰქონდა, თუმცა ნახვევი სპეცტანსაცმლის ფერისა იყო და შორიდან არ ჩანდა. შეიძლება ხელი მაშინ დაიზიანა, როცა საბეჭდი მანქანის გორგოლაჭზე რომელიმე ნოველის ანაწყობს აცვამდა. ფიქციის დეპარტამენტში ასეთი რამ ხშირად ხდებოდა.

ერთი მეტრიღა აშორებდათ ერთმანეთს, რომ ქალიშვილმა წაიბორძიკა და თითქმის პირდაპირ სახით დაენარცხა იატაკს. ჰაერი ტკივილის მკვეთრმა შეკივლებამ გაჰკვეთა. ალბათ, ნატკენ მკლავზე დაეცა. უინსტონი იმწამსვე შედგა.

ქალიშვილი თვითონ წამოჯდა მუხლებზე. სახე რძისფერი გახდომოდა, რის ფონზეც ტუჩები კიდევ უფრო წითელი უჩანდა. მისი თვალები უინსტონს შიგ თვალებში ჩაჰყურებდნენ და ეს გულში ჩამწვდომი მზერა შიშს უფრო გამოხატავდა, ვიდრე ტკივილს.

უინსტონს გულში უცნაური გრძნობა გაუკრთა. ახლა ის უყურებდა მტერს, რომელიც მის მოკვლას ცდილობდა. ამავე დროს, ეს იყო დაშავებული და, შესაძლოა, ხელმოტეხილი ადამიანიც. ინსტინქტურად დაიძრა ქალიშვილის დასახმარებლად. შეხვეულ მკლავზე დაცემის შემხედვარემ ტკივილი საკუთარ სხეულში იგრძნო.

- იტკინე?- არაფერია. ეს ხელი... ორ წამში გამივლის. ისე ლაპარაკობდა, თითქოს გული უფანცქალებსო. სახე მეტისმეტად გაჰფითრებოდა.

- ხომ არაფერი მოიტეხე?- არა. კარგად ვარ. ერთ მომენტში მეტკინა, ეგაა და ეგ.

ჯანმრთელი ხელით უინსტონს დაეყრდნო და წამოდგა. ფერიც მოუვიდა და სულიც აშკარად მოითქვა.

- არაფერია, - გაიმეორა მოკლედ, - მაჯა დავარტყი. გმადლობ, ამხანაგო!და თითქოს არაფერი მომხდარაო, ცოცხლად გააბიჯა იქით, საითაც მიდიოდა. ამ ინციდენტმა სულ ნახევარ წუთს გასტანა. გრძნობების არგამოხატვა სახეზე უკვე ინსტინქტად ჰქცეოდა ყველას. შემთხვევის ადგილს პირდაპირ დაჰყურებდა ეკრანი. მიუხედავად ამისა, უინსტონისთვის ძალიან ძნელი იყო, არავითარი გაოცება არ შემჩნეოდა იმ ორ თუ სამ წამში, როცა ქალიშვილს წამოდგომაში ეხმარებოდა და როცა ამ უკანასკნელმა ხელიდან ხელში რაღაც ჩაუსრიალა. ორი აზრი არ არსებობდა: ქალიშვილი განზრახ დაეცა. უინსტონს ხელში რაღაც პატარა, ბრტყელი საგანი ეჭირა. ტუალეტში შესულმა ეს საგანი ხელის მტევნიდან ჯიბეში გადაიტანა. თითისწვერებმა ამცნეს: ეს იყო კვადრატულად დაკეცილი პაწია ფურცელი.

შარდვისას მოახერხა და ქაღალდი ჯიბეშივე გაშალა. ალბათ, ზედ რაღაც ეწერა. ერთ წამს შეყოყმანდა - ერთ-ერთ საპირფარეშოში ახლავე ხომ არ წავიკითხოო. მაგრამ, თვითონვე იცოდა, რომ ეს წმინდა წყლის სიგიჟე იქნებოდა. სად-სად და, აქ კი ეკრანს ნამდვილად ვერსად წაუვიდოდა.

სამუშაო ოთახში დაბრუნდა, მაგიდას მიუჯდა, ჯიბიდან ამოღებული ფურცლის ნაგლეჯი სხვა ფურცლებს შეურია, სათვალე გაიკეთა და ხმისმწერი ახლოს მიიდგა. „ხუთი წუთი, - უთხრა თავის თავს, - სულ ხუთი წუთი!“ გულს საშინელი ბაგაბუგი გაჰქონდა. საბედნიეროდ, დღევანდელი სამუშაო დიდ ყურადღებას არ ითხოვდა: ჩვეულებრივ უნდა ესწორებინა ციფრების გრძელი ნუსხა.

ასე მოულოდნელად შეჩეჩებულ ქაღალდზე დაწერილი ტექსტის შინაარსი ყველა შემთხვევაში პოლიტიკური უნდა ყოფილიყო. უინსტონის აზრით, არსებობდა ორად ორი შესაძლებლობა. ერთი - ყველაზე მეტად მოსალოდნელი - ის, რომ საქმე ჰქონდა აზრის პოლიციის აგენტთან, სწორედ რისიც უინსტონს ეშინოდა. თუმცა ვერ ხვდებოდა, რატომ უნდა გადაეცა აზრის პოლიციას შეტყობინება ასეთი უცნაური გზით, მაგრამ, ვინ იცის, ალბათ, საამისო მიზეზიც არსებობდა.

შეიძლება ფურცელზე ეწერა მუქარა, სასამართლო უწყება, თავის მოკვლის ბრძანება, სხვა რამ ხაფანგი... მაგრამ არსებობდა მეორე, უფრო გიჟური შესაძლებლობაც, რომელიც თავიდან არ შორდებოდა, თუმცა ყველანაირად ცდილობდა, უკუეგდო: იქნებ შეტყობინებას უგზავნიდა არა აზრის პოლიცია, არამედ რომელიმე მიწისქვეშა ორგანიზაცია? იქნებ, ყოველივეს შემდეგ, საძმო მართლა არსებობდა და ქალიშვილიც მისი წევრი იყო?! ეს იდეა - სრულებით აბსურდული, რასაკვირველია - ზუსტად იმ მომენტში გაუჩნდა, როცა ხელში რაღაცის ჩასრიალება იგრძნო. მეორე, უფრო რეალური ახსნა მხოლოდ ორიოდე წუთის შემდეგ დაებადა. და ახლა კი, როცა გონება კარნახობდა, რომ ბარათი სიკვდილს ნიშნავდა, რაღაც უგუნური იმედი მაინც ჯიუტად უფეთქავდა და გულსაც უფრთხიალებდა. ამიტომაც იყო, რომ ხმისმწერისთვის ციფრების კარნახის დროს დიდის გაჭირვებით ინარჩუნებდა სიმშვიდეს. შესრულებული სამუშაო ერთად დაახვია და პნევმატურ მილში ჩაუშვა. რვა წუთმა განვლო. უინსტონმა სათვალე მოირგო, ამოიოხრა და სამუშაო ფურცლების მორიგი დასტა თავისკენ მოსწია. შემდეგ სულ ზემოთ მოქცეული ფურცლის ნაგლეჯი ხელში აიღო და გაშალა. ზედ დიდი, უსახური ასოებით ეწერა სამად სამი სიტყვა: მე შენ მიყვარხარ.

რამდენიმე წამს ისე გაოგნდა, რომ მამხილებელი ფურცლის ხსოვნის ნახვრეტში ჩაგდებაც კი ვერ მოისაზრა. მიუხედავად იმისა, რომ საუცხოოდ იცოდა ფურცლის ამ ნაგლეჯისადმი მეტისმეტი ინტერესის გამოჩენის საფრთხე, თავი მაინც ვერ შეიკავა და ზედ დაწერილი სიტყვები მეორედ გადაიკითხა მათ რეალობაში დასარწმუნებლად.

დილის დანარჩენ საათებში მუშაობა ძალიან გაუჭირდა. ადვილი არ იყო გონების კონცენტრაცია უმნიშვნელო სამუშაოზე, მაგრამ კიდევ უფრო ძნელი აღმოჩნდა მღელვარების დაფარვა ეკრანისგან. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მუცელში კოცონი ენთო. ოხშივარადენილ, ხალხით გავსებულ, აქოთქოთებულ ბუფეტში ლანჩისთვის ჩასვლაც წამებად ექცა. იმის იმედი მაინც ჰქონდა, ჭამის დროს მარტო ვიქნებიო. მაგრამ ნურას უკაცრავად: ნავსი იღბლით, საიდანღაც ისევ ის ბრიყვი პარსონსი გამოტყვრა, გვერდით მოუსკუპდა, თავისი ძლევამოსილი ოფლის სუნიც ზედ შეაფრქვია - ლამის რომ ჯაბნიდა ბუფეტის აღმვსებ თუნუქის ოხშივარს - და სიძულვილის კვირეულისთვის მზადების ბოდვაც თან მოაყოლა. განსაკუთრებული ენთუზიაზმით ჰყვებოდა მუყაოსგან დამზადებულ დიდი ძმის თავზე, საგანგებოდ ამ კვირეულისთვის რომ აკეთებდა დამსმენთა საბავშვო რაზმი მისი გოგონას მონაწილეობით. გამაღიზიანებელი ის იყო, რომ ბუფეტის ღრიანცელში უინსტონს პარსონსის ნალაპარაკევი კარგად არ ესმოდა და იძულებული იყო, გამუდმებით ეთხოვა, გაემეორებინა ესა თუ ის ბრიყვული შენიშვნა. ერთადერთხელ დაიჭირა ქალიშვილის სწრაფი მზერა ოთახის მოპირდაპირე მხრიდან, სადაც ეს უკანასკნელი სხვა ორ ქალიშვილთან ერთად იჯდა. თითქოს ქალიშვილმა ვერც კი დაინახაო და უინსტონსაც მეორედ აღარ გაუხედავს იქითკენ.

შუადღემ შედარებით უფრო მსუბუქად ჩაიარა. ლანჩის შემდეგ მოვიდა რთული და დელიკატური დავალება, რომელიც რამდენიმე საათის გულმოდგინე შრომასა და სხვა ყველაფრის განზე გადადებას ითხოვდა. დავალება მდგომარეობდა ორი წლის გამოშვებულ პროდუქციასთან დაკავშირებულ უწყებათა

ფალსიფიცირებაში და შინაგანი პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი, ამჟამად უკვე წყალშემდგარი პირის დისკრედიტირებას ითხოვდა. ამგვარ საქმეებს უინსტონი თავს კარგად ართმევდა, რისი წყალობითაც ქალიშვილი მთელი ორი საათით დაივიწყა. შემდეგ კი ამ უკანასკნელის სახე კვლავ წამოტივტივდა, მასთან ერთად - განმარტოების თითქმის აუტანელი სურვილიც. მარტო დარჩენამდე შეუძლებელი იყო მოვლენათა ასეთი განვითარების გააზრება. არადა, ამ საღამოს კვლავ საზოგადოებრივ ცენტრში იკრიბებოდნენ.

უინსტონმა ბუფეტში კიდევ ერთი უგემური საჭმელი შთანთქა და ცენტრისკენ გაეშურა. იქ მონაწილეობა მიიღო „სადისკუსიო ჯგუფის“ მორიგ სადღესასწაულო სისულელეში, ითამაშა ორი პარტია მაგიდის ტენისი, რამდენიმე ჭიქა ჯინიც გადახუხა და ნახევარი საათი უსმინა ლექციას „ინგსოცი ჭადრაკის სფეროში“. თავგაბეზრებულს, გულ-მუცელი ეხუთებოდა, მაგრამ ამჯერად მაინც უნდა დასწრებოდა. ფურცელზე დაწერილი იმ სამი სიტყვის წაკითხვის შემდეგ გადარჩენის სურვილმა შადრევანივით იხუვლა მის არსებაში. ამიტომ სიბრიყვე იქნებოდა თუნდაც პატარა რისკებზე წასვლა. შინ მხოლოდ ოცდასამ საათზე შევიდა. შესვლისთანავე ლოგინს მიაშურა. სიბნელეში წოლისას ეკრანისგან თავისუფლდებოდი და შეგეძლო, დიდხანს გეფიქრა.

ჯერ გადასაწყვეტი იყო წმინდად ფიზიკური პრობლემა: როგორ დალაპარაკებოდა ქალიშვილს, რათა შეხვედრა დაენიშნათ. ამიერიდან უინსტონი ვეღარ ხედავდა ქალიშვილის მხრიდან რამენაირი მახის დაგების საფრთხეს. ეს ცხადი გახადა თუნდაც იმ არამოჩვენებითმა მღელვარებამ, რითაც ქალიშვილმა ფურცელი გადასცა. იმ წამებში მან შიშისაგან ფერიც კი დაკარგა. უინსტონს არც ქალიშვილის მომართვის უკუგდება მოსვლია აზრად. სულ ხუთიოდე დღის წინ ქვით უპირებდა მოკვლას, ახლა კი ამას აზრი აღარ ჰქონდა. როგორც უწინ ოცნებაში, ახლაც წარმოუდგა ქალიშვილის შიშველი, ნორჩი სხეული. ეს გოგოც ხომ ყველა სხვასავით ბრიყვი ეგონა, სიცრუე-სიძულვილით გამოტენილი თავითა და გამოყინული მუცლით. რაღაც ციებ-ცხელებამ აიტანა იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლებოდა ეს ქალი დაეკარგა და მისი ნორჩი, თეთრი სხეული სამუდამოდ გასხლტომოდა ხელიდან. ყველაზე მეტად ის ზაფრავდა, რომ თუკი საკმარისად სწრაფ რეაქციას არ მისცემდა, ქალიშვილს განწყობა შეეცვლებოდა. მაგრამ როგორ გადაელახა ფიზიკური შეხვედრის ეს განუზომელი სიძნელე? როგორ ეფიქრა მორიგ სვლაზე - უკვე დაშამათებულს? სადაც უნდა წასულიყო, ეკრანი ყველგან უყურებდა. არსებითად, შეხვედრის ყველა შესაძლებლობა ბარათის წაკითხვიდან ხუთ წუთში გაიაზრა. მაგრამ ახლა ფიქრისთვის საკმარისი დრო ჰქონდა და ისე ჩამოუარა ყოველ მათგანს, თითქოს მაგიდაზე სამუშაო იარაღებს აწყობსო.

რა თქმა უნდა, ისეთი შეხვედრა, როგორიც დღეს მოხდა, ვეღარ განმეორდებოდა. ქალიშვილს ნაწერთა დეპარტამენტში რომ ემუშავა, ყველაფერი შედარებით ადვილად მოხერხდებოდა. მაგრამ ფიქციის დეპარტამენტის ადგილსამყოფელი ამ უზარმაზარ შენობაში უინსტონს ძალზე ბუნდოვნად თუ წარმოედგინა. არც იქ მისვლის საბაბი გააჩნდა. თუ ეცოდინებოდა მისამართი და სამსახურის დამთავრების დრო, მაშინ მოიფიქრებდა, როგორ შეხვედროდა შინისკენ მიმავალს. მაგრამ არც ეს იქნებოდა უსაფრთხო, რადგან ქალიშვილის ლოდინში სამინისტროსთან უნდა ეყიალა, ამას კი უთუოდ შეამჩნევდნენ. ფოსტით წერილის

გაგზავნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. უკვე არავისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს, რომ ყველა წერილი იხსნებოდა. საერთოდ, წერილს იშვიათად თუ წერდა ვინმე. საჭიროების შემთხვევაში, არსებობდა ღია ბარათები ზედ წარწერილი სტანდარტული ფრაზებით. ყველას გადახაზავდი, გარდა იმისა, რომელიც გჭირდებოდა. ასე იყო თუ ისე, უინსტონმა ჯერ ქალიშვილის სახელიც კი არ იცოდა, მისამართზე რომ არაფერი ვთქვათ. ბოლოს ყველაზე უსაფრთხო ადგილად ბუფეტი მიიჩნია. თუ მოიხელთებდა მაგიდასთან მარტოკა მჯდარს ეკრანებისგან მოშორებით, საყოველთაო ალიაქოთში, და თუ ეს შეხვედრა ოცდაათ წამს მაინც გაგრძელდებოდა, მაშინ იმარჯვებდნენ და რამდენიმე სიტყვას გაცვლიდნენ.

მთელმა მომდევნო კვირამ მოუსვენარი სიზმარივით ჩაიარა. ბოლოს ქალიშვილი გამოჩნდა, თუმცა ბუფეტში მაშინღა შემოვიდა, როცა უინსტონის შესვენების დამთავრების მაუწყებელი სტვენა გაისმა. ალბათ, ქალიშვილის სამუშაო განრიგმა რამდენადმე წაინაცვლა. ისე ჩაუარეს ერთმანეთს, არც კი შეუხედავთ. მეორე დღეს ქალიშვილი კვლავ უწინდებურ დროს მოვიდა, მაგრამ ამჯერად ზუსტად ეკრანის ქვეშ მჯდარ სამ სხვა ქალიშვილს შეუერთდა. ამის შემდეგ სამმა საზარელმა დღემ ისე ჩაიარა, საერთოდ აღარ გამოჩენილა. უინსტონს გონებაცა და სხეულიც არნახულად მგრძნობიარე და თითქოს ერთიანად გამჭვირვალე გაუხდა, რის გამოც აგონიამდე მიჰყავდა თვით მისგან თუ სხვებისგან წამოსულ ყოველ სიტყვას, ბგერას, მოძრაობას თუ შეხებას. ქალიშვილის სახე ძილშიც თვალწინ ედგა. მთელი ეს ხანი დღიური ერთხელაც არ გადაუშლია. თუ რამე აძლევდა შვებას, ისევ თავისი სამუშაო, როცა საკუთარ თავს ხანდახან ათიოდე წუთით ივიწყებდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა შეიძლებოდა დამართოდა ქალიშვილს. ვერავის ვერაფერს შეეკითხებოდა. იქნებ აორთქლდა? იქნებ თავი მოიკლა? იქნებ ოკეანიის მეორე ბოლოში გაგზავნეს? ყველაზე უარესი და მართლმაგვარი კი ის იყო, რომ, ალბათ, აზრი შეიცვალა და უინსტონს გაურბოდა.

მეოთხე დღეს ქალიშვილი გამოჩნდა. ხელიდან სახვევი მოეხსნა და მაჯაზე მხოლოდ ლეიკოპლასტირი დაეკრა. მისმა დანახვამ ისეთი შვება მოჰგვარა, რამდენიმე წამს თვალი ვეღარ მოსწყვიტა. მომდევნო დღეს ცოტაღა დააკლდა, რომ დალაპარაკებოდა: ბუფეტში შემოსვლისას პირდაპირ დაინახა კედლისგან მოშორებით მდგარ მაგიდასთან მარტოკა მჯდარი. ჯერ ადრე იყო, ხალხს ბუფეტი არ გადაეჭედა. რიგი წინ მიიწევდა. ბოლოს უინსტონი დახლთან აღმოჩნდა. კიდევ ორი წუთი წაიღო ვიღაცის ჩივილმა კუთვნილი სახარინის მიუღებლობის გამო. მაგრამ ქალიშვილი კვლავ მარტო რჩებოდა და ლანგარზე საჭმელდაწყობილი უინსტონიც მისკენ წავიდა. დაუდევრად მიაბიჯებდა და მზერით იმ მაგიდაზე უფრო შორს მდგომ სხვა მაგიდას ეძებდა. სამიოდე მეტრიღა აშორებდა მიზნამდე, ორ წამში უკვე მიაღწევდა კიდეც და ამ დროს უკნიდან მოესმა „სმიტ!“. ვითომ ვერ გაიგონა. „სმიტ!“ - გაიმეორეს უფრო ხმამაღლა. სხვა გზა აღარ იყო: უინსტონი შემობრუნდა. ქერათმიანი, ბრიყვული სახის ახალგაზრდა კაცი, სახელად უილშერი, რომელიც სულ ერთხელ თუ ორჯერ შეხვედრია, ახლა ღიმილით სთავაზობდა ცარიელ სკამს თავის მაგიდასთან. მიპატიჟების უარყოფა დაუდევრობა იქნებოდა. მას შემდეგ, რაც ვიღაცამ იცნო, უცხო ქალთან ვეღარ დაჯდებოდა. ნამდვილად შეამჩნევდნენ. უინსტონიც მივიდა და მეგობრული ღიმილით დაჯდა. სახეში ბრიყვული სახე შეჰყურებდა. უინსტონს მომენტალურად წარმოუდგა, რა სიამოვნებით ხეთქავდა ამ იდიოტს წერაქვს შიგ ცხვირ-პირში.

რამდენიმე წუთში ქალიშვილის მაგიდაც დაიკავეს.

მაგრამ ის უთუოდ დაინახავდა მისკენ მომავალ უინსტონს და, შესაძლოა, რაღაც ენიშნა კიდეც. მომდევნო დღეს უინსტონმა ჭკუა იხმარა და ადრე მოვიდა. ქალიშვილი ისევ იმ მაგიდასთან იჯდა და ისევ მარტო. რიგში უინსტონის წინ იდგა პატარა, სწრაფად მოძრავი, ხოჭოსებრი ადამიანი ბრტყელი სახითა და ეჭვიანი თვალებით. დახლიდან ლანგრიანად შემობრუნებულმა უინსტონმა დაინახა, რომ კაც-ხოჭოს ზუსტად ქალიშვილისკენ აეღო გეზი. კიდევ ერთხელ დაემსხვრა იმედები. იქითა მაგიდა სრულებით ცარიელი იყო, მაგრამ ხოჭოს რაღაცით ეტყობოდა, რომ თავის თავზე იზრუნებდა და მთლად მარტო არ დარჩებოდა. გულგაყინული უინსტონი უკან მიჰყვა. აზრი არ ჰქონდა ქალიშვილთან დაჯდომას ვინმეს თანდასწრებით.

უცებ საშინელი ლაწუნი გაისმა. მთელი სხეულით ძირს გაშხლართული კაც-ხოჭოს ლანგარი სადღაც გაფრინდა, იატაკზე დაქცეული და ყავა კი ორ ნაკადულად გაწანწკარდა. კაცი ფეხზე წამოდგა და უინსტონს ბოროტი მზერა ესროლა. ეტყობოდა, ეჭვი შეეპარა - ამან ხომ არ მიხიმანდრაო. მაგრამ ყველაფერი რიგზე იყო და ხუთი წამის შემდეგ უინსტონი ქალიშვილის მაგიდასთან იჯდა.

არც კი შეუხედავს, ლანგრიდან ყველაფერი გადმოალაგა და ჭამას შეუდგა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ახლავე დალაპარაკება, სანამ ვინმე მოვიდოდა, მაგრამ რა ექნა ამ საზარელი შიშისთვის, მთელი მისი არსება რომ მოეცვა? ქალიშვილის პირველი მოახლოებიდან მთელ კვირას ჩაევლო. ამასობაში ის, ალბათ, აზრს შეიცვლიდა, ნამდვილად შეიცვლიდა. შეუძლებელი იყო ამ ყველაფრის კეთილად დაბოლოება. რეალურ ცხოვრებაში ასეთი რამეები არ ხდებოდა. ალბათ, ხმას ვერც ამოიღებდა, რომ არა სწორედ ამ მომენტში გამოჩენილი ყურბანჯგვლიანი პოეტი ეიმპლფორთი, ლანგრით ხელში მაგიდებს შორის ზარმაცას ნაბიჯებით რომ დანარნარებდა. თავისი ამებური განუზღვრელობით, ეიმპლფორთს უინსტონთან რაღაც აკავშირებდა და ამიტომ, თუ შეამჩნევდა, უთუოდ გვერდს დაუმშვენებდა. მოქმედების დასაწყებად ერთი წუთიღა რჩებოდა. მაგრამ ორივეს თავები დაეხარა და ორივე შეუპოვრად ჭამდა. ამჯერად ლანჩად ლობიოს სუპი ჰქონდათ. პირველმა უინსტონმა მიმართა ხმადაბალი ჩურჩულით. არც ერთს თავი არ აუწევია, ორივე მედგრად იტენიდა პირში თხიერი მასით სავსე კოვზებს. სწორედ ამ კოვზებს შორის გაიცვალა არაფრის გამომხატველი ხმით წარმოთქმული რამდენიმე აუცილებელი სიტყვა: - როდის ამთავრებ სამუშაოს?- თვრამეტსა და ოცდაათზე.

- სად შეგვიძლია შევხვდეთ?- გამარჯვების სკვერში, ძეგლთან.

- იქ სულ ეკრანებია.

- ეს არაფერს ნიშნავს, თუ ბრბოში ხარ.

- სიგნალი?- არავითარი. მხოლოდ მაშინ მომიახლოვდი, როცა ბევრ ხალხში დამინახავ. არ შემომხედო, სადმე ახლოს გაჩერდი.

- დრო?- ცხრამეტი საათი.

- კარგი.

ეიმპლფორთმა უინსტონი ვერ შეამჩნია და სხვა მაგიდასთან დაჯდა. ქალიშვილმა ლანჩი სწრაფად მოათავა და ბუფეტიდან გავიდა. უინსტონი იქვე დარჩა და სიგარეტს მოუკიდა. აღარაფერი უთქვამთ და ერთმანეთის შეხედვასაც ისე აარიდეს თავი, როგორც შეძლეს.

უინსტონი „გამარჯვების პარკში“ დანიშნულ დროზე ადრე მივიდა. რამდენჯერმე შემოუარა უშველებელ სვეტს, რომელსაც აგვირგვინებდა დიდი ძმის ქანდაკება, მზერით მიმართული სამხრეთის ცისკენ, სადაც მან ძლევამოსილად დაამარცხა ევრაზიული ავიაცია (ანუ, რამდენიმე წლის წინანდელი გაგებით, აღმოსავლეთაზიური). ქანდაკების პირდაპირ იდგა მეორე ქანდაკება ცხენიანი კაცისა, ოლივერ კრომველად რომ მიიჩნეოდა. დათქმულ დროს ხუთი წუთი გადასცდა, მაგრამ ქალიშვილი არ ჩანდა. უინსტონი ისევ საშინელმა ძრწოლამ მოიცვა: ის აღარ მოდიოდა, გადაიფიქრა! ნელი ნაბიჯით წავიდა ჩრდილოეთისკენ და მცირედი სიამოვნება მიიღო იმით, რომ ამოიცნო წმ. მარტინის ეკლესია, რომლის ზარები -როცა ისინი არსებობდნენ - რეკავდნენ ხოლმე: „შენ ჩემი გმართებს სამი ფარტინგი“. უცებ დაინახა მონუმენტთან მდგარი ქალიშვილი, რომელიც კითხულობდა ან ვითომ კითხულობდა სვეტზე სპირალურად გაკრულ აფიშას. მიახლოება სახიფათო იყო, ვიდრე სხვებიც არ მოგროვდებოდნენ. კვარცხლბეკის ირგვლივ ყველგან ეკრანები ჩაესვათ. მაგრამ უეცრად სადღაც მარცხნიდან გაისმა ადამიანების ხმამაღალი შეძახილები და მძიმე ტრანსპორტის მოახლოების ხმა. სკვერში მყოფი ხალხი იქით მიაწყდა. ქალიშვილმაც მკვირცხლად შემოუარა სვეტის ძირში გამოქანდაკებულ ლომებს და სკვერის მეორე მხარეს გაშურებულთა ნაკადს შეუერთდა. უინსტონიც მათ მიჰყვა. სირბილის დროს სხვებისგან ნასროლი სიტყვებით შეიტყო, რომ ბადრაგს ევრაზიელი ტყვეები მიჰყავდა.

სკვერის სამხრეთ ნაწილში უკვე დიდძალი ხალხი შეგროვილიყო. უინსტონისნაირი ადამიანი, ჩვეულებრივ, ხალხის ასეთი შეჯგუფებისას განაპირას ხვდებოდა ხოლმე. მაგრამ ამჯერად იგი ჯიქურ მიიკვლევდა გზას ბრბოს შუაგულისკენ. მალე ქალიშვილისგან სულ ერთი ხელისგაწვდენაღა აშორებდა, მაგრამ მათ შორის ადამიანური ხორცის გაუვალ კედლად აღიმართა უზარმაზარი კაცი და თითქმის ასეთივე ქალი (ალბათ, მისი ცოლი). უინსტონი გვერდულად დადგა და ამ კედლის გარღვევას შეეცადა. ერთ რომელიღაც წამს ეგონა, ამ ორი გოლიათის დაკუნთულ თეძოებს შორის მოყოლილი ნაწლავები სადაცაა გარეთ გადმომეყრებაო. ბოლოს, რის ვაი-ვაგლახითა და ოფლის ღვრით, მაინც გააღწია. უკვე მის გვერდით იყო, მხრით მხარზე ეხებოდა, თუმცა ორივე პირდაპირ იყურებოდა.

სატვირთო მანქანების გრძელი მწკრივი ქუჩას ნელა მიუყვებოდა. თითოეული მანქანის ძარის კუთხეებში გამართულად იდგნენ ავტომატიანი მცველები ქვასავით უგრძნობელი სახეებით. ძარის დანარჩენ სივრცეში ერთიმეორის გვერდით ჩამსხდარიყვნენ მომწვანოუნიფორმიანი პატარა, ყვითელკანიანი ადამიანები სევდიანი მონღოლოიდური სახეებით და ყოვლად უინტერესოდ გასცქეროდნენ მანქანის მიღმა დარჩენილ სივრცეს. შიგადაშიგ, როცა მანქანა წაიჯანჯღარებდა, ძარიდან ლითონის ჟღრიალი ისმოდა - ფეხებზე დადებული

ბორკილების ხმა. მანქანა მანქანას მისდევდა, ნაღვლიანი სახეები - ნაღვლიან სახეებს. უინსტონმა იცოდა მათი იქ ყოფნა, მაგრამ მხოლოდ დროდადრო თუ ხედავდა. ქალიშვილის მხარ-მკლავი მის მხარ-მკლავს შეტყუპებოდა. ლოყაც ისე ახლოს ჰქონდა, მისი სითბოც კი იგრძნობოდა. ქალიშვილმა აქაც ისევე მომენტალურად აუღო სიტუაციას ალღო, როგორც ბუფეტში, და იმავე არაფრისმთქმელი გამომეტყველებითა და ძლივს შესამჩნევად ამოძრავებული ტუჩებით ალაპარაკდა. ეს იყო თითქმის ჩურჩული, სულ ადვილად დანთქმული ხალხის ხმებსა და სატვირთო მანქანების გრიალში.

- გესმის ჩემი?- მესმის.

- შეგიძლია, გათავისუფლდე კვირას, ნაშუადღევს? - შემიძლია.

- მაშინ ყურადღებით მისმინე. ეს უნდა დაიმახსოვრო. წადი პადინგტონის სადგურზე...

ქალიშვილმა გამაოგნებელი სამხედრო სიზუსტით მოხაზა, რა მარშრუტით უნდა ევლო უინსტონს: ნახევარი საათი მატარებლით; შემდეგ - სადგურის მარცხნივ - ორი კილომეტრი ფეხით; იქ არის კარიბჭე, ზედა ძელი არა აქვს, შიგნით - მინდორი შუაში ბილიკით; შემდეგ ბალახმოყრილი ორღობე, ბუჩქებშუა გამავალი კვალი, ხავსმოდებული მკვდარი ხე... თითქოს რუკა ედო თავში!- არ დაგავიწყდება?- არა.

- მარცხნივ, შემდეგ მარჯვნით, შემდეგ ისევ მარცხნივ და უძელო კარიბჭე.

- გასაგებია. დრო?- თხუთმეტი საათისთვის. შეიძლება ლოდინმა მოგიწიოს. მე სხვა გზით მოვალ. დარწმუნებული ხარ, რომ დაიხსომე?- კი.

- მაშინ მომშორდი რაც შეიძლება სწრაფად.

უინსტონს ამის თქმა არ სჭირდებოდა, მაგრამ ამწუთას ბრბოდან ვერ გააღწევდნენ. სატვირთო მანქანები ისევ მიდიოდნენ, ხალხიც ისევ ხარბად აყოლებდა თვალს. თავიდან აქა-იქ სტვენა და სისინი გაისმა. მაგრამ ეს ხმები მხოლოდ პარტიის წევრებისგან მოდიოდა და მალე მიჩუმდა. ძირითად ემოციად ცნობისწადილი რჩებოდა. უცხოელებს - ევრაზიელებს თუ აღმოსავლეთაზიელებს - უცნობი ცხოველებივით უყურებდნენ. ოკეანიის მკვიდრს მხოლოდ ტყვეებად თუ ენახა ისინი, ანუ მხოლოდ წამიერად. არც ის იცოდა ვინმემ, რა ხვედრი ელოდათ ამ ტყვეებს საბოლოოდ. ხედავდნენ მხოლოდ იმათ, ვისაც სახრჩობელაზე ჰკიდებდნენ, როგორც ომის დამნაშავეებს. დანარჩენები უკვალოდ ქრებოდნენ, - ალბათ, გაძლიერებული შრომის ბანაკებში მიჰყავდათ. მრგვალ მონღოლოიდურ სახეებს შეენაცვლა უფრო ევროპული ტიპის სახეები - ჭუჭყიანი, გაუპარსავი და არაქათგამოცლილი. უხორცო ყვრიმალებიდან უინსტონს წამით მიანათებდა და წამშივე შორდებოდა რომელიმე მათგანის უცნაურად ინტენსიური მზერა. მანქანების მწკრივს ბოლო გამოუჩნდა. უკანასკნელ ძარაზე უინსტონმა თვალი მოჰკრა ფეხზე მდგარ მოხუც კაცს გაჭაღარავებული გრუზა თმითა და წინ გადაჯვარედინებული მაჯებით. თითქოს ყველა წინმავალს ეს კაცი კრავდა და საბოლოო ბეჭედს უსვამდა. ქალიშვილთან დაშორების დრო იყო. უკანასკნელ მომენტში, ჯერ კიდევ ბრბოს შუაგულში ყოფნისას, ქალიშვილის ხელი მის ხელს ჩაეჭიდა.

ეს ათ წამსაც არ გაგრძელებულა, მაგრამ თითქოს ძალიან დიდხანს გასტანა. უინსტონისთვის ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა ქალიშვილის ხელის თითოეული დეტალის შესასწავლად. იგრძნო მისი გრძელი თითები, კარგად მოყვანილი ფრჩხილები, მუშაობისგან გაუხეშებული ხელისგული, რბილი ზედაპირი მაჯის შიდა მხარეს... ისე გრძნობდა, თითქოს ხედავდა. იმავე წამს გაუელვა, რომ არ იცოდა, რა ფერის თვალები ჰქონდა: შეიძლება ყავისფერი ან სულაც ლურჯი, როგორც შავთმიან ადამიანებს აქვთ ხოლმე ხანდახან. თავის მიბრუნება და შეხედვა მიუტევებელი სიშლეგე იქნებოდა. უხილავად ჩაჭიდებული ხელის მტევნებით ორივე წინ განაგრძობდა ცქერას, ქალიშვილის თვალების ნაცვლად კი უინსტონს სატვირთო მანქანის ძარიდან გრუზათმიანი პატიმრის სევდით დაბინდული თვალები ჩამოჰყურებდნენ.

II

უინსტონი ჩრდილ-სინათლით დაწინწკლულ ორღობეს აუყვა. ყველგან, სადაც ტოტები გადაიხსნებოდა, თითქოს ოქროს გუბეებში ადგამდა ფეხს. მარცხნივ, ხეებქვეშ, მიწა ნისლივით დაეფარა ცისთვალებს. ჰაერი თითქოს კანზე ეამბორებოდა. მაისის მეორე ნახევარი იდგა. ტყის სიღრმიდან ქედნების ღუღუნი ისმოდა.

დათქმულზე ოდნავ ადრე მივიდა. მგზავრობამ მშვიდად ჩაიარა. ქალიშვილი იმდენად გამოცდილი ჩანდა, რომ უინსტონს მოსალოდნელზე უფრო ნაკლებად ეშინოდა. ალბათ, ნამდვილად უხიფათო ადგილას მიიხმეს. საერთოდ, ვერ იტყოდი, რომ სოფლად უფრო დაცული იყავი, ვიდრე ქალაქში. რა თქმა უნდა, აქ ეკრანები არ იდგა, მაგრამ არსებობდა სხვა საფრთხე - დამალული მიკროფონები, რომლებიც შენს ხმას მოიხელთებდნენ და გაგცემდნენ. გარდა ამისა, გაგიჭირდებოდა ისე მგზავრობა, რომ ვიღაცას არ შეენიშნე. ლონდონიდან ასი კილომეტრის რადიუსში გამგზავრებისას პასპორტის დარეგისტრირება სავალდებულო არ იყო, მაგრამ რკინიგზის სადგურებში არცთუ იშვიათად გადაეყრებოდი პატრულს, რომელიც პარტიის ნებისმიერ წევრს საბუთებს უმოწმებდა და ჩახლართულ კითხვებს უსვამდა. ამჯერად პატრული არ გამოჩენილა და სადგურის შენობას ნელ-ნელა დაშორებული უინსტონიც რამდენიმე მალული მოხედვით დარწმუნდა, რომ არავინ მოსდევდა. უქმე დღისა და საზაფხულო ამინდის ნიშნად, მატარებელი პროლებს გაევსოთ. ხისსკამებიანი ვაგონი თითქმის მთლიანად დაეკავებინა ერთ უზარმაზარ ოჯახს. უკბილო ბებიიდან დაწყებული, ერთი თვის ჩვილით დამთავრებული - ყველა სოფლად მიემგზავრებოდა ნაშუადღევის გასატარებლად მოყვრებთან და, როგორც თვითონვე თქვეს გულახდილად, კარაქის საშოვნად შავ ბაზარზე.

ორღობე გაფართოვდა და ერთი წუთის შემდეგ უინსტონი ქალიშვილის მიერ ნახსენებ ბილიკზე გავიდა. ეს იყო პირუტყვის მიერ გაკვალული ვიწრო სავალი, რომელიც ბუჩქებში იკარგებოდა. საათი არ ჰქონდა, მაგრამ ჯერ თხუთმეტი არ იქნებოდა. იმდენი ცისთვალა ამოსულიყო, რომ ფეხს ვერ მოარიდებდი. უინსტონი დაიხარა და რამდენიმე მოწყვიტა, ნაწილობრივ - დროის გასაყვანად, ნაწილობრივ -იმ ბუნდოვანი აზრით, რომ ქალიშვილს აჩუქებდა. დიდი თაიგული გამოუვიდა, რომელსაც მსუბუქი, ოდნავ ავადმყოფური სურნელი უდიოდა. სწორედ თაიგულს ყნოსავდა, როცა ადგილზე გააქვავა ზურგს უკან

გახმიანებულმა ძირნაყარი ტოტების ლაწალუწმა. უინსტონმა განაგრძო ცისთვალების კრეფა - საუკეთესო რამ, რაც კი ასეთ დროს შეიძლებოდა ეკეთებინა. ვინ იცის, ვინ უახლოვდებოდა - ქალიშვილი თუ უკან ადევნებული ჯაშუში. თვალების აქეთ-იქით ცეცება დამნაშავედ გამოაჩენდა, ამიტომაც კრეფდა და კრეფდა. მხარზე მსუბუქად შეეხნენ.

აიხედა. ქალიშვილი იყო. მან თავი გაიქნია, ალბათ, იმის ნიშნად, რომ კაცს ხმა არ ამოეღო, შემდეგ ბუჩქები გაარღვია და ტყეში შემავალ ვიწრო გზას მიუყვა. ისე უვლიდა გვერდს გუბე-ჭანჭრობებს, აშკარა იყო, აქ პირველად არ იმყოფებოდა. უინსტონი თაიგულიანად მისდევდა. თავდაპირველად შვება იგრძნო. მაგრამ წინ მიმავალი ასხლეტილი სხეულისა და თეძოების კარგად გამომკვეთი ალისფერი ლენტის ცქერამ თავისი დაბლამდგომობის განცდა მოჰგვარა და დაამძიმა. ახლაც კი ისეთი პირი უჩანდა, რომ როცა ქალიშვილი შემობრუნდებოდა და შეხედავდა, აღარ გაეკარებოდა. ტკბილსურნელოვანი ჰაერი და ფოთლების სიმწვანე უინსტონს თავგზას უბნევდა. სადგურს გამოცილებულმა თავი უკვე ჭუჭყიანად და უფერულად იგრძნო, როგორც კანის ფორებში მტვერჩამჯდარმა, ოთახში გამოზრდილმა არსებამ. ამწამს მოუვიდა აზრად, რომ ქალიშვილს, ალბათ, არასოდეს შეეხედა მისთვის დღის სინათლეზე. ამ დროს მიადგნენ ბოლო საუბარში ნახსენებ წაქცეულ ხეს. ქალიშვილი მარჯვედ გადაახტა და ერთიმეორეზე მჭიდროდ მიჯრილი ბუჩქები მისწი-მოსწია. უინსტონი უკან მიჰყვა და თავი პაწია, ბუნებრივ მდელოზე ამოყო. მდელოს ზღუდესავით შემორტყმოდა ნორჩი ხეების ამონაყარი. ქალიშვილი შეჩერდა და შემოტრიალდა.

- მოვედით.

უინსტონი მას სულ რამდენიმე ნაბიჯზე ხედავდა, მაგრამ მიახლოება ვერ გაებედა.

- ორღობეში არაფერი ვთქვი, - თქვა ქალიშვილმა, - იქნებ მიკროფონი იყო. არა მგონია, მაგრამ მაინც. ყოველთვის შეიძლება ხმით ამოგიცნონ იმ ღორებმა. აქ სამშვიდობოს ვართ.

უინსტონი მაინც ვერ უახლოვდებოდა.

- აქ უკვე არა გვიჭირს? - გაიმეორა სულელივით.

- ჰო. შეხედე ამ ხეებს.

ირგვლივ ლატანივით შემორტყმოდათ გადაჭრილ ძირებზე ამოყრილი პატარა იფნები, თითოეული - არა უმეტეს მაჯის სიმსხო.

- არც ერთი არ არის იმხელა, რომ მიკროფონი დაიმალოს. თანაც აქ სხვა დროსაც ვყოფილვარ.

ჯერჯერობით მხოლოდ ლაპარაკობდნენ. ამჯერად უინსტონმა მოახერხა და ქალიშვილს უფრო მიუახლოვდა. ის კი იდგა, წელგამართული, თითქოს ოდნავ ირონიულად მოღიმარიც იმ გაკვირვების გამო, თუ რატომ აყოვნებდა ეს კაცი. ცისთვალები მიწაზე დაცვივდა. ორივე ერთდროულად დაეშვა ძირს. უინსტონმა

ქალიშვილის ხელი აიღო.

- დაიჯერებ, რომ ამ მომენტამდე არ ვიცოდი შენი თვალების ფერი?ქალიშვილს ყავისფერი თვალები და მუქი წამწამები ჰქონდა.

- ახლა შენც ახლოდან მხედავ და... მაინც მიტან?- სულ ადვილად.

- მე ოცდაცხრამეტი წლის ვარ. მყავს ცოლი, რომელსაც თავიდან ვერ ვიშორებ. ვენების გაგანიერება მაქვს, ხუთი ხელოვნური კბილიც. - ეს მე არ მანაღვლებს. - თქვა ქალიშვილმა.

ძნელი სათქმელია - ვისი ინიციატივით, მაგრამ მომდევნო წამს ქალი მის მკლავებში მოექცა. თავიდან უინსტონი მხოლოდ უნდობლობას გრძნობდა. მისი სხეულის გვერდით ქალიშვილის ახალგაზრდა სხეული გაწოლილიყო, მუქი და რბილი თმა კაცს სახეზე ულამუნებდა და, აჰა, უინსტონი დიდ, წითელ ტუჩებს დაეწაფა. ქალიშვილი მკლავებით ყელზე შემოხვეოდა, ეუბნებოდა „ძვირფასო“, „საყვარელო“, „მშვენიერო“ და არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა. კაცს ყველაფერი შეეძლო, რასაც მოისურვებდა. მაგრამ უინსტონს არავითარი შეგრძნება არ ჰქონდა, მხოლოდ შეხებას გრძნობდა, მხოლოდ უნდობლობას და სიამაყეს. სიამოვნებდა, რაც ხდებოდა, მაგრამ ვნებას არ განიცდიდა. იქნებ ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა? იქნებ ქალიშვილის სინორჩემ და სილამაზემ შეაკრთო? მეტისმეტად დიდხანს ხომ არ იცხოვრა უქალოდ? - უინსტონი მიზეზს ვერ პოულობდა. ქალიშვილი წამოდგა, თმაზე შერჩენილი ცისთვალა ჩამოიბერტყა, კაცს გვერდით მიუჯდა, წელზე ხელი შემოხვია და უთხრა: - არაფერია, ძვირფასო! რა გვეჩქარება. მთელი ნაშუადღევი ჩვენს ხელთაა. ხო კარგი სამალავია? ერთხელ საზოგადოებრივ ექსკურსიას ჩამოვრჩი და მაშინ აღმოვაჩინე. თუ ვინმე აქეთ წამოვა, ასი მეტრიდან გაიგონებ.

- რა გქვია?- ჯულია. შენი სახელი ვიცი: უინსტონი, უინსტონ სმიტი.

- როგორ გაიგე?- მგონი, შენზე უკეთ ვპოულობ რაღაცებს, ძვირფასო. მითხარი, რას ფიქრობდი ჩემზე, ვიდრე ბარათს გადმოგცემდი?უინსტონს ტყუილის თქმის უმცირესი ცდუნებაც არ ჰქონია. ვინ იცის, იქნებ ყველაზე უარესით დაწყებაც სიყვარულის გამოვლინება იყო!- დასანახად მძულდი. მინდოდა, გამეუპატიურებინე და მერე მომეკალი. ორი კვირის წინ სერიოზულად გიპირებდი ქვით თავის გახეთქას. აზრის პოლიციასთან შეკრული მეგონე.

ქალიშვილმა სიამოვნებისგან გადაიკისკისა. შეეტყო, რომ ეს ბოლო შენიშვნა დიდ პატივს სდებდა მის ნიღაბს.

- ო, არა! ნუთუ მართლა ასე ფიქრობდი?- შეიძლება მთლად ამას არა, მაგრამ... მთელი შენი გარეგნობა - თუნდაც ის, რომ ახალგაზრდა ხარ, ლამაზი, ჯანმრთელი... გესმის? - ვფიქრობდი, ალბათ...

- ფიქრობდი, ეს რა ერთგული პარტიულიაო, არა? სიტყვითაც და საქმითაც! დროშები, დემონსტრაციები, ლოზუნგები, თამაშები, საზოგადოებრივი ექსკურსიები - მთელი ეს სიჩლუნგე. და, რა თქმა უნდა, იმასაც ფიქრობდი, ერთი ბეწო შანსი რომ მიეცეს, დამასმენს, როგორც აზრკრიმინალს, და

გამაცამტვერებსო, არა?- ჰო, რაღაც ეგეთი. ხომ იცი, რამდენი გოგო აკეთებს ამას. - აი, სულ ამ წყეული ლენტის ბრალია ყველაფერი, - ქალიშვილმა ანტისექსუალური ლიგის ალისფერი ლენტი წელიდან მოიძრო და ხის ტოტს მიაგდო. თითქოს ლურჯ უნიფორმაზე ხელის შევლებამ რაღაც გაახსენაო - ჯიბე მოისინჯა, პატარა შოკოლადი ამოიღო, ორად გატეხა და ნახევარი კაცს გაუწოდა. უინსტონი უკვე განსაკუთრებული სურნელით მიხვდა ვერცხლის ქაღალდში გახვეული ამ მუქი და მბზინავი ტკბილეულის უჩვეულობას. ჩვეულებრივი შოკოლადი მოყავისფრო იყო, იფხვნებოდა და, თუ სუნ-გემოთი რამეს შეადარებდი, ალბათ, ისევ ცეცხლწაკიდებული ნაგვის კვამლს. მაგრამ რამდენჯერმე უინსტონს ისეთი შოკოლადიც უჭამია, როგორიც ახლა ქალიშვილმა მისცა. შოკოლადის სურნელის პირველივე შეყნოსვამ რაღაც გაურკვეველი, ძალუმი და შემაშფოთებელი მოგონება აღუძრა.

- ეს სად იშოვე?- შავ ბაზარზე, - თქვა ქალიშვილმა განურჩეველი ტონით, - აი, როგორი გოგო ვარ. თამაში მეხერხება. დამსმენთა გაერთიანების ლიდერიც გახლდი. კვირაში სამჯერ, საღამოობით, ნებაყოფლობით სამუშაოს ვაკეთებ ანტისექსუალური ლიგისთვის. უამრავი საათი დამიხარჯავს მაგათი ფურცლების გაკვრაში მთელი ლონდონის კედლებზე. დემონსტრაციებზე ბანერის ერთი ბოლო ყოველთვის მე მიჭირავს. მუდამ ხალისიანად გამოვიყურები და თავს არაფერს ვარიდებ. ყოველთვის სხვებთან ერთად ვყვირი. აი, უსაფრთხოდ ყოფნის ერთადერთი გზა.

უინსტონს შოკოლადის პირველი ნატეხი ენაზე დაადნა. საუცხოო გემო ჰქონდა, თუმცა ის გაურკვეველი მოგონება ისევ მიმოიძვროდა ცნობიერების კიდესთან, - რაღაც ძლიერად საგრძნობი და უფორმო, როგორც თვალის კუთხით დანახული საგანი. უინსტონი ცდილობდა, უკუეგდო: ეს მოგონება თითქოს რაღაც ისეთ ქმედებას უკავშირდებოდა, რომელსაც სიამოვნებით მოსპობდა, რომ შესძლებოდა.

- შენ ძალიან ახალგაზრდა ხარ, - უთხრა უინსტონმა, - ჩემზე ათი-თხუთმეტი წლით უმცროსი. რამ მიგიზიდა ჩემნაირ კაცში?- რაღაც გქონდა სახეში. შანსი მომეცა- მეთქი, ვიფიქრე. კარგად ვარჩევ განსხვავებულებს. როგორც კი დაგინახე, მივხვდი, რომ ამათ უპირისპირდებოდი.

ამათ, როგორც ეტყობა, ნიშნავდა პარტიას და, უწინარეს ყოვლისა, შინაგან პარტიას, რომელზეც ქალიშვილი აბუჩად ამგდები სიძულვილით ლაპარაკობდა. უინსტონს უსიამოვნოდ გასცრა, თუმცა უსაფრთხო ადგილას იყვნენ (თუ ასეთი ადგილი საერთოდ არსებობდა). გააოცა ქალიშვილის ენის სიუხეშემ. პარტიის წევრები არ იგინებოდნენ და უინსტონიც ძალზე იშვიათად თუ შეიგინებდა, ყოველ შემთხვევაში - ხმამაღლა. ჯულიას კი, როგორც ჩანდა, არ შეეძლო პარტიის - განსაკუთრებით, შინაგანი პარტიის - ხსენება მწკლარტე გამოთქმების გარეშე. უინსტონს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო. ეს მხოლოდ იმის სიმპტომი იყო, რომ ქალიშვილი პარტიასა და ყოველივე მისეულს უმხედრდებოდა. ეს ისევე ბუნებრივი ჩანდა, როგორც დაცემინება ცხენისა, რომელსაც ცუდ თივას აჭმევენ.

თხილის ტოტების ჩეროში იდგნენ. უთვალავი ფოთლიდან ჩამოღწეული სინათლის ლაქები სახეებს უთბობდათ. უინსტონი ტყის გარეთ გადაჭიმულ ველს გაჰყურებდა და რაღაცის ნელი ამოცნობის უცნაურ გრძნობას შეეპყრო. ცნობდა

ამ ადგილს - ძველ, მესერმორღვეულ საძოვარს შუაში გამავალი ბილიკითა და თხუნელას ბორცვებით. მოპირდაპირე მხარეს, მესრის ღიობში ჩანდა თელადუმების მოქანავე ტოტები ქალის თმასავით ჩამოკონწიალებული ფოთლების ხშირი მტევნებით. სადღაც ახლოს აუცილებლად უნდა ყოფილიყო მდინარე მწვანე გუბეებით და შიგ მოსრიალე თევზებით.

მდელოდან გამოვიდნენ და კვლავ სინათლის ლაქებით აჭრელებულ ჩრდილში გაისეირნეს. ხელები ერთმანეთის წელზე შემოეხვიათ და ასე დადიოდნენ, სადაც კი ტევრი წყვილად გავლის საშუალებას აძლევდა. უინსტონმა შეამჩნია, რა რბილი წელი ჰქონდა ქალიშვილს ალისფერი ლენტის გარეშე. მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ჯულიას თქმით, მდელოს გარეთ წყნარად სიარული ჯობდა. ამჯერად პატარა ტყის განაპირას იდგნენ. ჯულიამ უინსტონი შეაჩერა.

- ტყიდან ნუ გავალთ. ვინმე არ გვითვალთვალებდეს. შიგნით არაფერი გვიჭირს.

- აქ სადღაც მდინარე უნდა იყოს, არა? - იკითხა უინსტონმა.

- კი, არის. მეზობელი მინდვრის განაპირას. შიგ დიდი თევზებიც არიან. ტირიფებქვეშ გუბეებში წვანან და კუდებს არხევენ.

- ეს ოქროს ქვეყანაა... თითქმის... - ჩაიჩურჩულა უინსტონმა.

- ოქროს ქვეყანა?- ჰო, არაფერია. რამდენჯერმე სიზმარში ვნახე.

- შეხედე! - თქვა ჯულიამ ჩურჩულით.

ხუთიოდე მეტრზე, თითქმის მათი სახეების პირდაპირ, ტოტზე შაშვი ჩამოჯდა. თავად მზეში მყოფმა, ალბათ, ჩრდილში გაყურსული ადამიანები ვერ შენიშნა. ფრთები გამოშალა, გულდასმით გაისწორა და ისევ დაკეცა. შემდეგ ერთი წამით თავი ჩახარა - თითქოს მზეს თავისი მორჩილება ამცნო - და თავდავიწყებულ სტვენას მიეცა. ნაშუადღევის სიჩუმეში ეს მჭახე ბგერა გამაოგნებლად ჟღერდა. მოხიბლული უინსტონი და ჯულია ერთმანეთს მიეკვრნენ. მუსიკა არა და არ წყდებოდა, საოცარი ვარიაციები ერთმანეთს ენაცვლებოდა და არ მეორდებოდა, თითქოს ეს ჩიტი საგანგებოდ ახდენდა თავისი ვირტუოზობის დემონსტრირებას. ხანდახან რამდენიმე წამით ჩერდებოდა, კვლავ შლიდა და კეცავდა ფრთებს, დაწინწკლულ მკერდს გამობერავდა და ისევ გალობაში ინთქმებოდა. ვისთვის ან რისთვის მღეროდა? არც ამხანაგი უყურებდა, არც მეტოქე. რა აიძულებდა ტყის განაპირას ჯდომას და ხმოვნების ღვრას სიცარიელეში? უინსტონს უკვირდა, ნუთუ აქ სადმე მიკროფონი შეიძლება იყოსო. მათ მხოლოდ ჩურჩულით ილაპარაკეს, ამას მიკროფონი ვერ დააფიქსირებდა, მაგრამ შაშვის გალობას? ეგებ სადღაც, რომელიღაც ოთახში ვიღაც ხოჭოსებრი კაცი იჯდა და გულმოდგინედ ისმენდა ამას? მაგრამ თანდათანობით მუსიკის ნაკადმა ყოველგვარი ფიქრი გაუქრო, თითქოს რაღაც სითხე ეღვრებოდა თავზე ფოთლებში გამოჟონილ მზის სხივებთან ერთად. უინსტონი აღარ ფიქრობდა, მხოლოდ უსმენდა. მისი მაჯა და ხელის მტევანი გრძნობდა ქალიშვილის რბილსა და თბილ წელს. მან იგი შემოაბრუნა და ახლა მკერდებით მიეკვრნენ ერთმანეთს. თითქოს ქალიშვილის სხეული მის სხეულში ღღვებოდა. ჯულიას სხეულის ყოველი ასო წყალივით ნებდებოდა მის ხელებს. ტუჩები ერთმანეთს

შეწებებოდნენ. ეს კოცნები დიდად სხვაობდა თავდაპირველი ხისტი კოცნებისგან. როცა სახეები ერთმანეთს დაშორდნენ, ორივემ ღრმად ამოიოხრა. ჩიტი ტოტიდან ახტა და ფრთების ტკრციალით გაფრინდა.

უინსტონმა ტუჩები ყურზე მიადო ქალიშვილს და - ახლაო - ჩასჩურჩულა.

- აქ არა, - იყო საპასუხო ჩურჩული, - სამალავში დავბრუნდეთ. იქ უფრო უსაფრთხოა.

სწრაფად, აქა-იქ ფეხქვეშ ატკაცუნებული ტოტების ხმის თანხლებით, კვლავ მდელოს მიაშურეს. ნორჩი იფნების წრეში შესული ქალიშვილი მობრუნდა და უინსტონს შეხედა. ორივე აჩქარებით სუნთქავდა, თუმცა ქალიშვილს ბაგის კუთხეში კვლავ ღიმილი გაუკრთა. ერთ წამს უინსტონს უყურა, მერე კი თავისი უნიფორმის შესაკრავს დასწვდა. ჰო, ეს თითქმის ისე გამოიყურებოდა, როგორც უინსტონის სიზმარში: თითქმის ისეთივე სხარტი მოძრაობით განიძარცვა სამოსი და ისეთივე მეფური ჟესტით მოისროლა, თითქოს მთელი ცივილიზაციაც ზედ მიაყოლაო. სხეულმა მზეზე თეთრად გამოანათა. მაგრამ თავდაპირველად უინსტონი ამ სხეულს არ უყურებდა, მისი მზერა ქალიშვილის ჭორფლიან, ოდნავ და მაინც თამამად მოღიმარ სახეს მიეჯაჭვა. შემდეგ ჩაიმუხლა და ჯულიას ხელები თავის ხელებში მოიქცია.

- უწინაც გაგიკეთებია ეს?- რა თქმა უნდა. ასჯერ, ორასჯერ. ერთი სიტყვით, ბევრჯერ.

- პარტიის წევრებთან?- ჰო, ყოველთვის პარტიის წევრებთან.

- შინაგანი პარტიის წევრებთანაც?- არა, მაგ ღორებთან არა. მაგრამ იქაც ბლომად არიან, სიამოვნებით რომ იკისრებდნენ. სულ მცირე შანსსაც არ გაუშვებდნენ ხელიდან. არც ისეთი წმინდანები არიან, როგორადაც თავს აჩვენებენ.

უინსტონს გული უხტოდა. ბევრჯერ გაუკეთებია! ნეტა ასჯერ, ათასჯერ გაეკეთებინა. კორუფციის ყოველი შესაძლებლობა უინსტონს ველური იმედით ავსებდა. ვინ იცის, ეგებ პარტია შიგნიდან ლპებოდა, გულმოდგინებისა და თვითუარყოფის მისეული კულტი კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ბოროტების შემნიღბავი თვალთმაქცობა. ო, რომ შესძლებოდა, რა სიამოვნებით მოსდებდა ყველა პარტიულს კეთრსა და ათაშანგს! მოსდებდა ყველაფერ იმას, რაც პარტიას დაალპობდა, დააუძლურებდა, შიგნიდან ააფეთქებდა!უინსტონმა ქალიშვილი ხელებით დაქაჩა და ისიც მუხლებზე დააყენა ისე, რომ სახით კვლავ პირისპირ აღმოჩნდნენ.

- მომისმინე. რაც უფრო მეტი კაცი გყოლია, მით უფრო მიყვარხარ, გესმის?- შესანიშნავად.

- მძულს სიწმინდე, მძულს სიკეთე. ნეტა სათნოება არსად გაჭაჭანდებოდეს. ნეტა ყველა ადამიანი ძვლებამდე იყოს გარყვნილი. - მაშინ მე გამოგადგები, ძვირფასო. სწორედ ძვლებამდე ვარ გარყვნილი.

- მოგწონს ამის კეთება? ჩემთან კი არა, საერთოდ?- ვაღმერთებ.

ეს აღემატებოდა ყველაფერს, რისი გაგონებაც უინსტონს სურდა. არა უბრალოდ ერთი ადამიანის სიყვარული, არამედ ცხოველური ინსტინქტი, პრიმიტიული განურჩეველი ლტოლვა - მხოლოდ ეს ძალა გააცამტვერებდა პარტიას. უინსტონი ქალიშვილს ზემოდან მოექცა და ძირს დაცვენილ ცისთვალებს დააკრა. ამჯერად არაფერი გართულებულა. ორი მკერდის გახშირებული სუნთქვა მალე ჩაწყნარდა და საამურად დაუძლურებული ორი სხეული აქეთ-იქით გადავარდა. მზემ უფრო მეტად დააჭირა. ორივეს ეძინებოდა. კაცი იქვე მიყრილ სპეცტანსაცმელს დასწვდა და ქალიშვილს სხეული ნაწილობრივ დაუფარა. თითქმის მაშინვე ჩაეძინათ.

უინსტონს პირველს გაეღვიძა დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ. წამოჯდა და ჭორფლიან სახეს მიაჩერდა. თავქვეშ ხელისგულამოდებულ ქალიშვილს მშვიდად ეძინა. თითქოს მხოლოდ პირი ჰქონდა კარგი, სხვა მხრივ, ლამაზს ვერ დაარქმევდი. ახლოდან თუ დაუკვირდებოდი, თვალების ირგვლივ ერთ-ორ ხაზს შეამჩნევდი. მოკლე, შავი, უჩვეულოდ ხშირი და რბილი თმა ჰქონდა. უინსტონს გაუელვა, ჯერ არც გვარი ვიცი, არც მისამართიო.

ახალგაზრდა, ძლიერმა სხეულმა, ძილში სრულებით დაუცველმა, უინსტონს შემბრალე, მფარველური გრძნობა აღუძრა. მაგრამ შაშვის გალობისას თხილის ხეებქვეშ განცდილი თავდავიწყებული სინაზე ამჯერად აღარ განმეორებულა. სხეულზე წაფარებული უნიფორმა გადაუწია და გლუვ თეთრ ფერდზე დააცქერდა. ძველად, ფიქრობდა უინსტონი, მამაკაცი ქალის სხეულს შეხედავდა, გრძნობდა მის სასურველობას და ამით ყველაფერი მთავრდებოდა. დღეს კი ვერც სუფთა სიყვარული გექნებოდა, ვერც სუფთა ჟინი. არც ერთი ემოცია არ იყო სუფთა, ყველაფერს შიში და სიძულვილი შერეოდა. მათი ხვევნა-კოცნა ბრძოლა და გამარჯვება იყო, ანუ პარტიისთვის მიყენებული დარტყმა, ანუ - პოლიტიკური აქტი.

III

- აქ კიდევ ერთხელ შეგვიძლია მოსვლა, - თქვა ჯულიამ, - საერთოდ, ერთ სამალავს ორჯერ თუ გამოიყენებ უხიფათოდ. თანაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი-ორი თვის შემდეგ.

გაღვიძების შემდეგ მისი ქცევა სრულებით შეიცვალა. ფხიზელი და საქმიანი იერი დაედო, ტანსაცმელი ჩაიცვა, წელზე ისევ დაიხვია ალისფერი ლენტი და შინ დაბრუნების დეტალების დაზუსტებას შეუდგა. ბუნებრივია, ეს მისი საქმე უფრო იყო. აშკარად მოსდგამდა პრაქტიკული საზრიანობა, ასე რომ აკლდა უინსტონს. გარდა ამისა, ურიცხვი საზოგადოებრივი ექსკურსიის წყალობით, ზედმიწევნით იცნობდა ლონდონის შემოგარენს. უინსტონს უკან დასაბრუნებლად სრულებით განსხვავებული მარშრუტი მისცა და რკინიგზის სხვა სადგურამდე მისასვლელი გზაც აუხსნა. „არასოდეს დაბრუნდე შინ იმავე გზით, რომლითაც წამოხვედი“ - ზოგადი აქსიომასავით გამოაცხადა ჯულიამ. ჯერ თვითონ წავიდოდა, უინსტონი კი მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ დაიძვრებოდა. ქალიშვილმა დაასახელა ადგილი, სადაც ისინი ოთხი დღის შემდეგ შეხვდებოდნენ სამსახურის შემდეგ: ქალაქის ღარიბ კვარტალში, აქოთქოთებული ხალხით სავსე ბაზრის დახლებს შორის. ქალიშვილი იქ იბოდიალებდა, ვითომც ფეხსაცმლის თასმების ან

საკერავი ძაფის ძებნაში. თუ ხიფათი არსაიდან ელოდათ, უინსტონის მოახლოებისას ცხვირს მოიხოცავდა. თუ არადა, გამოულაპარაკებლად ჩაუვლიდნენ ერთმანეთს. იღბლიან შემთხვევაში, ბაზრის ალიაქოთით ისარგებლებდნენ, თხუთმეტიოდე წუთს ისაუბრებდნენ და მორიგ შეხვედრას დანიშნავდნენ.

- ახლა უნდა წავიდე, - თქვა ჯულიამ, როგორც კი უინსტონს საჭირო ინსტრუქცია მისცა, - ცხრამეტსა და ოცდაათზე იქ უნდა ვიყო. ორი საათი ანტისექსუალურ ლიგაში პროკლამაციები თუ რაღაც ეგეთი უნდა გავავრცელო. რა სირეგვნეა, არა? ჩამომფერთხე რა! თმაში რამე ტოტები ხომ არ მაქვს? დარწმუნებული ხარ? მაშ, ნახვამდის, ჩემო სიყვარულო, ნახვამდის!ამ სიტყვებთან ერთად უინსტონს მიემთხვა, მიძალებით ჩაკოცნა, ახალამოყრილი იფნები მისწი-მოსწია და თითქმის უხმაუროდ გააბიჯა ტყეში. უინსტონმა ჯერაც არ იცოდა მისი გვარი ან მისამართი. თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, - მაინც ვერასოდეს შეხვდებოდნენ ერთ-ერთი მათგანის სახლში და ვერც ვერანაირ კორესპონდენციას იქონიებდნენ.

იმ მდელოზე აღარასოდეს დაბრუნებულან. მაისში მხოლოდ ერთი შემთხვევა მიეცათ სასიყვარულო ურთიერთობისთვის. ჯულიასთვის ცნობილი ეს სამალავი - დანგრეული ეკლესიის სამრეკლო - ქვეყნის თითქმის სრულებით უკაცრიელ რეგიონში იდგა. აქ ოცდაათი წლის წინ ატომური ბომბი ჩამოვარდა. საუცხოო სამალავი იყო იქამდე მისულისთვის, მაგრამ, აი, მისვლა კი დიდ ხიფათს შეადგენდა. სხვა მხრივ, მხოლოდ ქუჩებში ხვდებოდნენ საღამოობით, ყოველ ჯერზე - სხვადასხვა ადგილას, არა უმეტეს ნახევარი საათისა. ქუჩაში, ჩვეულებრივ, შეეძლოთ ცოტა წაესაუბრათ. მიუყვებოდნენ ხალხმრავალ ტროტუარს ერთიმეორისგან ოდნავი ჩამორჩენით, ერთმანეთს არ უყურებდნენ, საუბრობდნენ უცნაური, წყვეტილი საუბრით, რომელიც ისევე იწყებოდა-წყდებოდა, როგორც შუქურას მონაცვლეობითი ანთება-ჩაქრობა. ხან უცებ მიჩუმდებოდნენ უნიფორმიანი სუბიექტის ან ტელეეკრანის მოახლოებაზე, შემდეგ ისევ განაახლებდნენ საუბარს და ისევ წყვეტდნენ, რადგან უკვე მისულიყვნენ იმ ადგილამდე, სადაც წინასწარ დათქვეს დაშორება. მეორე დღეს შეწყვეტილი ფრაზა ყოველგვარი შესავლის გარეშე გრძელდებოდა. ჯულია შეჩვეული იყო ამგვარ ლაპარაკს, მისი სახელდებით -„წყვეტილ საუბრებს“. განსაცვიფრებელი ოსტატობით ახერხებდა ლაპარაკს ტუჩების გაუნძრევლად. ერთი თვის ყოველღამეული შეხვედრების განმავლობაში მხოლოდ ერთხელ აკოცეს ერთმანეთს. ჩუმად მიუყვებოდნენ რომელიღაც პერიფერიულ ქუჩას (ჯულია, როგორც წესი, მხოლოდ ცენტრალურ ქუჩებზე სიარულის დროს იღებდა ხმას). უეცრად გაისმა გამაყრუებელი გრუხუნი, მიწა ატორტმანდა, ცა დაბნელდა... უინსტონმა გაფიქრებაც ვერ მოასწრო, ისე აღმოჩნდა მიწაზე, დაბეგვილი და თავზარდაცემული. ეჭვი არ არის, სადღაც სულ ახლოს ჭურვი აფეთქდა. უეცრად სულ რამდენიმე სანტიმეტრზე დაინახა ჯულიას ცარცივით გაფითრებული სახე. ტუჩებიც კი გასთეთრებოდა. ის მკვდარი იყო! უინსტონმა ჯულია მკერდში ჩაიკრა და პირისახე კოცნით დაუფარა... და უცებ მიხვდა, რომ თბილ სახეს კოცნიდა: აფეთქებამ ქალს ტუჩებზე ბათქაში მიაყარა. ორივეს სახე ერთნაირად შებათქაშებოდა. ისეც მომხდარა, საღამოს დანიშნულ პაემანზე მისულან და უსიტყვოდ ჩაუვლიათ ერთმანეთისთვის იქვე გამოჩენილი პატრულისა თუ თავზემოთ აგუგუნებული ვერტმფრენის გამო. ნაკლებად საშიშ

შემთხვევაშიც კი შეხვედრა რთულად ხერხდებოდა. უინსტონის სამუშაო კვირა სამოც საათს ითვლიდა, ჯულიასი - უფრო მეტს. მათი თავისუფალი დღეები მოძალებული სამუშაოს მიხედვით იცვლებოდა და ხშირად ერთმანეთს არ ემთხვეოდა. საბოლოოდ, ჯულიას იშვიათად თუ გამოუჩნდებოდა მთლიანად თავისუფალი საღამო. წარმოუდგენლად დიდ დროს უთმობდა ლექციებსა და დემონსტრაციებზე დასწრებას, ანტისექსუალური ლიტერატურის გავრცელებას, დროშების მომზადებას სიძულვილის კვირეულისთვის, ფულის შეგროვებას შემნახველი კამპანიისთვის და სხვა ამგვარ საქმეებს. ეს ყველაფერი კამუფლაჟივით იყო და თავის შედეგს იძლეოდა. თუ პატარ-პატარა წესებს დაიცავდი, შეგეძლო, დიდები დაგერღვია. უინსტონიც კი დაიყოლია -ჩართულიყო სამხედრო მომარაგებასთან დაკავშირებულ დამატებით სამუშაოში, მოხალისურად რომ წამოიწყეს პარტიის ბეჯითმა წევრებმა. ამგვარად, კვირაში თითო საღამოს უინსტონი ოთხ საათს ახარჯავდა გულის გამაწყალებელ უაზრობას: ლითონის პატარა დეტალების - ალბათ, ბომბის დნობადი დამცველების -ერთიმეორეში ჩახრახვნას ორპირქარიან და ცუდად განათებულ სახელოსნოში, სადაც ჩაქუჩების რახუნი საზარლად ერწყმოდა ეკრანების ჟღრიალს.

ეკლესიის სამრეკლოში შეხვედრისას მათი საუბრის ცარიელი ინტერვალები შეივსო. ზარების ზემოთ განთავსებულ პატარა კვადრატულ ოთახში ცხელი, დახუთული ჰაერი და მტრედის სკინტლის გულის შემაღონებელი სუნი იდგა. მტვრიან, წნელდაფენილ იატაკზე დამსხდრებმა რამდენიმე საათი ილაპარაკეს. ამასობაში ხან ერთი მიდიოდა ვიწრო ჭუჭრუტანებთან, ხან მეორე, - ვინმე ხომ არ მოდისო.

ჯულია ოცდაექვსი წლის იყო. ცხოვრობდა საერთო საცხოვრებელში ოცდაათ სხვა ქალიშვილთან ერთად („მუდამ ქალების სიმყრალეში! როგორ მძულს ქალები!“ -ჩაურთავდა ხოლმე საუბრისას). როგორც უინსტონმა ადრევე იფიქრა, ჯულია რომანების საწერ მანქანაზე მუშაობდა ფიქციის დეპარტამენტში. მოსწონდა კიდეც ეს საქმე - რთული და მძლავრი ელექტროძრავის გაშვება-მომსახურება. ჯულია „ჭკვიანთაგანი“ არ იყო, მაგრამ ხელების გამოყენება უყვარდა და მანქანებთან თავს შინაურულად გრძნობდა. შეეძლო, თავიდან ბოლომდე აღეწერა რომანის შექმნის პროცესი, დაგეგმარების კომიტეტის გენერალური ბრძანებულებით დაწყებული, დამთავრებული გადამწერი ჯგუფის მიერ დასმული უკანასკნელი წერტილით. თუმცა დასრულებული ნაწარმი სულ არ აინტერესებდა. კითხვით თავს არ ვიტკივებო, ამბობდა, წიგნებიც ისეთივე მოხმარების საგნებია, როგორიც ჯემი ან ფეხსაცმლის თასმაო.

არაფერი ახსოვდა სამოციანი წლების დასაწყისამდე. მეხსიერებაში რევოლუციამდელ დღეებზე მოლაპარაკე ერთადერთი ადამიანი ჩარჩენოდა: პაპამისი, რომელიც მაშინ გაქრა, როცა ჯულიას რვა წელი შეუსრულდა. სკოლაში ჰოკეის გუნდის კაპიტანი იყო. ორი წელი ზედიზედ გაიმარჯვა ტანვარჯიშში. ვიდრე ანტისექსუალურ ლიგას შეუერთდებოდა, დამსმენთა გაერთიანების მეთაურიც ყოფილა და ახალგაზრდული ლიგის ერთ-ერთი განშტოების მდივანიც. ყოველთვის კარგი ხასიათი ჰქონია. სამუშაოდაც კი მიიწვიეს პორნოსექტორში (კარგი რეპუტაციის უპირობო ნიშანი!) -ფიქციის დეპარტამენტის ქვეგანყოფილებაში, იაფფასიან პორნოგრაფიას რომ ბეჭდავდა პროლებში

გასავრცელებლად. ამ ქვეგანყოფილებას, ჯულიას თქმით, თანამშრომლები „ტალახის სახლს“ უწოდებდნენ. იქ დაახლოებით ერთი წელი იმუშავა. სხვებთან ერთად უშვებდა შეფუთულ ბუკლეტებს ისეთი სახელწოდებებით, როგორიცაა, მაგალითად, „საუცხოო ისტორიები“ ან „ერთი ღამე გოგონების სკოლაში“, რომლებიც მალულად უნდა შეეძინათ პროლეტარ ბიჭებს და ისეთი შთაბეჭდილება შეჰქმნოდათ, თითქოს რაღაც არალეგალურს შოულობენ.

- როგორ გამოიყურება ეს წიგნები?- ნაგავი! გული აგერევა. ექვსიოდე სიუჟეტია და სულ იმას ატრიალებენ. რა თქმა უნდა, მე მხოლოდ გორგოლაჭებზე ვიყავი, არა გადამწერ ჯგუფში. განათლება არ მაქვს, ძვირფასო, საამისოც კი!უინსტონი გააოგნა იმ ფაქტმა, რომ, განყოფილების უფროსის გარდა, პორნოსექტორში მხოლოდ გოგონები მუშაობდნენ. ეს იმიტომ, რომ კაცებს, რომელთა სექსუალური ინსტინქტები უფრო ძნელი გასაკონტროლებელია, ვიდრე ქალებისა, მათივე მიერ გამოშვებული სიბინძურით გარყვნის მეტი საფრთხე ემუქრებოდათ.

- გათხოვილ ქალებსაც კი არ იღებენ, - დაამატა ჯულიამ, - მარტო გოგოებს მიიჩნევენ წმინდანებად. შენი მეგობარი კი მაინც გარყვნილია!პირველად მამაკაცი თექვსმეტი წლისას უნახავს, - პარტიის წევრი, სამოცი წლის კაცი, რომელსაც შემდეგ თავი მოუკლავს, რომ არ დაეპატიმრებინათ. კარგადაც მოიქცა, თორემ აღსარებაში მეც გამთქვამდაო, თქვა ჯულიამ. მას შემდეგ ხან ვისთან წოლილა და ხან ვისთან. ცხოვრება, ჯულიას აზრით, საკმაოდ მარტივი რამეა: ადამიანს დროს ტარება უნდა, „ისინი“ (ანუ პარტია) ამას გიკრძალავენ. შენც ისე არღვევ წესებს, როგორც შეგიძლია. ისევე ბუნებრივად მიაჩნდა, რომ „ისინი“ უნდა ცდილობდნენ შენს გაძარცვას სიამეებისგან, როგორც შენ უნდა ეცადო, რომ ვერ დაგიჭიროონ. ჯულიას სძულდა პარტია და ყველაზე უხეში სიტყვებით ამკობდა, თუმცა ზოგადად არ აკრიტიკებდა. მხოლოდ იმდენად უკუაგდებდა, რამდენადაც პარტია მის პირად ცხოვრებაში ერეოდა, - თვით პარტიის მოძღვრება სულ არ აინტერესებდა. უინსტონმა შენიშნა: ჯულია არასოდეს ხმარობდა ახალმეტყველების სიტყვებს, ყოველდღიურ ხმარებაში უკვე დამკვიდრებული გამოთქმების გარდა. არც საძმოზე გაეგონა რამე და საერთოდ უკუაგდებდა მის არსებობას. ნებისმიერი ორგანიზებული და, ამდენად, წინასწარ განწირული ამბოხი პარტიის წინააღმდეგ სრულ სიბრიყვედ მიაჩნდა. მთავარი იყო, წესები დაგერღვია და მაინც ცოცხალი დარჩენილიყავი. უინსტონი ფიქრობდა, ნეტა რამდენი ამნაირია ახალგაზრდა თაობაშიო, ანუ იმათში, ვინც რევოლუციის შემდეგ დაიბადა, არაფერი იცის, ისეთივე უცვლელ რამედ მიაჩნია პარტია, როგორიც თავზემოთ გადაჭიმული ცაა, არასოდეს აუჯანყდება და, უბრალოდ, ისევე ემალება, როგორც კურდღელი - ძაღლს.

არასოდეს ულაპარაკიათ ქორწინებაზე. ასეთი შორეული რამე ფიქრადაც არ ღირდა. არც ერთი მოსალოდნელი კომისია არ დაუშვებდა ამ ქორწინებას მაშინაც კი, თუ უინსტონი, ბოლოს და ბოლოს, თავს დააღწევდა სადღაც მაინც არსებულ ქეთრინს. ეს ისეთივე აუხდენელი რამ იყო, როგორიც რომელიღაც მიუწვდომელი ოცნება.

- როგორი ცოლი გყავდა? - ჰკითხა ჯულიამ.

- იცი შენ ახალმეტყველების სიტყვა კარგმოაზროვნე? ნიშნავს ბუნებრივად მართლმორწმუნეს, ანუ იმას, ვისაც არ შეუძლია ჰქონდეს ცუდი აზრები. - არა, ეგ

სიტყვა არ ვიცი, მაგრამ საკმაოდ ბევრს ვიცნობ ეგეთს.

უინსტონმა თავისი ცოლქმრული ცხოვრება გაიხსენა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჯულიამ ამ ისტორიის მთავარი მომენტები უკვე იცოდა. თითქოს ნახა ან შეიგრძნოო -თვითონვე აღუწერა უინსტონს ქეთრინის სხეულის მყისიერი გაქვავება, როგორც კი ქმარი ხელს შეახებდა. ისიც, თუ როგორ უკუაგდებდა მის სხეულს იმ წუთშიც კი, როცა ეხვეოდა. ასეა თუ ისე, დღეს ქეთრინისგან მხოლოდ გულისამრევი მოგონება დარჩენილიყო.

- მაინც გავუძლებდი, რომ არა ერთი რამ, - თქვა უინსტონმა და ჯულიას უამბო იმ პატარა, ცივი ცერემონიის შესახებ, რომელიც ცოლთან უნდა ჩაეტარებინა ყოველი კვირის დანიშნულ საღამოს, - ქეთრინს სძულდა ეს, მაგრამ მაინც უნდა ექნა, ვერანაირად ვერ გადაათქმევინებდი. იცი, რას ეძახდა? ვერა, ვერ გამოიცნობ.

- ჩვენს მოვალეობას პარტიის მიმართ, - იქვე მიუგო ჯულიამ.

- როგორ მიხვდი?- მეც დავდიოდი სკოლაში, ძვირფასო. თვეში ერთხელ გველაპარაკებოდნენ სექსზე თექვსმეტ წელს გადაცილებულებს. იგივე ხდებოდა ახალგაზრდულ მოძრაობაშიც. წლობით გვიტენიდნენ თავში და ხშირად აღწევდნენ კიდეც თავისას. თუმცა, რა თქმა უნდა, წინასწარ ვერაფერს იტყვი, ადამიანები ხომ დიდი ფარისევლები არიან.

შემდეგ ჯულია ამ თემის გავრცობას შეუდგა. მის შემთხვევაში, ყველაფერი საკუთარ სექსუალობაზე დაიყვანებოდა. როგორც კი საქმე ამ უკანასკნელს შეეხებოდა, ჯულია დიდ გამჭრიახობას იჩენდა. უინსტონისგან განსხვავებით, მას მოხელთებული ჰქონდა პარტიის სექსუალური პურიტანიზმის შინაგანი აზრი. ეს აზრი იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ სექსის ინსტინქტი ქმნიდა თავისთავად არსებულ, პარტიის კონტროლის გარეთ მყოფ სამყაროს, რომელიც - თუ ამას შეძლებდნენ - სწორედ ამიტომ უნდა მოესპოთ. სინამდვილეში, უფრო არსებითი ის იყო, რომ სექსუალური უკმარობა იწვევდა ისტერიას, ერთობ სასურველს იმ აზრით, რომ შეიძლებოდა მისი გადაქცევა როგორც საომარ ციებ-ცხელებად, ისე ბელადის თაყვანისცემად. ჯულიამ ეს ასე გამოთქვა: - სექსის დროს იხარჯები, რის შემდეგაც თავს ბედნიერად გრძნობ და არაფერი გძულს. ისინი კი სწორედ ამას ვერ იტანენ. მხოლოდ ის უნდათ, რომ დღე და ღამე ენერგიას აფრქვევდე. მთელი ეს დემონსტრაციები, შეძახილები და დროშების ფრიალი სხვა არაფერია, თუ არა დამჟავებული სექსი. თუ გულში ბედნიერი ხარ, რა ჯანდაბადღა გინდა დიდი ძმა, სამწლედის გეგმა, სიძულვილის ორწუთეული და მთელი ეს მძღნერი?ნამდვილად ასეაო, ფიქრობდა უინსტონი. ნამდვილად არსებობდა პირდაპირი, ძალზე ახლო კავშირი სექსუალურ უბიწობასა და პოლიტიკურ მართლმორწმუნეობას შორის. მაშ, სხვანაირად როგორ დარჩებოდა მუდმივ აპოგეაში შიში, სიძულვილი და გიჟური მიმნდობლობა, ანუ ყოველივე ის, რაც პარტიას სჭირდებოდა, თუ არა რომელიმე უძლიერესი ინსტინქტის ჩახშობისა და მამოძრავებელ ძალად გამოყენების წყალობით? სექსუალური იმპულსი პარტიისთვის სახიფათო იყო. და მან ეს იმპულსი თავის სასარგებლოდ გამოიყენა. იგივე ხაფანგი დაუგეს მშობლის ინსტინქტსაც. ოჯახი ვერ გაუქმდებოდა. ის კი არა, ადამიანებს აქეზებდნენ კიდევაც, თითქმის ოდინდელი

წესით ჰყვარებოდათ ბავშვები და ეზრუნათ მათზე. აი, ბავშვს კი სისტემატურად უმხედრებდნენ მშობლებს, ასწავლიდნენ მათ თვალთვალს და მათი არამართლმორწმუნეობრივი გადახრების დასმენას. ოჯახი, არსებითად, აზრის პოლიციის გაგრძელებად, ანუ იმ მექანიზმად იქცა, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ ადამიანს დღითა თუ ღამით უთვალთვალებდა პარტიის ინფორმატორად ქცეული მისივე ოჯახის წევრი.

უინსტონს გონებაში მოულოდნელად კვლავ ქეთრინი ამოუტივტივდა. ეს ქალი უყოყმანოდ დააბეზღებდა აზრის პოლიციაში, მეტისმეტად ბრიყვი რომ არ ყოფილიყო და ქმრის მოსაზრებათა არაორთოდოქსულობა შეემჩნია. მაგრამ ამჯერად ქეთრინი ნაშუადღევის ამ სულისშემხუთველმა პაპანაქებამ გაახსენა. სიცხემ ისე დააჭირა, უინსტონს შუბლზე ოფლის წვეთები დაასხდა. ჯულიას იმის მოყოლა დაუწყო, რა მოხდა, უფრო სწორად - რა უნდა მომხდარიყო და ვერ მოხდა ზაფხულის ასეთივე გამასავათებელ ნაშუადღევს თერთმეტი წლის წინ.

ქეთრინზე დაქორწინებიდან სამი თუ ოთხი თვე გასულიყო. საზოგადოებრივ ექსკურსიაზე წასულმა ცოლ-ქმარმა სადღაც კენტის მიდამოებში გზა დაკარგა. სულ ორიოდე წუთით ჩამორჩნენ წინ მიმავლებს, მაგრამ შემდეგ არასწორად გაუხვიეს და ბოლოს ცარცის ძველ კარიერში აღმოჩნდნენ. ათი თუ ოცი მეტრის სიღრმის ფრიალოკედლებიანი ორმოს ფსკერი რიყის ქვებს დაეფარა. ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა და გზას ვერავინ მიასწავლიდა. ამ სიტუაციამ ქეთრინი ერთობ დააღონა. აყაყანებული ჯგუფისგან წუთიერმა მოწყვეტამაც კი არასწორი ქცევის განცდა მოჰგვარა. სასწრაფოდ მოისურვა უკან დაბრუნება და სხვა მიმართულებით ძებნა. მაგრამ სწორედ ამ მომენტში უინსტონმა თვალი მოჰკრა ფრიალო კარიერის ნაპრალებში გამოჩრილ ვერბენას კონებს. ერთი კონა ორი ფერის იყო - წითელი ანილინის ფერი და აგურისფერი. ეს ორფერა კონა ერთ ფესვზე ამოზრდილიყო. უინსტონს მსგავსი არაფერი ენახა. მაშინვე ქეთრინს მოუხმო: - შეხედე ყვავილებს! იქ, ფსკერთან! იმ ორფერა კონას თუ ხედავ?იმ მომენტში ქეთრინი უკვე მიდიოდა და გაღიზიანებული მობრუნდა უკან. მოვიდა და ყვავილის შესახედად კლდის თავზე გადაიხარა. ოდნავ უკან მდგარმა უინსტონმა წელზე ხელი შემოხვია, რომ ქალს წონასწორობა არ დაეკარგა. უცებ დააფიქსირა: სრულებით მარტონი იყვნენ, არც ადამიანი ჩანდა სადმე, არც ფრინველი, ფოთოლიც კი არ ირხეოდა. მიკროფონის არსებობა ასეთ ადგილას თითქმის გამორიცხული იყო და, რომც სადმე ყოფილიყო, მხოლოდ ყრუ ბგერებს თუ მოიხელთებდა. ნაშუადღევის ყველაზე ცხელი, ყველაზე მთვლემარე დრო იდგა. მზე თავებს უშანთავდა ორივეს. უინსტონს სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა. და აი, ამ დროს გაიფიქრა, რომ...

- რატომ ორმოში არ ჩაუძახე? - ჰკითხა ჯულიამ, - მე ჩავუძახებდი.

- ჰო, ძვირფასო, შენ ჩაუძახებდი. მეც ჩავუძახებდი, იგივე კაცი რომ ვყოფილიყავი, რაც დღეს ვარ. ან იქნებ... არ ვიცი...

- ნანობ, რომ არ ჩაუძახე?- ჰო, ვნანობ. მთლიანობაში, ვნანობ.

მტვრიან იატაკზე გვერდიგვერდ ისხდნენ. უინსტონმა ქალი თავისკენ მოიზიდა. ჯულიამ თავი მხარზე ჩამოაყრდნო და თავისი თმის სურნელით სკინტლის სუნი დაჩრდილა. მთლად ახალგაზრდაა, ფიქრობდა უინსტონი, ცხოვრებისგან ჯერ

კიდევ რაღაცას ელის და არ ესმის, რომ არასასურველი არსების კლდიდან გადაგდება, საბოლოოდ, ვერაფერს წყვეტს.

- ეს მაინც არაფერს შეცვლიდა, - თქვა მან.

- მაშინ რატომ ნანობ, რომ არ გადააგდე?- მხოლოდ იმიტომ, რომ დადებითს უარყოფითზე მაღლა ვაყენებ. ამ თამაშს ჩვენ ვერ მოვიგებთ, მაგრამ ზოგიერთი მარცხი სჯობს სხვა მარცხებს. სულ ესაა.

უინსტონმა იგრძნო, როგორ შეტოკდა ჯულიას მხრები არდათანხმების ნიშნად. ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა, როცა მსგავს რამეს ამბობდა. ბუნების კანონად არ მიაჩნდა ის, რომ პიროვნება მუდამ მარცხდება. რაღაცნაირად ესმოდა, რომ თვითონაც განწირულია და რომ ადრე თუ გვიან აზრის პოლიცია მასაც დაიჭერს. მაგრამ გონების სხვა ნაწილით მაინც სჯეროდა, რომ შესაძლებელია საიდუმლო საუფლოს აგება და იქ საკუთარი ნებით ცხოვრება. გჭირდებოდა მხოლოდ კეთილი იღბალი, მოხერხებულობა და სითამამე. ჯულიას არ ესმოდა, რომ არ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა ბედნიერება; რომ ერთადერთ გამარჯვებას შორეულ მომავალში თუ იგულვებდი, სიკვდილიდან დიდი ხნის შემდეგ; რომ იმ მომენტიდან, რაწამს პარტიას ომს გამოუცხადებდი, საკუთარი თავი გვამად უნდა მიგეჩნია.

- ჩვენ მკვდრები ვართ, - თქვა უინსტონმა.

- ჯერ არ ვართ, - უარყო ჯულიამ პროზაულად.

- არა - ფიზიკურად. ექვსი თვე, ერთი ან, დიდი-დიდი, ხუთი წელიღა დაგვრჩენია. მეშინია სიკვდილის. შენ ახალგაზრდა ხარ და შეიძლება ჩემზე მეტადაც გეშინია. რა თქმა უნდა, რამდენადაც შევძლებთ, სიკვდილის დღეს გადავწევთ. მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. სანამ ადამიანი ადამიანად რჩება, სიკვდილი და სიცოცხლე ერთია.

- ჯანდაბას ამისი თავი! ვისთან გირჩევნია წოლა: ჩემთან თუ ჩონჩხთან? არ გიხარია, რომ ცოცხალი ხარ? არ გსიამოვნებს, რომ გრძნობ? აი, მე. აი, ჩემი ხელი, ჩემი ფეხი: მე ნამდვილად ვარსებობ, მე მკვრივი სხეული მაქვს, მე ცოცხალი ვარ! ნუთუ არ მოგწონს ეს?ჯულია შემობრუნდა და მკერდით მიეკრა. უნიფორმის მიღმა უინსტონმა მისი სავსე და მკვრივი მკერდი შეიგრძნო. ქალის სხეულის სინორჩე და ძალა თითქოს მის სხეულში გადმოდიოდა.

- ჰო, მომწონს. - წარმოთქვა მან.

- მაშინ სიკვდილზე ნუღარ ლაპარაკობ. ახლა კი, ძვირფასო, შემდეგი შეხვედრის დრო დავთქვათ. შეგვიძლია, ისევ იმ მდელოს მივაკითხოთ. დიდი ხანია აღარ ვყოფილვართ. მაგრამ ამჯერად სხვა გზით უნდა მიხვიდე. ყველაფერი დავგეგმე: ჯდები მატარებელში და... აი, დაგიხაზავ.

მისთვის ჩვეული სისხარტით იატაკზე დაყრილი მტვრისგან მომცრო კვადრატი გააკეთა და მტრედის ბუდიდან მოტანილი ტოტით გეგმის ხაზვას შეუდგა.

IV

უინსტონმა თვალი მოავლო მისტერ ჩარინგტონის მაღაზიის მეორე სართულზე შეყუჟულ ოთახს. ფანჯრის გვერდით იდგა ვეებერთელა საწოლი დაფხრეწილი საბნითა და უშალითო ბალიშით. ბუხრის თავზე ისევ წიკწიკებდა ძველებური თორმეტდანაყოფიანი საათი. კუთხეში მდგარი გასაშლელი მაგიდიდან ოთახის ბინდბუნდში რბილად ასხივებდა მისი ბოლო ვიზიტის დროს შეძენილი პრესპაპიე.

ბუხრის ცხაურზე მისტერ ჩარინგტონის მოცემული თუნუქის ძველი ნავთქურა, ქვაბი და ორი ჭიქა ეწყო. უინსტონმა ქურა აანთო და ზედ წყლიანი ქვაბი შემოდგა. თან ერთი პარკი „გამარჯვების ყავა“ და სახარინის აბები წამოეღო. საათის ისრები შვიდსა და ოცს უჩვენებდნენ, სინამდვილეში ცხრამეტი და ოცი იყო. ჯულია ცხრამეტსა და ოცდაათზე მოვიდოდა.

„სიგიჟე, სიგიჟე! - ეუბნებოდა გული, - შეგნებული, ნებაყოფლობითი, თვითმკვლელური სიგიჟე!“ ყველა იმ დანაშაულთაგან, რომელთა ჩადენაც კი პარტიის წევრს შეეძლო, ამას ყველაზე ნაკლებად დამალავდი. პირველად ეს იდეა ისე გაუკრთა გონებაში, თითქოს გასაშლელი მაგიდის პრიალა ზედაპირმა მინის პრესპაპიე აირეკლაო. როგორც იფიქრა, მისტერ ჩარინგტონმა ოთახი უპრობლემოდ მიაქირავა. აშკარად გაახარა რამდენიმე დოლარის შოვნის ახალმა შესაძლებლობამ. არც იმან ჩააგდო შოკში, - არც კი გაანაწყენა, - რომ, როგორც გაირკვა, მისი ოთახი უინსტონს სასიყვარულო ურთიერთობისთვის უნდოდა. პირიქით, არავითარი მახვილი არ დასვა ამაზე, მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა და, საერთოდ, ისეთი დელიკატური პოზიცია დაიკავა, თითქოს ნახევრად გაუჩინარდაო. თავისთვის ყოფნა მეტად ღირებული რამეაო, თქვა მისტერ ჩარინგტონმა. „ყველას სურს, ჰქონდეს ადგილი, სადაც დროდადრო განმარტოვდება. და თუ მავანი ასეთ თავშესაფარს იპოვის, მაშინ უბრალო თავაზიანობის საკითხია, რომ ვინმე სხვამ, ვინც ამის შესახებ იცის, ეს ამბავი თავისთვის შეინახოს.“ თითქოს მთლიანად გაქრობას აპირებსო, ბოლოს ისიც დასძინა, რომ სახლს ორი შესასვლელი ჰქონდა, რომელთაგან ერთი გადიოდა ეზოში, ეზოდან კი შუკაში.

ვიღაც მღეროდა ფანჯრის ქვეშ. მუსლინის ფარდას ამოფარებულმა უინსტონმა გარეთ გაიხედა. ივნისის მზე ჯერ კიდევ საკმაოდ მაღლა იდგა, ქვემოთ კი, ეზოში, ვიღაც ვეებერთელა ქალი მოწითალო-მოყავისფრო მკლავებით და ტომრის ქსოვილის წინსაფრით ონკანსა და სარეცხის თოკს შორის დაბაჯბაჯებდა. თოკზე კვადრატული ფორმის თეთრი ტილოები ჩამწკრივებულიყო. ამ ტილოებში უინსტონმა ბავშვის საფენები ამოიცნო. ინტერვალებში, როდესაც ქალი ტუჩებით დაჭერილ მორიგ საკიდარს იღებდა პირიდან, ისმოდა მისი ძალუმი კონტრალტო: ეს იყო მხოლოდ უიმედო ოცნება, გავიდა, როგორც აპრილის დღე, მაგრამ მათ შემიძრეს მზერა, სიტყვა და სიზმრები, იმათ მომტაცეს გული მე!ამ მელოდიამ რამდენიმე კვირაში მთელი ლონდონი მოიარა. ეს იყო ერთი იმ ურიცხვ სიმღერათაგანი, რომლებითაც მუსიკის დეპარტამენტი პროლებს ამარაგებდა. ამ სიმღერების ტექსტი ითხზვებოდა ვერსიფიკატორზე, ყოველგვარი ადამიანური ჩარევის გარეშე. მაგრამ ქალი ისე მელოდიურად მღეროდა, რომ ამ საზარელ უაზრობას თითქმის საამურ ჟღერადობას სძენდა. უინსტონამდე აღწევდა ქალის სიმღერა, მისი ჩუსტების ფრატუნი ქვის ფილებზე, ბავშვების ყვირილი ქუჩაში,

სადღაც შორს მოძრავი ტრანსპორტის ყრუ გუგუნი, მაგრამ თვით ოთახში მაინც განსაცვიფრებელი სიჩუმე იდგა ეკრანის არარსებობის წყალობით. „სიგიჟე, სიგიჟე, სიგიჟე!“ - გაიფიქრა ისევ. აბა, როგორ არ დაიჭერდნენ ამ ოთახში რამდენიმე კვირის სიარულის შემდეგ მაინც! მაგრამ ორივესთვის დიდი იყო ცდუნება - სადმე ახლომახლო ნამდვილად საკუთარი თავშესაფარი ჰქონოდათ. ეკლესიის სამრეკლოში ყოფნის შემდეგ მათი შეხვედრები გარკვეული ხნით გადაიდო. სიძულვილის კვირეულისთვის მზადების გამო სამუშაო საათებმა საგრძნობლად იმატა. იქამდე კიდევ ერთი თვე რჩებოდა, მაგრამ კომპლექსური სამზადისი ყველას დამატებითი სამუშაოთი ტვირთავდა. ერთ ნაშუადღევს ორივემ მოახერხა გათავისუფლება. ისევ იმ მდელოზე წასვლა გადაწყვიტეს. მანამდე კი მოკლე წინასწარი შეხვედრა მოაწყვეს ქუჩაში. როგორც წესი, უინსტონს თითქმის არ შეუხედავს ბრბოში მისკენ მომავალი ჯულიასთვის. მაგრამ თვით იმ წამიერი თვალის შევლებითაც კი შეამჩნია მისი უჩვეულო სიფერმკრთალე.

- აღარ გამოვა. - წაიჩურჩულა მან, როცა უხიფათო მომენტი დაიგულა, - ხვალინდელ ამბავზე გეუბნები.

- რა?- ხვალ, შუადღისას. ვერ მოვალ.

- რატომ?- ისევ იმ მიზეზით. ამჯერად უფრო ადრე დაიწყო.

რაღაც მომენტში უინსტონი ძალიან გაბრაზდა. ამ ერთი თვის განმავლობაში, რაც ჯულიას იცნობდა, მასთან დამოკიდებულება შეეცვალა. თავიდან საკმაოდ მცირე მგრძნობელობა ჰქონდა. პირველი თანაყოფა, უბრალოდ, ნებელობის აქტს წარმოადგენდა. მაგრამ მეორე ურთიერთობის შემდეგ რაღაც შეიცვალა. ჯულიას თმის სუნი, მისი ტუჩების გემო, მისი კანის შეგრძნება - ეს ყველაფერი უინსტონს თითქოს სხეულში შეეჭრა ან მის ირგვლივ დაიბუდა. ჯულია მისთვის ფიზიკური აუცილებლობა გახდა, რაღაც ისეთი, რაც არათუ მხოლოდ უნდოდა, არამედ ეკუთვნოდა კიდეც. როცა ქალმა უთხრა, ვერ მოვალო, უინსტონს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, რომ ატყუებენ. მაგრამ სწორედ ამ მომენტში ბრბომ ისინი ერთმანეთზე მიაგდო და მათი ხელებიც ერთმანეთს შეხვდნენ. ჯულიამ სწრაფად მოუჭირა ხელი თითისწვერებზე, რაც ამხელდა არა იმდენად ვნებას, რამდენადაც სიყვარულს. ამ მომენტში უინსტონს გაუელვა, რომ ქალთან თანაცხოვრების დროს ეს ცალკეული განაწყენებები ნორმალური იყო და დროდადრო განმეორდებოდა. ღრმა სინაზის გრძნობამ - ისეთმა, როგორიც მანამდე არასოდეს განუცდია ჯულიას მიმართ -მთელი მისი არსება მოიცვა. ამწუთას ისურვა, ნეტავ, ათი წლის დაქორწინებულები ვიყოთო. ისურვა, ჯულიასთან ერთად ევლო ქუჩებში, - აი, როგორც ახლა, ოღონდ ღიად და უშიშრად, - ევლო, ელაპარაკა პატარ-პატარა ამბებზე და ერთად შეეძინათ სახლისთვის საჭირო ათასი წვრილმანი. უწინარეს ყოვლისა კი, ისურვა, სადმე ჰქონოდათ თავიანთი ბუდე, სადაც განმარტოვდებოდნენ და ყოველ შეხვედრას სექსით არ დაამთავრებდნენ. მისტერ ჩარინგტონის ოთახის დაქირავება მომდევნო დღეს იაზრა. ჯულიამ ეს აზრი მოულოდნელი მზადყოფნით მიიღო. ორივემ კარგად იცოდა, რა სიგიჟესაც სჩადიოდნენ. თითქოს შეგნებულად უახლოვდებოდნენ საკუთარ საფლავებს. საწოლის კიდეზე მოლოდინით მჯდომარე უინსტონს ისევ სიყვსამინის სარდაფები დაუდგა თვალწინ. რა უცნაურად აკითხავდა ადამიანის

ცნობიერებას ფიქრი ამ გარდაუვალ საშინელებაზე! ის იყო იქ, მომავალში და ისევე უსწრებდა წინ სიკვდილს, როგორც რიცხვი 99 - რიცხვ 100-ს. ამას ვერ ასცდებოდი, შეიძლებოდა მხოლოდ გადაგედო. და მაინც, სრულებით შეგნებული ნებითა და სურვილით, ისინი ამ დღემდე დარჩენილ დროს იმოკლებდნენ.

ამ მომენტში კიბეზე ამომავალი სწრაფი ნაბიჯების ხმა გაისმა და ოთახში ჯულია შემოვიდა. ხელში ეჭირა სამუშაო იარაღებისთვის განკუთვნილი უხეში ყავისფერი ჩანთა, როგორსაც ხშირად დაატარებდა სამინისტროში. უინსტონი შეეგება და მოხვევა დაუპირა, მაგრამ ჯულიამ არ დაანება, - ნაწილობრივ იმიტომ, რომ ჩანთა ჯერ კიდევ არ დაედო.

- მაცალე. რაღაც უნდა გაჩვენო. მოიტანე ის აყროლებული „გამარჯვების ყავა“? მოიტანს-მეთქი, ვიფიქრე. შეგიძლია უკან წაიღო. არ დაგვჭირდება. შეხედე!ჯულია მუხლებზე დაეშვა, ჩანთა გახსნა და ზევიდან დაწყობილი ქანჩის გასაღებები და სახრახნისი გადმოყარა. ჩანთიდან სუფთა ქაღალდის პარკებმა ამოანათა. პირველ პარკს, რომელიც უინსტონს გადასცა, ბუნდოვნად ნაცნობი იერი ჰქონდა. შიგ რაღაც მძიმე, ქვიშისებრი მასა ეყარა და, სადაც კი თითს დააჭერდი, რბილი ბალიშივით იზნიქებოდა.

- შაქარია?- ნაღდი შაქარი. სახარინი კი არა, შაქარი. ამაში პურია, ნამდვილი თეთრი პური და არა ის ჩვენი ნაგავი. ამაში - პატარა ქილით ჯემი. აქ რძეა. აი, ამაში კი... ამით მართლა ვამაყობ! ტილოში უნდა გამეხვია, იმიტომ რომ...

მაგრამ ჯულიას აღარ დასჭირდა ამის ახსნა. ოთახი უკვე ივსებოდა უხვი, თბილი, თითქოს თვით უინსტონის ბავშვობის სურნელით, რომელსაც ხანდახან ახლაც კი გადაეყრებოდი რომელიმე ახალმიხურულ კართან ჩავლისას ან ხალხით სავსე ქუჩაში, სადაც ეს სურნელი ერთი წამით იდუმალად აქროლდებოდა და წამშივე ქრებოდა.

- ეს ყავაა, - ჩაიჩურჩულა უინსტონმა, - ნამდვილი ყავა!- შინაგანი პარტიის ყავა. მთელი ერთი კილოა.

- საიდან ეს ყველაფერი?- შინაგანი პარტიიდან. ყველაფერი აქვთ მაგ ღორებს, აბსოლუტურად ყველაფერი. და, რა თქმა უნდა, ოფიციანტები, მსახურები და ეგეთები სულ რაღაცებს წაპნიან. აქ ჩაიც არის.

უინსტონი იქვე ჩაჯდა და პარკს კუთხე გაუხსნა.

- არა მაყვლის ფოთლები, არამედ ნამდვილი ჩაი.

- ბევრი ჩაი შემოვიდა. მგონი, ინდოეთი რო დაიპყრეს, იქიდან. ახლა კი, ძვირფასო, სამიოდე წუთით შეტრიალდი. ლოგინის მეორე მხარეს დაჯექი. ფანჯარას ძალიან არ მიუახლოვდე და არც მობრუნდე, სანამ არ გეტყვი.

უინსტონი მუსლინის ფარდასთან მივიდა და მექანიკურად გაიხედა გარეთ. ქვევით ისევ ის წითელმკლავება ქალი მიდი-მოდიოდა ონკანსა და თოკს შორის. ამწუთას კიდევ ორი საკიდარი გამოიღო პირიდან და გულიანად მოაყოლა: ამბობენ, დროა ყოვლის მკურნალი, ამბობენ, ტანჯვა დაგავიწყდება, მაგრამ

ღიმილი და ცრემლები მთელი ეს წლებიჩემს გულის სიმებს წყდება და წყდება!ეტყობოდა, მთელი სიმღერა ზეპირად იცოდა. მისი ღრმად მელოდიური, რაღაც ნათელი მელანქოლიით სავსე ხმა წყნარად ერთვოდა ზაფხულის ჰაერს. თითქოს ეს ქალი სრულებით კმაყოფილი იქნებოდა, თუ ივნისის საღამო არასოდეს დამთავრდებოდა და თოკზე ჩამოსაკიდი თეთრეულითაც მუდმივად მოამარაგებდნენ. ათას წელს გაატარებდა საფენების დაკიდებასა და სისულელეების მღერაში. ამის შემხედვარე უინსტონს უეცრად გაუელვა, რომ არასოდეს უნახავს განმარტოებული და თავისთვის აღიღინებული პარტიის წევრი. ეს არამართლმორწმუნეობრივი ქმედება იყო და სახიფათო ექსცენტრულობად გამოჩნდებოდა, - დაახლოებით ისევე, როგორც საკუთარ თავთან ლაპარაკი. მხოლოდ შიმშილის პირას მდგარი ადამიანები თუ წაიმღერებდნენ რამეს.

- შეგიძლია შემობრუნდე.

უინსტონი მოტრიალდა და პირველ წამს ვერც კი იცნო, ვინ ედგა წინ. გაშიშვლებული ქალის ნახვას ელოდა, მაგრამ ფერისცვალება გაცილებით უფრო მოულოდნელი აღმოჩნდა: ჯულიას სახე შეეღება.

ალბათ, პროლეტარული რაიონის ერთ-ერთ მაღაზიაში შეიპარა და ქალის კოსმეტიკის სრული კომპლექტი იყიდა. ტუჩები მუქწითლად შეეღება, ლოყებზე ფერუმარილი წაეცხო, ცხვირი გაეპუდრა. თვალებქვეშაც კი წაესვა რაღაც ისეთი, რაც გუგებს უფრო უელვარებდა. ეს ყველაფერი არც ისე დახვეწილად გაეკეთებინა, მაგრამ უინსტონი მაინცდამაინც დიდი შემფასებელი ვერ გახლდათ. არასოდეს ენახა და ვერც წარმოედგინა სახეშეღებილი პარტიული ქალი. ახლა ჯულია შეუდარებლად უკეთ გამოიყურებოდა. შესაფერისი ადგილების სულ ოდნავ დაფერვას არა მხოლოდ გაელამაზებინა, გაცილებით უფრო ქალურიც გაეხადა. მოკლე თმა და ბიჭური უნიფორმა არათუ ამცირებდა, პირიქით, ზრდიდა კიდევაც მთლიან ეფექტს. უინსტონი ჯულიას მოეხვია და იმწამსვე ნესტოები სინთეტიკური იების სუნმა აუვსო. ნახევრად მიწაში ჩამჯდარი სამზარეულო და ხანში შესული ქალის უკბილო პირი გაახსენდა. იმასაც იგივე სუნამო ესხა, მაგრამ ამჯერად ეს უმნიშვნელო იყო.

- სუნამოც!- ჰო, ძვირფასო, სუნამოც. იცი, კიდევ რას ვაპირებ? ქალის კაბა უნდა ვიშოვო და ამ ბრიყვული შარვლის ნაცვლად ჩავიცვა. აბრეშუმის წინდებს და მაღალქუსლიან ფეხსაცმელსაც ვიშოვი! ამ ოთახში ქალი ვიქნები, არა პარტიული ამხანაგი.

სასწრაფოდ გაიძვრეს ტანსაცმელი და დიდ საწოლზე გაგორდნენ. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ უინსტონი ჯულიასთან მთლიანად გაშიშვლდა. აქამდე სირცხვილით ვერ აჩენდა თავის მკრთალ-გამხდარ სხეულს, კანჭებიდან გამოჩრილ ვენებსა და კოჭზემოთ დამჩნეულ უფერო ლაქას. საწოლს ზეწარი არ ჰქონდა, მაგრამ მის მაგივრობას გაცვეთილ-გაგლუვებული საბანი უწევდათ. ორივე გააოცა საწოლის სიდიდემ და კარგმა დრეკადობამ. „ალბათ, ბაღლინჯოებითაა სავსე, მაგრამ რა გვენაღვლება!“ - თქვა ჯულიამ. ორმაგ საწოლს მხოლოდ პროლების სახლებში თუ ნახავდი, სხვაგან ვერსად. ყმაწვილკაცობაში უინსტონს ერთ ასეთზე სძინებია, ჯულიას - რამდენადაც ახსოვს - არასდროს.

ამჯერად ორივემ ცოტა წაუძინა. გაღვიძებულმა უინსტონმა საათს შეხედა: ისრები ცხრამდე მიცოცებულიყვნენ. არ განძრეულა, რომ მის მკლავზე თავმიდებული ჯულია არ გაეღვიძებინა. ქალის კოსმეტიკის უმეტესი ნაწილი ახლა უინსტონსა და ბალიშს ეცხო, თუმცა მცირედი მაინც შერჩენოდა და ყვრიმალის სიმშვენიერეს აჩენდა. ჩამავალი მზის ყვითელი სხივი საწოლის ფეხის გავლით ეცემოდა ბუხარს, სადაც გამალებული თუხთუხებდა წყლიანი ქვაბი. ეზოდან ქალის სიმღერა აღარ ისმოდა, მხოლოდ - ქუჩაში მოთამაშე ბავშვების კანტიკუნტი წამოძახილები. უინსტონი დაინტერესდა: ნუთუ იმ გაუქმებულ წარსულში ჩვეულებრივი ამბავი იყო დედიშობილა კაცისა და ქალის გვერდიგვერდ წოლა ზაფხულის აგრილებულ საღამოს? ნუთუ სურვილისამებრ შეეძლოთ ესიყვარულათ ან ესაუბრათ, არ ეგრძნოთ ადგომა-ჩაცმის არავითარი იძულება, უბრალოდ - წოლილიყვნენ და ყური მიეგდოთ გარედან შემოსული მშვიდობიანი ხმებისთვის? არა, ასეთი დრო, როცა ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, ალბათ, არასოდეს ყოფილა.

ჯულიამაც გაიღვიძა, თვალები მოიფშვნიტა, იდაყვს დაეყრდნო და მოთუხთუხე ნავთქურას გახედა.

- ნახევარი წყალი აორთქლებული იქნება. ავდგები, ყავას მოვადუღებ. ერთი საათი კიდევ გვაქვს. შენთან როდის თიშავენ სინათლეს?- ოცდასამსა და ოცდაათზე.

- ჩემთან - ოცდასამზე. მისვლით კი უფრო ადრე უნდა მიხვიდე, იმიტომ, რომ... უჰ! გაეთრიე აქედან, შე საზიზღარო!ამ სიტყვებზე უეცრად საწოლიდან გადმოიხარა, ფეხსაცმელს ხელი დასტაცა და მკლავის ისეთივე ბიჭური მოქნევით გასტყორცნა ოთახის კუთხისკენ, როგორც იმ დილას სტყორცნა ლექსიკონი გოლდსტეინის სიფათს.

- რა იყო? - იკითხა გაოცებულმა უინსტონმა.

- ვირთხა. ცხვირი გამოყო იმ პანელიდან. ქვევით ნახვრეტია. კარგად დავაფრთხე.

- ვირთხები! ამ ოთახში?!- ყველგან არიან, - თქვა ისევ საწოლზე მიწოლილმა ჯულიამ ინდიფერენტულად, -საერთო საცხოვრებლის სამზარეულოშიც გვყავს. ლონდონის ზოგ რაიონში იმდენია, სულ ერთიმეორეზე გადადიან. ის თუ იცი, ბავშვებს რო ერჩიან? ზოგიერთ ქუჩაზე ქალი ორი წუთითაც კი ვერ ტოვებს ჩვილს. ყველაზე საშინელი ის დიდი ყავისფერი ვირთხებია. უბედურება ისაა, რო...

- გეყოფა! - უთხრა თვალდახუჭულმა უინსტონმა.

- ძვირფასო! სულ მთლად გაფითრდი! რა ხდება? ვირთხებმა შეგაშინეს?- ეგეთი საზარელი ქვეყნად არაფერია. ჯულია მიეკრა და ხელ-ფეხით ტანზე შემოესალტა, რომ თავისი სხეულის სითბოთი კვლავ გონს მოეყვანა. უინსტონს თვალები იმწუთასვე არ გაუღია. რამდენიმე წამით თითქოს ისევ იმ კოშმარში მოხვდა, არაერთგზის რომ დასიზმრებია ცხოვრების მანძილზე. თითქმის ყოველთვის ერთი და იგივე სურათი მეორდებოდა: კუნაპეტი კედლის წინ იდგა, რომლის მეორე მხარეს რაღაც აუტანელი ხდებოდა, სანახავად მთლად თავზარდამცემი. სიზმარში მისი უღრმესი განცდა მაინც თავის მოტყუება იყო, რადგან,

სინამდვილეში, კარგად იცოდა, რაც კედლის უკან ხდებოდა. მომაკვდინებელი ძალისხმევით - თითქოს ტვინიდან რაღაც უნდა ამოიგლიჯოსო -შეიძლებოდა თვალნათლივ დაენახა კიდეც, რა იყო ეს. მაგრამ ყოველთვის ისე იღვიძებდა, რომ საბოლოოდ მაინც ვერაფერს ხედავდა. თუმცა რაღაცნაირად ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რასაც ჯულია ამბობდა, როცა მან სიტყვა შეაწყვეტინა: - ბოდიში. არაფერია. არ მიყვარს ვირთხები, ეგაა და ეგ.

- დამშვიდდი, ძვირფასო. აქ ვირთხებს არ ვიყოლიებთ. წასვლამდე ნახვრეტს ჯვალოს ნაჭრით ამოვავსებ, შემდეგ ჯერზე კი ბათქაშს წამოვიღებ და კარგად ამოვქოლავ.

პანიკის ბნელმა მომენტმა სანახევროდ განვლო. ცოტათი დარცხვენილი უინსტონი წამოჯდა და საწოლის ზურგს მიეყრდნო. ჯულია ადგა, უნიფორმა ჩაიცვა და ყავა მოადუღა. ქვაბმა ისეთი სურნელება აუშვა, რომ ფანჯარა დაკეტეს - ვინმე შეიყნოსავს და ცნობისწადილი აღეძვრებაო. ყავის გემოზე კიდევ უფრო უკეთესი იყო ის ხავერდოვნება, რასაც მას ნამდვილი შაქარი აძლევდა. უინსტონს ეს თითქმის დავიწყებოდა: წლების მანძილზე ხომ მხოლოდ სახარინს იყენებდა. ჯულიას ერთი ხელი ჯიბეში ჩაედო, მეორეში ჯემიანი პური დაეჭირა და ოთახში დადიოდა. განურჩეველი მზერით შეათვალიერა წიგნების კარადა, გამოთქვა მოსაზრება გასაშლელი მაგიდის შეკეთების საუკეთესო ხერხზე, გაცვეთილ სავარძელში ჩაეშვა, აბა, კომფორტულია თუ არაო, მერე კი აბსურდულ თორმეტდანაყოფიან საათს მიაჩერდა ერთგვარი ტოლერანტული თავშექცევით. რაც შეეხება მინის პრესპაპიეს, აიღო და საწოლთან მოიტანა უკეთეს სინათლეზე სანახავად. მინის წვიმისწყლოვანი სირბილით კიდევ ერთხელ აღფრთოვანებულმა უინსტონმა პრესპაპიე გამოართვა.

- რა უნდა იყოს, აზრზე ხარ?- არა მგონია, რამე იყოს. ესე იგი, არა მგონია, რამისთვის იყენებდნენ. სწორედ ეს მომწონს. რაღაცნაირად გადაურჩათ წარსულის ეს პაწია ნატეხი. ასი წლის წინათ გამოგზავნილი ბარათია, ოღონდ კითხვა უნდა იცოდე.

- ის სურათი? - ჯულიამ თავი მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებული გრავიურისკენ გაიქნია, - ეგეც ასი წლის იქნება?- მეტის. შეიძლება ორასის. ძნელი სათქმელია. დღეს ვერაფრის ასაკს ვერ დაადგენ.

ჯულია გრავიურასთან მივიდა: - აქ გამოყო ცხვირი იმ ვირთხამ, - თქვა და პანელზე მიუკაკუნა სურათის ქვემოთ, - რა ადგილია? სადღაც მინახავს.

- ეკლესიაა. არის ან იყო. წმ. კლიმენტის ეკლესია. - უინსტონს მისტერ ჩარინგტონისგან გაგონილი რითმა გააცხენდა და ნახევრად ნოსტალგიურად დაამატა: „ლიმონები და ფორთოხალები“, - წმინდა კლიმენტის რეკენ ზარები! მისდა განსაცვიფრებლად, ჯულიამ აიატაცა: „შენ ჩემი გმართებს სამი ფარტინგი“, -რეკენ ზარები წმინდა მარტინის, „მაშ, გაისტუმრე ჩემი ვალები“, - ძველი ბეილის რეკენ ზარები...

- მეტი აღარ მახსოვს. ბოლოს კი ასე მთავრდება: სანთელი მოდის, რომ საწოლთან დაგენთოს, მცელავი მოდის, რომ თავი წაგკვეთოს!თითქოს პაროლის ორი ნაწილი შეერთდაო. თუმცა ერთი სტრიქონი კიდევ უნდა ყოფილიყო ძველი

ბეილის შემდეგ. იქნებ მისტერ ჩარინგტონის მეხსიერებაში ეპოვათ, თუ კარგად მოჩხრეკდნენ.

- შენ ვინ გასწავლა? - ჰკითხა უინსტონმა.

- პაპაჩემმა. ბავშვობაში მეუბნებოდნენ ხოლმე. რვა წლის ვიყავი, როცა ააორთქლეს თუ... მოკლედ, გაქრა. ვფიქრობდი, ლიმონი რა არის-მეთქი ფორთოხალი მენახა. მრგვალი ყვითელი ხილია სქელი კანით.

- მე მახსოვს ლიმონი. ორმოცდაათიან წლებში ყველგან იყიდებოდა. ისეთი მჟავე იყო, მარტო დაყნოსვაც კი კბილებს გჭრიდა.

- ნაძლევს ვდებ, სურათის უკან ბაღლინჯოები იქნება, - თქვა ჯულიამ, - ერთხელაც ჩამოვიღებ და ყველაფერს გავწმენდ. მგონი, ჩვენი წასვლის დროა. აუ, ახლა სახის დაბანა არ გინდაა! შენც მოსაცილებელი გაქვს ჩემი პომადის კვალი.

ოთახში ბნელდებოდა, მაგრამ უინსტონი კიდევ რამდენიმე წუთს არ ამდგარა. სინათლისკენ შებრუნდა და მინის პრესპაპიეს დააცქერდა. მის სიღრმეში ჩასმული უსაზღვროდ საინტერესო საგანი მარჯანი კი არა - მინის შიგნითა მხარე იყო, ასეთი ღრმა და თან ჰაერივით გამჭვირვალე! მინის ზედაპირი ცის გუმბათს ჰგავდა, რომელსაც თავის წიაღში მოექცია პაწაწინა ქვეყნიერება მთელი მისი ატმოსფეროთი. თითქოს უინსტონს შეეძლო შიგ შესულიყო და, არსებითად, უკვე შიგნით ცხოვრობდა კიდეც წითელი ხის საწოლით, გასაშლელი მაგიდით, კედლის საათით, ლითონის გრავიურითა და თვით პრესპაპიეთი. ეს უკანასკნელი იყო ოთახი, რომელშიც უინსტონი იმყოფებოდა, მარჯანი კი - მისი და ჯულიას ცხოვრება, მარადისობასავით ჩაკირული კრისტალის გულში.

V

საიმი გაქრა. ერთ დილას სამსახურში აღარ მოვიდა. რამდენიმე აზრნაკლულმა თანამშრომელმა მისი არყოფნა აღნიშნა. მეორე დღეს საიმი აღარავის უხსენებია. მესამე დღეს უინსტონი ნაწერთა დეპარტამენტის ვესტიბიულში ჩავიდა შენიშვნების დაფის სანახავად. ერთგან მიკრული იყო სია ჭადრაკის კომიტეტის შემადგენლობისა, რომელშიც საიმიც შედიოდა. სია თითქმის ისევე გამოიყურებოდა, როგორც მანამდე. მხოლოდ ერთი სახელი აკლდა. ეს საკმარისი იყო. საიმი აღარ არსებობდა. არც არასოდეს უარსებია.

გვარიანად ჩამოცხა. ლაბირინთებიანი სამინისტროს ოთახები კონდიცირდებოდა და ამით ნორმალურ ტემპერატურას ინარჩუნებდა. ქუჩებში კი ქვაფენილი ფეხქვეშ იწვოდა. მეტროს დერეფნების სიმყრალე პიკის საათებში უკვე აუტანელი გახდა. სიძულვილის კვირეულისთვის მზადებას თავისი აპოგეისთვის მიეღწია და ყველა სამინისტროს პერსონალი გახანგრძლივებული რეჟიმით მუშაობდა. პროცესიებს, შეხვედრებს, სამხედრო პარადებს, ლექციებს, ცვილის ნამუშევართა გამოფენებს, ფილმების ჩვენებას, სატელევიზიო პროგრამებს - ყველაფერს ორგანიზება სჭირდებოდა. უნდა დაედგათ სტენდები, აღემართათ გამოსახულებები, გამოეგონათ და გაეკრათ ახალი ლოზუნგები, დაეწერათ სიმღერები, გაევრცელებინათ საჭირო ხმები, მოეხდინათ ფოტოსურათების

ფალსიფიცირება. ჯულიას მანქანამ ნაწერთა დეპარტამენტში რომანებს თავი ანება და ამჯერად სისასტიკის აღმწერი პამფლეტების სერიას ბეჭდავდა. რეგულარული სამუშაოს გარდა, უინსტონი დიდ დროს ახმარდა „ტაიმსის“ კარტოთეკებში ჯდომას და იმ ადგილების შეცვლა-გადაკეთებას, რომლებიც მავანთა გამოსვლებში უნდა ციტირებულიყო. გვიან ღამით, როცა ხალხი ხმაურიანად გამოეფინებოდა ქუჩებში, ქალაქს უცნაური ციებ-ცხელება იპყრობდა. ბომბები ახლა უწინდელზე ხშირად ცვიოდა. ხანდახან კი სადღაც შორიდან ისეთი ძლიერი აფეთქების ხმა აღწევდა, რომელიც ვერავის აეხსნა და რომელზეც რაღაც გაუგონარი ხმები დადიოდა.

უკვე დაიწერა და ეკრანებიდან დღე და ღამე ისმოდა სიძულვილის კვირეულის ჰიმნად მიჩნეული ახალი მელოდია („სიძულვილის სიმღერა“). დასარტყამი ინსტრუმენტებით შესრულებულ ამ რიტმს მუსიკა არც კი ეთქმოდა და რიტმული მარშირებით მსვლელი ასობით ადამიანის ყელიდან მთლად თავზარდამცემად ჟღერდა. პროლებმა ხალისით აიტაცეს სიმღერა და ამიტომაც იყო, რომ შუაღამის ქუჩებში ახალი მელოდია უკვე ტოლს არ უდებდა ჯერ კიდევ პოპულარულ მეორე სიმღერას - „ეს მხოლოდ უიმედო ფანტაზია იყო“. პარსონსების ბავშვები გაუთავებლად იმეორებდნენ ამ მუსიკას სავარცხლითა და ტუალეტის ქაღალდით. უინსტონის საღამოები უწინდელზე მეტად დაიტვირთა. პარსონსების მიერ დაკომპლექტებული მოხალისეთა რაზმი მათ ქუჩას სიძულვილის კვირეულისთვის ამზადებდა: კერავდნენ დროშებს, ხატავდნენ პლაკატებს, სახურავებზე აღმართავდნენ ფლაგშტოკებს, თავს ხიფათში იგდებდნენ და ქუჩების გარდიგარდმო მავთულებს ჭიმავდნენ ტრანსპარანტების ჩამოსაკიდებლად. პარსონსი ტრაბახობდა: მხოლოდ „გამარჯვების სახლი“ საერთო სიგრძით ოთხასი მეტრის მატერიას გამოფენსო. ეს კაცი თავის ბუნებრივ სტიქიაში გახლდათ და ტოროლასავით ბედნიერი იყო. სიცხე და ყოველდღიური სამუშაო იმის საბაბსაც კი აძლევდა, რომ შორტები ჩაეცვა და საღამოობით გულგაღეღილი პერანგით ევლო. ყველგან ერთდროულად იმყოფებოდა: უბიძგებდა, ხერხავდა, აკაკუნებდა, რაღაცას იგონებდა, ირგვლივ ყველას თავისი ამხანაგური მოწოდებებით ამხნევებდა და სხეულის ყოველი ნასვრეტიდან ამოუწყავი რაოდენობის გულის შემაღონებელი ოფლი სდიოდა.

ლონდონის კედლებზე ახალი პლაკატი გამოჩნდა. არავითარი წარწერა არ ჰქონდა, მხოლოდ ფართოდ გალაჯული ევრაზიელი ჯარისკაცის გოლიათური, სამ- თუ ოთხმეტრიანი ფიგურა არაფრისმეტყველი მონღოლური სახით, ვეება ჩექმებითა და ბარძაყის სიმაღლეზე დაჭერილი ავტომატით. რა კუთხიდანაც უნდა შეგეხედა, გადიდებული ავტომატის ლულა თითქოს პირდაპირ შენ გიმიზნებდა. ეს პლაკატი ყველა კედლის ცარიელ ადგილებზე ეკიდა და რაოდენობით დიდი ძმის სურათებსაც კი აღემატებოდა. ომის მიმართ ჩვეულებრივ აპათიური პროლები ამჯერად პატრიოტიზმის ერთ-ერთმა პერიოდულმა სიშმაგემ აიტანა. თითქოს ჰარმონიაში ჯდება საერთო განწყობილებასთანო - ჩამოვარდნილი ბომბებით ახლა უფრო მეტი ხალხი იხოცებოდა. ერთი ბომბი ხალხით სავსე კინოდარბაზს დაეცა და ნანგრევებქვეშ ასეულობით მსხვერპლი მოიყოლა. იმ რაიონის მთელი მოსახლეობა რამდენიმესაათიანმა დაკრძალვის პროცესიამ მოიცვა, რაც, საბოლოოდ, გულისწყრომის გამომხატველ მიტინგად იქცა. მეორე ბომბი სათამაშო მოედანზე გასკდა და რამდენიმე ათეული ბავშვისგან ნაფლეთებიღა დატოვა. ამას განრისხებულ ადამიანთა დემონსტრაციები მოჰყვა. საჯაროდ

დაწვეს გოლდსტეინის გამოსახულება, დახიეს ევრაზიელი ჯარისკაცის ასეულობით პლაკატი. ამ არეულობაში გაიძარცვა რამდენიმე მაღაზია. შემდეგ გავრცელდა ხმა, ჯაშუშები ბომბებს უმავთულო გადაცემით მართავენო. ამას მოჰყვა ის, რომ დაწვეს უცხოურ წარმოშობაში ეჭვმიტანილი მოხუცი ცოლ-ქმრის სახლი. ხანძრის კვამლმა თვით მოხუცებიც გაგუდა.

მისტერ ჩარინგტონის მაღაზიის თავზე მდებარე ოთახში ღია ფანჯრის ქვეშ გაშლილ საწოლზე გვერდიგვერდ გაშოტილიყვნენ ჯულია და უინსტონი. ძალიან ცხელოდა და ორივე დედიშობილა იწვა. ვირთხა აღარ გამოჩენილა, ბაღლინჯოები კი სიცხეში ერთი ათად გამრავლდნენ. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა. ჭუჭყიანი იყო თუ სუფთა -ოთახი სამოთხეს უდრიდა. შემოსვლისთანავე ყველაფერს შავ ბაზარზე ნაშოვნ მდოგვს აყრიდნენ დეზინფექციისთვის, შემდეგ სასწრაფოდ სამოსს შემოიძარცვავდნენ და ოფლიანი სხეულებით სიყვარულს მიეცემოდნენ. ამას ჯერ ძილი მოსდევდა, მერე კი გაღვიძება იმის აღმოსაჩენად, რომ ბაღლინჯოები კვლავ გაერთიანებულიყვნენ და საპასუხო შეტევისთვის ემზადებოდნენ.

ივნისის თვეში ოთხჯერ, ხუთჯერ, ექვსჯერ და შვიდჯერაც კი შეხვდნენ ერთმანეთს. უინსტონმა შეწყვიტა ჯინის წამდაუწუმ ყლურწვა, რაღაცნაირად აღარ სჭირდებოდა; მოსუქდა, გაგანიერებული ვენები ჩაუცხრა, კოჭზემოთ მხოლოდ ყავისფერი ლაქაღა დარჩა. შეუწყდა დილის ჩვეული ხველებაც. ცხოვრება აუტანელი აღარ იყო. არავითარ იმპულსს აღარ გრძნობდა საიმისოდ, რომ ეკრანისთვის შესაფერისი გრიმასები მიეღო ან მთელი ხმით წყევლა-კრულვა ეყვირა. ახლა, როდესაც საკუთარი ადგილი - თითქმის სახლი - გააჩნდათ, ამ შეხვედრების იშვიათობასა და სიმოკლესაც უძლებდნენ. ოღონდაც ძველმანების მაღაზიის თავზე მდებარე ოთახს ეარსება! იმის ცოდნა, რომ ეს ოთახი სხვისთვის მიუწვდომელი რჩებოდა, თითქმის მასში ყოფნას უდრიდა. ეს იყო მთელი სამფლობელო, წარსულის გამოქვაბული, სადაც გადაშენებული ცხოველები ბინადრობდნენ. თვით მისტერ ჩარინგტონიც ერთ-ერთი გადაშენებული ცხოველიაო, ფიქრობდა უინსტონი. ზედა ოთახში ასვლამდე, ჩვეულებრივ, რამდენიმე წუთს მისტერ ჩარინგტონს ესაუბრებოდა. მოხუცი იშვიათად ან საერთოდ არ გადიოდა სახლიდან. მეორე მხრივ, მას თითქმის არ ჰყავდა მუშტარი. აჩრდილის ცხოვრებას ეწეოდა თავის პაწია, ბნელ მაღაზიასა და მთლად პაწაწკინტელა სამზარეულოში, სადაც უშველებელჰორნიანი, წარმოუდგენლად ძველი გრამოფონი იდგა. აშკარად სიამოვნებდა საუბარი. გრძელი ცხვირით, სქელმინიანი სათვალითა და ხავერდის ქურთუკში ჩამჯდარი მოხრილი მხრებით ძველ ნივთებს შორის მოსიარულე კოლექციონერს უფრო ჰგავდა, ვიდრე ვაჭარს. რაღაც ჩამქრალი ენთუზიაზმით იშვერდა თითს ამა თუ იმ ხარახურისკენ, იქნებოდა ეს ჩინური საცობი, თუთუნის ყუთის მოხატული სახურავი თუ დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ბავშვის თმისკულულიანი მედალიონი. ამას აკეთებდა არა იმ მიზნით, რომ უინსტონს მითითებული ნივთი შეეძინა, არამედ, უბრალოდ, აღფრთოვანებულიყო. მისი ლაპარაკი ძველი მუსიკალური აპარატის ჟღრიალს ჰგავდა. მეხსიერების მივარდნილი კუნჭულებიდან მისტერ ჩარინგტონმა სხვა დავიწყებული ლექსებიც გამოჩხრიკა. ერთში ლაპარაკი იყო ოცდაოთხ შავ შაშვზე, მეორეში - ცალრქამოტეხილ ძროხაზე, მესამეში - საბრალო კოკ რობინის სიკვდილზე. „ვიფიქრე, შეიძლება დააინტერესოს-მეთქი“, - ეუბნებოდა უინსტონს მისთვის ჩვეული ჩუმი ჩაცინებით

რომელიმე ახალი ლექსის თქმის შემდეგ. თუმცა არასოდეს ახსოვდა რამდენიმე სტრიქონზე მეტი.

ორივემ იცოდა, თანაც რაღაცნაირად ისე, გაცნობიერებულად: რაც ახლა ხდებოდა, დიდხანს ვერ გასტანდა. იყო მომენტები, როცა თავზემოთ დაკიდებული სიკვდილი ისევე ხელშესახებად იგრძნობოდა, როგორც ის საწოლი, რომელზეც იწვნენ. ამ დროს ისინი ერთგვარი სასოწარკვეთილი მგრძნობელობით ეკვროდნენ ერთმანეთს, - იმ დაწყევლილი სულის მსგავსად, სულ ხუთიოდე წუთი რომ დარჩენია სიცოცხლე და პირში სიამოვნების უკანასკნელ ლუკმას იტენის. თუმცა იყო სხვა მომენტებიც, როცა მხოლოდ უსაფრთხოების კი არა, თვით ასეთი ყოფის მუდმივობის ილუზიაც კი ეუფლებოდათ. ვიდრე ფიზიკურად ამ ოთახში იყვნენ, ორივე გრძნობდა, რომ არაფერი დაუშავდებოდათ. აქამდე მოსვლა იყო ძნელი და სახიფათო, თორემ თვით ოთახი საკურთხევლად უჩანდათ. სწორედ პრესპაპიეს გულში ჩახედვისას გაუჩნდა უინსტონს შეგრძნება, რომ შეიძლებოდა მინის ამ სამყაროში შესვლა და იქ დროის შეჩერება. ხშირად ორივე ერთად ეძლეოდა გაქცევის ფუჭ ოცნებებს: თითქოს იღბალი არასოდეს მიატოვებდათ და მთელი დარჩენილი ცხოვრება სულ ამ ყოფაში იქნებოდნენ. ან იქნებ ქეთრინი მომკვდარიყო და, რაღაც დახვეწილი მანევრირების წყალობით, უინსტონი და ჯულია შეუღლებულიყვნენ. ან იქნებ ერთად მოეკლათ თავი. ან, ბოლოს და ბოლოს, გამქრალიყვნენ, ფიზიკურად გადასხვაფერებულიყვნენ სრულ გამოუცნობლობამდე, პროლეტარული აქცენტი ესწავლათ, სამუშაო ეპოვათ ქარხანაში და ასე ეცხოვრათ რომელიმე მივარდნილ ქუჩაზე. ორივემ იცოდა, რა უაზრობა იყო ეს ყველაფერი. სინამდვილეში, ვერსად გაიქცეოდი. რჩებოდა ერთადერთი განხორციელებადი გეგმა - თვითმკვლელობა, რომლის სისრულეში მოყვანას ისინი სულაც არ აპირებდნენ. ერთი და იმავე აწმყოს ასეთი ტრიალი დღიდან დღემდე და კვირიდან კვირამდე რაღაც წინაღუდგომელ ინსტინქტს ჰგავდა. ფილტვებიც ასე ანგარიშმიუცემლად ჩაისუნთქავდნენ მორიგ ყლუპ ჰაერს მანამდე, ვიდრე ეს ჰაერი ფიზიკურად მოიპოვება.

სხვა დროს იმაზეც საუბრობდნენ, როგორ ჩაბმულიყვნენ აქტიურ ამბოხში პარტიის წინააღმდეგ, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდათ, როგორ გადაედგათ პირველი ნაბიჯი ამ გზაზე. თვით მითური საძმო სინამდვილე რომ აღმოჩენილიყო, მასში შეღწევა მაინც დიდ სიძნელედ რჩებოდა. უინსტონმა ჯულიას უამბო იმ უცნაური სიახლოვის შესახებ, ო’ბრაიენთან რომ აკავშირებდა, ისევე, როგორც თავის შინაგან ბიძგზე -მისულიყო ამ კაცთან, ეთქვა, პარტიის მტერი ვარო, და დახმარება ეთხოვა. საგულისხმოა, რომ ამ მოსაზრებამ ჯულიას სულაც არ დასცა ისეთი ელდა, თითქოს უინსტონს სრულებით გაუგონარი რამ ეთქვას. ჯულია ადამიანებზე სახით მსჯელობდა და ბუნებრივად ეჩვენებოდა, რომ უინსტონი ო’ბრაიენს ენდობოდა თუნდაც მზერათა ელვისებური გაცვლის საფუძველზე. მეტიც: ჯულია დარწმუნებული იყო, რომ პარტია ყველას ან თითქმის ყველას სძულდა და თითოეული მათგანი ხალისით გათელავდა პარტიის კანონებს, თუ თავს სამშვიდობოს დაიგულებდა. მაგრამ ის კი არაფრით სჯეროდა, რომ დიდი ოპოზიცია არსებობდა ან შეეძლო ეარსება. ზღაპრები გოლდსტეინზე და მიწისქვეშა ჯარზე, ჯულიას აზრით, პარტიის მიერ მოჩმახული სიცრუე იყო, რომელიც თვითონვე შეთხზა საკუთარი მიზნებისთვის და ადამიანებსაც ისე უნდა მოეკატუნებინათ თავი, თითქოს ეს მონაჩმახი სჯეროდათ. პარტიის ყრილობებზე თუ სპონტანურ დემონსტრაციებზე ჯულიას უთვალავჯერ უყვირია მთელი ხმით -

სიკვდილით დაესაჯათ ის ადამიანები, რომელთა სახელები მანამდე არასოდეს გაეგონა და რომელთა „დანაშაულების“ იოტისოდენადაც არ სჯეროდა. საჯარო სასამართლოების დროს ჯულია იკავებდა თავის ადგილს ახალგაზრდული ლიგის რიგებში, რომლებიც დილიდან საღამომდე სასამართლოსთან იდგნენ და ხანგამოშვებით „სიკვდილი მოღალატეებს!“ მღეროდნენ. სიძულვილის ორწუთეულის დროს ჯულია ყოველთვის აჭარბებდა სხვებს გოლდსტეინის მისამართით წარმოთქმულ ლანძღვა-გინებაში, თუმცა უბუნდოვანესი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, საერთოდ, ვინ იყო ეს კაცი და რა მოძღვრებას ქადაგებდა. ჯულია რევოლუციის შემდგომ პერიოდში დაქალიშვილდა და, ამდენად, მეტისმეტად ახალგაზრდა იყო საიმისოდ, რომ 50-იანი და 60-იანი წლების იდეოლოგიური ბრძოლები ხსომებოდა. მისთვის საერთოდ წარმოუდგენელი იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური მოძრაობა. ბოლოს და ბოლოს, პარტიას ხომ ვერავინ და ვერაფერი მოერეოდა. ის ყოველთვის იარსებებდა და ყოველთვის ერთი და იგივე იქნებოდა. მხოლოდ ფარული დაუმორჩილებლობით თუ აუჯანყდებოდი ან, დიდი-დიდი, ისეთი ცალკეული ძალმომრეობითი მოქმედებებით, როგორიც იყო ვინმეს მოკვლა ან აფეთქება.

გარკვეული აზრით, ჯულია უინსტონზე გაცილებით გამჭრიახი იყო და, იმავდროულად, გაცილებით ნაკლებად მგრძნობიარე პარტიის პროპაგანდის მიმართ. ერთხელ, ერთ-ერთი შეხვედრის დროს, როცა უინსტონმა ევრაზიასთან ომი ახსენა, გაოგნებული დარჩა ჯულიას აგდებული სიტყვებით: ჩემი აზრით, არავითარი ომი არ მიმდინარეობსო; ლონდონში ყოველდღიურად ჩამოცვენილი სარაკეტო ბომბებიც, ალბათ, თვით ოკეანიის მთავრობის ნასროლია, „რათა ხალხი სულ შიშის ქვეშ ჰყავდეთ“. ეს აზრი უინსტონს მართლაც არასოდეს მოსვლია თავში. რაღაც შურისმაგვარიც კი აღუძრა ჯულიას ნათქვამმა: სიძულვილის ორწუთეულის დროს ზოგჯერ დიდი თავშეკავება მმართებს, რომ სიცილი არ წამსკდესო. ჯულია მხოლოდ მაშინ სვამდა კითხვებს, თუ პარტიის სწავლება მის პირად ცხოვრებას შეეხებოდა. ხშირად მზადაც კი იყო, უსიტყვოდ მიეღო ოფიციალური მითოლოგია, უბრალოდ, იმ მიზეზით, რომ დიდად არაფრად უჩანდა განსხვავება ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის. მაგალითად, სჯეროდა სკოლაში ნასწავლი ამბავი, რომ თვითმფრინავები პარტიამ გამოიგონა (თვით უინსტონის მოწაფეობის დროს, 50-იანი წლების მეორე ნახევარში, პარტია მხოლოდ ვერტმფრენის გამოგონებას ჩემულობდა. თორმეტიოდე წლის შემდეგ, როცა ჯულიაც წავიდა სკოლაში, პარტია უკვე თვითმფრინავის გამომგონებელიც გახდა. კიდევ ერთი თაობა და - ორთქლმავალიც მის ქმნილებად გამოცხადდებოდა). და როცა უინსტონმა უთხრა, თვითმფრინავები უკვე ჩემს დაბადებამდე და რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე არსებობდნენო, ჯულია ამ ფაქტს სრულებით არ დაუინტერესებია. ბოლოს და ბოლოს, რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვინ გამოიგონა თვითმფრინავი? კიდევ უფრო დიდ შოკში უინსტონი იმის აღმოჩენამ ჩააგდო, რომ, როგორც შემთხვევით წამოსროლილი შენიშვნებიდან მიხვდა, ჯულიას არ ახსოვდა, ვის ეომებოდა ოკეანია სულ ოთხიოდე წლის წინ - აღმოსავლეთაზიას თუ ევრაზიას. ერთი რამ ცხადი იყო: მთელ ამ ომში ჯულია მხოლოდ თაღლითობას ხედავდა და მტრის სახელის შეცვლაც კი არ შეუმჩნევია. „მეგონა, ყოველთვის ევრაზიას ვეომებოდითო“, ჩაილაპარაკა ყრუდ. ამ ამბავმა უინსტონი ცოტათი დააფრთხო. თვითმფრინავების გამოგონება ჯულიას დაბადებამდე დიდი ხნით ადრე მოხდა, აი, მეტოქის შეცვლა კი სულ ოთხი წლის წინ, როცა ჯულია უკვე ზრდასრული ადამიანი იყო. ამის თაობაზე უინსტონი ქალს

მთელი თხუთმეტი წუთი ეკამათა. ბოლოს და ბოლოს, ჯულიას ბუნდოვნად გაახსენდა, რომ ოდესღაც მტერი აღმოსავლეთაზია იყო და არა ევრაზია. მაგრამ ეს აინუნშიც არ ჩაუგდია: - რა მნიშვნელობა აქვს? - შესძახა მოულოდნელად, - ერთ ომს ყოველთვის მეორე მოსდევს და იცი, რომ ყველა ახალი ამბავი სიცრუეა.

ზოგჯერ უინსტონი ჯულიას სამწერლო დეპარტამენტზე და მის მიერ იქ ჩადენილ ყოვლად თავხედურ სიყალბეებზე უამბობდა. თუმცა ქალიშვილს ასეთი რამეები მაინცდამაინც არ აკვირვებდა. სულაც არ ეხსნებოდა ფეხქვეშ უფსკრული, როცა ჭეშმარიტებად ქცეულ სიცრუეს წარმოიდგენდა. უინსტონმა ჯოუნზის, აარონსონის და რეზერფორდის ამბავი უამბო და ის დოკუმენტიც ახსენა, რომელიც ერთი წამით ხელში ეჭირა. არც ამან მოახდინა ჯულიაზე დიდი შთაბეჭდილება. თავიდან საერთოდ ვერ გაიგო, რა იყო მთავარი ამ ამბავში.

- შენი მეგობრები იყვნენ? - ჰკითხა უინსტონს.

- არა, არასოდეს მცნობია პირადად. შინაგანი პარტიის წევრები იყვნენ, თანაც ჩემზე გაცილებით ასაკოვანნი: რევოლუციამდელი პერიოდის ხალხი. მხოლოდ სახეებით ვიცნობდი.

- მაშინ სანერვიულო რა გქონდა? ადამიანებს ხომ ყოველთვის კოცავდნენ?უინსტონი შეეცადა აეხსნა: - ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. აქ მხოლოდ იმაზე არ არის ლაპარაკი, რომ ვიღაც უნდა მოეკლათ. გესმის თუ არა, რომ მთელი წარსული -გუშინდელი დღის ჩათვლით - არსებითად, გაუქმებულია. თუ კიდევ სადმე არსებობს, ესეც ისეთ მცირერიცხოვან მყარ და სიტყვების არმსაჭიროებელ საგნებში, როგორიცაა, მაგალითად, მინის ეს ნაჭერი. ჩვენ თითქმის უკვე აღარაფერი ვიცით რევოლუციაზე და მის წინა პერიოდზე. ყველა ჩანაწერი განადგურდა ან გაყალბდა, ყველა წიგნი ხელახლა გადაიწერა, ყველა სურათი თავიდან დაიხატა, ყველა ქანდაკებას, ქუჩასა და სახლს სახელი გამოეცვალა, ყველა თარიღი გადაკეთდა. და ეს პროცესი დღიდან დღემდე, წუთიდან წუთამდე გრძელდება. ისტორია გაქვავდა. აღარაფერი არსებობს, გარდა დაუსრულებელი „ამწუთისა“, რომელშიც პარტია მუდამ მართალია. მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ წარსული გაყალბებულია, მაგრამ ამას ვერასოდეს დავამტკიცებ, მაშინაც კი, როცა მე თვითონ ვაწარმოებ ფალსიფიცირებას. თითოეული ასეთი აქტის შემდეგ არასოდეს არავითარი სამხილი არ რჩება. ერთადერთი სამხილი ჩემს გონებაშია, და ჩემთვის სრულებით არ არის უეჭველი, რომ ჩემს მეხსიერებაში არსებულ საგნებს რომელიმე ადამიანი გაიზიარებს. მთელი ჩემი არსებობის მანძილზე მხოლოდ იმ ერთ შემთხვევაში მეჭირა ხელში მომხდარი ფალსიფიცირების შემდეგ - წლების შემდეგ - დარჩენილი ნამდვილი სამხილი.

- და რაში გამოგადგა?- არაფერში. რამდენიმე წუთში გადავაგდე. მაგრამ დღეს რომ მეპოვა ასეთი რამ, შევინახავდი. - მე არ შევინახავდი, - თქვა ჯულიამ, - რისკზე ყოველთვის წავალ, მაგრამ რაღაცად უნდა მიღირდეს, არა - ქაღალდის ერთი ნაგლეჯისთვის! რომ შეგენახა, რაში გამოგადგებოდა?- ალბათ, ბევრ არაფერში. მაგრამ ეს მაინც სამხილი იყო, აქა-იქ ცოტაოდენ ეჭვს დათესავდა, თუ, რა თქმა უნდა, გავბედავდი და ვინმეს ვაჩვენებდი. ვერ წარმომიდგენია, რომ ჩვენი სიცოცხლის მანძილზე რამე შეიცვალოს. მაგრამ ის კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ ჩნდება ხან აქ და ხან იქ წინააღმდეგობის პატარა

კერები, ადამიანთა პატარა დაჯგუფებები, რომლებიც ნელ-ნელა იზრდებიან და თავის შემდეგ რაღაც ჩანაწერებსაც ტოვებენ ისე, რომ შემდეგი თაობა უკვე იქიდან განაგრძობს, სადაც ჩვენ შევწყვიტეთ.

- მომდევნო თაობა მე არ მედარდება, ძვირფასო, მხოლოდ ჩემი და შენი თავი მანაღვლებს!- შენ მხოლოდ წელს ქვემოთ ხარ მეამბოხე!ჯულიას ეს საოცრად გონებამახვილურად ეჩვენა და აღტაცებით შემოაჭდო უინსტონს მკლავები.

პარტიის მოძღვრება ჯულიას ოდნავადაც არ აინტერესებდა. როგორც კი უინსტონი წამოიწყებდა საუბარს ინგსოცის, ორაზრის, წარსულის ცვალებადობისა თუ ობიექტური სინამდვილის უარყოფის შესახებ და თან ახალმეტყველების სიტყვებსაც მოიმარჯვებდა, ჯულია მთქნარებას იწყებდა, იბურძგლებოდა და ამბობდა, ეგეთი რამეები არასოდეს მაინტერესებდაო. ეგ ყველაფერი ხომ ნაგავია, რატომ ავიტკივოთ თავიო? ჯულიამ იცოდა, რა მიეღო და რა მოესროლა, სხვა არაფერი სჭირდებოდა. თუ უინსტონი მაინც განაგრძობდა ამ საგნებზე საუბარს, ამაზე ჯულია ერთობ დამაბნეველი რეაქციით - ჩაძინებით პასუხობდა. ერთი იმათგანი იყო, ნებისმიერ პოზაში რომ იძინებენ დღის ნებისმიერ დროს. მასთან საუბრისას უინსტონმა დაინახა, რაოდენ ადვილი ყოფილა მართლმორწმუნე იერის მიღება მაშინ, როცა წარმოდგენაც არ გაქვს, რას ნიშნავს მართლმორწმუნეობა. გარკვეული აზრით, პარტიის დოქტრინა ყველაზე უკეთ სწორედ იმ ხალხზე მოქმედებდა, ვისაც სრულებით არ ესმოდა ეს უკანასკნელი. ასეთებს სინამდვილის თვით ყველაზე უფრო დამახინჯებულ ფორმებს მიაღებინებდი, რადგან არასოდეს შეეძლოთ მთლიანობაში მოეხელთებინათ, რას ითხოვდნენ მათგან, და არც საკმარისად დაინტერესებულნი იყვნენ საზოგადოებრივი ამბებით, რათა შეემჩნიათ, რა ხდებოდა. ისინი სწორედ გაგების ნაკლებობის წყალობით რჩებოდნენ ნორმალურები. უბრალოდ, ყლაპავდნენ ყველაფერს და, რასაც ყლაპავდნენ, არაფერს უშავებდათ, რადგან ისევე არ ტოვებდა მათში არაფერს, როგორც ხორბლის მარცვალი, მოუნელებლად რომ ტოვებს ჩიტის სხეულს.

VI

ბოლოს მოსალოდნელი მოხდა: ბარათი მოვიდა. მისივე აზრით, უინსტონი სწორედ ამას ელოდა.

სამინისტროს დერეფანში მიაბიჯებდა და თითქმის უკვე იმ წერტილში იყო, სადაც ჯულიამ ხელში დაკეცილი ქაღალდი ჩაუცურა. უცებ შეამჩნია, რომ უკან ვიღაც მასზე დიდტანიანი მოჰყვება. შემდეგ ხველება გაისმა: აშკარად ლაპარაკის დაწყების შესავალი. უინსტონი მომენტალურად შედგა და შემოტრიალდა. ეს ო'ბრაიენი იყო.

როგორც იქნა, პირისპირ აღმოჩნდნენ. იმწამს ეგონა, რომ გაიქცეოდა. გული გამალებით უცემდა და ხმას ვერც ამოიღებდა, თუ არა ო'ბრაიენი, რომელმაც შეუჩერებლად განაგრძო გზა, თან ერთი წამით უინსტონს მეგობრულად შეეხო ისე, რომ ორივემ გვერდიგვერდ გააბიჯა. ლაპარაკიც მისთვის ჩვეული სერიოზული და თავაზიანი ტონით დაიწყო, ასე რომ განასხვავებდა ამ კაცს შინაგანი პარტიის უმრავლესობისგან.

- ველოდებოდი შემთხვევას, როცა თქვენთან საუბრის საშუალება მომეცემოდა. ახალმეტყველებით დაწერილ ერთ თქვენს წერილს ვკითხულობდი „ტაიმსში“. როგორც ვატყობ, ახალმეტყველების მეცნიერული ინტერესი გაქვთ, არა?უინსტონს თვითფლობა ნაწილობრივ დაუბრუნდა: - მე მეცნიერულს ვერ დავარქმევდი. ეს ჩემი სფერო არ არის. არასოდეს მიმუშავია ენის რეალური ჩამოყალიბებისთვის.

- მაგრამ თქვენ ძალზე მოხდენილად წერთ. ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის. ამას წინათ ერთ თქვენს მეგობარს ველაპარაკებოდი, ნამდვილ ექსპერტს ამ საკითხებში. ამწუთას სახელს ვერ ვიხსენებ.

უინსტონს გული ისევ მტკივნეულად შეუტოკდა: წარმოუდგენელი იყო, რომ აქ ვინმე სხვა ეგულისხმათ, საიმის გარდა. მაგრამ საიმი არა უბრალოდ მკვდარი იყო, არამედ გაუქმებული, არაპირი. ყოველი მისახვედრი მინიშნება მასზე სასიკვდილოდ სახიფათო იყო. ო’ბრაიენის შენიშვნა უთუოდ სიგნალი, კოდ-სიტყვა უნდა ყოფილიყო. აზრდანაშაულის პატარა აქტის გაზიარებით, ო’ბრაიენმა შეთქმულად აქცია ორივე - თავისი თავიცა და უინსტონიც. ნელა მიაბიჯებდნენ დერეფანში და ამჯერად ო’ბრაიენი შედგა. საგულისხმო და, შეიძლება ითქვას, განმაიარაღებელი მეგობრულობით, რომელსაც ყოველთვის ჟესტად აქცევდა ხოლმე, მან ცხვირზე სათვალე შეისწორა და განაგრძო: - მე იმის თქმა მსურდა, რომ თქვენს სტატიაში ხმარებიდან გამოსული ორი სიტყვა შევნიშნე. თუმცა ისინი სულ ახლახან გააუქმეს. ახალმეტყველების მეათე გამოცემა თუ ნახეთ?- არა, არ მინახავს. არ მეგონა, ასე მალე თუ გამოსცემდნენ. ნაწერთა დეპარტამენტში ჯერ კიდევ მეცხრეს ვიყენებთ.

- მეათე გამოცემა რამდენიმე თვის შემდეგ გავრცელდება. ამჟამად მხოლოდ რამდენიმე სასიგნალო ეგზემპლარი არსებობს. ერთი მეც მაქვს. თვალს ხომ არ გადაავლებდით?- დიდი სიამოვნებით. - უპასუხა უინსტონმა საუბრის მიმართულების მომენტალური დაყნოსვით.

- რამდენიმე ერთობ გონებამახვილური სიახლეა. ჩემი აზრით, ყველაზე მეტად თქვენ ზმნების რაოდენობის შემცირება დაგაინტერესებთ. ლექსიკონი შიკრიკს ხომ არ გამოვატანო? თუმცა ვშიშობ, ესეც ისევე დამავიწყდება, როგორც სხვა მსგავსი საგნები მავიწყდება. იქნებ თავადვე წაიღოთ ჩემგან, როცა მოგიხერხდებათ? მოიცათ, ჩემს მისამართს მოგცემთ. ეკრანის წინ იდგნენ. ო’ბრაიენმა თითქოს გაფანტულად მოიჩხრიკა ორი ჯიბე, საიდანაც ტყავის პატარა წიგნაკი და ოქროსწვერიანი ავტოკალამი ამოიღო. ზუსტად ეკრანის ქვეშ, ისე, რომ რომელიღაც ოთახში მჯდარ მოთვალთვალეს პირდაპირ შეეძლო დაენახა, რას წერდა, ო’ბრაიენმა თავისი მისამართი დაწერა, ამოხია და უინსტონს გადასცა.

- როგორც წესი, საღამოობით შინ ვარ. თუ არადა, ლექსიკონს მოსამსახურე გადმოგცემთ.

ო’ბრაიენი წავიდა, უინსტონი კი იქვე დარჩა ხელში ბლოკნოტის ფურცლით, რომლის დამალვის საჭიროება ამჯერად არ არსებობდა. მიუხედავად ამისა, გულმოდგინედ დაიმახსოვრა, რა ეწერა ფურცელზე, და რამდენიმე საათის შემდეგ მეხსიერების ნახვრეტში ჩაუძახა სხვა ქაღალდების გროვასთან ერთად.

მათ დიდი-დიდი ორი წუთი ილაპარაკეს. ამ ეპიზოდს ერთადერთი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა: უინსტონს ო'ბრაიენის მისამართი გაეგო. ეს აუცილებელი იყო, რადგან პირდაპირი შეკითხვის გარეშე ვერავის მისამართს ვერ გაიგებდი. არ არსებობდა არავითარი ცნობარი. „თუ ჩემი ნახვა მოგინდეს, აქ მომძებნი“ - აი, რა უთხრა ო'ბრაიენმა უინსტონს. იქნებ ლექსიკონის ფურცლებში წერილიც იდო. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადი იყო: უინსტონის წარმოსახული შეთქმულება არსებობდა და ახლა იგი ამ შეთქმულების მისადგომებთან იდგა.

წინასწარ იცოდა, რომ ო'ბრაიენის გამოძახებას ადრე თუ გვიან უთუოდ დაემორჩილებოდა: შეიძლება ხვალ, შეიძლება დიდი ხნის შემდეგ. არსებითად, ხდებოდა იმ პროცესის დეტალური დამუშავება, რომელიც დიდი ხნის წინ დაიწყო. პირველი ნაბიჯი იყო საიდუმლო, უნებლიე აზრი, მეორე - დღიურის წერის დაწყება. უინსტონი ჯერ აზრებიდან სიტყვებზე გადავიდა, შემდეგ - სიტყვებიდან მოქმედებაზე. ბოლო საფეხური, ალბათ, სიყვარულის სამინისტროში მოახვედრებდა. მან ეს მიიღო. დასაწყისი შეიცავდა დასასრულს. თუმცა ეს მაინც დამზაფვრელი იყო, უფრო ზუსტად - ეს სიკვდილის დაგემოვნებას ჰგავდა, ცოტათი უფრო ნაკლებ სიცოცხლეს. უკვე ო'ბრაიენთან საუბრისას, ამ ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვების გააზრების დროს სხეულში გამყინავმა ჟრჟოლამ დაუარა. ისეთი განცდა გაუჩნდა, თითქოს საფლავის სინესტეში შეაბიჯაო. და არც იმის გამო უგრძნია რაიმე შეღავათი, რომ ყოველთვის იცოდა: საფლავი მუდამ იქ იყო და მას ელოდა.

VII

უინსტონს ცრემლით სავსე თვალებით გამოეღვიძა. ჯულია ძილ-ბურანში გადმოგორდა მისკენ და რაღაც სიტყვები გამოცრა, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო „რა ხდება?“- დამესიზმრა... - დაიწყო უინსტონმა და მაშინვე გაჩუმდა: მეტისმეტად რთული სიზმარი იყო და გამოთქმა გაუჭირდებოდა. იყო თვით სიზმარი და იყო სიზმრის მოგონება, რომელიც თავში, გაღვიძებიდან რამდენიმე წამის შემდეგ დაუტრიალდა.

ჯერ კიდევ სიზმრის ველში მყოფი და თვალდახუჭული უინსტონი უკან გადაწვა. ეს იყო დიდი, სხივმოსილი სიზმარი, რომელშიც მთელი მისი ცხოვრება ისე გადაშლილიყო, როგორც ზაფხულის საღამოს ლანდშაფტი წვიმის შემდეგ. ეს ყველაფერი მინის პრესპაპიეში იყო მოქცეული, ოღონდ მინის ზედაპირის როლს აქ ცის გუმბათი ასრულებდა. გუმბათის ქვეშ ყველაფერი რბილ სინათლეს დაეტბორა და ხილვადობა უსასრულობამდე ივრცობოდა. სიზმრის არსი, გარკვეულწილად, გამოიხატებოდა დედამისის მკლავით, ამ მკლავით გამოხატული ჟესტით, რომელიც ოცდაათი წლის შემდეგ გაიმეორა უინსტონის მიერ ფილმში ნანახმა ებრაელმა ქალმა, მანამდე რომ ცდილობდა პატარა ბიჭის დაფარვას ტყვიებისგან, სანამ ორივენი ვერტმფრენის ტყვიამფრქვევმა დაფლითა.

- იცი, - თქვა უინსტონმა, - ამ მომენტამდე მეგონა, რომ დედაჩემი ჩემივე მოკლული იყო.

- რატომ მოკალი? - ჰკითხა თითქმის მძინარე ჯულიამ.

- არ მომიკლავს - ფიზიკურად.

სიზმრიდან დედის უკანასკნელი სახე გამოჰყვა, გაღვიძებისას კი მეხსიერებაში პატარ-პატარა ეპიზოდების მთელი ასხმულაც აღუდგა. ეს იყო მოგონება, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში საკუთარი ცნობიერებიდან უკუაგდებდა. ზუსტ თარიღს ვერ დაადგენდა, მაგრამ ათ წელზე ნაკლები ასაკის მაინც არ იქნებოდა, -იქნებ უკვე თორმეტისაც იყო, - როცა ეს ამბავი მოხდა.

მამა ცოტა ხნით ადრე გაქრა, არ ახსოვდა - მაინც რამდენით. უფრო უკეთ ახსოვდა ხმაურიანი, რთული ვითარება: დროდადრო გამეორებული პანიკა მოსალოდნელი საჰაერო თავდასხმების გამო და თავის შეფარება მეტროს სადგურებში, ყველგან -აკოკოლავებული ქვიშის ტომრები, ქუჩების კუთხეებში გაკრული განურჩეველი პროკლამაციები, ერთნაირ პერანგებში გამოწყობილი ახალგაზრდების ბანდები, უზარმაზარი რიგები პურის მაღაზიებთან, სადღაც შორს აკაკანებული ტყვიამფრქვევის ხმა და, უწინარეს ყოვლისა, ის ფაქტი, რომ არასოდეს ჰყოფნიდათ საჭმელი. ახსოვდა სხვა ბიჭებთან ერთად ნაგვის ყუთებთან და გროვებთან გატარებული ხანგრძლივი დღეები, კომბოსტოს ფოთლების შუაღერები, კარტოფილის ნაფცქვენები, ზოგჯერ - გამხმარი პურის ნაგლეჯებიც, რომლებსაც ფრთხილად აცლიდნენ ნაცარს. ახსოვდა, როგორ ელოდებოდნენ ეს ბავშვები ტრასაზე გამვლელ სატვირთო მანქანებს, რომლებსაც საქონლის საკვები მიჰქონდათ და ზოგჯერ ცუდად დაკერებულ ასფალტზე შეხტომა-შეჯანჯღარებისას ცოტაოდენი კოპტონი სცვიოდათ.

როდესაც მამა გაქრა, დედას არც გაოცება გამოუხატავს და არც განსაკუთრებულ მწუხარებაში ჩავარდნილა, მხოლოდ რაღაც უეცრად შეიცვალა - თითქოს უსულო საგნად იქცა. თვით პატარა უინსტონისთვისაც კი აშკარა იყო, რომ დედა რაღაც გარდაუვალს ელოდა. ყველაფერს აკეთებდა, რაც საჭირო იყო: საჭმელს ამზადებდა, რეცხავდა, კემსავდა, ლოგინს აგებდა, იატაკს გვიდა, ღუმელს წმენდდა. ამ ყველაფერს ძალიან ნელა აკეთებდა, ზედმეტი მოძრაობის გარეშე, როგორც არტისტის მანეკენი, მხოლოდ მისი პატრონის თანახმად რომ მოძრაობს. მისი დიდი, კარგი აღნაგობის სხეული თითქოს ბუნებრივად უბრუნდებოდა სრულ უძრაობას. საათობით იჯდა საწოლზე და უინსტონის პატარა დაიკოს არწევდა, - პაწია, ავადმყოფ, ჩუმ ბავშვს მაიმუნის მჭლე სახით. თვით უინსტონს ძალიან იშვიათად იყვანდა ხელში და ასეთ შემთხვევებში დიდხანს იკრავდა ხმისამოუღებლად. თავისი სიპატარავისა და ბავშვური ეგოისტურობის მიუხედავად, უინსტონმა იცოდა, რომ დედის ასეთი ქცევა რაღაცნაირად დაკავშირებული იყო იმ ამბავთან, მალე რომ უნდა მომხდარიყო.

ახსოვს ოთახი, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ: ბნელი, ჩახუთული ოთახი, რომლის ნახევარი თეთრსაფარგადაფარებულ საწოლს ეკავა. ბუხრის ცხაურის შიგნით იდგა გაზის ქურა, კედელთან - კარადა საჭმლისთვის, გარეთ კი, კიბის უჯრედში, რამდენიმე ოჯახის საერთო ტუალეტი. ახსოვს დედის ჩამოქნილი სხეული, გაზის ქურაზე დახრილი საჭმლის მოსარევად. პირველ ყოვლისა, ახსოვს თავისი გამუდმებული შიმშილი და ჭამის დროს გამართული წვრილმანი კინკლაობები. კიდევ და კიდევ ბუზღუნით ეკითხებოდა დედას, მეტი საჭმელი რატომ არა გვაქვსო; უყვიროდა და თავს ესხმოდა (თავისი ხმის ტონიც კი ახსოვს, გარდატეხის ასაკში მყოფი მოზარდის ხმა, ზოგჯერ სრულებით უცნაურად რომ

გაიჟღერებდა); ზოგჯერ კი ვითომ სინანულით აზლუქუნდებოდა და ამნაირად ცდილობდა კუთვნილზე მეტი ულუფის მიღებას. დედა მზად იყო, რომ „ბიჭს“ მეტი რგებოდა. მაგრამ რაც უნდა მიეცა, მისი ვაჟიშვილი კიდევ უფრო მეტს ითხოვდა. ყოველი სადილობისას სთხოვდა შვილს, ეგოისტურად ნუ იქცევი, შენი პატარა დაიკო ავადაა და მასაც სჭირდება ჭამაო. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოსდევდა. რისხვით აყვირდებოდა, როგორც კი დედა დასხმას წყვეტდა, ცდილობდა, ხელიდან გამოეგლიჯა ქვაბი და კოვზი ან დის თეფშიდან გადმოესხა თავისთვის. იცოდა, რომ ამით დასა და დედას აშიმშილებდა, მაგრამ საქმეს არც ეს შველოდა. ისეთი გრძნობაც კი ჰქონდა, ასე მოქცევის უფლება მაქვსო. მუცელში ატეხილი შიმშილი ასეთ საქციელს ამართლებდა. სადილსა და სადილს შორის, თუ დედა არ დარაჯობდა, უინსტონი გამუდმებით ქურდავდა საჭმლის კარადას.

ერთ დღესაც ხალხს შოკოლადის ულუფა დაურიგდა. უკანასკნელად ეს რამდენიმე კვირის თუ თვის წინ მოხდა. უინსტონს ნათლად ახსოვს შოკოლადის პატარა და ლამაზი ნატეხი. ორუნციანი ფილა ერგოთ სამივეს (იმხანად ჯერ კიდევ ახსენებდნენ უნციებს). ცხადი იყო - შოკოლადი სამ თანაბარ ნატეხად უნდა გაეყოთ. უცებ -თითქოს ვიღაც სხვა ადამიანის ხმა ჩაესმაო - უინსტონმა გაიგონა, როგორ ეუბნებოდა მისივე არსება, მთელი ფილა შენ უნდა აიღოო. დედამ შეახსენა, ნუ იმსუნაგებო. ამას მოჰყვა ხანგრძლივი კინკლაობა თავისი ყვირილით, კრუსუნით, ცრემლებით, გაპროტესტებით, შევაჭრებით. მისი პაწაწა დაიკო, ორივე ხელით დედაზე მოხვეული და მთლად მაიმუნს დამსგავსებული, თავის ძმას მხარზემოდან უცქერდა დიდი და მწუხარე თვალებით. ბოლოს დედამ შოკოლადი გატეხა, სამი მეოთხედი უინსტონს მისცა, დარჩენილი ერთი მეოთხედი კი მის დას. პატარა გოგონამ თავისი ნატეხი გამოართვა და ჩლუნგად დააშტერდა ზედ. ალბათ, არც იცოდა, რა გაუწოდეს. უინსტონმა ერთ წამს უყურა, შემდეგ ისკუპა, თავის დას შოკოლადი ხელიდან გამოსტაცა და კარისკენ გაქანდა.

- უინსტონ! უინსტონ! - ძახილი დაადევნა დედამ, - დაბრუნდი! შოკოლადი დაუბრუნე შენს დას!უინსტონი შეჩერდა, მაგრამ უკან არ დაბრუნებულა. დედის შეშფოთებული თვალები მას მისჩერებოდნენ. ამწუთასაც კი იმაზე ფიქრობდა, რაც უინსტონმა არ იცოდა და რაც უკვე ხდებოდა. ამასობაში დაიკო მიხვდა, რომ გაძარცვეს და მიკნავებული ხმით აღნავლდა. დედამ გოგონას ხელი მოხვია და სახით გულზე მიიკრა. უინსტონს ამ ჟესტმა რაღაცნაირად ამცნო, რომ მისი და კვდებოდა. ამ მომენტში ისევ შეტრიალდა და ხელში ჩაბღუჯული, უკვე დნობაშეპარული შოკოლადით კიბეზე დაეშვა.

ამის შემდეგ დედა აღარც უნახავს. როცა შოკოლადი შესანსლა, ცოტა არ იყოს, შერცხვა და რამდენიმე საათს ქუჩებში იხეტიალა, ვიდრე შიმშილმა კვლავ შინ არ მიიყვანა. დედა და დაიკო გამქრალიყვნენ. იმ დროს ეს უკვე აღარავის აკვირვებდა. ოთახიდან არაფერი დაკარგულიყო, დედისა და დის გარდა. არც ერთი სამოსი არ წაეღოთ, დედის პალტოც კი. უინსტონმა დღემდე არ იცოდა დარწმუნებით, მკვდარი იყო დედა თუ ცოცხალი. სრულებით დასაშვებია, რომ გაძლიერებული სამუშაოების ბანაკში გაეგზავნათ. რაც შეეხება დას, უინსტონის მსგავსად, ისიც შეიძლებოდა გადაეგზავნათ უსახლკარო ბავშვთა ერთ-ერთ კოლონიაში (მათ გამოსასწორებელ ცენტრებს უწოდებდნენ), სადაც ისინი

სამოქალაქო ომის შემდეგ იზრდებოდნენ. შესაძლოა, გოგონა დედასთან ერთად გადაგზავნეს შრომა-გასწორების ბანაკში ან, უბრალოდ, სადღაც დატოვეს და იქვე მოკვდა.

სიზმარი ისევ ცოცხლად ახსოვდა, განსაკუთრებით - ბავშვზე შემოხვეული მკლავი, რომელშიც თითქოს სიზმრის მთელი მნიშვნელობა იდო. უინსტონს გონებაში ორი თვის წინ ნანახი სხვა სიზმარიც ამოუტივტივდა. როგორც თეთრგადასაფარებლიან გაზინთულ საწოლზე იჯდა ბავშვჩახუტებული, ზუსტად ასევე ბავშვიანად იძირებოდა დედა უფრო და უფრო ღრმად, თუმცა წყლის თანდათან უფრო შესქელებული მასიდან მაინც უინსტონს ამოჰყურებდა.

დედის გაქრობის ამბავი ჯულიას უამბო. ისიც თვალების გაუხელლად გადაგორდა და უფრო მოხერხებული პოზიცია დაიკავა.

- ბავშვობაში ერთი გაუმაძღარი ღორი იქნებოდი, - წარმოთქვა ბოლოს, - ყველა ბავშვი ღორია.

- ჰო, მაგრამ ამ ამბავში მთავარი...

მაგრამ სუნთქვაზე ჯულიას შეეტყო, რომ ისევ იძინებდა. არადა, უინსტონს კვლავ დედაზე ლაპარაკი სურდა. იქიდან გამომდინარე, რაც მეხსიერებაში შემორჩა, არ მიიჩნევდა, რომ დედა განსაკუთრებული ქალი იყო ან, მით უმეტეს, მაღალგონიერი. და მაინც, მას ჰქონდა რაღაც კეთილშობილება, სიწმინდე, თუნდაც იმიტომ, რომ მისი სტანდარტები კერძო სტანდარტები იყო. მისი გრძნობებიც საკუთარი გრძნობები იყო და გარედან ვერ შეცვლიდა. მისთვის ქმედების უშედეგობა მის უაზრობას არ უდრიდა. თუ ვინმე გიყვარდა, მაშინ გიყვარდა და, თუ არაფერი გქონდა მისთვის მისაცემი, სიყვარულს მაინც აძლევდი. როცა შოკოლადის ბოლო ნატეხიც აღარ იყო, დედამ თავის გოგონას მკლავები შემოხვია. ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა, ეს ვერაფერს შეცვლიდა, ვერც შოკოლადს გააჩენდა, ვერც ბავშვს და ვერც თვით მას აარიდებდა სიკვდილს, მაგრამ ასეთი საქციელი ბუნებრივად უჩანდა. ნავში მყოფი ლტოლვილი ქალიც მკლავით იფარავდა ბიჭს, თუმცა ტყვიებისთვის ეს მკლავი არაფრით განსხვავდებოდა სიფრიფანა ქაღალდისგან. პარტიის მიერ ჩადენილი საშინელება იმაში მდგომარეობდა, რომ გარწმუნებდა - უშუალო იმპულსები და გრძნობები არაფერს ნიშნავსო და, თანაც, მთლიანად გართმევდა ყოველგვარ მეუფებას მატერიალურ სამყაროზე. მის მარწუხებში ერთხელ მოხვედრილისთვის არანაირი განსხვავება აღარ იყო, გიგრძნია თუ არ გიგრძნია რამე, გიქნია თუ თავი შეგიკავებია. რაც უნდა მომხდარიყო - ქრებოდი. არასოდეს მოგიგონებდა ვინმე, არც შენ და არც შენს მოქმედებებს. პირწმინდად იშლებოდი ისტორიიდან. ორი თაობის წინ ეს ამბავი არცთუ მეტისმეტად მნიშვნელოვნად მოეჩვენებოდათ, რადგან მაშინ ისტორიის შეცვლას არავინ ცდილობდა. იმ დროს ადამიანებს კერძო ლოიალობა მართავდა და ისინიც კითხვებს არ სვამდნენ. მთავარი იყო ინდივიდუალური ურთიერთობები. მომაკვდავის მიმართ განხორციელებული რაიმე სრულებით უსარგებლო ჟესტი - ცრემლი, სიტყვა, გულში ჩაკვრა - თავისთავად ღირებული რამ იყო. პროლები დღემდე ამავე მდგომარეობაში არიანო, გაუელვა უინსტონს. ისინი არც პარტიის ერთგულები არიან, არც სამშობლოსი, არც იდეის, - მხოლოდ ერთმანეთის. ცხოვრებაში პირველად შეხვდა პროლებს უზიზღოდ. აღარც იმ ინერტულ ძალად მიუჩნევია, ერთ დღესაც რომ

იფეთქებდა და ქვეყანას აღადგენდა. პროლები ადამიანებად დარჩნენ, შინაგანად არ გაქვავებულან, ისევ იმ პრიმიტიული ემოციებით ცხოვრობდნენ, რომლებიც უინსტონს თავიდან ჰქონდა სასწავლი თავისი გაცნობიერებული ძალისხმევით. ამ ფიქრში იყო, რომ რაიმე თვალსაჩინო პარალელის გარეშე გაახსენდა, როგორ წაჰკრა ფეხი და როგორ ჩააგდო არხში ქვაფენილზე დაგდებული მოგლეჯილი ხელის მტევანი ამ რამდენიმე კვირის წინ.

- პროლები ადამიანები არიან, ჩვენ - არა, - წარმოთქვა ხმამაღლა.

- რატომ? - იკითხა კვლავ გაღვიძებულმა ჯულიამ.

უინსტონი ცოტა ხნით ჩაფიქრდა.

- ოდესმე თუ მოგსვლია აზრად, რომ საუკეთესო, რაც შეგვეძლო გაგვეკეთებინა, ვიდრე მეტისმეტად არ დაგვიანებულა, ესაა ჩვენი აქედან წასვლა და სამუდამო დამშვიდობება ერთმანეთთან?- ჰო, ძვირფასო, რამდენჯერმე მომივიდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ მოვიქცევი ეგრე.

- ჩვენ გაგვიმართლა, - თქვა უინსტონმა, - მაგრამ ეს დიდხანს ვერ გასტანს. შენ ახალგაზრდა ხარ, კარგად და უმანკოდ გამოიყურები. ჩემნაირ ხალხს თუ მოერიდები, შეიძლება ორმოცდაათ წელს კიდევ იცოცხლო.

- არა, ნაფიქრი მაქვს მაგ ყველაფერზე. სადაც შენ იქნები, მეც იქვე ვიქნები. და მეტისმეტადაც ნუ იდარდებ. მაინც ვიცოცხლებ.

- ჩვენ შეიძლება ვიცოცხლოთ კიდევ ექვსი თვე, იქნებ ერთი წელიც, ამას ვერავინ იტყვის. ბოლოს უეჭველად დავშორდებით. გესმის თუ არა, რა უკიდურეს სიმარტოვეს ვიგრძნობთ მაშინ, როცა აგვიყვანენ და აბსოლუტურად ვერაფრით დავეხმარებით ერთმანეთს, აბსოლუტურად ვერაფრით? თუ ყველაფერს ვაღიარებ, შენ დაგხვრეტენ, თუ არ ვაღიარებ, მაინც დაგხვრეტენ. რაც უნდა მოვიმოქმედო საქმით, სიტყვით თუ უსიტყვობით, ხუთი წუთითაც კი ვერ გადავადებინებ შენს სიკვდილს. არც ერთ ჩვენგანს არ ეცოდინება, რა დაემართა მეორეს. სრულებით ვერაფერს ვიზამთ. მთავარი ისაა, რომ ერთმანეთს არ ვუღალატოთ, თუნდაც ამან სრულებით არაფერი შეცვალოს.

- თუ აღსარებას გულისხმობ, ჩვენ ამას ყველა სხვასავით ვიზამთ. სხვანაირად ვერ მოიქცევი, როცა გაწამებენ. - აღსარებას არ ვგულისხმობ: აღსარება ღალატი არ არის. მნიშვნელობა არა აქვს, რას ამბობ ან რას აკეთებ, მთავარია - რას გრძნობ. რომ შესძლებოდათ და ჩემთვის შენი თავი გადაეყვარებინათ, აი, ეს იქნებოდა ნამდვილი ღალატი.

ჯულია დაფიქრდა.

- ამას ვერ იზამენ, - თქვა ბოლოს, - ეს ერთადერთი რამეა, რასაც ისინი ვერ შვრებიან. ყველაფერს გათქმევინებენ, ყველაფერს, მაგრამ ვერ დაგაჯერებენ. შენში ვერ შემოვლენ.

- ვერა, - თქვა უინსტონმა ოდნავ მეტი იმედით, - ვერ შემოვლენ, ეს ნამდვილად

ასეა. შენში ვერ შემოვლენ. როცა გრძნობ, რომ ნამდვილად ღირს ადამიანად დარჩენა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს არავითარ შედეგს არ იძლევა, მაშინ ისინი დამარცხებული გყავს.

უინსტონს ტელეეკრანი და მისი უძინარი თვალი გაახსენდა. შეეძლოთ დღე და ღამე ეთვალთვალათ შენთვის, მაგრამ თუ თავდაჭერილად მოიქცეოდი, ჭკუაში აჯობებდი. მთელი თავისი სიჭკვიანის მიუხედავად, ვერასოდეს მოახერხეს იმის გაგება, რას ფიქრობდა მეორე ადამიანი. თუმცა, შესაძლოა, მთლად ასეც არ იყო: არავინ იცოდა, რა ხდებოდა სიყვარულის სამინისტროში. ისე, შეიძლებოდა მიხვედრილიყავი: წამება, აბები, ადამიანის ნერვული რეაქციების დამაფიქსირებელი დელიკატური ხელსაწყოები, ქანცის თანდათანობით გაწყვეტა უძილობით, მარტოობითა და გამუდმებული დაკითხვით. ფაქტებს - როგორიც უნდა ყოფილიყო - ვერ დამალავდი. ზოგს დაკითხვით ჩაიწერდნენ, ზოგს წამებით გამოგწურავდნენ. მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, თუ მიზანი სიკვდილისგან დასხლტომა კი არ იყო, არამედ ადამიანად დარჩენა? გრძნობებს ვერ შეგიცვლიდნენ. სხვათა შორის, გრძნობებს შენ თვითონაც ვერ შეიცვლიდი, რომც მოგენდომებინა. შეეძლოთ სააშკარაოზე გამოეტანათ ყველაფერი, რაც გიქნია, გითქვამს ან გიფიქრია, მაგრამ თვით შენთვისვე იდუმალებით მოცული შენი გულის წიაღი ხელშეუხებელი რჩებოდა.

VIII

მათ ეს ნაბიჯი გადადგეს! ბოლოს და ბოლოს, ეს ნაბიჯი გადადგეს!ჯულია და უინსტონი წაგრძელებული ფორმის რბილად განათებულ ოთახში იდგნენ. ხმაჩაწეული ეკრანიდან ჩურჩულიღა ისმოდა. მუქლურჯი ხალიჩის მდიდრული იერი ხავერდზე სიარულის შთაბეჭდილებას ახდენდა. ოთახის შორეულ ბოლოში მწვანეაბაჟურიანი ლამპით განათებულ, ორივე მხარეს სვეტებად დახვავებულ ქაღალდებიან მაგიდას ო’ბრაიენი უჯდა. თავი არც აუწევია, როცა მსახურმა ჯულიასა და უინსტონზე მიუთითა.

ამ უკანასკნელს გული ისე უცემდა, რომ ეჭვობდა, შეიძლება ხმაც ვერ ამოვიღოო. „ჩვენ ეს ნაბიჯი გადავდგით. ბოლოს და ბოლოს, ეს ნაბიჯი გადავდგით!“ - აი, ყველაფერი, რისი ფიქრიც ძალუძდა. აქ მოსვლა თავზე ხელაღებული საქციელი იყო, ერთად მოსვლა კი - სრული სიგიჟე, თუმცა სულ სხვადასხვა გზით მოვიდნენ და ზედ ო’ბრაიენის კართან შეხვდნენ ერთმანეთს. მაგრამ ასეთ ადგილას მოსვლა, თავისთავად, უკვე შინაგან ძალისხმევას ითხოვდა. ძალზე იშვიათად ხდებოდა, რომ ჩვეულებრივ ადამიანს შიგნიდან ენახა შინაგანი პარტიის საბინადრო ან თუნდაც ქალაქის იმ უბანში მოხვედრილიყო, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. დამზაფვრელი იყო მთელი ეს ატმოსფერო: საცხოვრებელი ბინების უზარმაზარი ბლოკი, ყოველივეს მდიდრულობა და ფართოდ განფენილობა, კარგი საკვებისა და კარგი თამბაქოს უჩვეულო სურნელი, ზემოთ-ქვემოთ უხმოდ და უსწრაფესად მოსრიალე ლიფტები, წინ და უკან აჩქარებით მოსიარულე მსახურები... მიუხედავად იმისა, რომ უინსტონი აქ კარგმა საბაბმა მოიყვანა, მაინც ყოველ ნაბიჯზე ელეთმელეთი მოსდიოდა, აი, ახლა გამოჩნდება დერეფნის კუთხიდან შავით მოსილი მცველი, საბუთებს მომთხოვს და აქაურობის დატოვებას მიბრძანებსო. თუმცა ო’ბრაიენის მსახურმა ორივე უყოყმანოდ შეუშვა. ეს იყო თეთრებში ჩაცმული პატარა, შავთმიანი კაცი აგურის

მოყვანილობის სრულებით უგრძნობელი სახით, რომელიც შეიძლებოდა ჩინელისა ყოფილიყო. ეს კაცი მათ წაუძღვა ქვემოთ ჩამავალი გასასვლელით, რომლის იატაკზე რბილი ნოხი ეფინა, კედლები კი კრემისფერ ქაღალდს და თეთრი ხის პანელებს დაეფარა. ყველაფერს ქათქათი გასდიოდა და ესეც დამზაფვრელი იყო. უინსტონი ვერ იხსენებდა დერეფანს, რომლის კედლები ადამიანთა სხეულების ხახუნით გაუქონავი ყოფილიყოს.

ო'ბრაიენს ხელში ქაღალდის ზოლი ეჭირა და თითქოს გულდასმით ათვალიერებდა. ფურცელზე დახრილი მისი მძიმე სახე ერთდროულად საშინელიც იყო და გონიერიც. დაახლოებით ოცი წამის მანძილზე ო'ბრაიენი არ განძრეულა. შემდეგ ხმისმწერი სახესთან მოიწია და სამინისტროების ნარევი ჟარგონით ტექსტი უკარნახა: „პუნქტები ერთი მძიმე ხუთი მძიმე შვიდი დადასტურებული მთლიანად პაუზა მინიშნება შეიცავდა მეექვსე პუნქტს ორმაგპლუს სასაცილო მიახლოება აზრკრიმინალთან გაუქმდეს პაუზა არგაგრ-ძელდეს კონსტრუქციულად ანტიმიღება პლუსხარჯთაღრიცხვების ზედა მოწყობილობების პაუზა წერილის დასასრული".

ო'ბრაიენი დინჯად წამოდგა და უხმაურო ხალიჩაზე მათკენ გამოაბიჯა. ახალმეტყველების სიტყვებთან ერთად თითქოს ცოტაოდენი ოფიციალური იერიც ჩამოშორდა, მაგრამ სახე მაინც ჩვეულებრივზე უფრო მკაცრი ჰქონდა, თითქოს უკმაყოფილო იყო, რომ შეაწუხეს. უინსტონს ძრწოლა მომენტალურად შეეცვალა ჩვეულებრივი დაბნეულობის განწყობით. სავსებით შესაძლებლად მოეჩვენა, რომ ბრიყვული შეცდომა მოუვიდა. რა ხელჩასაჭიდი მიზეზი ჰქონდა იმის საფიქრებლად, რომ ო'ბრაიენი რომელიმე ჯურის პოლიტიკური შეთქმული იყო? - მხოლოდ მზერაში გამკრთალი სხივი და ერთადერთი ორაზროვანი შენიშვნა. ამის გარდა კი, მხოლოდ თვით უინსტონის ოცნებაზე დამყარებული საიდუმლო წარმოსახვები. ამჯერად ძველ საბაბსაც ვერ მოიმიზეზებდა - ლექსიკონის სათხოვნელად მოვედიო, რადგან ეს ვერანაირად ვერ ხსნიდა ჯულიას მოსვლასაც. როცა ო'ბრაიენმა თავისი ოთახის ეკრანს ჩაუარა, თითქოს გონება მოულოდნელმა აზრმა გაუნათა: უცებ შედგა და გამომრთველს თითი მიაჭირა. გაისმა მკვეთრი ტკაცუნი და ხმა შეწყდა.

ჯულიას რაღაც ბგერა წამოსცდა, თითქოს გაოცებისგან შეჰკივლაო. შუა პანიკაში ყოფნის მიუხედავად, უინსტონიც მეტისმეტად გაოგნდა და თავი ვერც იმან შეიკავა: -თქვენ ამის გამორთვა შეგიძლიათ!- ჰო, შეგვიძლია, - თქვა ო'ბრაიენმა, - ჩვენ გვაქვს ეს პრივილეგია.

ახლა ის მათ წინ იდგა. მისი მასიური სხეული თავისი უწინდებურად გაუშიფრავი სახით ზემოდან დაჰყურებდა ორ სტუმარს. რაღაცნაირად კოპებშეკრული ელოდა, როდის დაიწყებდა უინსტონი ლაპარაკს. მაგრამ ლაპარაკს რაზე? ახლაც კი სავარაუდო იყო, რომ ეს საქმიანი ადამიანი გაღიზიანებული ელოდა იმის განმარტებას, თუ რისთვის შეაწყვეტინეს მუშაობა. ხმას არავინ იღებდა. ეკრანის გაჩუმების შემდეგ ოთახში სამარისებური სიჩუმე იდგა. წამები მძიმედ იმარცვლებოდნენ. უინსტონი გაჭირვებით უსწორებდა თვალს ო'ბრაიენს. შემდეგ კი, უეცრად, პირქუში სახე ნელა გადავიდა იმაში, რაც შეიძლებოდა ღიმილის დასაწყისად მიჩნეულიყო. მისთვის ნიშნეული ჟესტით ო'ბრაიენმა ცხვირზე სათვალე შეისწორა: - მე ვთქვა თუ თქვენ იტყვით?- მე ვიტყვი, - მაშინვე მიუგო

უინსტონმა და ეკრანზე ანიშნა: - მართლა გამორთულია?- ჰო, ყველაფერი გამორთულია, ჩვენ მარტონი ვართ.

- აქ იმიტომ მოვედით, რომ...

უინსტონი შეჩერდა, რადგან ახლაღა დააფიქსირა საკუთარი მოტივების ბუნდოვანება. რაკი, არსებითად, თვითონვე არ იცოდა, რა სახის დახმარებას ელოდა ო'ბრაიენისგან, ამდენად, იოლი არ იყო გამოეთქვა, რისთვის მოვიდა აქ. ბოლოს განაგრძო იმის გაცნობიერებით, რომ, ერთდროულად, სუსტადაც ლაპარაკობდა და პრეტენზიულადაც: - ჩვენ გვჯერა, რომ არსებობს რაღაც შეთქმულება, რაღაც საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც უპირისპირდება პარტიას და რომლის წევრი თქვენც ხართ. ჩვენ გვინდა შემოგიერთდეთ და თქვენთან ერთად ვიმუშაოთ. ჩვენ პარტიის მტრები ვართ. ჩვენ არ გვჯერა ინგსოცის პრინციპების. ჩვენ აზრკრიმინალები ვართ, ისევე, როგორც საქორწინო სარეცლის შემბღალავები. მე ამას გეუბნებით, რადგან ჩვენ გვსურს ნებაყოფლობით ჩაგბარდეთ. თუ ისურვებთ, რომ კიდევ სხვაგვარადაც დავიდანაშაულოთ თავი, ჩვენ ამისთვის მზად ვართ.

უინსტონი გაჩუმდა და მხარს უკან გაიხედა იმ გრძნობით, რომ კარი ღია იყო. მართლაც, ოთახში დაუკაკუნებლად შემოვიდა ჩია ყვითელსახიანი მსახური, რომელსაც გრაფინი და ჭიქები მოჰქონდა.

- მარტინი ერთი ჩვენგანია, - თქვა ო'ბრაიენმა უემოციოდ, - სასმელი აქ მოიტანე, მარტინ. მრგვალ მაგიდაზე დადგი. სკამები გვყოფნის? მაშინ უფრო მოხერხებულად მოვეწყოთ და ისე ვილაპარაკოთ. სკამი შენთვისაც მოიტანე, მარტინ. საქმეზე გვაქვს სალაპარაკო. მომდევნო ათი წუთის განმავლობაში მსახური აღარ იქნები.

ჩია კაცი საკმაოდ თავისუფლად დაჯდა, თუმცა მაინც არ დაუკარგავს მსახურის იერი, - იმ მოსამსახურის, მიცემულ პრივილეგიას რომ შეხარის. უინსტონი მას თვალის კუთხით უყურებდა. თავზარი დასცა იმის წარმოდგენამ, რომ ამ კაცის მთელი ცხოვრება როლის თამაში იყო და სახიფათოდ მიაჩნდა ამ როლიდან გასვლა თუნდ ერთი წამით. ო'ბრაიენმა გრაფინი აიღო და ჭიქები მუქწითელი სითხით შეავსო. ამან უინსტონს ბუნდოვანი მოგონებები აღუძრა: გაახსენდა რაღაც კედელი თუ მესერი ზედ გამოსახული ელექტრონის ვეება ბოთლით, რომლის შემადგენელი სინათლის წერტილები ისე ადი-ჩამოდიოდნენ, თითქოს ბოთლში მდგარ სითხეს ჭიქაში ცლიდნენ. ზემოდან სითხე თითქმის შავი ჩანდა, მაგრამ გრაფინში ლალისფრად ელვარებდა და მოტკბო-მომჟავო სუნი უდიოდა. ჯულიამ თავისი ჭიქა აიღო და გულწრფელი ცნობისმოყვარეობით დაყნოსა. - ამ სითხეს ღვინო ჰქვია, - თქვა ო'ბრაიენმა მსუბუქი ღიმილით, - წიგნებში მაინც გექნებათ წაკითხული. ვშიშობ, გარე პარტიის წევრებს ბევრი არ მისდით.

ო'ბრაიენს სახეზე კვლავ სერიოზული გამომეტყველება აღებეჭდა და თავისი ჭიქა ასწია: - მე მგონი, ჯანმრთელობა უნდა ვუსურვოთ ჩვენს ლიდერს, ემანუელ გოლდსტეინს.

უინსტონი თავის ჭიქას ერთგვარი მგზნებარებითაც კი დასწვდა. ღვინის შესახებ წაეკითხა და მასზე ოცნებობდა კიდეც. მინის პრესპაპიესი თუ მისტერ

ჩარინგტონის ნახევრად გახსენებული ლექსებისა არ იყოს, ღვინოც აწ გამქრალ, რომანტიკულ წარსულს ეკუთვნოდა, „ძველ დროებას“, როგორც უინსტონი უწოდებდა ფიქრებში. რატომღაც ყოველთვის ფიქრობდა, ღვინო მაყვლის ჯემივით მეტისმეტად ტკბილი და სწრაფმათრობელააო. სინამდვილეში კი, ერთბაშად გადაკრულმა სითხემ იმედი გაუცრუა. არსებითად, ამდენი წლის მანძილზე ჯინის სმის შემდეგ ღვინის დაგემოვნება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. უინსტონმა ჭიქა ისევ მაგიდაზე დადგა: -ესე იგი, არსებობს გოლდსტეინად წოდებული პიროვნება?- ჰო, არსებობს და თან ცოცხალია. თუმცა არ ვიცი, სად იმყოფება.

- და შეთქმულება, ანუ ორგანიზაცია? ესეც რეალურია და არა აზრის პოლიციის გამოგონილი?- არა, გამოგონილი არ არის. ჩვენ მას საძმოს ვეძახით. მის შესახებ ბევრს ვერაფერს გაიგებთ, გარდა იმისა, რომ არსებობს და რომ თქვენც მას ეკუთვნით. ამას კიდევ დავუბრუნდებით, - და ო’ბრაიენმა მაჯის საათს დახედა: - თვით შინაგანი პარტიის წევრებისთვისაც კი არაგონივრულია ტელეეკრანის გამორთვა ნახევარ საათზე მეტხანს. აქ ერთად ნუღარ მოხვალთ, აქედანაც ცალ-ცალკე წახვალთ. თქვენ პირველი წახვალთ, ამხანაგო, - მიმართა ჯულიას, - ოციოდე წუთი კიდევ გვაქვს. ალბათ, გასაგებია, რომ თქვენთან შეკითხვები მექნება. საერთოდ, რას აპირებთ?- ყველაფერს, რასაც შევძლებთ. - თქვა უინსტონმა.

ო’ბრაიენი თავის სკამზე ოდნავ შემოტრიალდა და უინსტონს პირდაპირ მიაჩერდა. ჯულიას თითქმის ვერც ამჩნევდა, რაკი თავისთავად ცხად ამბად მიაჩნდა, რომ უინსტონი მის მაგივრადაც ლაპარაკობდა. ერთი წამით თვალებზე ქუთუთოები ჩამოეწია. შეკითხვების დასმასაც დაბალი, უემოციო ხმით მოჰყვა, თითქოს თავისებურ კატეხიზმოს კითხულობს და უმეტეს კითხვებზე პასუხიც წინდაწინ იცისო: - მზად ხართ თუ არა სიცოცხლე დათმოთ?- მზად ვარ.

- შეგიძლიათ თუ არა ჩაიდინოთ მკვლელობა?- შემიძლია.

- შეგიძლიათ თუ არა მოაწყოთ შანტაჟი, რომელიც გამოიწვევდა ასობით უდანაშაულო ადამიანის სიკვდილს?- შემიძლია. - უღალატებთ თუ არა საკუთარ ქვეყანას უცხო ქვეყნის ხელისუფლების სასარგებლოდ?- ვუღალატებ.

- მზად ხართ თუ არა იცრუოთ, მიჰყვეთ ყალბისმქნელობას, გახრწნათ ბავშვების გონება, დაარიგოთ მავნე ჩვეულების მიმნიჭებელი აბები, წაახალისოთ პროსტიტუცია, გაავრცელოთ ვენერიული დაავადებები, ანუ აკეთოთ ყველაფერი, რაც საზოგადოების დემორალიზაციას და პარტიის დაუძლურებას გამოიწვევს?- მზად ვარ.

- თუ, მაგალითად, ჩვენი ინტერესებისთვის რაღაც მიზეზით საჭირო გახდა ბავშვის სახეზე გოგირდმჟავას მისხმა, მზად ხართ, ეს მოიმოქმედოთ?- მზად ვარ.

- მზად ხართ, უარი თქვათ საკუთარ თავზე და მთელი დარჩენილი სიცოცხლე ოფიციანტად ან დოკის შავ მუშად გაატაროთ?- მზად ვარ.

- მზად ხართ თუ არა, ჩაიდინოთ თვითმკვლელობა, თუ ამას ჩვენ გიბრძანებთ?- მზად ვარ.

- მზად ხართ თუ არა, თქვენ ორნი, სამუდამოდ დაშორდეთ ერთმანეთს?- არა! - მოულოდნელად ჩაერთო ჯულია.

უინსტონს მოეჩვენა, რომ ბევრმა წუთმა ჩაიარა, ვიდრე ამ კითხვას უპასუხებდა. ერთი წამით თითქოს მეტყველების უნარიც კი წაერთვა. ენა უხმოდ უმოძრავებდა, ხან ერთი სიტყვის პირველ მარცვალს აყალიბებდა, ხან მეორის, კიდევ და კიდევ. სანამ საბოლოოდ წარმოთქვამდა, არ იცოდა, რომელი სიტყვის თქმას აპირებდა.

- არა, - თქვა ბოლოს.

- კარგია, რომ მითხარით, - თქვა ო'ბრაიენმა, - ჩვენ ყველაფერი უნდა ვიცოდეთ.

შემდეგ ჯულიასკენ შებრუნდა და რაღაცნაირად უფრო მეტყველი ხმით უთხრა: - გესმით თუ არა თქვენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადარჩება, ის შეიძლება სულ სხვა პიროვნებად იქცეს? შესაძლოა, ჩვენ იძულებული გავხდეთ სრულებით გადავუსხვაფეროთ სახე, მოძრაობები, ხელების მოყვანილობა, თმის ფერი, თვით ხმაც კი. თქვენც შეიძლება სხვად იქცეთ. ჩვენი ქირურგები გამოუცნობლობამდე ცვლიან ადამიანს. ზოგჯერ ეს აუცილებელი ხდება. ხანდახან კიდურსაც კი ვკვეთთ.

უინსტონმა ირიბი მზერით კვლავ მარტინის მონღოლურ სახეს შეხედა. არავითარი ნაიარევი არ ემჩნეოდა. ჯულია ოდნავ გაფითრებულიყო, ჭორფლი უკეთ დამჩნეოდა, მაგრამ მაინც თამამად შესცქეროდა ო'ბრაიენს. ბოლოს თანხმობის მსგავსი რაღაც ჩაიჩურჩულა.

- კარგი. ესე იგი, ყველაფერი გაირკვა. მაგიდაზე სიგარეტის ვერცხლისფერი კოლოფი იდო. სადღაც სხვაგან მყოფი სახით ო'ბრაიენმა კოლოფი სტუმრებისკენ მისწია. ერთი ღერი თვითონაც ამოიღო, ადგა და ოთახში ბოლთისცემას მოჰყვა, თითქოს ასე უკეთ აზროვნებსო. ძალიან კარგი სიგარეტი იყო, უჩვეულოდ მსხვილი. საოცრად აბრეშუმოვან ქაღალდში თამბაქო კარგად ჩაეტენათ. ო'ბრაიენმა ისევ საათზე დაიხედა: - გიჯობს შენს ბუფეტს დაუბრუნდე, მარტინ. თხუთმეტ წუთში ისევ ჩავრთავ; ვიდრე წახვიდოდე, კარგად დაიხსომე ამ ამხანაგების სახეები. შენ მათ ნახავ ხოლმე, მე კი შეიძლება ვეღარ ვნახო.

ზუსტად ისევე, როგორც შემოსვლისას, ჩია კაცის შავმა თვალებმა სტუმრების სახეებს დაურბინეს. ამ მზერას მეგობრულობის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. მხოლოდ მათ გარეგნობას იმახსოვრებდა, არანაირ პირად ინტერესს არ გრძნობდა ან არ ამჟღავნებდა. უინსტონს გაუელვა, იქნებ ამ სინთეტიკურ სახეს გამომეტყველების შეცვლა არც კი ძალუძსო. მარტინი ისე გავიდა და ისე მიიხურა კარი, არც ხმა ამოუღია და არც დამშვიდობების რაიმე ნიშანი მოუცია. ო'ბრაიენი ბოლთას სცემდა. ცალი ხელი ჯიბეში ედო, მეორით სიგარეტი ეჭირა.

- ალბათ, გესმით, რომ სიბნელეში მოგიწევთ ბრძოლა. თქვენ მუდამ სიბნელეში იქნებით. ბრძანებებს მიიღებთ და დაემორჩილებით, თუმცა არ გეცოდინებათ, რატომ. მოგვიანებით გამოგიგზავნით წიგნს, რომლიდანაც შეიტყობთ იმ საზოგადოების ბუნებას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ისევე, როგორც სტრატეგიას, რომლითაც ეს საზოგადოება უნდა დავანგრიოთ. წიგნის წაკითხვის შემდეგ თქვენ საძმოს ნამდვილ წევრებად იქცევით. მაგრამ ჩვენი ბრძოლის

მთავარ მიზნებსა და მოცემულ მომენტში განსახორციელებელ მოქმედებებს შორის არსებულ შუალედში თქვენ არასოდეს არაფერი გეცოდინებათ. მე გეუბნებით, რომ საძმო არსებობს, მაგრამ ვერაფერს გეტყვით იმაზე, ას წევრს ითვლის თუ ათ მილიონს. თქვენი პირადი ცოდნიდან გამომდინარე, თქვენ თორმეტ ადამიანსაც ვერ დაითვლით. სამი თუ ოთხი კონტაქტი გექნებათ, რომლებიც პერიოდულად განახლდება, როგორც კი მოცემული პარტნიორები გაქრებიან. ეს თქვენი პირველი კონტაქტია და ამიტომ უცვლელად შეგენახებათ. ბრძანება-მითითებებს უშუალოდ ჩემგან მიიღებთ. თუ აუცილებლად მივიჩნევთ, მარტინის მეშვეობით დაგიკავშირდებით. როცა, ბოლოს და ბოლოს, დაგიჭერენ, თქვენ აღსარებას იტყვით. ეს არ აგცდებათ. სააღსარებოდ კი ძალზე ცოტა რამ გექნებათ სათქმელი, ისიც - რაც არასოდეს ჩაგიდენიათ. ჩაშვებითაც ვერავის ჩაუშვებთ, რამდენიმე უმნიშვნელო პირის გარდა. ალბათ, მეც კი ვერ ჩამიშვებთ. იმ დროისთვის უკვე მკვდარი ვიქნები ან სახეს შევიცვლი და სხვა პირად ვიქცევი.

ო'ბრაიენმა რბილ ნოხზე ბოლთის ცემა განაგრძო. სხეულის მთელი სიზორბის მიუხედავად, მის მოძრაობებში აშკარად იყო რაღაც გრაცია, - ჯიბეში ხელის ჩაყოფის ან სიგარეტის მოწევის მომენტებშიც კი. ძალმოსილებაზე მეტად, მისგან ნდობა და ირონიადაკრული გამგებიანობა გამოსჭვიოდა. თუმცა მთელი თავისი სერიოზულობის მიუხედავად, ფანატიკოსისა არაფერი ეცხო. როცა მკვლელობაზე, თავის მოკვლაზე, ვენერიულ სნეულებაზე, მოკვეთილ კიდურებსა თუ შეცვლილ სახეებზე ლაპარაკობდა, სახეზე ირონიის სხივი დასთამაშებდა. როდესაც თქვა „ეს არ აგცდებათ", ამ დროს თითქოს მისი ხმა ამბობდა: „ეს ჩვენ გველის და აუცახცახებლად უნდა მოვიმოქმედოთ კიდეც. მაგრამ ეს ის არ არის, რასაც ჩვენ ვიზამდით, თუ კიდევ ეღირებოდა სიცოცხლე". უინსტონს ამ კაცის მიმართ აღფრთოვანების, თითქმის თაყვანისცემის ტალღა დაეძრა. ამ მომენტში გოლდსტეინის ბნელით მოცული პიროვნება სულ აღარ ახსოვდა. როდესაც უყურებდით ო'ბრაიენის ძალუმ მხარბეჭს და ტლანქნაკვთებიან სახეს, ესოდენ უშნოს და, იმავდროულად, ეგზომ ცივილიზებულს, შეუძლებლად გესახებოდათ მისი დამარცხება. თითქოს არ არსებობდა ხრიკი, რომელსაც ის ვერ გაუმკლავდებოდა, საფრთხე, რომელსაც ვერ გაითვალისწინებდა. ჯულიაც კი შთაბეჭდილების ქვეშ იყო. ვიდრე დაძაბულად უსმენდა, მისი მიტოვებული სიგარეტი თავისით ჩაიწვა. ო'ბრაიენი განაგრძობდა: -თქვენ გაგონილი გაქვთ ჭორები საძმოს შესახებ და, უეჭველია, ეს საძმო თავისებურად წარმოდგენილიც გაქვთ. ალბათ, წარმოგიდგენიათ შეთქმულთა მთელი არალეგალური არმია, რომლის წევრები სარდაფებში იკრიბებიან, გადასაცემ ინფორმაციას კედლებზე ფხაჭნიან, ერთმანეთს კოდური სიტყვებით ან ხელის საგანგებო მოძრაობებით ცნობენ. მსგავსი არაფერი არსებობს. საძმოს წევრები ვერანაირი ნიშნით ვერ ცნობენ ერთმანეთს და ნებისმიერი მათგანი მხოლოდ რამდენიმე სხვა წევრს თუ იცნობს. აზრის პოლიციას თვით გოლდსტეინიც რომ ჩავარდნოდა ხელში, ისიც კი ვერ მისცემდა საძმოს წევრთა სრულ სიას ან თუნდაც ისეთ ინფორმაციას, რომელიც პოლიციას ამ სიამდე მიიყვანდა. ასეთი სია არც არსებობს. საძმოს ვერ მოსპობ, რამდენადაც ეს არ არის ორგანიზაცია, ამ სიტყვის ჩვეულებრივი აზრით. მის წევრებს სხვა არაფერი აერთიანებს, გარდა იდეისა, რომელსაც ვერაფერი მოსპობს. ვერასოდეს ვერაფერს დაეყრდნობით, ამ იდეის გარდა. არც ამხანაგები გეყოლებათ და არც არავინ გაგამხნევებთ. როცა, ბოლოს და ბოლოს, დაგიჭერენ, ვერავინ დაგეხმარებათ. არასოდეს ვეხმარებით ჩვენს წევრებს. როცა სრულებით აუცილებელია, რომ ვიღაც გაჩუმდეს, ჩვენ ხანდახან ვახერხებთ და ციხის საკანში

მალულად ვუგზავნით სამართებელს. უნდა მიეჩვიოთ ცხოვრებას შედეგებისა და იმედის გარეშე. ერთხანს იმუშავებ, შემდეგ დაგაპატიმრებენ, აღსარებას იტყვი და მოკვდები. აი, შედეგები, რომლებსაც იხილავთ თქვენი ცხოვრების მანძილზე. ჩვენ მკვდრები ვართ. ჩვენი ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ მომავალშია, რომელშიც ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ, როგორც რამდენიმე პეშვი მტვერი და ძვლის რამდენიმე ნამსხვრევი. თუმცა არ ვიცით, რამდენად დაშორებულია ეს მომავალი. შესაძლოა, ათასი წლის მერე დადგეს. დღეს კი სხვას ვერაფერს ვიზამთ, გარდა იმისა, რომ ნელ-ნელა გავაფართოოთ საღი აზრის არეალი. კოლექტიურად ვერ ვიმოქმედებთ, მხოლოდ ადამიანიდან ადამიანამდე, თაობიდან თაობამდე თუ განვავრცობთ ჩვენს ცოდნას. აზრის პოლიციის არსებობის პირობებში სხვა გზა არ გვრჩება.

ო’ბრაიენი შეჩერდა და მესამედ დაიხედა საათზე.

- თქვენი წასვლის დროა, ამხანაგო, - მიმართა ჯულიას, - მოიცადეთ, გრაფინი ნახევრამდე სავსეა.

ო’ბრაიენმა ჭიქები შეავსო და თავისი ჭიქა აიღო.

- ამჯერად რისი სადღეგრძელო შევსვათ? - წარმოთქვა ისევ იმ მსუბუქი ირონიით, -აზრის პოლიციის დაშლის? დიდი ძმის სიკვდილის? ადამიანობის? მომავლის?- წარსულის, - თქვა უინსტონმა.

- წარსული უფრო მნიშვნელოვანია, - სერიოზულად დაეთანხმა ო’ბრაიენი. სამივემ თავ-თავისი ჭიქა გამოცალა და წამის შემდეგ ჯულია წასასვლელად წამოდგა. ო’ბრაიენმა თავისი კარადიდან პატარა უჯრა გამოსწია და ჯულიას ბრტყელი თეთრი აბი მიაწოდა - ენაზე დაიდე, აქედან ღვინის ოხშივრით გასვლა დაუშვებელია, ლიფტის მეთვალყურენი ხალხს დაკვირვებით ათვალიერებენო. როგორც კი ჯულიამ კარი გაიხურა, ო’ბრაიენს თითქოს მისი არსებობაც კი დაავიწყდა. კიდევ ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა: - რაღაც დეტალები უნდა დავაზუსტოთ. ვფიქრობ, სადმე სამალავი გექნებათ.

მისტერ ჩარინგტონის მაღაზიის თავზე გვაქვსო, აუხსნა უინსტონმა.

- ჯერ ეგრე იყოს, შემდეგ სხვა ადგილს გამოგიძებნით. სამალავები ხშირ-ხშირად უნდა შეიცვალოთ. მანამდე კი - შეძლებისდაგვარად მალე - იმ წიგნის ასლს გამოგიგზავნით (სიტყვა „წიგნი“, როგორც უინსტონმა შენიშნა, თვით ო’ბრაიენმაც თითქოს ერთიმეორეზე დაფერდებით მიწყობილი ასოებით წარმოთქვა). ალბათ, გამიგეთ: გოლდსტეინის წიგნს ვგულისხმობ. მგონი, რამდენიმე დღეში მექნება. როგორც თავადვე ხვდებით, ბევრი ეგზემპლარი არც არის.აზრის პოლიცია მუდმივად უთვალთვალებს და თითქმის ისეთივე სისწრაფით ანადგურებს, როგორითაც ჩვენ ვბეჭდავთ. ეს ბევრს არაფერს ნიშნავს: წიგნს ვერაფერი მოსპობს. უკანასკნელი ეგზემპლარიც რომ გაქრეს, თითქმის სიტყვასიტყვით აღვადგენთ. ჩანთა თუ დაგაქვთ სამსახურში სიარულის დროს?- როგორც წესი, დამაქვს.

- როგორი ჩანთაა?- შავი, ძალიან გაცვეთილი, ორი სარტყლით.

- შავი, ორი სარტყელი, ძალიან გაცვეთილი... კეთილი. სულ ახლო მომავალში - ზუსტ თარიღს ვერ ვიტყვი - თქვენი დილის სამუშაოს ერთ-ერთ წერილში არასწორად დაბეჭდილი სიტყვა შეგხვდებათ და ამ სიტყვის გამეორებას მოითხოვთ. მომდევნო დღეს სამსახურში უჩანთოდ წახვალთ. დღის რომელიღაც მონაკვეთში, სადმე ქუჩაში, კაცი შეგეხებათ მხარზე და გეტყვით: „მგონი, ჩანთა დაგივარდათ“. მის მიერ მოცემულ ჩანთაში იდება გოლდსტეინის წიგნი, რომელსაც თოთხმეტი დღის განმავლობაში დააბრუნებთ.

ერთი წუთით ორივე დადუმდა.

- თქვენს წასვლამდე ორიოდე წუთი დარჩა, - თქვა ო’ბრაიენმა, - ჩვენ კვლავ შევხვდებით, თუკი საერთოდ შევხვდებით...

უინსტონმა ქვემოდან ახედა: - იქ, სადაც სიბნელე არ არის? - წარმოთქვა ყოყმანით.

ო’ბრაიენმა ისე დაუკრა თავი, რომ არავითარი გაოცება არ დასტყობია.

- იქ, სადაც სიბნელე არ არის, - წარმოთქვა ისე, თითქოს ალუზია იცნოო, - ახლა კი, ვიდრე წახვიდოდეთ, რამის თქმა ხომ არ გსურთ? რამის შეტყობინება? რაიმე კითხვის დასმა?უინსტონი ჩაფიქრდა. თითქოს მეტი კითხვა არ ჰქონდა. კიდევ უფრო ნაკლები სურვილი ჰქონდა, გამოეთქვა რაღაც მაღალფარდოვანი განზოგადებები. უცებ უშუალოდ ო’ბრაიენთან ან საძმოსთან დაკავშირებული საგნების ნაცვლად წარმოუდგა ვიზუალური კომპოზიტი, რომელშიც შედიოდა რამდენიმე სურათი: ბნელი საძინებელი, სადაც დედამისმა უკანასკნელი დღეები გაატარა, პატარა ოთახი მისტერ ჩარინგტონის მაღაზიის თავზე, მინის პრესპაპიე და ლითონის გრავიურა ვარდისფერი ხის ჩარჩოთი. უცებ უნებლიეთ წარმოთქვა: - გსმენიათ ოდესმე ძველი ლექსი: „ლიმონები და ფორთოხალები“, - წმინდა კლიმენტის რეკენ ზარები?ო’ბრაიენმა კვლავ თავი დააქნია და ერთგვარი სერიოზული თავაზიანობით დაასრულა: „ლიმონები და ფორთოხალები“, - წმინდა კლიმენტის რეკენ ზარები, „შენ ჩემი გმართებს სამი ფარტინგი“, - რეკენ ზარები წმინდამარტინის, „როდის უბრუნებ? როდის უბრუნებ?“ - ძველი ბეილის ზარიბუბუნებს, „როს გავმდიდრდები... როს გავმდიდრდები...“, - ისმის შორდიჩისზართა რიტმები.

- ბოლო სტრიქონი იცოდით! - შესძახა უინსტონმა.

- ჰო, ვიცოდი. ახლა კი, ვშიშობ, თქვენი წასვლის დროა. თუმცა მოიცათ. ნება მიბოძეთ, ერთი აბი თქვენც მოგცეთ.

ფეხზე წამომდგარ უინსტონს ო’ბრაიენმა ხელი გაუწოდა. ჩამორთმევისას უინსტონის ხელის ძვლებს ლაწალუწი აუტყდა. კართან მისულმა უინსტონმა უკან მოიხედა, მაგრამ ო’ბრაიენი, როგორც ჩანს, მას უკვე ივიწყებდა. ხელი ტელეეკრანის ჩამრთველზე მიედო და იცდიდა. მის მიღმა უინსტონს შეეძლო დაენახა მწვანეაბაჟურიანი ლამპა, ხმისმწერი და ქაღალდებით სავსე მავთულის კალათები. შეხვედრა დამთავრდა. უინსტონს გაუელვა: ოცდაათ წამში ო’ბრაიენი ისევ ამ ვიზიტის გამო შეწყვეტილ, პარტიის ინტერესებისთვის წარმოებულ სამუშაოში ჩაეფლობაო.

IX

დაღლილობისგან უინსტონი ჟელედ ქცეულიყო. ჟელე მართლაც შესაფერისი სიტყვაა. უნებურად მოუვიდა თავში. მისი სხეული ჟელეს არა მხოლოდ სირბილით დამსგავსებოდა, არამედ გამჭვირვალობითაც. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, მზეზე რომ გავხედო, ხელებში სინათლე გამივლისო. უმძიმეს შრომას მისი ორგანიზმიდან მთელი სისხლი და ლიმფა ამოეშრო, დაეტოვა მხოლოდ ნერვების მყიფე ხლართი, ძვლები და კანი. შეგრძნებები მეტისმეტად გამძაფრებოდა. უნიფორმა მხრებს უხეხავდა, ქვაფენილი - ტერფებს, ხელის გაშლა-მოღუნვაც კი სახსრებს უჭრიალებდა.

ხუთ დღეში ოთხმოცდაათი საათი იმუშავა. ისევე, როგორც სამინისტროს ყველა სხვა მუშაკმა. ამჯერად ყველაფერი დამთავრებული იყო და ხვალ დილამდე, არსებითად, საქმე აღარაფერი ჰქონდა, პარტიის არავითარი საქმე. შეეძლო ექვსი საათი სამალავში გაეტარებინა, ცხრა კი საკუთარ საწოლში. შუადღის საამური მზის ქვეშ მისტერ ჩარინგტონისკენ მიმავალ ჭუჭყიან ქუჩას მიუყვებოდა და ცალი თვალი პატრულისკენ ეჭირა, თუმცა რაღაცნაირად გრძნობდა, რომ ამ ნაშუადღევს არავისთან გადაყრის საფრთხე არ ემუქრებოდა. მძიმე ჩანთა ყოველ ნაბიჯზე მუხლებზე ეხლებოდა და თითქოს მთელი ფეხის კანს უწიწკნიდა. ჩანთაში იდო წიგნი, რომელსაც უკვე ექვსი დღე დაატარებდა, მაგრამ ჯერ არც კი გადაეფურცლა. სიძულვილის კვირეულის მეექვსე დღეს, - დემონსტრაციებით, მოხსენებებით, ყვირილით, სიმღერით, დროშებით, პლაკატებით, ფილმებით, ცვილის ფიგურებით, დაფდაფების ცემითა და საყვირების ბერვით, მწყობრი სვლით, ტანკების მუხლუხოების მძიმე გრუხუნით, თვითმფრინავების საჰაერო კოჰორტის ზუზუნით, თოფების გრიალით პირთამდე სავსე ექვსი დღის შემდეგ, როდესაც დიდი ორგაზმი ცახცახით უახლოვდებოდა თავის კულმინაციას და როცა ევრაზიის საერთო სიძულვილი ისეთი ბოდვით დაგვირგვინდა, რომ, თუკი დაანებებდნენ, ბრბო საკუთარი ხელებით გაგლეჯდა მთელი ამ პროცესიის ბოლო დღისთვის ჩამოსახრჩობად გამზადებულ ორი ათას ევრაზიელ სამხედრო ტყვეს, აი, სწორედ ამ დროს გამოაცხადეს, რომ ოკეანია ევრაზიას კი არ ეომებოდა, არამედ -აღმოსავლეთაზიას, ევრაზია მოკავშირე იყო.

რა თქმა უნდა, ამის გამო არავის ჰქონდა რაიმეს შეცვლის უფლება. უბრალოდ, უცბად და ყველგან ერთდროულად გახდა ცნობილი, რომ მტერი აღმოსავლეთაზია იყო და არა ევრაზია. ამ ამბის გამოცხადების მომენტში უინსტონი ესწრებოდა ლონდონის ერთ-ერთ ცენტრალურ სკვერში გამართულ დემონსტრაციას. ღამეს კუშტად გაენათებინა დემონსტრანტების თეთრი სახეები და სისხლისფერი დროშები. სკვერი რამდენიმე ათას ადამიანს გადაეჭედა, მათ შორის - ჯაშუშის უნიფორმიან ათასამდე მოსწავლეს. წითელი მატერიით დაფარულ პლატფორმაზე იდგა შინაგანი პარტიის ორატორი - პატარა, მჭლე კაცი არაპროპორციულად გრძელი ხელებითა და ფართო, მელოტი თავის ქალით, რომელზეც ორიოდე ბღუჯა თმა კონწიალობდა - და ბრბოს მგზნებარედ მიმართავდა. სიძულვილისგან დაკრუნჩხულ ამ ჩია ფიგურას ცალი ხელი მიკროფონისთვის ჩაევლო, ვეებერთელა მტევნით დაბოლოებული მეორე ძვლოვანი ხელით კი საკუთარ თავს ზემოთ ჰაერს მუქარით ფხოჭნიდა. გამაძლიერებლებისგან ლითონშერეული მისი ხმა მედგრად აფრქვევდა ჩასადენი სისასტიკეების, ჟლეტის, დეპორტირების, ძარცვა-დარბევის, გაუპატიურების,

ტყვეთა წამების, მოქალაქეთა დაბომბვის, ცრუ პროპაგანდის, უსამართლო აგრესიის, დარღვეული ხელშეკრულებების მთელ ნიაღვარს. თითქმის შეუძლებელი იყო მისი მოსმენა ჯერ მინდობის, შემდეგ კი გაგიჟების გარეშე. რამდენიმე წუთში ერთხელ ბრბოს სიშმაგე ახალი ძალით იფეთქებდა და ათასობით ყელიდან თავშეუკავებლად ამოვარდნილი პირუტყვული ღრიალი მომხსენებლის ხმას ახშობდა. ყველაზე ველური კივილი სკოლის ბავშვების ყელიდან ამოდიოდა. მიმართვა დაახლოებით ოცი წუთის დაწყებული იყო, რომ ტრიბუნაზე შიკრიკმა აირბინა და მომხსენებელს ქაღალდის ნაგლეჯი გადასცა. ამ უკანასკნელმაც გახსნა და ყოველგვარი შეყოვნების გარეშე წაიკითხა, რაც იქ ეწერა. მის ხმაში ან მეტყველების მანერაში არაფერი შეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ... სახელები. ყოვლად უსიტყვოდ, ბრბოს გაგების გამომხატველმა ტალღამ დაუარა. თურმე ოკეანია აღმოსავლეთაზიას ებრძოდა! ამას არნახული დაბნეულობის მეორე ტალღა მოჰყვა. ესე იგი, დროშები და პლაკატები, რომლებითაც სკვერი მოერთოთ, ყველა ყალბია! მათ ნახევარს სახეები შეცდომით ახატია. ეს საბოტაჟი იყო! გოლდსტეინის აგენტები თავისას აკეთებდნენ! მოკლე, აჩოჩქოლებული პაუზის შემდეგ პლაკატები კედლებიდან ჩამოგლიჯეს, დროშები კი დაფხრიწეს და ფეხებით გათელეს. ჯაშუშებმა ხომ მთლად სასწაულები ჩაიდინეს, როცა სახურავებზე აცოცდნენ და საკვამლე მილებზე დამაგრებული ტრანსპარანტები გადაჭრეს. ორ თუ სამ წუთში ყველაფერი მზად იყო. მიკროფონჩაბღუჯულმა ორატორმა წინ წამოწეული მხრებითა და ჰაერის მფხოჭნავი ხელით თავისი სიტყვა უწინდებურად განაგრძო. კიდევ ერთი წუთიც და, მძვინვარების ველურმა ღრიალმა ისევ იფეთქა. სიძულვილი უწინდებურად გაგრძელდა, მხოლოდ სამიზნე შეიცვალა.

ყველაზე მეტად უინსტონი იმან გააოგნა, რომ ორატორი ერთი ფრაზიდან მეორეზე შუა წინადადებაში გადაერთო არა მხოლოდ პაუზის გარეშე, არამედ თვით სინტაქსის დაურღვევლად. მაგრამ ამ მომენტში მისი ყურადღება უკვე სხვა საგნებმა მიიპყრო. სწორედ იმ არეულობის დროს, როცა ბრბომ პლაკატების ჩამოგლეჯა დაიწყო, ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო: „უკაცრავად, მგონი პორტფელი დაგივარდათ“. უინსტონმა პორტფელი აბსტრაქტულად, ხმის ამოუღებლად ჩამოართვა. იცოდა, მის გახსნას მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ თუ მოახერხებდა. როგორც კი დემონსტრაცია დამთავრდა, უინსტონი ჭეშმარიტების სამინისტროსკენ გაემართა, თუმცა უკვე ოცდასამი საათი სრულდებოდა. ასე მოიქცნენ სამინისტროს სხვა თანამშრომლებიც: ეს აუცილებელიაო, ატყობინებდნენ ტელეეკრანები.

მაშასადამე, ოკეანია აღმოსავლეთაზიას ეომება, - არა მხოლოდ ახლა, არამედ ყოველთვის. პოლიტიკური ლიტერატურის დიდი ნაწილი ახლა სრულებით უსარგებლო მაკულატურად იქცა. ყველა სახის მოხსენებები და წერილები, გაზეთები, წიგნები, პამფლეტები, ფილმები, ხმოვანი ჩანაწერები, ფოტოები - ყველაფერი ელვის სისწრაფით უნდა შესწორებულიყო. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ოფიციალური დირექტივა არ გამოქვეყნებულა, მაინც ყველასთვის ცნობილი იყო, რომ, დეპარტამენტის თავკაცთა განზრახვით, არსად არ უნდა დარჩენილიყო არანაირი მითითება ევრაზიასთან ომის ან აღმოსავლეთაზიასთან ალიანსში ყოფნის თაობაზე. ამ სრულებით წელში გამწყვეტ სამუშაოს კიდევ უფრო მეტად ამძიმებდა ის ფაქტორი, რომ მის შესასრულებლად საჭირო პროცესებსა და პროცედურებს თავის ნამდვილ სახელს ვერავინ დაარქმევდა.

ნაწერთა დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი ოცდაოთხი საათიდან თვრამეტ საათს მუშაობაში ატარებდა, დანარჩენ ექვს საათში კი, დღე-ღამის სხვადასხვა დროს, ორ-სამსაათიან ძილს ატევდა. სარდაფებიდან ამოტანილი ლეიბები დერეფნების მთელ სიგრძეზე დაეწყოთ. დღიური კვება შემოიფარგლებოდა სასადილოს მუშაკების მიერ გორგოლაჭებიან ურიკა-ლანგრებზე ჩამოტარებული სენდვიჩებითა და „გამარჯვების ყავით“. თვალის მოსატყუებლად, ყოველი მორიგი გასვლის წინ, უინსტონი ცდილობდა, ყველაფერი მოემთავრებინა და სუფთა მაგიდიდან წამომდგარიყო. მაგრამ ყოველთვის, როცა თვალებამოღამებული უკან მობლაკუნდებოდა მთელ სხეულში ტეხა-მტვრევის მტკივნეული განცდით, ამავე მაგიდაზე ხვდებოდა ქაღალდის გრაგნილების მთელი ნამქერი, რომელსაც ხმისმწერი სანახევროდ დაეფარა და რომელიც იატაკზეც ისეთ გროვად ჩამოცვენილიყო, რომ სამუშაოს ადგილის გასათავისუფლებლად უინსტონს, უპირველეს ყოვლისა, ჯერ ამ გროვის ერთ სვეტად დალაგება უწევდა. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ შესასრულებელი სამუშაო სულაც არ წარმოადგენდა მექანიკურ საქმეს. ხშირად მხოლოდ ერთი სახელი უნდა შეცვლილიყო მეორით. მაგრამ, აი, მოვლენათა დეტალური გადმოცემა კი უცილობლად ითხოვდა ყურადღებასა და წარმოსახვას. ასეთ დროს საჭირო ხდებოდა თვით გეოგრაფიული ცოდნა, რათა ომის ასპარეზი უინსტონს შეუცდომლად გადაეხაცვლებინა დედამიწის ერთი ნაწილიდან მეორეში.

მესამე დღეს თვალები აუტანლად ასტკივდა, სათვალე კი რამდენიმე წუთში ერთხელ გაწმენდას საჭიროებდა. ეს ყველაფერი ჰგავდა ბრძოლას ფიზიკური ხასიათის რაღაც დამანგრეველ ამოცანასთან, რაღაც ისეთთან, რისი უკუგდება თითქოს შეიძლებოდა, მაგრამ რის დასრულებასაც ადამიანი ნერვიული მღელვარებით ელტვოდა. რამდენადაც განსჯა შეეძლო, უინსტონს არ აწუხებდა ის ფაქტი, რომ ხმისმწერში ჩაჩურჩულებული ყოველი სიტყვა და ფურცელზე დაწერილი ყოველი ფრაზა შეგნებული ტყუილი იყო. დეპარტამენტის ყველა თანამშრომელთან ერთად, მას მხოლოდ ის ადარდებდა, რომ სიყალბე სრულყოფილი გამოსვლოდა. მეექვსე დღის დასასრულს გრაგნილების გროვამ სიმაღლეში იკლო. ნახევარი საათის მანძილზე კედელში დატანებული ნახვრეტიდან საერთოდ არაფერი გამოსულა. შემდეგ ერთი გრაგნილი გამოჩნდა, შემდეგ ისევ არაფერი. სხვებთანაც დაახლოებით იგივე განმეორდა. მთელმა დეპარტამენტმა ღრმად და შეძლებისდაგვარად ფარულად ამოისუნთქა. დამთავრდა უდიდესი სამუშაო, რომელზეც ვერავინ ვერასოდეს დაძრავდა კრინტს. ვერც ერთი სულიერი დოკუმენტურად ვერ დაამტკიცებდა, რომ ოდესმე ოკეანია ევრაზიას ეომებოდა. თორმეტ საათსა და ას წუთზე მოულოდნელად გამოცხადდა, რომ სამინისტროს მუშაკები მეორე დილამდე თავისუფლები იყვნენ. უინსტონს ისევ მიჰქონდა ჩანთა, რომელშიც იდო წიგნი. ის ფეხებშუა ედო, როცა მაგიდასთან იჯდა, და ზედ იწვა, როცა ეძინა. შინ მისულმა წვერი გაიპარსა, აბაზანაში კი ლამის ჩაეძინა, თუმცა წყალს ნელთბილიც კი არ ეთქმოდა.

როდესაც კიბეს მისტერ ჩარინგტონის მაღაზიის თავზე მდებარე ოთახისკენ აუყვა, ძვლები თითქოს ავხორცულად აუჭრაჭუნდა. დაღლილი იყო, თუმცა უკვე აღარ ეძინებოდა. ფანჯარა გააღო, პატარა და ჭუჭყიანი ნავთქურა აანთო და ზედ წყლიანი ქვაბი შემოდგა ყავისთვის. ჯულია მალე მოვიდოდა, მანამდე კი

არსებობდა წიგნი. მონჯღრეულ სავარძელში ჩაჯდა და ჩანთის საგდულები გახსნა.

ეს იყო მძიმე, შავყდიანი, ხელით აკინძული წიგნი, უსახელო და უსათაურო. ნაბეჭდიც არასტანდარტული ჩანდა. ფურცლები კიდეებში გასცვეთოდა და ადვილად სცვიოდა, თითქოს ათასობით ხელი გამოიარაო. სატიტულო ფურცელზე ეწერა: ოლიგარქიული კოლექტივიზმის თეორია და პრაქტიკა, ემანუელ გოლდსტეინიუინსტონი კითხვას შეუდგა.

თავი I - უმეცრება ძალაა

მთელი ისტორიის მანძილზე - ალბათ, ნეოლითის ხანის დასასრულიდან - არსებობდა სამი კატეგორიის ადამიანი: მაღალი, საშუალო და დაბალი. ისინი მრავალნაირად იყოფოდნენ, უთვალავ განსხვავებულ სახელს ატარებდნენ და მათი შეფარდება, ისევე, როგორც მათი ურთიერთმიმართება საუკუნიდან საუკუნემდე იცვლებოდა, მაგრამ საზოგადოების ზოგადი სტრუქტურა ყოველთვის იგივე რჩებოდა. თვით უზარმაზარი ძვრებისა და თითქოსდა შეუქცევადი ცვლილებების შემდეგ საზოგადოება ისევ იმავე სქემით კომპლექტდებოდა. სწორედ ასე იბრუნებს წონასწორობას გიროსკოპი, როგორც უნდა გადასწიონ ერთ ან მეორე მხარეს.

ამ სამ დაჯგუფებას ყოველთვის ამოძრავებდა ერთმანეთთან სრულებით შეუთავსებელი მიზნები...

უინსტონმა კითხვა შეწყვიტა, - ძირითადად იმიტომ, რომ შეეფასებინა თვით სიმყუდროვესა და უსაფრთხოებაში კითხვის ფაქტი. სულ მარტო იყო: არც ტელეეკრანი, არც კედელში მოსასმენად დატანებული ნახვრეტი, არც ზურგს უკან ცქერისა თუ ფურცლის დაფარვის ნერვიული იმპულსი. ლოყაზე ზაფხულის საამო ჰაერი ელამუნებოდა. სადღაც შორიდან ბავშვების ყრუ შეძახილები აღწევდა. თვით ოთახში არავითარი ხმა არ ისმოდა, საათის მწერისებური წიკწიკის გარდა. სავარძელში უფრო ღრმად ჩაეშვა და ფეხის ტერფები ბუხრის ცხაურს მიაბჯინა. ეს იყო ნეტარება, მარადისობა. უცებ, როგორც უშვრებიან ხოლმე წიგნს, რომელსაც უთუოდ არაერთგზის წაიკითხავენ და გადაიკითხავენ, უინსტონმა წიგნი სხვა ადგილზე გადაფურცლა. ეს იყო მესამე თავი.

თავი III - ომი თავისუფლებაა

სამყაროს გახლეჩა სამ დიდ სუპერსახელმწიფოდ შეიძლებოდა ევარაუდათ და ივარაუდეს კიდეც მეოცე საუკუნის შუა პერიოდში. რუსეთის მიერ ევროპის, ხოლო შეერთებული შტატების მიერ ბრიტანეთის იმპერიის შთანთქმამ უკვე რეალურად წარმოშვა სამიდან ორი სახელმწიფო: ევრაზია და ოკეანია. რაც შეეხება მესამეს, აღმოსავლეთაზიას, ის სულ ახლახან, ათეული წლის აწეწილი ბრძოლების შემდეგ გამოჩნდა, როგორც გამოკვეთილი ერთობა. სამი სახელმწიფოს გამყოფი საზღვრები ზოგან თვითნებურია, ზოგან წამდაუწუმ იცვლის მოხაზულობას ომის მსვლელობისდა მიხედვით, მაგრამ, ძირითადად, გეოგრაფიულ ხაზებს მიჰყვება. ევრაზია მოიცავს ევროპისა და აზიის მთელ ჩრდილოეთ ნაწილს პორტუგალიიდან ბერინგის სრუტემდე. ოკეანიაში შედის ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა, ატლანტის კუნძულები ბრიტანეთის კუნძულების

ჩათვლით, ავსტრალიის აზია და აფრიკის სამხრეთი ნაწილი. აღმოსავლეთაზია - დანარჩენ ორ სახელმწიფოზე უფრო პატარა, ზუსტად დაუდგენელი დასავლეთ საზღვრით - წარმოდგენილია ჩინეთითა და მის სამხრეთით მდებარე ქვეყნებით, იაპონიის კუნძულებით და აგრეთვე მანჯურიის, მონღოლეთისა და ტიბეტის ვრცელი, თუმცა ცვალებადი ტერიტორიებით.

ასეთი თუ ისეთი დაწყვილებით, ეს სამი სუპერსახელმწიფო ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში გამუდმებით ებრძვის ერთმანეთს. თუმცა ამჯერად ომი აღარ არის სასოწარმკვეთი და გამანადგურებელი ურთიერთბრძოლა, როგორიც ის მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში იყო. ეს არის შეზღუდული მიზნების მქონე საომარი შეჯახებები იმ მეტოქეთა შორის, რომლებსაც არ ძალუძთ ერთმანეთის განადგურება, არ გააჩნიათ არავითარი მატერიალური მიზეზი ომისთვის და არ ემიჯნებიან ერთმანეთს რაიმე ჭეშმარიტი იდეოლოგიური სხვაობით. თუმცა ეს არც იმას ნიშნავს, რომ ომის მსვლელობა თუ ომისადმი საერთო მიმართება ნაკლებად სისხლისმსმელი ან მეტად რაინდული გახდა. პირიქით, ომის ისტერია ყველა ქვეყანაში საერთოა და მუდმივი. ისეთი აქტები, როგორიცაა ძარცვა, გაუპატიურება, ბავშვების ხოცვა, მოსახლეობის დიდი მასების დამონება, ტყვეთა თვით ისეთი რეპრესიები, როგორიცაა ცოცხლად მოხარშვა ან დამარხვა, - ეს ყველაფერი სრულებით ნორმალურად ითვლება და მაშინაც მისასალმებელია, როდესაც ამ ხერხებს ქვეყანა თავისივე შიგნით იყენებს და არა მტრის მიმართ. მაგრამ, ფიზიკურად, ომში მცირერიცხოვანი ჯარი მონაწილეობს, ძირითადად - კარგად ნაწრთობი პროფესიონალები, და ასეთ ომს შედარებით ნაკლები უბედურება მოაქვს. შეტაკება, თუ ასეთი ხდება, ხდება ან მკვეთრი მოხაზულობის არმქონე საზღვრებზე, რომელთა ადგილმდებარეობაზე ჩვეულებრივ ადამიანს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, ან კიდევ საზღვაო გზების სტრატეგიული წერტილების დამცველ მცურავ ციხესიმაგრეებზე. რაც შეეხება ცივილიზაციის ცენტრებს, იქ ომი სხვა არაფერია, თუ არა საქონლით მომარაგების მუდმივი შემცირება და მხოლოდ მცირე სიკვდილიანობის გამომწვევი სარაკეტო ბომბის პერიოდული ჩამოვარდნა. არსებითად შეიცვალა ომის ხასიათი. უფრო სწორად, თავისი მნიშვნელოვნების მიხედვით, სხვაგვარად განლაგდა მიზეზები, საბაბად რომ ედება ხოლმე ომს. მოტივები, რომლებსაც მეოცე საუკუნის ოციანი წლების დიდ ომებში მცირე და არაძირითადი ადგილი ეჭირა, ახლა დომინანტური გახდა. მათ შეგნებულად აღიარებენ და მათზე მუდმივად აპელირებენ.

თანამედროვე ომის ბუნების გასაგებად - და ეს ხომ მუდამ ერთი და იგივე ომია, გადაჯგუფებათა მიუხედავად, რამდენიმე წელიწადში ერთხელ რომ ხდება - უნდა გავიგოთ ის ამბავი, რომ ასეთი ომი ვერასოდეს იქნება გადამწყვეტი. შეუძლებელია სუპერსახელმწიფოთაგან ერთი რომელიმეს დამარცხება, თუნდაც ორი დანარჩენი მის წინააღმდეგ გაერთიანდეს. ისინი ძალზე თანაბარძალოვნად განაწილდნენ და ბუნებრივ-გეოგრაფიულადაც მეტისმეტად ძლიერად არიან დაცულნი: ევრაზიას უზარმაზარი ტერიტორიები აქვს, ოკეანიას ატლანტის და წყნარი ოკეანეები აკრავს, აღმოსავლეთაზია კი ცნობილია თავისი მოსახლეობის სიმრავლითა და შრომისუნარიანობით. გარდა ამისა, მატერიალური თვალსაზრისითაც აღარაფერია გასაყოფი. თვითმარეგულირებელი ეკონომიკის დამკვიდრების შემდეგ, სადაც პროდუქციის გამოშვება და მისი მოხმარება ერთმანეთს განსაზღვრავს, ომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი - მსოფლიო ბაზრისთვის ბრძოლა - ისტორიას ჩაჰბარდა. კონკურენციას ნედლეულის

მოპოვება-გასაღებისთვის უკვე აღარ აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა. ამ სამეულის თითოეული წევრი იმდენად დიდი ტერიტორიების მფლობელია, რომ საკუთარ სამფლობელოშივე შეუძლია თითქმის ნებისმიერი ნედლეულის მოძიება. რამდენადაც ომს უშუალო ეკონომიკური მიზანი ამოძრავებს, ამდენად, ეს არის ომი მუშახელისთვის. სუპერსახელმწიფოთა საზღვრებს შორის მოთავსებულ უხეში ოთხკუთხედის ფორმის ტერიტორიაზე, რომელიც არც ერთი მათგანის მუდმივ დაქვემდებარებაში არ შედის და რომლის კუთხეები ტანგიერს, ბრაზავილს, დარვინსა და ჰონკონგს ებჯინება, დედამიწის მოსახლეობის თითქმის ერთი მეხუთედი ცხოვრობს. სწორედ ამ ჭარბმოსახლეობიანი რეგიონებისა და ჩრდილოეთ პოლუსისთვის ექიშპება ერთმანეთს სამი ძალაუფლება. რეალურად, ვერც ერთი მათგანი ვერ აკონტროლებს სადავო ტერიტორიას, რომლის ესა თუ ის ნაწილი ხან ერთის ხელშია და ხან მეორის. ზოგიერთი რეგიონის ოკუპირების შესაძლებლობას იძლევა რაიმე მოულოდნელი ღალატი, რომელსაც შედეგად მოჰყვება, ვინ იცის, მერამდენე გამიჯვნა-გადანაწილება.

ყველა სადავო ტერიტორიაზე მოიპოვება მინერალური წყალი, ზოგიერთზე კი ისეთი მნიშვნელოვანი მცენარეული პროდუქტი, როგორიცაა კაუჩუკი, რომლის სინთეტირებისთვის უფრო ცივ ქვეყნებში აუცილებელი ხდება შედარებით ძვირად ღირებული მეთოდების გამოყენება. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ეს რეგიონები მდიდარია იაფფასიანი მუშახელის ამოუწურავი მარაგით. რომელი ძალაუფლებაც აკონტროლებს აფრიკას, შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს, სამხრეთ ინდოეთს ან ინდონეზიის არქიპელაგს, იმავდროულად, ფლობს ასეულმილიონობით მცირეხელფასიან და მძიმესამუშაოიან მუშახელსაც. ამ რეგიონების ბინადართ - მეტ-ნაკლები სიაშკარავით მონის სტატუსის მქონეთ და ერთი გამარჯვებულის ხელიდან მეორის ხელში გადასულთ - ისევე ხარჯავენ, როგორც ქვანახშირს ან ნავთობს, ესოდენ საჭიროს კიდევ უფრო მეტი შეიარაღების, მეტი ტერიტორიის მიტაცების, მეტი სამუშაო ძალისთვის, რაც საჭიროა მეტი შეიარაღების, მეტი ტერიტორიების მიტაცების, მეტი სამუშაო ძალისთვის და ასე, უსასრულოდ. საჭიროა აღინიშნოს, რომ ბრძოლის ასპარეზი არასოდეს სცდება სადავო რეგიონებს. ევრაზიის საზღვრები წინ და უკან ინაცვლებს კონგოს აუზსა და ხმელთაშუა ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს შორის. ინდოეთის ოკეანისა და წყნარი ოკეანის კუნძულებს მონაცვლეობით იპყრობს ხან ოკეანია და ხან აღმოსავლეთაზია. მონღოლეთზე გამავალი ევრაზიისა და აღმოსავლეთაზიის გამყოფი ხაზი არასოდეს არის სტაბილური. პოლუსის ირგვლივ შემოჯარული სამივე სახელმწიფო აცხადებს პრეტენზიას უზარმაზარ ტერიტორიებზე, რომლებიც, ფაქტობრივად, დაუსახლებელი და აუთვისებელია. მაგრამ, საბოლოოდ, ძალაუფლება მეტ-ნაკლებად მაინც თანაბრად არის განაწილებული და ამ სახელმწიფოთაგან თითოეულის შიდა ტერიტორია ყოველთვის ხელშეუხებელი რჩება. მეტიც: ეკვატორულ სარტყელში მცხოვრები ხალხის შრომა სულაც არ არის აუცილებელი მსოფლიო ეკონომიკისთვის. ისინი ვერაფერს უმატებენ მსოფლიოში დაგროვილ სიმდიდრეს, რადგან მათ მიერ წარმოებული პროდუქცია საომარ მიზნებს ხმარდება, ომის მიზანი კი ისაა, რომ მუდამ იმყოფებოდე მოწინააღმდეგეზე უკეთეს პოზიციაში, რომელშიც მორიგ ომს წამოიწყებ. დამონებული ხალხების შრომა კიდევ უფრო აჩქარებს გამუდმებული ომის ტემპს. მაგრამ ამ ხალხებს რომც არ ეარსებათ, მსოფლიო საზოგადოების სტრუქტურა და პროცესი, რომლითაც ის საკუთარ თავს ინახავს,

არსებითად, იგივე დარჩებოდა.

თანამედროვე ომის უპირველესი მიზანია (ორაზრის პრინციპების მიხედვით, ამ მიზანს შინაგანი პარტიის მმართველი ტვინები ერთდროულად ცნობენ კიდეც და არც ცნობენ) სახელმწიფო მანქანის მიერ წარმოებული პროდუქტების გახარჯვა ცხოვრების საერთო დონის აუწევლად. უკვე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან ინდუსტრიულ საზოგადოებაში ფარულად არსებობდა პრობლემა, რა ექნათ ჭარბად წარმოებული საქონლისთვის. დღეს, როცა თვით საკმარისი საკვებიც კი მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილს აქვს, ეს პრობლემა აშკარად არ დგას დღის წესრიგში. არადა, შეიძლებოდა ასე არ ყოფილიყო, რომ არა ხელოვნურად აღძრული დესტრუქციული პროცესები. 1914 წლამდე არსებულ მსოფლიოსთან შედარებით, დღევანდელი მსოფლიო შიშველი, მშიერი, ნახევრად დანგრეული და კიდევაც უარესია, თუ მას შევადარებთ წარმოსახვით მომავალს, რომლის ახდენასაც იმ პერიოდის ხალხი ელოდა. მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე თითქმის ყოველი განათლებული ადამიანის ცნობიერებისთვის განუყოფელი იყო ფიქრი ისეთ მომავალზე, რომელშიც იცხოვრებდა დაუჯერებლად მდიდარი, მოცალე, მოწესრიგებული და ქმედითი საზოგადოება - მინის, ფოლადისა და ქათქათა რკინა-ბეტონის მბრწყინავი და დაუწყლულებელი მსოფლიო. მეცნიერება და ტექნიკა ჯადოსნური სისწრაფით ვითარდებოდა და ბუნებრივი ჩანდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ პროგრესი გაგრძელდებოდა. ეს ასე არ მოხდა ნაწილობრივ იმ გაღარიბების გამო, რომელიც გამოიწვია ომებისა და რევოლუციების ხანგრძლივმა სერიამ, ნაწილობრივ კი იმ მიზეზით, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დამოკიდებულია აზრის ემპირიულ ჩვევაზე, რომელიც ვერ იარსებებდა მკაცრად ავტორიტარულ საზოგადოებაში. მთლიანობაში, დღესდღეობით მსოფლიო უფრო პრიმიტიულია, ვიდრე ორმოცდაათი წლის წინ. მეტი გასაქანი მიეცა უკანა პლანზე მდგარ ზოგიერთ აქტივობას. მზარდ ომთან და პოლიციურ შპიონაჟთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის მექანიზმი, ექსპერიმენტი და გამოგონება შეჩერდა, ორმოცდაათიანი წლების ატომური ომის ნგრევის შედეგები კი მთლიანად არასოდეს გამოსწორებულა. მიუხედავად ამისა, მანქანისათვის ნიშნეული ყველა საშიშროება უწინდებურად სახეზეა. იმ მომენტიდან, როცა მანქანა პირველად გამოვიდა ასპარეზზე, ყველა მოაზროვნე ადამიანისთვის ცხადი შეიქნა, რომ ამიერიდან აღარ არსებობს მძიმე ადამიანური შრომისა და, აქედან გამომდინარე, ადამიანური უთანასწორობის დიდი ნაწილის მიზეზი. თუკი მანქანას შეგნებულად მოახმარდნენ ამ მიზანს, მაშინ რამდენიმე თაობის მანძილზე გაქრებოდა შიმშილი, ზედმეტი შრომა, ანტისანიტარია, გაუნათლებლობა და ავადმყოფობა. სინამდვილეში კი, ის მოხმარდა არა ამ მიზანთაგან რომელიმეს, არამედ იმას, რომ ერთგვარი ავტომატური პროცესით, ანუ ისეთი დოვლათის წარმოებით, რომლის არგანაწილება ზოგჯერ უბრალოდ შეუძლებელი იყო, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცის დასაწყისში მანქანამ დიდად ასწია საშუალო ადამიანის ცხოვრების დონე მომდევნო ორმოცდაათი წლის განმავლობაში.

მაგრამ ისიც ნათელი გახდა, რომ საზოგადოებრივი დოვლათის ყოველმხრივი ზრდა თავის თავში ნგრევის მუქარას ატარებდა და, ზოგ შემთხვევაში, უკვე წარმოადგენდა კიდეც იერარქიული საზოგადოების ნგრევას. იმ სამყაროში, სადაც ყველას მოკლე სამუშაო დღე ჰქონდა, ყველა საკმარისად ჭამდა, ყველა მაცივარ-აბაზანით გაწყობილ სახლში ცხოვრობდა და ყველას მანქანა და ზოგჯერ

თვითმფრინავიც კი ჰყავდა, -ასეთ სამყაროში უნდა გამქრალიყო უთანასწორობის ყველაზე თვალში საცემი და, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმა. რაკი ერთხელაც საყოველთაო გახდა, საზოგადოებრივი სიმდიდრე ადამიანებს შორის განსხვავებას აღარ ტოვებდა. ეჭვი არაა, შესაძლებელი იყო ისეთი საზოგადოების წარმოდგენა, რომელშიც დოვლათი (პირად საკუთრებაში ფლობისა და ფუფუნების აზრით) თანაბრად გაუნაწილდებოდა ყველას, მაშინ, როდესაც ძალაუფლება მცირერიცხოვან პრივილეგირებულთა ხელში დარჩებოდა. მაგრამ პრაქტიკაში ასეთმა საზოგადოებამ სტაბილურობა დიდხანს ვერშეინარჩუნა. რადგან თუ მოცალეობა და უსაფრთხოება ყველას ერთნაირად ექნებოდა, მაშინ სიღარიბით დაჩლუნგებულ ადამიანთა დიდი მასა განათლებას შეიძენდა და აზროვნებას ისწავლიდა, რის შემდეგაც, ადრე თუ გვიან, იმასაც გაიაზრებდა, რომ პრივილეგირებულთა უმცირესობას არავითარი ფუნქცია არ აქვს და მყისიერ გაცამტვერებას იმსახურებს. საბოლოოდ, იერარქიული საზოგადოების არსებობა შესაძლებელი აღმოჩნდა მხოლოდ სიღარიბისა და უმეცრების საფუძველზე. სამეურნეო-მიწათმოქმედურ წარსულში დაბრუნება, როგორც ამაზე ოცნებობდა მეოცე საუკუნის დასაწყისის ზოგიერთი მოაზროვნე, პრაქტიკულ გამოსავალს არ წარმოადგენდა, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა მექანიზაციის საყოველთაო, მთელი მსოფლიოსთვის თითქმის უკვე ინსტინქტურ ტენდენციას. მეტიც, ინდუსტრიულად ჩამორჩენილი ნებისმიერი ქვეყანა სამხედრო თვალსაზრისით უსუსური რჩებოდა და, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უფრო დაწინაურებულ მეტოქეთა დაქვემდებარებაში ექცეოდა.

არც ის იყო დამაკმაყოფილებელი გამოსავალი, რომ მასები უწინდებურ სიღარიბეში დაეტოვებინათ საქონლის წარმოების შეზღუდვის ხარჯზე. ეს მოხდა კაპიტალიზმის ბოლო ფაზაში 1920 წლიდან 1940 წლამდე. მრავალი ქვეყნის ეკონომიკა სტაგნაციამ მოიცვა, მიწა აღარ მუშავდებოდა, არ ემატებოდა უმნიშვნელოვანესი ტექნიკა, მოსახლეობის დიდი მასები სამუშაოს მოსწყვიტეს და ცოცხალ-მკვდრად ინახავდნენ სახელმწიფო მოწყალების სამსახურებით. მაგრამ ამას შედეგად მოჰყვა დაუძლურება სამხედრო თვალსაზრისით და, რაკი ამით გამოწვეული დაუკმაყოფილებელი საჭიროებები აშკარად არ იყო აუცილებლობით ნაკარნახევი, ამან გარდაუვალი გახადა დაპირისპირება. პრობლემა მდგომარეობდა იმაში, თუ როგორ შეენარჩუნებინათ ინდუსტრია მსოფლიო დოვლათის გაზრდის გარეშე. საქონელი უნდა შექმნილიყო, მაგრამ არ უნდა განაწილებულიყო. პრაქტიკულად, ამის მიღწევის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა ყოფნა მუდმივი ომის მდგომარეობაში.

ომის დანიშნულება ნგრევაა, - არა მაინცდამაინც ადამიანთა სიცოცხლის, არამედ ადამიანური შრომის ნაყოფის. ომში ნადგურდება, სტრატოსფეროში იფანტება თუ ზღვაში იძირება მთელი ის მასალა, რომელიც მასებს მეტისმეტ კომფორტს მოუტანდა და, საბოლოოდ, მეტისმეტად ჩააგდებდა ჭკუაში. მაშინაც კი, როცა შექმნილი სამხედრო იარაღი ბოლოს არ ნადგურდება, მისი დამზადებით მაინც მიიღწევა მიზანი: სამუშაო ძალა იხარჯება რაიმე ისეთის წარმოების გარეშე, რასაც ბოლოს რაღაცნაირად მაინც გამოიყენებენ. მაგალითად, მცურავ ციხესიმაგრეში ჩადებული შრომა რამდენიმე ასეულ სატვირთო გემს ააშენებდა. ბოლოს და ბოლოს, ის ძველდება და გამოსაყენებლად უვარგისი ხდება ისე, რომ არავისთვის არანაირი სარგებლობა არ მოაქვს. შემდეგ კი ისევ იხარჯება უზარმაზარი შრომა ახალი მცურავი ციხესიმაგრის ასაგებად. პრინციპში, ომი

სწორედ იმისკენ არის მიმართული, რომ შთანთქას ყოველგვარი ზედმეტი დოვლათი, რომელსაც შეეძლო ეარსება ადამიანთა უშუალო საჭიროებების შესატყვისად. პრაქტიკულად, ეს საჭიროებანი არასოდეს ფასდება საკმარის ხარისხში, რასაც შედეგად მოჰყვება მათი 50%-ის მუდმივი უკმარობა. თუმცა ეს უპირატესობად ითვლება. წინასწარ გამიზნული პოლიტიკის წყალობით, ადამიანთა პრივილეგირებული ჯგუფებიც კი მატერიალური უკმარისობის ზღურბლის სიახლოვეში დარჩნენ, რადგან საყოველთაო ნაკლულობის ასეთი მდგომარეობა ზრდის მცირე პრივილეგიების მნიშვნელობას და, ამდენად, ადიდებს განსხვავებას ადამიანურ დაჯგუფებებს შორის. მეოცე საუკუნის დასაწყისში მოქმედი სტანდარტებით, თვით შიდა პარტიის წევრიც მკაცრი და გამრჯე ცხოვრებით ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სასურველი ფუფუნება - დიდი და კარგად მოწყობილი ოთახი, უკეთესი ქსოვილისგან დამზადებული სამოსი, უკეთესი ხარისხის საჭმელ-სასმელი და თამბაქო, ორი-სამი მოსამსახურე და საკუთარი ავტომანქანა თუ ვერტმფრენი - მას გარე პარტიის წევრის სამყაროსგან განსხვავებული სამყაროს წევრად აქცევს. თავის მხრივ, გარე პარტიის წევრებსაც მსგავსი უპირატესობა აქვთ იმ ჩაძირულ მასებთან შედარებით, რომლებსაც ჩვენ „პროლებს“ ვუწოდებთ. სოციალური ატმოსფერო ისეთივეა, როგორიც იქნებოდა ალყაშემორტყმულ ქალაქში, სადაც ერთი ნაჭერი ცხენის ხორცი უკვე სიმდიდრე-სიღარიბის განმასხვავებელი ნიშანია. ამავე დროს, ომის მდგომარეობაში, ანუ საფრთხეში, ყოფნას შედეგად მოჰყვება მთელი ძალაუფლების მოხვედრა ადამიანთა მცირერიცხოვანი კასტის ხელში, რაც არსებობის ბუნებრივ და გარდაუვალ პირობად ჩანს.

ომი, როგორც ეს გამოჩნდება, არა მხოლოდ აუცილებელ ნგრევას იწვევს, არამედ, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ამას სავსებით მისაღებად აკეთებს. არსებითად, ზედმეტი შრომა სრულებით მარტივად დაიხარჯებოდა ტაძრებისა და პირამიდების შენებაში, ორმოების თხრასა და ისევ ავსებაში, პროდუქციის ჯერ გამოშვებასა და შემდეგ კი დაწვაში... მაგრამ იერარქიული საზოგადოებისთვის ეს უზრუნველყოფდა მხოლოდ ეკონომიკურ საფუძველს, და არა ემოციურს. აქ საქმე ეხება არა მორალს მასებისა, რომელთა აზრი უმნიშვნელოა, რამდენადაც მათ მუდამ უნდა იმუშაონ, არამედ თვით პარტიის მორალს. პარტიის ყველაზე მოკრძალებული წევრიც კი უნდა იყოს კომპეტენტური, მუყაითი და გონიერიც, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით. მაგრამ, ამავე დროს, ისიც აუცილებელია, რომ ის იყოს ადვილად მიმნდობი და უვიცი ფანატიკოსი, რომლის ძირითადი განწყობილებებია შიში, სიძულვილი, პირმოთნეობა და გრძნობათა ეგზალტაცია. სხვა სიტყვებით: მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ომის მდგომარეობაში მყოფი ადამიანის შესატყვისი მენტალიტეტი. მნიშვნელობა არა აქვს, მიმდინარეობს თუ არა ომი სინამდვილეში და, რაკი საბოლოო გამარჯვება შეუძლებელია, არც იმას აქვს მნიშვნელობა, როგორია ომის მსვლელობა -კარგი თუ ცუდი. მხოლოდ ისაა აუცილებელი, რომ არსებობდეს საომარი მდგომარეობა. ორმაგი აზროვნება, რასაც პარტია თავისი წევრებისგან ითხოვს და რაც უფრო ადვილად მიიღწევა ომის ატმოსფეროში, სადღეისოდ თითქმის საყოველთაოა. თუმცა, რაც უფრო მაღალი პოსტი უჭირავს ადამიანს, მისი გონებაც მით უფრო დაღდასმულია ორმაგობით. სწორედ შიდა პარტიაში მჟღავნდება ყველაზე ძლიერად ომის ისტერია და მტრის სიძულვილი. თავისი ადმინისტრაციული უნარის ასამოქმედებლად, შიდა პარტიის წევრისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, რომ ომის ესა თუ ის მომენტი სიმართლეს არ შეეფერება. ხშირად მას ისიც კი შეუძლია

იცოდეს, რომ მთელი ომი გამოგონილია ან საერთოდ არ მიმდინარეობდა, ან სულ სხვა მიზეზებით დაიწყო და არა იმით, რაც საზოგადოებას ეუწყა. მაგრამ ასეთი ცოდნა იოლად ნეიტრალდება ორაზრის პრინციპით. ამასობაში კი, შიდა პარტიის არც ერთ წევრს ერთი წამითაც არ ეპარება ეჭვი, რომ ომი რეალურად მიმდინარეობს და, ადრე თუ გვიან, უთუოდ ოკეანიის - მთელი მსოფლიოს ერთპიროვნული მესაჭის -გამარჯვებით დაგვირგვინდება.

შიდა პარტიის ყველა წევრს ურყევად სჯერა ამ უცილობელი გამარჯვების. ეს მიღწეულ იქნება ან მეტი და მეტი ახალი ტერიტორიებისა და, ამგვარად, გადამწყვეტი ძალისმიერი უპირატესობის მოპოვებით, ან კიდევ რაიმე ახალი და წინაღუდგომელი იარაღის გამოგონებით. ასეთი იარაღის ძიება კი შეუჩერებლად გრძელდება და ეს პროცესი წარმოადგენს იმ მცირერიცხოვან აქტივობათაგან ერთ-ერთს, რომელშიც ჯერ კიდევ შეუძლია თვითრეალიზება გამომგონებლური ან სპეკულაციური ტიპის გონებას. დღესდღეობით ოკეანიაში თითქმის აღარ არსებობს მეცნიერება, ამ სიტყვის ოდინდელი გაგებით. შესაბამისად, ახალმეტყველებაშიც არ არსებობს სიტყვა „მეცნიერება“. აზროვნების ემპირიული მეთოდი, რომელსაც ეყრდნობოდა წარსულის ყველა მეცნიერული მიღწევა, ინგსოცის ყველაზე უფრო ფუნდამენტურ პრინციპებს უპირისპირდება. თვით ტექნოლოგიურ პროცესსაც კი მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როდესაც მისი შედეგები რამენაირად ადამიანის თავისუფლების შესაზღუდად სჭირდებათ. ყველა გამოსადეგ საქმიანობაში მსოფლიო ან ერთ ადგილზე შემდგარა, ან უკან-უკან მიდის. მინდვრებს ცხენზე მიბმული გუთნით ამუშავებენ, წიგნებს კი მანქანები წერენ. აი, სასიცოცხლო საჭიროების საგნებში კი, ანუ, არსებითად, ომსა და პოლიციურ ჯაშუშობაში ემპირიული მიმართება ჯერ კიდევ წახალისებულია, ყოველ შემთხვევაში, დაშვებული მაინც. პარტიის ერთი მიზანია მთელი დედამიწის დაპყრობა, მეორე კი - დამოუკიდებელი აზრის ჩახშობა ერთხელ და სამუდამოდ. ამიტომაც არსებობს ორი დიდი პრობლემა, რომელიც პარტიამ უნდა გადაწყვიტოს. პირველია ის, თუ როგორ ამოიცნონ - მისივე ნების საწინააღმდეგოდ - რას ფიქრობს ადამიანი, მეორე კი ის, როგორ გაიჟლიტოს რამდენიმე წამში ასეულობით მილიონი კაცი ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე. იმდენად, რამდენადაც მეცნიერული კვლევა ჯერ კიდევ გრძელდება, სწორედ ამ საკითხებს იკვლევს პარტია. დღევანდელი მეცნიერი ან ფსიქოლოგისა და ინკვიზიტორის ნარევია, უკიდურესი გულდასმით რომ შეისწავლის სახის გამომეტყველებებს, ჟესტებს, ხმის ინტონაციებს და ტესტირებას უტარებს აბების, შოკური თერაპიის, ჰიპნოზისა და ფიზიკური წამების სიმართლისმთქმევინებელ ეფექტებს; ან კიდევ, ისეთი ქიმიკოსი, ფიზიკოსი თუ ბიოლოგია, რომელიც თავისი საგნის მხოლოდ იმ განშტოებითაა დაინტერესებული, სიცოცხლის, როგორც ასეთის, მოხელთების საკითხებს რომ იკვლევს. მშვიდობის სამინისტროს უზარმაზარ ლაბორატორიებში, ისევე, როგორც ბრაზილიის ტყეებში, ავსტრალიის უდაბნოსა თუ ანტარქტიკის მიკარგულ კუნძულებზე დამალულ ექსპერიმენტულ სადგურებში დაუღალავად მუშაობენ ექსპერტთა ჯგუფები. ზოგი მათგანი, უბრალოდ, მომავალი ომებისთვის საჭირო გადაზიდვა-მომარაგების საკითხებს იკვლევს. სხვები ქმნიან უფრო და უფრო დიდ სარაკეტო ბომბებს, უფრო და უფრო ძლიერ ამფეთქებლებს, უფრო და უფრო შეუღწევად ჯავშნებს. კიდევ სხვები ეძებენ ახალ, უფრო მგუდავ გაზებს ან ხსნად შხამებს, რომლებიც მთელი კონტინენტის მცენარეულ საფარს გაანადგურებდა, ან ისეთ სნეულებათა მიკრობებს, რომლებსაც იმთავითვე

ექნებათ ყოველი სახის ანტისხეულების საწინააღმდეგო იმუნიტეტი. არიან ისეთებიც, მთელი მონდომებით რომ იგონებენ გადაადგილების ახალ საშუალებას, ისევე რომ ივლიან მიწის ქვეშ, როგორც წყალქვეშა ნავი - წყალქვეშ; ან ისეთ თვითმფრინავს, რომელიც ზღვაში შეცურებული გემივით დამოუკიდებელი იქნებოდა თავისი ბაზისგან. სხვები კიდევ უფრო შორეულ შესაძლებლობებს იკვლევენ, მაგალითად, მზის სხივების ფოკუსირებას ათასობით კილომეტრზე დაშორებულ ლინზაში ან კიდევ ხელოვნური მიწისძვრის თუ ზღვის მოქცევის გამოწვევას დედამიწის გულში არსებული პლაზმის ამოქაჩვით.

თუმცა ვერც ერთი ამ პროექტთაგანი ოდნავადაც ვერ ხორციელდება და სამი ზესახელმწიფოდან ვერც ერთი ვერ აღწევს გადამწყვეტ უპირატესობას დანარჩენ ორზე. უფრო აღსანიშნავია ის, რაც სამივე სახელმწიფოს უკვე აქვს, ანუ ატომური ბომბი - გაცილებით უფრო ძლიერი ყველა იმ იარაღზე, რომლის აღმოჩენასაც დღეს ისინი ლამობენ. მიუხედავად იმისა, რომ პარტია, როგორც საერთოდ სჩვევია, ბირთვული იარაღის გამოგონებას თვითონ მიიწერს, ატომური ბომბი პირველად ორმოციან წლებში გაჩნდა და ათიოდე წლის შემდეგ ფართო მასშტაბით იქნა გამოყენებული. იმ პერიოდში ასეულობით ასეთი ბომბი ჩააგდეს ინდუსტრიულ ცენტრებში, ძირითადად - რუსეთის ევროპულ ნაწილში, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. შედეგებმა ამ ქვეყნების მმართველი წრეები დაარწმუნა, რომ ცოტა უფრო მეტი ბომბის ჩაგდება ბოლოს მოუღებდა ორგანიზებულ საზოგადოებას და, აქედან გამომდინარე, მათ მმართველობასაც. ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ოფიციალური შეთანხმება არ მიუღიათ და არც მიუნიშნებიათ, ატომური ბომბები აღარ ჩამოვარდნილა. სამივე სახელმწიფო განაგრძობს ამ ბომბის წარმოებას და ინახავს მას გადამწყვეტი მომენტისთვის, რომლის ადრე თუ გვიან დადგომა სამივეს სჯერა. ამასობაში კი, ოცდაათი თუ ორმოცი წლის განმავლობაში, სამხედრო ხელოვნება თითქმის არაფრით გაუმჯობესებულა. ვერტმფრენებს დღეს უფრო მეტად იყენებენ, ვიდრე უწინ. ბომბმზიდი თვითმფრინავების დიდი ნაწილი შეცვალა თვითმტყორცნმა ნაღმებმა, მყიფე სამხედრო გემი კი - თითქმის ჩაუძირავმა მცურავმა ციხესიმაგრემ. სხვა მხრივ, ბევრი არაფერი შეცვლილა. ისევ გამოიყენება ტანკი, წყალქვეშა ნავი, ტორპედო, ტყვიამფრქვევი, თვით თოფი და ხელყუმბარაც კი. და მიუხედავად დაუსრულებელი ხოცვა-ჟლეტისა, რომელზეც დღე და ღამე იუწყება პრესა და ტელევიზია, - უწინდელი ომების თავგანწირული შეტაკებები, ათასობით და ზოგჯერ მილიონობით ადამიანს რომ იწირავდნენ სულ რამდენიმე კვირაში, აღარასოდეს განმეორებულა.

ზესახელმწიფოთაგან არც ერთი არ ახორციელებს რაიმე ისეთ მანევრს, რომელიც სერიოზულ მარცხს გამოიწვევდა. ნებისმიერი ფართომასშტაბიანი ოპერაცია, როგორც წესი, მოკავშირეზე განხორციელებული სერიოზული თავდასხმაა. სამივე სახელმწიფო მიმართავს - ან ჰგონია, რომ მიმართავს - ერთსა და იმავე სტრატეგიას. ეს უკანასკნელი მდგომარეობს იმაში, რომ ბრძოლის, ვაჭრობისა და კარგად გამოზომილი მოღალატური აქტების კომბინირებით მოპოვებულ იქნას ერთ-ერთი მეტოქე-სახელმწიფოს სამხედრო ბაზების მთელი რგოლი, შემდეგ კი ხელი მოეწეროს მეგობრობის ხელშეკრულებას და გაგრძელდეს მშვიდობიანი თანაარსებობა მანამდე, სანამ ეჭვი არ მიიძინებს. ამასობაში ატომური ბომბებით აღჭურვილი რაკეტები სტრატეგიულ წერტილებში განლაგდება და, შესაფერის მომენტში, ყველა ერთად გავარდება. ამას იმდენად დამანგრეველი ეფექტი

მოჰყვება, რომ ვერანაირად ვერ გაეცემა ჯეროვანი პასუხი. მომდევნო შეტევის მოლოდინში კი, სწორედაც, დროული იქნება, ხელი მოეწეროს მეგობრობის ხელშეკრულებას დარჩენილ მესამე სახელმწიფოსთან.

ზედმეტია იმის თქმა, რომ ეს სქემა სხვა არაფერია, თუ არა ფუჭი ოცნება, რომელსაც განხორციელება არ უწერია. მეტიც: არავითარი შეტაკება არ ხდება, თუ არ ჩავთვლით პოლუსის ან ეკვატორის მიმდებარე სადავო ტერიტორიებს. არ ხდება არავითარი შეჭრა მტრის მიწაზე. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ზოგ ადგილას სახელმწიფოთაშორისი საზღვრები პირობითია და დროდადრო იცვლება. მაგალითად, ევრაზიას იოლად შეეძლო დაეპყრო ბრიტანეთის კუნძულები, რომლებიც გეოგრაფიულად ევროპის კუთვნილებაა. მეორე მხრივ, ოკეანიას თავადაც შეეძლო გადაეწია თავისი საზღვრები რაინამდე ან თვით ვისტულამდე. მაგრამ ეს დაარღვევდა კულტურული ინტეგრაციის საყოველთაოდ აღიარებულ, თუმცა არასოდეს ფორმულირებულ პრინციპს. ოკეანიას რომ განეზრახა ერთ დროს საფრანგეთად ან გერმანიად წოდებული ტერიტორიების დაპყრობა, მაშინ აუცილებელი გახდებოდა ან მთელი იქაური მოსახლეობის გაწყვეტა (რაც ფიზიკურად დიდად საძნელო საქმე იქნებოდა), ან დაახლოებით ას მილიონამდე ისეთი მოსახლეობის ასიმილირება, რომელიც, ტექნიკური განვითარების დონით, ძლივს ეწევა ოკეანიას. პრობლემა სამივე ზესახელმწიფოსთვის ერთი და იგივეა. მათი შინაგანი სტრუქტურისთვის აუცილებელი პირობაა, რომ თითოეულ მათგანს არავითარი კონტაქტი არ ჰქონდეს უცხოელებთან, სამხედრო ტყვეებისა და ფერადკანიანი მონების გარდა, ისიც - შეზღუდული რაოდენობით. თვით მოცემული მომენტის ოფიციალურ მოკავშირესაც კი ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებენ. თუ არ ჩავთვლით სამხედრო ტყვეებს, ოკეანიის საშუალო მოქალაქე არასოდეს აჩერებს მზერას ევრაზიის თუ აღმოსავლეთაზიის მოქალაქეზე. მას თვით უცხო ენის ცოდნაც კი ეკრძალება. უცხოელებთან კონტაქტი რომ არ ეკრძალებოდეს, აღმოაჩენდა, რომ იმ სახელმწიფოთა მოქალაქენიც მისი მსგავსი არსებები არიან და თითქმის ყველაფერი ტყუილია, რაც მათზე აქამდე უამბეს. დალუქულ-დაბეჭდილი სამყარო, რომელშიც იგი აქამდე ცხოვრობდა, დაიმსხვრეოდა და ერთიანად აორთქლდებოდა ყველაფერი, რაზეც დამყარებულია მთელი მისი მორალი: შიში, სიძულვილი თუ საკუთარი ცხოვრების მართებულების გრძნობა. ამიტომაც ყველა მხარეს მშვენივრად ესმის: რა ხშირადაც უნდა შეეცვალოს სახელმწიფოებრივი კუთვნილება სპარსეთს, ეგვიპტესა თუ ცეილონს, თვით ზესახელმწიფოთა ძირითადი საზღვრები მაინც არ უნდა გადაიკვეთოს უცხო ძალის რაიმე გამოვლინებით, გარდა ბომბებისა.

ამის უკან დგას ფაქტი, რომელიც ხმამაღლა არასოდეს უთქვამთ, თუმცა უსიტყვოდ ესმოდათ და იყენებდნენ: სახელდობრ ის, რომ ცხოვრების პირობები სამივე ზესახელმწიფოში თითქმის ერთნაირია. ოკეანიაში გაბატონებულ ფილოსოფიას ინგსოცი ჰქვია, ევრაზიაში - ნეობოლშევიზმი, აღმოსავლეთაზიაში იყენებენ ჩინურ სიტყვას, რომელიც, ჩვეულებრივ, „სიკვდილის თაყვანისცემად“ ითარგმნება, მაგრამ, შესაძლოა, უკეთესი იყოს „საკუთარი თავის უარყოფა“. ოკეანიის მოქალაქეებს ეკრძალებათ, იცოდნენ რაიმე დანარჩენი ორი ფილოსოფიიდან, - მათ ბავშვობაშივე ასწავლიან ამ უკანასკნელთა მიჩნევას ზნეობისა და საღი აზრის ბარბაროსულ დამახინჯებად. არსებითად, სამ ფილოსოფიას ერთმანეთისგან ბევრი არაფერი განასხვავებს, ხოლო მათ მიერ

ნასაზრდოები სოციალური სისტემები საერთოდ იდენტურნი არიან. ყველგან ერთი და იგივე პირამიდული სტრუქტურაა, ნახევრად ღმერთი ლიდერის ერთნაირი გაღმერთება, ერთი და იგივე ეკონომიკა, რომელიც -ომით ნასაზრდოები - ომისთვისვე არსებობს. აქედან გამომდინარეობს, რომ სამ ზესახელმწიფოთაგან რომელიმეს არათუ არ შეუძლია მეორის დაპყრობა, არამედ -რომც ეცადოს - ვერავითარ უპირატესობას ვერ მოიპოვებს. პირიქით, რამდენადაც ისინი ერთმანეთთან მუდმივ კონფლიქტში არიან, დღემდე ისევე ეყრდნობიან ერთმანეთს, როგორც ხორბლის თავთავების სამი ძნა. და, როგორც წესი, სამივე სახელმწიფოს მმართველმა ჯგუფმა ერთდროულად იცის და არც იცის, რას აკეთებს სინამდვილეში. მათი ცხოვრება ეძღვნება მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვებას, თუმცა ისიც იციან, რომ ომი მარადიულად და ვისიმე გაუმარჯვებლად უნდა გრძელდებოდეს. ამასობაში ის ამბავი, რომ რომელიმე მათგანის საბოლოო გამარჯვება შეუძლებელია, შესაძლებელს ხდის სინამდვილის უარყოფას, რაც ინგსოცისა და მისი მეტოქე სისტემების ნიშანდობლივი შტრიხია. აქ აუცილებელია გავიმეოროთ ზემოთქმული: ომის გადაქცევამ დაუსრულებელ პროცესად ძირეულად შეცვალა მისი ხასიათი.

წარსულ საუკუნეებში ომი - თითქმის მისი საყოველთაო განსაზღვრებით - იყო რაღაც ისეთი, რაც ადრე თუ გვიან, როგორც წესი, არაორაზროვანი გამარჯვებით ან მარცხით მთავრდებოდა. წარსულში, აგრეთვე, ომი წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ადამიანური საზოგადოებები ეხებოდნენ ფიზიკურ სინამდვილეს. ყველა საუკუნის ყველა მმართველს უცდია თავისი მიმდევრებისთვის თავს მოეხვია მსოფლიოს ყალბი წარმოდგენა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ დაუშვებდა რაიმე ისეთ ილუზიას, რომელიც მიმართული იქნებოდა სამხედრო პოტენციალის შესუსტებისკენ. რამდენადაც დამარცხება ნიშნავდა დამოუკიდებლობის დაკარგვას ან სხვა არასასურველ შედეგს, ამდენად, დამარცხების საწინააღმდეგოდ სერიოზული ზომები უნდა მიეღოთ. ფიზიკური ფაქტების უგულებელყოფა დაუშვებელი იყო. ფილოსოფიაში, რელიგიაში, ეთიკასა თუ პოლიტიკაში ორჯერ ორი შეიძლებოდა ხუთი ყოფილიყო, მაგრამ თოფის ან თვითმფრინავის გამოგონების დროს მაინც ოთხი უნდა მიეღოთ. არაქმედითი ერები, ადრე თუ გვიან, მარცხდებოდნენ, ქმედითობისთვის ბრძოლა კი ილუზიებს უპირისპირდებოდა. მეტიც: ქმედითობისთვის აუცილებელი იყო წარსულისგან სწავლა, რაც ნიშნავდა სრულებით ნათელი წარმოდგენის ქონას იმის შესახებ, რა მოხდა უწინ. გაზეთები და ისტორიის წიგნები, რასაკვირველია, ყოველთვის შეფერადებული და ობიექტურობისგან გადახრილი იყო, მაგრამ სადღეისოდ გავრცელებული ფალსიფიკაცია მაშინ შეუძლებელი იქნებოდა. ომი კეთილგონიერების სრულ გარანტიას წარმოადგენდა, მმართველი კლასებისთვის კი -გარანტიათაგან უმნიშვნელოვანესს. ვიდრე ომი შეიძლებოდა მოგეგო ან წაგეგო, ვერც ერთი მმართველი კლასი მთლიანად ვერ აიცილებდა თავიდან პასუხისმგებლობას.

მაგრამ როდესაც ომი დაუსრულებლად გრძელდება, ის უკვე უსაფრთხო ხდება. ამ შემთხვევაში აღარ არსებობს ისეთი რამ, რასაც სამხედრო აუცილებლობა ჰქვია. ტექნიკური პროგრესი შეიძლება შეწყდეს, ყველაზე ცხადი ფაქტები კი უარყოფილ ან უგულებელყოფილ იქნეს. როგორც ვნახეთ, ის, რასაც მეცნიერულ კვლევას უწოდებენ, საბოლოოდ, სამხედრო მიზნებს ემსახურება, თუმცა, არსებითად, ეს არის ფუჭი მეოცნებეობა და მათი უშედეგობაც უმნიშვნელოა. ქმედითობა - თვით

სამხედრო ქმედითობაც კი - უკვე აღარ არის საჭირო. ოკეანიაში აღარაფერია საჭირო, აზრის პოლიციის გარდა. რაკი სამივე ზესახელმწიფო უძლეველია, თითოეული მათგანი, არსებითად, წარმოადგენს დამოუკიდებელ სამყაროს, რომლის ფარგლებშიც უსაფრთხოდ შეიძლება განხორციელდეს აზრის ყოველგვარი შებღალვა. სინამდვილის დაწოლა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრების ისეთ საჭიროებებში მჟღავნდება, როგორიც არის ჭამა-სმა, თავშესაფრისა და სამოსის შოვნა, თავის არიდება შხამის გადაყლაპვის ან ბოლო სართულის ფანჯრიდან გადახტომისგან... ჯერ კიდევ არის განსხვავება სიცოცხლესა და სიკვდილს, სიამოვნებასა და ტკივილს შორის, მაგრამ სულ ეს არის და ეს. სხვა სახელმწიფოებსა და წარსულს მოწყვეტილი ოკეანიის მოქალაქე ჰგავს ვარსკვლავთშორისი სივრცის მკვიდრს, რომელიც ვერანაირად ვერ განსაზღვრავს, სად არის „მაღლა“, სად - „დაბლა“. ამგვარ სახელმწიფოს ისეთი აბსოლუტური მმართველები ჰყავს, როგორიც არასოდეს ყოფილან ფარაონები და კეისრები. ისინი იძულებულნი არიან, შიმშილით სიკვდილს აარიდონ მათ მიმდევართა უხერხულად დიდი რაოდენობა, ისევე, როგორც იძულებულნი არიან, დარჩნენ სამხედრო განვითარების ისეთსავე დაბალ დონეზე, როგორზეც მათი მეტოქენი დგანან. მაგრამ როცა ეს მიღწეულია, მათ შეუძლიათ რეალობას ისეთი ფორმა მისცენ, როგორსაც თვითონ აირჩევენ.

ამიტომ უწინდელი ომების ფონზე დღევანდელი ომი, უბრალოდ, თაღლითობაა. ის წააგავს შეტაკებებს რომელიღაც მცოხნავ ცხოველებს შორის, რომელთაც რქები ისეთი კუთხით გამოზრდიათ, რომ ერთმანეთს ვერაფერს უშავებენ. მაგრამ თავისი არარეალურობის მიუხედავად, ეს ომი მაინც არ არის მოკლებული საზრისს. ის ნთქავს ჭარბწარმოებულ საქონელს და ინარჩუნებს იერარქიული საზოგადოებისთვის საჭირო საგანგებო მენტალურ ატმოსფეროს. ომი, როგორც ეს გამოჩნდება, ამჯერად ქვეყნის პირწმინდად შინაგანი საქმეა. მიუხედავად იმისა, რომ შეეძლოთ ამოეცნოთ საერთო ინტერესები და შეეზღუდათ ომით გამოწვეული ნგრევა, წარსულში ომის მონაწილე ყველა ქვეყნის მთავრობები ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ და გამარჯვებული ყოველთვის ძარცვავდა დამარცხებულს. ჩვენს დროში ისინი საერთოდ არ ებრძვიან ერთმანეთს. თითოეული მმართველი ჯგუფი ომს იწყებს ქვეყნის შიდა სუბიექტების მიმართ და ამ ომის ობიექტი რაიმე ტერიტორიის დაპყრობა ან შენარჩუნება კი არ არის, არამედ საზოგადოების სტრუქტურის ხელუხლებლად დატოვება. ამიტომაც სიტყვა „ომი“ უკვე ცდომილებას შეიცავს. უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ დაუმთავრებელი ხასიათის შეძენით ომმა არსებობა შეწყვიტა. ის განსაკუთრებული ზეწოლა, რომელსაც ომი ახდენდა ადამიანებზე ნეოლითის ხანიდან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, ამჯერად გაქრა და სულ სხვა რამით შეიცვალა. მთლიანი ეფექტი ზუსტად იგივე იქნებოდა, თუ სამივე ზესახელმწიფო მოილაპარაკებდა, რომ ერთმანეთთან ბრძოლის სანაცვლოდ მარადიულ მშვიდობაში ეცხოვრათ და თითოეულ მათგანს მხოლოდ თავის შიგნით ეძალადა. ასეთ შემთხვევაში, თითოეული მათგანი ისევ თვითმყოფადი სამყარო იქნებოდა, სამუდამოდ თავისუფალი გარედან მომავალი საფრთხის გამომაფხიზლებელი ზემოქმედებისგან. მართლაც დაურღვეველი ეს მშვიდობა, იმავდროულად, მუდმივი ომიც იქნებოდა. და თუმცა პარტიის წევრთა დიდ უმრავლესობას ეს უფრო ზედაპირულად ესმოდა, არსებითად, სწორედ ეს იყო შინაგანი საზრისი პარტიის ლოზუნგისა „ომი მშვიდობაა“.

უინსტონმა ცოტა ხნით კითხვა შეწყვიტა. სადღაც შორს ჭურვმა ჩაიგრუხუნა. უეკრანო ოთახში აკრძალულ წიგნთან ერთად მარტო ყოფნის ნეტარებას კვლავ ცინცხლად შეიგრძნობდა. მარტოობა და უსაფრთხობა ფიზიკურ შეგრძნებად ქცეულიყო და სხეულის დაღლილობის, სკამის სირბილის, ფანჯრიდან მობერილი და მის ლოყაზე მოლამუნე სიოს შეგრძნებებს ერთვოდა. წიგნმა უინსტონი მოხიბლა, უფრო ზუსტად - მოამაგრა. გარკვეული აზრით, იქიდან ახალი არაფერი გაუგია, მაგრამ თვით ესეც მიზიდულობას ქმნიდა. წიგნი იმას ამბობდა, რასაც თვითონვე იტყოდა, თუ მოახერხებდა და გაფანტულ აზრებს თავს მოუყრიდა. ეს წიგნი მისი გონების მსგავს გონებას დაეწერა, ოღონდ შეუდარებლად უფრო ძალუმს, სისტემატურსა და ნაკლებად დაშინებულს. საუკეთესო წიგნები ისინია, რომლებიც ისეთ რამეს გეუბნებიან, რაც უკვე იციო, - ფიქრობდა უინსტონი. ის იყო, წიგნის პირველ თავს მიუბრუნდა, რომ კიბეზე ამომავალი ჯულიას ფეხის ხმა მოესმა და მის შესახვედრად წამოდგა. ჯულიამ თავისი ყავისფერი ჩანთა ძირს დააგდო და უინსტონს ჩაუვარდა მკლავებში. ერთ კვირაზე მეტი იყო, რაც ერთმანეთი არ ენახათ.

- წიგნი ვიშოვე, - თქვა უინსტონმა, როცა ერთმანეთს გამოეცალნენ.

- აჰ, იშოვე? ძალიან კარგი, - წარმოთქვა ჯულიამ დიდი ინტერესის გარეშე და თითქმის იმწამსვე ნავთქურასთან ჩაიმუხლა ყავის მოსადუღებლად.

ნახევარი საათის განმავლობაში, ვიდრე საწოლში იყვნენ, ამ თემას აღარ დაჰბრუნებიან. საკმაოდ გრილი საღამო იდგა და არ ღირდა საბნის გადახდა. ქვემოდან ისევ ისმოდა ნაცნობი სიმღერა და ფილაქანზე მოფრატუნე ფლოსტების ხმა. უინსტონის აქ მოსვლის პირველივე დღეს ნანახი წითელმკლავებიანი მოყავისფრო ქალი ეზოს შემადგენელ ნაწილად ქცეულიყო. თითქმის არ არსებობდა დღის მონაკვეთი, როდესაც იგი ონკანსა და გაჭიმულ თოკს შორის არ დადიოდა და საკიდრების პირში ჩადებას აქტიურად არ უნაცვლებდა მგზნებარე სიმღერას. ჯულია თავის ნახევარზე მოთავსდა და, ის იყო, უკვე იძინებდა, რომ უინსტონმა ძირს დადებული წიგნი აიღო და საწოლის საზურგეს მიეყრდნო.

- შენც უნდა წაიკითხო, - უთხრა ჯულიას, - საძმოს ყველა წევრმა უნდა წაიკითხოს.

- შენ წაიკითხე, - უპასუხა თვალდახუჭულმა ჯულიამ, - ხმამაღლა წაიკითხე. ასე ჯობია. თან, გზადაგზა, ამიხსნი კიდეც. საათის ისრები ექვსს უჩვენებდნენ, რაც თვრამეტს ნიშნავდა. წინ მთელი სამი თუ ოთხი საათი ჰქონდათ. უინსტონმა წიგნი მუხლებს დააყრდნო და კითხვა დაიწყო:

თავი I - უმეცრება ძალაა

მთელი ისტორიის მანძილზე - ალბათ, ნეოლითის ხანის დასასრულიდან - არსებობდა სამი კატეგორიის ადამიანი: მაღალი, საშუალო და დაბალი. ისინი მრავალნაირად იყოფოდნენ, უთვალავ განსხვავებულ სახელს ატარებდნენ და მათი შეფარდება, ისევე, როგორც მათი ურთიერთმიმართება საუკუნიდან საუკუნემდე იცვლებოდა, მაგრამ საზოგადოების ზოგადი სტრუქტურა ყოველთვის იგივე რჩებოდა. თვით უზარმაზარი ძვრებისა და თითქოსდა შეუქცევადი ცვლილებების შემდეგ საზოგადოება ისევ იმავე სქემით

კომპლექტდებოდა. სწორედ ასე იბრუნებს წონასწორობას გიროსკოპი, როგორც უნდა გადასწიონ ერთ ან მეორე მხარეს.

- ჯულია, გღვიძავს?- ჰო, ჩემო საყვარელო, გისმენ. განაგრძე. საოცარია.

ამ სამ დაჯგუფებას ყოველთვის ამოძრავებდა ერთმანეთთან სრულებით შეუთავსებელი მიზნები. მაღლების მიზანია იქვე დარჩენა, სადაც არიან. საშუალოების მიზანია, შეენაცვლონ მაღლებს. დაბლების მიზანი კი - როცა მათ საერთოდ უჩნდებათ მიზანი (გავრცელებული დახასიათების მიხედვით ხომ დაბლები მეტისმეტად გასრესილნი არიან მძიმე შრომით და, თავიანთი ყოველდღიური ცხოვრების გარდა, ვერაფერს აცნობიერებენ) - ის არის, რომ გააუქმონ ყოველგვარი განსხვავება და შექმნან ისეთი საზოგადოება, რომელშიც ყველა თანასწორი იქნება. ამგვარად, მთელი ისტორიის მანძილზე კიდევ და კიდევ მეორდება არსობრივად ერთი და იგივე ბრძოლა. ხანგრძლივ პერიოდებში მაღლები თითქოს ურყევად ინარჩუნებენ ძალაუფლებას. მაგრამ ადრე თუ გვიან, ყოველთვის დგება მომენტი, როცა ისინი ან საკუთარი თავის რწმენას კარგავენ, ან ქმედითი მართვის უნარს, ან ორივეს. ასეთ მომენტებში მათ ამხობენ საშუალოები, რომლებიც გვერდით იყენებენ დაბლებს, რაკი მოაჩვენებენ, ვითომც ეს უკანასკნელნი საკუთარი თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის იბრძვიან. როგორც კი საშუალოები თავიანთ მიზანს აღწევენ, დაბლებს კვლავ თავის მონურ მდგომარეობაში აბრუნებენ, თვითონ კი მაღლების ადგილს იკავებენ. ამჟამად საშუალოთა ახალი დაჯგუფება კიდევ ერთხელ იწყებს თავის ოდინდელ ბრძოლას. სამი დაჯგუფებიდან მხოლოდ დაბლები ვერ აღწევენ თავიანთ მიზნებს თუნდაც ნაწილობრივ და დროებით. გაზვიადება იქნებოდა იმის თქმა, რომ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არ მოხდა არანაირი მატერიალური პროგრესი. დღესაც კი, საყოველთაო რეგრესის პერიოდში, საშუალო ადამიანი ფიზიკურად უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე რამდენიმე საუკუნის წინ. მაგრამ ვერც დოვლათის ზრდამ, ვერც მანერების შერბილებამ, ვერავითარმა რეფორმამ თუ რევოლუციამ მილიმეტრიც კი ვერ მოაკლო ადამიანურ უთანასწორობას. დაბლების ხედვის წერტილიდან, არც ერთი ისტორიული ცვლილება არ ყოფილა მათი ბატონების სახელის შეცვლაზე ბევრით მეტი.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს მრავალი დამკვირვებლისთვის ცხადი შეიქნა ამ სქემის განმეორებადობა. აღმოცენდა ისეთ მოაზროვნეთა სკოლები, რომლებიც ისტორიას განმარტავდნენ, როგორც ციკლურ პროცესს და ამტკიცებდნენ, რომ უთანასწორობა ადამიანური ცხოვრების შეუცვლელი წესია. რასაკვირველია, ამ მოძღვრებას ყოველთვის ჰყოლია თავისი მიმდევრები, მაგრამ ამჯერად მასში არსებითი ცვლილება შეიტანეს. საზოგადოების იერარქიული წყობის საჭიროება წარსულში სპეციფიკურად მხოლოდ მაღლების მოძღვრების ნაწილს შეადგენდა. მას ქადაგებდნენ მეფეები და არისტოკრატები, ისევე, როგორც მღვდლები, იურისტები და სხვა მსგავსი პარაზიტები. ამ მოძღვრებას ნაწილობრივ არბილებდა იმ კომპენსაციის დაპირება, რომელიც ადამიანებს ვითომც საიქიოში ელოდათ. საშუალოები, რაკი ძალაუფლებისთვის იბრძოდნენ, მუდამ მიმართავდნენ ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა თავისუფლება, საძმო და სამართლიანობა. მაგრამ ამჟამად ადამიანთა ძმობის კონცეფციას მგზნებარედ იყენებენ ისინი, რომლებსაც მართვის სადავეები ჯერ არ სჭერიათ, თუმცა დიდი ხანია ამ იმედს ატარებენ. წარსულში რევოლუციებს საშუალოები ახდენდნენ

თანასწორობის სახელით და მაშინვე ახალ ტირანიას ამყარებდნენ, როგორც კი ძველს დაამხობდნენ. ახალი საშუალოები, ფაქტობრივად, წინასწარ აცხადებენ თავის ტირანიას. სოციალიზმს - მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში წარმოქმნილ თეორიას და ანტიკურობის დროინდელ მონათა აჯანყებიდან დაწყებული, ჯაჭვის უკანასკნელ რგოლს - წარსული საუკუნეების უტოპიანიზმის ბეჭედი აზის. თუმცა ყველა იმ სოციალიზმში, რომლებიც 1900 წლის შემდეგ შეიქმნა, თავისუფლება-თანასწორობისკენ - როგორც თავისთავადი მიზნისკენ - სწრაფვა უფრო და უფრო დაუფარავად იქნა უკუგდებული. საუკუნის შუა პერიოდში წარმოქმნილ ახალ მოძრაობებს - ოკეანიურ ინგსოცს, ევრაზიულ ნეობოლშევიზმს და აღმოსავლეთაზიურ სიკვდილის თაყვანისცემას (საყოველთაოდ გავრცელებული სახელწოდებით) - შეგნებულ მიზნად ჰქონდა არათავისუფლება და არათანასწორობა. ეს ახალი მოძრაობები, რა თქმა უნდა, ძველებისგან იშვა. სცადეს კიდეც, შეენარჩუნებინათ ძველი სახელები და ყასიდად ედიდებინათ ძველების იდეოლოგია. არსებითად კი, ყოველი მათგანის მიზანი იყო პროგრესის შეჩერება და ისტორიის გაყინვა მოცემულ მომენტში. ქანქარას ნაცნობი რხევა კიდევ ერთხელ უნდა განმეორებულიყო და შემდეგ საბოლოოდ შეჩერებულიყო. როგორც ადრე ხდებოდა, საშუალოებს მაღლები უნდა დაემხოთ და მათი ადგილი დაეკავებინათ, ოღონდ ამჯერად - ერთხელ და სამუდამოდ.

ახალი მოძღვრებები იშვა, ნაწილობრივ, ისტორიული ცოდნის დაგროვების გამო, ნაწილობრივ კი - ისტორიის შეგრძნების ზრდის მიზეზით. ეს შეგრძნება, შეიძლება ითქვას, მეცხრამეტე საუკუნემდე არც კი არსებობდა. ისტორიის ციკლური მოძრაობა ამჯერად მოხელთებადი გახდა ან, ყოველ შემთხვევაში, ასეთად გამოჩნდა. და რაკი ასეა, მაშინ შესაძლებელი შეიქნა მისი შეცვლაც. მაგრამ ამ მოძღვრებათა წარმოქმნის არსებით და სიღრმეში მყოფ მიზეზს მაინც ის წარმოადგენდა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ადამიანური თანასწორობა ტექნიკურად შესაძლებელი გახდა. მართალია, ადამიანები თავ-თავიანთი ბუნებრივი ნიჭიერებით ერთმანეთს ჩამოუვარდებოდნენ და, ამდენად, მათი ფუნქციებიც ისეთნაირად უნდა განაწილებულიყო, რომ ერთი მეორეს აღმატებოდა, მაგრამ, ამასთან ერთად, აღარ არსებობდა რაიმე რეალური საჭიროება კლასობრივი თუ დიდი ქონებრივი განსხვავებისთვის. ადრეულ საუკუნეებში კლასობრივი განსხვავებები არა მხოლოდ გარდაუვალი იყო, არამედ სასურველიც. უთანასწორობა თან სდევდა ცივილიზაციის ნაკლებობას. მაგრამ მანქანური პროდუქციის შექმნასთან ერთად ვითარება შეიცვალა. მართალია, ადამიანებს მაინც უნდა შეესრულებინათ სხვადასხვა სამუშაო, მაგრამ აღარ არსებობდა აუცილებლობა იმისა, რომ მათ განსხვავებულ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში ეცხოვრათ. ამიტომაც იმ დაჯგუფებებისთვის, რომლებსაც სულ მალე ხელში უნდა ჩაეგდოთ ძალაუფლება, ადამიანური თანასწორობა მისწრაფების კი არა, სწორედ თავიდან აცილების საგანს წარმოადგენდა. უფრო პრიმიტიულ საუკუნეებში, როცა სამართლიანი და თავისუფალი საზოგადოება პრაქტიკულად ვერ იარსებებდა, სავსებით შესაძლებელი იყო თანასწორობის ამ იდეალის დაჯერება. ხალხთა წარმოსახვას ათასწლეულების განმავლობაში აღაგზნებდა იდეა მიწიერი სამოთხისა, სადაც ადამიანები ძმური თანაარსებობით იცხოვრებდნენ, ყოველგვარი კანონისა თუ მონური შრომის გარეშე. ეს აზრი გარკვეულწილად ჭკუაში უჯდებოდათ იმ დაჯგუფებებსაც კი, რომლებიც სათავისო სარგებელს ყოველ ისტორიულ ცვლილებაში პოულობდნენ. საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის

რევოლუციების მემკვიდრეებს, ნაწილობრივ, სჯეროდათ კიდეც საკუთარი ლოზუნგები ადამიანის უფლებების, სიტყვის თავისუფლების, კანონის წინაშე თანასწორობის შესახებ და თავისი მმართველობა რამდენადმე ამ გეზითაც მიჰყავდათ. მაგრამ მეოცე საუკუნის მეოთხე ათწლეულში პოლიტიკური აზრის ყველა ძირითადი ნაკადი უკვე ავტორიტარული გახდა. მიწიერი სამოთხე დისკრედიტირებულ იქნა სწორედ მაშინ, როდესაც თითქოს დამკვიდრებამდე აღარაფერი უკლდა. ყველა ახალი პოლიტიკური თეორია, რა სახელიც უნდა ეტარებინა, უკან მიუბრუნდა იერარქიას და დაქვემდებარებას. და ადამიანური მსოფლხედვის ამ საერთო გახევებაში, ანუ დაახლოებით 1930 წელს, არათუ ახალი სიცოცხლით აღორძინდა ზოგ შემთხვევაში, უკვე საუკუნეების წინ უარყოფილი ისეთი ქმედებები, როგორიცაა გაუსამართლებლად დაპატიმრება, სამხედრო ტყვეთა მონური გამოყენება, სიკვდილით დასჯა საჯაროდ, გამოსატეხი წამება, მძევლების აყვანა და მთელი მოსახლეობის დეპორტაცია, არამედ ამ ყველაფერს ტოლერანტული თვალით შეხედეს და დამცველებადაც კი დაუდგნენ ადამიანები, თავიანთ თავს განსწავლულად და პროგრესულად რომ მიიჩნევდნენ.

სამამულო და სამოქალაქო ომების, რევოლუციებისა და კონტრრევოლუციების ათწლეულის შემდეგ მთელ მსოფლიოში ერთდროულად გამოჩნდა ინგსოცისა და მისი მეტოქეების მთლიანად დამუშავებული პოლიტიკური თეორიები. თუმცა ეს თეორიები დაჩრდილა საუკუნის დასაწყისში ამოტივტივებულმა „ტოტალიტარულად“ წოდებულმა სხვადასხვა სისტემამ და უკვე კარგა ხნით ადრე გამოჩნდა იმ მსოფლიოს მთავარი მონახაზიც, საყოველთაო ქაოსიდან რომ უნდა აღმოცენებულიყო. ისიც ნათელია, თუ რა კატეგორიის ადამიანები გააკონტროლებდნენ ამ მსოფლიოს. ახალი არისტოკრატია შეიქმნა ბიუროკრატიის დიდი ნაწილის, მეცნიერების, ტექნოკრატების, სავაჭრო კავშირების ორგანიზატორების, სახალხო ექსპერტების, სოციოლოგების, მასწავლებლების, ჟურნალისტებისა და პროფესიონალი პოლიტიკოსებისგან. ხელფასით უზრუნველყოფილი საშუალო ფენიდან წარმოშობილი ეს ხალხი გამოძერწა და ერთად შეყარა მონოპოლიური ინდუსტრიისა და ცენტრალიზებული მმართველობის მწირმა სამყარომ. წინა საუკუნეებში მოღვაწე მათი მეტოქეებისგან განსხვავებით, ისინი ნაკლებად ხარბები და ფუფუნებით ნაკლებად ცდუნებულნიც იყვნენ, წმინდა ძალაუფლებას უფრო დანატრულნიც და, უწინარეს ყოვლისა, თავის წინამორბედებზე უფრო მეტად გამცნობიერებელნი იმისა, რას აკეთებდნენ, და უფრო მეტად შემართულნი მოწინააღმდეგეთა დასამხობად. ეს უკანასკნელი განსხვავება მართლაც კარდინალური იყო. დღევანდელ ტირანიასთან შედარებით წარსულის ყველა ტირანია სანახევრო და არაქმედითი ჩანდა. მმართველი ჯგუფები, მუდამ რამდენადმე ატანილნი ლიბერალური იდეებით და იმით კმაყოფილნი, რომ ყველგან თავისი აზრების თავისუფალ ბოლოებს ტოვებდნენ, მხოლოდ ღია ქმედებას უყურებდნენ და არ აინტერესებდათ, რას ფიქრობდნენ მათი სუბიექტები. თვით შუა საუკუნეების დროინდელი კათოლიკური ეკლესიაც კი ტოლერანტულად უყურებდა ცხოვრების თანამედროვე სტანდარტებს. ამის მიზეზი, ნაწილობრივ, ის იყო, რომ წარსულში არც ერთ ხელისუფლებას არ ძალუძდა თავისი ქვეყნის მოქალაქეთა ყოლა მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ. ბეჭდვის გამოგონებამ უფრო ადვილი გახადა მანიპულირება საზოგადოებრივი აზრით, ფილმმა და რადიომ კი, ამ მხრივ, საქმე უფრო წინაც წასწია. ტელევიზიისა და ტექნიკის საერთო განვითარებასთან ერთად, როცა შესაძლებელი გახდა ინფორმაციის მიღება და გადაცემა ერთი და

იმავე ინსტრუმენტის მეშვეობით, ბოლო მოეღო ადამიანის პირად ცხოვრებასაც. შესაძლებელი გახდა ოცდაოთხსაათიანი პოლიციური კონტროლი, ისევე, როგორც სამუდამო მოხვედრა ოფიციალური პროპაგანდის ყბაში (თანაც - კომუნიკაციის ყველა სხვა არხის გადაკეტვით) თითოეული მოქალაქისა ან, ყოველ შემთხვევაში, ყველა ისეთი მოქალაქისა, რომელიც რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი იყო სათვალთვალოდ. პირველად განხორციელდა არათუ მხოლოდ სრული დაქვემდებარება სახელმწიფოს ნებისადმი, არამედ ყველა საკითხში მოქალაქეთა შეხედულებების სრული ერთნაირობის დამკვიდრებაც.

ორმოცდაათიან-სამოციანი წლების რევოლუციური პერიოდის შემდეგ საზოგადოება უწინდებურად დაჯგუფდა მაღალ, საშუალო და დაბალ კატეგორიებად. მაგრამ, თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, მაღლები ინსტინქტით კი არ ამოქმედდნენ, არამედ სრული შეგნებით იმისა, თუ რა იყო საჭირო ახლად მოპოვებული პოზიციის განსამტკიცებლად. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გაირკვა, რომ ერთადერთ მკვიდრ საყრდენს ოლიგარქიისთვის წარმოადგენს კოლექტივიზმი. სიმდიდრე და პრივილეგია ყველაზე კარგად მაშინ არის დაცული, როცა მათ გაერთიანებული ძალებით ფლობენ. ეგრეთ წოდებული „კერძო საკუთრების მოსპობა“, რასაც ადგილი ჰქონდა ამ საუკუნის შუა წლებში, არსებითად, ნიშნავდა ქონების მოხვედრას უწინდელზე გაცილებით უფრო ნაკლები ინდივიდის ხელში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახალი მფლობელები წარმოადგენდნენ ადამიანთა ერთ ჯგუფს და არა მთელ მასას. ინდივიდუალურად, პარტიის არც ერთი წევრი არ ფლობს არაფერს, უმნიშვნელო პირადი ნივთების გარდა. კოლექტიურად, პარტიას ეკუთვნის მთელი ოკეანია, რადგან ყველაფერს აკონტროლებს და ისე განკარგავს ქვეყანაში შექმნილ დოვლათს, როგორც თავად მიიჩნევს საჭიროდ. რევოლუციის შემდგომ წლებში შესაძლებელი გახდა ამ მმართველ პოზიციაში მოხვედრა, რადგან მთელი პროცესი წარმოდგენილ იქნა კოლექტივიზაციის აქტად. ყოველთვის ითვლებოდა, რომ კაპიტალიზმის გაუქმებას უთუოდ სოციალიზმი მოჰყვებოდა. და კაპიტალისტებს ულაპარაკოდ ჩამოერთვათ ქონება - ქარხნები, მაღაროები, მიწა, სახლები, ტრანსპორტი. და რადგან ეს ყველაფერი აღარ წარმოადგენდა კერძო საკუთრებას, ესე იგი, უკვე ხალხის ქონება იყო. ინგსოცმა, რომელიც ადრეული სოციალისტური მოძრაობიდან ამოიზარდა და მემკვიდრეობით მიიღო მისი ფრაზეოლოგია, ფაქტობრივად, განახორციელა სოციალისტური პროგრამის მთავარი დებულება წინასწარ გათვალისწინებულ-დაგეგმილი შედეგით: მუდმივი ეკონომიკური უთანასწორობით.

მაგრამ საზოგადოების იერარქიული წყობის გამუდმივებასთან დაკავშირებული პრობლემები უფრო ღრმად მიდის. არსებობს მმართველი ჯგუფის დამხობის ოთხი გზა: ის ან გარედან მარცხდება, ან ისე არაეფექტურად მართავს, რომ მასები ჯანყდებიან, ან დაუშვებს იმას, რომ შეცვლილ იქნას ძლიერი და უკმაყოფილო საშუალო ჯგუფით, ან თვითონვე კარგავს თვითრწმენას და მართვის შინაგან ნებას. ეს ოთხი მიზეზი არა ცალ-ცალკე, არამედ, როგორც წესი, ერთდროულად მოქმედებს, ოღონდ სხვადასხვა შემთხვევაში - განსხვავებული შეფარდებით. ოთხივე მხრიდან დაცული მმართველი კლასი მუდმივად დარჩება სათავეში. საბოლოოდ, განმსაზღვრელი ფაქტორი თვით მმართველი კლასის გონებრივი პოზიციაა.

მიმდინარე საუკუნის შუა პერიოდის შემდეგ პირველი საფრთხე, არსებითად, აღარ არსებობს. მსოფლიოს გამნაწილებელი სამი ძალაუფლებიდან თითოეული, პრაქტიკულად, დაუმარცხებელია (დამარცხდებოდა მხოლოდ ნელი დემოგრაფიული დაპყრობით, რასაც დიდი რესურსებით აღჭურვილი მთავრობა იოლად უსხლტება). მასები არასოდეს ჯანყდებიან თვითშეთანხმებით და არც, უბრალოდ, თავისი დაჩაგრულობის მიზეზით. მათ ხომ არასოდეს ჰქონიათ უფლება, ჰქონოდათ საზომები შესადარებლად, და ისიც კი არ იციან, რომ დაჩაგრულები არიან. გარდასული ხანების განმეორებადი ეკონომიკური კრიზისები სრულებით არასაჭიროა და უკვე დაუშვებელიც. თუმცა შესაძლებელია და ხდება კიდეც სხვა, არანაკლებ ფართომასშტაბიანი აშლილობები პოლიტიკური ცვლილებების გარეშე, რადგან არ არსებობს უკმაყოფილების მკაფიოდ ჩამოყალიბება-გამოთქმის რაიმე გზა. რაც შეეხება ჭარბ პროდუქციას, ფარულად რომ გაჩნდა ჩვენს საზოგადოებაში მანქანური ტექნიკის განვითარებასთან ერთად, - ამ პრობლემის გადაწყვეტა ხდება განუწყვეტელი საომარი მოქმედებებით (იხ. თავი 3), რომლებიც გამოიყენება, აგრეთვე, საზოგადოებრივი მორალის სასურველ წერტილამდე აღსაგზნებად. ამდენად, ჩვენს ამჟამინდელ მმართველთა თვალთახედვით, ერთადერთ ნამდვილ საშიშროებას წარმოადგენს ცუდად გამოყენებულ ძალაუფლებას მოწყურებული უნარიანი ადამიანების ახალი ჯგუფის ჩამოყალიბება, ისევე, როგორც ლიბერალიზმისა და სკეპტიციზმის ზრდა თვით მმართველ წრეებში. პრობლემა, ასე ვთქვათ, განათლების სფეროს ეკუთვნის და მდგომარეობს მმართველი ჯგუფისა და უშუალოდ მის დაქვემდებარებაში მყოფ აღმასრულებელთა უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფის ცნობიერებათა „გაფხვიერებაში“. რაც შეეხება მასების ცნობიერებას, ის მხოლოდ უარყოფით ზემოქმედებას საჭიროებს.

ზემოთქმულის ფონზე ადამიანი წარმოიდგენს - თუ უკვე მანამ არ იცოდა - ოკეანიის საზოგადოების საერთო სტრუქტურას. პირამიდის წვერზე დგას დიდი ძმა. ის დაუმარცხებელი და ყოვლისშემძლეა. ყოველი წარმატება, ყოველი მიღწევა, ყოველი გამარჯვება, ყველა მეცნიერული აღმოჩენა, ისევე, როგორც მთელი ცოდნა, სიბრძნე, ბედნიერება, სათნოება - ყველაფერი უშუალოდ მისი ხელმძღვანელობითაა ინსპირირებული. არავის არასოდეს უნახავს იგი. ის პლაკატებიდან მომზირალი სახეა, ეკრანებიდან მოლაპარაკე ხმა. ჩვენ შეგვიძლია სრული შეგნებით გვჯეროდეს, რომ ის არასოდეს მოკვდება და უკვე ისიც სრულებით გაურკვეველია, თუ როდის დაიბადა. დიდი ძმა არის სახე, რომელიც პარტიამ აირჩია საკუთარი თავის წარმოსადგენად გარე თუ შიდა მსოფლიოსთვის. მისი ფუნქციაა წარმოადგენდეს საყოველთაო ფოკუსს სიყვარულის, შიშისა და მოწიწებისთვის, ანუ იმ ემოციებისთვის, რომელთა განცდა ინდივიდის მიმართ უფრო იოლია, ვიდრე ორგანიზაციის მიმართ. დიდი ძმის შემდეგ მოდის შიდა პარტია თავისი ექვსი მილიონი წევრით, რაც ოკეანიის მოსახლეობის ორ პროცენტს შეადგენს. შიდა პარტიის ქვევით დგას გარე პარტია, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ იმავე სახელმწიფოს ხელებად. ამ უკანასკნელის ქვემოთ დგანან უკვე მუნჯი მასები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, „პროლებად“ მოვიხსენიებთ და რომლებიც შეადგენენ მთელი მოსახლეობის დაახლოებით ოთხმოცდახუთ პროცენტს. ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციის მიხედვით, პროლები არიან დაბლები, რადგან ეკვატორული ქვეყნების დამონებული ხალხები, რომლებიც მუდმივად გადადიან ერთი გამარჯვებულის ხელიდან მეორეში, არ წარმოადგენენ საზოგადოებრივი სტრუქტურის მუდმივ თუ

აუცილებელ ელემენტს.

საერთოდ, ამ სამი დაჯგუფების წევრობა არ არის მემკვიდრეობითი. თეორიულად, შიდა პარტიის წევრი მაინცდამაინც შიდა პარტიაში დაბადებული არ უნდა იყოს. პარტიის ერთი ან მეორე განშტოების წევრობა ხორციელდება გამოცდის საფუძველზე თექვსმეტი წლის ასაკში. არ არსებობს არც რამენაირი რასობრივი დისკრიმინაცია ან რაიმე შესამჩნევი დომინირება ერთი პროვინციისა მეორეზე. ებრაელები, ზანგები, წმინდა სისხლის სამხრეთ ამერიკელი ინდიელები მრავლად მოიპოვებიან პარტიის უმაღლეს ეშელონებში და თითოეული რეგიონის მმართველიც ამავე რეგიონიდან ინიშნება. ოკეანიის არც ერთი ნაწილის მკვიდრთ არა აქვთ იმის განცდა, რომ ისინი წარმოადგენენ შორეული დედაქალაქიდან მართულ კოლონიურ მოსახლეობას. ოკეანიას დედაქალაქი არ გააჩნია და მისი ტიტულიანი ხელმძღვანელი არის პიროვნება, რომლის ასავალ-დასავალი არავინ იცის. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ინგლისური არის მთავარი საკომუნიკაციო ენა, ახალმეტყველება კი - ოფიციალური ენა, სხვა მხრივ, ქვეყანა არანაირად არ არის ცენტრალიზებული. მის მმართველებს აერთიანებთ არა სისხლისმიერი კავშირები, არამედ ერთგულება საერთო მოძღვრებისადმი. თუმცა კი, ჩვენი საზოგადოება დაყოფილია ფენებად, და საკმაოდ მკაცრ ფენებადაც, რომლებიც, ერთი შეხედვით, მემკვიდრეობითი ჯაჭვების გაგრძელებას ჰგავს. დღესდღეობით, განსხვავებული ჯგუფები გაცილებით უფრო იზოლირებულია ერთმანეთისგან, ვიდრე კაპიტალიზმის ხანაში ან თუნდაც ინდუსტრიამდელ ეპოქებში. პარტიის ორ განშტოებას შორის არსებობს გარკვეული გაცვლა-გამოცვლა, თუმცა მხოლოდ იმდენი, რამდენიც უზრუნველყოფს სუსტთა გამოთიშვას შიდა პარტიიდან და გარე პარტიის ამბიციური წევრების უვნებელყოფას შიდაში გაწევრებით. პრაქტიკულად, პროლეტარები პარტიაში არ დაიშვებიან. მათ შორის ყველაზე გონიერნი, რომლებიც შეიძლებოდა ქცეულიყვნენ უკმაყოფილების ბირთვად და არეულობის შემომტანად, უბრალოდ, აზრის პოლიციის მიერ აღირიცხებიან და მისივე ხელით ისპობიან. თუმცა საქმეთა ასეთი მდგომარეობა არც უცილობლად პერმანენტულია და არც არსებითი. პარტია კლასი არ არის, ამ სიტყვის ძველი გაგებით, და არ აპირებს ძალაუფლების გადაცემას თავისი შვილების, როგორც ასეთების, ხელში. და თუ აღარ იარსებებს არანაირი საშუალება იმისა, რომ ქვეყნის სათავეში ყველაზე უნარიანი ადამიანები დარჩნენ, სასწრაფოდ მომზადდება მთელი ახალი თაობა პროლეტარიატის ფენიდან. იმ ამბავმა, რომ გადამწყვეტ წლებში პარტია არ იყო მემკვიდრეობით წარმოქმნილი სხეული, დიდად შეუწყო ხელი ოპოზიციის განეიტრალებას. მოძველებული ყაიდის სოციალისტი, რომელიც გაწვრთნილი იყო იმისთვის, რომ ეგრეთ წოდებული „კლასობრივი პრივილეგიის“ წინააღმდეგ ებრძოლა, ვარაუდობდა: ის, რაც მემკვიდრეობითი არ არის, ვერც პერმანენტული იქნებაო. ის ვერ ხედავდა, რომ ოლიგარქიის დღეგრძელობა არ საჭიროებს მის ფიზიკურ არსებობას. ის ვერც იმას იაზრებდა, რომ მემკვიდრეობითი არისტოკრატია მუდამ დღემოკლე იყო, მაშინ, როცა ისეთი „ნაშვილები“ ორგანიზაცია-ორგანიზმები, როგორიც არის, ვთქვათ, კათოლიკური ეკლესია, ასეულობით და ზოგჯერ ათასეულობით წლების განმავლობაში ცოცხლობდა. ოლიგარქიული კანონის არსი მამაშვილურ მემკვიდრეობითობაში კი არ მდგომარეობს, არამედ გარკვეული მსოფლხედვის მუდმივობასა და გარკვეული წესით ცხოვრებაში, - ისეთით, რომელსაც მკვდრები კარნახობენ ცოცხლებს. მმართველი ჯგუფი მმართველია მანამდე, სანამ შეუძლია თავის მემკვიდრეთა დასახელება-დანიშვნა. პარტიის მიზანი საკუთარი

სისხლის გამარადიულება კი არ არის, არამედ საკუთარი თავის, როგორც ასეთის. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ფლობს ძალაუფლებას, მთავარია, მუდმივად შენარჩუნდეს იერარქიული სტრუქტურა.

ჩვენი დროისთვის ნიშნეული ყოველგვარი რწმენის, ჩვეულების, გემოვნების, ემოციის თუ გონებრივი მიმართების დანიშნულებაა პარტიის საიდუმლოს მსახურება და დღევანდელი საზოგადოების ნამდვილი ბუნების სააშკარაოზე გამოტანა. ფიზიკური ამბოხი, ისევე, როგორც ნებისმიერი წინასწარი მზადება ამ ამბოხისთვის, სადღეისოდ შეუძლებელია. პროლეტარებისგან საშიში არაფერია მოსალოდნელი. საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილნი, ისინი თაობიდან თაობამდე, საუკუნიდან საუკუნემდე განაგრძობენ შრომას, გამრავლებას და კვდომას, არათუ საერთოდ ამბოხების რაიმე იმპულსის გარეშე, არამედ თვით იმის წარმოდგენის ვერშემძლენიც, რომ მსოფლიოს შეიძლება დღევანდელისგან განსხვავებული სახე ჰქონდეს. ისინი ეგებ უფრო სახიფათონიც ყოფილიყვნენ იმ შემთხვევაში, თუ ინდუსტრიის განვითარება აუცილებელს გახდიდა მათთვის უკეთესი განათლების მიცემას. მაგრამ რამდენადაც სამხედრო და კომერციული მეტოქეობა უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი, ამდენად, სახალხო განათლების დონე თანდათანობით კლებულობს. მასების შეხედულებებს სრულებით ინდიფერენტულად უყურებენ. მათ შეიძლება მიეცეთ ინტელექტუალური თავისუფლება, რადგან არავითარი ინტელექტი არ გააჩნიათ. პარტიის წევრისგან კი, პირიქით, შეუწყნარებელი იქნება უმცირესი გადახრაც კი თვით ყველაზე უმნიშვნელო საკითხში.

პარტიის წევრი დაბადებიდან სიკვდილამდე აზრის პოლიციის ხელშია. მაშინაც კი, როცა ის მარტოა, ვერასოდეს დარწმუნდება თავის სიმარტოვეში. სადაც უნდა იყოს, სძინავს თუ ღვიძავს, მუშაობს თუ ისვენებს, აბაზანაშია თუ საწოლში, - შეუძლიათ უთვალთვალონ წინასწარი გაფრთხილების გარეშე და თვით იმის უცოდინრადაც, რომ უთვალთვალებენ. ყველაფერი ყურადსაღებია, რასაც ის აკეთებს. მისი სამეგობრო, დასვენების მისეული მანერა, მისი ქცევა საკუთარი ცოლ-შვილის მიმართ, მისი სახის გამომეტყველება, როცა ის მარტოა, ძილში წამოსროლილი სიტყვები, თვით მისი სხეულისთვის დამახასიათებელი მოძრაობები - ყველაფერი გულდასმითაა შესწავლილი. უნდა გამომჟღავნებულ იქნეს არა მხოლოდ რეალურად დაშვებული თითოეული შეცდომა, არამედ ნებისმიერი, თვით უმცირესი ექსცენტრიკულობა, ყოველი ცვლილება უწინდელ ჩვევებში, ყოველგვარი ნერვიული მანერულობა, რომელიც შეიძლება იყოს შინაგანი ბრძოლის სიმპტომი. მას არც ერთ ასპექტში არ აქვს არჩევანის უფლება. მეორე მხრივ, მისი მოქმედებები არ არის რეგულირებული კანონით ან ქცევის რომელიმე სხვა, მკაფიოდ ფორმულირებული კოდექსით. ოკეანიაში არავითარი კანონი არ არსებობს. ის აზრები და მოქმედებები, აღმოჩენის შემთხვევაში უცილობელი სიკვდილი რომ მოჰყვებათ, არასოდეს არ არის ფორმალურად აკრძალული, და მთელი ეს უსასრულო წმენდები, დაპატიმრებები, წამება და აორთქლება, ფაქტობრივად, ჩადენილ დანაშაულთა საპასუხოდ კი არ ხდება, უბრალოდ, იმ პიროვნებათა გაქრობაა, რომლებსაც შეეძლოთ დანაშაულის ჩადენა მომავალში. პარტიის წევრს მოეთხოვება არა მხოლოდ სწორი შეხედულებები, არამედ სწორი ინსტინქტები. მრავალი მრწამსი და პოზიცია, რომლებიც მას მოეთხოვება, არსად არ არის თვალნათლივ ჩამოყალიბებული. არც შეიძლება იყოს, რადგან ეს გამოააშკარავებდა ინგსოცისთვის

დამახასიათებელ წინააღმდეგობებს. თუ ადამიანი ბუნებრივად მართლმორწმუნეა (ახალმეტყველების ლექსიკით -კარგმოაზროვნე), მას ყველა ვითარებაში ყოველგვარი გააზრების გარეშე ეცოდინება, რა არის ჭეშმარიტი რწმენა და სასურველი ემოცია. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ბავშვობიდანვე დაწყებული საგულდაგულოდ შემუშავებული გონებრივი წვრთნა, რომლის ფოკუსშიც დგას ახალმეტყველების სიტყვები - დანაშაულაღკვეთა, თეთრშავი და ორაზრი, პარტიის წევრს უკარგავს ნებისმიერი საგნის სიღრმეში ჩაწვდომის სურვილსაც და უნარსაც.

პარტიის წევრს არ უნდა გააჩნდეს პირადი ემოციები და, ამასთანავე, არასოდეს არ უნდა დაეშრიტოს ენთუზიაზმი. იგი მუდმივად შეპყრობილი უნდა იყოს უცხოელი მტრისა და შინაური მოღალატის დაუოკებელი სიძულვილით, უნდა ზეიმობდეს მოპოვებულ გამარჯვებებს და თავს იმცრობდეს პარტიის ძალმოსილებისა და სიბრძნის წინაშე. მისი მწირი, მცირედ უზრუნველყოფილი ცხოვრებით გამოწვეული დაუკმაყოფილებლობა შეგნებულად გამოტანილია გარეთ და იხარჯება ისეთ აქტივობებში, როგორიცაა, მაგალითად, სიძულვილის ორწუთეული, ხოლო ისეთი განაზრებანი, რომლებმაც შეიძლება დაბადონ მასში სკეპტიკური ან მეამბოხე განწყობილებები, წინასწარ აღმოიფხვრება ადრეულ პერიოდში მიღებული შინაგანი დისციპლინით. ამ დისციპლინის პირველ და უმარტივეს საფეხურს, რომელიც შეიძლება ასწავლონ პატარა ბავშვებსაც კი, ახალმეტყველებაში დანაშაულაღკვეთა ჰქვია. მასში იგულისხმება ადამიანის უნარი, სასწრაფოდ - თითქოსდა ინსტინქტურად - ზღურბლზევე შეაჩეროს ნებისმიერი სახიფათო აზრი. ეს უნარი თავის თავში მოიცავს სხვა უნარებსაც: უნარს იმისა, რომ ვერ მოიხელთო ლოგიკური ცდომილებების შესამჩნევად საჭირო ანალოგიები, ვერ გაიგო ინგსოცისთვის არაკეთილსაიმედო თვით უმარტივესი არგუმენტებიც კი, ან კიდევ მოგბეზრდეს, ან უკუაგდო ერეტიკული მიმართულებით წამსვლელი ყოველი აზრი. მოკლედ, დანაშაულაღკვეთა ნიშნავს დამცავ სიბრიყვეს. თუმცა სიბრიყვე საკმარისი არ არის. პირიქით, მართლმორწმუნეობა თავისი სრული აზრით ნიშნავს ისეთივე კონტროლს საკუთარ გონებრივ პროცესებზე, როგორც აკრობატი აკონტროლებს საკუთარ სხეულს. საბოლოოდ, ოკეანიის საზოგადოება ემყარება რწმენას, რომ დიდი ძმა ყოვლისშემძლეა, პარტია - შეუმცდარი. მაგრამ რადგანაც, სინამდვილეში, დიდი ძმა არ არის ყოვლისშემძლე, პარტია კი - შეუმცდარი, ამიტომ საჭიროა დაუღალავი და მომენტალური მოქნილობა ფაქტების გაგებაში. ამ პროცესის მთავარი სიტყვაა თეთრშავი. ახალმეტყველების მრავალი სხვა სიტყვის მსგავსად, ამ სიტყვასაც ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობა აქვს. თუ გამოიყენება ოპონენტის მიმართ, მაშინ ის ნიშნავს იმის თავხედურ მტკიცებას, რომ შავი თეთრია, ფაქტების თვალსაჩინოების მიუხედავად. ხოლო თუ იხმარება პარტიის წევრის მიმართ, მაშინ ის ნიშნავს იმის თქმის ლოიალურ ნებელობას, რომ შავი თეთრია, თუკი ამას პარტიის დისციპლინა მოითხოვს. მაგრამ ეს სიტყვა ნიშნავს იმის დაჯერების უნარსაც, რომ შავი თეთრია, მეტიც - ცოდნას, რომ შავი თეთრია, და დავიწყებას იმისა, რომ ოდესმე საპირისპირო გჯეროდა. ეს ითხოვს წარსულის გამუდმებულ შეცვლას, რაც შესაძლებელი გახადა აზრის ყოვლისმომცველმა სისტემამ და რასაც, ახალმეტყველების მიხედვით, ორაზრი ჰქვია.

წარსულის შეცვლას აქვს ორი მიზეზი, რომელთაგან ერთი დამატებითია და, ასე ვთქვათ, გამაფრთხილებელი. ის მდგომარეობს იმაში, რომ პარტიის წევრი,

პროლეტარისა არ იყოს, ითმენს დღევანდელ მდგომარეობას, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მასაც არ გააჩნია სტანდარტები შედარებისთვის. ის მოწყვეტილ უნდა იქნეს წარსულისგან, ისევე, როგორც უცხოეთისგან, რადგან აუცილებელია სჯეროდეს, რომ წინაპრებზე უკეთ ცხოვრობს და რომ მატერიალური კომფორტის საშუალო დონე მუდმივ ზრდაშია. მაგრამ წარსულის მუდმივი კორექტირების გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზანია პარტიის უცდომელობის ჩვენება. მხოლოდ ის არ არის საკმარისი, რომ, პარტიის ყველა წინასწარმეტყველების გარდაუვალი სისწორის საჩვენებლად, მუდმივად გადახალისდეს უწინდელი მოხსენებები, სტატისტიკა და ყველანაირი ჩანაწერი. აუცილებელია ისიც, რომ არასოდეს იქნეს დაშვებული რამენაირი ცვლილება პარტიის მოძღვრებაში ან ქვეყნის პოლიტიკურ წყობაში. რადგან ნებისმიერი აზრობრივი თუ პოლიტიკური ცვლილება სისუსტის აღიარება იქნებოდა. თუ, მაგალითად, ევრაზია ან აღმოსავლეთაზია (სულერთია - რომელი) დღეს მტერია, მაშინ ის ყოველთვის მტერი იყო. და თუ ფაქტები საპირისპიროს ამბობენ, მაშინ ისინი უნდა შეიცვალოს. ამგვარად, ისტორია მუდმივად ხელახლა იწერება. ჭეშმარიტების სამინისტროს მიერ განხორციელებული ფაქტების ეს გამუდმებული ფალსიფიცირება იმდენადვე აუცილებელია რეჟიმის სტაბილურობისთვის, როგორც სიყვარულის სამინისტროს მიერ განხორციელებული შპიონაჟი და რეპრესიული სამუშაოები.

წარსულის ცვალებადობა ინგსოცის ცენტრალური პრინციპია. როგორც ეს დამტკიცებულია, წარსულის ფაქტებს არ გააჩნია არავითარი ობიექტური არსებობა. ისინი არსებობენ მხოლოდ ჩანაწერებში და ადამიანის მეხსიერებაში. წარსული არის ის, რაზეც ჩანაწერები და მეხსიერება შეთანხმდებიან. და რამდენადაც პარტია სრულად აკონტროლებს ყველა ჩანაწერს, ისევე, როგორც თავისი თითოეული წევრის გონებას, აქედან გამომდინარეობს, რომ წარსული არის ის, რასაც პარტია აირჩევს. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ თუმცა წარსული შეცვლადია, ის მაინც არასოდეს შეცვლილა ყოველ საგანგებო მომენტში. რადგან, თუ ის შეიცვალა მოცემული მომენტის საჭიროების მიხედვით, მაშინ სწორედ ეს ახალი ვერსიაა წარსული და არავითარ სხვა წარსულს არ შეიძლებოდა მანამდე ეარსება. ეს სასიკეთოა მაშინაც კი, როდესაც - როგორც ხშირად ხდება - ერთი და იგივე მოვლენა ერთი წლის განმავლობაში ამოუცნობლობამდე უნდა შეიცვალოს. ყოველ მომენტში პარტია ფლობს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, რომელიც, რაღა თქმა უნდა, არასოდეს შეიძლებოდა ყოფილიყო იმისგან განსხვავებული, რაც დღესაა. ჩვენ დავინახავთ, რომ წარსული, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია მეხსიერების წვრთნაზე. დარწმუნება იმაში, რომ ყველა ჩანაწერი სრულ თანხმობაშია მოცემული მომენტის ორთოდოქსიასთან, უბრალოდ, მექანიკური აქტია. თუმცა ადამიანებს ისიც გარდაუვალად უნდა ახსოვდეთ, რომ მოვლენები სასურველი გზით ვითარდება. და თუ აუცილებელია ადამიანის მეხსიერების გადაწყობა ან არსებული ჩანაწერების შეცვლა, მაშინ აუცილებელია იმის დავიწყებაც, რომ ეს გაკეთდა. აღნიშნული ილეთი ისევე შეიძლება იქნეს ათვისებული, როგორც ნებისმიერი სხვა მენტალური ტექნიკა. და კიდევაც არის ათვისებული პარტიის წევრთა უმრავლესობისა და ყველა იმათ მიერ, ვინც გონიერიცაა და ორთოდოქსიც. ძველმეტყველებაში ამას სრულებით გულახდილად ერქვა „სინამდვილის კონტროლი“, ხოლო ახალმეტყველებაში მას ორაზრი ჰქვია, თუმცა ეს ცნება ბევრ სხვა რამესაც მოიცავს.

ორაზრი ნიშნავს ძალას, რომლითაც ადამიანის გონებაში ერთდროულად არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო და ერთნაირად მიღებული რწმენა. პარტიის ინტელექტუალმა იცის, რომელი მიმართულებით უნდა შეცვალოს თავისი მეხსიერება და, ამდენად, ისიც იცის, რომ ხრიკებს უწყობს სინამდვილეს. მაგრამ ორაზრისეული წვრთნით იგი თავს იკმაყოფილებს, რომ სინამდვილეს არ ამახინჯებს. ეს უნდა იყოს შეგნებული პროცესი, თუ არადა, არ განხორციელდება საკმარისი სიზუსტით. მაგრამ, იმავდროულად, ეს უნდა ხდებოდეს შეუგნებლადაც, რის გარეშეც სიყალბისა და ამ უკანასკნელისგან გამომდინარე, დანაშაულის გრძნობას დაბადებდა. ორაზრი ინგსოცის გულისგულში ძევს, რამდენადაც პარტიის მოღვაწეობა, არსებითად, მდგომარეობს შეგნებული სიცრუის გამოყენებასა და, იმავდროულად, მტკიცე მიზნის შენარჩუნებაში, რაც სრული კეთილსინდისიერებით ხორციელდება კიდეც. შეგნებული ტყუილების თქმა და თან გულწრფელი რწმენა მათში; მოცემული მომენტისთვის არასაჭირო ნებისმიერი ფაქტის დავიწყება, შემდეგ კი, როცა კვლავ აუცილებელი გახდება, მისი უკანვე გამოხმობა ზუსტად იმდენი ხნით, რამდენითაც საჭიროა; ობიექტური სინამდვილის უარყოფა და, პარალელურად, ანგარიშის გაწევა ამავე სინამდვილისთვის, - ეს ყველაფერი გარდაუვალია და აუცილებელი. თვით სიტყვა ორაზრის გამოყენებაშიც კი აუცილებელია მოხდეს ორაზრისეული წვრთნა, რადგან ამ სიტყვის ხმარება დასაშვებს ხდის, რომ მავანი ცვლის სინამდვილეს, ხოლო ორაზრის მომდევნო აქტით კი ადამიანი შლის თავისივე ცოდნას სინამდვილის წაშლის თაობაზე... და ამ უსასრულო ჯაჭვში სიცრუე ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ უსწრებს ჭეშმარიტებას. დაბოლოს, სწორედ ორაზრის მეშვეობით მოხდა, რომ პარტიამ შეძლო (და იმ ყველაფრიდან გამომდინარე, რაც აქამდე ვიცით, შესაძლოა, ასე განაგრძოს ათასობით წლის განმავლობაში) ისტორიის მსვლელობის შეჩერება.

ყველა უწინდელმა ოლიგარქიამ დაკარგა მართვის სადავეები ან იმ მიზეზით, რომ გახისტდა, ან იმიტომ, რომ შერბილდა. ისინი ან გაყოყოჩდნენ და გამოყეყეჩდნენ, ვერ მიჰყვნენ გარემოებათა ცვლას და დამხობილ იქნენ, ან კიდევ ლიბერალებად და მშიშრებად იქცნენ, დათმობებზე წავიდნენ მაშინ, როცა ძალისთვის უნდა მიემართათ, და ამიტომაც დაემხნენ. ანუ, საბოლოოდ, ისინი დაეცნენ ან ცნობიერი გზით, ან გაუცნობიერებლობით. პარტიის დიდი მონაპოვარი სწორედ ის იყო, რომ მან გამოიმუშავა აზრის სისტემა, რომელშიც ორივე მდგომარეობა ერთდროულად არსებობს. და ვერც ერთი სხვა ინტელექტუალური ბაზისი ვერ უზრუნველყოფდა პარტიის მეუფებას. თუ მავანმა უნდა მართოს ახლაც და მომავალშიც, მაშინ მას უნდა შეეძლოს სათანადოდ ცვალოს სინამდვილის შეგრძნება. რადგან მართვის საიდუმლო საკუთარი უცდომელობის რწმენისა და წარსულის შეცდომებზე სწავლის უნარის გონივრულ კომბინირებაში მდგომარეობს.

საჭირო არ უნდა იყოს იმის თქმა, რომ ორაზრი შექმნეს სწორედ მისმა უდახვეწილესმა პრაქტიკოსებმა, რომლებმაც იცოდნენ, რომ ეს არის მენტალური თაღლითობის ვრცელი სისტემა. ჩვენი საზოგადოების ის წევრები, რომლებმაც ყველაზე უკეთ იციან, რა ხდება, ამავე დროს, ყველაზე შორს არიან მსოფლიო სურათის რეალურად ხედვისგან. ჩვეულებრივ ასეა: რაც უფრო მეტია გაგება, მით მეტია ცდომილებაც; რაც უფრო გონიერია კაცი, მით უფრო არანორმალურია. ამის ნათელი ილუსტრაციაა ის ამბავი, რომ ომის ისტერია მით უფრო იზრდება,

რაც უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე დგას ქვეყანა. ომის მიმართ ყველაზე უფრო რაციონალური პოზიცია სადავო ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხებს უჭირავთ. მათთვის ომი, უბრალოდ, დაუსრულებელი სტიქიური უბედურებაა, მოქცევის ტალღასავით რომ გადი-გამოდის მათ სხეულებზე. რომელი მხარე გაიმარჯვებს - ეს მათთვის სრულებით უმნიშვნელოა. მათ იციან, რომ თუ მათ ამჟამინდელ ბატონებს სხვები შეენაცვლებიან, ისინი ახლებისთვისაც ისევე იმუშავებენ, როგორც ძველებისთვის მუშაობდნენ, და ახალი ბატონებიც ისევე მოეპყრობიან, როგორც ძველები ეპყრობოდნენ. ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში მყოფი მუშები, რომლებსაც ჩვენ „პროლებს“ ვუწოდებთ, მხოლოდ ხანგამოშვებით თუ აცნობიერებენ ომის ფაქტს. როცა ეს აუცილებელია, მათ შიშის და სიძულვილის სიგიჟეში აგდებენ. მაგრამ საკუთარი თავის ამარა დარჩენილებს, მათ შეუძლიათ დიდი ხნით დაივიწყონ, რომ ომი გრძელდება. მხოლოდ პარტიის რიგებში - და, თანაც, შიდა პარტიისაში - არსებობს ომის ჭეშმარიტი ენთუზიაზმი. მსოფლიოს დაპყრობა ყველაზე მტკიცედ მათ სჯერათ, ვინც იცის, რომ ეს შეუძლებელია. დაპირისპირებულთა ეს განსაკუთრებული შეუღლება ცოდნისა უცოდინარობასთან, ცინიზმისა -ფანატიზმთან, ოკეანიის საზოგადოების ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანია. ოფიციალურ იდეოლოგიაში უამრავი წინააღმდეგობაა თვით ისეთ საკითხებშიც, სადაც ამის პრაქტიკული საჭიროება არ არსებობს. მაგალითად, პარტია უკუაგდებს და ლაფს ასხამს ყველა იმ პრინციპს, რომლებსაც თავდაპირველად იცავდა სოციალისტური მოძრაობა, და ამას აკეთებს ისევ და ისევ სოციალიზმის სახელით. იგი ქადაგებს მუშათა კლასის სიძულვილს, სრულებით უმაგალითოს წინა საუკუნეებში, თავის მუშაკებს კი ისეთი უნიფორმით მოსავს, როგორსაც ერთ დროს ფიზიკური შრომის შემსრულებელი მუშები ატარებდნენ. იგი მუდმივად უთხრის ძირს ოჯახის ერთიანობას, თავის ლიდერს კი მოიხსენიებს სახელით, რომელიც უშუალოდ აპელირებს ოჯახური გრძნობებისადმი. თვით ოთხი სამინისტროს სახელებიც კი, რომლებითაც ჩვენ გვმართავენ, წარმოადგენს ერთგვარ უტიფრობას ფაქტების თავდაყირა დაკიდების თვალსაზრისით. მშვიდობის სამინისტრო დაკავებულია ომის საკითხებით, ჭეშმარიტების სამინისტრო - სიცრუით, სიყვარულის სამინისტრო - წამებით, დოვლათის სამინისტრო კი - შიმშილით. ეს წინააღმდეგობები არც შემთხვევითია და არც ჩვეულებრივი ფარისევლობიდან მომდინარეობს: ისინი ორაზრის მიზანმიმართული ვარჯიშებია, რადგანაც მხოლოდ დაპირისპირებათა შერიგებით თუ შეინარჩუნებს ხელისუფლება თავის თავს. სხვაგვარად ვერასგზით ვერ გაწყდებოდა ძველი წრებრუნვა. თუ ადამიანური თანასწორობის იდეა სამუდამოდ უნდა გაუქმდეს, ანუ თუ მაღლები - როგორც ჩვენ ვუწოდებთ - სამუდამოდ უნდა დარჩნენ სათავეში, მაშინ ძირითადი მენტალური მდგომარეობა უნდა იყოს გაკონტროლებული სიგიჟე.

მაგრამ არის კითხვა, რომელიც ჩვენ თითქმის დაგვავიწყდა: რატომ უნდა გაუქმდეს ადამიანური თანასწორობა? თუ დავუშვებთ, რომ ზემოთ მოყვანილი პროცესის მექანიზმი სწორად აღვწერეთ, მაშინ რა მოტივაცია უდევს საფუძვლად დროის ერთ რომელიღაც მომენტში ისტორიის გაყინვის ამ დიდ და დეტალურად დაგეგმილ ძალისხმევას? აქ ჩვენ ცენტრალურ საიდუმლოსთან მივდივართ. როგორც უკვე დავინახეთ, პარტიის და, უწინარეს ყოვლისა, შიდა პარტიის განსაკუთრებული უნარი მჟღავნდება ორაზრში. მაგრამ ამაზე კიდევ უფრო ღრმად ძევს თავდაპირველი მოტივი, კითხვადაუსმელი ინსტინქტი, რომელმაც განაპირობა ჯერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება, შემდეგ ორაზრი, შემდეგ - აზრის

პოლიცია, განუწყვეტელი ომი და ამ პროცესის თანმხლები ყველა სხვა მოვლენა. ეს უშინაგანესი მოტივი რეალურად მდგომარეობს...

უინსტონმა ისე დააფიქსირა სიჩუმე, როგორც ახალ ბგერას აფიქსირებენ ხოლმე. მოეჩვენა, რომ დროის ბოლო მონაკვეთში ჯულია მეტისმეტად მიჩუმებული იყო. თავის მხარეს იწვა - წელზემოთ შიშველი, ლოყის ქვეშ ამოდებული ხელითა და თვალებზე ჩამოვარდნილი თმის კულულით. მკერდი ნელა და თანაზომიერად აუდ-ჩაუდიოდა.

- ჯულია.

ქალს არ უპასუხია.

- ჯულია, გღვიძავს?ისევ სიჩუმე. ჯულიას ეძინა. უინსტონმა წიგნი დახურა, ფრთხილად დადო იატაკზე, თვითონაც დაწვა და თავისი და ჯულიას სხეულები ერთი საფარებლის ქვეშ მოაქცია.

ბოლო საიდუმლო ჯერ არ გამიგიაო, ფიქრობდა თავისთვის. ესმოდა როგორ, მაგრამ არ ესმოდა რატომ. პირველმა და მესამე თავებმა ისეთი არაფერი უთხრა, რაც უკვე არ იცოდა. უბრალოდ, წიგნმა ეს ცოდნა სისტემატიზებული სახით წარმოუდგინა. ამ ყველაფრის შემდეგ უინსტონი მეტად დარწმუნდა იმაში, რომ გიჟი არ იყო. უმცირესობაში ყოფნა - თუნდაც ერთკაციან უმცირესობაში - გიჟად არ გაქცევდა. არსებობდა ჭეშმარიტება და არაჭეშმარიტება, და თუ მიემხრობოდი ჭეშმარიტებას თუნდაც მთელი ქვეყნიერების საპირისპიროდ, მაინც არ იყავი შეშლილი. ჩამავალი მზის ყვითელი სხივი ფანჯარაში დამრეცად შემოიჭრა და ბალიშზე დაეცა. უინსტონმა თვალები დახუჭა. მის სახეზე და გვერდით მწოლი ქალის გლუვ სხეულზე დაფენილმა მზემ ძლიერი, მთვლემარე, თავდაჯერებული გრძნობა მოჰგვარა. თავს უსაფრთხოდ გრძნობდა, ყველაფერი კარგად იყო. ჩაძინების მომენტში უინსტონი ჩურჩულებდა: „ნორმალურობა სტატისტიკის სფეროს არ ეკუთვნის...“, ჩურჩულებდა ისეთი გრძნობით, თითქოს ღრმა სიბრძნის შემცველ სიტყვებს ამბობდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

X

ისეთი გრძნობით გაეღვიძა, თითქოს დიდხანს ეძინა. მაგრამ ძველმა საათმა პირველი შეხედვისთანავე უთხრა, რომ ჯერ მხოლოდ ოცი და ოცდაათი იყო. ცოტა ხანს კიდევ წათვლიმა, შემდეგ კი ქვემოდან კვლავ გაისმა ღრმად ჩასუნთქული ფილტვებიდან ამონაბერი სიმღერა: ეს იყო მხოლოდ უიმედო ოცნება, გავიდა, როგორც აპრილის დღე, მაგრამ მათ შემიძრეს მზერა, სიტყვა და სიზმრები, იმათ მომტაცეს გული მე!ამ სულელურ მოტივს ჯერ კიდევ ყველგან გაიგონებდი. როგორც ჩანს, დღემდე შეენარჩუნებინა პოპულარობა და თვით „სიძულვილის სიმღერაზე“ უფრო სიცოცხლისუნარიანიც კი გამომდგარიყო. სიმღერის ხმაზე გაღვიძებულმა ჯულიამ ერთი მადიანად გაიზმორა და წამოდგა.

- მშია. ერთი ყავა კიდევ მოვადუღოთ. ჯანდაბა!.. ნავთქურა ჩამქრალია, წყალი - ცივი, - ნავთქურა ასწია და შეაჯანჯღარა, - საწვავიც აღარ დარჩენილა.

- მოხუც ჩარინგტონს ექნება.

- უცნაურია: თითქოს გავსინჯე და სავსე იყო. ჩავიცვამ. მგონი, აცივდა.

უინსტონიც ადგა და ჩაიცვა. ქვემოდან ისევ ისმოდა დაუღალავი ხმა: ამბობენ, დროა ყოვლის მკურნალი, ამბობენ, ტანჯვა დაგავიწყდება, მაგრამ ღიმილი და ცრემლები მთელი ეს წლებიჩემს გულისსიმებს სწყდება და სწყდება!უინსტონმა უნიფორმის ქამარი შეიკრა და ფანჯარასთან მივიდა. მზე ალბათ შენობებს მოჰფარებოდა, რაკი ეზოში აღარ ანათებდა. ფილაქანი სველი იყო, თითქოს სულ ახალახან გარეცხესო. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ვიღაცას ცაც გაერეცხა, რაკი საკვამლე მილებს შორის ასე ბროლივით გამოკრთოდა. მრეცხავი ქალი ისევ დაუღალავად მიდი-მოდიოდა, ისევ იღებდა პირიდან საკიდრებს, მღეროდა და ჩუმდებოდა, კიდებდა და კიდებდა ბავშვის საფენებს, კიდევ და კიდევ. უინსტონს უკვირდა - ამ ქალისთვის ან თვით რეცხვაა ცხოვრება, ან კიდევ ოცი-ოცდაათი ქალიშვილის მონად ქცეულაო. ჯულიაც გვერდში ედგა და ქვემოთ მოსიარულე ტანბრგვილ არსებას ორივე ერთგვარი აღტაცებით უყურებდა. ქალის სახასიათო პოზიციაში ცქერისას, როცა თავისი ღონიერი მკლავებითა და ძალუმი ბედაურის გავასავით გამობზეკილი დუნდულებით იგი თოკს წაეტანებოდა, უინსტონს პირველად მოუვიდა აზრად „ლამაზიაო“. არასოდეს უფიქრია, რომ ორმოცდაათი წლის ქალი, რომლის სხეული ჯერ შვილების გაჩენა-გაზრდით გასივებულიყო, შემდეგ კი გამუდმებული შრომისგან იმდენად გაქვავებულ-გაუხეშებულიყო, რომ კანი გადამწიფებული ჭარხალივით დახორკლოდა, - აი, ასეთი ქალი შეიძლებოდა ყოფილიყო ლამაზი! მაგრამ ეს ასე იყო და, ბოლოს და ბოლოს, რატომაც არაო, ფიქრობდა უინსტონი. გრანიტის ლოდის მსგავსი მკვრივი, უკონტურო სხეული და ხაოიანი წითელი კანი ისეთივე შეფარდებაში იყო გოგონას სხეულთან, როგორც ასკილი - ვარდთან. რატომ უნდა მიჩნეულიყო ნაყოფი ყვავილზე უფრო დაბლამდგომად?- ლამაზი ქალია, - ჩაიჩურჩულა უინსტონმა.

- თეძოდან თეძომდე მეტრზე ნაკლები არ იქნება, - თქვა ჯულიამ.

- ეს მისი სილამაზის სტილია. - დააბოლოვა უინსტონმა.

მისი მკლავი მსუბუქად შემოვლებოდა ჯულიას მოქნილ წელს. თეძოდან მუხლამდე მათი სხეულები ერთმანეთს შეტყუპებოდნენ. ამ სხეულებიდან არასოდეს დაიბადებოდა ბავშვი: ამას ისინი ვერასოდეს იზამდნენ. ამ საიდუმლოს ისინი მხოლოდ უჩუმრად, მხოლოდ გონებაში თუ გადასცემდნენ ერთმანეთს. ეზოში მოსიარულე ქალს არავითარი გონება არ გააჩნდა, ჰქონდა მხოლოდ ღონიერი მკლავები, მხურვალე გული და ნაყოფიერი მუცელი. ნეტა რამდენი ბავშვი გააჩინაო, გაკვირვებით ფიქრობდა უინსტონი. შესაძლოა, თხუთმეტი. მასაც ექნებოდა თავისი წამიერი გაფურჩქნის პერიოდი, ველური ვარდის სილამაზის ერთი წელიწადი, რომლის შემდეგაც უცბად გაიბერა სასუქდაყრილი ხეხილივით, გამაგრდა, გაწითლდა, დაიხორკლა და მას შემდეგ მისი ცხოვრება არის მხოლოდ რეცხვა, ხეხვა, კემსვა, საჭმლის კეთება, დაგვა, გაპრიალება, დაკერება და ისევ რეცხვა - ჯერ შვილებისთვის, შემდეგ შვილიშვილებისთვისაც, მთელი ოცდაათი წელი გამოუტოვებლად. და ამ ყველაფრის შემდეგ ის ისევ მღეროდა! მისტიკური მოწიწება, რომელსაც უინსტონი განიცდიდა ამ ქალის მიმართ, უცნაურად შეერწყა ბუხრის მილების მიღმა უსასრულო სივრცეში აზიდულ მკრთალ და უღრუბლო ცას. საგულისხმო იყო იმის გაფიქრება, რომ ცა ყველასთვის ერთია ევრაზიაში თუ აღმოსავლეთაზიაში, ისევე, როგორც აქ, და რომ ამ დუნიაზე მცხოვრები ყველა ხალხიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს, - ყველგან, მთელ მსოფლიოში მოსულდგმულე, ოკეანიის მკვიდრთა მსგავსი მილიონობით არსება, დედამიწის სხვა მხარეებში მცხოვრებ თავისნაირთა არმცნობი, გამოყოფილი მათგან სიძულვილისა და სიცრუის კედლებით, თუმცა თითქმის ზუსტად ისეთივე ადამიანები, რომლებსაც არასოდეს უსწავლიათ აზროვნება, მაგრამ რომლებიც თავიანთ გულში, მუცელსა და კუნთებში ატარებენ ძალას, ერთ დღესაც მთელ ქვეყნიერებას რომ გადააბრუნებს. თუ არსებობდა იმედი - მხოლოდ პროლებში! წიგნის ბოლომდე წაუკითხავად უინსტონმა უკვე იცოდა გოლდსტეინის საბოლოო აზრი. მომავალი პროლებს ეკუთვნოდა. თუმცა, იტყოდა კი უინსტონი დარწმუნებით, რომ როდესაც პროლების დრო დადგებოდა, მათი აშენებული სამყაროც ისეთივე უცხო არ იქნებოდა მისთვის, როგორც პარტიის სამყარო იყო დღეს? ჰო, იტყოდა, რადგან ეს ნორმალურთა სამყარო მაინც იქნებოდა. სადაც თანასწორობაა, იქ შეიძლება ნორმალურობაც იყოს. ადრე თუ გვიან, ეს მოხდებოდა: ძალა შეგნებად გადაიქცეოდა. პროლები უკვდავნი იყვნენ, ამაში ეჭვს ვერ შეიტანდი, როცა ეზოში მოსიარულე დიად ფიგურას უყურებდი. ბოლოს და ბოლოს, ისინი გაიღვიძებდნენ. მანამდე კი, ვიდრე ეს მოხდებოდა, პროლები ჩიტებივით გაუძლებდნენ ყველა უთანასწორობას და სხეულიდან სხეულში გადასცემდნენ იმ სასიცოცხლო ძალას, რომელსაც პარტია ვერ ფლობდა და ვერც მოსპობდა.

- გახსოვს ის შაშვი, ჩვენ რომ გვიმღეროდა პირველ დღეს ტყის განაპირას? - ჰკითხა უინსტონმა.

- ჩვენ არ გვიმღეროდა, საკუთარი სიამოვნებისთვის მღეროდა. არც კი: ისე, უბრალოდ მღეროდა.

ჩიტები მღეროდნენ, პროლები მღეროდნენ, პარტია კი არ მღეროდა. მთელ მსოფლიოში, ლონდონსა თუ ნიუ-იორკში, აფრიკასა თუ ბრაზილიაში, საზღვრის მიღმა მყოფ იდუმალ და აკრძალულ ქვეყნებში, პარიზისა და ბერლინის ქუჩებში,

რუსეთის დაუსრულებელ სტეპებზე გაბნეულ სოფლებში, ჩინეთისა და იაპონიის ბაზრებში - ყველგან იგივე მკვრივი და დაუმარცხებელი ფიგურა იდგა, ურჩხულად ქცეული მუშაობითა და პირმშოთა ჩენით, დაბადებიდან სიკვდილამდე მშრომელი და - მაინც მომღერალი. ერთ დღესაც ამ არსებათა ძალუმი საშოებიდან შეგნებულ არსებათა მოდგმა იშვებოდა. თქვენ მკვდრები იყავით, მომავალი კი მათი იყო. მაგრამ თქვენ შეგეძლოთ მონაწილეობა მიგეღოთ მომავალში, თუ ცოცხალ გონებას შეინარჩუნებდით ისევე, როგორც ისინი ინარჩუნებდნენ ცოცხალ სხეულს, და თან ატარებდით საიდუმლო მოძღვრებას, რომ ორს მიმატებული ორი უდრის ოთხს. - ჩვენ მკვდრები ვართ, - თქვა უინსტონმა.

- ჩვენ მკვდრები ვართ, - გაისმა ჯულიას მორჩილი ექო.

- თქვენ მკვდრები ხართ, - გაისმა რკინის ხმა სადღაც უკნიდან.

უინსტონი და ჯულია აქეთ-იქით გახტნენ. უინსტონს თითქოს მთელი შიგნეული ყინულად ექცა. ამ დროს თვალი მოჰკრა სითეთრეს ჯულიას ლურჯი თვალების ირგვლივ: ქალს სახე რძისფრად გასთეთრებოდა. მკვეთრად იხატებოდა ყვრიმალებზე ჯერ კიდევ შერჩენილი წითელი ფერ-უმარილი, რომელსაც თითქოს აღარაფერი ჰქონდა საერთო მის ქვეშ მყოფ კანთან.

- თქვენ მკვდრები ხართ, - გაიმეორა რკინის ხმამ.

- სურათის უკნიდან ისმის, - სუნთქვას ამოაყოლა ჯულიამ.

- სურათის უკნიდან ისმის, - გაიმეორა ხმამ, - დარჩით სადაც ხართ. არ გაინძრეთ, ვიდრე არ გეტყვიან.

იწყებოდა! ბოლოს და ბოლოს, იწყებოდა! უინსტონი და ჯულია სხვა ვერაფერს იზამდნენ, ერთმანეთის თვალებში ცქერის გარდა. აზრადაც არ მოსვლიათ, გამოჰკიდებოდნენ სიცოცხლეს, გავარდნილიყვნენ სახლიდან, ვიდრე მთლად გვიან არ იყო. უაზრობა იყო კედლიდან გამოსული რკინის ხმის დაუმორჩილებლობა. გაისმა ტკაცანი, თითქოს რკინის ენა საგდულს გაეყარაო, შემდეგ კი - დამსხვრეული მინის ხმაც. სურათი ძირს ჩამოვარდა და კედელში დატანებული ეკრანი გამოაჩინა.

- ახლა დაგვინახავენ, - თქვა ჯულიამ.

- ახლა გხედავთ, - თქვა ხმამ, - გამოდით შუა ოთახში. დადექით ზურგით ერთმანეთთან, ხელები - თავს უკან, ერთმანეთს არ შეეხოთ.

ერთმანეთს არ ეხებოდნენ, მაგრამ უინსტონს მოეჩვენა, რომ გრძნობდა ჯულიას სხეულის ცახცახს. ან ეგებ ეს მისივე ტანის ცახცახი იყო? მხოლოდ კბილების კაწკაწი შეაჩერა, მუხლებს ვერაფერი უქნა. ქვემოთ - სახლშიც და სახლს გარეთაც - ჩექმების ბრახუნი გაისმა. თითქოს ეზო ადამიანებით გაივსო. ფილაქანზე რაღაცას მოათრევდნენ. ქალის სიმღერა მოწყვეტით შეწყდა. გაისმა გრძელი რახუნი, თითქოს სარეცხის ტაშტი ეზოში გადაისროლესო, რასაც მოჰყვა გაბრაზებული ხმების ალიაქოთი და ბოლოს ტკივილით გამოწვეული შეკივლება.

- სახლი გარშემორტყმულია, - თქვა უინსტონმა.

- სახლი გარშემორტყმულია, - გაიმეორა ხმამ.

უინსტონმა გაიგონა ჯულიას კბილის კბილზე დაჭერის ხმა.

- მე მგონი, შეგვეძლო ერთმანეთს დავმშვიდობებოდით, - თქვა ჯულიამ.

- შეგიძლიათ ერთმანეთს დაემშვიდობოთ, - თქვა ხმამაც. შემდეგ კი გაისმა წვრილი და დახვეწილი მეორე ხმა, რომელიც უინსტონს თითქოს უკვე სმენოდა: - და, სხვათა შორის, ვიდრე აქ ვართ - მოდის სანთელი - საწოლთან აგენთოს, მოდის ჯალათი - თავი წაგკვეთოს.

უინსტონის უკან საწოლზე რაღაც ჩამოიმსხვრა. ფანჯარას გარედან კიბე მოადგეს. კიბის თავმა ჩარჩო შემოამსხვრია. ვიღაც ფანჯრიდან მოძვრებოდა. სახლის კიბეზე ჩექმების ბრაგაბრუგი გაისმა. ოთახი ჯმუხი ადამიანებით გაივსო, ყველას ნალებიანი ჩექმები ეცვა და ხელკეტი ეჭირა.

უინსტონი აღარ ცახცახებდა, თვალებსაც კი თავისუფლად ამოძრავებდა. ერთადერთი რამ იყო მნიშვნელოვანი - მშვიდად ყოფნა. მშვიდად ყოფნა და დარტყმისთვის საბაბის მიუცემლობა. ერთ-ერთი მათგანი, კარგად გაპარსული მოკრივე-პროფესიონალის ყბებით, ტუჩების მაგივრად კი - ერთი გრძივი განასერით, უინსტონის წინ გაჩერდა და ფიქრიანად აათამაშა ცერსა და საჩვენებელ თითებს შორის მოქცეული ხელკეტი. უინსტონის თვალები მის თვალებს შეხვდა. ასე დგომა თავს უკან შეერთებული ხელებითა და მთლიანად დაუცველი ტანით თითქმის აუტანელი იყო. კაცმა თეთრი ენის წვერი გამოყო, ის ადგილი გაილოკა, სადაც ტუჩები უნდა ჰქონოდა და გვერდზე გაალაჯა. კიდევ გაისმა მსხვრევის ხმა: ვიღაცამ მინის პრესპაპიე აიღო და ღუმლის ფილას დაანარცხა.

მარჯნის ნატეხი - კექსიდან ამოვარდნილი შაქრის კოკრის მსგავსი პაწია ვარდისფერი ნაოჭი - ლეიბზე გაგორდა. ყოველთვის რა პატარა, რა პაწაწკინტელა იყო! - გაუელვა უინსტონს. უკნიდან გაისმა მძიმე ჩასუნთქვა და უინსტონს ისე ძლიერად ამოჰკრეს კოჭში, წონასწორობა ძლივს შეინარჩუნა. ერთი მუშტი ჯულიას მზის წნულს დაასკდა და ქალიშვილი ჯიბის სახაზავივით გაზნიქა. იატაკზე დაგდებული ჯულია ამოსუნთქვას ცდილობდა. უინსტონს თავის მობრუნება ერთი მილიმეტრითაც კი ვერ გაებედა, მაგრამ დროდადრო ჯულიას გადაფითრებული სახე მისი მხედველობის არეში ექცეოდა. ტერორის მიუხედავად, თითქოს საკუთარ სხეულში გრძნობდა ჯულიას საზარელ ტკივილს, რომელიც უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე მისივე ბრძოლა სუნთქვის აღსადგენად. უინსტონმა იცოდა, რა იყო ეს: ენით უთქმელი აგონიური ტკივილი, რომელიც ორგანიზმს ჯერაც ვერ გადაეტანა, რადგან, უწინარეს ყოვლისა, ჯერ სუნთქვა უნდა აღმდგარიყო. შემდეგ ორმა კაცმა ხელები ჩასჭიდა ფეხებსა და მხრებში. ჯულია ტომარასავით გაიტანეს გარეთ. უინსტონმა თვალი მოჰკრა მის პირქვე ჩაკიდებულ, ყვითელ და ტკივილისგან დაკრუნჩხულ სახეს, დახუჭულ თვალებსა და ლოყებზე ჯერ კიდევ შერჩენილ პუდრს. ეს ჯულიას უკანასკნელი დანახვა იყო.

უინსტონი გაუნძრევლად იდგა. მისთვის ჯერ არავის დაერტყა. თავში საიდანღაც ალალბედზე მოსული, სრულებით უინტერესო აზრები აუფარფატდა. ნეტავ მისტერ ჩარინგტონი თუ აიყვანესო. ან იმ ქალს რა უქნეს, ეზოში რომ დადიოდაო. მოწოლილმა შარდმა შეაწუხა და ცოტათი გაუკვირდა კიდეც: სულ რაღაც ორი-სამი საათის წინ არ მოშარდა?! შეამჩნია, რომ ბუხრის თავზე მდგარი საათი ცხრას უჩვენებდა, რაც ოცდაერთს ნიშნავდა. გარედან კი თითქოს ძლიერი სინათლე შემოდიოდა. განა აგვისტოს საღამოს ოცდაერთ საათზე უკვე არ უნდა ბნელდებოდეს? მე და ჯულიას დრო ხომ არ აგვერიაო, ფიქრობდა. ეგებ მთელი ღამე გვეძინა და ახლა დილის რვა და ოცდაათიაო. მაგრამ ამ აზრს აღარ მიჰყოლია, - არ აინტერესებდა.

დერეფანში გაისმა სხვა, უფრო მსუბუქი ნაბიჯის ხმა. ოთახში მისტერ ჩარინგტონი შემოვიდა. შავუნიფორმიანთა ქცევას უფრო მორიდებული იერი მიეცა. თვით მისტერ ჩარინგტონის იერშიც რაღაც შეცვლილიყო. მისი მზერა მინის პრესპაპიეს ნამსხვრევებს მოხვდა: - აკრიფეთ ეს ნამსხვრევები! - თქვა მკაცრად.

ერთ-ერთი სასწრაფოდ დაიხარა მითითების შესასრულებლად. უბრალო ლონდონელისთვის დამახასიათებელი აქცენტი სადღაც გამქრალიყო. უცებ უინსტონი მიხვდა, ვისი ხმა ისმოდა ეკრანიდან რამდენიმე წუთის წინ. მისტერ ჩარინგტონს ჯერ კიდევ თავისი ძველი ჟაკეტი ეცვა, მაგრამ აქამდე თითქმის ჭაღარა თმა ახლა გაშავებოდა და აღარც სათვალე ეკეთა. უინსტონს მხოლოდ ერთხელ შეხედა ბასრი მზერით - თითქოს საბოლოოდ დაამოწმა მისი პიროვნებაო - და მისკენ მეტად აღარც გაუხედავს. ჩარინგტონს ისევ იცნობდი, მაგრამ ეს იგივე ადამიანი აღარ იყო. წელში გამართული, ახლა უფრო ახოვანი ჩანდა. სულ რამდენიმე მცირე ცვლილებას მისი სახე მთლიანად გადაესხვაფერებინა. შავი წარბები ნაკლებად გაფანჩოდა, ნაოჭები გაჰქრობოდა, შეცვლილი უჩანდა სახის მთელი ხაზები, ცხვირიც კი დაჰპატარავებოდა. ეს იყო ოცდათხუთმეტამდე წლის მამაკაცის ფხიზელი, ცივი სახე. უინსტონს გაუელვა, რომ ცხოვრებაში პირველად ხედავდა აზრის პოლიციის მუშაკს.

სამი

I

უინსტონმა არ იცოდა, სად იყო. ალბათ, სიყვარულის სამინისტროში. თუმცა დანამდვილებით ვერასგზით დაადგენდა.

თეთრი ფაიფურის მბზინავკედლებიან და მაღალჭერიან უფანჯრო საკანში იმყოფებოდა. კედლებში ჩამალული ლამპებიდან ცივი სინათლე იღვრებოდა. ისმოდა დაბალი ზუზუნი, უინსტონის აზრით - აერაციის ხმა. კედლებს შემოყოლილი სკამი თუ თარო - ისეთი სიგანის, რომ მხოლოდ დაჯდებოდი ან ზედ გაირბენდი - კართან წყდებოდა. კარის პირდაპირ იდგა უნიტაზი ხის დასაჯდომის გარეშე. თითოეული კედლიდან თითო ეკრანი იყურებოდა. უინსტონი მუცელში ყრუ ტკივილს გრძნობდა. ეს გრძნობა ჯერ კიდევ იქიდან მოჰყვებოდა, როცა დახურულ ფურგონში შეაგდეს და წაიყვანეს. თუმცა შიოდა კიდეც, შიოდა რაღაც გულ-მუცლის მღრღნელი, არაჯანსაღი შიმშილით. ბოლო ჭამიდან შეიძლება ოცდაოთხი საათი გავიდა, იქნებ ოცდათექვსმეტიც. ჯერ კიდევ არ იცოდა და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გაიგებდა, დილით დააპატიმრეს თუ საღამოს. დაპატიმრების შემდეგ ერთხელაც არ უჭამია.

რამდენადაც შეეძლო, მშვიდად იჯდა და ხელები მუხლებზე გადაეჯვარედინებინა. უკვე ესწავლა წყნარად ჯდომა. თუ მოულოდნელ მოძრაობას გააკეთებდი, იმწამსვე დაგყეფდნენ ტელეეკრანიდან. ჭამის სურვილი კი თანდათან უძლიერდებოდა. ყველაზე მეტად პურის ნაჭერი ენატრებოდა. აზრად მოუვიდა, უნიფორმის ჯიბეში პურის ნამცეცები უნდა იყოსო. და რადგან დროდადრო ბარძაყში რაღაც ჩხვლეტდა, ეგებ პურის მთელი ქერქიც კი არისო, ფიქრობდა. ბოლოს პურის პოვნის ცდუნებამ შიშს სძლია და ხელი ჯიბეში ჩაიყო.

- სმიტ! - დასჭყივლა ხმამ ეკრანიდან, - ნომერო 6079, უ. სმიტ! საკანში ხელები ჯიბეებიდან ამოიღეთ! ისევ წყნარად იჯდა და ხელები მუხლებზე დაეწყო. აქ მოყვანამდე ჯერ სხვაგან წაიყვანეს, როგორც ჩანდა - ჩვეულებრივ ციხეში ან სამოქალაქო პატრულის დროებით საკანში. არ იცოდა, რამდენი ხანი იყო იქ, ყოველ შემთხვევაში - რამდენიმე საათი მაინც. საათისა და დღის სინათლის გარეშე ძნელია დროის განსაზღვრა. პატრულის საკანი ხმაურიანიც იყო და მყრალიც. ისეთივე საკანში მოათავსეს, როგორშიც ახლა იმყოფებოდა, ოღონდ ჭუჭყიანში და ყოველთვის ათი-თხუთმეტი კაცით გავსებულში. უმრავლესობა ჩვეულებრივი კრიმინალები იყვნენ, მაგრამ მათ შორის რამდენიმე პოლიტიკური პატიმარიც ერია. უინსტონი კედელთან იჯდა. ბინძურ სხეულებს შორის ჩაჭყლეტილს, მთლიანად შიშითა და მუცლის ტკივილით მოცულს, დიდად არ აინტერესებდა, რა ხდებოდა გარშემო, თუმცა მაინც ამჩნევდა გამაოგნებელ სხვაობას პარტიულ ტუსაღებსა და სხვა დანარჩენებს შორის, თავზარდაცემული პარტიულები სულ ჩუმად იყვნენ, ჩვეულებრივი კრიმინალები კი არავის და არაფერს დაგიდევდნენ. ლანძღავდნენ მცველებს, მძვინვარე წინააღმდეგობას უწევდნენ, როცა მცველები მათ პირად ნივთებს ართმევდნენ, იატაკზე უწმაწურ სიტყვებს ჯღაბნიდნენ, ჭამდნენ თავისი სამოსის საიდუმლო სამალავებით შემოტანილ საჭმელს და ეკრანსაც კი შეუძახებდნენ, როცა ეს უკანასკნელი

წესრიგის დამყარებას ცდილობდა. მეორე მხრივ, როგორც ჩანდა, ზოგიერთი მათგანი მცველებთან კარგ დამოკიდებულებაში იყო, მეტსახელებით მიმართავდა მათ და ცდილობდა, კარის სათვალთვალო ნახვრეტიდან სიგარეტიც გამოეტყუა. თავის მხრივ, მცველებიც კრიმინალებს აშკარად შემგუებლურად ეპყრობოდნენ მაშინაც კი, როცა ერთი კარგად უნდა წაეთაქათ. ბევრს ლაპარაკობდნენ შრომა-გასწორების ბანაკებზე, სადაც, ალბათ, პატიმართა უმრავლესობა მოხვდებოდა. იქ, ბანაკებში, „ყველაფერი რიგზე“ იყო, თუ კარგი კონტაქტები გქონდა და მთლიან სიტუაციაში კარგად ერკვეოდი. იქ ნახავდი ყველა ჯურის მექრთამეობას, ფავორიტიზმსა და რეკეტიორობას, ჰომოსექსუალიზმსა და პროსტიტუციას, კარტოფილისგან გამოხდილ აკრძალულ ალკოჰოლსაც კი. ნდობით მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილ კრიმინალებს ეპყრობოდნენ, განსაკუთრებით - განგსტერებსა და მკვლელებს, ანუ ერთგვარ კრიმინალურ არისტოკრატიას. ყველა ჭუჭყიან საქმეს პოლიტიკურები ასრულებდნენ.

განუწყვეტლივ შედი-გადიოდნენ ყველა ჯურის ტუსაღები: ნარკოტიკებით მოვაჭრენი, ქურდები, ბანდიტები, შავი ბაზრის გადამყიდველები, ლოთები, მეძავები... ზოგი ლოთი ისეთი ღონიერი იყო, რომ მის მოსარევად რამდენიმე კაცი ერთიანდებოდა. ოთხმა მცველმა მუჯლუგუნების ცემით რის ვაი-ვაგლახით შემოათრია საკანში სამოცამდე წლის ზონზროხა ქალი ჩამოვარდნილი მკერდითა და ჭაღარა თმის სქლად ჩამოშლილი, წეწვა-გლეჯისგან აწეწილი კულულებით. წააძვრეს კიდეც ფეხსაცმელები, რომლებითაც ცდილობდა მცველებისთვის ერტყა, ბოლოს კი მჯდომარე უინსტონს ზედ მუხლებზე დაანარცხეს და კინაღამ ბარძაყის ძვლები ჩაუმსხვრიეს. ქალი წელში გასწორდა და მცველებს - დედას მოგიტ...ავთ, ნაბიჭვრებოო - დაადევნა. შემდეგ კი, როცა შეამჩნია, რომ რაღაც არასწორზე იჯდა, უინსტონის მუხლებიდან სკამზე ჩასრიალდა: - მაპატიე, ძვირფასო! ზედ არ დაგაჯდებოდი, ამ პიდარასტებმა დამაგდეს. აზრზე არ არიან, ქალს როგორ მოეპყრან, არა?შემდეგ გაჩუმდა და ხელი მკერდზე მოისვა.

უცებ წინ გადაიხარა და იატაკზე უხვად დაარწყია. - ასე ჯობია, - თქვა თვალდახუჭულმა და უკან გადაწვა, - არასოდეს შეინახო შიგნით. აი, რას ვამბობ, უკან ამოიღე, სანამ ახალია.

ქალი გამოცოცხლდა, ისევ მიუბრუნდა უინსტონს და თითქოს მაშინვე თვალში მოუვიდა. თავისი ვეება მკლავი მხარზე გადახვია და თავისკენ მოიზიდა, თან ცხვირ-პირში ლუდისა და ნარწყევის სუნი შეაფრქვია.

- რა გქვია, ჯიგარო?- სმიტი.

- სმიტი? უცნაურია. მეც სმიტი მქვია. იქნებ დედაშენი ვარ? - დააბოლოვა სენტიმენტალურად.

შეიძლება დედაჩემია, გაიფიქრა უინსტონმაც. სწორედ იმ ასაკის და გარეგნობისაა, შრომა-გასწორების კოლონიაში გატარებული ოცი წელი კი ადამიანებს გვარიანად ცვლის.

სხვა არავინ დალაპარაკებია. პარტიულ პატიმართა იგნორირება ჩვეულებრივი დამნაშავეების მხრიდან თითქმის განსაცვიფრებელი იყო. მათ ერთგვარი

უინტერესო ზიზღით „პოლიტიკურებს“ უწოდებდნენ. თვით პარტიული პატიმრები კი დაზაფრულები ისხდნენ და თავს არიდებდნენ ვინმესთან, განსაკუთრებით, ერთმანეთთან ლაპარაკს. მხოლოდ ერთხელ, როცა პარტიის ორი წევრი - ორივე ქალი - საკნის სკამზე ერთმანეთზე მიკრული აღმოჩნდა, უინსტონს მათ შორის სხაპასხუპით გადაჩურჩულებული რამდენიმე სიტყვა ჩაესმა. მათ შორის გამოირჩეოდა უინსტონისთვის გაუგებარი „ოთახი ერთი ერთზე“.

შეიძლება ორი ან სამი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ გადმოიყვანეს. ყრუ ტკივილი მუცლის არეში არ უქრებოდა, ეგაა - ხან უმსუბუქდებოდა, ხან უძლიერდებოდა, შესაბამისად ევრცობოდა და ეკუმშებოდა აზრებიც. როცა მდგომარეობა უარესდებოდა, უინსტონი მხოლოდ ტკივილზე ფიქრობდა, ტკივილსა და საჭმელზე. გაყუჩების მომენტებში კი პანიკას ეძლეოდა. იყო მომენტები, როცა ისე რეალურად წარმოიდგენდა, რა უნდა მოსვლოდა, რომ გული ამოვარდნაზე ჰქონდა და სუნთქვა ეკვროდა, გრძნობდა ხელკეტების დარტყმას იდაყვებზე და ნალდაკრული ჩექმებისას - წვივებზე. ხედავდა საკუთარ თავს - იატაკზე პირქვე დაგდებულ-დაკლაკნილსა და შეწყალების მხვეწნელს. ჯულიაზე ფიქრი საერთოდ არ შეეძლო, მასზე აზრს ვერ აჩერებდა. ჯულია უყვარდა და არასოდეს უღალატებდა, მაგრამ ეს მხოლოდ ფაქტი იყო, ისევე ცნობილი მისთვის, როგორც არითმეტიკის წესები. ამჯერად უინსტონი ჯულიას მიმართ არავითარ სიყვარულს არ გრძნობდა და მისი ახლანდელი მდგომარეობა არც კი ახსენდებოდა. უფრო ხშირად ო’ბრაიენზე ფიქრობდა მკრთალად მოციმციმე იმედით. წესით, მას უნდა სცოდნოდა უინსტონის დაპატიმრების ამბავი. საძმო, როგორც ო’ბრაიენმა უთხრა, არასოდეს ცდილობდა თავისი წევრის გადარჩენას, მხოლოდ სამართებელს შემოუგზავნიდნენ, თუკი შეძლებდნენ. ხუთი წამი ხომ მაინც ექნებოდა, სანამ საკანში მცველები შეცვივდებოდნენ. სამართებელი მხურვალე სიცივით შეეჭრებოდა სხეულში და თვით მის დამჭერ თითებსაც ძვლამდე ჩაჭრიდა. ყველაფერი ისევ მისი ავადმყოფი სხეულის გახსენებით დამთავრდა, სხეულისა, რომელსაც თვით უმცირეს ტკივილზეც კი აცახცახებდა. დარწმუნებული არ იყო, რომ სამართებელს გამოიყენებდა, თუნდაც ეს შანსი მისცემოდა. უფრო ბუნებრივად მიაჩნდა მიეღო მომდევნო ათი წუთის სიცოცხლე თუნდაც იმ უეჭველობით, რომ ამას უთუოდ მოჰყვებოდა წამება.

დროგამოშვებით საკნის კედლებში ფაიფურის აგურების დათვლას ცდილობდა. ეს ადვილი საქმე ჩანდა, მაგრამ რომელიღაც წერტილში სათვალავი მაინც ეკარგებოდა. უფრო ხშირად ის უკვირდა, ნეტა სად ვარ და რომელი საათიაო. ერთ მომენტში ეჭვიც არ ეპარებოდა, გარეთ კაშკაშა დღეაო, მეორე წამს კი არანაკლებ სჯეროდა, რომ გარეთ სრული წყვდიადი იდგა. ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ამ საკანში სინათლე არასოდეს ითიშებოდა. ეს იყო ადგილი, სადაც არასოდეს ბნელოდა. ახლა უინსტონს ესმოდა, რატომ ეცნო ალუზია ო’ბრაიენს. სიყვარულის სამინისტროს არც ერთი ფანჯარა არ ჰქონდა. ეს საკანი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც შენობის სიღრმეში, ისე მის გარეთა კედელში, როგორც მეათე სართულზე მიწის ქვეშ, ისე ოცდამეათეზე მიწის ზემოთ. გონებით ადგილიდან ადგილზე ინაცვლებდა და ცდილობდა, სხეულის შეგრძნებით დაედგინა, ჰაერში იყო გამოკიდებული თუ მიწაში ჩამარხული.

გარედან ჩექმების ხმა მოისმა. რკინის კარი ჟღრიალით გაიღო. ახალგაზრდა

ოფიცერი - კოხტად გამოწკეპილი, შავუნიფორმიანი ფიგურა, ერთიანად რომ ბრწყინავდა თავისი პრიალა ტყავის წყალობით და სწორნაკვთიანი სახეც ცვილის ნიღაბს მიუგავდა - სწრაფად შემოსრიალდა გაღებულ კარში და გარეთ მყოფ მცველებს ანიშნა, პატიმარი შემოიყვანეთო. საკანში პოეტი ეიმპლფორთი შემოლასლასდა და კარიც ისევ ჟღრიალით მიიკეტა.

ეიმპლფორთმა ერთი-ორი გაურკვეველი მოძრაობა გააკეთა, თითქოს სადღაც, მეორე მხარეს, გასასვლელ კარს ელოდა, შემდეგ საკანში ბოდიალს მოჰყვა. უინსტონის იქ ყოფნა ჯერ არ შეემჩნია. მისი შეწუხებული თვალები უინსტონის თავიდან ერთი მეტრით მაღლა კედელს უყურებდნენ. უფეხსაცმლოდ იყო და დიდი, ჭუჭყიანი თითები გახვრეტილი წინდებიდან გარეთ გამოსჩროდა. წვერიც რამდენიმე დღის წინ თუ გაეპარსა. ახლად ამოწვერილი ღინღლი სახეს ყვრიმალის ძვლებამდე უფარავდა და ხულიგნურ იერს აძლევდა, ასე რომ არ ეხამებოდა მის დონდლო სხეულსა და ნერვიულ მოძრაობებს.

უინსტონი ოდნავ გამოერკვა ლეთარგიიდან: ეიმპლფორთს უნდა დაელაპარაკოს, თუნდაც ტელეეკრანის ღრიალის რისკით. ვინ იცის, იქნებ სამართებელიც შემოუტანა?- ეიმპლფორთ!ეკრანს ხმა არ ამოუღია. ეიმპლფორთი შეჩერდა, რბილად გაოგნებული მისი მზერის ფოკუსი ნელა გასწორდა უინსტონზე.

- აჰ, სმიტ! თქვენც?!- აქ რისთვის მოხვდით?- მართალი გითხრათ, არის მხოლოდ ერთი დანაშაული, არა? - ეიმპლფორთი მოუხერხებლად დაეშვა სკამზე უინსტონის პირდაპირ.

- და თქვენ ის ჩაიდინეთ?- როგორც ჩანს, ჩავიდინე. ეიმპლფორთმა ხელი შუბლზე მიიდო და თითებით საფეთქლები მოისრისა, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობსო.

- ხდება ასეთი რამეები, - დაიწყო არეულად, - ერთი მაგალითი მახსენდება, შესაძლო მაგალითი. ეს ნამდვილად არაკეთილგონივრული საქციელი იყო. კიპლინგის ლექსების გამოცემას ვამზადებდით. სტრიქონის ბოლოში სიტყვა „გოდ“[9] დავტოვე. ვერაფერი მოვუხერხე! - დაუმატა თითქმის აღშფოთებით და თავი უინსტონისკენ ასწია, - სტრიქონის შეცვლა შეუძლებელი იყო. სარითმო წყვილად „გოდ“-ს „როდ“-ი ერითმებოდა, გესმით თუ არა, რომ მთელ ენაში „როდ“-ს სულ თორმეტამდე რითმა მოეპოვება? ტვინი გავიწყალე ამაზე ფიქრით, მაგრამ სხვა რითმა ვერ ვიპოვე.

ეიმპლფორთს გამომეტყველება შეეცვალა, ბრაზი გაუქრა და რაღაც მომენტში თითქმის კმაყოფილი იერი დაედო. მის გაზინზლულ თმა-ღინღლში ერთგვარმა ინტელექტუალურმა სითბომ, რომელიღაც უსარგებლო ფაქტის აღმომჩენი პედანტის სიხარულმა გამოანათა: - ოდესმე თუ გიფიქრიათ, რომ ინგლისური პოეზიის მთელი ისტორია განსაზღვრა იმ ფაქტმა, რომ ინგლისურ ენას აკლია რითმები?არა, კერძოდ ეს აზრი უინსტონს არასოდეს მოსვლია და არც ამ გარემოებებში მიიჩნია განსაკუთრებით მნიშვნელოვნად და საინტერესოდ.

- ხომ ვერ მეტყოდით, რა დროა? - ჰკითხა უინსტონმა.

ეიმპლფორთი ერთხელ კიდევ გაოგნდა: - მაგაზე არც კი მიფიქრია. ორი თუ სამი

დღის წინ დამაპატიმრეს, - და თვალებით კედლებს შემოუარა, თითქოს სადმე ფანჯრის პოვნას ელოდა, - აქ დღესა და ღამეს შორის არავითარი განსხვავება არ არის. არ მესმის, როგორ უნდა გამოთვალო დრო.

რამდენიმე წუთს კიდევ ილაპარაკეს აბდაუბდად, შემდეგ კი, ყოველგვარი ხელჩასაჭიდი მიზეზის გარეშე, ეკრანმა დაუღრიალა, გაჩუმდითო. უინსტონი წყნარად იჯდა გადაჯვარედინებული ხელებით, ეიმპლფორთი კი - მეტისმეტად მსუქანი საიმისოდ, რომ ვიწრო სკამზე დატეულიყო - მოუსვენრად ცმუკავდა და უბალნო ხელებს ხან ერთ მუხლზე იხვევდა, ხან - მეორეზე. ეკრანმა თავზე დაჰყეფა, წყნარად ისხედითო. გავიდა დრო: ოცი წუთი, ერთი საათი - ძნელი სათქმელი იყო. კიდევ ერთხელ მოისმა გარედან ჩექმების ბრახაბრუხი. მალე, ძალიან მალე, შესაძლოა, ხუთიოდ წუთში, შესაძლოა - ახლავე, ეს ბრახაბრუხი უინსტონს თავისი ჯერის დადგომას ამცნობდა.

კარი გაიღო და საკანში ცივსახიანმა ახალგაზრდა ოფიცერმა შემოაბიჯა. ხელის სხარტი მოძრაობით ეიმპლფორთზე მიანიშნა: - ოთახი №101.

ეიმპლფორთმა მოუხეშავად გაალაჯა მცველებთან ერთად. სახეზე ბუნდოვანი, თუმცა ვითარების მთელი სიგრძე-სიგანით გაუცნობიერებული მღელვარება აღბეჭდვოდა.

ალბათ, კიდევ დიდი დრო გავიდა. უინსტონს მუცლის ტკივილი განუახლდა. გონება ერთსა და იმავე წრეზე უბრუნავდა, როგორც ბურთი, რომელიც ისევ და ისევ ვარდებოდა რამდენიმე ამოჩემებულ ხვრელში. სულ ექვსიოდე აზრი უტრიალებდა: ტკივილი მუცელში, პურის ნაჭერი, სისხლი და ყვირილი, ო'ბრაიენი, ჯულია, სამართებელი. მორიგი სპაზმი მუცელში: მძიმე ჩექმები ისევ ახლოვდებოდნენ. როცა კარი გაიღო, შიგნით შემოჭრილმა ჰაერის ნაკადმა ცივი ოფლის მძლავრი სუნი შემოიტანა. საკანში პარსონსი შემოვიდა. ხაკის შორტები და სპორტული მაისური ეცვა.

ამჯერად უინსტონი გაოგნდა, გაოგნდა თავდავიწყებამდე.

- შეენ!პარსონსს არაფერი უპასუხია, მხოლოდ ერთხელ შეხედა უინსტონს მზერით, რომელშიც არც ინტერესი გამოკრთა, არც გაკვირვება, მხოლოდ უბედურება. შემოსვლისთანავე მოუსვენრად მოჰყვა წინ და უკან სიარულს, რაკი წყნარად ყოფნა არ შეეძლო. ყოველ ჯერზე, როცა ფოსოიან მუხლებს მართავდა, აშკარად ჩანდა, რომ ფეხები უკანკალებდა. თვალები ფართოდ, გაშტერებით გაეღო, თითქოს შორიახლო მყოფ რაღაც საგანს თვალს ვერა და ვერ აშორებსო.

- რისთვის მოგიყვანეს? - ჰკითხა უინსტონმა.

- აზრკრიმინალი! - თითქმის ქვითინით წარმოთქვა პარსონსმა. მისი ხმის ტონი ერთდროულად შეიცავდა საკუთარი დანაშაულის სრულ აღიარებასაც და ერთგვარ სკეპტიკურ ზაფრასაც იმის თაობაზე, რომ მსგავსი სიტყვა შეიძლებოდა მის მიმართ გამოეყენებინათ. უცებ უინსტონის წინ გაჩერდა და მხურვალედ მიმართა: - ხომ არ დამხვრეტენ, ძველო? ხომ არ გხვრეტენ, როცა რეალურად არაფერი ჩაგიდენია? მხოლოდ აზრებში. მაგრამ აზრებს ხომ ვერაფერს უზამ, ჰა? ვიცი, მიუკერძოებლად მომისმენენ. ო, მე მათ ვენდობი! მათ ჩემი რეკორდი

ეცოდინებათ, ჰო? შენ ხომ იცი, რა ბიჭი ვიყავი. ჩემებურად - არც ისე ცუდი. არცთუ ჭკუის კოლოფი, რასაკვირველია,მაგრამ ჯიგარი. ვცდილობდი, რაც კი შემეძლო, პარტიისთვის ყველაფერი მეკეთებინა, ხომ ასეა? ნეტავ, ხუთ წელს თუ მაკმარებენ, რას იტყვი? იქნებ ათს? ჩემნაირი ბიჭი შრომა-გასწორების ბანაკში ძალიანაც გამოდგებოდა. რელსებიდან სულ ერთხელ გადავვარდი და ამისთვის ხომ არ დამხვრეტენ?- დანაშაული ჩაიდინე?- რა თქმა უნდა, ჩავიდინე! - შეჰყვირა პარსონსმა და მონური მორჩილებით შეხედა ეკრანს, - აბა, პარტია უდანაშაულო კაცს ხომ არ დააპატიმრებდა!პარსონსს გომბეშოსებური სახე ოდნავ დაუშოშმინდა და რამდენადმე პირმოთნე გამომეტყველება დაედო: - აზრკრიმინალი საშინელებაა, ძველო, - წარმოთქვა სენტენციურად, - თანაც - მზაკვრული საშინელება: ისე შეიძლება შემოგეპაროს, ვერც კი მიხვდე. იცი, მე როგორ შემომეპარა? ძილში! ჰო, ეს ფაქტია. დავდიოდი, ვმუშაობდი, ვაკეთებდი, რაც კი შემეძლო, და აზრზეც არ ვიყავი, რომ რამე ცუდი შეიძლებოდა მქონოდა თავში. და, აი, ძილში ავლაპარაკდი. იცი, რა მითქვამს?პარსონსმა ხმას დაუწია, თითქოს რაღაც სამედიცინო მიზეზით უწმაწურობა უნდა წარმოთქვასო: - „ძირს დიდი ძმა!“ ჰო, სწორედ ეს ვთქვი! ვთქვი და გავიმეორე, კიდევ და კიდევ. ჩვენ შორის დარჩეს, ძველო, და მიხარია, რომ მანამდე ჩამავლეს, სანამ უარესს ვიტყოდი. იცი, რის თქმას ვაპირებ ტრიბუნალის წინაშე? გმადლობთ, -ვეტყვი, - გმადლობთ, რომ გადამარჩინეთ, ვიდრე მეტისმეტად გვიან არ იქნებოდა.

- ვინ დაგაბეზღა? - ჰკითხა უინსტონმა. - ჩემმა პატარა გოგონამ. - თქვა პარსონსმა ერთგვარი მჭმუნვარე სიამაყით, - გასაღების ჭუჭრუტანიდან მოისმინა და მეორე დღესვე ჩამიშვა პატრულთან. საკმაოდ საზრიანია შვიდი წლის ასაკისთვის, არა? ამის გამო არანაირად არ გამიკიცხავს. პრინციპში, მისით ვამაყობ კიდეც. ეს ამბავი მოწმობს, რომ კარგად გამიზრდია.

პარსონსმა კიდევ რამდენიმე წყვეტილი მოძრაობა გააკეთა ზემოთ-ქვემოთ, თან რამდენჯერმე სურვილით შეხედა უნიტაზს. უცებ შორტებიც ჩაიხადა: - მაპატიე, ძველო, უნდა ვქნა, ამდენი ხანია ველოდები.

და პარსონსმა ფართო ბარძაყები უნიტაზს შემოაჭდო. უინსტონმა სახეზე ხელები აიფარა.

- სმიტ! - დაიღრიალა ხმამ ეკრანიდან, - უ. სმიტ! სახიდან ხელები ჩამოიღეთ. საკანში სახის დაფარვა აკრძალულია.

უინსტონმა ხელები ჩამოსწია. ამასობაში პარსონსმა უნიტაზი ხმაურით და უხვად გაავსო, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ ჩამრეცხი მექანიზმი გაფუჭებული იყო და საკანიც რამდენიმე საათით გულის ამრევმა სუნმა გაჟღინთა.

პარსონსი გაიყვანეს. პატიმრები იდუმალად შემოჰყავდათ და გაჰყავდათ. ერთი №101-ე ოთახში გაამწესეს. უინსტონმა შეამჩნია, რომ ამ სიტყვების გაგონებაზე ქალს გააჟრჟოლა და ფერიც რამდენჯერმე შეეცვალა. დადგა დრო, როცა, თუ უინსტონი დილით შემოიყვანეს, ახლა უკვე ნაშუადღევი იქნებოდა, თუ შუადღისას, მაშინ უკვე შუაღამე. საკანში ექვსი პატიმარი იმყოფებოდა, კაცები და ქალები. ხმას არავინ იღებდა. უინსტონის პირდაპირ უნიკაპო კაცი იჯდა. სასიამოვნო სახე ძალიან მიუგავდა რომელიღაც უწყინარ მღრღნელს. მსუქანი და დაწინწკლული ლოყები ისე დაჰქაჩოდა ქვემოთ, რომ ძალზე ძნელი იყო, არ

გეფიქრათ: ალბათ, შიგნით ცოტა საჭმელი მოუმარაგებიაო. მისი ღიანაცრისფერი თვალები შიშნეულად გადადიოდნენ სახიდან სახეზე და სწრაფადვე ერიდებოდნენ, როგორც კი ვინმეს მზერას წააწყდებოდნენ.

კარი გაიღო და საკანში კიდევ ერთი პატიმარი შემოიყვანეს. ამ კაცის დანახვაზე უინსტონს ტანში გასცრა. ეს იყო მდაბიო შესახედაობის ერთი მრავალთაგანი, ალბათ - ინჟინერი ან ტექნიკოსი. მაგრამ მთელ მის იერში ყველაზე გამაოგნებელი მისი სახის გამოფიტულობა იყო. ეს სახე თავის ქალას ჰგავდა. უკიდურესი სიგამხდრის გამო, ბაგეები და თვალები არაპროპორციულად ფართო უჩანდა, მზერა კი ვიღაცის თუ რაღაცის მომაკვდინებელი, დაუოკებელი სიძულვილით ავსებოდა.

ახალშემოსული უინსტონის ახლოს ჩამოჯდა. უინსტონს მისთვის მეორედ აღარ შეუხედავს, მაგრამ ეს ნაწამები, თავის ქალის მსგავსი სახე ისე ნათლად აღბეჭდვოდა გონებაში, თითქოს ისევ პირდაპირ უყურებსო. უცებ უინსტონი მიხვდა, რომ ეს კაცი შიმშილით კვდებოდა. თითქმის იმავდროულად იგივე აზრი მოუვიდათ საკანში მსხდომ სხვა პატიმრებსაც. კედლის გაყოლებაზე ყველა ოდნავ შეიშმუშნა. უნიკაპო კაცის მზერა ჯერ თავისქალისსახიან კაცს უტრიალებდა, შემდეგ დამნაშავის იერით გვერდით მიბრუნდა, ბოლოს კი, რაღაც წინაღუდგომელი ძალით, ისევ ახალშემოსულმა მიიზიდა. შემდეგ წრიალი აუტყდა, ფეხზე წამოდგა, მოუხეშავად გაალაჯა საკანში, ხელი უნიფორმის ჯიბეში ჩაიყო, დასვრილი პურის ნაჭერი ამოიღო და დარცხვენილი სახით გაუწოდა ახალშემოსულს. ეკრანიდან გააფთრებული, გამაყრუებელი ყვირილი გაისმა. უნიკაპო კაცი თავის ადგილს ნახტომით დაუბრუნდა, ჩონჩხისთავამ კი ხელები სასწრაფოდ შემალა ზურგს უკან, რათა თითქოს მთელი ქვეყნისთვის დაენახვებინა, როგორ უარყო შეთავაზებული საჩუქარი.

- ბუმსტედ! - დაიღრიალა ხმამ, - 2712-ე ჯ. ბუმსტედ! პური იატაკზე დააგდეთ!უნიკაპო კაცმა პური ძირს დააგდო.

- ისევე დარჩით, როგორც ხართ, პირით კარისკენ. არ გაინძრეთ.

უნიკაპო კაცი დაემორჩილა. მისი დიდი, ქვედაზიდული ლოყები ცახცახს ვერ იკავებდნენ. კარი ღრჭიალით გაიღო. ახალგაზრდა ოფიცერი შემოსვლისთანავე გვერდზე გადგა და მის უკან გამოჩნდა ჯირკივით ტანდაბალი მცველი ვეებერთელა მხარ-მკლავით. მან უნიკაპო კაცის წინ პოზიცია დაიკავა და ოფიცრის სიგნალზე მთელი სხეულით დაჰკრა მუშტი ტუჩებზე. დარტყმის ძალამ ბუმსტედი თითქოს იატაკს მოსწყვიტა. მისმა სხეულმა მთელი საკანი გადაჭრა და ზედ უნიტაზს დაასკდა. ერთხანს გონებადაკარგულივით იწვა და ტუჩ-ცხვირიდან შავი სისხლი უღვარღვარებდა. შემდეგ ოდნავ გასაგონი, თითქოს გაუცნობიერებელი წუწუნი თუ კრუსუნი აღმოხდა. ბოლოს უნიტაზიდან გადმოგორდა და ბორძიკით დადგა ოთხზე. სისხლისა და ნერწყვის ნაკადს მისი პირიდან ერთი კბილის ორი ნახევარი გადმოჰყვა.

პატიმრებს ხელები მუხლებზე დაეწყოთ და გაუნძრევლად ისხდნენ. უნიკაპო კაცი თავის ადგილზე აფორთხდა. სახის ერთი მხარე თანდათან უშავდებოდა. გასივებული ტუჩი ბლისფერ უფორმო მასას დაემსგავსა შუაში შავი ნახვრეტით. ხანგამოშვებით სისხლის პატარა წვეთი უნიფორმაზე ეწვეთებოდა. მისი

ნაცრისფერი თვალები ისევ გადადიოდნენ სახიდან სახეზე, უწინდელზე უფრო ბრალეული გამომეტყველებით. თითქოს იმის გაგებას ცდილობდა, რამდენად შეეზიზღა ხალხს ამ დამცირებისთვის.

კარი გაიღო. შემოსულმა ოფიცერმა ხელის მცირე მოძრაობით ჩონჩხისთავიან კაცს მიმართა: - ოთახი №101.

უინსტონის გვერდით სულის მომენტალური შეგუბება-აღელვების ბგერა გაისმა. ჩონჩხისთავა მუხლებით დაასკდა საკნის იატაკს: - ამხანაგო! ოფიცერო! - შესძახა შეტყუპებული ხელებით, - იქ ნუ წამიყვანთ! მე ხომ ყველაფერი გითხარით? კიდევ რისი გაგება გსურთ? ყველაფერს ვაღიარებ, ყველაფერს! ოღონდ მითხარით და ახლავე ვაღიარებ! დაწერეთ და მე ხელს მოვაწერ! ოღონდ იმ ოთახში არა!- ოთახი №101. - გაიმეორა ოფიცერმა.

ჩონჩხისთავას ისეთი ფერი დაედო, როგორიც უინსტონს არასოდეს უნახავს ადამიანის სახეზე: მწვანე ჩრდილი, არც მეტი, არც ნაკლები.

- რაც გინდათ, ის მიქენით! - შესძახა ისევ, - მთელი კვირები ხომ მაშიმშილეთ. ახლა დაასრულეთ და ნება მომეცით, მოვკვდე. დამხვრიტეთ. ჩამომახრჩვეთ. დამაპატიმრეთ ოცდახუთი წლით. იქნებ არის ვინმე, ვინც გინდათ, რომ გავცე? დამისახელეთ და ყველაფერს გეტყვით, რასაც მოისურვებთ. არ მედარდება, ვინ იქნება და რას გაუკეთებთ. ცოლი და სამი შვილი მყავს. უფროსი ჯერ ექვსისაც არ არის. შეგიძლიათ ყველა აქ მოიყვანოთ და სათითაოდ გამოსჭრათ ყელი ჩემ თვალწინ. მე აქ ვიდგები და თვალს არ მოვაცილებ. ოღონდ №101-ში ნუ წამიყვანთ!- ოთახი №101.

ჩონჩხისთავამ ისტერიულად გადახედა სხვა პატიმრებს, თითქოს აზრად მოუვიდა სხვა მსხვერპლი შეერჩია თავის სანაცვლოდ. ბოლოს უნიკაპო კაცის დათეთქვილ სახეს მიაჩერდა და გაძვალტყავებული ხელი მისკენ გაიშვირა: - აი, ეს უნდა წაიყვანოთ და არა მე! - იყვირა მან, - თქვენ ხომ არ გაგიგონიათ, რას ამბობდა, როცა სახეში ტყვლიპეს. მომეცით შანსი და მის ყოველ სიტყვას ჩაგიკაკლავთ. სწორედ ეგაა პარტიის მოწინააღმდეგე და არა მე.

მცველებმა წინ წამოიწიეს. ჩონჩხისთავა უკვე კიოდა: - თქვენ ხომ არ გაგიგონიათ! ეკრანს რაღაც დაემართა. თქვენ სწორედ ის გინდათ. ის წაიყვანეთ, არა მე!ის იყო, ორ ძალუმ მცველს მკლავებით უნდა ჩაებღუჯა, რომ ჩონჩხისთავიანი კაცი იატაკს გაერთხა, ისტერიულად ჩააფრინდა ერთ-ერთ იმ რკინის ფეხთაგანს, რომლებსაც კედლების გასწვრივ ჩაყოლებული სკამი ეყრდნობოდა და უსიტყვო, ცხოველური ყმუილი ამოუშვა. მცველები ჩაებღაუჭნენ და სკამის ფეხიდან მოცილება სცადეს, მაგრამ პატიმარი გაუგონარი ძალით ჩაჰფრენოდა რკინას. თითქმის ოცი წამის განმავლობაში ექაჩებოდნენ. სხვა პატიმრები წყნარად ისხდნენ, ხელები მუხლებზე გადაეჯვარედინებინათ და ზუსტად თავის პირდაპირ იყურებოდნენ. ყმუილი შეწყდა. ჩონჩხისთავა ოდნავღა სუნთქავდა და ისევ სკამის ფეხს მიჰკვროდა. ამას სხვანაირი ყმუილი მოჰყვა: მცველმა ჩექმის დარტყმით ხელის თითები ჩაულეწა. პატიმარი ფეხზე წამოაყენეს.

- ოთახი №101. - წარმოთქვა ოფიცერმა.

კაცი გაიყვანეს. ბორძიკით მიდიოდა, თავი ჩაექინდრა, დალეწილ თითებს იზელდა, ძალა მთლიანად გამოსცლოდა.

დროის დიდმა მონაკვეთმა განვლო. თუ ჩონჩხისთავა შუაღამისას გაიყვანეს, ახლა დილა იქნებოდა, თუ დილას, მაშ, უკვე ნაშუადღევი ყოფილა. ვიწრო სკამზე ჯდომა იმდენად მტკივნეული იყო, რომ უინსტონმა საკანში გაიარ-გამოიარა. ეკრანს ხმა არ ამოუღია. უნიკაპო კაცის მიერ დაგდებული პურის ნაჭერი ისევ იქ ეგდო. თავიდან უინსტონს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ პურისთვის არ შეეხედა, მაგრამ ამჯერად შიმშილს წყურვილი შეენაცვლა. ენა სასაზე მიჰკვროდა, პირში ცუდი გემო ჰქონდა. მოზუზუნე ხმამ და მუდმივმა თეთრმა სინათლემ რაღაცნაირად გააბრუა და თავი სიცარიელით აუვსო. ფეხზე დგებოდა, რადგან ძვლების ტკივილი უკვე აუტანელი იყო, თუმცა მაშინვე ჯდებოდა, რადგან თავბრუსხვევა ფეხზე დგომის უნარს საეჭვოს ხდიდა. როგორც კი ფიზიკურად წონასწორდებოდა, ზაფრაც უბრუნდებოდა. დროდადრო მკრთალი იმედით ახსენდებოდა ო'ბრაიენი და სამართებელი. ეგებ, სამართებელი საჭმელთან ერთად შემოეგზავნათ, თუ, რასაკვირველია, საერთოდ მოუტანდნენ საჭმელს. უფრო ბუნდოვნად ახსენდებოდა ჯულია. სადღაც ის, შესაძლოა, მასზე მეტად იტანჯებოდა. ეგებ, ამწამს ტკივილისგან კიოდა კიდეც. „ჩემი ტკივილის გაორმაგებით ჯულიას გადარჩენა რომ შემეძლოს, თუ წავიდოდი ამაზე? წავიდოდი", ფიქრობდა უინსტონი. მაგრამ ეს იყო მხოლოდ გონებრივი გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო, რადგან იცოდა, რომ უნდა მიეღო. გრძნობით კი ამას არ გრძნობდა. ასეთ ადგილას ვერაფერს იგრძნობდი, ტკივილის ან მოსალოდნელი ტკივილის გარდა. ისე კი, ნუთუ შეიძლებოდა საკუთარი ტკივილის გაძლიერება გესურვა მაშინ, როცა შენ თვითონ ნამდვილად იტანჯებოდი? თუმცა ეს ჯერჯერობით პასუხგაუცემელი კითხვა იყო.

ჩექმების ხმა ისევ მოახლოვდა. კარი გაიღო და... ო'ბრაიენი შემოვიდა.

უინსტონი ფეხზე წამოდგა. ო'ბრაიენის დანახვამ ყოველგვარი სიფრთხილე დააკარგვინა. მრავალი წლის განმავლობაში პირველად დაავიწყდა ეკრანის არსებობა.

- თქვენც აგიყვანეს! - შეჰყვირა თავშეუკავებლად.

- მათ მე დიდი ხნის წინ ამიყვანეს, - თქვა ო'ბრაიენმა რბილი, თითქმის მონანიე ირონიით და გვერდით მიდგა. მის უკან გამოჩნდა ფართომკერდიანი მცველი დიდი შავი ხელკეტით.

- თქვენ ხომ იცოდით ეს, უინსტონ, - თქვა ო'ბრაიენმა, - თავს ნუ მოიტყუებთ. თქვენ ეს იცოდით, მუდამ იცოდით.

ჰო, უინსტონმა დაინახა ის, რაც ყოველთვის იცოდა. მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო. ახლა ხედავდა მხოლოდ და მხოლოდ მცველის ხელში შემართულ ხელკეტს, რომელიც ყველგან შეიძლებოდა მოხვედროდა: კეფაში, ყურის ძირში, მკლავის ზედა ნაწილში, იდაყვში...

იდაყვი! უინსტონი მუხლებზე დაეცა და კეტდანარტყამ იდაყვზე მეორე ხელი იტაცა. ირგვლივ ყველაფერი ყვითელ შუქში გაეხვია. დაუჯერებელი იყო,

პირდაპირ დაუჯერებელი, რომ ერთ დარტყმას ასეთი ტკივილის მიყენება შეეძლო! რეტის სინათლე გაიფანტა და უინსტონმა დაინახა საკანში მყოფი ის ორი, რომლებიც დაჰყურებდნენ. მცველი მის კრუნჩხვებს სიცილით უყურებდა. ამ მომენტისთვის ერთ კითხვას მაინც გაეცა პასუხი: არასოდეს, არანაირი მიზეზით არ ისურვებდი, რომ ტკივილი გაგზრდოდა. ტკივილთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ რამეს ინატრებდი: რომ ის შეწყვეტილიყო. ქვეყნად არაფერი იყო ფიზიკურ ტკივილზე უარესი. ტკივილის წინაშე არ არსებობს არავითარი გმირიო - კიდევ და კიდევ იმეორებდა ფიქრში უინსტონი, როცა იატაკზე იკლაკნებოდა და წყობიდან გამოსულ მარცხენა მკლავს უაზროდ ისრესდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

II

უინსტონი იწვა რაღაც ისეთზე, რაც კარვის საწოლს წააგავდა იმ განსხვავებით, რომ მიწიდან უფრო მეტად იყო დაშორებული და თვითონაც ისე დაებათ ზედ, რომ ვერ ინძრეოდა. ჩვეულებრივზე ძლიერი შუქის ნაკადი პირდაპირ სახეში ეცემოდა. გვერდით ო'ბრაიენი ედგა და მთელი ყურადღებით დასცქეროდა. მეორე მხარეს, თეთრხალათიან კაცს, კანქვეშ შესაშხაპუნებელი შპრიცი ეჭირა.

თუმცა თვალები ღია ჰქონდა, გარემოს მხოლოდ ნელ-ნელა აფიქსირებდა. თითქოს ამ ოთახში რომელიღაც ძალზე ღრმად ჩაძირული წყალქვეშა სამყაროდან ამოყვინთა. რამდენი ხანი დაჰყო იქ, ქვემოთ, - უინსტონისთვის გაურკვეველი იყო. მას შემდეგ, რაც დააპატიმრეს, არც სიბნელე უნახავს, არც დღის ნათელი. თანაც მოგონებები მწყობრად არ მისდევდნენ ერთმანეთს. იყო მონაკვეთები, როცა ცნობიერება - თვით ისეთიც კი, როგორიც ადამიანს ძილში აქვს - მთლიანად ითიშებოდა და ისევ ირთვებოდა სრულებით ცარიელი პაუზის შემდეგ. მაგრამ რა ხანგრძლივობის იყო ეს ინტერვალები, - დღეების, კვირების თუ წამების, - ვერაფრით დაადგენდი.

კოშმარი იდაყვში მიღებული იმ პირველი დარტყმის შემდეგ დაიწყო. მოგვიანებით უინსტონი მიხვდა, რომ ყველაფერი, რაც მაშინ მოხდა, იყო ჩვეულებრივი წინასწარი დაკითხვა, რომელიც ყველა პატიმარს უნდა გაევლო. დანაშაულთა გრძელი ნუსხა -შპიონაჟი, საბოტაჟი და სხვა ამდაგვარი - ყველას უნდა ეღიარებინა, როგორც თავისთავად ცხადი რამ. აღსარება ფორმალური პროცესი იყო, წამება - რეალური. რამდენჯერ სცემეს და რამდენ ხანს გაგრძელდა თითოეული ცემა - უინსტონს არ ახსოვდა. ყოველთვის ხუთი თუ ექვსი შავფორმიანი კაცი ურტყამდა ერთდროულად, ხან მუშტებით, ხან ხელკეტებით, ხან რკინის ჯოხებით, ხანაც ჩექმებით. იყო მომენტები, როცა ცხოველივით დაურცხვენლად გორავდა იატაკზე, იკლაკნებოდა და უსასრულოდ და უიმედოდ ცდილობდა, რამენაირად შეერბილებინა დარტყმები. ეს, უბრალოდ, იწვევდა უფრო და უფრო მეტ დარტყმას მის ნეკნებში, მუცელში, იდაყვებში, წვივებში, საზარდულში, ზურგის ფუძის ძვალში. ზოგჯერ ეს განუსაზღვრელად დიდხანს გრძელდებოდა და ამ დროს უინსტონს სასტიკ, საზარელ, უპატიებელ ამბად ის კი არ მიაჩნდა, რომ მცველები მის ცემას განაგრძობდნენ, არამედ ის, რომ ვერაფრით აიძულებდა თავს - ცნობა მიხდოდა. ზოგჯერ ნერვები ისე უმტყუნებდა, რომ ჯერ კიდევ ცემის დაწყებამდე ყვირილით ითხოვდა შებრალებას. ასეთ მომენტებში დასარტყმელად გამზადებული მუშტის ერთი შეხედვაც კი უკვე თავის რეალურ და წარმოსახვით დანაშაულებს აფრქვევინებდა. სხვა დროს იმ გადაწყვეტილებით იწყებდა, არაფერს არ ვაღიარებო. ამ დროს თითოეულ სიტყვას ორ სულისხუთვას შორის თუ ამოგლეჯდნენ. ზოგჯერ უძლურად ახორციელებდა ერთგვარ კომპრომისულ ვარიანტს, როცა თავის თავს ეუბნებოდა: „ვაღიარებ, მაგრამ ჯერ არა. უნდა გავუძლო, ვიდრე ტკივილი აუტანელი გახდება. კიდევ სამი დარტყმა, კიდევ ორი, და ვეტყვი, რაც უნდათ". ზოგჯერ ისე სცემდნენ, რომ ძლივსღა დგებოდა, თუმცა მაშინვე კარტოფილის ტომარასავით ენარცხებოდა ქვის იატაკზე. რამდენიმე საათს ასე რჩებოდა გაშხლართული, ვიდრე სულს მოითქვამდა, შემდეგ ისევ გაჰყავდათ და სცემდნენ. იყო მომჯობინების უფრო ხანგრძლივი პერიოდებიც. უინსტონს ისინი ბუნდოვნად ახსოვდა, რაკი ამ დროს, ძირითადად, ეძინა ან გაშეშებული იწვა. აგონდებოდა

კედლიდან გადმოსაწევი კარადის მსგავსი ფიცრის საწოლი, თუნუქის პირსაბანი, ცხელი სუპის, პურისა და ხანდახან ყავისგან შემდგარი საჭმელი. ახსენდებოდა პირქუში დალაქი, მისი ნიკაპის გასაპარსად და თმის გასაკრეჭად რომ შემოდიოდა. ახსენდებოდა აგრეთვე საქმიანი, უსიმპათიო თეთრხალათიანი კაცები, პულსს რომ უსინჯავდნენ, რეფლექსებს უმოწმებდნენ, ქუთუთოებს უწევდნენ, მაგარი თითებით სხეულზე გადაურბენდნენ დამტვრეული ძვლების ძებნაში, ბოლოს კი მკლავში ნემსს ურჭობდნენ და აძინებდნენ.

ცემით ახლა უფრო იშვიათად სცემდნენ, მის ნაცვლად ემუქრებოდნენ რომელიმე საშინელებით, რომელშიც ნებისმიერ წამს მოახვედრებდნენ, თუ მისი პასუხები არ დააკმაყოფილებდათ. ამჯერად მისი დამკითხავები შავფორმიანი მოჩხუბრები კი არ იყვნენ, არამედ პარტიის ინტელექტუალები, პატარა ჩამრგვალებული კაცები სწრაფი მოძრაობებითა და სინათლეზე აელვარებული სათვალეებით. ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და უინსტონს ათი-თორმეტი საათის განმავლობაში ამუშავებდნენ. ეს დამკითხავები ისე იქცეოდნენ, რომ მას მუდმივად ეგრძნო მცირე ტკივილი. თუმცა, ძირითადად, ტკივილი არ იყო ის, რითაც ამჯერად მანევრირებდნენ. ისინი სილას ურტყამდნენ სახეში, ყურებს უგრეხდნენ, თმას აწიწკნიდნენ, ცალ ფეხზე დგომას აიძულებდნენ, მოშარდვას არ ანებებდნენ, აცრემლებამდე ასხივებდნენ თვალებში კაშკაშა სინათლეს... ეს ყველაფერი მიზნად ისახავდა დამცირებას და მსჯელობა-აზროვნების უნარის წართმევას. და მაინც, მათი უპირველესი იარაღი იყო დაუსრულებელი დაკითხვა, რომელიც საათობით გრძელდებოდა და რომლის დროსაც მას ხაფანგებს უგებდნენ, ყველა მის ნათქვამს წინ და უკან ატრიალებდნენ, ყოველ ნაბიჯზე ტყუილსა და წინააღმდეგობებში იჭერდნენ, სანამ, ბოლოს და ბოლოს, ქვითინი არ წასკდებოდა სირცხვილისა და ნერვული გადაღლისგან. ხანდახან ერთი დაკითხვის განმავლობაში ექვსჯერ მაინც აქვითინდებოდა. უმეტესწილად, ისინი უინსტონს ლანძღავდნენ და ყოველ შეყოყმანებაზე ისევ მცველების ხელში ჩაგდებით ემუქრებოდნენ. თუმცა ზოგჯერ უეცრად მოლბებოდნენ, „ამხანაგო“-ზე გადადიოდნენ, ინგსოცისა და დიდი ძმის სახელით მიმართავდნენ და გულმწუხარედ ეკითხებოდნენ, ეგებ, ჯერ კიდევ შემოგრჩა პარტიის ერთგულება, ჩადენილი ბოროტების გამოსწორებას რომ გასურვებინებსო. საათობით დაკითხვისგან უინსტონს ნერვები დაჰფლეთოდა და ასეთ მიმართვასაც კი ზლუქუნა ცრემლებამდე მიჰყავდა. საბოლოოდ, ამ მტანჯველმა ხმებმა უფრო ძირფესვიანად დაანგრია, ვიდრე მცველების მუშტებმა და ჩექმებმა. მთელი მისი არსებისგან მხოლოდ პირიღა დარჩა, პირი, რომელიც წარმოთქვამდა; მხოლოდ ხელი, რომელიც ანიშნებდა, რასაც მისგან ითხოვდნენ. მისი ერთადერთი საზრუნავი იმით შემოიფარგლებოდა, რომ აღმოეჩინა, რის აღიარებას ითხოვდნენ მისგან და, როგორც კი აღმოაჩენდა, იმწამსვე ეღიარებინა, ვიდრე მორიგი დაშინება დაიწყებოდა. აღიარა პარტიის გამოჩენილ მუშაკთა მკვლელობა, შფოთისჩამსახავი პამფლეტების გავრცელება, სახალხო ფონდის გაფლანგვა, სამხედრო საიდუმლოებების გათქმა, ყოველი ჯურის საბოტაჟი. აღიარა, უკვე 1968 წლიდან აღმოსავლეთაზიის მიერ დაქირავებული ჯაშუში ვიყავიო. აღიარა, რელიგიური მორწმუნე, კაპიტალიზმის მომხრე და სექსუალურად გარყვნილი ვარო. ცოლის მოკვლაც აღიარა, თუმცა იცოდა, რომ მისი ანკეტიდან ცნობილი იქნებოდა ქეთრინის ცოცხლად ყოფნა. წლების მანძილზე პირადი კავშირი მქონდა გოლდსტეინთან და იმ მიწისქვეშა ორგანიზაციის წევრი ვიყავი, რომელშიც თითქმის ყველა ჩემი ოდინდელი

ნაცნობი ერთიანდებაო. რასაკვირველია, უფრო იოლი იყო ყველაფრის აღიარება და ყველას გარევა ჩადენილ დანაშაულში. გარდა ამისა, რაღაც გაგებით, ეს ყველაფერი სიმართლეს შეეფერებოდა. სიმართლე იყო მისი მტრობა პარტიისადმი, რომლისთვისაც გაფიქრება და ჩადენა არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

უინსტონს სხვა რამეებიც ახსენდებოდა. ეს მოგონებები წყვდიადით გარემოცული სურათებივით წყვეტილად მოტივტივებდნენ მის გონებაში.

აგონდებოდა საკანი, - ვერ იტყოდა, - ბნელი თუ ნათელი, რადგან ვერაფერს ხედავდა, წყვილი თვალის გარდა. სადღაც, ერთი ხელის გაწვდენაზე, რომელიღაც მოწყობილობა ნელა და შეუსვენებლად წიკწიკებდა. თვალები ნელ-ნელა გაფართოვდა და გაბრწყინდა. უცებ უინსტონი სკამიდან აცურდა, იმ თვალებში ჩაიძირა და ერთიანად დაინთქა.

სკამზე მიბმული იჯდა, ირგვლივ კი დამაბრმავებელი შუქით განათებული ციფერბლატები ერტყა. თეთრხალათიანი კაცი ციფერბლატებზე რაღაცას კითხულობდა. გარედან ჩექმების ბრახუნი გაისმა. კარი გაიღო და შემოვიდა ცვილისსახიანი ოფიცერი ორი მცველის თანხლებით: - ოთახი №101.

თერთხალათიანი კაცი არ შემობრუნებულა და არც უინსტონისთვის შეუხედავს: ისევ ციფერბლატებს ჩაჰკირკიტებდა.

მიგორავდა კილომეტრამდე სიგანის უზარმაზარ, ოქროსფერი სინათლით სავსე დერეფანში. ხარხარებდა და მთელი ხმით აღსარებებს გაჰყვიროდა. ყველაფერს აღიარებდა, იმასაც კი, რისი დამალვაც წამების დროს მოახერხა. მთელი თავისი ცხოვრების ამბავს უამბობდა აუდიტორიას, რომელმაც ეს ყველაფერი უკვე იცოდა. გვერდით მოჰყვებოდნენ მცველები, სხვა დამკითხავები, თეთრხალათიანი კაცები, ო’ბრაიენი, ჯულია, მისტერ ჩარინგტონი, - ყველანი იმ დერეფანში მიგორავდნენ და ხარხარებდნენ. რაღაც საშინელებას, რაც მომავალში უნდა მომხდარიყო, რაღაცნაირად გადაახტნენ და ის აღარ მოხდა. ყველაფერი კარგად იყო. ტკივილიც გაქრა და მისი ცხოვრების უკანასკნელი დეტალი გაშიშვლებული, გაგებული და მიტევებული ციმციმებდა.

ხის საწოლიდან დგებოდა სანახევროდ დარწმუნებული - ხმა მომესმაო. თუმცა არ დაუნახავს, მთელი დაკითხვის განმავლობაში ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ო’ბრაიენი უხილავად ედგა იდაყვთან. სწორედ ო’ბრაიენი წარმართავდა ყველაფერს უხილავად. სწორედ მან დაუყენა მცველები და სწორედ ის ეღობებოდა, რომ უინსტონი არ მოეკლათ. ო’ბრაიენი წყვეტდა, როდის ეყვირა უინსტონს ტკივილისგან და როდის მოეთქვა სული, როდის ეჭამა, როდის ეძინა და როდის უნდა შეეშხაპუნებინათ წამალი მის ვენაში. სწორედ ის აწარმოებდა დაკითხვას და პასუხებსაც თვითონვე შთააგონებდა. ო’ბრაიენი იყო მწამებელი და მფარველი, ინკვიზიტორი და მეგობარი. და ერთხელ (უინსტონს არ ახსოვდა, წამლიან ძილში მოხდა ეს, ნორმალურში თუ თვით ღვიძილის დროს) ვიღაცამ ყურში ჩასჩურჩულა: „ნუ იღელვებთ, უინსტონ, თქვენ მე გმფარველობთ. შვიდი წელია გითვალთვალებთ. ახლა გარდატეხის მომენტი დადგა. მე გადაგარჩენთ, მე თქვენ სრულგქმნით“. დარწმუნებით ვერ იტყოდა, ო’ბრაიენის ხმააო, მაგრამ ეს იგივე ხმა იყო, რომელმაც ერთხელ, სხვაგან, შვიდი წლის წინ უთხრა: „ჩვენ

შევხვდებით იქ, სადაც სიბნელე არ არის“.

დაკითხვის დამთავრების დრო არ ახსოვდა. იყო სიშავე, შემდეგ კი - საკანი თუ ოთახი, რომელშიც ახლა იმყოფებოდა და რომელიც მის ირგვლივ ნელ-ნელა მატერიალიზდებოდა. ზურგი ერთიანად გაბრტყელებოდა და ვერ ინძრეოდა. სხეულის ყველა ნაკვთი - თვით კეფაც კი - რაღაცით დაბმული ჰქონდა. თავზე ო’ბრაიენი ედგა და სერიოზულად, უფრო კი სევდიანად დაჰყურებდა. ქვემოდან სახე ხორკლიანი და გაცვეთილი უჩანდა, თვალებქვეშ უპეები შეშუპებოდა, დაღლილი ნაოჭები კი ცხვირიდან ნიკაპამდე ჩამოსვლოდა. უფრო ასაკოვანი იყო, ვიდრე უინსტონს ეგონა, - ალბათ, ორმოცდარვა თუ ორმოცდაათი წლისა. მისი ხელის ქვეშ ჩანდა ბერკეტიანი ციფერბლატი წრეზე ჩამწკრივებული ციფრებით: - მე გითხარით: თუ ისევ შევხვდებოდით, ეს მოხდებოდა აქ.

- ჰო, - თქვა უინსტონმა.

ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე - თუ არ ჩაითვლება ო’ბრაიენის ხელის მცირე მოძრაობა - უინსტონს სხეულში ტკივილის ტალღამ დაუარა. შემაშინებელი ტკივილი იყო, რადგან არ იცოდა, რა ხდებოდა. ისეთი განცდა გაუჩნდა, თითქოს რაღაც მომაკვდინებელი დამართეს. ისიც არ იცოდა, მართლა ემართებოდა რაღაც თუ ეს მხოლოდ ელექტრული ეფექტი იყო. მაგრამ მისი სხეული ფორმას კარგავდა და სახსრებიც ნელა უშორიშორდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ტკივილისგან შუბლზე ოფლმა დაასხა, ყველაზე უარესი მაინც იმის შიში იყო, რომ საცაა ხერხემალი უმტყუნებდა. კბილი კბილს დააჭირა და ცხვირით ძლიერად შეისუნთქა. ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დიდხანს არ ამოეღო ხმა.

- თქვენ გეშინიათ, რომ წუთი წუთზე რაღაც დაგემსხვრევათ, - უთხრა ო’ბრაიენმა, -განსაკუთრებით გეშინიათ, რომ ეს ხერხემალი იქნება. გონებაში სრულებით ცხადი სურათი გეხატებათ, რომ საცაა ხერხემლის მალები ერთმანეთს დაშორდება და ზურგის ტვინი გარეთ გადმოდინდება. ამას არ ფიქრობთ, უინსტონ?„პაციენტს“ არაფერი უთქვამს. ო’ბრაიენმა ბერკეტი უკან გადასწია და ტკივილის ტალღაც თითქმის ისევე სწრაფად უკუიქცა, როგორც მოვიდა.

- ეს ორმოციანი იყო. - თქვა ო’ბრაიენმა, - თქვენ ხედავთ, რომ ციფერბლატზე ციფრები ასამდე ადის. გემახსოვრებათ თუ არა მთელი ჩვენი საუბრის განმავლობაში, რომ ყოველ წამს შემიძლია ტკივილი მოგაყენოთ, თანაც ისეთი ძალის, როგორსაც თავად ავირჩევ? როგორც კი ტყუილს მეტყვით ან ეცდებით, რამენაირად სიტყვა ბანზე ამიგდოთ, ან თქვენს ინტელექტზე უფრო დაბლა დაეშვებით, -მომენტალურად შეჰყვირებთ ტკივილისგან. გამიგეთ?- ჰო.

ო’ბრაიენს იერი ოდნავ შეურბილდა. ჩაფიქრებულად გაისწორა სათვალე, ორიოდე ნაბიჯი გაიარ-გამოიარა და რბილი, მომთმენი ხმით ალაპარაკდა. ექიმის, მასწავლებლის თუ თვით სასულიერო პირის გამომეტყველება ჰქონდა, უფრო ასახსნელ-დასარწმუნებლად და არა დასასჯელად აღძრული კაცის იერი.

- მე თქვენით ვწუხდები, უინსტონ, რადგან თქვენ ამად ღირხართ. შესანიშნავად იცით, რაც არის თქვენს თავს. უკვე არაერთი წელია იცით, თუმცა იბრძვით ამ ცოდნის წინააღმდეგ. თქვენი გონება წყობიდანაა გამოსული. თქვენივე მეხსიერების ჩავარდნა გტანჯავთ. არ ძალგიძთ რეალურად მომხდარი

მოვლენების გახსენება და, იმავდროულად, საკუთარ თავს არწმუნებთ, რომ გახსოვთ არარსებული ამბები. საბედნიეროდ, ეს განკურნებადია. თქვენ თვითონ არასოდეს განგიკურნავთ თავი, რადგან ეს გზა არ აგირჩევიათ. მზად არ აღმოჩნდით ნებისყოფის მცირეოდენი დაძაბვისთვის. მშვენივრად ვიცი, რომ ახლაც ისე მიჰკვრიხართ თქვენს სნეულებას, თითქოს სნეულება კი არა, სათნოება ყოფილიყოს. აი, ამის მაგალითი. მითხარით, ვის ებრძვის ამჯერად ოკეანია?- როცა დამაპატიმრეს, ოკეანია აღმოსავლეთაზიას ებრძოდა.

- აღმოსავლეთაზიას. კეთილი. და ყოველთვის მას ეომებოდა, არა?უინსტონმა ჩაისუნთქა, შემდეგ კი პირი გააღო, რომ ეპასუხა, მაგრამ არაფერი თქვა: ვერა და ვერ მოსწყვიტა თვალი ციფერბლატს. - სიმართლე, უინსტონ, თქვენი სიმართლე, გეთაყვა. მითხარით, თქვენ როგორ გახსოვთ ეს ამბავი.

- მახსოვს, რომ დაპატიმრებამდე ერთი კვირით ადრე სულაც არ ვებრძოდით აღმოსავლეთაზიას. ჩვენ მათთან ალიანსში ვიყავით. ომით კი ევრაზიას ვეომებოდით. ეს ოთხ წელიწადს გრძელდებოდა. მანამდე...

ო'ბრაიენმა ხელის აქნევით შეაჩერა: - მეორე მაგალითი. რამდენიმე წლის წინ ნამდვილად დიდ ცდომილებაში იყავით. თქვენი აზრით, სამი ადამიანი - ჯოუნზი, აარონსონი და რეზერფორდი - პარტიის წევრები დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში, ადამიანები, რომლებიც მაქსიმალურად სრული აღსარების თქმის შემდეგ დახვრიტეს მათი ღალატისა და საბოტაჟისთვის, - თქვენი აზრით, ისინი დამნაშავენი არ იყვნენ იმაში, რაც მათ ჰბრალდებოდათ. თქვენ გჯეროდათ, რომ საკუთარი თვალით იხილეთ დოკუმენტი, რომელიც გარდაუვლად ადასტურებდა მათი აღსარების სიყალბეს. თითქოს არსებობდა უეჭველი ფოტო, რომელიც თქვენ მოგელანდათ. გჯეროდათ, რომ ნამდვილად გეჭირათ ხელში რაღაც ამ ფოტოს მსგავსი...

და ო'ბრაიენის ხელში გამოკრთა გაზეთის მოგრძო ნახევი. დაახლოებით ხუთიოდე წამის განმავლობაში გაზეთის ნაგლეჯი უინსტონის მზერაში მოხვდა. ეს იყო ფოტოსურათი და თან ორი აზრი არ არსებობდა - რომელი ფოტოსურათიც. ეს სწორედ ის ფოტო იყო, კიდევ ერთი ასლი იმ ფოტოსი, რომელზეც გამოსახული იყვნენ ჯოუნზი, აარონსონი და რეზერფორდი ნიუ-იორკში გამართულ პარტიის კრებაზე და რომელიც უინსტონმა თერთმეტი წლის წინ ნახა და საგულდაგულოდ მოსპო. სულ ერთადერთი წამით ჰქონდა თვალწინ, შემდეგ კი სურათი გაქრა. მაგრამ იმწამს კი ნახა, უსიკვდილოდ ნახა! უინსტონმა სასოწარკვეთილად გაიბრძოლა, რათა სხეულის ზევითა ნახევარი მაინც გაეთავისუფლებინა. მაგრამ რა! ერთი სანტიმეტრითაც კი ვერ დაიძვრებოდი რომელიმე მიმართულებით. ამწუთას ციფერბლატიც კი გადაავიწყდა. მხოლოდ ის სურდა, კიდევ ერთხელ დაეჭირა ხელში ფოტოსურათი ან, უკიდურეს შემთხვევაში, დაენახა მაინც.

- არსებობს! - შეჰყვირა მან.

- არა, - თქვა ო'ბრაიენმა. მან ოთახი გადაჭრა მოპირდაპირე კედლისკენ, სადაც ხსოვნის ნახვრეტი ჩანდა. ცხაური ასწია და ქაღალდის თხელი ნაგლეჯიც მეყსეულად შთანთქა ჰაერის ცხელმა ნაკადმა. ო'ბრაიენი უინსტონთან დაბრუნდა.

- ფერფლი, თან ისეთი ფერფლი - ვერც კი ამოიცნობ. მტვერი. ის აღარ არსებობს. არასოდეს უარსებია.

- მაგრამ ის არსებობდა! ის არსებობს! ხსოვნაში არსებობს. მე ის მახსოვს. თქვენც გახსოვთ.

- მე არ მახსოვს, - თქვა ო'ბრაიენმა.

უინსტონს გული გადაუქანდა: აი, ეს გახლდათ ორაზრი! მომაკვდინებელი უსუსურობის განცდამ გათანგა. დარწმუნებული რომ ყოფილიყო - ო'ბრაიენი ტყუისო, ამ ამბავს აინუნშიც არ ჩააგდებდა. მაგრამ სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ო'ბრაიენს ფოტოსურათი მართლა დაავიწყდა. და თუ ასეა, მაშინ თვით უარყოფაც უნდა დავიწყებოდა და თვით დავიწყების აქტიც. როგორ უნდა დარწმუნებულიყო ადამიანი, რომ მხოლოდ ეშმაკობასთან ჰქონდა საქმე? ეგებ, გონებაში მართლა შეიძლებოდა მომხდარიყო ეს გიჟური გადანაცვლება?უინსტონს ეს აზრი ამარცხებდა.

ო'ბრაიენი ფიქრიანად დაჰყურებდა ზემოდან. როგორც არასდროს, ისე ჰგავდა ამწუთას უსაქციელო, მაგრამ იმედისმომცემი ბავშვის პრობლემებით დაკავებულ პედაგოგს: - არსებობს პარტიის ლოზუნგი, რომელიც ეხება წარსულის გაკონტროლებას. გაიმეორეთ, თუ შეიძლება.

- ვინც აკონტროლებს წარსულს, აკონტროლებს მომავალსაც. ვინც აკონტროლებს აწმყოს, აკონტროლებს წარსულსაც, - მორჩილად გაიმეორა უინსტონმა.

- ვინც აკონტროლებს აწმყოს, აკონტროლებს წარსულსაც, - გაიმეორა ო'ბრაიენმა, თან ნელა იქნევდა თავს დადასტურების ნიშნად. - ეს თქვენი შეხედულებაა, უინსტონ, რომ წარსული რეალურად არსებობს?უინსტონი კიდევ ერთხელ მოიცვა უსუსურობის განცდამ. მზერაც კვლავ ციფერბლატისკენ გაექცა. არათუ მხოლოდ ის არ იცოდა, „ჰო" გადაარჩენდა ტკივილს თუ „არა", არამედ ისიც კი ვერ გაერკვია, სინამდვილეში რას ფიქრობდა წარსულზე.

ო'ბრაიენს ღიმილი გაუკრთა: - თქვენ მეტაფიზიკოსი არ ხართ, უინსტონ. აქამდე ხომ არასოდეს დაფიქრებულხარ, რას გულისხმობს „არსებობა". უფრო დაზუსტებით ვიტყვი: არსებობს თუ არა წარსული კონკრეტულად, სივრცეში? არსებობს თუ არა სადმე რაიმე ადგილი, მყარი საგნების სამყარო, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს წარსული?- არა.

- მაშ, სად არსებობს წარსული, თუ საერთოდ არსებობს?- ჩანაწერებში. წარსული ჩაწერილია.

- ჩანაწერებში და...?- გონებაში. ადამიანურ მეხსიერებაში.

- მეხსიერებაში. ძალიან კარგი. ჩვენ, პარტია, ვაკონტროლებთ ყველა ჩანაწერს, ისევე, როგორც მთელ მეხსიერებას. ესე იგი, ვაკონტროლებთ წარსულსაც, არა?- მაგრამ როგორ აიძულებთ ადამიანებს, აღარაფერი გაიხსენონ? - შეჰყვირა ციფერბლატის კიდევ ერთხელ დამვიწყებელმა უინსტონმა, - ეს ხომ უნებურად

ხდება, ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად. როგორ უნდა აკონტროლოთ მეხსიერება? ჩემი ხომ ვერ გააკონტროლეთ.

ო’ბრაიენი ისევ მოიქუფრა და ხელი ციფერბლატს დაადო.

- პირიქით, - თქვა მან, - თქვენ ვერ გააკონტროლეთ ის. სწორედ ამან მოგიყვანათ აქ. თქვენ აქ იმიტომ ხართ, რომ მოკრძალება და თვითდისციპლინა დაგაკლდათ. არ განახორციელეთ დაქვემდებარების აქტი, რაც თქვენი ნორმალურობის დასტური იქნებოდა. არჩიეთ, ყოფილიყავით შეშლილი, ერთკაციანი უმცირესობა. სინამდვილის დანახვა მხოლოდ დისციპლინირებულ გონებას შეუძლია, უინსტონ. თქვენ გჯერათ, რომ სინამდვილე არის რაღაც ობიექტურად, გარეგნულად, თავისთავად არსებული რამ. ისიც გჯერათ, რომ სინამდვილის ბუნება თავისთავად ცხადი რამ არის. როცა გგონიათ, რომ რაღაცას ხედავთ, მაშინვე ასკვნით, ყველა სხვაც ამასვე ხედავსო. მაგრამ მე გეუბნებით, უინსტონ, რომ სინამდვილე გარეგნულად არსებული რამ არ არის, ის მხოლოდ ადამიანურ გონებაში არსებობს, სხვაგან არსად. არა ინდივიდის გონებაში, რომელიც შეიძლება შეცდეს და, ყველა შემთხვევაში, მალე იღუპება, არამედ პარტიის გონებაში, რომელიც კოლექტიურია და უკვდავი. რასაც პარტია ჭეშმარიტებად მიიჩნევს, არის კიდეც ჭეშმარიტება. სინამდვილის დანახვა მხოლოდ და მხოლოდ პარტიის თვალებით შეიძლება. ამ ფაქტის ხელახლა შესწავლა მოგიწევთ, უინსტონ. ამას თვითდანგრევა, ნების ძალისხმევა სჭირდება. თავი უნდა დაიმდაბლოთ, ვიდრე საბოლოოდ განორმალურდებით.

ო’ბრაიენი რამდენიმე წამით გაჩუმდა, თითქოს უინსტონს ნათქვამის აღქმა დააცადაო.

- გახსოვთ, როგორ წერდით დღიურში: „თავისუფლება თავისუფლებაა, ისევე, როგორც ორს მიმატებული ორი არის ოთხი“?- მახსოვს.

ო’ბრაიენმა მარცხენა ხელი ზემოთ აიშვირა: ცერი დამალული ჰქონდა, დანარჩენი ოთხი თითი - გამართული.

- რამდენ თითს ხედავთ, უინსტონ?- ოთხს.

- და თუ პარტია იტყვის, რომ ეს ოთხი კი არა, ხუთია, მაშინ?- ოთხი.

ამის თქმა და სასტიკი ტკივილის მოვარდნა ერთი იყო. ციფერბლატის ისარი ორმოცდამეთხუთმეტე დანაყოფს ასწვდა. უინსტონს მთელ სხეულზე ოფლმა დაასხა. ჰაერი უკითხავად შეიჭრა მის ფილტვებში და, კბილზე დაჭერილი კბილის მიუხედავად, მის ბაგეს ღრმა ამოკვნესად აღმოხდა. ო’ბრაიენი უყურებდა და ოთხი თითი ისევ გამართული ეჭირა. შემდეგ სახელური მოატრიალა, თუმცა ამჯერად ტკივილი სულ ოდნავ შემსუბუქდა.

- რამდენი თითია, უინსტონ?- ოთხი.

ისარი მესამოცე დანაყოფს მისწვდა.

- რამდენი თითია, უინსტონ?- ოთხი! ოთხი! სხვა რა უნდა ვთქვა?! ოთხი!ისარმა,

ალბათ, ისევ აიწია, მაგრამ უინსტონს აღარ შეუხედავს. მისი მზერა მთლიანად გაავსო მძიმე, მრისხანე სახემ და ოთხმა აშვერილმა თითმა. ეს ვეებერთელა, დაბინდული თითები მის წინ სვეტებივით აღმართულიყვნენ, თითქოს ვიბრირებდნენ კიდეც... მაგრამ შეუმცდარად ოთხ თითს ხედავდა.

- რამდენი თითია, უინსტონ?- ოთხი! შეჩერდით, შეჩერდით! როგორ განაგრძობთ ამას! ოთხი! ოთხი!- რამდენი თითია, უინსტონ?- ხუთი! ხუთი!- არა, უინსტონ, ასე არ გამოვა. თქვენ ტყუით. თქვენ ისევ ფიქრობთ, რომ აქ ოთხი თითია. რამდენი თითია, გეთაყვა?- ოთხი! ხუთი! ოთხი! რაც გნებავთ, ის იყოს, ოღონდ შეწყვიტეთ! ტკივილი შეწყვიტეთ!უცებ აღმოაჩინა, რომ საწოლზე წამომჯდარიყო და მხრებზე ო'ბრაიენის მკლავი შემოხვეოდა. ალბათ, რამდენიმე წამით გონება დაკარგა. ღვედები, რომლითაც საწოლზე იყო დაკრული, ამჯერად მოშვებული ჰქონდა. ძალიან სციოდა, თავშეუკავებლად ძაგძაგებდა, კბილს კბილზე ურტყამდა, ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა. ერთი წამით ბავშვივით მიეკრა ო'ბრაიენს, მხრებზე მოხვეული მძიმე მკლავისგან უცნაურად ნუგეშცემული. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ო'ბრაიენი მისი მფარველი იყო, რომ ტკივილი სადღაც გარედან, რაღაც სხვა წყაროდან მოდიოდა და რომ სწორედ ო'ბრაიენი გადაარჩენდა მისგან.

- ნელა სწავლობთ, უინსტონ, - უთხრა ო'ბრაიენმა რბილად.

- როგორ მოვიქცე? - წაილუღლუღა უინსტონმა, - როგორ მოვიქცე, როცა საკუთარი თვალებით ვხედავ? ორს მიმატებული ორი არის ოთხი.

- ზოგჯერ, უინსტონ. ზოგჯერ ხუთია, ზოგჯერ სამი, ზოგჯერ - ყველა ეს ერთდროულად. უფრო მეტად მოიწადინეთ. ადვილი არ არის ნორმალურ ადამიანად ქცევა.

და ო'ბრაიენმა უინსტონი ისევ საწოლზე დააწვინა. კიდურებს ღვედები უწინდებურად შემოეჭდო, მაგრამ ტკივილი აღარ იგრძნობოდა და ცახცახიც შესწყვეტოდა. დარჩა მხოლოდ სისუსტისა და სიცივის განცდა. მთელი ამ პროცედურის განმავლობაში გაუნძრევლად მდგარ თეთრხალათიან კაცს ო'ბრაიენმა თავით ანიშნა. კაცი დაიხარა, უინსტონს თვალებში ყურადღებით ჩახედა, შემდეგ პულსი გაუსინჯა, მკერდზე ყური დაადო და აქა-იქ მოღუნული თითით დაუკაკუნა. ბოლოს ო'ბრაიენს თავი დაუქნია.

- კიდევ. - თქვა ო'ბრაიენმა.

უინსტონის სხეული ტკივილის ახალმა ტალღამ დატბორა. ისარმა, ალბათ, სამოცდაათ-სამოცდათხუთმეტს მიაღწია. ამჯერად უინსტონს თვალები დახუჭული ჰქონდა, თუმცა იცოდა, რომ თითები ისევ მის წინ აღმართულიყვნენ, ისევ იქ და ისევ ოთხი. ერთადერთი რამ იყო მნიშვნელოვანი: სპაზმის შეწყვეტამდე რამენაირად გაეძლო და ცოცხალი დარჩენილიყო. ვეღარ ამჩნევდა, ისევ ტიროდა თუ არა. ტკივილი ჩაცხრა. უინსტონმა თვალი გაახილა: ო'ბრაიენს სახელური უკან გადმოეწია: - რამდენი თითია, უინსტონ?- ოთხი. ჩემი აზრით, ოთხია. ნეტავ შემძლებოდა, რომ ხუთი დამენახა. ვცდილობ, მაგრამ არ გამომდის.

- რას ისურვებდით: ჩემს დარწმუნებას იმაში, რომ ხუთს ხედავთ, თუ ნამდვილად

ხუთის დანახვას?- ნამდვილად ხუთის დანახვას.

- კიდევ ერთხელ. - წარმოთქვა ო’ბრაიენმა.

ალბათ, ისარი ოთხმოც-ოთხმოცდაათამდე ავიდა. უინსტონი მხოლოდ წყვეტილად თუ იხსენებდა, რა აყენებდა ტკივილს. მისი ზეაწეული ქუთუთოების უკან თითების მთელი ტყე ცეკვავდა: თითები ერთმანეთში იხლართებოდნენ, ერთიმეორის უკან იმალებოდნენ და ისევ ჩნდებოდნენ. ცდილობდა დაეთვალა, თუმცა ვერ იხსენებდა -რატომ. მხოლოდ ის იცოდა, რომ დათვლა შეუძლებელი იყო და რომ ეს რაღაცნაირად ოთხსა და ხუთს შორის მისტიკური იდენტურობის წყალობით ხდებოდა. ტკივილი ისევ მიყუჩდა. როცა უინსტონმა თვალი გაახილა, აღმოაჩინა, რომ ისევ იმას ხედავდა: უთვალავი თითი ამოძრავებული ხეებივით ყველა მიმართულებით მიღელავ-მიემართებოდა, გაუთავებლად გადაკვეთდა და გადმოკვეთდა ერთმანეთს. უინსტონმა თვალები ისევ დახუჭა.

- რამდენი თითი მაქვს აშვერილი, უინსტონ?- არ ვიცი. არ ვიცი. მოვკვდები, თუ კიდევ გაუშვებთ. ოთხი, ხუთი, ექვსი: სრულიად გულწრფელად გეუბნებით - არ ვიცი.

- უკეთესია. - თქვა ო’ბრაიენმა.

უინსტონის მკლავში ნემსი შესრიალდა. თითქმის იმავე წამს მთელ სხეულში ნეტარმა, განმკურნავმა სითბომ დაუარა. ტკივილი უკვე სანახევროდ დავიწყებას მიეცა. უინსტონმა თვალი გაახილა და ო’ბრაიენს მადლიერებით შეხედა. ამ მძიმე, დაღარული, ასეთი უშნო და ასეთი გონიერი სახის დანახვაზე ლამის გული გადაუტრიალდა. განძრევა რომ შესძლებოდა, ხელს გაიშვერდა და ო’ბრაიენს მკლავზე დაადებდა. არასოდეს არ ჰყვარებია ასეთი სიძლიერით, როგორც ამწუთას, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კაცმა ტკივილი შეუწყვიტა. ისევ დაუბრუნდა ძველი გრძნობა, რომ, გულისგულში, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ო’ბრაიენი მეგობარი იყო თუ მტერი. ეს იყო პიროვნება, რომელსაც დაელაპარაკებოდა. ეგებ, ადამიანს სიყვარულზე მეტად გაგება სჭირდებაო, ფიქრობდა უინსტონი. ო’ბრაიენმა წამებით ლამის ჭკუიდან გადაიყვანა და სრულებით აშკარა იყო, რომ ცოტაც და - სიკვდილში გაისტუმრებდა. მაგრამ ესეც კი უმნიშვნელო იყო. რაღაც აზრით, რომელიც მეგობრობაზე უფრო ღრმად მიდიოდა, ისინი ახლობლები იყვნენ. თუმცა შეიძლებოდა სიტყვები საერთოდ არ თქმულიყო, - სადღაც მაინც არსებობდა ადგილი, სადაც ისინი შეხვდებოდნენ და ისაუბრებდნენ. ო’ბრაიენი ისეთი გამომეტყველებით დაჰყურებდა, რომ უინსტონი უშვებდა იმავე აზრის შესაძლებელ არსებობას ამ კაცის გონებაშიც. ო’ბრაიენი მსუბუქი, სასაუბრო ტონით ალაპარაკდა: - იცით, სად იმყოფებით, უინსტონ? - არ ვიცი, მხოლოდ ვხვდები: სიყვარულის სამინისტროში.

- იცით, რამდენი ხანი დაჰყავით აქ?- არა. დღეები, კვირები, თვეები, - მე მგონი, თვეები.

- თქვენი აზრით, რატომ მოგვყავს აქ ადამიანები?- აღსარების სათქმელად.

- არა, ამისთვის არა. ერთხელ კიდევ სცადეთ.

- დასასჯელად.

- არა! - შესძახა ო'ბრაიენმა. ხმა განსაცვიფრებლად შესცვლოდა, სახე კი ერთდროულად გოროზიც გაუხდა და გამოუცოცხლდა კიდეც. - არა! არა უბრალოდ იმისთვის, რომ აღსარება გათქმევინოთ ან დაგსაჯოთ. გითხრათ, რისთვის მოგიყვანეთ აქ? განსაკურნავად! ნორმალურ ადამიანად გადასაქცევად! ნუთუ არ გესმით, უინსტონ, რომ აქ მოყვანილთაგან ვერავინ წაგვივა განუკურნებლად? ჩვენ არ გვაინტერესებს თქვენ მიერ ჩადენილი ბრიყვული დანაშაულები. პარტიას გახსნილი ქმედება არ აინტერესებს, ჩვენი ზრუნვის საგანი მხოლოდ და მხოლოდ აზრია. ჩვენს მტრებს უბრალოდ კი არ ვანადგურებთ, არამედ ვცვლით, ვასხვაფერებთ. გესმით, რას ვგულისხმობ?ო'ბრაიენი უინსტონისკენ დახრილიყო. სახე უზარმაზარი უჩანდა სიახლოვის გამო და საშინლად უშნო - ქვემოდან დანახული. მეტიც: ეს სახე რაღაც გიჟური აღტაცებით გაბადრულიყო. უინსტონს გული ისევ შეეკუმშა. რომ შესძლებოდა, უფრო ღრმად ჩაიმალებოდა ლოგინში. აშკარად ჩანდა, რომ ო'ბრაიენი მზად იყო, ციფერბლატი, უბრალოდ, აღტაცებისგან დაებზრიალებინა. თუმცა ამ მომენტში მიბრუნდა და ორიოდე ნაბიჯი გაიარ-გამოიარა. შემდეგ უფრო მშვიდად განაგრძო: - უპირველესი, რისი გაგებაც თქვენ გმართებთ, ისაა, რომ აქ არანაირი მოწამეობა არ არსებობს. წაკითხული გექნებათ წარსულის რელიგიური დევნის შესახებ. შუა საუკუნეებში იყო ინკვიზიცია. ის დამარცხდა. თითქოს ერესის აღმოსაფხვრელად იშვა, საბოლოოდ კი, მარადიული არსებობა მიანიჭა. კოცონში დამწვარი ყოველი ერეტიკოსის ადგილზე ათასი სხვა ერეტიკოსი ჩნდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ინკვიზიცია თავის მტრებს დაუფარავად ხოცავდა, კლავდა მანამდე, სანამ ისინი მოინანიებდნენ. არსებითად, კლავდა სწორედ მოუნანიებლობის მიზეზით. ადამიანებიც იხოცებოდნენ, რაკი თავის ჭეშმარიტ რწმენაზე უარს არ ამბობდნენ. ბუნებრივია, მთელი დიდება მსხვერპლის მხარეზე რჩებოდა, მთელი სირცხვილი კი - მათთვის კოცონის შემნთები ინკვიზიციის მხარეზე. მოგვიანებით, მეოცე საუკუნეში იყვნენ ტოტალიტარები (ასე უწოდებდნენ მათ): გერმანელი ფაშისტები და რუსი კომუნისტები. რუსები ერეტიკოსებს ინკვიზიციაზე უფრო სასტიკად სდევნიდნენ. ისიც კი წარმოიდგინეს, თითქოს წარსულის შეცდომებზე ისწავლეს. თუმცა ერთს კი ყველა შემთხვევაში მიხვდნენ: თავისი მოქმედებით არ უნდა შეექმნათ მარტვილი, როგორც ასეთი. ვიდრე მორიგ მსხვერპლს საჯაროდ გაასამართლებდნენ, მიზანმიმართულად ანადგურებდნენ მის ღირსებას. მანამდე ღლიდნენ მას წამებითა და მარტოობით, სანამ საზიზღარ, მოკუნტულ არამზადად აქცევდნენ, ყველაფერს რომ აღიარებდა, რასაც კი პირში ჩასტენიდნენ. ესენიც თავს ლაფს ისხამდნენ, ერთმანეთს უსაფრდებოდნენ და ბრალს სდებდნენ, შეწყალების თხოვნაში ძირს გართხმულ ქვეწარმავლებივით იკლაკნებოდნენ. მიუხედავად ამისა, რამდენიმე წლის შემდეგ იგივე მეორდებოდა. გარდაცვლილები წამებულნი ხდებოდნენ, მათ დაცემას კი ივიწყებდნენ. კიდევ ერთხელ: რატომ ხდებოდა ასე? უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მათ მიერ ნათქვამი აღსარებები აშკარად ძალდატანებითი და ყალბი იყო. ჩვენ ასეთ შეცდომებს არ ვუშვებთ. აქ ნათქვამი ყველა აღსარება ნამდვილია. ჩვენ ვაქცევთ მათ ნამდვილად. რაც მთავარია, არ ვუშვებთ იმას, რომ მკვდარი ჩვენს წინააღმდეგ აღდგეს. უინსტონ, უნდა შეწყვიტოთ ფიქრი იმაზე, რომ შთამომავლობა თქვენს სახელს აღადგენს. შთამომავლობა ვერაფერს გაიგებს თქვენზე. ისტორიის მდინარებიდან თქვენ სუფთად ამოგშლიან. ჩვენ გაზად

გაქცევთ და სტრატოსფეროში გაგფანტავთ. აღარაფერი დარჩება თქვენგან: არც რეესტრში ჩაწერილი სახელი, არც ცოცხალ ტვინში აღბეჭდილი ხსოვნა. ისევე გაცამტვერდებით წარსულში, როგორც მომავალში. თქვენ არასოდეს გიარსებიათ.

„მაშ, რატომ იწუხებთ თავს ჩემი წამებით?“ - გაიფიქრა უინსტონმა წამიერი სიმწარის განცდით. ო’ბრაიენი შედგა, თითქოს უინსტონს ეს ფიქრი ხმამაღლა გამოეთქვას. მისი დიდი და უშნო სახე მოახლოვდა, თვალები ოდნავ შევიწროებოდა: - ახლა თქვენ ფიქრობთ, რომ თუ სრულ განადგურებას გიპირებთ და თუ ჩვენთვის აბსოლუტურად სულერთია, რას იტყვით ან რას იზამთ, მაშინ თავს რაღად ვიწუხებთ და ჯერ დაკითხვას რისთვისღა გიწყობთ? ამას ფიქრობდით, არა?- ჰო.

ო’ბრაიენმა ძლივს შესამჩნევად ჩაიღიმა: - თქვენ ბზარი ხართ კედელში, უინსტონ, ლაქა, რომელიც უნდა ამოიშალოს. განა სულ ახლახან არ გეუბნებოდით, წარსულის ინკვიზიტორთაგან განვსხვავდებით-მეთქი? ჩვენ არ ვკმაყოფილდებით უარყოფითი მორჩილებით, თვით ყველაზე შესაბრალისი დამორჩილებითაც კი. როცა საბოლოოდ დაგვნებდებით, ეს თქვენივე თავისუფალი ნებიდან უნდა მომდინარეობდეს. ჩვენ არასოდეს ვანადგურებთ ერეტიკოსს, რაკი ის გვეწინააღმდეგება. სანამ გვიპირისპირდება, ჩვენ მას არასოდეს ვსპობთ. ჩვენ მას ახალ რწმენაზე მოვაქცევთ, ვატყვევებთ მის შინაგან გონს, ახლიდან ვძერწავთ. ჩვენ ფერფლად ვაქცევთ მთელ მის ბოროტებას და ილუზიას. ჩვენ იგი ჩვენს მხარეზე გადმოგვყავს, - არა მოჩვენებითად, არამედ ჭეშმარიტად, მთელი მისი სულით და გულით; სანამ მოვკლავდეთ, ჯერ ერთ-ერთ ჩვენიანად ვხდით. ჩვენთვის დაუშვებელია, რომ სადმე მსოფლიოში იარსებოს რაიმე ცდომილმა აზრმა, რაოდენ საიდუმლო და უძლურიც უნდა იყოს ეს აზრი. თვით სიკვდილის წამშიც კი ვერ ავიტანთ ვერავითარ გადახრას. ძველი ერეტიკოსი კოცონზეც ერეტიკოსად ადიოდა, თავის ერესს ისევ და ისევ იმეორებდა და მასში ხარობდა. თვით რუსულ-კომუნისტური წმენდების მსხვერპლსაც შეეძლო ეტარებინა ტვინში ამბოხი მაშინაც კი, როცა იმ ბოლო დერეფანს მიუყვებოდა ტყვიის მოლოდინში. აი, ჩვენ კი, ვიდრე გავანადგურებდეთ, ჯერ ამ ტვინს სრულვქმნით. ძველ დესპოტთა ბრძანება იყო „შენ აღარ იარსებებ“, ტოტალიტარებისა - „შენ იქნები“, ჩვენი კი გიბრძანებთ: „შენ ხარ“. ვერავინ, ვინც აქ მოგვყავს, ვეღარასოდეს აგვიჯანყდება. თითოეულს სუფთად რეცხავენ. თვით ის სამი საბრალო მოღალატე - ჯოუნზი, აარონსონი და რეზერფორდი, - ბოლოს და ბოლოს, ისინიც გავტეხეთ. მე თვითონ მივიღე მონაწილეობა მათ დაკითხვაში. ვხედავდი, თანდათანობით როგორ უძლურდებოდნენ, იგრიხებოდნენ, ქვითინებდნენ, სულ ბოლოს - არა ტკივილით ან შიშით, მხოლოდ მონანიებით. როცა მათ საქმეს მოვრჩით, ისინი ადამიანის ფიტულებიღა იყვნენ. აღარაფერი იყო მათში დარჩენილი, მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისგან მოგვრილი მწუხარებისა და დიდი ძმის სიყვარულის გარდა. ამაღელვებელი იყო იმის ყურება, როგორ უყვარდა იგი სამივეს. გვევედრებოდნენ, სწრაფი სიკვდილი მოგვისაჯეთ, რათა ნათელი გონებით მოვკვდეთო.

ო’ბრაიენის ხმას თითქმის მეოცნებე ტონი მიეცა. სახეზე კვლავ ეგზალტაცია და გიჟური ენთუზიაზმი აღბეჭდვოდა. „არ თვალთმაქცობს, ფიქრობდა უინსტონი, არ

ფარისევლობს, ბოლომდე სჯერა, რასაც ამბობს“. ყველაზე მეტად მაინც საკუთარი ინტელექტუალური შეზღუდულობა თრგუნავდა. უყურებდა მის გვერდით მოსიარულე, მისი მზერის ფარგლებში შემავალ-გამომავალ ამ მძიმე და მაინც კარგად აღნაგ ფიგურას: ო’ბრაიენი ყველა მიმართებით მასზე დიდი იყო. არ არსებობდა უინსტონის თავში ოდესმე მოსული აზრი, რომელიც ო’ბრაიენს დიდი ხნის წინ არ მოსვლოდეს, არ გამოეცადოს და არ უკუეგდოს. მისი გონება მოიცავდა უინსტონისას. მაგრამ, ამ შემთხვევაში, როგორ შეიძლებოდა ო’ბრაიენი შეშლილი ყოფილიყო? თვითონ, თვითონ უინსტონი იყო შეშლილი! ო’ბრაიენი შეჩერდა და უინსტონს დახედა. ხმა ისევ გაუმკაცრდა: - ნუ წარმოიდგენთ, რომ თავს გადაირჩენთ, რანაირადაც უნდა დაგვნებდეთ. ვინც კი გზას ასცდა, არავინ დაგვინდვია. და იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადავწყვეტთ და დაგაცლით დარჩენილი სიცოცხლის ბუნებრივად გალევას, მაინც ვერასოდეს დაგვისხლტებით ხელიდან. რაც აქ გემართებათ, გემართებათ ერთხელ და სამუდამოდ. წინდაწინ იცოდეთ ეს. ჩვენ იმ წერტილამდე დაგშლით, საიდანაც უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს. აქ ისეთი რამეები შეგემთხვევათ, ათასი წელიც რომ იცხოვროთ - ვეღარასოდეს გამოკეთდებით. აღარასოდეს გექნებათ ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობა. თქვენ შიგნით ყველაფერი მოკვდება. ვეღარასოდეს შეიყვარებთ, ვერ იმეგობრებთ, ვერ გაიცინებთ, ვეღარ განიცდით ცხოვრების სიხარულს, ცნობისწადილს, სიმამაცეს, სხვებთან ერთობას. მთლად გამოფუტუროვდებით. ჩვენ ჯერ მთლიანად დაგაცარიელებთ, შემდეგ კი ჩვენით აგავსებთ.

ო’ბრაიენი გაჩუმდა და თეთრხალათიან კაცს რაღაც ანიშნა. უინსტონმა მანამდე შეამჩნია, რომ კეფასთან რაღაც მძიმე აპარატი დაუდგეს. ო’ბრაიენი საწოლის გვერდით ჩამოჯდა ისე, რომ მისი სახე უინსტონისას გაუსწორდა.

- სამი ათასი. - უთხრა ო’ბრაიენმა თეთრხალათიანს.

ორი რბილი, ოდნავ ნოტიო შუასადები მწოლიარეს საფეთქლებზე შემოეჭდო. უინსტონი შეკრთა. ტკივილი მოდიოდა, ახლებური ტკივილი. ო’ბრაიენმა ხელი ხელზე დაადო - გამამხნევებლად, თითქმის კეთილად: - ამჯერად არ გეტკინებათ, თვალებში მიყურეთ და მზერა არ მომაცილოთ.

ამ მომენტში რაღაცამ დამანგრევლად იფეთქა ან თითქოს იფეთქა, ოღონდ გაურკვეველი იყო, გაისმა თუ არა აფეთქების ხმა. თუმცა სინათლე ნამდვილად დამაბრმავებლად გაკაშკაშდა. უინსტონს არაფერი სტკენია, მხოლოდ სრულებით დაუძლურდა. მართალია, ამ დროს უკვე საწოლზე იწვა, მაინც ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, რომ ერთი დარტყმით ზუსტად ამ პოზაში დააგდეს. საზარელმა, უმტკივნეულო დარტყმამ მთლიანად გააბრტყელა. შიგ თავშიც რაღაც მოხდა. როცა თვალებმა ფოკუსი აღიდგინეს, უინსტონს გაახსენდა, ვინ იყო და სად იმყოფებოდა. მისკენ მზერამომართული სახეც ამოიცნო. მაგრამ სადღაც რაღაც სიცარიელე იგრძნობოდა: თითქოს ტვინის რაღაც ნაწილი ამოაჭრესო.

- ეს არ გაგრძელდება. - თქვა ო’ბრაიენმა, - თვალებში მიყურეთ: რომელ ქვეყანას ეომება ოკეანია?უინსტონი ჩაფიქრდა. იცოდა, რა იგულისხმებოდა ოკეანიაში, ისიც იცოდა, რომ თვითონაც ოკეანიის მკვიდრი იყო. ახსოვდა ევრაზია და აღმოსავლეთაზია. მაგრამ ვინ ვის ებრძოდა, ეს არ იცოდა. არსებითად, ისიც არ იცოდა, რომ ომი მიმდინარეობდა.

- არ მახსოვს.

- ოკეანია ებრძვის აღმოსავლეთაზიას. ახლა გახსოვთ?- მახსოვს.

- ოკეანია ყოველთვის აღმოსავლეთაზიას ებრძოდა. მას შემდეგ, რაც თქვენ დაიბადეთ, რაც პარტია გაჩნდა, რაც ისტორია დაიწყო, - ომი განუწყვეტლად მიმდინარეობდა, მუდამ ერთი და იგივე ომი. დაიმახსოვრეთ?- დავიმახსოვრე.

- თერთმეტი წლის წინ თქვენ შექმენით ლეგენდა სამ კაცზე, რომლებიც სიკვდილით დასაჯეს სახელმწიფო ღალატისთვის. ვითომცდა თქვენ ნახეთ რაღაც ქაღალდი, რომელიც მათ უდანაშაულობას ამტკიცებდა. ასეთ ქაღალდს არასოდეს უარსებია. ის თქვენ გამოიგონეთ და შემდეგ თავად დაიჯერეთ საკუთარი გამონაგონი. ახლა თქვენ გახსოვთ მომენტი, როცა ეს ამბავი პირველად შეთხზეთ. ხომ გახსოვთ?- მახსოვს.

- ახლახან თქვენ წინ ჩემი ხელის თითები აღვმართე. თქვენ ხუთი თითი დაინახეთ. გახსოვთ ეს?- მახსოვს.

ო'ბრაიენმა მარცხენა ხელი შემართა მაშინდელივით დამალული ცერით.

- აქ ხუთი თითია. ხედავთ ხუთ თითს?- ვხედავ.

და უინსტონმა ერთ რომელიღაც წამს მართლა დაინახა ხუთი თითი სწორედ მანამდე, სანამ გონების თვალწინ კვლავ სხვა პეიზაჟი დაუდგებოდა, დაინახა ხუთი თითი ყოველგვარი დეფორმირების გარეშე. შემდეგ ყველაფერი ნორმას დაუბრუნდა: ძველი შიში, სიძულვილი, შეშფოთება - ყველაფერი ისევ ხმაურით შეიჭრა მასში. მაგრამ იყო სხივმოსილი გარკვეულობით აღსავსე დროის პატარა მონაკვეთი (ვერ იტყოდა, რა ხანგრძლივობის, შესაძლოა - ოცდაათი წამი), როცა ო'ბრაიენის ყოველი ახალი ჩაგონება უინსტონს ტვინის ცარიელ ადგილებს უვსებდა და სრული ჭეშმარიტება ხდებოდა, და როცა ორს მიმატებული ორი ისევე ადვილად შეიძლებოდა ყოფილიყო სამი, როგორც ხუთი, თუკი სწორედ ასე იყო საჭირო. მაგრამ ეს განცდა ჯერ კიდევ მანამდე გაუქრა, ვიდრე ო'ბრაიენი მის ხელს ხელიდან გაუშვებდა. და თუმცა ამ შეგრძნებას ხელახლა ვერ გამოიხმობდა, შეეძლო გაეხსენებინა, როგორც მავანი იხსენებს ხოლმე ცოცხალ გამოცდილებას თავისი ცხოვრების რომელიღაც დაშორებული პერიოდიდან, როცა ის, არსებითად, სხვა პიროვნება იყო.

- ახლა თქვენ ხედავთ, რომ ეს ყველა შემთხვევაში შესაძლებელია.

- ვხედავ.

ო'ბრაიენი კმაყოფილი სახით წამოდგა. თავისგან მარცხნივ უინსტონმა თვალი მოჰკრა თეთრხალათიანს, რომელმაც ამპულას თავი წაატეხა და შპრიცის დგუშს მოქაჩა. ო'ბრაიენი ღიმილით მოუბრუნდა უინსტონს, სათვალეც თითქმის ძველებურად შეისწორა ცხვირზე: - გახსოვთ, როგორ ჩაწერეთ დღიურში, მნიშვნელობა არა აქვს, ო'ბრაიენი მეგობარია თუ მტერი, ეს ერთადერთი ადამიანია, ვისაც ჩემი ესმის და ვისაც დაველაპარაკებიო? მართალიც იყავით. მე

მსიამოვნებს თქვენთან საუბარი. თქვენი გონება რაღაცით მეხმიანება, - ჩემს საკუთარს ჰგავს, იმის გამოკლებით, რომ თქვენ შეშლილი ხართ. ვიდრე დღევანდელ პროცედურას დავამთავრებდეთ, თუ ისურვებთ, შეგიძლიათ რამდენიმე კითხვა დამისვათ.

- ნებისმიერი შეკითხვა?- ნებისმიერი, - ამ დროს ო'ბრაიენმა დაინახა, რომ უინსტონი ციფერბლატს უყურებდა: - ეგ გამორთულია. რომელია თქვენი პირველი კითხვა?- ჯულიას რა დამართეთ?ო'ბრაიენს ისევ გაეღიმა: - მან თქვენ გიღალატათ, უინსტონ, იმწამსვე, თავშეუკავებლად. იშვიათად მინახავს ვინმე, ასე უცებ რომ გადმოსულიყოს ჩვენს მხარეზე. ალბათ, ვერც იცნობდით, ახლა რომ გენახათ. მთელი მისი ამბოხებულობა, სიცრუე, სიგიჟე, გონების სიბინძურე - ყველაფერი ერთბაშად გამოებერტყა გარეთ. სრულყოფილი მოქცევა იყო, პირდაპირ ქრესტომათიული შემთხვევა.

- თქვენ ის აწამეთ.

ამაზე ო'ბრაიენს არაფერი უთქვამს: - შემდეგი კითხვა.

- დიდი ძმა მართლა არსებობს?- რა თქმა უნდა, არსებობს. პარტია არსებობს, დიდი ძმა მისი განსახიერებაა.

- ისევე არსებობს, როგორც მე?- თქვენ არ არსებობთ.

უინსტონი კიდევ ერთხელ მოიცვა უსაშველობის განცდამ. იცოდა ან, ყოველ შემთხვევაში, შეეძლო წარმოედგინა არგუმენტები, რომლებიც დაამტკიცებდნენ მის არარსებობას. მაგრამ ეს ხომ უაზრობა იყო, სიტყვების თამაში. განა სიტყვები „თქვენ არ არსებობთ" ლოგიკურ აბსურდს არ შეიცავდა? მაგრამ რა აზრი ჰქონდა ამის თქმას? გონებაში გააჟრიალა, როცა წარმოიდგინა პასუხგაუცემელი, გიჟური არგუმენტები, რომლითაც ო'ბრაიენი გააცამტვერებდა. - მგონი, ვარსებობ, - წარმოთქვა მან დაღლილი ტონით, - მე ვაცნობიერებ ჩემს არსებას. მე დავიბადე, მე მოვკვდები. მაქვს ხელები და ფეხები. გარკვეულ ადგილს ვიკავებ სივრცეში. ზუსტად ამავე დროს ვერც ერთი სხვა საგანი ვერ დაიკავებს ამავე ადგილს. არსებობს თუ არა დიდი ძმა ამ აზრით?- ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ის არსებობს.

- ოდესმე თუ მოკვდება?- რა თქმა უნდა, არა. როგორ უნდა მოკვდეს? შემდეგი კითხვა.

- საძმო თუ არსებობს?- მაგას კი, უინსტონ, თქვენ ვერასოდეს შეიტყობთ. თუ გადავწყვეტთ და აქედან გაგიშვებთ, როცა ყველაფერი ჩაგიტარდებათ, ამის შემდეგ ოთხმოცდაათ წლამდეც რომ იცოცხლოთ, მაინც ვერასოდეს გაიგებთ, „ჰო" არის პასუხი მაგ შეკითხვაზე თუ „არა". ამ გამოცანას თქვენ ვერასოდეს ამოხსნით.

უინსტონი ჩუმად იწვა. მკერდი ოდნავ უფრო სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა. ჯერ კიდევ არ დაესვა ის კითხვა - პირველი კითხვა, რომელიც თავში მოუვიდა. უნდოდა ეკითხა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა. ო'ბრაიენს სახეზე გართობის კვალი დამჩნეოდა. სათვალეც კი ირონიულად უციმციმებდა. - იცის, - გაუელვა უინსტონს

უცებ, - იცის, რა შეკითხვის დასმას ვაპირებ! ამ აზრმა უცებ ამოაფრქვევინა სიტყვები: - რა ხდება №101 ოთახში?ო’ბრაიენს გამომეტყველება არ შესცვლია. პასუხმაც მშრალად გაიჟღერა: - თქვენ იცით, რა ხდება №101 ოთახში. ყველამ იცის, რა ხდება №101 ოთახში.

და თერთხალათიანს თითით ანიშნა. ცხადი იყო: პროცედურა დამთავრდა. უინსტონს მკლავში ნემსი შეერჭო. თითქმის იმავე წამს მოვიდა ღრმა ძილი.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

III

- სამი სტადია უნდა გაიაროთ საბოლოო რეინტეგრაციისთვის, - თქვა ო’ბრაიენმა: -შესწავლა, გაგება და მიღება. ახლა თქვენ მზად ხართ მეორე სტადიისთვის.

როგორც ყოველთვის, უინსტონი ზურგზე იწვა, თუმცა ამჯერად ღვედები უფრო მოშვებული ჰქონდა. ისევ საწოლზე იყო მიკრული, მაგრამ შეეძლო მუხლები ოდნავ მოეხარა, მიეხედ-მოეხედა, იდაყვებს ქვემოთ ხელები აეწია. ციფერბლატიც ნაკლებად დამზაფვრელი ჩანდა: შეეძლო, თავიდან აეცილებინა მისი დარტყმები, თუ საკმარის გამჭრიახობას გამოიჩენდა. განა ო’ბრაიენი ბერკეტს, ძირითადად, მისი ბრიყვული ქცევის მომენტებში არ ატრიალებდა! ხანდახან უკვე მთელ პროცედურებს გადიოდნენ ციფერბლატის გამოუყენებლად. პროცედურების რაოდენობას უინსტონი ვერ იხსენებდა. ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს გაიწელა, - ეგებ რამდენიმე კვირაც, -თვით პროცედურებს შორის ინტერვალი კი ხან მთელი დღეები იყო, ხან სულ ერთი ან ორი საათი.

- ვიდრე აქ წევხართ, - უთხრა ო’ბრაიენმა, - ხშირად დაგტყობიათ გაკვირვება და გითქვამთ კიდეც, რატომ ხარჯავს სიყვარულის სამინისტრო ჩემზე ამდენ დროს და ჯაფასო. მანამდეც, როცა აქ არ იყავით, თქვენ, არსებითად, იგივე კითხვა გაწუხებდათ. შეგეძლოთ, მოგეხელთებინათ მოძრაობის წესები იმ საზოგადოებისა, რომელშიც ცხოვრობდით, მაგრამ არა მისი მამოძრავებელი მოტივები. ხომ გახსოვთ, როგორ წერდით დღიურში: „მესმის როგორ, მაგრამ არ მესმის რისთვის“? როდესაც ფიქრობდით „რისთვის“, სწორედ მაშინ გეპარებოდათ ეჭვი თქვენს ნორმალურობაში. თქვენ უკვე წაკითხული გაქვთ წიგნი, გოლდსტეინის წიგნი, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც. ნახეთ იქ რაიმე ისეთი, რაც მანამდე არ იცოდით?- თქვენც წაკითხული გაქვთ?- ეს წიგნი მე დავწერე, ანუ მონაწილეობა მივიღე მის შექმნაში. მოგეხსენებათ, არც ერთი წიგნი არ იწერება ერთპიროვნულად.

- სიმართლეა, რაც იქ წერია?- აღწერილობის თვალსაზრისით, სიმართლეა, მის მიერ შემოთავაზებული პროგრამა კი - ცოდნის საიდუმლო დაგროვება, განათლების თანდათანობითი გავრცობა, საბოლოოდ კი - პროლეტარების ამბოხი და პარტიის დამხობა - უაზრობა. თავადვე შეგეძლოთ განგესაზღვრათ, რომ წიგნში აზრი სწორედ ამ მიმართულებით ვითარდება. უაზრობაა ეს ყველაფერი. პროლეტარები არასოდეს აჯანყდებიან, არც ათასი წლის შემდეგ და არც მილიონის. მათ ეს არ ძალუძთ. მიზეზის თქმა არ მჭირდება, ისედაც იცით. თუ ოდესმე გიოცნებიათ რაიმე ძლიერ ამბოხებაზე, მეტს ნუღარ იოცნებებთ. არ არსებობს პარტიის დამხობის არავითარი გზა. მისი მმართველობა სამარადისოა. ეს გაიხადეთ თქვენი აზრების ამოსავალ წერტილად.

ო’ბრაიენი საწოლს მოუახლოვდა და გაიმეორა: - სამარადისო!.. ახლა კი დავუბრუნდეთ კითხვებს „როგორ“ და „რისთვის“. თქვენ კარგად გესმით, როგორ ინარჩუნებს პარტია თავის ძალაუფლებას. ახლა მითხარით, რისთვის ვაკეთებთ ამას. რა არის ჩვენი მამოძრავებელი მოტივი? რისთვის გვჭირდება ძალაუფლება? განაგრძეთ, ილაპარაკეთ, - დაამატა ო’ბრაიენმა, რაკი უინსტონი ხმას არ იღებდა.

მიუხედავად ამისა, უინსტონს კიდევ ერთ-ორ წუთს არაფერი უთქვამს. მისი

არსება დაღლილობის გრძნობამ გათანგა. ენთუზიაზმის მკრთალი და გიჟური ნაპერწკალი ისევ აინთო ო'ბრაიენის სახეზე. უინსტონმა წინასწარ იცოდა, რას იტყოდა ეს კაცი: რომ პარტია თავისთავად ძალაუფლებას კი არ ეძებს, არამედ მხოლოდ უმრავლესობის სიკეთისთვის სჭირდება; რომ ძალაუფლება იმისთვის უნდა, რომ მასის ადამიანები მყიფე, მშიშარა არსებები არიან, ძალა არ შესწევთ, აიტანონ თავისუფლება ან თვალებში შეხედონ ჭეშმარიტებას და ამიტომაც ისინი სხვებმა -მათზე უფრო ძლიერებმა - უნდა მართონ; რომ კაცობრიობამ ორში ერთი უნდა აირჩიოს: თავისუფლება ან ბედნიერება, და რომ დიდი უმრავლესობა უპირატესობას ბედნიერებას აძლევს; რომ პარტია სუსტის მარადიული მცველია, ანუ თავგადადებული სექტაა, რომლის ნამოქმედარი ბოროტებიდან სიკეთე იშვება და რომელიც სხვათა კეთილდღეობისთვის საკუთარ ბედნიერებას სწირავს. „საშინელება ისაა, - ფიქრობდა უინსტონი, - საშინელება ისაა, რომ როდესაც ამას იტყვის, მე დავიჯერებ." ეს ო'ბრაიენს სახეზე ეწერა: მან ხომ ყველაფერი იცოდა. უინსტონზე ათასგზის უკეთ იცოდა, როგორი იყო სინამდვილეში მსოფლიო, რა დეგრადაციაში იმყოფებოდა ადამიანთა მასა და რა სიცრუითა და ბარბაროსობით აკავებდა პარტია მას ამ მდგომარეობაში. ო'ბრაიენს ესმოდა ეს ყველაფერი, ყველაფერს კარგად წონიდა, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა: ყველაფერს საბოლოო მიზანი ამართლებდა. „რა უნდა მოუხერხო შეშლილს, რომელიც შენზე ჭკვიანია, საუცხოო არგუმენტებით გიპირისპირდება და ფეხს არ იცვლის თავისი სიგიჟიდან?", ფიქრობდა უინსტონი.

- თქვენ გვმართავთ ჩვენივე სიკეთისთვის, - ამოღერღა ბოლოს, - გჯერათ, რომ ადამიანები მოკლებულნი არიან საკუთარი თავის მართვის უნარს და ამიტომ...

უინსტონმა შეჰღმუვლა: მძლავრმა ტკივილმა დენივით დაუარა მთელ სხეულში. ო'ბრაიენმა ბერკეტი ოცდათხუთმეტამდე ასწია: - სიბრიყვეა, უინსტონ, სიბრიყვე! უკეთესად უნდა იცოდეთ ყველაფერი და ეგეთი სისულელეები არ წამოროშოთ.

ბერკეტი ნულზე დააბრუნა და განაგრძო: - ახლა მე თვითონ გეტყვით პასუხს ჩემს კითხვაზე: პარტია ძალაუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლებისთვისვე ესწრაფვის. ჩვენ სხვების სიკეთე არ გვანაღვლებს, ჩვენ მხოლოდ ძალაუფლებას ველტვით. არა სიმდიდრე, არა ფუფუნება, არა ხანგრძლივი ცხოვრება ან ბედნიერება, არამედ ძალაუფლება, წმინდა ძალაუფლება. თუ რას ნიშნავს წმინდა ძალაუფლება, ახლა გაიგებთ. ჩვენ განვსხვავდებით წარსულის ყველა ოლიგარქიისგან იმით, რომ ვიცით, რას ვაკეთებთ. ყველა სხვა - მათ შორის ისეთებიც, ვინც რაღაცით გვგავდა -მხდალები და ფარისევლები იყვნენ. გერმანელი ნაცისტები და რუსი კომუნისტები ძალზე მოგვიახლოვდნენ თავ-თავიანთი მეთოდებით, მაგრამ მათ არასოდეს ჰყოფნიდათ გამბედაობა, გაეცნობიერებინათ თავ-თავიანთი მამოძრავებელი მოტივები. თავი ისე ეჭირათ, ან ეგებ სწამდათ კიდეც, რომ ხელისუფლების სათავეში თავისდა უნებურად და მხოლოდ გარკვეული დროით მოვიდნენ და რომ სადღაც სულ ახლოს ელოდათ სამოთხე, სადაც ადამიანები თავისუფლები და თანასწორნი იქნებოდნენ. ჩვენ ასე არ ვართ, ჩვენ ვიცით, რომ არასოდეს არავინ იგდებს ხელთ ძალაუფლებას იმ განზრახვით, რომ შემდეგ საკუთარი ნებით გადააბაროს სხვას. ძალაუფლება საშუალება კი არ არის, საბოლოო მიზანია. დიქტატურას იმისთვის არ ამყარებენ, რომ რევოლუციის მონაპოვარს გაუფრთხილდნენ, სწორედ რევოლუციას

ახდენენ იმ მიზნით, რომ დიქტატურა დამყარდეს. დევნის მიზანი დევნაა, წამების მიზანი - წამება, ძალაუფლების მიზანი - ძალაუფლება. ხომ იწყებთ გაგებას?როგორც უწინ, უინსტონი ამჯერადაც გააოგნა დაღლილმა გამომეტყველებამ ო'ბრაიენის სახეზე. ეს იყო ძლიერი, ხორციანი, უხეში სახე, აღსავსე გონიერებით და ერთგვარი გაკონტროლებული ვნებით, რის წინაშეც უინსტონს გულ-გონება უდამბლავდებოდა. მაგრამ, იმავე დროს, ამ სახეზე დაღლილობაც აღბეჭდილიყო. ო'ბრაიენს თვალებქვეშ უპეები ჩამოსივებოდა, ყვრიმალებზე კანი მოფლაშვოდა. იგი უინსტონისკენ დაიხარა და სახე განზრახ მიუახლოვა: - თქვენ ფიქრობთ, რომ მოხუცი ვარ და დაღლილი სახე მაქვს. ფიქრობთ, რომ ძალაუფლებაზე ვლაპარაკობ, არსებითად კი საკუთარი სხეულის კვდომასაც ვერ ვაჩერებ. ნუთუ არ გესმით, უინსტონ, რომ ცალკეული ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ უჯრედია და რომ უჯრედის დაღლილობა მთელი ორგანიზმის სიძლიერეა? ნუთუ კვდებით, როდესაც ფრჩხილებს იჭრით?ო'ბრაიენი საწოლს მოსცილდა და ცალ ჯიბეში ჩადებული ხელით ბოლთის ცემას მოჰყვა.

- ჩვენ ძალაუფლების მღვდლები ვართ. ჩვენი ღმერთი ძალაუფლებაა. მაგრამ ამწუთას თქვენთვის ძალაუფლება მხოლოდ სიტყვაა. უკვე დროა, მის არსში გაერკვეთ. პირველი, რაც უნდა შეიგნოთ, არის ის, რომ ძალაუფლება კოლექტივშია. ცალკეული ადამიანი მხოლოდ იმდენად არის ძალმოსილი, რამდენადაც წყვეტს ინდივიდად ყოფნას. თქვენ იცით პარტიის ლოზუნგი: „თავისუფლება - მონობაა". მაგრამ თუ გიფიქრიათ, რომ ეს აზრი მართებულია შებრუნებითაც? მონობა - თავისუფლებაა. მარტოდმყოფი, თავისუფალი ადამიანი მუდამ მარცხდება. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ყოველი ადამიანი სასიკვდილოდაა განწირული. აი, ადამიანურ მოწყვლადობათაგან უდიდესი. მაგრამ თუ ის მთლიანად, მთელი თავისი არსებით დამორჩილდება, თუ გაექცევა საკუთარ თავს და ისე შეერწყმება პარტიას, რომ თვითონ იყოს პარტია, მაშინ ის ყოვლისშემძლე და უკვდავი იქნება.

მეორე, რაც უნდა გავიგოთ, არის ის, რომ ძალაუფლება ნიშნავს ძალაუფლებას ადამიანებზე, მათ სხეულზეც, რასაკვირველია, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, მათ გონებაზე. ძალაუფლება მატერიაზე ანუ, როგორც თქვენ იტყოდით, გარეგან რეალობაზე, უმნიშვნელოა. ჩვენი ძალაუფლება მატერიაზე სადღეისოდ უკვე აბსოლუტურია.

ერთი წამით უინსტონს ციფერბლატი გადაავიწყდა. ძლიერად წამოიწია, რათა წამომჯდარიყო, და მხოლოდ ის მოახერხა, რომ მტკივნეულად დაკლაკნა სხეული.

- აბა, როგორ აკონტროლებთ მატერიას? - იფეთქა მან, - კლიმატსაც კი ვერ აკონტროლებთ, ვერც მიზიდულობას. არის კიდევ სხეულება, ტკივილი, სიკვდილი...

ო'ბრაიენმა თავის გაქნევით გააჩუმა: - მატერიას იმიტომ ვაკონტროლებთ, რომ ვაკონტროლებთ გონებას. სინამდვილე ადამიანის თავის ქალაშია. ამას ნელ-ნელა ისწავლით, უინსტონ. არაფერია ისეთი, რასაც ჩვენ ვერ შევძლებთ. უხილავობა, ლევიტაცია - ყველაფერი ჩვენს ხელთაა. თუ მოვისურვებ, შემიძლია საპნის ბუშტივით ავლივლივდე ამ იატაკიდან. მაგრამ მე ეს არ მსურს, რადგან არ სურს პარტიას. უნდა გათავისუფლდეთ მეცხრამეტე საუკუნის დროინდელი

იდეებისგან ბუნების წესების შესახებ. ბუნების წესებს ჩვენ ვქმნით.

- არა, თქვენ არა! თქვენ ამ პლანეტასაც კი არ ფლობთ. არსებობს კიდევ ევრაზია და აღმოსავლეთაზია, რომლებიც თქვენ ჯერ არ დაგიპყრიათ.

- ეგ არაფერია. დავიპყრობთ, როცა დაგვჭირდება. თუ არ დავიპყრობთ და, რა განსხვავება იქნება? ჩვენ მათ მისაწვდომობის ფარგლებიდან გავიყვანთ. ოკეანია -მსოფლიოა.

- მაგრამ მსოფლიო მტვრის ერთი ნაწილაკია, ადამიანი - მთლად პაწაწკინტელა და უსუსური. რამდენი ხანია, რაც იგი არსებობს? მილიონობით წელი დედამიწა დაუსახლებელი იყო.

- უაზრობაა. დედამიწა ჩვენზე ხნიერი არ არის, ჩვენ ერთი ასაკისანი ვართ. აბა, როგორ იქნება ჩვენზე ხანდაზმული? ყველა და ყველაფერი მხოლოდ ადამიანურ ცნობიერებაში არსებობს.

- მაგრამ კლდეები სავსეა გადაშენებული ცხოველების ძვლებით, - მამონტების, მასტოდონტების, გიგანტური ქვეწარმავლების, რომლებიც ადამიანზე გაცილებით ადრე ცხოვრობდნენ. - ოდესმე თუ გინახავთ ეს ძვლები, უინსტონ? რასაკვირველია, არა. ისინი მეცხრამეტე საუკუნის ბიოლოგებმა გამოიგონეს. ადამიანამდე არაფერი არ არსებობდა. ადამიანის შემდეგაც, თუ ოდესმე გადაშენდება, აღარაფერი იქნება. არაფერია ადამიანის გარეთ.

- მაგრამ მთელი სამყარო ჩვენ გარეთაა! შეხედეთ ვარსკვლავებს: ზოგი მათგანი მილიონი სინათლის წლითაა დაშორებული. მათ ჩვენ ვერასოდეს მივწვდებით.

- რას წარმოადგენს ვარსკვლავები? - თქვა ო'ბრაიენმა გულგრილად, - რამდენიმე კილომეტრზე მიმოყრილ ცეცხლის პატარა ბღუჯებს. ადვილად მივწვდებოდით, რომ მოგვენდომებინა. შეგვეძლო საერთოდ გაგვექრო კიდეც. სამყაროს ცენტრი დედამიწაა. მზე და ვარსკვლავები მის ირგვლივ ტრიალებენ.

უინსტონი კიდევ ერთხელ შეირხა კონვულსიურად, თუმცა ამჯერად არაფერი უთქვამს. ო'ბრაიენი არ გაჩუმებულა, თითქოს ჯერ კიდევ განაგრძობდა პასუხს მის შესიტყვებაზე: - გარკვეული მიზნებისთვის ეს შეხედულება, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეესატყვისება. როცა ოკეანეზე მივცურავთ ან მზის დაბნელების პროგნოზს ვაკეთებთ, ხშირად უფრო მისაღებია იმის დაშვება, რომ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო და რომ ვარსკვლავები მილიონობით კილომეტრით დაგვშორებიან. მერედა, რა გამოდის აქედან? ნუთუ ფიქრობთ, რომ ჩვენ არ ძალგვიძს ორმაგი ასტრონომიული სისტემის შექმნა? ვარსკვლავები ახლოსაც იქნებიან და შორსაც, - ჩვენი საჭიროებისდა მიხედვით. ნუთუ ფიქრობთ, რომ ჩვენს მათემატიკოსებს ამის უნარი არ შესწევთ? ორაზრი ხომ არ დაგავიწყდათ?უინსტონი ისევ საწოლზე მოიკუნტა: რაც უნდა ეთქვა, ელვა-პასუხი კეტივით ატყდებოდა თავს. და მაინც, მან იცოდა, იცოდა, რომ მართალი იყო. ნამდვილად უნდა ეარსება ამ სიყალბის - ადამიანური გონების გარეთ არაფრის არსებობის -გამოსააშკარავებელ რაღაც ხერხს. ამ შეხედულების სიმცდარე ხომ უკვე დიდი ხანია გამომჟღავნდა? რაღაც სახელიც კი ერქვა, რომელიც უინსტონს აღარ ახსოვდა. მის შემყურე ო'ბრაიენს ბაგე მკრთალმა ღიმილმა გაუპო: - ხომ

გითხარით, უინსტონ, მეტაფიზიკაში მოისუსტებთ-მეთქი. სიტყვა, რომლის გახსენებასაც ლამობთ, არის სოლიფსიზმი. მაგრამ თქვენ ცდებით: ეს სოლიფსიზმი არ არის, არც კოლექტიური სოლიფსიზმი, თუ გნებავთ, არამედ სხვა, არსებითად საპირისპირო რამ. ჩვენ თემას გადავუხვიეთ, - დაამატა მან განსხვავებული ტონით, - ნამდვილი ძალაუფლება, რომლისთვისაც ჩვენ დღედაღამ უნდა ვიბრძოლოთ, არის ძალაუფლება ადამიანებზე.

ო'ბრაიენი შეყოვნდა და ერთი წუთით ისევ იმ მასწავლებლის იერი დაედო, იმედისმომცემ ბავშვს რომ ეკითხება: - რითი მჟღავნდება ერთი ადამიანის ძალაუფლება მეორეზე, უინსტონ?უინსტონი ჩაფიქრდა: - ტანჯვის მიყენებით.

- სწორია, ტანჯვის მიყენებით. მორჩილება საკმარისი არ არის. თუ ადამიანი არ იტანჯება, როგორ დარწმუნდები, რომ შენს ნებას ემორჩილება და არა თავისას? ძალაუფლება მჟღავნდება ტკივილისა და დამცირების მიყენებაში. ძალაუფლება მჟღავნდება ადამიანური გონების ნაწილაკებად დაფლეთაში, შემდეგ კი ისევ შეერთებაში დამფლეთის ნებით არჩეული ყალიბით. ახლა იწყებთ დანახვას, რანაირ სამყაროს ვაშენებთ? ეს სამყარო ზუსტი ოპოზიტია ბრიყვული ჰედონისტური უტოპიებისა, ძველი რეფორმატორები რომ მიელტვოდნენ. შიშის, ღალატისა და ტანჯვის სამყარო, სამყარო სხვათა გასრესისა და გასრესილობის, სამყარო, თავის დახვეწასთან ერთად უფრო ნაკლებად კი არა - უფრო მეტად შეუბრალებელი რომ ხდება. ჩვენი სამყაროს პროგრესი იქნება პროგრესი მეტი ტკივილისკენ. ძველი ცივილიზაციები ამტკიცებდნენ, სიყვარულსა და სამართლიანობაზე ვართ აგებულიო. ჩვენი ცივილიზაცია კი სიძულვილს ეყრდნობა. ჩვენს სამყაროში მხოლოდ შიში, აგრესია, ტრიუმფი და თავის დამცირება იმეფებს. სხვა ყველაფერს ჩვენ დავანგრევთ, ყველაფერს. უკვე ვანგრევთ რევოლუციისწინა პერიოდიდან შემორჩენილ აზრობრივ ჩვევებს. გავწყვიტეთ კავშირები შვილსა და მშობელს, ადამიანსა და ადამიანს, კაცსა და ქალს შორის. ამიერიდან ვეღარავინ ენდობა ცოლს, შვილს ან მეგობარს. ბავშვები დედებს დაბადებისთანავე წაერთმევათ, როგორც კვერცხები ერთმევა ქათამს დადებისთანავე. აღმოიფხვრება სქესობრივი ინსტინქტი. გამრავლება ისეთივე ყოველწლიური ფორმალობა იქნება, როგორიც კვების ბარათის გამოცვლა. ორგაზმს გავაუქმებთ. ჩვენი ნეიროლოგები უკვე მუშაობენ ამაზე. არ იარსებებს არანაირი ლოიალობა, გარდა ლოიალობისა პარტიის მიმართ. არც სიყვარული იარსებებს, გარდა სიყვარულისა დიდი ძმის მიმართ. სიცილიც მხოლოდ ერთადერთი სახის იქნება: სიცილი დამარცხებულ მტერზე. გაუქმდება ყოველგვარი ხელოვნება, ლიტერატურა, მეცნიერება. როცა ყოვლისშემძლე ვიქნებით, მეცნიერება აღარ დაგვჭირდება. აღარ იქნება სხვაობა სილამაზესა და სიმახინჯეს შორის. არ იარსებებს ცნობისწადილი, სიცოცხლის პროცესის არანაირი გამოყენება. გაუქმდება ყველა შეჯიბრებითი სახის სიამოვნება. მაგრამ ყოველთვის - ეს კარგად დაიმახსოვრეთ, უინსტონ, - ყოველთვის იქნება ძალაუფლების საწამლავი: მუდმივად მზარდი, უფრო და უფრო დახვეწილი ძალაუფლებისა. მუდამ, ყოველ წუთს და წამს, იძგერებს გამარჯვების ვნება, დაუძლურებული მტრის გასრესის განცდა. თუ მომავლის წარმოდგენა გსურთ, წარმოიდგინეთ ჩექმა, რომელიც ურტყამს ადამიანის სახეს.

ო'ბრაიენი გაჩუმდა, თითქოს უინსტონის შეპასუხებას ელოდა. ვიდრე ო'ბრაიენი ლაპარაკობდა, უინსტონი თითქმის ზედ დაეკრა საწოლს. არაფრის თქმა არ

შეეძლო. გული გაყინულივით ჰქონდა.

ო’ბრაიენმა განაგრძო: - და არ დაგავიწყდეთ, რომ ეს სამუდამოა. სახე მუდამ იქნება, რათა ზედ ურტყან. ერეტიკოსი და საზოგადოების მტერიც მუდამ იქნება, რათა დაამარცხონ და დაამცირონ. გაგრძელდება ის ყველაფერი, რაც ჩვენს ხელში გამოიარეთ, და ამაზე უარესიც. არასოდეს შეწყდება თვალთვალი, დასმენა, დაპატიმრება, წამება, დახვრეტა, გაქრობა. ეს ისევე იქნება ტერორის სამყარო, როგორც ტრიუმფისა. რაც უფრო გაძლიერდება პარტია, მით ნაკლებ შემწყნარებლური იქნება, რაც უფრო დასუსტდება ოპოზიცია - მით უფრო იმძლავრებს დესპოტიზმი. გოლდსტეინი და მისი ერესიც მუდამ იარსებებს. ყოველდღე, ყოველწამიერად მოხდება მათი დამარცხება, დისკრედიტირება, აბუჩად აგდება, ტალახსა და ფურთხში ამოთხვრა... და მაინც: ისინი მუდამ იარსებებენ. ის სპექტაკლი, რაც მე თქვენ შვიდი წლის განმავლობაში გეთამაშეთ, კიდევ და კიდევ განმეორდება, თაობიდან თაობამდე, უფრო და უფრო დახვეწილი ფორმით. მუდამ გვეყოლება ერეტიკოსი, რომელსაც შევიბრალებთ და რომელიც ტკივილით იღრიალებს, დამსხვრეული და საზიზღარი, ბოლოს კი, ბოლომდე მონანიებული და საკუთარი თავისგან გათავისუფლებული, საკუთარი ნებით მოგვიცოცდება ფეხებთან. აი, სამყარო, რომელსაც ჩვენ ვქმნით, უინსტონ: გამარჯვებიდან გამარჯვებამდე, ტრიუმფიდან ტრიუმფამდე და კიდევ ტრიუმფამდე მოარსებე სამყარო, ძალაუფლების ნერვზე თავისი გამუდმებული, გამუდმებული, გამუდმებული დაწოლით. როგორც ვხედავ, თქვენ იწყებთ იმის გაგებას, რა სამყარო იქნება ეს. თუმცა ბოლოს უფრო მეტსაც იზამთ, ვიდრე გაგებაა: თქვენ მას მიიღებთ, მიესალმებით, მის ნაწილად იქცევით.

ამასობაში უინსტონი საკმარისად მოეგო გონს და ხმა ამოიღო: - თქვენ ამას ვერ იზამთ! - თქვა მისუსტებული ხმით.

- რისი თქმა გინდათ ამით, უინსტონ?- თქვენ ვერ შექმნით ისეთ სამყაროს, როგორიც ახლა აღმიწერეთ. ეს განუხორციელებელი ოცნებაა.

- რატომ?- შეუძლებელია ცივილიზაციის დამყარება შიშზე, სიძულვილსა და სისასტიკეზე. ის ვერ იარსებებს.

- რატომ?- არ იქნება სიცოცხლისუნარიანი. დაიშლება. თვითმკვლელობამდე მივა.

- უაზრობაა. თქვენ ფიქრობთ, რომ სიძულვილი უფრო სასრულია, ვიდრე სიყვარული? ვითომ რატომაო? და რომც ყოფილიყო, მერე რა? ჩათვალეთ, რომ ჩვენ უფრო სწრაფად ამოვწურავთ სიცოცხლეს. ჩათვალეთ, რომ ჩვენ დავაჩქარებთ ადამიანის სიცოცხლის ტემპს ისე, რომ ოცდაათი წლის ასაკში ის უკვე მიხრწნილი იქნება. მერედა, თქვენთვის რა? ნუთუ არ შეგიძლიათ გაიგოთ, რომ ერთი კაცის სიკვდილი სიკვდილი არ არის? პარტია უკვდავია.

უინსტონი ამჯერადაც უსაშველობის განცდამ შეიპყრო. მეტიც: ეშინოდა, კიდევ შეკამათების შემთხვევაში ო’ბრაიენმა ბერკეტი არ დაატრიალოსო. და მაინც ვერ შეძლო გაჩუმება. სუსტად და უარგუმენტოდ, ყოველგვარი საყრდენის გარეშე, გარდა იმ უკონტროლო შიშისა, რასაც ო’ბრაიენის ნათქვამი აღუძრავდა, უინსტონმა მაინც შეუტია: - არ ვიცი. არ მაინტერესებს. რაღაცნაირად წახდებით. რაღაც დაგამარცხებთ. სიცოცხლე დაგამარცხებთ.

- უინსტონ, ჩვენ ვაკონტროლებთ სიცოცხლეს ყველა დონეზე. თქვენ გგონიათ, რომ არსებობს ადამიანურ ბუნებად წოდებული რაღაც, რომელიც განგვირისხდება და დაგვიპირისპირდება. მაგრამ ადამიანის ბუნებას ჩვენ ვქმნით. ადამიანები პლასტილინივით არიან. ან ეგებ ისევ დაუბრუნდით თქვენს აზრს იმის თაობაზე რომ პროლეტარები აჯანყდებიან და დაგვამხობენ? ეგ ამოიგდეთ თავიდან! ისინი ცხოველებივით უსუსურები არიან. კაცობრიობა პარტიაა. სხვა ყველა გარეთ დგას და არავითარ როლს არ თამაშობს.

- არ მენაღვლება. ბოლოს და ბოლოს, ისინი ჩაგქოლავენ. ადრე თუ გვიან დაინახავენ, რანი ხართ, და ნაკუწებად დაგფლეთენ.

- გაქვთ რაიმე ხელჩასაჭიდი, რომ ეს ხდება? ან რაიმე მიზეზი, რომ ეს აუცილებლად მოხდება? - არა, მაგრამ მჯერა. ვიცი, რომ დამარცხდებით. არის რაღაც სამყაროში, რაღაც სული, რაღაც პრინციპი... არ ვიცი... რომელსაც ვერასოდეს გადალახავთ.

- ღმერთი გწამთ, უინსტონ?- არა.

- მაშ, რა არის ის პრინციპი, რომელიც ჩვენ დაგვამარცხებს?- არ ვიცი. ადამიანის სული.

- და თქვენ მიგაჩნიათ, რომ ადამიანი ხართ?- მიმაჩნია.

- თუ ეს ნამდვილად ასეა, უინსტონ, მაშინ თქვენ უკანასკნელი ადამიანი ხართ. თქვენი მოდგმა ამოწურულია. მემკვიდრეები ჩვენ ვართ. გესმით თუ არა, რომ თქვენ მარტო ხართ? თქვენ ისტორიის გარეთ ხართ. თქვენ არ არსებობთ.

ამ მომენტში ო'ბრაიენს ტონი შეეცვალა და უფრო მკვახედ განაგრძო: - მიიჩნევთ თუ არა თქვენს თავს მორალურად ჩვენზე, ჩვენს სიცრუესა და სისასტიკეზე უფრო მაღლა მდგომად?- დიახ, მივიჩნევ.

ო'ბრაიენს არაფერი უთქვამს: ორი სხვა ხმა ლაპარაკობდა. ერთი წამის შემდეგ უინსტონი მიხვდა, რომ ერთი ხმა თვით მას ეკუთვნოდა. ეს იყო ჩანაწერი იმ საუბრისა, რომელიც საძმოში გაწევრების დღეს უინსტონს ჰქონდა ო'ბრაიენთან. ახლა უინსტონი უსმენდა საკუთარ თავს, როცა ის იძლეოდა პირობას - ვიცრუებ, მოვიპარავ, ყალბისმქნელი ვიქნები, მოვკლავ, ნარკომანიას და პროსტიტუციას შევუწყობ ხელს, ვენერიულ დაავადებებს გავავრცელებ, ბავშვს სახეში აჯასპს ვესვრიო. ო'ბრაიენმა პატარა მოუთმენელი ჟესტი გააკეთა თითქოსდა იმის სათქმელად, არც ღირს ამის დემონსტრირებაო. შემდეგ აპარატი გამორთო და ხმები შეწყდა.

- ადექით ამ საწოლიდან! - უთხრა უინსტონს.

ღვედები თავისთავად მოეშვა. უინსტონი იატაკზე ჩამოცურდა და ქანაობით წამოდგა.

- თქვენ უკანასკნელი ადამიანი ხართ, - უთხრა ო'ბრაიენმა, - ადამიანური სულის მცველი ხართ. ახლა თქვენ დაინახავთ საკუთარ თავს. ტანსაცმელი გაიხადეთ.

უინსტონმა მოქაჩა პატარა მავთულს, რომელსაც მისი უნიფორმა ეჭირა. დიდი ხანია ელვაშესაკრავი მისი სამოსიდან მოეძროთ. ვერ იხსენებდა, რომ დღიდან დაპატიმრებისა ეს ტანსაცმელი თუნდაც ერთხელ გაეხადოს. უნიფორმის შიგნით სხეულზე მიჰკრობოდა მოყვითალო შეფერილობის ჭუჭყიანი ჩვრები - ოდინდელი საცვლების ნარჩენები. როცა ეს საცვლებიც ჩაიძრო, ოთახის შორეულ ბოლოში სამფრთიანი სარკე დალანდა. მიუახლოვდა და უცებ შეჩერდა.

უინსტონს ყელიდან უნებლიე ყვირილი აღმოხდა. - უფრო ახლოს, უინსტონ, - უთხრა ო'ბრაიენმა, - სარკის ფრთებს შორის ჩადექით, გვერდებიდანაც კარგად დაინახავთ ყველაფერს.

უინსტონს შეეშინდა და შეჩერდა. წელში მოხრილი, ნაცრისფერი, ჩონჩხისმაგვარი არსება უახლოვდებოდა. ეს სანახაობა თავისთავად იყო დამზაფვრელი და არა მხოლოდ იმის გამო, რომ უინსტონმა იცოდა, ეს მე ვარო. უფრო ახლოს მივიდა. სარკეში არეკლილი არსება ისე მოდრეკილიყო წელში, რომ თავ-პირი გარეთ გამოსჩროდა. სარკიდან იმზირებოდა პატიმრის გაუბედურებული სახე თმაგაცვეხილ თავის ქალაში გადასული გამობურცული შუბლით, მოკაუჭებული ცხვირითა და ნაგვემ-დაბეჟილი ყვრიმალებით, რომელთა ზემოთ სასტიკი დაჟინებით იმზირებოდნენ თვალები. ლოყები დანაოჭებოდა, პირი შიგნით შევარდნოდა. ეს უეჭველად მისი სახე იყო, მაგრამ უინსტონს მოეჩვენა, რომ ამ ხნის განმავლობაში სახე უფრო მეტად შესცვლოდა, ვიდრე სული და გონება. ამ სახეზე აღბეჭდილი ემოციები განსხვავდებოდა იმათგან, რაც მან ამ პერიოდში განიცადა. ნაწილობრივ გამელოტებულიყო კიდეც. პირველ მომენტში ისიც გაიფიქრა, გავჭაღარავდიო, მაგრამ მხოლოდ თავის კანს მიეღო ნაცრისფერი. კანში შეჭრილი ძველი ჭუჭყისგან მთელი სხეული განაცრისფრებოდა, ხელებისა და სახის ოვალის გარდა. ამ ჭუჭყის ქვეშ აქა-იქ მოწითალო ნაჭრილობევი მოუჩანდა, კოჭთან კი ნაკეცებად გადმოჰკიდებოდა ვარიკოზული წყლულის ანთებული მასა. მაგრამ ყველაზე უფრო გულის გამგმირავი სხეულის ეს უკიდურესი გამოფიტულობა იყო. ნეკნებამოჩრილი ფერდები ჩონჩხივით დავიწროებოდა. ფეხები ისე გახდომოდა, რომ მუხლები ბარძაყებზე განიერი ჰქონდა. ახლა ხედავდა, რას გულისხმობდა ო'ბრაიენი გვერდიდან ხედვაში. ზურგი გამაოგნებლად გამრუდებოდა. გამხდარი მხრები წინ წამოსწეოდა, რის გამოც მკერდი ღრმულივით ჩავარდნოდა, გამწლიკული კისერი კი თითქოს თავის ქალის სიმძიმეს დაეზნიქა. სხვაგან რომ ასეთი სხეული ენახა, იტყოდა - რაღაც ავთვისებიანი სნეულებით დაავადებული სამოცი წლის კაცისას ჰგავსო.

- ხანდახან თქვენ გიფიქრიათ, რომ მე, შიდა პარტიის წევრს, დაქანცულ-დაბერებული სახე მაქვს. - უთხრა ო'ბრაიენმა. - რას იტყოდით თქვენს სახეზე?თან მხარში ჩაავლო ხელი და უინსტონი თავისკენ შემოატრიალა: - შეხედეთ, რა დღეში ხართ! შეხედეთ მთელ თქვენს სხეულში ჩამჯდარ ამ ჭუჭყს. შეხედეთ ჭუჭყს თქვენს თითებს შორის. შეხედეთ ამ საზიზღარ ჩირქმდენ იარას თქვენს ფეხზე. ან ის თუ იცით, თხასავით რომ ყარხართ? ალბათ, ვეღარც გრძნობთ. შეხედეთ თქვენს გამოფიტულობას. კარგად ხედავთ? თქვენს ბიცეფსს ცერსა და საჩვენებელ თითებს შორის მოვაქცევ, კისერს სტაფილოსავით ჩავბღუჯავ. იცით თუ არა, რომ ოცდახუთი კილო დაიკელით მას შემდეგ, რაც ჩვენს ხელში ხართ? თმაც კი სასტიკად გცვივათ. შეხედეთ!ო'ბრაიენმა უინსტონს თმაში ხელი ჩაავლო და

მთელი ბღუჯა ამოაგლიჯა.

- პირი გააღეთ. ცხრა... ათი... თერთმეტი კბილიღა დაგრჩათ. რამდენი გქონდათ როცა აქ მოხვედით? და ისიც გცვივათ, რაც დაგრჩათ. აი!ო'ბრაიენმა თავისი ღონიერი ცერი და საჩვენებელი თითები უინსტონს ერთ-ერთ დარჩენილ წინა კბილში ჩაავლო. ყბაში ძლიერმა ტკივილმა გაჰკვესა და -ფესვებიანად ამომძვრალი კბილი ო'ბრაიენმა საკანში მოისროლა: - ცოცხლად ლპებით, ნაწილებად იშლებით. რაღა ხართ დღეს? - ჭუჭყის პატარა გუდა. ახლა მიბრუნდით და ისევ ჩაიხედეთ სარკეში. ხედავთ, ვინ მოგჩერებიათ იქიდან? - უკანასკნელი ადამიანი. თუ თქვენ ადამიანი ხართ, მაშინ ეგ არის ადამიანობა. ახლა ჩაიცვით.

ნელი, ტეხილი მოძრაობებით უინსტონმა ჩაცმა დაიწყო. აქამდე არ შეუმჩნევია, როგორ გამხდარა და დაუძლურებულა მთელი ამ ხნის განმავლობაში. თავში ერთადერთი რამ უტრიალებდა: როგორც ჩანს, უფრო დიდი ხანია აქ ვარ, ვიდრე მეგონაო. უცებ ჩვრად ქცეული საცოდავი საცვლები დააფიქსირა და თავისი დანგრეული სხეული შეებრალა. შემდეგ კი, ვიდრე თვითონვე გაიგებდა, რა მოხდა, საწოლის გვერდით მდგარ პატარა სკამზე ჩაიკეცა და ცრემლები წასკდა. იცოდა, რომ ის - ძვლების მახინჯი, უშნო, დასვრილსაცვლებიანი გროვა - ახლა თეთრად გაბდღვრიალებულ საკანში იჯდა და ტიროდა. იცოდა, მაგრამ ვერ ჩერდებოდა. ო'ბრაიენი თითქმის მეგობრულად შეეხო მხარზე: - ეს სამუდამოდ არ გაგრძელდება. ყოველთვის, როცა მოინდომებთ, შეძლებთ ამ მდგომარეობიდან გამოსვლას. ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული.

- ეს თქვენ ქენით! - ამოიქვითინა უინსტონმა, - თქვენ მომიყვანეთ აქამდე.

- არა, უინსტონ, თავად მიიყვანეთ საკუთარი თავი აქამდე. ეს გზა თქვენ აირჩიეთ, როცა პარტიის წინააღმდეგ წახვედით. ყველაფერი ამ გადაწყვეტილებამ განსაზღვრა. არაფერი მომხდარა ისეთი, რაც თქვენ წინდაწინ არ გიფიქრიათ.

ო'ბრაიენი შეყოვნდა და შემდეგ განაგრძო: - ჩვენ თქვენ გაგტეხეთ, უინსტონ, დაგაჩოქეთ. თქვენ დაინახეთ, რას დაემსგავსა თქვენი სხეული. გონებაც იმავე მდგომარეობაში გაქვთ. არა მგონია, კიდევ ბევრი სიამაყე შემოგრჩენოდეთ. ფეხები გირტყეს, გაგამათრახეს, შეურაცხგყვეს. ტკივილისგან ყვიროდით, იატაკზე გორავდით საკუთარ სისხლსა და ნარწყევში, საბრალოდ იგრიხებოდით და შებრალებას ითხოვდით, ყველას და ყველაფერს უღალატეთ. შეგიძლიათ გაიხსენოთ თუნდ ერთი დეგრადაცია, რომელიც თქვენ არ შეგემთხვათ?უინსტონმა ქვითინი შეწყვიტა, თუმცა ცრემლები ისევ სდიოდა თვალებიდან. მან ო'ბრაიენს ახედა: - ჯულიასთვის არ მიღალატია.

ო'ბრაიენმა ფიქრიანად დახედა.

- ჰო, სრული სიმართლეა. ჯულიასთვის არ გიღალატიათ.

სრულიად განსაკუთრებულმა მოწიწებამ ო'ბრაიენის მიმართ, მოწიწებამ, რომელსაც ვერაფერი დაამსხვრევდა, უინსტონს ისევ დაუტბორა გული. „რა ჭკვიანია! -ფიქრობდა ამ კაცზე, - რა ჭკვიანი!“ ო'ბრაიენს ყოველთვის ყველაფერი გაუგია, რაც მისთვის უთქვამს. სხვა ყველა დედამიწაზე უინსტონს ეტყოდა: ჰო,

შენ ჯულიას უღალატეო. რა მიზეზით არ ამოათქმევინეს ესეც სხვა ყველაფერთან ერთად? ყველაფერი უთხრა, რაც კი იცოდა ჯულიაზე: მისი ჩვევები, ხასიათი, წარსული. უმცირეს დეტალამდე უამბო ყველაფერი, რაც მათ ერთიმეორისთვის უთქვამთ. უამბო შავი ბაზრიდან მოტანილ საჭმელზე, სექსუალურ ურთიერთობებზე სხვადასხვა ადამიანთან, პარტიის საწინააღმდეგოდ დაგეგმილ ბუნდოვან შეთქმულებებზე, - აბსოლუტურად ყველაფერზე. და მაინც, იმ აზრით, რასაც უინსტონი ამ სიტყვაში დებდა, მას ჯულიასთვის არ უღალატია: არასოდეს შეუწყვეტია ჯულიას სიყვარული, ყოველთვის იმავე გრძნობას ატარებდა მის მიმართ. ო'ბრაიენი განმარტების გარეშე მიხვდა, რას გულისხმობდა უინსტონი.

- მითხარით, როდის დამხვრეტენ?- შესაძლოა, საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ. მძიმე შემთხვევა ხართ. თუმცა იმედსაც ნუ დაკარგავთ. ადრე თუ გვიან, ყველაფერი განიკურნება. ბოლოს ჩვენ დაგხვრეტთ.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: www.ChiaturaINFO.GE

IV

იგი თავს ბევრად უკეთ გრძნობდა. დღიდან დღემდე - თუ საერთოდ შეიძლებოდა დღეებზე ლაპარაკი - თანდათან უფრო სუქდებოდა და ძალა ემატებოდა.

თეთრი სინათლე და ზუზუნა ხმა ისევ ისეთი იყო, როგორიც აქამდე, მაგრამ ახლა საკანი წინანდელ საკნებთან შედარებით ცოტა უფრო კომფორტული ჰქონდა. ამჯერად ხის საწოლზე ლეიბი და ბალიში იდო, იქვე იდგა სკამიც, რომელზეც შეეძლო დამჯდარიყო. აბანავეს და ნებაც დართეს, თითქმის სურვილისამებრ ებანავა თუნუქის აბაზანაში. ამისთვის ცხელი წყალიც კი მისცეს. მისცეს ახალი საცვლები და ახალი უნიფორმის კომპლექტი. წყლულზე დამაცხრობელი მალამო წაუსვეს. დარჩენილი კბილები ამოაძვრეს და ახლები ჩაუსვეს.

კვირები და თვეები იქნებოდა გასული. შეეძლო დრო გამოეთვალა, თუ შეეცდებოდა, რადგან საჭმელი, როგორც ჩანდა, თანაბარი ინტერვალებით შემოჰქონდათ. მისი ანგარიშით, ყოველ ოცდაოთხ საათში სამჯერ ჭამდა, ოღონდ ის კი ვერ დაედგინა -დღისით ჭამდა თუ ღამით. საკვები უჩვეულოდ ხარისხიანი იყო, ყოველ მესამე ჭამაზე კი ხორცსაც აძლევდნენ. ერთხელ ერთი კოლოფი სიგარეტი შემოუტანეს, ასანთი არ მოეპოვებოდა, მაგრამ მუდამ მდუმარე მცველს, რომელსაც მისთვის საჭმელი მოჰქონდა, ასანთის მიცემაც შეეძლო, პირველმა გაბოლებამ ცუდად გახადა, მაგრამ ნებისყოფა მოიკრიბა და ეს ერთი კოლოფი დიდხანს იმყოფინა, - ნახევარ სიგარეტს ეწეოდა ყოველი ჭამის შემდეგ.

მისცეს თეთრი ასპიდის დაფა კუთხეში მიმაგრებული ფანქრის მონაჭერით. თავდაპირველად ხელი არ უხლია, ღვიძილის დროსაც კი მთლიანად გამოტვინებული იყო. ხშირად ერთი კვებიდან მეორემდე თითქმის გაუნძრევლად იწვა, ზოგჯერ ეძინა, ზოგჯერ კი, რაღაც ბუნდოვან ოცნებებში გართულს, მეტისმეტად უჭირდა თვალის გახელა. დიდი ხანია მიეჩვია ძილს სახეში მინათებული სინათლის ძლიერი ნაკადის ქვეშ. თითქოს არავითარი განსხვავება არ იყო, გარდა იმისა, რომ, როგორც ჩანდა, ასე უფრო ურთიერთდაკავშირებულ სიზმრებს ხედავდა. დასიზმრებით კი უამრავი რამ ესიზმრებოდა, თანაც - მუდამ ბედნიერი სიზმრები: ხან ოქროს ქვეყანაში იყო, ხან რაღაც უზარმაზარ, დიდებულ, მზით გაჩახჩახებულ ნანგრევებში დედასთან, ჯულიასთან, ო'ბრაიენთან ერთად. რამეს კი არ აკეთებდა, უბრალოდ, იჯდა და მშვიდობიან საგნებზე ლაპარაკობდა. გაღვიძების შემდეგ მისი აზრები, უმეტესწილად, მისივე სიზმრებს უტრიალებდა. ახლა, როდესაც ტკივილს აღარ აყენებდნენ, თითქოს აზროვნების ძალა და სტიმული დაჰკარგოდა. თავგაბეზრებული კი არ იყო, უბრალოდ, საუბრის ან ყურადღების გაფანტვის არავითარი სურვილი აღარ ჰქონდა. მარტო ყოფილიყო, არ ეცემათ და არ დაეკითხათ, საკმარისი საკვები ჰქონოდა და სუფთად ეგრძნო თავი - ეს სრულებით საკმარისიაო, ფიქრობდა. თანდათანობით უფრო და უფრო ნაკლები ეძინა, თუმცა საწოლიდან ადგომის არავითარი სურვილი არ ჰქონდა. მხოლოდ ის სურდა, წყნარად წოლილიყო და ეგრძნო, როგორ ევსებოდა სხეული ახალი ძალით. აქა-იქ თითითაც ისინჯავდა, რათა დარწმუნებულიყო, ილუზიაში არ ვარ, კუნთები მართლა მევსება და კანიც მშვენივრად მეტკიცებაო. საბოლოოდ, ყოველგვარი ეჭვი გაქარწყლდა: უინსტონი წონაში მატულობდა, ბარძაყების სიგანემ ნამდვილად გადააჭარბა მუხლებისას. შემდეგ ყოველდღიური ვარჯიში დაიწყო, თუმცა ჯერ უხალისოდ. ცოტა ხანში უკვე სამი

კილომეტრის გავლა შეეძლო, ამას საკანში გადადგმული ნაბიჯების რაოდენობა ამცნობდა. მოხრილი მხრებიც ნელ-ნელა გამართა. უფრო დახვეწილი ვარჯიშების გაკეთება სცადა და გაოგნდა, რა უბრალო მოძრაობები ვერ შეძლო: ვერ დაიჭირა სკამი გაშლილი მკლავით; ვერ დადგა ცალ ფეხზე ისე, რომ არ გადავარდნილიყო; ქუსლებზე ჩაჯდომისა და ისევ წამოდგომისას წვივ-ბარძაყში საშინელ ტკივილს გრძნობდა; მუცელზე წვებოდა და ცდილობდა, სხეული ხელებზე დაყრდნობით აეწია. ამაოდ! ერთი სანტიმეტრითაც ვერ იწეოდა. მაგრამ რამდენიმე დღის - რამდენიმე კვებითი სეანსის შემდეგ ეს გმირობაც ჩაიდინა. დადგა დრო, როცა ამ ვარჯიშს ექვსჯერ ზედიზედ აკეთებდა. თანდათან თავისი სხეულის გამო ნამდვილი სიამაყე იგრძნო და სახის უწინდებურ მდგომარეობაში დაბრუნების მბჟუტავი იმედიც ჩაესახა. მხოლოდ მაშინ, როცა შემელოტებულ თავზე შემთხვევით ხელს მოივლებდა, სარკიდან გამომზირალი ის დანგრეულ-დაკერებული სახე ახსენდებოდა.

გონებრივადაც უფრო გააქტიურდა. ხის საწოლზე დაჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო, ასპიდის დაფა მუხლებზე დაიდო და საკუთარი თავის ხელახლა გასანათლებლად მოემზადა.

იგი დანებდა. ამაზე უკვე შეთანხმდნენ. არსებითად, როგორც დღეს ხედავდა, დასანებებლად გაცილებით ადრე იყო მზად. სიყვარულის სამინისტროში მოხვედრის მომენტიდან, - არა, თვით იმ წუთებიდანვე, როცა ის და ჯულია უსუსურად იდგნენ შუა ოთახში და როცა ტელეეკრანიდან გამოსულმა რკინის ხმამ უბრძანა, როგორ მოქცეულიყვნენ, - მან უცებ გაიაზრა სიმჩატე და სიცარიელე თავისი გადაწყვეტილებისა - ამხედრებოდა პარტიას. ახლა მან იცოდა, რომ აზრის პოლიცია უკვე შვიდი წელია უთვალთვალებდა, როგორც ხოჭოს უთვალთვალებენ ხოლმე გამადიდებელი შუშით. არ ჩაუდენია ფიზიკური აქტი, არ უთქვამს ერთი სიტყვაც კი, რომელიც მათ არ შეუმჩნევიათ, არც აზრის რაიმე ჯაჭვი, რომელიც არ ამოუცნიათ, თვით მის დღიურზე დადებული მოთეთრო მტვრის იმ ერთი ბეწო ფენასაც კი ფრთხილად უცვლიდნენ ადგილს. მოასმენინეს ჩანაწერები, უჩვენეს ფოტოები. ზოგ მათგანზე თვითონაც იყო და ჯულიაც. ჰო, ისიც კი... იგი პარტიას ვეღარ შეებრძოლებოდა. გარდა ამისა, პარტია მართალი იყო. ან კი როგორ შეიძლებოდა, უკვდავი, კოლექტიური ტვინი მცდარი ყოფილიყო? რომელი გარეგანი საზომით შეამოწმებდი მის განსჯას? ნორმალურობა სტატისტიკური ფაქტი იყო. უბრალოდ, უნდა გესწავლა ისე ფიქრი, როგორც ისინი ფიქრობდნენ. მხოლოდ...

ფანქარი მის თითებს მეტისმეტად სქელი და ტლანქი ეჩვენა. დაიწყო თავში მოსული აზრების ჩაწერა. პირველი ფრაზა დიდი და მოუხეშავი ასოებით დაწერა: თავისუფლება მონობააშემდეგ, თითქმის პაუზის გარეშე, ქვეშ მიაწერა: ორს მიმატებული ორი არის ხუთი მაგრამ ამის შემდეგ რაღაცნაირად შეფერხდა. თითქოს რაღაცით დამფრთხალი მისი გონება კონცენტრირებას ვეღარ ახერხებდა. იცოდა, რა იყო შემდეგი, მაგრამ ამწუთას ვერ იხსენებდა. როცა გაახსენდა, ესეც - გაცნობიერებული განსჯით იმის თაობაზე, რა შეიძლებოდა ყოფილიყო შემდეგი. მესამე ფრაზა თავისთავად არ მოსვლია: ღმერთი ძალაუფლებააყველაფერზე დათანხმდა. წარსული ცვალებადი იყო. წარსული არასოდეს შეცვლილა. ოკეანია ებრძოდა აღმოსავლეთაზიას. ოკეანია ყოველთვის აღმოსავლეთაზიას ებრძოდა. ჯოუნზი, აარონსონი და რეზერფორდი

დამნაშავენი იყვნენ იმ ბოროტმოქმედებებში, რაშიც მათ ბრალი ედებოდათ. არასოდეს უნახავს ფოტოსურათი, რომელიც ამჟღავნებდა მათ უდანაშაულობას. ასეთ სურათს არასოდეს უარსებია, ის თვითონ გამოიგონა. ახსოვდა, რომ ახსოვდა საპირისპირო რამ, მაგრამ ეს იყო ცრუ მოგონებები, თვითმოტყუების შედეგი. რა ადვილი იყო ეს ყველაფერი! ერთი დანებება და - ყოველივე დანარჩენი თავისით მოდიოდა. ეს ჰგავდა ცურვას დინების საწინააღმდეგო მიმართულებით (დინების, რომელიც მაინც წაგიღებდა, რა თავგამოდებითაც უნდა გებრძოლა), შემდეგ კი - უეცარი გადაწყვეტილების მიღებას, რომ შემობრუნებულიყავი და დინებას მიჰყოლოდი ნაცვლად დაპირისპირებისა. არაფერი შეცვლილა, თვით მისი პოზიციის გარდა. ყველა შემთხვევაში მოხდებოდა წინასწარ განსაზღვრული ამბავი. ვერც კი ხვდებოდა, რამ განაპირობა მისი ურჩობა. ყველაფერი იოლი იყო, გარდა..!ყველაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო სიმართლე. ეგრეთ წოდებული ბუნების კანონები უაზრობას წარმოადგენდა. უაზრობას წარმოადგენდა მიზიდულობის კანონი. „თუ მოვისურვებ, შემიძლია ამ იატაკიდან საპნის ბუშტივით ავლივლივდე“, თქვა ო’ბრაიენმა. უინსტონმა ეს ასე გაიაზრა: „თუ ის ფიქრობს, რომ ვხედავ მას ამ მდგომარეობაში, ესე იგი, ეს მართლა ხდება“. უცებ მის გონებაში რაღაცამ იფეთქა, თითქოს წყლის ზედაპირზე ფსკერისკენ წასული გემის ნამსხვრევი ამოვარდაო: „ეს სინამდვილეში არ ხდება. ეს ჩვენ გვეჩვენება. ეს ჰალუცინაციაა“. ეს აზრი მან მომენტალურად ჩაძირა. სიმცდარე აშკარა იყო. ის ხომ წინასწარ გულისხმობდა, რომ სადღაც გარეთ არსებობდა „რეალური“ სამყარო თავისი „რეალურად“ არსებული ცდომილებებით. მაგრამ როგორ შეეძლო არსებობა ასეთ სამყაროს? ვფლობთ კი, საერთოდ, რაიმე ცოდნას, გარდა იმისა, რასაც ჩვენი გონების გავლით ვიღებთ? ყველაფერი გონებაში ხდება. რაც ყველას გონებაში ხდება, ის ნამდვილად ხდება.

სავსებით იოლად გამოააშკარავა სიმცდარე და მისგან დამარცხების არავითარი საფრთხე არ დამუქრებია. მიუხედავად ამისა, მიხვდა, რომ ყოველთვის თავიდან უნდა აეცდინა მსგავს ცდომილებაში ჩავარდნის საშიშროება. როგორც კი სახიფათო აზრი თავს წამოყოფდა, იქვე უნდა წარმოქმნილიყო მისი გამანეიტრალებელი ბრმა წერტილიც. პროცესი ავტომატური, ინსტინქტური უნდა ყოფილიყო. ახალმეტყველებაში ამას დანაშაულშეჩერებას უწოდებდნენ.

სწორედ დანაშაულშეჩერებაში დაიწყო გონების გავარჯიშება. წარმოთქვამდა წინადადებებს: „პარტია ამბობს, რომ დედამიწა ბრტყელია“, „პარტია ამბობს, რომ ყინული წყალზე მსუბუქია“, და შემდეგ თავის თავს წვრთნიდა, რომ ვერ დაენახა ან ვერ გაეგო ამ მტკიცებულებათა საპირისპირო არგუმენტები. ეს ადვილი საქმე არ იყო. საჭირო გახდა დიდი ძალების თავმოყრა განსჯისა და იმპროვიზებისთვის. გადაწყვეტა ისეთი არითმეტიკული პრობლემისა, როგორიცაა, მაგალითად, „ორს მიმატებული ორი არის ხუთი“, მის ინტელექტუალურ უნარს აღემატებოდა. ეს საჭიროებდა გონების ერთგვარ ათლეტურობას, რომლის მეშვეობითაც ერთ მომენტში უდელიკატურესად გამოიყენებდი ლოგიკას, მეორე მომენტში კი გაუცნობიერებლად დაუშვებდი ყველაზე უხეშ ლოგიკურ შეცდომებს. სიბრიყვე ისეთივე აუცილებელი და ისევე ძნელად მისაღწევი იყო, როგორც გონიერება.

ამ ყველაფერთან ერთად, გონების ერთი ნაწილით იგი იმაზეც ფიქრობდა, ნეტავ, როდის დამხვრეტენო. „ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული“, უთხრა ო’ბრაიენმა. არადა, იცოდა, რომ არ არსებობდა არავითარი გაცნობიერებული

ქმედება, რომლითაც სიკვდილს მოიახლოებდა. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო ათ წუთში ან ათ წელიწადში. შეეძლოთ წლობით მარტო ჰყოლოდათ, შეეძლოთ შრომა-გასწორების ბანაკში გაეგზავნათ, შეეძლოთ ცოტა ხნით გაეთავისუფლებინათ კიდეც, როგორც ზოგჯერ შვრებოდნენ. ისიც სავსებით შესაძლებელი იყო, რომ დახვრეტის წინ მთლიანად გამეორებულიყო მისი დაპატიმრება-დაკითხვის საშინელება. ერთი რამ იყო ცხადი: სიკვდილი არასოდეს მოვიდოდა მოსალოდნელ მომენტში. უთქმელი ტრადიციის მიხედვით (ეს რაღაცნაირად ყველამ იცოდა, თუმცა ხმამაღლა თქმული არავის გაეგონა), უკნიდან გესროდნენ, ყოველთვის კეფაში, გაუფრთხილებლად, როცა დერეფანში, ერთი საკნიდან მეორისკენ მიაბიჯებდი.

ერთ დღეს - თუმცა „ერთ დღეს“ სწორი გამოთქმა არ იყო, რაკი ეს, ალბათ, შუაღამისას მოხდა - ის უცნაურ და ნეტარ ოცნებებს მიეცა. თითქოს დერეფანს მიჰყვებოდა და ტყვიას ელოდა. იცოდა, რომ ეს მეორე წამს მოხდებოდა. ყველაფერი მოგვარებული, მოწესრიგებული, შერიგებული იყო. აღარ არსებობდა ეჭვი, კამათი, ტკივილი, შიში. სხეული ჯანმრთელი და ძლიერი ჰქონდა. მსუბუქად მიაბიჯებდა, მოძრაობის სიხარულითა და მზის სინათლეში სვლის განცდით. უკვე აღარ იმყოფებოდა სიყვარულის სამინისტროს ვიწრო, თეთრ დერეფნებში. ამჯერად თითქოს ნარკოტიკული აბებით გამოწვეულ ბოდვაში იყო: მზით გაჩახჩახებულ, კილომეტრის სიგანის ვეებერთელა გასასვლელს მიჰყვებოდა. ეს იყო ოქროს ქვეყანა, სადაც ადამიანის ნაკვალევს მისდევდა კურდღლებისგან გადათხრილ საძოვარზე. ფეხქვეშ დრეკად ნიადაგს შეიგრძნობდა, სახეზე - მზის რბილ ნათებას. მინდვრის ბოლოს ნელა მოქანავე თელადუმები იდგნენ, სადღაც მათ გადაღმა კი მიედინებოდა მდინარე, სადაც ტირიფებქვეშ ჩამდგარ მწვანე გუბეებში თევზები სხმარტალებდნენ.

უცებ შიშის ზაფრამ ფეხზე წამოაგდო. ხერხემლის გაყოლებაზე ოფლდასხმულს, თავისივე ყვირილი ჩაესმა: - ჯულია! ჯულია! ჯულია, ჩემო სიყვარულო! ჯულია!ერთი წამით ჯულიას იქ ყოფნის წარმოუდგენლად ცხადი ჰალუცინაცია ეწვია. ჯულია, უბრალოდ, მის გვერდით კი არ იყო, არამედ თითქოს თვით მასში, მისი კანის ქსოვილში შეეღწია. ამ მომენტში გაცილებით უფრო ძლიერად უყვარდა ჯულია, ვიდრე ერთად ყოფნისა და თავისუფლების დღეებში. გარდა ამისა, იცოდა, რომ ჯულია სადღაც იყო, ჯერ კიდევ ცოცხალი და მისი დახმარების მომლოდინე.

ისევ საწოლზე დაწვა და აზრი მოიკრიბა. ეს რა ქნა? რამდენი წელი დაუმატა მის მონობას სისუსტის შემოტევის ამ წამმა?მეორე წამს კი ნამდვილად შეეძლო გაეგონა ჩექმების ბრახაბრუხი კარს მიღმა: გრძნობების ასეთ აფეთქებას დაუსჯელს არ დატოვებდნენ. ახლა ისინი უკვე გაიგებდნენ, თუკი აქამდე არ იცოდნენ, რომ ის არღვევდა მათთან დადებულ ხელშეკრულებას. ის პარტიას დაემორჩილა, მაგრამ მაინც სძულდა პარტია. უწინ თავის ერეტიკულ გონებას პოლიტიკური მართლმორწმუნეობის ნიღაბქვეშ მალავდა. ახლა ერთი ნაბიჯით უფრო შორს წავიდა: გონებრივად დამორჩილდა, იმ იმედით, რომ გულს გადაირჩენდა. იცოდა, რომ სიმცდარეში იყო და არჩია კიდეც ეს სიმცდარე. ისინი ამას მიუხვდებოდნენ. ო’ბრაიენი მიუხვდებოდა ამას. ეს ყველაფერი ერთადერთმა ბრიყვულმა შეძახილმა გამოავლინა.

ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო. ამას, შესაძლოა, წლები დასჭირვებოდა. სახეზე ხელი გადაისვა, რათა თავის ახალ ფორმას გაშინაურებოდა. ლოყებზე ღრმა ნაოჭები ისინჯებოდა, ყვრიმალებზე - წაწვეტებული ძვლები, ცხვირი გაბრტყელებოდა. გარდა ამისა, სარკეში უკანასკნელი ჩახედვის შემდეგ კბილები მთლიანად შეუცვალეს. ადვილი საქმე არ იყო - ყოფილიყავი შეუღწევადი, ნაკვთების უბრალო კონტროლი არ კმაროდა. პირველად გააცნობიერა: თუ საიდუმლოს შენახვა გსურს, საკუთარ თავსაც უნდა დაუმალოო. გამუდმებით უნდა იცოდე, არასოდეს არ უნდა გამოაჩინო შენს ცნობიერებაში არანაირი სახით, რასაც კი შეიძლება სახელი მიეცეს. აქედან მოყოლებული, არა მხოლოდ სწორად უნდა ეფიქრა, არამედ სწორადაც უნდა ეგრძნო და სიზმრებიც სწორი უნდა ჰქონოდა. ამ ყველაფერთან ერთად კი თავის სიღრმეში სიძულვილი შეენახა იმ გორგალივით, რომელიც - კისტასავით - მისი ნაწილიც იქნებოდა და დანარჩენი ორგანიზმისგან დამოუკიდებელი სხეულიც.

ერთ დღესაც გადაწყვეტდნენ, რომ დახვრიტონ. ვერავინ იტყოდა, როდის მოხდებოდა ეს, მაგრამ რამდენიმე წამით ადრე, ალბათ, მიხვდებოდა. ეს ყოველთვის უკნიდან ხდებოდა, როცა დერეფანში მიაბიჯებდა. ათი წამი საკმარისი იქნებოდა. ამ დროის განმავლობაში მისი შინაგანი სამყარო გადატრიალებას მოასწრებდა. და აი, მაშინ, უეცრად, ყოველგვარი სიტყვის, შეყოვნების, სახეზე თუნდაც ერთი ხაზის შეცვლის გარეშე, კამუფლაჟი ჩამოვარდებოდა და - დრახ! - აინთებოდა მისი სიძულვილის ბატარეები! სიძულვილი უზარმაზარი აღრიალებული ცეცხლივით აუვსებდა სულსა და სხეულს... და თითქმის იმავე წამს მოხვდებოდა ტყვიაც, -მეტისმეტად გვიან ან მეტისმეტად ადრე. სანამ ისევ აღუდგენდნენ, ისინი ტვინს ჯერ ნაფლეთებად უქცევდნენ. ერეტიკული აზრი სამარადისოდ დაუსჯელი, მოუნანიებელი, მათთვის მიუწვდომელი დარჩებოდა. ისინი მხოლოდ თავისივე სრულყოფილებას გაუჩენდნენ ნახვრეტს.

გძულდეს ისინი სიკვდილის წამში: აი, თავისუფლება!თვალები დახუჭა. ეს უფრო ძნელი იყო, ვიდრე ინტელექტუალური დისციპლინის მიღება. საქმე ეხებოდა საკუთარი თავის დეგრადირებას, საკუთარი თავის დამახინჯებას. ის უბინძურეს ჭუჭყში ჩაეფლო. რა იყო ამ ყველაფერში ყველაზე უფრო საზარელი და გულის გამგმირავი? თვალწინ დიდი ძმა დაუდგა. ეს ვეებერთელა სახე (რაკი ყოველთვის პლაკატებზე ხედავდა, ყოველთვის მეტრის სიგანისას წარმოიდგენდა) შავად გაფანჩული ულვაშითა და მოუცილებელი მზერით თავისთავად ამოუცურდა გონებაში. რას გრძნობდა სინამდვილეში დიდი ძმის მიმართ?დერეფანში ჩექმების ბრახაბრუხი გაისმა. რკინის კარი ჟღრიალით გაიღო. საკანში ო’ბრაიენი შემოვიდა. მის უკან ცვილისსახიანი ოფიცერი და შავუნიფორმიანი მცველები იდგნენ. - ადექით! - უთხრა ო’ბრაიენმა, - აქ მოდით.

უინსტონი მის წინ გაჩერდა. ო’ბრაიენმა თავისი ღონიერი ხელები უინსტონს მხრებში ჩაავლო და ახლოდან შეხედა: - თქვენ ჩემს მოტყუებას ფიქრობდით. ბრიყვულად მოიქეცით. წელში გასწორდით და სახეში შემომხედეთ.

ო’ბრაიენი შეყოვნდა და უფრო რბილად განაგრძო: - თქვენ ვითარდებით. ინტელექტუალური თვალსაზრისით ბევრი აღარაფერი გიკლიათ. აი, ემოციურად კი ჩამორჩით. მითხარით, უინსტონ, - ოღონდ ტყუილები არ გამაგონოთ! ხომ

იცით, რომ არასოდეს მეპარება ტყუილი, - რას გრძნობთ სინამდვილეში დიდი ძმის მიმართ?- მე ის მძულს.

- თქვენ ის გძულთ. კეთილი. მაშინ დადგა დრო, გაიაროთ ბოლო საფეხური. უნდა გიყვარდეთ დიდი ძმა. მორჩილება საკმარისი არ არის - უნდა გიყვარდეთ.

და ო’ბრაიენმა უინსტონს მსუბუქად უბიძგა მცველებისკენ: - ოთახი №101.

V

პატიმრობის ყოველ მონაკვეთში მან იცოდა ან ეგონა, რომ იცოდა, უფანჯრო შენობის რომელ ნაწილში იმყოფებოდა. ჰაერის წნევა სხვადასხვა სართულზე მხოლოდ მცირედით თუ განსხვავდებოდა. საკნები, სადაც მცველები სცემდნენ, მიწის დონეზე დაბლა მდებარეობდა. ოთახი, რომელშიც ო'ბრაიენი დაკითხვას უწყობდა, სულ ზემოთ იყო, სახურავთან. ეს ოთახი კი მრავალი მეტრის სიღრმეზე იყო მიწაში, - იმ სიღრმეზე, რამდენზეც კი ჩასვლა შეიძლებოდა.

ის უფრო დიდი იყო, ვიდრე იმ საკანთა უმრავლესობა, რომლებშიც აქამდე მოხვედრილა. თუმცა ირგვლივ ვერაფერს ხედავდა. შეამჩნია მხოლოდ პირდაპირ მდგარი, მწვანებიაზგადაფარებული ორი პატარა მაგიდა. ერთი მათგანი მისგან ერთი-ორი მეტრის მოშორებით იდგა, მეორე - უფრო შორს, კართან ახლოს. თვითონ წელგამართული მიებათ სკამზე, მიებათ ისე მაგრად, რომ თავსაც კი ვერ აბრუნებდა. მისი თავი უკნიდან რაღაც ბალიშის მაგვარს ჩაებღუჯა და ზუსტად პირდაპირ ცქერას აიძულებდა.

პირველ წუთს მარტო იყო, შემდეგ კარი გაიღო და ო'ბრაიენი შემოვიდა.

- თქვენ ერთხელ მკითხეთ, №101 ოთახში რა ხდებაო. მე გითხარით, პასუხი უკვე იცით-მეთქი. ეს ყველამ იცის. საქმე ის არის, რომ აქ ამქვეყნად ყველაზე უარესი რამ ხდება.

კარი ისევ გაიღო. შემოსულმა მცველმა მავთულისგან დაწნული ყუთი თუ კალათა შემოიტანა და მოშორებით მდგარ მაგიდაზე დადო. ო'ბრაიენი ისე იდგა, რომ უინსტონმა ვერ დაინახა, რა იყო ეს საგანი.

- მსოფლიოში ყველაზე უარესი რამ ინდივიდუალობისდა მიხედვით იცვლება, - თქვა ო'ბრაიენმა, - ეს შეიძლება იყოს ცოცხლად დამარხვა, ცეცხლში დაწვა, წყალში დახრჩობა, სარზე დასმა და სხვა ორმოცდაათნაირი სიკვდილი. არსებობს სხვა, გაცილებით უფრო ტრივიალური ვარიანტები, რომლებსაც ფატალურსაც კი ვერ დაარქმევ. ო'ბრაიენი ოდნავ გაიწია, რათა უინსტონს უკეთ დაენახა, რა იდო მაგიდაზე. ეს იყო მავთულის წაგრძელებული გალია, რომელსაც ზემოდან სახელური ეკეთა სატარებლად. წინა მხარეს გალიას დამაგრებული ჰქონდა საფარიკაო ნიღბის მსგავსი რაღაც, რომლის ჩაზნექილი პირი გარეთ მოექციათ. მიუხედავად სამ-ოთხმეტრიანი მანძილისა, უინსტონმა დაინახა, რომ გალია მთელ სიგრძეზე ორ ნაწილად იყო გაყოფილი და თითოეულ ნაწილში რაღაც არსება იჯდა.

- თქვენს შემთხვევაში, მსოფლიოში ყველაზე უარესი რამ არის ვირთხები.

რაღაცის მაუწყებელმა ყრუ ტალღამ, რაღაც გაურკვევლიდან დაძრულმა შიშმა დაუარა უინსტონს გალიის დანახვის პირველსავე წამს. მაგრამ ამჯერად მისმა ცნობიერებამ გალიაზე მიმაგრებული ნიღაბივით საგნის დანიშნულება იგუმანა. თითქოს მთელი შიგნეულობა წყლად ექცა.

- თქვენ ამას არ იზამთ! - იყვირა მან გაბზარული ხმით, - არა! არა! ეს

შეუძლებელია.

- გახსოვთ ის პანიკა, სიზმრად მყოფი რომ მოგიცვათ? თქვენ წინ შავი კედელი იყო, ყურებში კი გუგუნი გედგათ. კედლის მეორე მხარეს რაღაც საშინელება ხდებოდა. თქვენ იცოდით, რა იყო ეს, მაგრამ აშკარად ფიქრი ვერ გაგებედათ. კედლის მეორე მხარეს ვირთხები იყვნენ.

- ო'ბრაიენ! - უინსტონმა ამჯერად თავისი ხმის გაკონტროლება სცადა, - თქვენ იცით, რომ ეს აუცილებელი არ არის. რა გინდათ, რომ გავაკეთო?ო'ბრაიენს პირდაპირ არ უპასუხია. შემდეგ კი, როგორც ხანდახან სჩვეოდა, სკოლის მასწავლებლის ტონით ალაპარაკდა. ფიქრიანად იყურებოდა სადღაც შორს, თითქოს უინსტონის ზურგს უკან მჯდარ აუდიტორიას მიმართავდა: - თავისთავად ტკივილი ყოველთვის საკმარისი არ არის. არის შემთხვევები, როცა ადამიანი ტკივილს თვით სულის ამოხდომამდე უძლებს. მაგრამ თითოეულისთვის არსებობს რაღაც აუტანელი, რაღაც ისეთი, რომელსაც ვერანაირად ვერ გაუსწორებს თვალს. სიმამაცე და სიმხდალე აქ არაფერ შუაშია. როცა სადღაც ვარდები, თოკისთვის ხელის ჩავლება სიმხდალე არ არის. ღრმა წყლიდან ამოყვინთვის შემდეგ ფილტვების გავსება ჰაერით სიმხდალეს არ წარმოადგენს. ეს, უბრალოდ, ინსტინქტია, რომელსაც არ შეიძლება არ დაემორჩილო. იგივეა ვირთხებიც. თქვენთვის ისინი აუტანელია. დიდადაც რომ მოისურვოთ, ამნაირ დაწოლას თქვენ ვერ დაუპირისპირდებით. ამდენად, თქვენ იზამთ იმას, რაც მოგეთხოვებათ.

- მაგრამ რა არის ეს, რა? როგორ ვქნა, როცა არ ვიცი, რა მომეთხოვება?ო'ბრაიენმა გალია აიღო და უფრო ახლოს მდგარ მაგიდაზე გადმოდგა, - ფრთხილად დაუშვა ტილოს გადასაფარებელზე. უინსტონს ყურში სისხლის რაკრაკი ჩაესმა. ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს უკიდურეს სიმარტოვეში იჯდა, - ვრცელ, სრულებით უკაცურ ველზე, მზით ამოშანთულ გლუვ უდაბნოში, სადაც ყველა ხმა მასთან უზარმაზარი მანძილების გავლით აღწევდა. თუმცა ვირთხებიანი გალია მისგან სულ ორ მეტრში იდგა. ვეებერთელა ვირთხები იყვნენ. ამ ასაკის ვირთხებს დინგი უბლაგვდებათ და უმაგრდებათ, ბალნის ფერი კი ნაცრისფრიდან ყავისფერში გადასდით. - მართალია, ვირთხა მღრღნელია, თან ხორცის მჭამელიცაა, - ო'ბრაიენი კვლავ თავის უხილავ აუდიტორიას მიმართავდა. - თქვენ ეს იცით. ალბათ, გსმენიათ ამბები, ამ ქალაქის ღარიბ რაიონებში რომ ხდება. ზოგიერთ ქუჩაზე ქალი ხუთი წუთითაც ვერ ტოვებს ბავშვს მარტოს. ვირთხები კბილებს ილესავენ, რათა ორიოდე წუთში ძვლებამდე გამოხრან. ავადმყოფ ან მომაკვდავ ადამიანებსაც ეტანებიან. საოცარი გუმანით ხვდებიან, რომ მათ წინ მყოფი ადამიანი უსუსურ მდგომარეობაშია.

გალიიდან წივილი გაისმა, უინსტონს ეს ხმა სადღაც შორიდან მოსწვდა. ვირთხები ჩხუბობდნენ. ცდილობდნენ, გალიის გამყოფი ტიხრის ნახვრეტებიდან ერთმანეთს სწვდომოდნენ. უინსტონმა სასოწარკვეთის ღრმა ამოკვნესაც გაიგონა. ესეც თითქოსდა სადღაც გარედან მოდიოდა.

ო'ბრაიენმა გალია აიღო და შიგნით რაღაცას დააწვა. გაისმა მკვეთრი ტკაცანი. უინსტონმა ძალების წარმოუდგენელი დაძაბვით გაიბრძოლა, რათა სკამიდან აწყვეტილიყო. აზრი არ ჰქონდა, სხეულის ყველა კიდური - თვით თავიც კი - სრულებით უძრავი დარჩა. ო'ბრაიენმა გალია უფრო ახლოს გადმოდგა,

უინსტონის სახიდან იქამდე ერთი მეტრიც აღარ იყო.

- მე პირველი ბერკეტი გადავწიე, - თქვა ო'ბრაიენმა, - თქვენ გესმით გალიის მექანიზმი. ნიღაბი მჭიდროდ მოგერგებათ თავზე. როცა ამ მეორე ბერკეტს დავაჭერ, გალიის კარი აიწევა და ეს ნაშიმშილები ცხოველები ტყვიებივით გამოცვივდებიან გარეთ. გინახავთ ოდესმე ვირთხის ნახტომი ჰაერში? სახეში გეცემიან და პირდაპირ გაგბურღავენ. ზოგჯერ თვალებით იწყებენ, ზოგჯერ ლოყებში შედიან და ენას ამოჭამენ.

გალია ახლოს იყო და კიდევ უფრო ახლოვდებოდა. უინსტონს მკვეთრი წრიპინ-ჭყივილი ჩაესმა, როგორც ჩანდა - სადღაც თავზემოდან. მაგრამ ის გაშმაგებით ებრძოდა პანიკას. ფიქრი, აზროვნება - თუნდაც დარჩენილი ნახევარი წამის განმავლობაში - იყო ერთადერთი იმედი. უცებ ნესტოებში ვირთხების სიმყრალე ეცა. გულისრევის ძლიერი ბიძგი იგრძნო და კინაღამ გონებაც დაკარგა. ირგვლივ მთლად ჩამობნელდა. ერთი წამის განმავლობაში ის არანორმალურ, აღრიალებულ ცხოველად იქცა... და მაინც დაუსხლტა სიბნელეს იმით, რომ აზრს ჩაეჭიდა. გადარჩენის ერთი, ერთადერთი გზა ჰქონდა: სხვა ადამიანი უნდა ჩაესვა მასა და ვირთხებს შორის, სხვა ადამიანის სხეული.

მოახლოებული ნიღბის ოვალი ახლა უკვე საკმაოდ გაფართოვდა და სხვა ყველაფერი გადაფარა. გალიის კარი სულ ორიოდე მტკაველზე იყო. ვირთხებმა იგრძნეს, რა ახლოვდებოდა. ერთი მათგანი ზემოთ-ქვემოთ ხტოდა, მეორე - საკანალიზაციო მილების ძველი, კანაქერცლილი მეკობრე - უკანა ფეხებზე შემდგარიყო, წინა ვარდისფერი ფეხები კი მავთულის ტიხრისთვის მიებჯინა და მძვინვარედ ყნოსავდა ჰაერს. უინსტონი უკვე ხედავდა მათ აცმაცუნებულ ულვაშებს და ყვითელ კბილებს. კიდევ ერთხელ მოიცვა პანიკამ და წყვდიადმა. დაბრმავდა, დაყრუვდა, გონება წაერთვა.

- ეს გავრცელებული დასჯა იყო ჩინეთის იმპერიაში, - თქვა ო'ბრაიენმა ჩვეულებისამებრ დიდაქტიკურად. ნიღაბი სახეზე ეხურებოდა. მავთული ლოყაზე გაეხახუნა. შემდეგ კი... არა, ეს შვება არ იყო, მხოლოდ იმედი, იმედის პაწაწკინტელა ნატეხი. მეტისმეტად, ალბათ, მეტისმეტად დაგვიანებული იყო. მაგრამ მან უცებ გაიგო, რომ მსოფლიოში არსებობდა ერთადერთი ადამიანი, რომელსაც თავის სასჯელს გადაულოცავდა, ერთადერთი სხეული, რომელიც შეეძლო ჩაეჩურთა მასა და ვირთხებს შორის... და ისიც გაშმაგებით აყვირდა: - ჯულიას გაუკეთეთ! ჯულიას! მე არა! ჯულიას! ფეხებზე მკიდია, რას უზამთ. სახე მოაგლიჯეთ, ძვლებამდე დაღრღენით! მე არა! ჯულია! მე არა!...უკან ეცემოდა, უძირო სიღრმეებში, ვირთხებისგან შორს. ისევ სკამზე იყო მიბმული, მაგრამ ვარდებოდა იატაკში, შენობის კედლებში, მიწაში, ოკეანეებში, ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში, ვარსკვლავთშორის უფსკრულებში - სულ უფრო შორს, შორს, შორს ვირთხებისგან. უკვე სინათლის წლებით შორს იყო, თუმცა ო'ბრაიენი კვლავ გვერდით ედგა. ლოყაზე ისევ ცივად ედებოდა მავთულწნული, მაგრამ გარემომცველ წყვდიადში მან კიდევ ერთი ჩხაკუნი გაიგონა და მიხვდა, რომ გალიის კარი დაიხურა, არ გაღებულა.

VI

კაფე „წაბლის ხე“ თითქმის ცარიელი იყო. ფანჯრიდან ირიბად შემოჭრილი მზის სხივი ყვითლად ეფინებოდა მაგიდების მტვრიან ზედაპირს. უკაცრიელი ნაშუადღევის თხუთმეტი საათი იდგა. ეკრანებიდან თუნუქის მუსიკა ჟღრიალებდა.

უინსტონი თავის კუთხეში იჯდა და ცარიელ ჭიქას ჩაჰყურებდა. დროდადრო მოპირდაპირე კედლიდან გადმომზირალ დიდ სახეს ახედავდა. დიდი ძმა გითვალთვალებს, ამბობდა წარწერა. ოფიციანტი დაუძახებლად მოვიდა და ჭიქა „გამარჯვების ჯინით“ შეუვსო, თან საცობში ბუმბულგარჭობილი მეორე ბოთლიდანაც ჩაუსხა რამდენიმე წვეთი მიხაკშერეული სახარინი - „წაბლისხის“ დელიკატესი.

უინსტონი ეკრანს უსმენდა. ამწუთას მხოლოდ მუსიკა ისმოდა, მაგრამ ყოველ წამს შეიძლებოდა ჩართულიყო სპეციალური ბიულეტენი მშვიდობის სამინისტროდან. აფრიკის ფრონტიდან უკიდურესად შემაშფოთებელი ამბები მოდიოდა. უინსტონის ფიქრები მთელი დღე ამას უტრიალებდა. ევრაზიული არმია (ოკეანია ევრაზიას ებრძოდა. ოკეანია ყოველთვის ევრაზიას ებრძოდა) დამზაფრავი სისწრაფით მოიწევდა სამხრეთისაკენ. შუადღის ინფორმაციაში რომელიმე კონკრეტული ტერიტორია არ უხსენებიათ, მაგრამ სავარაუდო იყო, რომ ბრძოლები უკვე კონგოს შესართავთან მიმდინარეობდა. ამჯერად საფრთხე ბრაზავილს და ლეოპოლდვილს ემუქრებოდა. რუკაზე დახედვაც კი არ იყო საჭირო იმის გასაგებად, რას ნიშნავდა ეს ამბავი. იდგა არა მხოლოდ ცენტრალური აფრიკის დაკარგვის საკითხი. პირველად მთელი ომის განმავლობაში მუქარის ქვეშ აღმოჩნდა თვით ოკეანიის ტერიტორია.

უინსტონს მძლავრი ემოცია - არა საკუთრივ შიში, არამედ ერთგვარი არადიფერენცირებული მღელვარება - აენთო, შემდეგ კი ისევ ჩაუცხრა. ომზე ფიქრი შეწყვიტა. ბოლო დღეებში ვერაფერზე ჩერდებოდა გონებით რამდენიმე წუთზე მეტხანს. ჭიქა აიღო და ერთ ყლუპად გამოცალა. როგორც ყოველთვის, ახლაც გააჟრიალა და მცირე გულისრევაც იგრძნო. საშინელი სითხე იყო. მიხაკი და სახარინი - თავისთავად ამაზრზენი - სასმლის ნავთობურ სუნს ვერ ფანტავდა. ყველაზე უარესი კი ის იყო, რომ ჯინის სუნი, დღე და ღამე რომ თან ახლდა უინსტონს, მის გონებაში განუყოფლად გადაჯაჭვოდა სუნს იმ...

არასოდეს წარმოთქვამდა მათ სახელს, - ფიქრშიც კი, - და, რამდენადაც შეეძლო, არასოდეს ავიზუალურებდა. ისინი წარმოადგენდნენ რაღაც ისეთს, რასაც იგი ნახევრად ცნობდა, რაც მის სახესთან ქანაობდა, - მის ნესტოებში შეჭრილ სუნს. ჯინმა ძმარვა მოჰგვარა და მანაც წითელი ტუჩებიდან ბოყინი ამოუშვა. მას შემდეგ, რაც გაათავისუფლეს, გასუქდა და ძველი ფერიც დაუბრუნდა, ძველიც და უფრო მეტიც. ნაკვთები დაუმსხვილდა, ცხვირის და ყვრიმალების კანი ხორკლიან-წითური გაუხდა, გამელოტებულ თავზეც კი ღრმა ვარდისფერი დაედო. ოფიციანტმა კვლავ დაუძახებლად მოუტანა ჭადრაკის დაფა და ჭადრაკის ამოცანებიან გვერდზე გადაშლილი „ტაიმსის“ ბოლო ნომერი. შემდეგ კი, როცა დაინახა, რომ უინსტონის ჭიქა ცარიელი იყო, ჯინის ბოთლიც მოიტანა და შეუვსო. შეკვეთა საჭირო არ იყო, -იცნობდნენ მის ჩვევებს. ჭადრაკი ყოველთვის

ელოდებოდა, კუთხის მაგიდაც ყოველთვის მისთვის იყო შენახული. მაშინაც კი, როდესაც კაფე სავსე იყო, ამ მაგიდით მაინც მხოლოდ ის სარგებლობდა, რაკი არავის უნდოდა, მის სიახლოვეში მჯდომი დაენახათ. არასოდეს ითვლიდა, რამდენი ჭიქა დალია. არათანაბარი ინტერვალებით წარუდგენდნენ ხოლმე გაზინთულ ფურცელს, რომელსაც ისინი ქვითარს უწოდებდნენ. თუმცა თვითონ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ნაკლებს ახდევინებდნენ. არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ასე მოიქცეოდნენ, თუ ისე. ახლა ყოველთვის ბევრი ფული ედო ჯიბეში. სამუშაოც კი ჰქონდა, - თითქმის არაფრის კეთება, - სადაც უწინდელ სამსახურზე უკეთესად უხდიდნენ.

ტელეეკრანში მუსიკა შეწყდა და ადამიანის ხმა გაისმა. უინსტონმა სახე შემართა. თუმცა ამჯერად ფრონტზე არაფერი უთქვამთ, მხოლოდ მოკლე შეტყობინება იყო დოვლათის სამინისტროდან. აღმოჩნდა, რომ წინა კვარტალში ფეხსაცმლის თასმის წარმოების მეათე სამწლედის გეგმა ოთხმოცდათვრამეტი პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა.

ჭადრაკის ამოცანას გაეცნო და ფიგურები დაფაზე დააწყო. ეშმაკური ენდშპილი იყო ორი მხედრის მონაწილეობით. „თეთრები იწყებენ და იგებენ ორ სვლაში“. უინსტონმა დიდ ძმას ახედა. ასეა მოწყობილი: ყოველთვის, გამონაკლისის გარეშე, თეთრები იგებენო, - გაიფიქრა რაღაც ბუნდოვანი მისტიციზმით. არასაჭადრაკო ამოცანებში კი, ისტორიის დასაწყისიდან დღემდე, მუდამ შავი იგებდა. განა ეს სიმბოლურად არ გამოხატავს სიკეთის მარადიულ, უცვლელ ტრიუმფს ბოროტებაზე? მშვიდი ძალმოსილებით აღსავსე დიდი სახე უინსტონს დასცქეროდა. თეთრები მუდამ იგებენ.

ტელეეკრანი შეყოვნდა, მერე კი განსხვავებული და გაცილებით უფრო სერიოზული ტონით დაამატა: „ადგილებზე დარჩით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსასმენად, რომელიც თხუთმეტსა და ოცდაათზე გადაიცემა! შეგატყობინებთ უმნიშვნელოვანეს სიახლეს და, ეცადეთ, არ გამოგეპაროთ. თხუთმეტსა და ოცდაათზე!“ თუნუქის მუსიკა ისევ აჟღრიალდა.

უინსტონს გული შეუტოკდა - ფრონტის ამბავი იქნებაო. ინსტინქტმა უკარნახა, ცუდი ამბები მოდისო. მთელი დღის განმავლობაში დროდადრო მღელვარება იპყრობდა: მის გონებას არ ასვენებდა აზრი აფრიკაში გამანადგურებელ დამარცხებაზე. თითქოს თავისი თვალით ხედავდა ევრაზიის არმიას - აქამდე გადმოულახავ საზღვარზე გუნდ-გუნდად გადმომავალს და ჭიანჭველების კოლონასავით შემოსულს აფრიკის ტერიტორიაზე. რატომ ვერ მოხერხდა მათი უკუგდება? გონებაში ნათლად გამოესახა დასავლეთ აფრიკის სანაპირო. შემდეგ თეთრი მხედარი აიღო და დაფაზე გადააადგილა. იქ იყო სათანადო წერტილი. სანამ სამხრეთისკენ გამოქანებულ შავ ბატალიონებს ხედავდა, დაინახა სხვა, იდუმალად თავმოყრილი ძალაც, მოულოდნელად ამოზრდილი იმ შავების წინ და მათი კომუნიკაციების გადამჭრელი ხმელეთსა თუ ზღვაში. იგრძნო, რომ ის, უინსტონი, ამ სხვა ძალას თავისივე სურვილით ანიჭებდა არსებობას. მაგრამ საჭირო იყო სწრაფი მოქმედებაც. თუ მთელ აფრიკას მტერი გააკონტროლებდა, თუ კეიპტაუნთან დაეუფლებოდა საჰაერო ხაზებსა და წყალქვეშა ბაზებს, მაშინ ოკეანია ორად გაიყოფოდა. ამას კი ყველაფერი შეიძლებოდა მოჰყოლოდა: დამარცხება, ნგრევა, მსოფლიოს ახალი გადანაწილება, პარტიის დაშლა! მან

ღრმად ამოისუნთქა. გრძნობების უჩვეულო ნარევი უტრიალებდა... თუმცა ნარევი კი არა - მის არსებაში განცდის თანამიმდევრული ფენები ბორგავდნენ. რომელი იყო ყველაზე ქვემოთა? ამას ვერ იტყოდა.

სპაზმმა ჩაიარა. თეთრი მხედარი უკანვე დააბრუნა. ამ მომენტში არ შეეძლო, დამშვიდებულიყო და ჭადრაკის ამოცანას სერიოზულად ჩასჯდომოდა. აზრები ისევ ეფანტებოდა. მაგიდის მტვერზე თითქმის გაუცნობიერებლად გამოსახა: 2 + 2 = 5„ისინი შენში ვერ შეაღწევენ“, თქვა ჯულიამ. მაგრამ შეაღწიეს. „რაც აქ მოგივათ, სამუდამოა“, თქვა ო’ბრაიენმა. ეს ჭეშმარიტი სიტყვა იყო. რაღაც-რაღაცებისგან -საკუთარი მოქმედებებისგან - ვერ განიკურნებოდი. რაღაც მოგიკვდა მკერდში, რაღაც ამოიბუგა, გახევდა.

მან ნახა ჯულია. დაელაპარაკა კიდეც. სულაც არ იყო საშიში. უინსტონმა თითქმის ინსტინქტურად იცოდა: სადღეისოდ მათ თითქმის სრულებით არ აინტერესებდათ მისი საქმიანობა. შეეძლო, მეორე შეხვედრაც დაენიშნათ, თუკი ერთ-ერთი მათგანი ისურვებდა. ისე კი, შემთხვევამ შეახვედრა. ეს მოხდა პარკში, მარტის ერთ სუსხიან და საძაგელ დღეს. დედამიწას თითქოს რკინა გადაჰკვროდა, ბალახი მთლიანად მკვდარი იყო და ჯერ ერთი კვირტიც არსად ჩანდა, გარდა კროკუსის რამდენიმე კვირტისა, რომლებიც მხოლოდ იმისთვის გამოიზარდნენ, რომ ქარს სათითაოდ დაეწყვიტა. ხელებგაყინული და თვალებაწყლიანებული უინსტონი სწრაფად მიაბიჯებდა, როცა სულ ათიოდე მეტრში ჯულია დაინახა. მაშინვე დაარტყა: რაღაც ავის მომასწავებლად არის შეცვლილიო. ჩაუარეს კიდეც ერთმანეთს ურთიერთცნობის რაიმე ნიშნის გარეშე. შემდეგ უინსტონი შემოტრიალდა და ქალს მიჰყვა, თუმცა არცთუ დიდი მოწადინებით. იცოდა: არავითარი საფრთხე არ ელოდა, აქ მათ ვერავინ შეამჩნევდა. ჯულიას არაფერი უთქვამს. ირიბად მიუყვებოდა გაზონს, თითქოს ამ კაცისგან თავის დაღწევა სურდა, შემდეგ კი თითქოს დათანხმდა, რომ უინსტონი გვერდით მიჰყოლოდა. ამჯერად იმყოფებოდნენ უფოთლო ბუჩქებში, არც დასამალად რომ გამოდგებოდა და არც ქარისგან თავდასაცავად. ორივენი შეჩერდნენ. საძაგლად ციოდა. ქარი ტოტებში წიოდა და მეჩხერ კროკუსებს ახმაურებდა. კაცმა ქალს წელზე ხელი შემოხვია.

ეკრანი არსად ჩანდა, მაგრამ იქნებ აქ სადმე მიკროფონები იყო. გარდა ამისა, ისინი შეიძლებოდა დაენახათ. ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. არაფერს არ ჰქონდა მნიშვნელობა. შეეძლოთ, მიწაზე დაწოლილიყვნენ და, თუ მოისურვებდნენ, ის ექნათ. ამის გაფიქრებაზე კაცს სისხლი გაეყინა. ქალს მისი მკლავის მოხვევაზე არანაირი რეაქცია არ მიუცია. თავის გათავისუფლებაც კი არ უცდია. ახლა მან იცოდა, რა შეცვლილიყო ქალში. სახე უფრო მეტად გაჰყვითლებოდა, შუბლი და საფეთქელი გრძელ, ნაწილობრივ თმით დაფარულ ნაიარევს გადაესერა. მაგრამ ნამდვილი ცვლილება ის იყო, რომ წელი გამსხვილებოდა და უცნაურად გამაგრებოდა. უინსტონს გაახსენდა, როგორ მიეხმარა უცნობ ადამიანებს ჭურვით მოკლულის გამოთრევაში და როგორ გააოგნა არა მხოლოდ გვამის სიმძიმემ, არამედ მისმა გახევებულობა-მოუხეშაობამ: თითქოს ადამიანის სხეული კი არა, ქვა არისო. ახლა ქალის სხეულიც ასეთად შეიგრძნობოდა. ალბათ, მისი კანის ახლანდელი ქსოვილი ძველისაგან სრულებით განსხვავდებაო, გაუელვა უინსტონს.

კოცნა არ უცდია. არც ხმა ამოუღიათ. როდესაც უკან მოდიოდნენ პარკის ჭიშკრისკენ, ქალმა პირველად შეხედა პირდაპირ. ეს იყო ზიზღით და ათვალწუნებით აღსავსე წამიერი მზერა. ნეტა, ეს სიძულვილი მთლიანად წარსულიდან მოდის თუ მასში ჩემი გასივებული სახე და ქარისგან აცრემლებული თვალებიც მონაწილეობსო, გაიფიქრა კაცმა. ორ რკინის სკამზე დასხდნენ ერთმანეთის გვერდით, ოღონდ არც ისე ახლოს. კაცმა შეამჩნია: ქალი ლაპარაკის დაწყებას აპირებდა. უშნოფეხსაცმლიანი ფეხი აამოძრავა და ტოტი შეგნებულად ჩატეხა. ფეხი გაგანივრებიაო, შენიშნა კაცმა.

- მე შენ გიღალატე, - თქვა ქალმა უბრალოდ.

- მე შენ გიღალატე, - თქვა კაცმა.

ქალმა კიდევ ერთხელ შეხედა სიძულვილით: - ზოგჯერ ისინი ისეთი რამით გემუქრებიან, რასაც თამამად ვერ შეხვდები, საერთოდ, ვერც კი წარმოიდგენ. შემდეგ კი ამბობ: „მე ნუ გამიკეთებთ, ვინმე სხვას გაუკეთეთ, გაუკეთეთ ამას და ამას“. და, შესაძლოა, მოგვიანებით ითვალთმაქცო, რომ ეს იყო ეშმაკობა, რომელიც მხოლოდ მათ შესაჩერებლად ჩაიდინე, სინამდვილეში კი სულაც არ ფიქრობდი ასე. მაგრამ ეს ასე არ არის. იმ დროს, როცა ეს ხდება, მართლა ასე ფიქრობ. ფიქრობ, რომ სხვა გზა არ არის თავის გადასარჩენად და სავსებით მზად ხარ, ასე გადარჩე. გინდა, რომ ეს იმ სხვას დაემართოს. ფეხებზე გკიდია, ვის რა დაემართება. მხოლოდ საკუთარი თავისთვის ზრუნავ.

- მხოლოდ საკუთარი თავისთვის ზრუნავ, - ექოსავით გაიმეორა კაცმა.

- ამის შემდეგ კი იმ ადამიანის მიმართ იმავეს ვეღარ გრძნობ.

- ვერა, ვეღარ გრძნობ.

თითქოს აღარაფერი დარჩა სათქმელი. ქარი უბერავდა და თავთავის უნიფორმას ორივეს ზედ აკრავდა. თითქმის მაშინვე იქ ჩუმად ჯდომა უხერხული შეიქნა. გარდა ამისა, მეტისმეტად ციოდა და უმოძრაოდ ვერ გაჩერდებოდი. ქალმა რაღაც ჩაილაპარაკა თავისი მატარებლის მისწრებაზე და წასასვლელად წამოდგა.

- ჩვენ კიდევ უნდა შევხვდეთ, - თქვა კაცმა.

- ჰო, - თქვა ქალმაც, - კიდევ უნდა შევხვდეთ. უინსტონი გაუბედავად გაჰყვა მცირე მანძილზე, ნახევარი ნაბიჯით უკან. ისევ ჩუმად იყვნენ. პრინციპში, ქალი თავიდან არ იშორებდა, მაგრამ ისეთი სისწრაფით მიდიოდა, რომ კაცს მთლად მის გვერდით არ ევლო. უინსტონმა წარმოიდგინა, მეტროს სადგურამდე გავყვებიო, მაგრამ უკან მიდევნის პროცესი ამ სიცივეში უაზროდ და აუტანლად ეჩვენა. თან გაოგნებული იყო იმით, რომ მოუნდა არა იმდენად ჯულიასთვის თავის დანებება, რამდენადაც „წაბლის ხეში“ დაბრუნება. არასოდეს ყოფილა ეს ადგილი ისე მიმზიდველი, როგორც ამწუთას. ნოსტალგიურად დაუდგა თვალწინ კუთხის მაგიდა გაზეთით, ჭადრაკითა და გამოულეველი ჯინით. იქ ხომ, უწინარეს ყოვლისა, სითბო იქნებოდა! მომდევნო წამს უინსტონი რამდენიმეკაციანი ჯგუფის ნაკადში მოხვდა და თავს უფლება მისცა, ჯულიას ჩამოსცილებოდა.

ნახევარი გულით სცადა, დასწეოდა, შემდეგ ნაბიჯი შეანელა, მოტრიალდა და საპირისპირო მიმართულებით წავიდა. ორმოცდაათი მეტრი გაიარა და შემობრუნდა. ქუჩაში ხალხი არ ირეოდა, მაგრამ ის მაინც აღარ ჩანდა: თორმეტიოდე აჩქარებით მიმავალი ადამიანიდან ნებისმიერი შეიძლებოდა ყოფილიყო. შესაძლოა, მისი გასუქებულ-გამკვრივებული სხეული სხვებისგან აღარ გამოირჩეოდა.

„იმ დროს, როცა ეს ხდება, მართლა ასე ფიქრობ“, თქვა ჯულიამ. თვით უინსტონი ხომ ასე ფიქრობდა. უბრალოდ კი არ თქვა, არამედ ისურვა კიდეც. ისურვა, რომ თვითონ კი არა, ის მიეშვირათ...

ტელეეკრანიდან მოჟღრიალე მუსიკაში რაღაც შეიცვალა. გაბზარული, დამცინავი ბგერა - ყვითელი ბგერა - გაისმა. შემდეგ კი - ეგებ ეს არ ხდებოდა, ეგებ ეს მხოლოდ ბგერის მსგავსებით გამოწვეული მოგონება იყო - ხმა ამღერდა: ტოტებგაშლილი წაბლის ხის ქვეშმე შენ გაგყიდე, შენ კი მე...

თვალები ცრემლებით აევსო. ოფიციანტმა კუთხის მაგიდასთან ჩავლისას შეამჩნია, რომ ჭიქა ცარიელი იყო და ჯინის ბოთლით ხელში დაბრუნდა.

მან ჭიქა აიღო და დაყნოსა. სასმლის საშინელი გემო კი არ კლებულობდა, არამედ ყოველ ყლუპთან ერთად მატულობდა კიდეც. მაგრამ ეს იყო სტიქია, რომელშიც მან შეცურა. ეს იყო მისი სიცოცხლე, მისი სიკვდილი და მისი აღდგომა. ჯინი აშეშებდა ყოველღამე და ჯინი აღორძინებდა ყოველ დილით. როცა იღვიძებდა დასივებული ქუთუთოებით, გამოშანთული პირითა და თითქოს დამსხვრეული ხერხემლით, - და ეს იშვიათად ხდებოდა თერთმეტსა და ასზე ადრე, - ადგომასაც კი ვერ მოახერხებდა, წინა ღამით საწოლთან ბოთლი და ჩაის ჭიქა რომ არ დაედო. შუადღის საათებში გაყინული სახითა და ხელში ბოთლით ეკრანს უსმენდა. თხუთმეტი საათიდან დაკეტვამდე „წაბლის ხის“ განუყოფელი ნაწილი იყო. არავის აინტერესებდა, რას აკეთებდა ამჟამად, არავითარი სტვენა არ აღვიძებდა, არც ეკრანი აფრთხილებდა. შიგადაშიგ, ალბათ, კვირაში ორჯერ, მიდიოდა ჭეშმარიტების სამინისტროს ერთ მტვრიან, თითქოსდა მიგდებულ-მივიწყებულ ოთახში და მცირე სამუშაოს ან ეგრეთ წოდებულ სამუშაოს ასრულებდა. დანიშნული იყო მოხელედ იმ ქვეკომიტეტისა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენდა ახალმეტყველების ლექსიკონის მეთერთმეტე გამოცემის კომპილაციაში მომხდარი მცირე გართულებების დამრეგულირებელი ურიცხვი კომიტეტის ერთ-ერთ განშტოებას. ამ ქვეკომიტეტის მოხელეების საქმიანობა მდგომარეობდა ეგრეთ წოდებული „დროებითი შეტყობინების“ შექმნაში, თუმცა სახელდობრ რა იყო მათი შეტყობინების საგანი - მას ეს არასოდეს აღმოუჩენია. საქმე ეხებოდა მძიმეების ხმარების წესს თუ რაღაც ასეთს, ანუ საკითხს იმის შესახებ, ფრჩხილებში უნდა მოთავსდეს მძიმე თუ ფრჩხილს გარეთ. ქვეკომიტეტს კიდევ ოთხი თანამშრომელი ჰყავდა, ყველა - მისი მსგავსი. იყო დღეები, როცა ისინი იკრიბებოდნენ, შემდეგ კი სწრაფად იშლებოდნენ, რაკი გულახდილად ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ნამდვილად არაფერია გასაკეთებელიო. მაგრამ იყო სხვა დღეებიც, როცა სამუშაოს გატაცებით ჩაუსხდებოდნენ, ახდენდნენ თავიანთი წუთების გამოყენების განსაცვიფრებელ დემონსტრირებას და აკეთებდნენ მონახაზს გრძელი მემორანდუმებისა, არასოდეს რომ არ მთავრდებოდა. ასეთ მომენტებში, დავა იმაზე, თუ რაზე დაობდნენ, უჩვეულოდ

ცხარე და გაუგებარი ხდებოდა და მოიცავდა როგორც დახვეწილ შეკამათებებს განსაზღვრებათა თაობაზე, ისე დიდ გადახრებს კამათის საგნიდან, ჩხუბს, მუქარას, თვით შეჩივლებასაც კი მაღლამდგომ ხელისუფალთადმი. შემდეგ, უეცრად, სიცოცხლე ყველა მათგანს ტოვებდა და ისინიც ისხდნენ მაგიდის გარშემო და, მზერაჩამქრალნი, მამლის ყივილზე დამფრთხალი აჩრდილებივით შეჰყურებდნენ ერთმანეთს.

ეკრანი ერთი წამით მიჩუმდა. უინსტონმა ისევ ასწია თავი: ახალი ამბავი! მაგრამ არა, უბრალოდ - მუსიკას ცვლიდნენ. სადღაც ქუთუთოების უკან აფრიკის რუკა ეკიდა. ჯარების მოძრაობა დიაგრამით იყო აღნიშნული: პირდაპირ სამხრეთისაკენ დაშვებული შავი ისარი და ჰორიზონტალურად აღმოსავლეთისკენ მიმართული თეთრი ისარი პირველი ისრის კუდის პერპენდიკულარულად. თითქოს კიდევ ერთხელ დასარწმუნებლად, უინსტონმა პლაკატზე გამოსახულ უშფოთველ სახეს შეხედა. ნუთუ დასაშვები იყო, რომ მეორე ისარს საერთოდ არ ეარსება?ინტერესი ისევ ჩაუცხრა. კიდევ ერთი ყლუპი მოსვა, თეთრი მხედარი აიღო და საცდელი სვლა გააკეთა. თუმცა ეს აშკარად არასწორი სვლა იყო, რადგან...

მოულოდნელად და მოუხმობლად, გონებაში მოგონება ამოცურდა: სანთლით განათებული ოთახი დიდი თეთრგადასაფარებლიანი საწოლითა და თავისი თავით -იატაკზე მჯდომი ცხრა წლის ბიჭით, რომელიც კამათლების ყუთს ანჯღრევდა და აღგზნებულად იცინოდა. დედა მის პირდაპირ იჯდა და ისიც იცინოდა.

ეს უნდა ყოფილიყო დედის გაქრობამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე. ეს იყო შერიგების მომენტი, როცა შიმშილით გამოწვეული მუცლის გვრემა აღარ ახსოვდა და დროებით ისევ გრძნობდა სიყვარულს დედის მიმართ. კარგად ახსოვს ის დღე: კოკისპირულად წვიმდა, წყალი ფანჯრის მინაზე მოღვარღვარებდა და ოთახში საკმაოდ ჩამობნელებულიყო საიმისოდ, რომ წიგნი ეკითხა. ორი ბავშვის ყოფნა ვიწრო და ამოღამებულ საწოლ ოთახში აუტანელი გახდა. უინსტონი სლუკუნებდა და ღნაოდა, ამაოდ ითხოვდა საჭმელს, ოთახში დაძრწოდა და ყველაფერს აყირავებდა. იქამდე ურტყა ფეხები კედელს, ვიდრე მეზობლებმა არ მოუბრახუნეს. ხანგამოშვებით გაისმოდა მისი პატარა დაიკოს ზლუქუნიც. ბოლოს დედამ თქვა: „ახლა წესიერად მოიქეცი და სათამაშოს გიყიდი. მოგეწონება“. და დედა წვიმაში გავიდა. სახლთან ახლოს იყო უნივერმაღი, რომელსაც დროდადრო აღებდნენ და საიდანაც დედამ მოიტანა მუყაოს ყუთი სათამაშო კომპლექტით „გველები და კიბეები“. ახლაც ახსოვდა დასველებული მუყაოს სუნი. საცოდავი სათამაშო იყო. დაფას ბზარი ჰქონდა, ხის პაწია კამათლები კი ისე ცუდად გამოეთალათ, რომ გაგორებისას ძლივს ჩერდებოდნენ გვერდებზე. უინსტონმა სათამაშოს პირქუშად და უინტერესოდ დახედა. მაგრამ დედამ სანთლის მონაჭერი აანთო და ორივენი იატაკზე ჩაცუცქდნენ. მალე უინსტონი აღტყინებამ მოიცვა. იცინოდა და ყვიროდა, როცა „რწყილები“ კიბეებზე მიძვრებოდნენ, მერე კი გველებზე ჩამოსრიალდებოდნენ თითქმის ისევ სასტარტო პოზიციაში. რვა პარტია ითამაშეს, თითოეულმა ოთხჯერ მოიგო. მისი პაწია დაიკო მეტისმეტად პატარა იყო საიმისოდ, რომ გაეგო, რა ხდებოდა და საწოლს მიყრდნობილი, მხოლოდ იმიტომ იცინოდა, რომ სხვებიც იცინოდნენ. მთელი ნაშუადღევი ყველანი ბედნიერები იყვნენ, - ისე, როგორც ადრეულ ბავშვობაში.

ხილვა გონებიდან გამოიგდო. ეს ხომ ცრუ მოგონება იყო! ხანდახან ცრუ მოგონებები აწუხებდა. მათ არავითარი აზრი არ ჰქონდათ: ზოგი რამ მოხდა, ზოგი არ მომხდარა. ჭადრაკის დაფას დაუბრუნდა და ისევ თეთრი მხედარი აიღო. თითქმის იმავე წამს ფიგურა რახუნით დაეცა დაფაზე: თითქოს პირველივე სვლაზე უინსტონს ქინძისთავი შეერჭო...

ჰაერი საყვირის გამჭოლმა ხმამ გაკვეთა. შეტყობინება მოვიდა! გამარჯვება! საყვირის ხმა ყოველთვის გამარჯვებას ნიშნავდა. თითქოს მთელ კაფეს ელექტრულმა ტალღამ დაუარა. ოფიციანტებიც კი გაილურსნენ და ყურები ცქვიტეს.

საყვირის ძახილს ხმაურის ვეებერთელა ტალღა მოჰყვა. ეკრანიდან უკვე აღტყინებული სიტყვები ისმოდა, მაგრამ ეს ხმა თითქმის მთლიანად გადაფარა ქუჩიდან შემოჭრილმა ვაშას ძახილმა. ახალი ამბავი ქუჩებს მაგიასავით მოედო. მაგრამ უინსტონმა უკვე მოასწრო ეკრანიდან იმის მოსმენა, რომ სწორედ ის მოხდა, რაც იწინასწარმეტყველა: საიდუმლოდ თავმოყრილი საზღვაო არმადა, მოულოდნელი დარტყმა მტრის ზურგში, თეთრი ისარი, რომელმაც კუდი გადაუჭრა შავს... საყოველთაო გუგუნში შიგადაშიგ გაისმოდა ტრიუმფული ფრაზების ფრაგმენტები: „დიდი სტრატეგიული მანევრი... დიდებული კოორდინაცია... სრული განადგურება... ნახევარი მილიონი სამხედრო ტყვე... სრული დემორალიზაცია... მთელი აფრიკის კონტროლქვეშ აყვანა... ომის მიახლოება დასასრულთან... გამარჯვება... უდიდესი გამარჯვება კაცობრიობის ისტორიაში... გამარჯვება, გამარჯვება, გამარჯვება!“ მაგიდის ქვეშ უინსტონის ფეხები კონვულსიურად წრიალებდნენ. სკამიდან არ განძრეულა, მაგრამ გონებაში მირბოდა, მირბოდა დიდი სისწრაფით, უკვე გარეთ მყოფ ხალხთან იყო და დაყრუებამდე გაიძახოდა ვაშას. კიდევ ერთხელ ახედა დიდი ძმის სურათს: მსოფლიო კოლოსი! კლდე, რომლის წინააღმდეგ ამაოდ გამოილაშქრეს აზიელმა ურდოებმა! გაახსენდა, რომ ათი წუთის წინ - ჰო, სულ რაღაც ათიოდე წუთის წინ - გულში მერყეობდა იმის თაობაზე, ფრონტიდან გამარჯვების ამბავი მოვა თუ დამარცხებისო. ოჰ, ევრაზიის ჯარის განადგურებაზე გაცილებით მეტი რამ მოხდა! ბევრი რამ შეიცვალა მასში სიყვარულის სამინისტროში გატარებული პირველი დღის შემდეგ, მაგრამ საბოლოო, გარდაუვალი, განმკურნებელი ცვლილება ამ მომენტამდე არასოდეს მომხდარა! ეკრანიდან ისევ ისმოდა სამხედრო ტყვეების, ნადავლისა თუ ჟლეტის ამბები, გარეთ კი ღრიანცელმა ცოტათი იკლო. ოფიციანტები თავიანთ საქმეს უბრუნდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი აქეთ წამოვიდა ჯინის ბოთლით ხელში. ნეტარ ოცნებაში დანთქმულ უინსტონს ყურადღება არ მიუქცევია, ჭიქა რომ გაუვსეს. უკვე აღარ მირბოდა და აღარ ყვიროდა. ამჯერად ისევ სიყვარულის სამინისტროში იყო, სადაც ყველაფერი აპატიეს და სადაც სული თოვლივით გაუსპეტაკდა. სახალხო ტრიბუნალზე იყო და ყველაფერში მონაწილეობას აღიარებდა. თეთრი კაფელით მოპირკეთებულ დერეფანში მიდიოდა - თითქოს მზის სინათლეში მიაბიჯებსო - და უკან შეიარაღებული მცველი მისდევდა... მიაბიჯებდა და დიდი ხნის ნალოდინარი ტყვიაც ტვინში შესდიოდა...

გიგანტურ სახეს ახედა. ორმოცი წელი დასჭირდა იმისთვის, რომ გაეგო, რა ღიმილი იმალებოდა ამ შავი ულვაშის მიღმა. ო, სასტიკი, ყოვლად არასაჭირო გაუგებრობა! ო, ჯიუტი, თვითნებური მოწყვეტა მოსიყვარულე მკერდიდან!

ცხვირის ორივე მხარეს უინსტონს ორი ჯინისსუნიანი ცრემლი ჩამოუგორდა. მაგრამ მორჩა, ყველაფერი კარგად იყო, ბრძოლა კეთილად დასრულდა. მან გაიმარჯვა საკუთარ თავზე. მას დიდი ძმა უყვარდა.

წიგნის ელექტრონული ვერსია

მოამზადა საიტმა: *www.ChiaturaINFO.GE*

დასასრული

დამატება

ახალმეტყველების პრინციპები

ახალმეტყველება იყო ოკეანიის ოფიციალური ენა, რომელიც ინგსოცის, ანუ ინგლისური სოციალიზმის იდეოლოგიურ საჭიროებათა შესაბამისად შეიქმნა. 1984 წლისთვის ჯერ კიდევ არავინ იყო ისეთი, ვისთვისაც ახალმეტყველება წარმოადგენდა ერთადერთ საკომუნიკაციო ენას - სალაპარაკოს თუ საწერს. თუმცა „ტაიმსის“ მოწინავე წერილები ამ ენაზე იწერებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ სპეციალისტს თუ ხელეწიფებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ ახალმეტყველება ძველმეტყველებას (ანუ, როგორც ჩვენ ვუწოდებდით, სტანდარტულ ინგლისურს) საბოლოოდ დაახლოებით 2050 წლისთვის შეცვლიდა. მანამდე კი ახალმეტყველება ნელ-ნელა მიიწევდა წინ და პარტიის ყველა წევრიც ყოველდღიურ მეტყველებაში უფრო და უფრო ხშირად მიმართავდა მისეულ სიტყვებსა და გრამატიკულ კონსტრუქციებს. ენის დროებითი ვერსია, რომელსაც 1984 წელს იყენებდნენ და რომელიც წარმოდგენილი იყო ახალმეტყველების ლექსიკონის მეცხრე-მეათე გამოცემებში, მრავალ ზედმეტ, შემდგომში გასაუქმებელ სიტყვასა და არქაულ სიტყვათწყობას შეიცავდა. ჩვენ აქ შევეხებით ლექსიკონის ბოლო, ანუ მეთერთმეტე გამოცემაში წარმოდგენილ გაუმჯობესებულ ვერსიას.

ახალმეტყველების მიზანს შეადგენდა არა მხოლოდ ის, რომ თვითგამოხატვის მედიუმად ჰქცეოდა ინგსოცის ერთგულთათვის დამახასიათებელ მსოფლაღქმასა და გონებრივ ჩვევებს, არამედ ისიც, რომ შეუძლებელი გაეხადა აზრის ყველა სხვა რეჟიმი. განზრახული იყო, რომ როდესაც ახალმეტყველებას ყველა აითვისებდა, ძველმეტყველებას კი დაივიწყებდნენ, იმ დროისთვის ერეტიკული, ანუ ინგსოცის პრინციპებისგან განსხვავებული ყოველგვარი აზრი, არსებითად, უკვე წარმოუდგენელი იქნებოდა, - ყოველ შემთხვევაში, იმდენად მაინც, რამდენადაც აზრი დაკავშირებულია სიტყვებთან. მისი ლექსიკა აგებული იყო ისეთნაირად, რომ ზუსტი და ხშირად ძალზე ნატიფი გამოხატულება მიეცა ყოველი საზრისისთვის, რომლის გამოხატვასაც პარტიის წევრი ისურვებდა, და, იმავდროულად, გამოერიცხა ნებისმიერი სხვა საზრისი, ისევე, როგორც ამ უკანასკნელამდე არაპირდაპირი გზებით მისვლის შესაძლებლობა. ნაწილობრივ, ეს განხორციელდა ახალი სიტყვების გამოგონებით, მეტწილად კი - არასასურველი სიტყვების გაუქმებით, ისევე როგორც იმ სიტყვების „გაფცქვნით“, რომლებიც არამართლმორწმუნეობრივ და, საერთოდ, ნებისმიერ მეორად მნიშვნელობას ინარჩუნებდნენ. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს. ახალმეტყველებაში ისევ არსებობდა სიტყვა თავისუფალი, მაგრამ მისი გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ ისეთ კონსტატაციებში, როგორიცაა „ეს ძაღლი ტილებისგან თავისუფალია“ ან „ეს მინდორი თავისუფალია სარეველებისგან“. არ შეიძლებოდა მისი გამოყენება ძველი მნიშვნელობებით - „პოლიტიკურად თავისუფალი“, „გონებრივად თავისუფალი“, რადგან აღარ არსებობდა პოლიტიკური თუ გონებრივი თავისუფლების თვით კონცეფცია და, ამდენად, აღარც სახელის საჭიროება არსებობდა. პირწმინდად ერეტიკული

სიტყვების გაუქმებისგან სრულებით დამოუკიდებლად, ლექსიკის შემცირება თავისთავად მიზნადაც ცხადდებოდა. სიცოცხლის უფლება ეძლეოდა მხოლოდ და მხოლოდ სრულებით აუცილებელ სიტყვებს. ახალმეტყველება იმისთვის კი არ შეიქმნა, რომ განევრცო აზრის დიაპაზონი, არამედ იმისთვის, რომ შეემცირებინა, და ამ პროცესის განხორციელების არაპირდაპირი გზა იყო სიტყვის მარაგის დაყვანა მინიმუმზე.

როგორც ვიცით, ახალმეტყველება ეყრდნობოდა ინგლისურ ენას, თუმცა ჩვენი დროის ინგლისურით მოლაპარაკეს სრულებით გაუგებარი დარჩებოდა ახალშექმნილი სიტყვების თუნდაც არშემცველი მრავალი წინადადება. ახალმეტყველების სიტყვები სამ განსხვავებულ კლასად იყოფოდა: „A ლექსიკონი“ „B ლექსიკონი“ (მას შედგენილ სიტყვებსაც უწოდებდნენ) და „C ლექსიკონი“. უფრო მარტივი იქნება, თუ თითოეულ კლასს ცალკე განვიხილავთ. თუმცა - რაკი იგივე წესები მოქმედებდნენ დანარჩენ ორშიც - ენის გრამატიკულ თავისებურებებს შეგვიძლია თვალი შევავლოთ უკვე A კლასში.

A ლექსიკონი

A ლექსიკონში ყოველდღიური საქმიანობისთვის საჭირო სიტყვები შედიოდა. ყოველდღიური საქმიანობა ნიშნავდა ჭამას, სმას, მუშაობას, შემოსვას, კიბეზე ასვლა-ჩამოსვლას, ტრანსპორტით მგზავრობას, ბაღის მოვლას, საჭმლის კეთებასა და ყველა ამდაგვარს. ეს ლექსიკონი შედგენილი იყო თითქმის მხოლოდ იმ სიტყვებისგან, რომლებიც ჩვენ უკვე გვაქვს: გაცხელება, სირბილი, ძაღლი, ხე, შაქარი, სახლი, მინდორი... მაგრამ დღევანდელი ინგლისური ლექსიკისაგან განსხვავებით, ამ სიტყვების მარაგი უკიდურესად მცირე იყო, სიტყვების მნიშვნელობები კი - მკაცრად განსაზღვრული. მოისპო სიტყვის მნიშვნელობის ყოველგვარი ორაზროვნება და სხვადასხვა ნიუანსი. რამდენადაც შეიძლებოდა ამის მიღწევა, ახალმეტყველების სიტყვა წარმოადგენდა, უბრალოდ, სტაკატო-ბგერას, რომელიც გამოხატავდა ერთ ცხადად გაგებულ ცნებას. სრულებით წარმოუდგენელი იყო A ლექსიკონის გამოყენება ლიტერატურული მიზნებით, ისევე, როგორც პოლიტიკური თუ ფილოსოფიური დისკუსიებისთვის. მისი დანიშნულება იყო მარტივი, მიზნობრივი აზრების გამოხატვა, აზრებისა, რომლებიც, როგორც წესი, კონკრეტულ საგნებსა და ფიზიკურ მოქმედებებს ეხებოდა.

ახალმეტყველების გრამატიკას ორი გამორჩეული თავისებურება ჰქონდა. პირველი მდგომარეობდა ფრაზის შემადგენელ ნაწილთა თითქმის აბსოლუტურ ურთიერთგაცვლადობაში. ნებისმიერი სიტყვა (არსებითად, ეს ეხებოდა ისეთ აბსტრაქტულ სიტყვებსაც, როგორიცაა თუ ან როცა) შეიძლებოდა გამოყენებულიყო როგორც ზმნა, სახელი, ზედსართავი თუ ზმნიზედა. თუ მათ ერთი და იგივე ფესვი ჰქონდათ, ზმნასა და სახელს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდა. ეს წესი მრავალ არქაულ ფორმას ანგრევდა. ახალმეტყველებაში, მაგალითად, არ არსებობდა სიტყვა აზრი. მისი ადგილი ეკავა სიტყვას ფიქრი, რომელიც სახელის როლსაც თამაშობდა და ზმნისაც. არანაირი ეტიმოლოგიური პრინციპი არ გამოიყენებოდა: ზოგ შემთხვევაში მიმართავდნენ თავდაპირველ სახელს, სხვა დროს - ზმნას. მაშინაც კი, როცა მონათესავე მნიშვნელობის სახელი და ზმნა ერთმანეთს ეტიმოლოგიურად არ

უკავშირდებოდა, ერთ-ერთ მათგანს ხშირად მაინც აუქმებდნენ. არ არსებობდა, მაგალითად, სიტყვა გაჭრა, მის მნიშვნელობას მოიცავდა სახელზმნა დანა. ზედსართავები იქმნებოდა სახელზმნისთვის -ful სუფიქსის, ზმნიზედები კი -wise სუფიქსის დამატებით. ასე მაგალითად, speedful ნიშნავდა „სწრაფს“, speedwise კი „სწრაფად“ -ს. შენარჩუნებულ იქნა ზოგიერთი დღევანდელი ზედსართავი, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, კარგი, ძლიერი, დიდი, შავი, რბილი, მაგრამ მათი მთლიანი რაოდენობა მეტისმეტად შემცირდა. ისინი დიდად აღარავის სჭირდებოდა, რაკი ზედსართავი, როგორც ასეთი, თითქმის უკვე მიიღწეოდა სახელზმნისთვის ful-ის დამატებით. უკუგდებულ იქნა დღეს არსებული ყველა ზმნიზედა, ისედაც wise-ით დაბოლოებული სულ რამდენიმეს გარდა. ამ ბოლოსართს უალტერნატივოდ მიმართავდნენ. მაგალითად, სიტყვა well შეცვალა სიტყვამ goodwise.

გარდა ამისა, ყოველი სიტყვა (პრინციპში, ეს წესიც უკლებლივ ყველა სიტყვისთვის გამოიყენებოდა) უარყოფით მნიშვნელობას იძენდა თავსართ არ-ის დამატებით, ძლიერდებოდა პლუს-ით და კიდევ უფრო ემფატური ხდებოდა ორმაგპლუს-ით. ასე მაგალითად, არცივი ნიშნავდა „ცხელს“, ხოლო პლუსცივი და ორმაგპლუსცივი, შესაბამისად, ნიშნავდა „ძალიან ცივს“ და „უაღრესად ცივს“. გარდა ამისა, დღევანდელი ინგლისურის მსგავსად, შესაძლებელი იყო თითქმის ნებისმიერი სიტყვის მნიშვნელობის მოდიფიცირება ისეთი წინდებულ-თავსართების მეშვეობით, როგორიცაა ანტი-, პოსტ-, ზე-, ქვე- და ა.შ. ასეთი მეთოდების წყალობით წარმოუდგენლად შემცირდა სიტყვათა საერთო რიცხვი. თუკი არსებობდა სიტყვა კარგი, მაშინ რაღა საჭირო იყო სიტყვა ცუდი, თუკი სასურველი ცნება არანაკლებ კარგად - სინამდვილეში კი, უკეთესადაც - გამოიხატებოდა სიტყვით არკარგი. მხოლოდ ის იყო საჭირო, რომ ყველა შემთხვევაში, როცა ორი სიტყვა საპირისპირო მნიშვნელობათა ბუნებრივ წყვილს ქმნიდა, გაკეთებულიყო არჩევანი - მათგან რომელი გაეუქმებინათ. მაგალითად, ბნელი შეიძლებოდა შეცვლილიყო არნათელით, ნათელი კი - არბნელით.

ახალმეტყველების გრამატიკის მეორე გამორჩეული თვისება იყო მისი წესიერება. ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა ფლექსია ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარებოდა. ასე, ყველა ზმნისთვის წარსული დროის ფორმა და წარსული დამატება ერთნაირად მთავრდებოდა ed-ით. steal წარსულ დროში იყო stealed, think - thinked, და ასე შემდეგ მთელ ენაში. ხოლო ასეთი ფორმები, როგორიცაა swam, gave, brought, spoke, taken და სხვ. გააუქმეს. ყველა მრავლობითი ფორმა, საჭიროებისდა მიხედვით, მთავრდებოდა s-ით ან es-ით. მრავლობითი ფორმა ისეთი სიტყვებისა, როგორიცაა man, ox, life იყო, შესაბამისად, mans, oxes, lifes. ზედსართავების შედარებითი ფორმებისთვის უცვლელად გამოიყენებოდა er და est დაბოლოებები (good, gooder, goodest). არაწესიერი ფორმები და more, most კონსტრუქცია უკუგდებულ იქნა.

სიტყვათა ერთადერთი კლასი, რომლის უღლებაც არაწესიერი ფორმით დაიშვებოდა, იყო ნაცვალსახელები, ფარდობითი ნაცვალსახელები, ჩვენებითი ზედსართავები და დამხმარე ზმნები. ეს ყველა, ზოგის გამოკლებით, ისევ ძველებურად გამოიყენებოდა. მაგალითად, whom ამოიღეს, როგორც არასაჭირო, ისევე, როგორც shall და should, -მათი ფუნქცია will-მა და would-მა შეითავსა. არსებობდა, აგრეთვე, სიტყვების კონსტრუირებისას წარმოქმნილი გარკვეული

არაწესიერება, რაც სწრაფი და იოლი მეტყველების საჭიროებამ გამოიწვია. ძნელად წარმოსათქმელი სიტყვა ან კიდევ ისეთი, რომელიც შეიძლებოდა არასწორად აღქმულიყო, ცუდ სიტყვად მიიჩნეოდა, აქედან გამომდინარე, დროდადრო ასეთ სიტყვაში კეთილხმოვანებისთვის დამატებით ასოებს ჩაუმატებდნენ ან კიდევ არქაულ კონსტრუქციას ინარჩუნებდნენ. თუმცა ეს საჭიროება, ძირითადად, „B“ -ლექსიკონში იჩენდა თავს. თუ რატომ ექცეოდა ესოდენ დიდი ყურადღება გამოთქმის სიიოლეს, მოგვიანებით გათვალსაჩინოვდება წინამდებარე ესეში.

B ლექსიკონი

B ლექსიკონი შეიცავდა საგანგებოდ პოლიტიკური მიზნებისთვის შექმნილ სიტყვებს, ანუ იმ სიტყვებს, რომლებიც არათუ ყოველთვის მხოლოდ პოლიტიკურ მოდუსს ატარებდნენ, არამედ ისინი მიზანმიმართულადაც კი შეექმნათ მათი გამომყენებელი ინდივიდისთვის სათანადო მენტალური პოზიციის თავს მოსახვევად. ინგსოცის პრინციპების სრული გაგების გარეშე ძნელი იყო ამ სიტყვების მართებული გამოყენება. ზოგ შემთხვევაში ხერხდებოდა მათი თარგმნა ძველმეტყველების ან თვით A ლექსიკონიდან აღებულ სიტყვებად, მაგრამ ეს, ჩვეულებრივ, ითხოვდა გრძელ პარაფრაზირებას და მუდამ ნახევარტონების დაკარგვას იწვევდა. B ლექსიკონის სიტყვები ერთგვარ აბრევიატურებს წარმოადგენდა. ხშირად რამდენიმე მარცვალში იდეების მთელ მწკრივს ატევდნენ, თანაც - ჩვეულებრივ სამეტყველო ენაზე უფრო მოწესრიგებულად და დამარწმუნებლად.

ეს, ყველა შემთხვევაში, შედგენილი სიტყვები[10] იყო. თითოეული მათგანი შედგებოდა ორი ან მეტი სიტყვის ან მათი ნაწილებისგან, რომლებიც რაიმე იოლად გამოსათქმელ ფორმაში ერთიანდებონენ. მიღებული ნარევი ყოველთვის ჩვეულებრივი წესით ნაბრუნები სახელზმნა იყო. მაგალითისთვის შეგვეძლო მოგვეხმო სიტყვა კარგაზრი, რომელიც, ძალიან უხეშად თუ ვიტყვით, ნიშნავდა „მართლმორწმუნეობას“, ხოლო თუ შევხედავთ, როგორც ზმნას, მაშინ -„მართლმორწმუნეობრივ აზროვნებას“. ეს სიტყვა, შესაბამისად, ასე იბრუნებოდა: სახელზმნა - კარგაზრი, ნამყო და ნამყოს მიმღეობა - კარგაზრობდა, აწმყოს მიმღეობა - კარგაზრობს, ზედსართავი - კარგაზრიანი, ზმნიზედა - კარგაზრით, ნაზმნარი სახელი - კარგმოაზროვნე.

B ლექსიკონის სიტყვები არანაირი ეტიმოლოგიური ნიშნით არ იქმნებოდა. ისინი შეიძლებოდა შემდგარიყო მეტყველების სხვადასხვა ნაწილისგან, დალაგებულიყო ნებისმიერი თანამიმდევრობით და ყოველგვარი დამახინჯებით, რათა ადვილად გამოთქმულიყო და თავისი წარმოშობაც მიენიშნებინა. მაგალითად, სიტყვაში დანაშაულაზროვნება, აზროვნება შეადგენდა სიტყვის მეორე ნაწილს, ხოლო სიტყვაში აზრპოლი (აზრის პოლიცია) - პირველს, მაშინ, როდესაც სიტყვის მეორე ნაწილში - პოლიცია - შენარჩუნებული იყო პოლიციის მხოლოდ პირველი მარცვალი. ევფონიის შესანარჩუნებლად წამოჭრილი სიძნელეების გამო, არაწესიერი კონსტრუქციები B ლექსიკონში უფრო მეტი იყო, ვიდრე A-ში. მაგალითად, ისეთი სიტყვების ზედსართავული ფორმები, როგორიცაა ჭეშსამინი, მშვიდსამინი და სიყვსამინი, იყო, შესაბამისად, ჭეშსამინური, მშვიდსამინური და სიყვსამინური, უბრალოდ, იმ მიზეზით, რომ trueful, paxful და

loveful, ცოტა არ იყოს, ენის გასატეხად ჟღერდა. არსებითად კი, ლექსიკონის ყველა სიტყვა იბრუნებოდა და თან - ყველა ერთნაირად.

ზოგიერთ სიტყვას ჰქონდა მეტისმეტად დახვეწილი მნიშვნელობები, რომლებსაც მხოლოდ მთელ ენაში ღრმად ჩახედული ადამიანები თუ გაიგებდნენ. მაგალითისთვის ავიღოთ „ტაიმსის“ მოწინავე წერილისთვის ტიპური ისეთი ფრაზა, როგორიცაა „ძველმოაზროვნეები მუცლით არ გრძნობენ ინგსოცს“. ძველმეტყველებაზე ეს აზრი ყველაზე მოკლედ ასე გამოითქმებოდა: „მათ, ვისი აზრებიც რევოლუციამდე ჩამოყალიბდა, არ შეუძლიათ ჰქონდეთ ინგლისური სოციალიზმის სრული ემოციური გაგება“. მაგრამ ეს არ არის ადეკვატური თარგმანი. ახალმეტყველების ენაზე დაწერილი ზემოთ მოყვანილი ფრაზის სიღრმისეული გაგებისთვის ნათელი წარმოდგენა უნდა გვქონდეს ინგსოცის არსზე. მეტიც: მხოლოდ ინგსოცში მთლიანად ფესვგადგმული ადამიანი თუ შეაფასებს მთელ ძალას სიტყვისა მუცლითგრძნობა, რომელიც გულისხმობს ბრმა, ენთუზიასტურ მიღება-რწმუნებას, ძნელად წარმოსადგენს სადღეისოდ. იგივე ითქმის სიტყვაზე ძველაზრი, რომელიც განუყრელად უკავშირდებოდა ბოროტებასა და დეკადანსს. თუმცა ძველაზრისა და ახალმეტყველების ზოგიერთი სხვა სიტყვის დანიშნულება იყო არა იმდენად საზრისთა გამოხატვა, რამდენადაც მათი დანგრევა. ამ სიტყვების უკიდურესად გაფართოებული მნიშვნელობები მოიცავდნენ სიტყვების მთელ კორპუსებს, რომლებიც - გაერთიანებულნი ერთი საერთო ტერმინის ქვეშ - უკვე შეიძლებოდა წაეშალათ და დაევიწყებინათ. ახალმეტყველების ლექსიკონის შემქმნელთა წინაშე მდგარი უდიდესი სიძნელე ახალი სიტყვების გამოგონება კი არ იყო, არამედ სხვების დარწმუნება გამოგონილი სიტყვების მნიშვნელობაში, ანუ უსარგებლობაში ძველ სიტყვათა მთელი სპექტრისა, რომელსაც ახლები უკვე თავისი არსებობის ფაქტით აუქმებდნენ.

როგორც უკვე ვნახეთ სიტყვა თავისუფალი-ს მაგალითზე, ერეტიკული მნიშვნელობის შემცველ სიტყვებს ზოგჯერ მაინც ინარჩუნებდნენ გარკვეული საჭიროებისთვის, თუმცა - მხოლოდ და მხოლოდ ყველა არასასურველი მნიშვნელობისგან მათი განწმენდის შემდეგ. უამრავმა სხვა სიტყვამ - ისეთებმა, როგორიცაა ღირსება, სამართლიანობა, ზნეობა, ინტერნაციონალიზმი, დემოკრატია, მეცნიერება, რელიგია - უბრალოდ, არსებობა შეწყვიტა. ისინი გადაფარა - და გააუქმა კიდეც - რამდენიმე საზოგადო სიტყვამ, მაგალითად, თავისუფლებასთან და თანასწორობასთან დაკავშირებულმა ყველა სიტყვამ თავი მოიყარა ერთადერთ სიტყვაში დანაშაულაზროვნება, ხოლო ობიექტურობასთან და რაციონალიზმთან დაკავშირებული ყველა ცნება მოიცვა სიტყვამ ძველაზროვნება. უფრო მეტი დაზუსტება სახიფათო საქმე იყო. პარტიის წევრს მოეთხოვებოდა მსოფლხედვა იმ ძველი ებრაელისა, რომელმაც ბევრი სხვა რამის ცოდნის გარეშე იცოდა, რომ ყველა სხვა ხალხი, გარდა ებრაელი ხალხისა, „ცრუ ღმერთებს“ ლოცულობდა. მას არ სჭირდებოდა სცოდნოდა, რომ ამ ღმერთებს ერქვათ ბაალი, ოზირისი, მოლოქი, ასტარტე და ა. შ. ალბათ, რაც უფრო ნაკლები იცოდა მათ შესახებ, მით უკეთესი იყო მისი მართლმორწმუნეობისთვის. იცოდა იეღოვა და იეღოვას მცნებები. აქედან გამომდინარე, სხვა სახელის მქონე ყველა ღმერთი თავის ატრიბუტებიანად ცრუ იყო. დაახლოებით ასე იცოდა პარტიის წევრმაც, რა იგულისხმებოდა კარგ ქცევაში, ისევე, როგორც მეტისმეტად ბუნდოვან-განზოგადებული ტერმინები. იცოდა ისიც, როგორი გადახრები

დაიშვებოდა ამგვარი ქცევიდან. ვთქვათ, მისი სქესობრივი ცხოვრება მთლიანად რეგულირდებოდა ახალმეტყველების ორი სიტყვით: სექსკრიმინალური (სქესობრივი ამორალიზმი) და კარგსექსი (ზნეობრივი სიწმინდე). სექსკრიმინალური მოიცავდა ნებისმიერი სახის სქესობრივ თავაშვებულობას: მრუშობას, ცოლქმრული სარეცლის ღალატს, ჰომოსექსუალიზმსა და სხვა გარყვნილებებს, ისევე, როგორც ნორმალურ სქესობრივ ურთიერთობას, რომელიც ჩატარდებოდა არა რაიმე მიზნით, არამედ თვით მისთვისვე. საჭირო არ იყო მათი ცალ-ცალკე დასახელება, რაკი ყველა ერთნაირად სცოდავდა და, საბოლოოდ, ყველა სიკვდილით ისჯებოდა. C ლექსიკონში, რომელშიც სამეცნიერო და ტექნიკური სიტყვები შედიოდა, შესაძლოა, აუცილებელიც კი გამხდარიყო ზოგიერთი სქესობრივი გადახრის სახელდება, მაგრამ ჩვეულებრივ მოქალაქეს ეს არ სჭირდებოდა. მან იცოდა, რა იგულისხმებოდა კარგ სექსში: ნორმალური სქესობრივი კავშირი კაცსა და მის ცოლს შორის მხოლოდ და მხოლოდ ბავშვის გაჩენის მიზნით და არავითარი ფიზიკური სიამოვნებით ქალის მხრიდან. ყველაფერი დანარჩენი სექსკრიმინალი იყო. ახალმეტყველებაში იშვიათად თუ შეიძლებოდა ერეტიკული აზრის მიდევნა იმაზე უფრო შორს, რომ ის იყო ერეტიკული. ამის იქით აუცილებელი სიტყვები აღარ არსებობდა.

B ლექსიკონში შემავალი არც ერთი სიტყვა არ იყო იდეოლოგიურად ნეიტრალური. მრავალი მათგანი ეფემიზმს წარმოადგენდა. ვთქვათ, ისეთი სიტყვები, როგორიც იყო სიხარულბანაკი (შრომა-გასწორების კოლონია) ან მშვიდსამინი (მშვიდობის ანუ ომის სამინისტრო) წარმოადგენდა თითქმის სრულებით საპირისპიროს იმისა, რასაც გარეგნულად ნიშნავდა. მეორე მხრივ, ზოგიერთი სიტყვა ოკეანიის საზოგადოების რეალური ბუნების ღია და ზიზღნარევ დახასიათებას წარმოადგენდა. მაგალითად, სიტყვა პროლკვება ნიშნავდა მდაბიურ გართობას და ყალბ ინფორმაციას, რასაც პარტია უმზადებდა მასებს. სხვა სიტყვები ისევ და ისევ ამბივალენტური იყო: დადებითი მნიშვნელობით გამოიყენებოდა პარტიასთან მიმართებაში, უარყოფითით კი - მტრებთან. გარდა ამისა, არსებობდა სიტყვები, - ერთი შეხედვით უბრალო შემოკლებები, - რომლებიც იდეოლოგიურ მნიშვნელობას იძენდნენ არა საკუთრივ მათი საზრისიდან, არამედ სტრუქტურიდან.

რამდენადაც კი შეიძლებოდა, ყველა სიტყვა, რომელსაც ჰქონდა ან შეიძლებოდა ჰქონოდა პოლიტიკური მნიშვნელობა, შეტანილი იყო B ლექსიკონში. ყველა ორგანიზაციის, ადამიანთა დაჯგუფების, მოძღვრების, ქვეყნის, ინსტიტუტის თუ საზოგადოებრივი შენობის სახელი განუხრელად იკვეცებოდა ნაცნობ ფორმამდე, ანუ ერთადერთ იოლად გამოსათქმელ სიტყვამდე მინიმალური ოდენობის მარცვლებით, რომლებიც მოცემული სიტყვის თავდაპირველ სახეზე მიანიშნებდნენ. მაგალითად, ჭეშმარიტების სამინისტროში შემავალ ჩანაწერთა დეპარტამენტს, სადაც უინსტონ სმიტი მუშაობდა, ერქვა ჩანდეპი, გამოგონების დეპარტამენტს - გამდეპი, სატელევიზიო პროგრამების დეპარტამენტს - ტელდეპი და ა.შ. ეს ხდებოდა არა მხოლოდ დროის დასაზოგად. უკვე მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულებში ხელოვნურად შექმნილი სიტყვები და ფრაზები პოლიტიკური ენის ერთ-ერთ სახასიათო თვისებას შეადგენდა. ამგვარ სიტყვიერ შემოკლებათა ტენდენცია განსაკუთრებით შეინიშნებოდა ტოტალიტარული რეჟიმის ქვეყნებსა და ორგანიზაციებში. ამის მაგალითებია ნაციზმი, გესტაპო, კომინტერნი, ინპრეკორი, აგიტპროპი[11]. თავდაპირველად, ეს პრაქტიკა თითქოს

ინსტინქტურად ხორციელდებოდა, მაგრამ ახალმეტყველებაში მას შეგნებულად მიმართავდნენ. შენიშნეს, რომ სახელის ამგვარი შემოკლებით ვიწროვდებოდა და შეუმჩნევლად იცვლებოდა მისი მნიშვნელობა, რაკი ჩამოეჭრებოდა იმ ასოციაციების დიდი უმრავლესობა, რომლებსაც ეს სახელი არშეკვეცის შემთხვევაში იწვევდა. მაგალითად, სიტყვები კომუნისტური ინტერნაციონალი წარმოსახვაში რთულ სურათს აღძრავდა: ადამიანთა საყოველთაო ძმობას, წითელ დროშებს, ბარიკადებს, კარლ მარქსს და პარიზის კომუნას. სიტყვა კომინტერნი კი, მეორე მხრივ, მის მსმენელს მკვიდრად ნაგებ ორგანიზაციას და კარგად ჩამოყალიბებულ დოქტრინას წარმოადგენინებს. ის უკავშირდება თითქმის ისევე ადვილად საცნაურ და ისეთივე შეზღუდული დანიშნულების საგანს, როგორიცაა სკამი ან მაგიდა. სიტყვა კომინტერნი შესაძლებელია გამოითქვას თითქმის აზრის დაუტანებლად, მაშინ, როცა კომუნისტური ინტერნაციონალი არის ფრაზა, რომელზეც ერთი წამით მაინც უნდა დაფიქრდე. ზუსტად ასევე, ისეთი სიტყვისგან აღძრული ასოციაციები, როგორიცაა ჭეშმარიტების სამინისტრო. აქ ლაპარაკია არა მხოლოდ სიტყვების შემოკლების ჩვევაზე, როცა კი ეს შესაძლებელი იქნებოდა, არამედ თითქმის გადაჭარბებულ ზრუნვაზე - განსაკუთრებით იოლი წარმოსათქმელი გაეხადათ ყოველი სიტყვა.

ახალმეტყველებაში კეთილხმოვანება ყველაფერ დანარჩენზე მნიშვნელოვანი იყო, მათ შორის - საზრისის სიზუსტეზეც. გრამატიკის წესები მუდამ იწირებოდა, როცა კი ამას საჭიროდ მიიჩნევდნენ. სწორედ ამ გზით მიიღებოდა (უწინარეს ყოვლისა -პოლიტიკური მიზნებისთვის) ერთადერთი არაორაზროვანი საზრისის მატარებელი მოკლე-მოკლედ დაქუცმაცებულ-გადაკერებული სიტყვები, რომლებიც უსწრაფესად წარმოითქმებოდა და მოლაპარაკის გონებაში მინიმალურ ექოს იწვევდა.

B ლექსიკონის სიტყვები გაძლიერდნენ კიდეც იმ ფაქტით, რომ თითქმის ყველა ერთმანეთს ჰგავდა. სიტყვები კარგაზრი, მშვიდსამინი, პროლკვება, ინგსოცი, მუცელგრძნობა, აზრპოლი და უამრავი სხვა - იყო ორ- ან სამმარცვლიანი, პირველ და მესამე მარცვლებზე თანაბრად განაწილებული მახვილით. მათი ხმარება იწვევდა სწრაფ და გაურკვეველ მეტყველებას, ერთდროულად - სტაკატოსაც და მონოტონურსაც. მიზანიც სწორედ ეს იყო: ლაპარაკი, განსაკუთრებით კი - ლაპარაკი იდეოლოგიურად არანეიტრალურ ნებისმიერ საგანზე უნდა წარმართულიყო ადამიანური შეგნება-ცნობიერებისგან შეძლებისდაგვარად დამოუკიდებლად. ყოველდღიური მიზნებისთვის უეჭველად ან ხანდახან მაინც აუცილებელი იყო დაფიქრება ხმის ამოღებამდე, მაგრამ პოლიტიკური ან ეთნიკური განსჯის წარმოსათქმელად მოხმობილ პარტიის წევრს ისევე ავტომატურად უნდა ეფრქვია სწორი შეხედულებები, როგორც ტყვიამფრქვევს - ტყვიები. იგი იწვრთნებოდა ამისთვის, ენა მას თითქმის სრულებით უსაფრთხო ინსტრუმენტს აძლევდა, სიტყვების ფაქტურა კი - თავისი მკვეთრი ბგერებითა და ერთგვარი შეგნებული, ინგსოცის სულთან თანხმიერი სიუშნოვით - ამ პროცესს კიდევ უფრო აღრმავებდა. ასეთი შედეგი მოჰყვა სიტყვათა მარაგის უკიდურეს შემცირებას. ჩვენს ლექსიკასთან შედარებით ახალმეტყველების ლექსიკონი ერთობ მცირეტანიანი იყო, რის შემდეგაც კვლავ გრძელდებოდა მის შესამცირებლად საჭირო ახალი გზების ძიება. არსებითად, ახალმეტყველება ყველა სხვა ენისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მისი ლექსიკა

უფრო და უფრო მცირდებოდა ნაცვლად იმისა, რომ წლიდან წლამდე გაზრდილიყო. ყოველი შემცირება წარმოადგენდა თავისებურ მიღწევას, რადგან რაც უფრო მცირეა არჩევანი, მით ნაკლებია აზროვნების ცდუნება. საბოლოოდ, იმედოვნებდნენ, რომ დაუნაწევრებელი მეტყველება დაძრულიყო ხორხიდან, ტვინის უფრო მაღალი ცენტრების ჩაურთველად. ეს მიზანი დაუფარავად გამოიხატებოდა ახალმეტყველების სიტყვით იხვმეტყველება, რაც ნიშნავდა „იხვის ყიყინივით ლაპარაკს“. B ლექსიკონის სხვა არაერთი სიტყვის მსგავსად, იხვმეტყველებასაც ამბივალენტური მნიშვნელობა ჰქონდა, იმის გათვალისწინებით, რომ ამოყიყინებული შეხედულებები უცილობლად მართლმორწმუნეობრივი იქნებოდა, იხვმეტყველებაც, არსებითად, მხოლოდ ხოტბა-დიდებას შეიცავდა. და როცა „ტაიმსი“ პარტიის ამა თუ იმ ორატორს მოიხსენიებდა, როგორც ორმაგპლუსკარგიხვმეტყველს, ეს, რასაკვირველია, ძვირფას და მხურვალე ქათინაურად ითვლებოდა.

C ლექსიკონი

ეს ლექსიკონი პირველი ორის დამატება იყო და მთლიანად მეცნიერულ-ტექნიკური ტერმინებისგან შედგებოდა. რაკი იგივე სიტყვიერი ძირები ჰქონდა, ეს ტერმინოლოგია დღევანდელს ჰგავდა. თუმცა აქაც შესაბამისად იზრუნეს, რომ მისეული ცნებები მკაცრად განსაზღვრული, ანუ ყოველგვარი არასასურველი მნიშვნელობისგან დაცლილი ყოფილიყო. აქაც გამოიყენებოდა იგივე გრამატიკული წესები, რაც წინა ორ ლექსიკონში. ყოველდღიურ თუ პოლიტიკურ მეტყველებაში ამ ლექსიკონიდან მხოლოდ ძალზე ცოტა სიტყვა თუ იხმარებოდა. ნებისმიერ მეცნიერ-მუშაკს თუ ტექნიკოსს საჭირო სიტყვების პოვნა მისი სპეციალობისთვის განკუთვნილ სიტყვარში შეეძლო და იშვიათად თუ უხდებოდა რაიმეს მოძიება სხვა სიტყვარებში. ამ სიტყვარებს უკიდურესად მცირე რაოდენობის სიტყვა ჰქონდათ საერთო, ისე კი, არ არსებობდა ლექსიკონი, რომელიც მთლიანობაში განსაზღვრავდა მეცნიერების, როგორც გონებრივი ჩვევის, ფუნქციას, მისი ცალკეულ-კონკრეტული დარგების მიუხედავად. მართლაც, არ არსებობდა „მეცნიერების“ შესატყვისი ცნება, რაკი ნებისმიერი შესაძლებელი მნიშვნელობა უკვე მოცემული და გაერთიანებული იყო სიტყვაში ინგსოცი.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ ახალმეტყველებაში თითქმის შეუძლებელი იყო არამართლმორწმუნე ცნებების გამოხატვა. რასაკვირველია, შეიძლებოდა რაიმე ყოვლად უხეში ერესისა თუ გმობის გამოთქმა. მაგალითად, შეიძლებოდა მავანს ეთქვა, რომ დიდი ძმა არკარგია. მაგრამ ეს განაცხადი - თავისთავადი აბსურდი მართლმორწმუნე ყურისთვის - არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო რაიმე განსჯითი არგუმენტით, რადგან არ მოიპოვებოდა საამისოდ აუცილებელი სიტყვები. ინგსოცის მიმართ მტრულად განწყობილი იდეები მხოლოდ ბუნდოვანი, უსიტყვო ფორმით ან უზოგადესი ტერმინებით თუ გამოიხატებოდა და, ამგვარად, ერთ ძნად კრავდა და განწირავდა მთელ რიგ ერეტიკულ ჯგუფებს კონკრეტულად განსაზღვრულ ბრალდებათა გარეშე. ახალმეტყველების გამოყენება არამართლმორწმუნეობრივი მიზნებით, არსებითად, შესაძლებელი იყო მხოლოდ მასში შემავალი სიტყვების არალეგიტიმური თარგმნით ძველმეტყველების სიტყვებად. მაგალითად, „ყველა კაცი ერთნაირია“ ძველმეტყველებისთვის მისაღები ერთ-ერთი წინადადება იყო,

ოღონდ - მხოლოდ და მხოლოდ იმავე აზრით, რომლითაც მისაღებია - „ყველა კაცი წითელთმიანია“. ზემოთ მოყვანილი ფრაზა არ შეიცავდა გრამატიკულ შეცდომას, თუმცა გამოხატავდა ხელშესახებ სიცრუეს, სახელდობრ იმას, რომ ყველა ადამიანი ერთი და იმავე ზომის, წონის თუ ძალისაა. აღარ არსებობდა პოლიტიკური თანასწორობის კონცეფცია და, შესაბამისად, სიტყვა თანასწორი საერთოდ გაიწმინდა ამ თავისი მეორადი მნიშვნელობისგან. 1984 წელს, როცა ჯერ კიდევ ყოველდღიურად მიმართავდნენ ძველმეტყველებას, თეორიულად მაინც, არსებობდა შიში იმისა, რომ ახალმეტყველებაში გამოყენების დროს მავანს შეიძლებოდა სიტყვების თავდაპირველი მნიშვნელობა გახსენებოდა. საერთოდ, ორაზრში კარგად ფესვგადგმული არც ერთი ადამიანისთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა ამის თავიდან აცილება. მაგრამ ორიოდე თაობაში ასეთი ლაფსუსის დაშვების თვით შესაძლებლობაც კი გაქრა. ახალმეტყველებაში, როგორც მეტყველების ერთადერთ ფორმაში გაზრდილ ადამიანს აღარ ეცოდინებოდა, რომ თანასწორი ოდესღაც ნიშნავდა „პოლიტიკურად თანასწორსაც“, ხოლო თავისუფალი - „გონებრივად თავისუფალს“, ისევე, როგორც მავანს, რომელსაც არასოდეს უსწავლია ჭადრაკი, ვერ ეცოდინება მეორეული მნიშვნელობები სიტყვებისა -ლაზიერი ან ეტლი. მრავალ დანაშაულსა თუ ცდომილებას ის ვეღარ ჩაიდენდა, უბრალოდ, იმ მიზეზით, რომ მათ სახელი აღარ ჰქონდათ და, ამდენად, წარმოუდგენელნიც იყვნენ. გასათვალისწინებელი იყო, რომ დროთა განმავლობაში უფრო და უფრო გამოიკვეთებოდა ახალმეტყველების ნიშან-თვისებები: მის სიტყვათა რაოდენობა თანდათან უფრო დაცოტავდებოდა, მნიშვნელობებიც უფრო მკაფიოდ განისაზღვრებოდა და, ამდენად, მათი არასათანადოდ გამოყენების შანსიც უფრო და უფრო შემცირდებოდა.

როცა, ბოლოს და ბოლოს, ძველმეტყველება მთლიანად განიდევნებოდა, ამით წარსულთან დამაკავშირებელი უკანასკნელი რგოლიც გაწყდებოდა. ისტორია ხელახლა იყო დაწერილი, მაგრამ არასრულყოფილ ცენზურაში გატარებული წარსულის ლიტერატურის ფრაგმენტები ჯერ კიდევ აქა-იქ არსებობდა და ძველმეტყველების მცოდნეს მათი წაკითხვა შეეძლო. სამომავლოდ, ასეთი ფრაგმენტები რომც გადარჩენილიყო, მათ ვერც გაიგებდი და ვერც თარგმნიდი. შეუძლებელი იყო ძველმეტყველების რომელიმე ფრაზის თარგმნა ახალმეტყველებაზე, თუკი ეს ფრაზა არ გამოხატავდა რაიმე ტექნიკურ პროცესს, რომელიმე ძალზე უბრალო ყოველდღიურ ქმედებას ან უკვე მართლმორწმუნეობრივი ტენდენციის აზრს (ახალმეტყველების გამოთქმით - კარგაზრს). პრაქტიკულად, ეს ნიშნავდა, რომ 1960 წლამდე დაწერილი ვერც ერთი წიგნი მთლიანად ვერ ითარგმნებოდა, რევოლუციამდელი ლიტერატურა ექვემდებარებოდა მხოლოდ იდეოლოგიურ თარგმნას, ანუ არსობრივ და ენობრივ სახეცვლილებას. ავიღოთ, მაგალითად, ცნობილი პასაჟი დამოუკიდებლობის დეკლარაციიდან: ჩვენ თავისთავად ცხად ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, რომ ყველა ადამიანი შექმნილია ერთმანეთის თანასწორად და რომ შემოქმედმა მათ მიანიჭა გარკვეული თანდაყოლილი უფლებები, რომელთა შორისაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერების სურვილი. ამ უფლებათა დასაცავად ადამიანებმა შექმნეს მთავრობები, რომელთა ძალა მათ მიერ მართულთა თანხმობა-თანადგომაშია. როგორც კი მმართველობის ესა თუ ის ფორმა ხდება დესტრუქციული, ხალხს უფლება ეძლევა, შეცვალოს ან გააუქმოს იგი, შემდეგ კი ახალი მმართველობა შექმნას...

სრულებით შეუძლებელი იყო ამ შინაარსის გადატანა ახალმეტყველების ენაზე მისი პირვანდელი საზრისის დაუკარგავად. თარგმნის პირველივე მცდელობა დამთავრდებოდა იმით, რომ მთელი ეს პასაჟი ჩაიყლაპებოდა ერთადერთი სიტყვით: აზრკრიმინალი, სრული თარგმანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ იდეოლოგიური თარგმანი, რომელშიც ჯეფერსონის სიტყვები შეიცვლებოდა აბსოლუტური მმართველობის პანეგირიკით.

წარსულის ლიტერატურის დიდი ნაწილი უკვე შეიცვალა კიდეც ამგვარად. პრესტიჟთან დაკავშირებულმა მოსაზრებებმა სასურველი გახადა ზოგიერთი ისტორიული ფიგურის შენარჩუნება, თუმცა კი - მათი მონაპოვრების უთუო მისადაგებით ინგსოცის ფილოსოფიასთან. ამ მიზნით ითარგმნებოდა ისეთი მწერლები, როგორებიც იყვნენ შექსპირი, მილტონი, სვიფტი, ბაირონი, დიკენსი და სხვები. როგორც კი თარგმნა დასრულდებოდა, მათი თავდაპირველი ნაწერები წარსულის მთელ ლიტერატურასთან ერთად მთლიანად განადგურდებოდა. თარგმნის ეს პროცესი საკმაოდ ნელი და რთული იყო და, ალბათ, ოცდამეერთე საუკუნის პირველ-მეორე ათწლეულამდე ვერ დამთავრდებოდა, გარდა ამისა, არსებობდა აგრეთვე გამოსაყენებელი ლიტერატურა, - აუცილებელი ტექნიკური სახელმძღვანელოები და ყოველივე მისთანა, - რომელსაც იგივე ხვედრი ელოდა. ყველა ეს წინასწარი ენობრივ-მთარგმნელობითი ღონისძიება მიმართული იყო იქითკენ, რომ 2050 წლისთვის მთელი სისრულით ამოქმედებულიყო ახალმეტყველება.

სქოლიო

[1] „ინგლისური სოციალიზმი“ ახალმეტყველების ენაზე.

[2] ახალმეტყველება ოკეანიის ოფიციალური ენა იყო.

[3] ინგლისურად: Minitrue, Minipax, Minilove, Miniplenty (Ministry of Truth, Ministry of Peace, Ministry of Love, Ministry of Plenty). შემოკლებისას ეს სიტყვები ირონიულ მნიშვნელობას იძენს: „მინიმალურად ჭეშმარიტი, მინიმალური მშვიდობა“ და ა. შ. და ქართულად პირდაპირ არ ითარგმნება. ხოლო ქართული აბრევიატურის ის ვერსია, როგორსაც ჩვენ გთავაზობთ („ჭეშსამინი“, „მშვიდსამინი“ და ა. შ.) მკითხველს შორეულად მაინც გაახსენებს ჩვენი ახლო წარსულის ისეთ ნეტარ ლინგვისტურ წარმონაქმნებს, როგორიც იყო „შინსახკომი“, „მუშგლეხინი“, „საბლიტგამი“ და სხვ.

[4] ანუ პროლეტარები.

[5] ინგლისური „ბი“ ნიშნავს „Big Brother“ -ის - „დიდი ძმის“ - საწყის ასოებს.

[6] ეტრატ-ხელნაწერი, რომელზეც მრავალგზის იწერებოდა და იშლებოდა ტექსტი.

[7] პირველი ღამის უფლება.

[8] კვარტა = ზომათა ინგლისურ სისტემაში: სითხეებისა და ფხვიერ ნივთიერებათა მოცულობის საზომი. დიდ ბრიტანეთში უდრის 0,568 ლიტრს. [9] God - ღმერთი (ინგ.).

[10] ასეთი სიტყვები (მაგალითად, ხმაწერა), რა თქმა უნდა, A ლექსიკონშიც მოიპოვებოდა. მაგრამ ესენი მხოლოდ მოხერხებული შემოკლებები იყო და არავითარ საგანგებოდ პოლიტიკურ ელფერს არ ატარებდა (ავტორის შენიშვნა).

[11] Inprecorr, Agitprop - საერთაშორისო პრესის კორესპონდენტი, აგიტატორ-პროპაგანდისტი (მთარ.).

.: 4Love.Ge :.

.:სასიყვარულო საიტი:.